წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

არ არსებობს ერი, ისტორია მისი, ნეტარებითა და სიამაყით არ იყვნენ მოხსენებულნი სახელოვანი თავკაცები, რომელთა ცხოვრება, ბრძოლა და საქმიანობა, სარკე გახლავთ ხალხისა. ადამიანის სულისა და ხასიათიდან გამომდინარე დაუფარავად ვაღიარებ, რომ სხვისი სახელი და დიდება, სხვათა წინამძღოლთა და ერისკაცთა განდიდება ნაკლებად მხიბლავს, რადგან გული ჩემიანისკენ მიმიწევს, იგი მყავს წარმოდგენილი უმამაცესად და უმთავრესად, უპირველესად და უნიჭიერესად, მას მივიჩნევ სხვათათვის სამაგალითოდ და სანატრელად.

შევწიროთ მადლი უფალს იმისათვის, რომ ბევრი გონიერი და თავდადებული წინამძღოლი მოგვივლინა, ბევრს დააკისრა ერისკაცის ტვირთის ტარების უფლება და მისსია. დიახ, ბევრნი გვყავდნენ ასეთები მამრნიც და მდედრნიც, ახალგაზრდებიც და ჭარმაგნიც, გვირგვინოსანნიც, აზნაურნიც და უაზნონიც. ყველას ერთი ჰქონდა საფიქრალი, გასაკეთებელი, უმთავრესი ჰქონდა გულში ამოჭრილი ხელშეუხებელი მამული, დაუმორჩილებელი ერი. და განა უპრიანი არ იყო მრავალთა თავკაცთა წმინდანებად შერაცხვა? აკი ამიტომაც მოიხატა და შეიმკო მათი ფრესკებით, ხატებით ქართული ეკლესია მონასტრები, სალოცავები. ჩაუქრობლად იწვოდა სანთელ საკმეველი თავდადებული წინამძღოლების, ერისკაცების, გმირთა სახელების მოსახსენიებლად, საუკუნოდ უკვდავსაყოფად.

რომელი წინამძღოლი და ერისკაცი გავიხსენო?

საამაყოთა და სასახელოთა სიჭარბე მცირერიცხოვან ქართველთა გაუტეხელი სულის, დაუმორჩილებელი გენისა და ბუნების დასტური გახლავთ. მაგრამ, ერთი ორს მაინც გავიხსენებ: მგლისმუხლა გორგასალს, ლომგულ აღმაშენებელს, მზისსწორ თამარს, უდრეკ ქეთევანს, სხვა გვირგვინოსნებს: ფარნავაზს, მირიანს, ლუარსაბს, გიორგი ბრწყინვალეს,

თავდადებულ დიმიტრის. და ცხადია, ბოლოსთვის მოვიტოვე საწყისი, სათავე ამდენი დიდი ერისკაცისა, გმირისა, წინამძღოლისა თვით ერი ქართველი. ჯიში, რომელმაც მარადჟამ მცირერიცხოვნობისა, მტრისა და მოქიშპის გაუნელებელი მოხდომების მიუხედავად, შეუძლებელი შეძლო შეინახა და შეინარჩუნა მამული, ენა, სარწმუნოება.

შევინახეთ, შევინარჩუნეთ და... მერე ერთბაშად დავკარგეთ, ძალაუნებურად დავმორჩილდით. ბედისწერა ულმობელი გამოდგა, რადგან ჩრდილოელ ერთმორწმუნესთან ნებით მიკედლებამ მწარედ გვანანა მცდარი არჩევანი. თუმცა, ერს გულხელი არ დაუკრეფია, ბედს არ შერიგებია. ისევ გამოჩნდნენ წინამძღოლები და ერისკაცები, ისევ ადუღდა ჯიუტი ქართული სული, ისევ აბრიალდა თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის მინავლებული ნაკვერჩხალი და გამოანათა ბრძენი წინამძღოლის, ილიას სახემ. სწორედ მისებრი თავკაცი, გზის სწორად გამკვალავი სჭირდებოდა ქართველობას.

აკი შეუდგა კიდეც ქართული გოლგოთის მძიმე აღმართს ერის მამა, მაგრამ წიწამურთან დაღვრილი წმინდა სისხლი დასასრული გახდა იმ ეკლიანი აღმართისა. თუმცა, წმინდანად შერაცხული ილიას შემდეგ საქართველო მაინც გახდა თავისუფალი.

ხანმოკლე გამოდგა ქართველთა თავისუფლება. ისევ ჩრდილოელმა მომიჯნავემ გვიმუხთლა. იქიდან წამოსულმა წითელმა გველეშაპმა მისივე მსგავსი პირსისხლიანი და უძღები ზოგიერთი ქართველის ნებითა და ხელშეწყობით, ვერაგულად გადასანსლა იგი.

მაშინ აიშალნენ ქაქუცა და ძმანი მისნი. ჩოლოყაშვილი გახლდათ წინამძღოლი უზარმაზარ ურჩხულთან უთანასწორო, უძალო შერკინებაში. და ვაი, რომ უხერხემლო, განწირული გამოდგა ერისკაცის თავდადება. ილაჯგაწყვეტილმა ხალხმა მხარი ვერ მისცა, მკლავი ვერ გაუმაგრა წინამძღოლს და დაიდგა დაძაბუნებულმა მამულმა წითლებისაგან გამზადებული უმძიმესი უღელი. ვერ გაუძლო, ვერ აიტანა წინამძღოლმა სამშობლოს ამგვარი ხვედრი და უცხო ცის ქვეშ, სხვის მიწაზე სვეგამწარებული

ყოფა არჩია, იქ ჩაიფერფლა მამულის თავისუფლებისათვის თავგანწირული.

გაუსაძლისი, აუტანელი გახდა კომუნისტური რეჟიმი. ავგულებმა და სისხლის მსმელებმა უკან ჩამოიტოვეს უსასტიკესი, ვერაგი ტირანები და დიქტატორები. მათი ცხოვრებისა და საქმიანობის მთავარი არსი, ერთადერთი მიზანი ადამიანთა თავისუფლების ჩახშობა, შემაძრწუნებელია და დამთრგუნველი. კომუნისტების გარდა, სხვასთან არავისთან არის საჭირო იმაზე დავა, იმისი მტკიცება, რომ ადამიანთა თავისუფლება ბალავარია ამქვეყნიური არსებობისა. ეს ყველგან და ყველამ იცის, საბჭოთა იმპერიის, მისი მმართველი წრეების გარდა.

სამოცდაცხრა წელია თავისუფლებაწართმეული ქართველი ერი ბორგავს და გმინავს სანატრელი, კუთვნილი უფლების დასაბრუნებლად. ვერ იოკებდნენ, ვერა სდებდნენ მონობის ლაგამს ამაყ ქართველებს, წითლებისაგან ბოძებულ სკამებზე წამოსკუპებული ერთი მუჭა "რესპუბლიკის ხელმძღვანელები". ეს არც მოხდებოდა, რადგან ქართული ჯიში ვერ იგუებს მბრძანებელსა და დამპყრობელს. სამოცდაცხრა წელია დიდ სამზადისშია ქართველობა, ძალას იკრებს თავისუფლების დასაბრუნებლად. მადლობა უფალს, საკმაოდ გვყავდნენ ერისკაცნი, გამუდმებით რომ გვაფხიზლებდნენ, დღენიადაგ რომ ჩაგვძახოდნენ უღლის გადაგდებაზე, შენიღბულ დაფარული ტირანიისაგან თავის დახსნაზე, სამშობლოს თავისუფლებაზე.

მომეტებულად კოლხური კოშკიდან ისმოდა ჩაგონება ქართველთა თავისუფლებაზე. მისი მკვიდრის გენიალურ ქმნილებებში ნიაღვრად იყო მოვარდნილი ღაღადისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა. ჩვენი ეპოქის ქართული მწერლობის წინამძღოლი, დიდი კონსტანტინე გვმოძღვრავდა, სულს გვიბერავდა, გვამხნევებდა და გვამაგრებდა.

ბუნებრივია და მართალი, რომ წინამძღოლის სიტყვა თუ საქმე, ძეს მისას მისწვდებოდა პირველს. იგი გახდებოდა კანონიერი მემკვიდრე, იგი შეეხიდებოდა სახელოვანსა და მებრძოლ მშობელს.

და ჩაგვესმა სახელი ზვიად გამსახურდიასი. გვესმოდა ჩუმად, დაფარულად მის ნააზრევზე, ნაფიქრალ-ნამოქმედარზე. გვესმოდა მის თანამოსაქმეებსა და ძმადნაფიცებზე, გამორჩეულად - მერაბ კოსტავაზე. ბევრი ეხმარებოდა, უსმენდა

ახალგაზრდა თავდადებულებს. მაგრამ, უშედეგო იყო და უნაყოფო გარჯა იგი გამძვინვარებული კომუნისტური იმპერია დაუსრულებლად მიმართავდა დევნასა და ტერორს, შანტაჟს, ცილისწამებას, პროვოკაციას... არ ილეოდნენ საპყრობილეებისა და გადასახლებების უმძიმესი დღეები. მაგრამ არა კრთებოდნენ, არ ნელდებოდნენ ზვიადი და მერაბი, მათი მიმდევარნი და თანამოსაქმენი. არ განელებულა არსი მათი ცხოვრებისა ბრძოლა ადამიანთა უფლებების დასაცავად. ასე შევიტყვეთ საქართველოს ჰელსინკის კავშირის შესახებ.

... იყო ორმოცდათექვსმეტი წლის სისხლიანი მარტი, სამოცდათვრამეტი წლის ქართული ენის დაცვა შენარჩუნების მღელვარე აპრილი, იყო ოთხმოცდარვა წლის მოშიმშილეთა, ეროვნული მოძრაობის აღზევების ნოემბერი, იყო ოთხმოცდაცხრა წლის მსხვერპლთშეწირვის სისხლიანი ცხრა აპრილი, იყო მერაბ კოსტავასთან განშორების შავი ოქტომბერიც. დაგვაკლდა ერთერთი წინამძღოლი, თავდადებული მამულიშვილი.

ღმერთს არასდროს გაუწირავს ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, რადგან ამ მიწის მკვიდრნი უყოყმანოდ ანაცვალებდნენ სიცოცხლეს მამულს, ენასა და სარწმუნოებას.კიდევ იმიტომ გადარჩა პატარა იბერია, რომ ყოველთვის ჰყავდა წინამძღოლები და ერისკაცები. ახლაც, ამ აბობოქრებულსა და აფოფრილ საქართველოშიცა გვყავს წინამძღოლი, ბატონი ზვიად გამსახურდია. ამიტომაც, ნუ გავხდით უსაშველოდ და დაუძლევლად ეროვნულ მოძრაობაში წარმოქმნილ უთანხმოებას, ნუ გავახარებთ მტერს და ავის

მსურველს ჩვენივე დაკნინებითა და უიმედობით, რადგან არა გვაქვს უფლება ამისა.

გავყვეთ წინამძღოლს, ყური მივუგდოთ, ვიწამოთ მისი რჩევა და სიტყვა, ვენდოთ მის აზრსა და ფიქრს, რადგან ეროვნულსა და პოლიტიკურ მოღვაწეს აქვს ნიჭი, უნარი საერო საქმეთა შორის უპირველესის აღსრულების სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსპოვებლად.

... ვერ აისრულა, ვერ ეღირსა ბრძენი ილია სამშობლოსა და ერის თავისუფლებას. სამუდამო განსასვენებელსაც მგლოვიარე სამშობლოს სიმბოლო დაუდგა მცველად და ნუგეშად. თუმცა, იმედად დაგვიტოვა წინასწარმეტყველის უტყუარი ალღოთი თქმული: "აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია". და დაგვიდგა ეს მომავალი, ჩვენივე ხელით აღსასრულებელი. და უნდა აღვასრულოთ იგი ყველამ ერთად, სრულიად საქართველომ.

გაზეთი "შავლეგო"

1990 წელი. ოქტომბერი

უკვდავება გმირისა

"მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს. გვათვითცნობიერებდა, თვალს გვიხელდა სინამდვილეზე, დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით გვზრდიდა". ზვიად გამსახურდია

ხუთშაბათობით და ყოველ კვირა დღეს, საეკლესიო დღესასწაულების დღეებში, მამა დავითის ეკლესიიდან გამოსული,

წმინდა ილია მართლისა და დიდი განმანათლებლის იაკობის საფლავებთან ერთად, ბოლნისის სიონის ბრინჯაოს ჯვრით შემკულ საფლავს მივეახლები და ჯვარს გადავწერ იქაურობას.

აქ საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა განისვენებს.

დღეს 13 ოქტომბერია. გმირის გარდაცვალების დღე. ცხრა წელი გავიდა თავზარდამცემი ტრაგედიის მოხდენიდან. ამ ხნის მანძილზე ბევრი დაიწერა და ითქვა მერაბ კოსტავას ცხოვრებასა და საქმიანობაზე, თავგანწირულ ბრძოლაზე. თუმცა, ბევრზე ბევრი ჯერაც სათქმელია და სამზეოზე გამოსატანი. ბუნებრივია, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის ამბავთა მოწმეა მისი დედა, ქალბატონი ოლღა დემურია კოსტავა და მასთან ერთად, მერაბის უახლოესი მეგობარი, უერთგულესი თანამებრძოლი, საქართველოს მარადიული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მეუღლე, ქალბატონი მანანა არჩვაძე გამსახურდია.

შემოთავაზებულ საუბარში მოთხრობილია კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან მერაბ კოსტავას ურთიერთობაზე, ეროვნული მოძრაობის პატრიარქ ზვიად გამსახურდიასთან მეგობრობასა და ძმობაზე, სამშობლოს თავისუფლებისათვის გაწეულ უმძიმეს ბრძოლაზე. პრეზიდენტის მეუღლე მოსაწონი გონიერებით იხსენებს გმირის გაცნობის დღეებს, შემდგომი ურთიერთობის საინტერესო და ლამაზ პერიოდებს.

მანანა არჩვაძე გამსახურდია: მერაბ კოსტავა 1971 წელს გამაცნო ზვიადმა, სახლში მესტუმრნენ. ცხადია, ჩემთვის უცნობი იყო ზვიადის მაშინდელი ჩანაფიქრი, ოთხი წლის შემდეგ რომ გაცხადდა. დღეს, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფისთვის, მაინც ღიმილის მომგვრელია ზვიადის მაშინდელი, ერთგვარად ბავშვური მოქმედება.

შესაძლოა ეს ზვიადმა მერაბის აზრის შესატყობად, სათანადო რჩევის მისაღებად მოიმოქმედა?

- საფიქრებელია, რომ ზვიადმა მეგობრისგან სასურველი რჩევა მიიღო, რაც შემდგომში საქმით დადასტურდა. პირველი შეხვედრისას მერაბმა გულახდილი, დაუფარავი საუბარი დაიწყო იმაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ, თუმცა ზვიადისაგან უკვე ყველაფერი ვიცოდი. მაგრამ, მერაბი იმდენად პირდაპირი და უშუალო იყო, რომ დაწვრილებით გამაცნო თავიანთი მომავალი სამოქმედო გეგმა. მთავარი მიზანი საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გახლდათ. ზვიადმა უთხრა, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის ცნობილი იყო და სხვა თემაზე მსჯელობა შესთავაზა. დიდხანს ვისხედით, ვსაუბრობდით პოეზიაზე, მუსიკაზე. ზვიადი და მერაბი საშუალო სკოლაში ერთად სწავლობდნენ, ერთად დაამთავრეს მუსიკალური ათწლედიც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ შემდეგში ჩვენთან სახლში, ხშირად ძალზე

ლამაზად, მეგობრულად ეჯიბრებოდნენ ფორტეპიანოზე დაკვრაში. მერაბი უმეტესად ბეთჰოვენზე მუშაობდა, ზვიადი ბეთჰოვენსაც უკრავდა, მაგრამ უპირატესობას შუბერტსა და შოპენს ანიჭებდა. ის დღეები ჩემთვის დაუვიწყარია და საამოდ გასახსენებელი. დღეს სურათები გადავათვალიერე, თვალი შევავლე ორივეს და გული დამიმძიმდა. როგორია, ასეთი პიროვნებების გვერდით ყოფნა და მოულოდნელად განშორება. აღმოჩნდა, რომ ბევრი არაფერი მომისწრია. ჩვენი ერთად ყოფნა ჩვეულებრივ მოვლენად მიმაჩნდა, რადგან მათში უკვდავებას ვხედავდი, ამას ისინი თავიანთი სულიერებით, აზროვნებით, საქმით ამტკიცებდნენ. ზვიადისა და მერაბის ფიზიკურ დაკარგვაზე არასდროს მიფიქრია, მიუხედავად ამის მოხდენის უამრავი პერიოდების არსებობისა, თუნდაც ცალკეული და ერთობლივი დაპატიმრებების დროს. არასდროს მიფიქრია მათთან განშორებაზე, ამ უმძიმესი ჟამის დადგომაზე. ის კი არადა, ყოველთვის ჩემს თავს ვხედავდი ამაქვეყნიდან გარდასულად. მათ არასდროს.

ჩვენს ურთიერთობას მარტო მეგობრულს ვერ დავარქმევ. მიმაჩნია, მსგავსი არასად არავის ჰქონია. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, რომ "ვეფხისტყაოსანი" მათთვის დაიწერა. მათს ურთიერთობას, საქმიანობას, აზროვნებას, ცხოვრებისადმი

მიმართებას, სულიერ კავშირს, სამშობლოსა და ერისათვის თავდადებას რომ ვაანალიზებ, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ტარიელისა და ავთანდილის აუცილებელ არსებობაში. ისინი მეოცე საუკუნის "ვეფხისტყაოსნის" გმირები იყვნენ. ამ ორი პიროვნების, ორი რაინდის მოვლენით ღმერთმა საქართველო არ გასწირა. მათ ქართველებს თვალნათლივ დაუმტკიცეს ურღვევი, ჭეშმარიტი მეგობრობის სინამდვილე. ამგვარ ტრადიციას შენარჩუნება მართებს, რაშიც ალბათ ისევ უფალი მოგვიწყობს ხელს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა დაიღუპება. სწორედ უღალატო, უმტკიცესი მეგობრობა იყო საფუძველთა საფუძველი, უმთავრესი ზვიადისა და მერაბის ურთიერთობაში. ისინი ერთმანეთს ამაგრებდნენ, აძლიერებდნენ, ხელს უწყობდნენ, რათა ძნელბედობის დროს, მათი ცხოვრება კი ყოველთვის მძიმე და გაუსაძლისი გახლდათ, სხვანაირად დაფიქრების საშუალება არა ჰქონოდათ. მათში ხომ მიწიერს უფრო ზეციური სჭარბობდა. ისინი მუდამ მზად იყვნენ თავგანწირვისთვის, რაც ყველას არ შეუძლია. შეიძლება ვინმეს ამისი სურვილი გაუჩნდეს, მაგრამ აღსრულება გაუჭირდეს. მერაბისთვის მსგავსი არაფერი არსებობდა, საკუთარ თავზე ფიქრი გამორიცხული იყო. ალბათ ამით იყო გამოწვეული ის, რომ ზოგჯერ იმდენად თამამ ნაბიჯს გადადგამდა, რომ შეიძლება უკან მოხედვის საშუალება აღარ ჰქონოდა და ყველაფერი უსიამო შედეგით დამთავრებულიყო. ზვიადი უფრო თავდაჭერილი იყო, უფრო შორს იხედებოდა და ყოველთვის ეუბნებოდა: თუ შენზე არა, ჩემზე მაინც იფიქრე, მარტო ხომ არ უნდა დამტოვო, შევძლებ კი მერე უხელ-ფეხოდ სიარულს? გთხოვ, ხშირად იფიქრო იმაზე, რომ საქართველოსთვის ხარ საჭირო და აუცილებელი. შენს გარეშე ძნელია ჩემი არსებობა და საქმიანობა.

და მართლაც, მერაბის გარდაცვალების შემდეგ ზვიადი მარტო დარჩა. მარტოობასაც გააჩნია. მინახავს ეულად დარჩენილი მარტოხელა მშობლები, ხდება ასეთი ტრაგედიები, მაგრამ ისინი სულ სხვა პიროვნებები არიან და იმგვარი საფიქრალ - გასაკეთებელი არ გააჩნიათ, როგორიც ზვიადს ჰქონდა. მათ ხომ

- დიახ, ოჯახში ყველა ვმღეროდით. გარდა ამისა, მუსიკალური განათლებაც მივიღე. დამეთანხმებით, რომ ამგვარ ვითარებაში ადამიანები უფრო ახლოს ეცნობიან, ეჩვევიან და უახლოვდებიან ერთმანეთს.

ცრემლებით აევსო მშვენიერ მასპინძელს მომხიბვლელი და გონიერი თვალები.

ყოველთვის ძნელია ჩემთვის ორი ბუმბერაზი ადამიანის და არა მარტო მათი, უცრემლოდ გახსენება. ამ დროს, თითქოსდა საკუთარი თავის სისუსტეს შევიგრძნობ ხოლმე, მაგრამ შეუძლებელია მოწოლილი სევდისა და ტკივილისათვის მუდმივად გვერდის ავლა.

ახლა გავაგრძელებ ბატონ კონსტანტინესთან, ჩემს მამამთილთან პირველი შეხვედრისა და გაცნობის ამბავს. როგორც აღვნიშნე, ზვიადმა და მერაბმა სახლში მომაკითხეს. თურმე, ყველაფერი წინასწარ მოუფიქრებიათ და მოულაპარაკებიათ. ჩავსხედით მანქანაში და ის იყო დავიძარით, ზვიადმა ბოდიში მოიხადა და დავიწყებული ნივთის გამო სახლში მცირე ხნით შევლის ნებართვა გვთხოვა. მივედით კოლხურ კოშკთან, ზვიადი გადავიდა და მერაბს დარჩენილი ნივთის გამოტანაში დახმარება სთხოვა. მერაბმა კი ვითომცდა ჩემი მარტოდ დარჩენა იუხერხულა და ეზოში შესვლა შემომთავაზა. გადავედი, ეზოში გავჩერდი. დავინახე, რომ მერაბი კიბეზე ავიდა. თურმე ბატონი კონსტანტინე მზადყოფნაში იყო და ჩემს მისვლას ელოდებოდა, რადგან ზვიადისთვის ბევრჯერ უთხოვნია ჩემი ნახვის თაობაზე.

ქალბატონი მირანდა და თამარი მაშინ ცოცხლები აღარ იყვნენ?

- დიახ, ორივენი გარდაცვლილნი გახლდნენ. ქალბატონი მირანდა ოთხი წლის გარდაცვლილი იყო. არც თამარი იყო ამ ქვეყნად, იგი 1973 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა.

კიბეებზე ასული მერაბი მომიტრიალდა და უკვე სახლში შესვლა შემომთავაზა. რადგან მათი ჩანაფიქრის შესახებ არაფერი ვიცოდი, გავბედე და შევედი. ზვიადი მამასთან იყო კაბინეტში. მერე გამოვიდა, მერაბს ნიშანი მისცა და ოთახში შებრუნდა, კარი სანახევროდ ღიად დატოვა. ამ დროს მერაბმა ხელები ზურგზე მომაბჯინა და კარგა გვარიანად მიბიძგა. ასე აღმოვჩნდი კაბინეტში. ბატონი კონსტანტინე წამოდგა, გადამეხვია და გულში ჩამიკრა. გაოგნებული ვიყავი. ხუმრობა ხომ არ იყო, ამხელა პიროვნების წინაშე წარდგენა. უმალ ყველა მისი ნაწარმოების გმირი დამიდგა თვალწინ, ასე რომ შეგვაყვარა, განუზომელი სიხარული და სილამაზე რომ გვარგუნა. დამეთანხებით, თუ რაოდენ ძნელი იყო ესოდენ დახვეწილი, უსაზღვრო გემოვნების მქონე ადამიანზე სასურველი შთაბეჭდილების მოხდენა, დადებითად აღქმა. მაკოცა და მკითხა, თუ რატომ ვაგვიანებდი მათთან საცხოვრებლად გადასვლას. მესმის, რომ ძნელია მშობლების სახლის დატოვება, მაგრამ მეუღლის სახლში ცხოვრებაც ხომ აუცილებელიაო (თუმცა, მაშინ ზვიადის მეუღლე ჯერ არ ვიყავი). მერე ზვიადს გადახედა და კმაყოფილმა უთხრა: ყოჩაღ, ბიჭო! სუფრა უკვე გაშლილი იყო. მერაბი უსაზღვროდ გახარებული და ბედნიერი გახლდათ. ძალზე დამახასიათებელი ჯდომა იცოდა მხრებში ფართოდ გაშლილი, სახენათელი.

ღელავდა მერაბი დიდ კონსტანტინესთან თქვენი წარდგენა გაცნობის დროს?

- სრულებით არა. ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. ცოტათი ჩემს წინაშე გრძნობდა თავს უხერხულად, რადგან ჩუმად ვუსაყვედურე თავს გადამხდარის გამო. ცხადია, მერაბს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან დიდად გახარებული გახლდათ ძმისა და მეგობრისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის წარმატებით მოგვარებით, მასში მისეული წილის ჩადებით. მაგიდას ზვიადი თამადობდა. ბატონი კონსტანტინე ზომიერად სვამდა. ერთი რამ გამორჩეულად მინდა აღვნიშნო. მაგიდაზე დაჭრილი ქათამიც იყო და მრგვალად მოხარშულიც, იყო მისი საყვარელი შაშხიც. აიღო ბატონმა კონსტანტინემ მთლიანი ქათამი, ოთხად გაჭრა და

ოთხივეს თანაბრად შეგვახვედრა. მერე შაშხიც ოთხად გაანაწილა.

გამოდის, მწერალმა ამით თქვენ გამსახურდიების ოჯახის სრულუფლებიან წევრად ჩაგთვალათ.

- ალბათ. მაგიდასთან ყოფნისას ყურადღებას არ მაკლებდა. მისაყვედურა კიდეც უჭმელობის გამო და მითხრა, რომ ამას არ მომიწონებდა. მე კი გონებაში ისევ მწერლის გმირებს ვუპირისპირდებოდი. მეგონა მათი საზომით აღმიქვამდა ბატონი კონსტანტინე. მერაბს, როგორც შვილს, ისე მიმართავდა და ეპყრობოდა, ზვიადისგან არ ანსხვავებდა. და ასე იყო ყოველთვის. განმარტოებულები, საათობით საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, კამათობდნენ.

არ იმღერეთ?

- რასაკვირველია. სამივემ უზადოდ იმღერეს მრავალჟამიერი. სხვათა შორის, არსებობდა ბატონ კონსტანტინესა და ზვიადის მიერ ორ ხმაში შესრულებული სიმღერის ჩანაწერი, რომელიც ერთხელ რადიოთიც გადაიცა. ზვიადისა და მერაბის მიერ შესრულებული სიმღერების ჩანაწერებიც გვქონდა, რომლებიც კოლხურ კოშკში გაჩაღებულ ხანძარს შეეწირნენ. შესაძლებელია, ვინმეს აქვს რაიმე ჩანაწერი, მაგრამ დღემდე არავის არაფერი მოუწვდია. საფიქრებელია, უკანონო ხელისუფლების მოკვდინებას ელოდებიან და მერე გაბედავენ იმ სავარაუდო ჩანაწერებისა თუ სხვარამ საინტერესოს, ღირებულის გადმოცემას. არადა მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი ერის კუთვნილი განძია, რომელსაც გაფრთხილება და შენარჩუნება მართებს. მე მაშინ ხმა არ ამომიღია, ვერ შევბედე, მიუხედავად იმისა, რომ ბატონი კონსტანტინე ჩემდამი უდიდეს ყურადღებას იჩენდა, უსაზღვრო სითბოს გაიღებდა, ცდილობდა, რაც შეიძლება თავისუფლად მეგრძნო თავი. მერე დავემშვიდობე ოჯახის თავკაცს და მეგობრებმა დილით მოცემული პირობა შეასრულეს მცხეთაში წავედით, სვეტიცხოველსა და ჯვარს მივეახლეთ. სამივენი ბედნიერები ვიყავით. შინ მიცილებისას იმ პირობით დამემშვიდობნენ, რომ მალე გადავიდოდი კოლხურ კოშკში საცხოვრებლად.

ხელის მოწერის დღე დავთქვით. ეს იყო 1974 წელს. ერთ-ერთი რაიონის მმაჩის ბიუროში ნაცნობი გვყავდა და იმან მოგვიხერხა. ცხადია, მეჯვარე მერაბი იყო. ჯვარი კი ვერ დავიწერეთ, ამისი ნებართვა არ მოგვცეს. ეკლესია მწყრალად იყო ჩვენზე. მიზეზი მაშინდელ თვითგამოცემებში ეკლესიებში დატრიალებული ამბების მამხილებელი წერილების გამოქვეყნება გახლდათ. არამცთუ ჯვრის წერა, ბავშვის მონათვლაც კი აგვიკრძალეს.

ჯვარი 1991 წელს, ნათლისღების დღეს, მეტეხის ტაძარში, საიდუმლო ვითარებაში დავიწერეთ. სანამ ზვიადი პრეზიდენტი არ გახდა, შიოლაშვილმა ამისი ნებართვა არ მისცა. ზვიადმა დამირეკა და მითხრა ტაძარში მივსულიყავი, რატომღაც ბავშვების დასწრება არ მოისურვა, უხერხულიაო. მე კი ძალიან მინდოდა, რომ ისინი ჩვენთან ყოფილიყვნენ. თოვდა და ბნელოდა. ტაძარი გაგვიღეს, სინათლე არ იყო, სანთლები ავანთეთ, მერე ოთხი მგალობელიც გამოჩნდა და ასე მოკრძალებულად, თითქმის ჩაბნელებულ ტაძარში, არცთუ სასურველი ადამიანების გარემოცვაში დავიწერეთ ჯვარი. ზვიადი ძალზედ ბედნიერი იყო, შვებით ამოისუნთქა. იმ ბედნიერ დღეს ახლდა უდიდესი გულისტკივილი და სევდა - მერაბი ჩვეთან აღარ იყო. გვტკიოდა ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის ჯვრისწერა ასე მალულად, ერისგან დაფარულად მოხდა. პირიქით კი უნდა ყოფილიყო სრულიად საქართველოს უნდა ეხილა. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი არავინ გადაიღო ფირზე, მხოლოდ მოგონებად დარჩა ის ძალზე ამაღლებული სანახაობა.

ცნობილია, რომ წითელმა ხელისუფლებამ, სუკმა ყველაფერი

იღონა დიდი მწერლის ტირანად, კაცთმოძულედ, უხეშ და ქედმაღალ პიროვნებად წარმოსაჩენად, ყველანაირად ესწრაფოდნენ ხალხში მისდამი სიძულვილისა და ზიზღის გაღვივებას. სინამდვილეში კი ბატონი კონსტანტინე უსაზღვროდ კაცთმოყვარე, თბილი, გამტანი, მოსიყვარულე ადამიანი გახლდათ. თქმით ხომ არაფერს გეტყოდათ, არც უხასიათობითა თუ უსიამო განწყობით გაგრძნობინებდათ შეუძლოდ ყოფნას.

მხოლოდ ის იყო, საცხოვრებლად მათთან გადასვლის პირველ ხანებში ხშირად ტიროდა მეუღლესა და ქალიშვილს. ზვიადის არაერთგზის თხოვნის მერე შეწყვიტა გლოვა. მამას ზვიადი უმეტესად სასიყვარულო სახელით მიმართავდა. ზვიადმა მეც და შვილებსაც შეგვარქვა მოფერებითი სახელები. მამაშვილის ურთიერთობა ხშირად ძალზედ ბავშვური და ღიმილის მომგვრელი იყო.

ეს ყველაფერი ხომ ორი გენიის თანაარსებობა იყო.

- დიახ. და უნდა მოგესმინათ, მართლაცდა ამ ორი გენიის საუბრისთვის, დაგენახათ მათი ერთმანეთისადმი დამოკიდებულება მამა და შვილი, დედა და შვილი, ბაბუა და შვილიშვილი.

ზვიადი საკმაოდ ბავშვური იყო.

- ძალიან.

პრეზიდენტს სახელით მოვიხსენიებთ. მარტო მე არა, ქართველებიც ასე მოიხსენიებენ. თქვენც მანანას გეძახიან. და ეს განუზომელი სიყვარულის, უსაზღვრო პატივისცემის გამოხატულებაა.

- დიდი მადლობა. მართლაც ასე იყო და დღესაც ასეა. სხვათა შორის ცოტნეც და გიორგიც ყოველთვის სახელებით მოგვმართავდნენ. მამად ახლა თუ მოიხსენიებენ ხოლმე. მახსოვს, ზვიადმა მითხრა, რომ ბავშვებისთვის მხოლოდ დედათი და მამათი

მომართვის თაობაზე გვეთქვა. დაუძახა და უთხრა: დღეიდან მე თქვენთვის ზვიადი აღარა ვარ, მანანაც აღარ იქნება მანანა, ვიქნებით მამა და დედა. მოისმინეს და ... ორიოდე წუთის შემდეგ რაღაცის გამო გიორგიმ დაუძახა: ზვიად, ზვიადიკო! ვეღარაფერი უთხრა, ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. ალბათ, ასე იყო საჭირო.

ისევ ბატონ კონსტანტინეზე მინდა ვთქვა და ცხადია, მერაბთან უშუალო კავშრში. ისე ხდებოდა ხოლმე, რომ ზვიადის თბილისიდან გამგზავრების მერე, მამამთილი ჯიუტად აღარ ნდომულობდა ოპერაციის შემდგომი პროცედურის შესრულებას. ცხადია, საშველად უმალ მერაბს მოვიხმობდი და მის მხრებზე გადადიოდა ყველაფერი. ექიმს კი მოიყვანდა, მაგრამ მერე იყო მთავარი, დიდი ხვეწნა -მუდარა იყო საჭირო მდგომარეობის მოსაგვარებლად. თუ არა მერაბი, მე ვერაფერს გავხდებოდი.

საერთოდ, ზვიადის თბილისში არყოფნისას, ღამე მერაბი იყო ჩვენთან. გვიანობამდე თავს არ გვანებებდა, ეზოს დაათვალიერებდა, ძაღლს აუშვებდა და მერე ზვიადის ოთახში დიდხანს კითხულობდა, ძალზე ცოტა ეძინა. ესეც ცხადლივი დასტური გახლდათ უანგარო და უზადო, უღალატო მეგობრობისა, უძირო და ფაქიზი სიყვარულისა.

ბატონ კონსტანტინეს მეორე ოპერაციის გაკეთება სჭირდებოდა, მაგრამ ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ. იმ დროს ცნობილმა უროლოგმა კონსტანტინე არშბამ სუკის ბრძანებით უარი გვითხრა ოპერაციაზე. ის კი არა და, მოგვიანებით შინ მოსულმა ერთმა აგენტმა ზვიადს პირდაპირ განუცხადა, რომ მამამისს არასდროს ეღირსებოდა ოპერაციის გაკეთება და ისე მოკვდებოდა. ასეც მოხდა. მოსკოვშიც ვერ მიგვყავდა. ვინ გაგვიშვებდა? როდესაც ამხელა პიროვნებას ჩავიყვანდით, იქაური სუკი უმალ ფეხზე დადგებოდა. საგანგებოს არაფერს მოიმოქმედებდნენ, უბრალოდ ისეთ ნარკოზს მისცემდნენ, იტყოდნენ: გულმა უმტყუნა და ა. შ. თანაც ასაკოვანი იყო. თუმცა, მას რომ ის დაავადება არა ჰქონოდა, გაცილებით დიდხანს იცოცხლებდა, იმდენად ჯანმრთელი ორგანიზმი ჰქონდა.

ახლა მერაბის მიერ ჩვენი ბავშვებისადმი გამოვლენილ უდიდეს სიყვარულსა და მზრუნველობაზე მსურს გავიხსენო. ცოტნეზე გახლდით ფეხმძიმედ. ზვიადისგან განსხვავებით, მერაბი ჩინებულად თევზაობდა ბადით. მიდიოდნენ ხრამზე, იჭერდნენ თევზებს და კარგახანს ახალი თევზი გვქონდა. მერაბი მარწმუნებდა, რომ თევზი აუცილებელი იყო ჩემთვის. აი, ამგვარ მზრუნველობასაც კი იჩენდა ის საოცარი კაცი. ცოტნე აგვისტოში დაიბადა და უნდა გენახათ მათი სიხარული. მერაბი თურმე ყველა გამვლელს აჩერებდა და ახალშობილს ალოცვინებდა. შინ რომ დავბრუნდით, თქმა არ უნდა ყოველდღე მოდიოდა, დახედავდა ბავშვს და გახარებული აღნიშნავდა მის ყოველ უმნიშვნელო სახეცვლილებაზე, ზრდაზე. მერე კი გათენებამდე, ზვიადის ოთახში დაუსრულებლად საუბრობდნენ, მსჯელობდნენ, სამოქმედო გეგმებს სახავდნენ, რომლის არსი და მიზანი კარგად

არის ცნობილი. მეც გვიანობამდე ვუსმენდი და ბედნიერი ვიყავი ორი უდიდესი მამულიშვილის გვერდით ყოფნით.

გიორგის დაბადების დროს მერაბი გადასახლებაში იმყოფებოდა და სურათით გაიცნო. ჩვენ შედარებით ადრე დავბრუნდით გადასახლებიდან, ზვიადი რამდენჯერმე ჩავიდა

მის სანახავად. ჩვენ ჩრდილოეთ კავკასიაში, ნოღაის სტეპში ვიყავით გადასახლებული, მერაბი კი ციმბირში. ასე დავშორდით ერთმანეთს ფიზიკურად, სულიერად კი ჩვენი ურთიერთობა, სიახლოვე კიდევ უფრო გამტკიცდა და გაძლიერდა. დევნა-შევიწროების მიუხედავად, მაინც ვახერხებდით მიმოწერას, ხალხი გვეხმარებოდა. ისე რომ ბავშვებზე მერაბმა ყველაფერი იცოდა და დიდ იმედებს ამყარებდა მათზე. 1986 წლის შემოდგომაზე მერაბი საქართველოში გადმოიყვანეს, ქსნის კოლონიაში, სადაც ზვიადი მუდმივად აკითხავდა. ბავშვები თან არასდროს წაგვიყვანია, არ გვინდოდა მერაბი იმ გარემოცვაში ენახათ. კოლონიიდან 1987 წლის 30 აპრილს, გვიან ღამით გაათავისუფლეს და დილით, ექვს საათზე უკვე ჩვენთან იყო. მოსვლისთანავე ბავშვების ოთახს მიაშურა და მის შეძახილზე, ნამძინარევი ცოტნე და გიორგი, მანამდე უნახავ, მაგრამ ჩვენი მონაყოლით კარგად ნაცნობ წარმოსადეგ მამაკაცს, მერაბის ძახილით, კისერზე ჩამოეკიდნენ. ეს იყო სიხარულიც, ტკივილიც. ვისურვებდი, რომ ყველა მეგობარს ასე ყვარებოდეს მეგობრის შვილი. საქართველოში ადამიანებს მხოლოდ ამგვარი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ, მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტი მეგობრობა. საქართველოს ასეთი სიყვარული გადაარჩენს. შეუძლებელია მერაბთან ურთიერთობა ცალკეულ პერიოდებად დანაწილდეს, რადგან ჩვენ ყოველთვის ერთად ვიყავით. თუ რამე კეთდებოდა, ორივენი შეთანხმებულად, გამიზნულად ახორციელებდნენ. ჩვენ ხომ მაშინდელი ხელისუფლების საიდუმლო და სპეცსამსახურებისგან განცალკევებულ - გამიჯნულები ვიყავით, ყველა გაგვირბოდა. მაგრამ, ახლა ერთგვარად მსიამოვნებს ის, რომ ხალხი, რომელიც მაშინ არ გვეკარებოდა, მოგვიანებით ჩვენთან მოვიდა. მთელი საქართველო მოვიდა ჩვენთან.

ზვიადისა და მერაბის უმძიმესი ცხოვრებიდან და საქმიანობიდან გამორჩეულად თვითგამოცემებისა და არალეგალური ლიტერატურის გამრავლება-გავრცელება მინდა გამოვყო. საბჭოთა კავშირში მათ პირველებმა წამოიწყეს ამ მიმართულებით საქმიანობა. სოლჟენიცინიდან და სახაროვიდან დაიწყეს. მე მომხდარი ამბების ქრონიკით ვიყავი დაკავებული, რომლის მასალებს მოსკოვში გამოცემული ჟურნალის ნეგატივებით ვამუშავებდი. გამზადებულ მასალებს ზვიადი სტამბაში წაიღებდა და მერე უკვე გავრცელების ჯერი დგებოდა. საქართველოს გარდა, რუსეთში გაგვქონდა. მორიგეობით მიჰქონდათ ზვიადსა და მერაბს. ორივე ერთად არასდროს წასულან, რადგან დაპატიმრების შემთხვევაში, ერთი მაინც დარჩებოდა გარეთ. როგორც აღვნიშნე, ზვიადის გამგზავრების შემთხვევაში,

ჩვენთან მერაბი რჩებოდა. ის იყო ჩვენი პატრონი, ყველაფრის მომგვარებელი.

მახსოვს, ზვიადმა და მერაბმა სოლჟენიცინის "გულაგის არქიპელაგის" გამრავლება, საქართველოში და მთელს საბჭოთა კავშირში გავრცელება გადაწყვიტეს. მოსკოვში ზვიადმა სოლჟენიცინის თანამოსაქმე ა. გინზბურგი ნახა და მისგან მიცემული ორივე წიგნი თბილისში ჩამოიტანა. ხელიდან ხელში გადადიოდა წიგნები, კითხულობდნენ ერთად, აწყობდნენ გეგმებს. ერთ-ერთ სტამბაში მოძებნეს პიროვნება, რომელმაც წიგნების დაბეჭდვა ითავა. ცხადია, შემდეგ ამისთვის იგი მკაცრად დაისაჯა დააპატიმრეს, სასტიკად ექცეოდნენ. თამარის ოთახში დიდი მაგიდა გავშალეთ და მუშაობას შევუდექით. მათთან ერთად მე და ჩემი და, აგრეთვე სტამბის ორი თანამშრომელი ვსაქმიანობდით. როდესაც წიგნები უკვე მზად იყო, მოსკოვში წაღების აუცილებლობა შეიქნა.

ზვიადი და მერაბი ბუკინისტებისა და წიგნების მაღაზიების გარდა, სხვაგან არსად შედიოდნენ, ამიტომ მე დამავალეს ჩემოდნების ყიდვა. უნივერმაღში რამდენიმე უზარმაზარი

ჩემოდანი ვიყიდე. შეძენილს მოწონება ხვდა, მაგრამ საკეტები მთლად საიმედოდ არ მოეჩვენათ და "პირიმზეში" დამატებითი საკეტების გასაკეთებლად წავიღე. მოილაპარაკეს, რომ მოსკოვში მორიგეობით წავიდოდნენ. უსაფრთხოების თვალსაზრისით, თბილისის გარდა, ზოგჯერ მცხეთიდან და ხაშურიდან მიემგზავრებოდნენ. ჩემოდნები სხვებს შეჰქონდათ ვაგონებში, თვითონ კი ხელცარეილები იკავებდნენ თავიანთს ადგილებს. ცხადია, მეზობელი კუპეები სუკის აგენტებს ჰქონდათ დაკავებული. ერთხელაც, მერაბის გამგზავრების ჯერი დადგა. ჩემოდნები უკვე კუპეში იყო შეტანილი, დავემშვიდობეთ და შინ მშვიდად დავბრუნდით. თბილისში ჩამოსულმა, ძნელად დასაჯერებული ამბავი გვიამბო. კუპის თანამგზავრები ძალზე სასიამოვნო ადამიანები აღმოჩნდნენ. გაცნობა ღვინის სმით აღუნიშნავთ და გათამამებულ მერაბს მისთვის მტკივნეულ, ტრადიციულ თემაზე უსაუბრია, თავისებურად ცდილა თანამგზავრების გამოფხიზლებასა და თვალის ახელას. მერე ჩემოდანი გაუხსნია და აკრძალული წიგნები უჩუქებია. მათაც, კმაყოფილებსა და დაინტერესებულებს, ჩანთებში საგულდაგულოდ დაუმალავთ. მართალია, ბევრი ვიცინეთ, მაგრამ ზვიადმა მკაცრად გააფრთხილა, სხვა დროს მსგავსის გამეორებისაგან. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ რაოდენ უშუალოდ და ადვილად შეძლო უზადოდ მოსაუბრე, არნახული ზემოქმედების უნარის მქონე მერაბმა უცნობი ხალხის დაინტერესება და დაფიქრება. სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა. ზედმიწევნით გულღია და ხალასი მერაბი, მაშინ სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. ამის გამო შეიყვარა ერმა ასე თავდავიწყებით და განუზომელად მერაბ კოსტავა. მეორეს მხრივ კი, ორმოცდაათი წლის ასაკში მისი დაკარგვა, უბედურება აღმოჩნდა ერისათვის. ეს ხომ ჩვენი უდიდესი ტრაგედიაა.

აკრძალული ლიტერატურის წარმატებული გავრცელებით გათამამებულებმა, "ოქროს საწმისისა" და "საქართველოს მოამბის" დაარსება და გამოცემა გადაწყვიტეს. სწორედ მათს გამოჩენას მოჰყვა ის მძიმე განაჩენი, 1977 წლის დაპატიმრებით რომ დასრულდა. ხალხს კარგად ახსოვს მათი ლანძღვა-გინებითა

და ბრალდებებით ახმაურებული პრესა. საინფორმაციო საშუალებები დიდხანს ამუშავებდნენ მოსახლეობას და გულდაგულ არწმუნებდნენ ორი უღირსი პიროვნების მოკვეთის აუცილებლობაში. თუმცა, მათი საქმიანობის შესახებ არაფერს იუწყებოდნენ. ცნობილია, თუ რაოდენ ზომბირებული ჰყავდა მაშინდელ წითელ ხელისუფლებას მოსახლეობის გარკვეული ნაწილი და ამიტომაც ეს ყველაფერი მათ ისე აღიქვეს, როგორც შთააგონეს.

მერაბ კოსტავას უანგარო მეგობრობის, შეუდარებელი თავგანწირულობის, ერთგულებისა და სიყვარულის დასტურად 1977 წლის აპრილში, მწერალთა კავშირში გამართულ ზვიადის სასამართლოზე მინდა ვაუწყო მკითხველს. სახლიდან გამოსულები, დავით აღმაშენებლის ქუჩას ფეხით დავადექით. უნდა გენახათ სუკის რამდენი ავტომობილი და ფეხოსანი მოგვყვებოდა. მთელი გზა მერაბი გაუჩერებლად ეხვეწებოდა ზვიადს, უარი ეთქვა თვითგამოცემების რედაქტორობაზე, რადგან ამით

თავიდან აიცილებდა დაპატიმრების განაჩენის გამოტანას. ამ უმძიმეს მისსიას თავათ კისრულობდა. მერაბის ეს თხოვნა კიდევ ერთი ბრწყინვალე დასტური იყო მისი რაინდული, ვაჟკაცური ბუნებისა, ერთგულებისა და თავდადებისა, სიყვარულისა და მეგობრობისა. ზვიადმა მტკიცე უარი განუცხადა და ლაპარაკის შეწყვეტა სთხოვა. იქ მისულები, ზვიადის გარდა, დარბაზში არ შეგვიშვეს. დაიწყო სამარცხვინო, შემზარავი პროცესი. ყრუდ დაგმანული კარიდან საშინელი ყვირილი, უფრო სწორედ ცხოველური ხმები, ღრიალი გამოდიოდა. დუჟმორეული "კალმოსნები"ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზვიადის ლანძღვასა და შეჩვენებაში, ამაზრზენად ეცილებოდნენ შევარდნაძისათვის თავის მოწონებასა და ლაჩრულად მუხლებზე ხოხვაში. ასე დასრულდა "მწერალთა" არაადამიანური გალაშქრება. იყვნენ კი ისინი

მწერლები? ახსოვს კი რომელიმე მათგანი დღეს ქართველობას?

ამასთან დაკავშირებით, გალაკტიონისგან კონსტანტინე გამსახურდიასათვის ნათქვამი მინდა შევახსენო მკითხველს:

"კონსტანტინე, ამ საუკუნეში მე და შენ ვეყოფოდით საქართველოს ".

და ასეც არის. ცნობილია, რომ სუკი თუ სხვა სპეცსამსახურები გაუნელებლად ესწრაფოდნენ ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლთა გათიშვასა და დაპირისპირებას.

საბედნიეროდ, მათი ყოველი მცდელობა მარცხით მთავრდებოდა. უნივერსიტეტის სტუდენტთა თაოსნობით ზვიადის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრა მინდა გავიხსენო. მაშინ მერაბი სიტყვით გამოვიდა. ეს იყო მნიშვნელოვანი, საყურადღებო გამოსვლა, რადგან სწორედ დაპირისპირებისა და უკმაყოფილების ჩამოგდების მოსურვილეთა გასაგონად განაცხადა: "ზვიად, მე და შენს შორის თუ რამე მოხდა, შეიძლება ითქვას, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს".

ზვიადსა და მერაბს შორის უთანხმოებისა და გათიშვის მცდელობის უამრავი მაგალითიდან, გამორჩეულად ერთს აღვნიშნავ: ქსნის კოლონიიდან მერაბის დაბრუნების მერე ზვიადმა აზრის გამოთქმა მთხოვა იმის თაობაზე, თუ ვის მიუჩენდნენ მერაბს მეთვალყურედ, ვისით შეეცდებოდნენ მათს დაცილებას. მაშინვე ვუპასუხე, რომ მათი ერთად ყოფნა-საქმიანობის მწარე შედეგებით ნაგებ-ნაწვნევი წითელი ხელისუფლება, არ დაუშვებდა ორი უდრეკი მებრძოლის, თავდადებული წინამძღოლის შემდგომ ერთობას. თავისუფლად ყოფნას აღარაფრით დაანებებდნენ, პერიოდულად მოახდენდნენ მათს დაპატიმრებასა და განცალკევებას, საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურადაც კი გაგანადგურებენ-მეთქი. და ეს ყველაფერი, შემდგომმა პერიოდმა გააცხადა ზვიადი და მერაბი დღეს ცოცხლები აღარ არიან. თვალი გადავავლე მერაბის გარემოცვას და უმალ გამოვრიცხე რუსუდან ბერიძე, ლალი გიორგაძე, სხვები, რადგან ისინი უკვე მხილებულ-გაშიფრული აგენტები იყვნენ და მათ მერაბი აღარ მიენდობოდა, აღარ მოტყუვდებოდა, აღარ წამოეგებოდა სუკის მიერ მოწყობილ პროვოკაციებზე. ისეთ პიროვნებას შეარჩევდნენ, ეროვნულ

მოძრაობასთან რომ იქნებოდა დაკავშირებული.კინორეჟისორი რ. ჩხეიძე თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით კომუნისტურ იდეოლოგიასთან იყო დაკავშირებული,

ბოროტების იმპერიას ემსახურებოდა. და ცხადია, მისი ქალიშვილი თამარიც, სუკიდან წამოსული წითელი დისიდენტი გახლდათ. თუმცა, ხალხის თვალში ჯერ არ იყო მხილებული, იგი მთლიანად მერაბის ტრაგედიის მერე გაშიშვლდა. ისე რომ, სუკმა ერთობ საიმედო დასაყრდენად თ. ჩხეიძე ჩათვალა. მინდა მისი პატიმრობის შესახებაც აღვნიშნო. იგი ორთაჭალის ციხის შტატიანი თანამშრომელი იყო. ამის შესახებ ციხის უფროსმა დელიბაზაშვილმა გამოაქვეყნა წერილი გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" და მასთან ერთად სხვა თანამშრომლებიც გაგვაცნო: გ. ჭანტურია, მარიკა ბაღდავაძე, ნანა კაკაბაძე და სხვები. ყველა ისინი ხელფასს ღებულობდნენ. ასე რომ, თ. ჩხეიძეს ციხიდან "გათავისუფლების" შემდეგ სუკმა ერთადერთი დავალება მისცა დაახლოვებოდა მერაბ კოსტავას და დაეპირისპირებინა ზვიადთან. არნახული მცდელობის მიუხედავად, თ. ჩხეიძემ დავალება ვერ შეასრულა. ნათქვამის დასტურად მერაბის მიერ ზვიადისთვის ნათქვამს გაგაცნობთ.

ერთ საღამოს თ. ჩხეიძე სასმელებით ხელდამშვენებული ესტუმრა მერაბს და სანაძლეო შესთავაზა: თუ იგი დაათრობდა მერაბს, მაშინ ზვიადთან მეგობრობა უნდა შეეწყვიტა და თუ პირიქით მოხდებოდა, იგი მიატოვებდა მერაბს.

დამაფიქრებელია ის, რომ მისი ანატომიური აგებულების ქალი, რანაირად, რა გზით მოახერხებდა სასმელის კარგად ამტანი, ძნელად დასათრობი მამაკაცის დაჯაბვნას. ამიტომაც ვკითხე მერაბს: ნუთუ ასე კარგად სვამს სასმელს, შენ რომ გეჯიბრება მეთქი. გაეცინა. ცხადია, ეს ყველაფერი დავალების შესასრულებლად კეთდებოდა.

მერედა, შედგა შეჯიბრი მარათონი?

- რასაკვირველია არა. მერაბს მტკიცე უარი უთქვამს და ისე

გაუსტუმრებია. მოსმენილის თაობაზე ზვიადმა ისღა უთხრა, რომ თ. ჩხეიძეს

სხვა გზა აღარა ჰქონდა-ამგვარი იაფფასიანი ხრიკებით უნდა გასულიყო ფონს, ყველაფერი შეესრულებინა სუკისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მამხილებელი ფაქტების გამოქვეყნებით, საბოლოოდ დაასამარებდნენ მის "დისიდენტურ" კარიერას.

საბედისწერო გამოდგა საქართველოსთვის 1989 წლის აპრილი. მაშინ დაიწყო აფხაზეთის მოვლენები. ზვიადი და მერაბი დროულად ჩავიდნენ იქ, შეისწავლეს ვითარება და მალევე დაბრუნდნენ, რადგან უკვე სწრაფად ღვივდებოდა ყოველგვარი პროვოკაცია. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო 4

აპრილის აქცია, რომლის მიზანიც რუსეთის კაცთმოძულე მმართველებისა და საქართველოს ჟანდარმის მიერ შემუშავებული მზაკვრული ჩანაფიქრის აცილება გახლდათ. ამ დროს ისინი ცხადია ერთად იყვნენ, მცირე ხნით არ მოსცილებიან ერთმანეთს. ჰოდა, ერთადაც დააპატიმრეს, თუმცა იძულებულები გახდნენ, ერთადვე გაეთავისუფლებინათ.

და ქართველთა ისტორიის ერთი უსაშინლესი, არნახულად ტრაგიკული დღე 9 აპრილი. მე აღარ მოვყვები მას მოყოლილ საშინელებებს, რადგან ხალხმა ყველაფერი ზედმიწევნით იცის. მომხდარის შემდეგ ერთმანეთი ვეღარ ნახეს. ზვიადი მოწამლული

და გრძნობადაკარგული გამოიყვანეს, მერაბი კი ღვთის მადლით, გადარჩა მოწამვლას. მერე მე და გონსმოსული ზვიადი კონსერვატორიასთან შევხვდით და მერაბის ძებნას შევუდექით, ის კი ალბათ ჩვენ გვეძებდა. თუმცა, მარტო მერაბს როდი ვეძებდით. ვეძებდით ყველას, აქციის ყველა მონაწილეს, მათი ბედი გვაწუხებდა. შეძრწუნებულები ვცდილობდით სასწრაფო დახმარების მანქანების გაჩერებას, მაგრამ ამაოდ. ისინი გაფრთხილებულები იყვნენ, არავისთვის არაფერი შეეტყობინებინათ მსხვერპლისა და დაჭრილ-დაზარალებულების, მოწამლულების შესახებ. ხალხი ფილარმონიასთან იკრიბებაო გვითხრეს და იქითკენ გავეშურეთ. იქ მისულებს, მერაბის ხმა შემოგვესმა. ერთმანეთს გადავეხვიეთ, ვტიროდით, მომხდარს ვუსამძიმრებდით. ზვიადს და მერაბს საკუთარი თავის გადარჩენა არაფრად უღირდათ. ეს ხომ მათი ცხოვრების ერთი ყველაზე

უსაშინლესი და ტრაგიკული დღე იყო. მაგრამ, მალევე გამოერკვივნენ და ზვიადმა მიტინგის ჩატარება მოისურვა. აუცილებლად უნდა წავსულიყავით საავადმყოფოებში, ზუსტად აღგვენუსხა დაჭრილები, მოწამლულები და დახოცილები. ირგვლივ მყოფი ხალხი გვაფრთხილებდა, გვთხოვდნენ იქაურობას გავცლოდით, რადგან ორივეს დაპატიმრება ჰქონდათ თურმე განზრახული. ცხადია, არსად არ წავედით, იქ დავრჩით, რადგან ჩვენი გარიდება ხელისუფალთ აძლევდათ ხელს. მათ გაქცეული და მიმალული წინამძღოლების დაპატიმრება სურდათ. ამით ისინი ერთგვარად მიჩქმალავდნენ თავიანთს დანაშაულს, მათგან მოწყობილ სისხლიან ტრაგედიას ზვიადსა და მერაბს გადააბრალებდნენ. ამის შესახებ დაუფარავად წერს ა. ლებედი თავის წიგნში. ყურადსაღებია, რომ რუსი გენერალი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესსაც გვამცნობს ტარგედიის მომწყობად და აღმსრულებლად, მაშინ თბილსში მყოფ შევარდნაძეს ასახელებს. ხალხმა ყველაფერი იცის. ისიც იცის, რომ ზვიადისა

და მერაბის მკვლელიც ჯალათი შევარდნაძეა.

მასპინძელს სევდა და ნაღველი გადაეფინა სახეზე. მცირე ხნით დადუმებულს, გაუძნელდა საუბრის გაგრძელება, უმწვავესი ტკივილიანი მოგონებისაგან თავის დაღწევა.

ჩემთვის უმძიმესია და გაუგონრად მტკივნეული მერაბის დაღუპვის თაობაზე საუბარი. 1989 წლის 11 12 ოქტომბერს, კინოს სახლთან ჩატარებული მიტინგების შემდეგ, სპორტის სასახლესთან წვევამდელთა აქცია დაიწყო. მას მერაბი უძღვებოდა. 12 ოქტომბერს, მიტინგის დასრულების მერე, ამაზრზენი, ფარისევლური გათამაშების მხილველი გავხდი. ხალხი სპორტის სასახლისკენ გაემართა. ჩვენც იქ უნდა წავსულიყავით. შევნიშნე, რომ მერაბს ერის მოღალატე და გამყიდველი რეზო ჩხეიძე მიეახლა და ხელმკლავი გამოსდო. მერაბს დაურიდებლად დავუდექი გვერდში და მოგზავნილის ლაპარაკს მივაყურადე. მოკლედ განუმარტა, რომ სამტრედიაში მესხეთელი თურქების ბარგი იყო დაკავებული და მერაბს იქ წასვლა, ბარგის გამოხსნა მოსთხოვა. რამდენჯერმე გაუმეორა მოთხოვნა, წასვლის პირობა სურდა ჩამოერთვა, რადგან ალბათ, სწორედ იქ ჰქონდათ ჩაფიქრებული ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის ფიზიკური განადგურება. მერაბი დაფიქრდა, დარწმუნებული ვარ გული დაეწვა იმ ხალხის მდგომარეობის შემტყობს (თუმცა, ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით მათი საქართველოში ჩამოსახლებაზე) და წასვლაზე თანხმობა განუცხადა. ყველაფერი

ზვიადს ვუთხარი, მერაბიც მოუყვა. ბუნებრივია, ზვიადმა არ მოუწონა გადაწყვეტილება, რადგან მისი იქ წასვლით, ჩაშლის საფრთხე შეექმნებოდა წვევამდელთა აქციას. ესეც არ იყოს, მოწინააღმდეგეებისგან შემოთავაზებული გამგზავრება უდიდეს საფრთხესთან და რისკთან იქნებოდა დაკავშირებული, რადგან იქ, ზვიადთან დაპირისპირებული თამარ ჩხეიძის მანქანით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ისიც შეახსენა, რომ მანამდე იმ ქალს თერთმეტი (!) ჰქონდა დამტვრეული, რადგან არ იცოდა ავტომობილის მართვა. მოკლედ, კატეგორიულად მოსთხოვა სამტრედიაში წასვლისგან თავის შეკავება. გვიან ღამით, სპორტის სასახლიდან წამოსული მერაბი ჩვენთან მოვიდა. ზვიადმა ისევ გააფრთხილა და გამგზავრება აუკრძალა. მერაბი თ. ჩხეიძესთან მივიდა სახლში და წასვლაზე უარი უთხრა. ჩანაფიქრის ჩაშლით გაგიჟებულმა ქალმა, ქუჩაზე მოსახლეთა თანდასწრებით, უშვერი სიტყვებით ლანძღა იგი და ბილწსიტყვაობის კორიანტელი დააყენა, გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა შეუდარებელ ვაჟკაცს და გასაღებების ასხმა ესროლა. დამცირებული, დამწუხრებული მერაბი ისევ ჩვენთან დაბრუნდა და ყველაფერი გვიამბო. მერე ზვიადმა თავათ წაიყვანა სახლში. გვეგონა ყველაფერი რაღაცნაირად დასრულდა. მაგრამ, ამაო ყოფილა ჩვენი დამშვიდება. შუაღამეს თ. ჩხეიძე თავს დასდგომია მერაბს და ბიბლიაზე დაფიცებული, სამტრედიაში წასვლაზე დაუთანხმებია. მერაბისთვის კი ბიბლია ყველაფერი იყო.

გათენდა 13 ოქტომბრის დილა, ქარიანი, წვიმიანი, ცივი. დაახლოებით დღის პირველ საათზე ტელეფონმა დარეკა და ნაცნობმა სოფელ ბორითთან მომხდარი ავარიის შესახებ მამცნო, რომელიც წარმოუდგენლად დაუჯერებელი ამბით მერაბის სიკვდილის მაუწყებელი სიტყვებით დასრულა. გაოგნებულმა, აზროვნების უნარი დავკარგე, ცუდად შევიქენი. სახლში მარტო ვიყავი, ვეღარაფერს ვახერხებდი. მალე ზვიადიც მოვიდა, არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ. არ ვიცოდი, როგორ გამეგებინებინა საზარელი ტრაგედია. უგუნებობა შემატყო და მიზეზს ჩამეკითხა. ძლიერი თავის ტკივილი მოვიმიზეზე და ბავშვების სკოლიდან მოყვანა ვთხოვე. თანაც ვშიშობდი, რომ ვინმე შემხვედრ ნაცნობს არ ეთქვა მისთვის ყველაფერი. მალევე მოიყვანა ბავშვები და მითხრა, რომ ეზოში დახვედრილ უცნობ მამაკაცს მომხდარი ავარიისა და მერაბის გორის საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ შეეტყობინებინა. ამიტომ, მაშინვე წასვლის თადარიგს შეუდგა. ზეწრების, ბამბის, შესახვევებისა და წამლების მომზადება მთხოვა. ვუთხარი, რომ ჯერ ნაცნობებთან დაგვერეკა, ყველაფერი დაგვეზუსტებინა და თუ ნათქვამი მართალი გამოდგებოდა, მერე წასულიყო. გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ყველაფერი შევუსრულე და როდესაც გამზადებულმა წასვლა დააპირა, მაშინღა მოვიკრიბე ძალა და კარებში შეჩერებულს, მერაბის დაღუპვა ვაუწყე. რამდენიმე წამს გარინდებული მიყურებდა, მერე საზარელი ხმით დაიწყო ტირილი, უფრო სწორედ ღრიალი. მე მოსმენილი მქონდა მისი ტირილი მამის გარდაცვალებისას, მაგრამ ეს იყო გასაგონად მძიმე და გაუსაძლისი. ხელი მომხვია და გაუთავებლად ჩამეკითხებოდა: იქნებ კარგად ვერ გაიგე, იქნებ მართალი არ არისო, მაინც წავალო. ბავშვები დავიფიცე, გორში გამგზავრება მინდოდა გადაეფიქრებინა, ვინაიდან ადვილი შესაძლებელი იყო, ახლა მისთვის მოეწყოთ მერაბის თავს გადამხდარი. ამ დროს ეზოში მთავარი დამნაშავე, რობინზონ თუშურაშვილი შემოვიდა. ზვიადმა არაფერი ათქმევინა, გაცეცხლებულმა, მომხდარის დადსტურება მოსთხოვა. მანაც მოკლედ უპასუხა, რომ მერაბი გორის საავადმყოფოში იყო და დამშვიდება დაუწყო. ეს იყო

ამაზრზენი, ყოვლად სამარცხვინო სანახაობა. მერე გავაღეთ ეზოს ჭიშკარი, ბოლო არ უჩანდა მომსვლელებს. ზვიადი მთელი დღე, გვიანობამდე ეზოში და გარეთ, ხალხთან იყო და დაუსრულებლად ხმამაღლა ლაპარაკობდა, ქადაგებდა. ეზოში მდგარ მუხებთან მიდიოდა და შუბლს ახლიდა. მისგან ეს ყველაფერი ძალზე მოულოდნელი და უჩვეულო იყო, რადგან ყოველთვის ერთობ მოკრძალებული, ნაკლებად მოლაპარაკე გახლდათ. ცხადია, მიტინგების გამოკლებით, რომლებზეც იგი სრულიად აბობოქრებული გამოდიოდა ხოლმე.

თქმა არ უნდა, მომხდარი ტრაგედიის გამოძიებას მსვლელობა არ მიეცა. ყველაფერი თავიანთთვის ხელსაყრელად წარმართეს და ჩაათავეს. თ. ჩხეიძეს კი ქვრივის მისსია დააკისრეს და იგიც რამდენიმე თვე ძაძებში გახვეული გახლდათ.

ბორითთან განხორციელებულ ავტოკატასტროფასთან დაკავშირებით გამორჩეულად მინდა მივანიშნო იმაზე, რომ მანქანა, რომელშიც მერაბი იჯდა, იმდენად იყო დაზიანებული, ისე იყო დაჭეჭყილ დამსხვრეული, რომ ვერცერთი მძღოლი ვერ შეძლებდა იქიდან ცოცხლად გამოსვლას (კრებულში "შავლეგო" დაბეჭდილია ამისი აღმნუსხველი რამდენიმე ფოტოსურათი). მაშინ როცა, საჭესთან "მჯდომ" თ. ჩხეიძეს ერთი პაწაწინა ნაკაწრიც არსად ჰქონდა. თუმცა, რატომღაც ისიც საავადმყოფოში წაიყვანეს. გასაგებია, ეს რისთვისაც გაკეთდა, სასურველი დასკვნის მიღება იყო საჭირო, მაგრამ საბედნიეროდ ამისი აღსრულება ვერ მოხერხდა. არსებობს სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმადაც ავარიის შემდეგ, იგი სრულიად უვნებლად გადარჩენილი გახლდათ. სხვანაირად არც შეიძლებოდა, რადგან თ. ჩხეიძე ტრაგედიის ადგილზე სრულიად მოულოდნელად, მოგვიანებით გამოჩენილა. ყოველივე ამის გამო საფიქრებელია და მჯერა, რომ იგი საერთოდ არ იჯდა იმ ავტომანქანაში. უმძიმესი დანაშაულის ჩამდენი თ. ჩხეიძე დღემდე დაუსჯელი დადის. თუმცა, ეს არ არის გასაკვირვი. მას ხომ გავლენიანი და მისებრ დამნაშავე მფარველები იცავენ. სუკის გამოცდილი აგენტი მხარში ამოუდგა საქართველოში ჩამოსულ შევარდნაძეს და

საზარელ დანაშაულებათა ჩადენისთვის სანუკვარი ჯილდო - "პარლამენტის დეპუტატობა" დაიმსახურა. სწორედ ამის გამო "ქართველი ქალი" თ. ჩხეიძე საქართველოს ისტორიაში მერაბ კოსტავას მკვლელისა და სისხლიანი გადატრიალების, კანონიერი ხელისუფლების დამხობის აქტიური მონაწილის სახელით ჩაიწერა. ეს ყველაფერი მალე გაცხადდება და ყველა თვალნათლივ დაინახავს ჩადენილ გაკეთებულს.

ზვიადი მარტო დარჩა. საოცარია, მაგრამ მერაბმა ეს ერთგვარად იწინასწარმეტყველა კიდევაც მისდამი მიძღვნილ ლექსში "ძმას ქრისტესმიერს", როდესაც მიმართავს : "ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი, ვაჰ, თუ ძალები შემომელია, თუმცა მარადში ვარ თანამდგომი, ავთანდილობა ერთობ ძნელია".

ქართველმა ერმა მერაბ კოსტავა ეროვნულ გმირად აღიარა და სათაყვანო მამულიშვილთა გალერეაში დაუმკვიდრა ადგილი. ამიტომაც იყო აუცილებელი მისთვის ღირსეული განსასვენებლის მიჩენა, რის გამოც დიდი ბრძოლის გადახდა მოუხდა ზვიადს. ცეკას მაშინდელი მდივანი გ. გუმბარიძე ამის უფლებას არ იძლეოდა. თუმცა, მას არავინ აკითხებდა. იქ, მოსკოვში არ უნდოდათ მერაბისთვის ამ პატივის

მიგება, რადგან შოვინისტსა და კაცთმოძულე ხელისუფლებს, მეოცე საუკუნის მიწურულს, არ სურდათ, საბჭოეთის მცირერიცხოვან ერებსაც ჰყოლოდათ ეროვნული გმირები. ამიტომაც იყვნენ უარზე მერაბის მთაწმინდაზე დაკრძალვის გამო. არადა, ზვიადს რაღაც განსაკუთრებულის, გამორჩეულის გაკეთება სურდა მერაბისთვის. ისიც კი გადაწყვიტა, სადმე განცალკევებით დაეკრძალათ, მერე მისი სახელობის ეკლესიას ააგებდნენ და ამით მარადიულ უკვდავებას დაუმკვიდრებდნენ მამულისა და ერისთვის წამებულ რაინდს. საბოლოოდ, მაინც მთაწმინდაზე, ილიასთან და იაკობთან ახლოს დაკრძალვა მიიჩნია საჭიროდ

აღსანიშნავია, რომ გუმბარიძესთან ერთად თავი წამოყვეს ვაი-ინტელიგენტებმა, სისხლისმსელთა შვილებმა, დღევანდელმა პუტჩისტებმა და სამარცხვინოდ გაილაშქრეს მერაბის წმინდა მთაზე დაკრძალვის გამო. ასე გაგვიმწარეს ტრაგიკული დღეები. ეს იყო კაცთმოძულეობის, ზიზღის, ფაშიზმის გამოხატვის თვალნათელი დღეები. ნაცვლად ჩვენი,

ჭირისუფლების მერაბთან ყოფნის, განშორების საბოლოო საათების რამენაირად გახანგრძლივებისა, ქუჩაში დავდიოდით. მოეწყო უზარმაზარი მიტინგი მერაბის მთაწმინდაზე დაკრძალვის მოთხოვნით. ეს იყო კიდევ ერთი აშკარა გამოვლენა იმისა, თუ რაოდენ საწინააღმდეგოდ იყო განწყობილი კომუნისტური ნომენკლატურა, წითელი ინტელიგენცია ეროვნული მოძრაობის მიმართ, რომლის საბოლოო შედეგი ჩვენი დღევანდელი ყოფა გახლავთ. ხომ ცხადი გახდა მათგან ჯერ კიდევ მაშინ, 1989 წელს ჩაფიქრებულის სივალალე მერაბ კოსტავასთვის საფლავის გაუმეტებლობით, საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას აღუდგებოდნენ წინ. ასეც მოიქცნენ. საქართველო მარადჟამს რუსეთის იმპერიის მიერ უნდა ყოფილიყო უღელდადგმული და დამონებული. დიდად სამწუხაროა, რომ მაშინ ქართველმა ხალხმა ეს ყველაფერი სათანადოდ არ გაითვალისწინა.

საბოლოოდ, როგორც იქნა, სასურველი ნებართვა მივიღეთ და ხალხიც რატომღაც ამით დაკმაყოფილდა. ვიტყვი, რომ საფლავს ერთს კი არა, ათს მისცემდენენ, ოღონდ დროზე ადრე გაესტუმრებინათ ამ ქვეყნიდან ზვიადიც და მერაბიც, რადგან მაშინ კიდევ უფრო მეტი ხნით შეინარჩუნებდნენ ხელისუფლებას.

მკითხველი დამეთანხმება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას დაკრძალვის დღის მერე, ამდენმა ხალხმა მხოლოდ მერაბის დაკრძალვაზე მოიყარა თავი. მთაწმინდაზე წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში ზვიადმა ასე მიმართა მერაბს: "შენ აღარ გჭირდება რეფერენდუმი. ქართველმა ხალხმა

ეროვნულ გმირად გაღიარა. დღეს სრულიად საქართველომ ერისთვის ზვარაკად შეწირულ პიროვნებად გცნო".

მერაბმა ცხოვრება ნაადრევად დაასრულა, მაგრამ მასზე ჯერ კიდევ

ბევრია სათქმელი, ხალხისთვის გასაცნობ - მისაწოდებელი. საკმაოდ დაიწერა ცეკას შეკვეთით, რ. ჩხეიძის დაკვეთითა და მონაწილეობით გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ყველა პიროვნებაა წარმოჩენილი, ზვიად გამსახურდიას გარდა. გამორჩეულნი გახლავან თ. ჩხეიძე, გ.

ჭანტურია, ი. წერეთელი და სხვა მოღალატე გამყიდველები, მერე ხუნტას რომ მისცეს მხარი. საფიქრებელია, ალბათ, დარწმუნებულები იყვნენ, უსუსურად, სამარცხვინოდ შეკოწიწებულ შეთითხნილის მატიანეში დამკვიდრდებოდნენ. მწარედ კი სცდებიან, მატიანე და ისტორია ამაზრზენ სიყალბეს სანაგვეზე მოისვრის.

ღრმად ვარ დარწმუნებული, უეჭველად დადგება დრო და

ჭეშმარიტი, ძირისძირობამდე განწმენდილ განახლებული ქართული ეკლესია მერაბ კოსტავას წმინდანად შერაცხავს.

ზვიადისა და მერაბის სიმაღლე მიუწვდომელი მწვერვალია, რომლის დაპყრობას ვერავინ შებედავს. თუმცაღა, ღმერთმა ინებოს და საქართველოს კვლავაც მოუვლინოს მათი მსგავსი მამულიშვილები. იბერთ ქვეყანას, უფრო მეტიც კავკასიას ერთიანობა და გადარჩენა სჭირდება. ჭეშმარიტი ეროვნული წინამძღოლის გარეშე კი ზედმეტია ამაზე ფიქრი.

კიდევ ბევრის გახსენება შემეძლო მერაბზე. ზვიადის განცდებზე მეგობრისა და ძმის პატიმრობის პერიოდში, მერაბის ხანგრძლივ შიმშილობებზე, თავგანწირულ ნაბიჯებზე, მისი ბიოგრაფია ასე უხვად რომ მოიცავს. მომავალში შევეცდები ყველაფერი გმირისთვის საკადრისი, ღირსეული პატივით სრულად ვაუწყო ქართველ ერს.

საქართველოს მარადიული პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას მეუღლისა და უახლოესი თანამებრძოლის, ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ნაამბობის მერე, შეუძლებელია ზედმიწევნით მისადაგებულად არ მივიჩნიოთ საქართველოს ეროვნული გმირის ტანჯული და ჯვარცმული, სიხარულითა და კარგით მწირად განზავებული ცხოვრებისთვის თითქოსდა საგანგებოდ თქმული: "კარგი ცხოვრების დღეები დათვლილია, კარგი სახელი

კი საუკუნოდ რჩება".

ღმერთს არასდროს გაუწირავს ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყანა, რადგან ამ მიწის მკვიდრნი უყოყმანოდ ანაცვალებდნენ სიცოცხლეს ენას, მამულსა და სარწმუნოებას.

კიდევ იმიტომ გადარჩა იბერია, რომ ყოველთვის ჰყავდა წინამძღოლები, ერისკაცები.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უზენაესმა ეს მისსია ქვეყნისა და ერისთვის თავდადებულ მამულიშვილებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დააკისრა. წამებულმა გმირებმა თავიანთი ცხოვრებით, უშეღავათო ბრძოლით ბრწყინვალედ აღასრულეს ნება უფლისა.

ვიწამოთ სამარადისოდ, შეუდარებელი წინამძღოლები. გულისყური მივაპყროთ მათს რჩევებსა და დარიგებებს, ვენდოთ მათს აზრსა და ნაფიქრალს, რადგან მათ გააჩნდათ უნარი საერო საქმეთა შორის უპირველესის გაცხადებისა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა.

მამულიშვილნო, აღვასრულოთ ნება დანაბარები წინამძღოლთა:

იყოს ზვიადისა და მერაბის საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელი!

გაზეთი "საქართველოს სამრეკლო"

1998 წელი, ოქტომბერი.

ჩაშლილი ოპერაცია "დედოფალი"

ყოველი ქრისტიანული დღესასწაული ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის უწმინდეს, სასურველ დღედ არის აღიარებული და მაშინ ესწრაფვის მომეტებულად სიკეთის ქმნას, სიყვარულის გამჟღავნებას, მოყვასის თანადგომას, მიტევებას... ერთი სიტყვით, ყველა ღირსშესანიშნავი ქრისტიანული თარიღი, ქართველი კაცის სულის ზეიმია. ასე იყო 1783 წლამდე. მერე კი "ერთმორწმუნე და მფარველმა" სლავებმა ჩვეული კაცთმოძულეობითა და არაადამიანურობით დაიწყეს ამ ადამიანური წეს-ჩვეულებების ამოძირკვა და გაქრობა. განსაკუთრებით ტრაგიკული გამოდგა 1921 წლის თებერვალი, სისხლის მსმელმა წითლებმა დასაბამი დაუდეს ქართველთა შვიდათეულწლიან უმძიმეს, ტრაგიკულ ყოფას. კომუნისტებმა ძირფესვიანად ამოშანთეს ყველაფერი, რაცკი ქრისტიანობასთან იყო დაკავშირებული, ყველა რელიგიური თარიღი მორწმუნეთა დარბევა დაპატიმრებით მთავრდებოდა.

მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ხანმოკლე პერიოდში აღდგა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანული დღესასწაულებისა და თარიღების აღნიშვნის ტრადიცია. ყველა ის დღე კვლავაც

ქართველ მართლმადიდებელთა სულის ამაღლებულ ზეიმად გადაიქცა.

ქართველთა ნებით არჩეული ხელისუფლების დამხობის, პრეზიდენტის გაძევებისა და კომუნისტთა განმეორებითი დიქტატურის დამყარების შემდეგ, ძალმომრეობით ხელისუფლებახელშიმოგდებულებიც "გაქრისტიანდნენ და განინათლნენ", ეკლესია ტაძრებში ფეხშედგმულებმა სანთელ კელაპტრებიც ააბრიალეს. მაგრამ, მტარვალისა და ჯალათის სული უწინდელი შეინარჩუნეს. "გაქრისტიანებულებმა" უმოწყალოდ ხოცეს ქართველები, ჭეშმარიტ ქრისტიანთა სისხლის ტბორებით გააჯერეს იბერიის მიწა. ქრისტეს ჯვრის "მტვირთველებმა" ვერ დაიოკეს შურისგების წადილი, ბოღმა და ღვარძლი და გამორჩეულად წმინდა დღეებში დაუნანებლად სჩადიოდნენ ავკაცობას. ამიტომაც არის ბევრი რელიგიური ღირსსახსოვარი დღე მძიმედ, მტკივნეულად გასახსენებელი. მარტო 1992 წლის შობის ღამე-ქართველთა პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას

საქართველოდან გადახვეწის დღე გახლავთ ნათქვამის დასტური.

აუტანელი ტკივილის მომგვრელი, მწარედ გასახსენებელი დღე გახდა კანონიერი ხელისუფლების აღდგენისთვის მებრძოლი ქართველებისთვის წლევანდელი ბარბარობის დღე 17 დეკემბერი. მთავრობის სახლის წინ, საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის კონსტიტუციის აღდგენა ამოქმედების მხარდასაჭერად შეკრებილებს, შევარდნაძის მილიცია ტრადიციული ცემა ტყეპით, ლანძღვა გინებით შეეგება. დააპატიმრეს მომიტინგეთა უმრავლესობა.

"დემოკრატიის მშენებელთა წესრიგის დამცველებმა", ყოველგვარი წეს-კანონის დაუცველად დააკავეს და გაიტაცეს ეროვნული მოძრაობის წინამძღოლი, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, უზენაესი საბჭოს დეპუტატები. დაკავებული აღმოჩნდა ქალბატონ მანანას დაც, ქალბატონი ლედა არჩვაძე.

ქალბატონი ლედა არჩვაძე : მიტინგზე წასვლას არ ვაპირებდი, ბარბარობაზე ქაშვეთის ეკლესიაში მინდოდა მისვლა. პირველი საათი დაიწყო. საოჯახო საქმეები მოვითავე, მალევე გავემზადე, ჩავსხედით მანქანაში და ის იყო ნუცუბიძის ქუჩაზე გავედით, რომ იქვე მდგომმა მილიციელმა ასათიანის ქუჩის კუთხეში შეკრებილ მილიციელთა მოზრდილ ჯგუფს ჩვენზე ანიშნა, მანქანებიც საკმაოდ ჰყავდათ. მიახლოვებულებს, გზა ავტომობილებით გადაგვიკეტეს და მჭიდროდ გარშემორტყმულ გარემოცვაში აღმოვჩნდით. ერთ-ერთმა ფორმიანმა კარი გააღო და გადმოსვლა მთხოვა. გადავედი, არავითარი უკმაყოფილება არ გამომითქვამს, არც წინააღმდეგობა გამიწევია, ალბათ ამის გამო იყო, რომ ერთგვარად შედრკნენ და დაიბნენ. მერე წინასწარ გამზადებულ მანქანაში ჩამსვეს. კვლავ უთქმელად დავყევი მათს ნებას, ორივე მხრიდან მილიციელები დამისხდნენ და კანდელაკის ქუჩის მიმართულებით დავიძარით.

დიდი სისწრაფით მიქროდა ჩვენი მანქანა, ყრუ-მუნჯთა სკოლასთან, საპირისპიროდ მომავალ ავტომობილს ლამის შევეჯახეთ. საჭესთან მჯდომმა უშვერად შეიგინა, არც სხვებმა დააკლეს და არგასაგონი ბილწსიტყვაობის, გინების კორიანტელი დააყენეს. რაციით განუწყვეტლივ გადასცემდნენ ორმოცდამეთორმეტე ნომერს: დედოფალი ავიყვანეთ და მოგვყავსო. მერე ერთმა მოკრძალებით მომმართა: ძალიან დიდი ბოდიში ქალბატონო მანანა, მაგრამ თქვენი აყვანა გვაქვს ნაბრძანები, ჩვენ არაფერ შუაში ვართ,

უბრალოდ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებთო.

მაშასადამე, თქვენ საქართველოს "ექს-დედოფალი", ქალბატონი მანანა ეგონეთ?

- ასე გამოვიდა. ხმა არ ამოვიღე. გადავწყვიტე ბოლომდე გამეგო, რას მიპირებდნენ, რისი გაკეთება სურდათ წმინდა ბარბარეს სახელობის დღეს, მთავრობის სახლთან მოწყობილი შეკრების აღკვეთისა და დარბევის მოსურვილე "ხელისუფლების" ამ სამარცხვინო, თავსლაფდასასხმელი დავალების დოყლაპია და უვიცი შემსრულებლების მეშვეობით. რაციით გაუჩერებლად

გადასცემდნენ "დედოფლის" დატყვევების ოპერაციის წარმატებით დასრულებაზე.

მივუახლოვდით საბურთალოს რაიონის მილიციის შენობას, თანამშრომლები გარეთ გამოფენილიყვნენ, მანქანების ტევა არ იყო. ყველას სურდა ტყვე "ექს-დედოფლის" ხილვა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩვენმა მანქანამ ვერაფრით შეძლო კიბეებამდე მიღწევა,

ამიტომაც მძღოლმა უკან მოუხვია და გამსახურდიას გამზირიდან ბულაჩაურის ქუჩისკენ გაემართა. იქიდან ბაზრისკენ გავეშურეთ, მერე გაგარინის მოედანზე გამოვედით და მილიციის შენობისკენ გავემართეთ. თუმცა, მაინც შეუძლებელი შეიქნა ახლოს მისვლა, ისეთი ჩოჩქოლი და არეულობა იყო, იდგა ერთი გნიასი, ყვიროდნენ და იგინებოდნენ. გახელებულმა მძღოლმა ნერვები ვეღარ შეიკავა და ხელმეორედ შემოგვარბენინა იგივე ქუჩები. წარმოიდგინეთ, მესამეჯერაც იგივე გაიმეორა. ვერ გავიგე რა ხდებოდა. ფიქრით სახლში დარჩენილ მანანას გადავწვდი. ცოტათი კი შემეშინდა, არაფერი მოუწყონ მეთქი. მაგრამ, მალევე დავმშვიდდი, რადგან "მანანა" ხომ მე ვიყავი, სასურველი "ტყვე" მტაცებლების ჭანგებში ვიყავი მოქცეული. რაღა ბევრი გავაგრძელო, ვერაფრით მოხერხდა მილიციის შენობაში ჩემი შეყვანა. არ ვიცი რა მოხდა, რაციით გადმოსცეს თუ ქუჩიდან უბრძანეს, მანქანამ გეზი იცვალა და დიდი სიჩქარით დიღმის მიმართულებით წავიდა. ვიფიქრე, ს. ალავიძის რეზიდენციაში მიმიყვანდნენ. მაგრამ, ვარაუდი არ გამიმართლდა, ავადსახსენებელი სამმართველოს შენობას ჩავუქროლეთ და გზა გავაგრძელეთ. მშვიდად ვიჯექი, წმინდა ბარბარეს ტროპარს ვკითხულობდი.

ქალბატონო ლედა, ასეა თუ ისე, გარკვეულ ხანს მოგიწიათ უჩვეულო გარემოცვაში ყოფნა. ნუთუ ერთხელ მაინც არ შემოგხედეს დაკვირვებით, დარწმუნებულიყვნენ, მართლა

"დედოფალი" ჰყავდათ ხელთმოგდებული თუ ვინმე სხვა?

- როგორ არა, მიყურებდნენ, მაკვირდებოდნენ. მაგრამ, იმდენად

აფორიაქებულ აღელვებულები და ალბათ კმაყოფილები , გახარებულები იყვნენ დავალების "წარმატებით" შესრულებით, რომ ვერაფრით წარმოედგინათ ჩადენილი შეცდომის სამარცხვინო შედეგი, თუ რაოდენ შემცდრები და მოტყუებულები იყვნენ. საცოდავები, გულში ალბათ ოპერაციას თანმოყოლილი სასურველი შედეგის: თუნდაც უმნიშვნელო სამსახურებრივი წინსვლა დაწინაურების, რამდენიმე თვის გაუცემლი ხელფასისა და ზედ დამატებული პრემიის, რაიმე ჯილდო სიგელისა თუ სხვარამ საამო საჩუქრის მიღების ილუზიებს ეთამაშებოდნენ.

დავით აღმაშენბლის ხეივნის შუა ნაწილიდან მანქანამ მარცხნივ გადაუხვია და დიდი დიღმისკენ მიმავალ გზას დაადგა. შემაღლებულ ადგილზე წამომართულ შენობასთან შევჩერდით, რომლის პირველ სართულზეც საბურთალოს რაიონის მილიციის პირველი ქვეგანყოფილება იყო მოთავსებული. იქაური თანამშრომლებიც გარეთ გამოსულები დაგვიხვდნენ, მათაც დატყვევებული "ექს-დედოფლის" ნახვის სურვილი მორეოდათ. მანქანიდან გადმოსულს გზა დამითმეს და დერეფანში შემიძღვნენ. ერთ ერთი ოთახის წარწერას შევხედე, იგი უფროსის მოადგილის ბედოიძის კაბინეტი აღმოჩნდა. ტახტზე ჩამოვჯექი და თავი ჩავღუნე. ოთახი მილიციელებით იყო სავსე და ყველა მე, "მანანას" მომჩერებოდა, მათ ხომ ასე იცოდნენ. მოულოდნელად, რომელიღაც იქ მყოფი გვერდით ჩამომიჯდა. დაკვირვებით შემათვალიერა და განაცხადა: ეს ქალბატონი მანანა არჩვაძე არ გახლავთო. სიჩუმე ჩამოვარდა. ალბათ, ყველა გაოგნებული იყო, ვერაფრით წარმოედგინათ ესოდენ დაგეგმილ - მომზადებული ოპერაციის ჩავარდნა, ამდენი

მცდელობისა და თავგამოდების შემდეგ საქართველოს "ექს-დედოფლის" ნაცვლად, ხელთ სრულიად უცნობი პიროვნება შერჩათ.

-ფეხზე წამოდგომა მთხოვეს. მშვიდად ავდექი. დიდი დაკვირვებით, გაფაციცებით მათვალიერებდნენ და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მოტყუებულები იყვნენ.

გამოდის, რომ დიდ დიღომში დამხვდურმა იმ მეტ ნაკლებად მოაზროვნე პიროვნებამ იხსნა შერცხვენისა და მარცხისაგან შევარდნაძის მილიცია. ცხადია, "მანანას" დაპატიმრების ფაქტს უმალ გადასცემდნენ ხელმძღვანელობას და ალბათ, ლონდრე ხელქვეითებისგან გაკეთებულით განრისხებულებმა მას მერე დაიწყეს რუსთაველის გამზირზე ნამდვილი "ექს-დედოფლის" ძებნა და გაუმართლდაც კიდეც, ქალბატონი მანანა ოპერის თეატრთან დააკავეს. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დადასტურდა, თუ რა კატეგორიის, რაოდენ შეზღუდული გონებრივი თვალსაწიერის მქონე კადრებს ეყრდნობა შევარდნაძე. "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის " უერთგულესმა მომხრეებმა და დამცველებმა დღისით, კარგახნის განმავლობაში, ლამის ყოველდღე ტელეეკრანზე თვალის შემვლებმა და ქუჩებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გამოფენილი თითქმის ყველა გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნებული ქალბატონ მანანას ფოტოს დამნახველებმა, თქვენ მიგიჩნიეს სასურველ ნადავლად. თუმცა, ხომ გაგიგიათ: რაც ერი, ის ბერიო...

- სწორი ბრძანდებით. მომხდარით მართლაც ცხადად გამოჩნდა, რომ შევარდნაძეს მხოლოდ დამპყრობლის კაციჭამია ჯარითა და უსულგულო, რობოტებად გადაქცეული, ძალოვან სამსახურებში თავმოყრილი არსებების მეშვეობით ძალუძს ძალაუფლების დროებით შენარჩუნება. სხვა მხრივ იგი განწირულია.

ახლა ჩაფუშული ოპერაციის თაობაზე განვაგრძობ. ბუნებრივია, "ექს-დედოფლის" ნაცვლად უცხო ქალის ხელთშერჩენილები, ჩემი პიროვნების დადგენის აუცილებლობის წინაშე დადგნენ. მათ შეკითხვებზე კითხვითვე ვუპასუხე და მოვითხოვე პასუხი გაეცათ, თუ რატომ ამიყვანეს მათთვის სრულიად უცნობი პიროვნება. ეს ხომ თქვენგან ჩადენილი უმძიმესი დანაშაულია მეთქი. რა ეპასუხათ გაწბილებულებსა და დამარცხებულებს? მხოლოდ ისღა მოიმოქმედეს, რომ განყოფილების უფროსი გოშუა თავის კაბინეტში გაიქცა და ალბათ ხელმძღვანელობას მომხდარის შესახებ აუწყა.

ბუნებრივია, იქიდან გვარიანად შეახურებდნენ და "ექს-დედოფლის" დაკავებაზეც ეტყოდნენ, რომ მათ მისი და ანდა ერთ ერთი "სეფექალი" აიყვანეს.

სიმართლე გითხრათ, ძალიან მეცოდებოდნენ სისხლის ღვრით მოსულებისგან შეცდენილი საბრალო ფორმიანი ადამიანები და გადავწყვიტე ბოლო მომეღო მათი საცოდავი ფუსფუსის, სასაცილო მცდელობისთვის და გვარი დავუსახელე. მაგრამ, ეს არ იყო საკმარისი ჩემი სრული ვინაობის დასადგენად. ამასობაში ინფორმაციამიღებული განყოფილების უფროსიც

შემოვიდა და ყველაფერი გაირკვა. რომ მათი ტყვე საქართველოს "ექს-

დედოფლის " და გახლდით.

სწორედ ის ქალი, რომელსაც თურმე მათი ექს-შეფის, ავანტურისტი და გაიძვერა რ. გვენცაძის მრავალგზის გაკეთებული ოფიციალური განცხადებების, საგაზეთო, რადიო თუ ტელეინტერვიუების წყალობით, 1991 წლის 22 დეკემბერს მეამბოხეთაგან წამოწყებული ომის გაჩაღების ბრძანება გამიცია. მომეჩვენა, რომ ამის შემდეგ ოთახში მყოფნი თითქოსდა პატივისცემით განიმსჭვალნენ ჩემდამი. ხუმრობა ხომ არ იყო, ზვიად გამსახურდიას ლეგნდად გადაქცეულ "სტრატეგს" მიყურებდნენ.

ჩამობნელდა. მანანაზე, მიტინგზე ფიქრი და დარდი მომეძალა. ტელეფონზე დარეკვის ნებართვა ვითხოვე. სამორიგეოში წამიყვანეს, სადაც შევარდნაძის საკადრისი მილიციის მორიგე ჯალათი დამხვდა, რომელმაც დარეკვაზე უარი მითხრა. მაშინ, გათავისუფლება და შინ წასვლა მოვითხოვე, რაზეც მიპასუხეს, რომ ამას მხოლოდ ხელმძღვანელობის სათანადო ბრძანების მიღების შემდეგ შევძლებდი. ამ დროს ოთახში სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ახალგაზრდა შემოვიდა და ფრიად კმაყოფილმა, ნასიამოვნებმა, მიტინგის წარმატებით დარბევაზე, მომიტინგეთა დაპატიმრებაზე აუწყა იქ მყოფთ. ცხადია, მან არაფერი იცოდა ჩემს შესახებ და ასე ამიტომ გაისარჯა. მერე ერთმა მილიციელმა გარეთ გაიყვანა. უკან შემობრუნებულს დარბევის ამბებზე შევეკითხე. მაგრამ, გაფრთხილებულმა, პასუხის გაცემა არ ისურვა, რადგან მისი

კოლეგები სულ იმას მიმტკიცებდნენ, ჩვენები დღეს მიტინგის დარბევაში არ მონაწილეობენო.

უნდა ვთქვა, რომ იქ ყოფნის დროს, ზემოხსენებული მორიგის გარდა, უხეშად და უტაქტოდ არავინ მომქცევია. ის კი არა და სიგარეტიც აღარავინ მოსწია, კვამლით არ შემაწუხეს. ალბათ, ამის გამო მოხდა, რომ ჩვეულებრივი, მშვიდი საუბარი დავიწყეთ. ჩეჩნეთში ყოფნის პერიოდზე მთხოვეს მოყოლა, ინტერსით მისმენდნენ. მერე რელიგიის შესახებ ვესაუბრე, წმინდა ბარბარეზე, ჭეშმარიტ ქრისტიანულ ცხოვრებაზე შედგომა ვურჩიე. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდიც შევახსენე, როდესაც ყველა სხვა სამსახურებთან ერთად, არც მათთვის არცერთხელ არ დაუგვიანებიათ ხელფასი, რომ დღეს თვეობით უხელფასოდ დარჩენილები ერთგულად ემსახურებიან ქვეყნის დამაქცევარ უკანონო რეჟიმს. დავინტერესდი, რამ აიძულათ დიქტატორის სამსახურში ჩადგომა. ავუხსენი, რომ დღევანდელი მათი საქმიანობა უდიდესი ცოდვა იყო, რომელზეც პასუხს უფალი მათს შთამომავლობასა და მოდგმას მოსთხოვდა. მაგალითად ყოფილ მინისტრ შ. კვირაიას თავსდატეხილი ტრაგედია მოვუყვანე, რომელიც უფალმა ქართველი ერის წინაშე ჩადენილი არნახული დანაშაულებებისა და ბოროტებისთვის პირმშოს მხეცური სიკვდილით დასაჯა. გონს მოსვლა, ხალხის გვერდით დადგომა, კანონიერების აღდგენისთვის მებრძოლი ქართველების თანადგომა ვურჩიე.

რას იქმოდნენ ყოველივე ამის მოსმენაზე, ცინიკურად და გამომწვეავდ ხომ არ გეპასუხებოდნენ?

-არა, პირიქით. დაფიქრებულები, მდუმარედ მისმენდნენ. მილიციაში მუშაობის მიზეზად გაუსაძლის ცხოვრებას ასახელებდნენ.

ამასობაში რვა საათი დაიწყო. მე უკვე კატეგორიულად მოვითხოვე გათავისუფლება და ის იყო იქაურმა უფროსმა მითხრა, რომ ებრძანებინათ ჩემი გაშვება. გამომემშვიდობნენ, მანქანამდე მიმაცილეს და გამომისტუმრეს.

სახლში დაბრუნებულმა მანანას გატაცების, მომიტინგეთა სასტიკად დარბევის ამბები შევიტყვე, ხოლო მეორე დილით,

მერაბის ეზოში მოკლული შეუდარებელი ქართველი მამულიშვილის ნუგზარ ლეჟავას მოკვლის ამბავი.

მთლიანად ვეთანხმები მშვენიერსა და სათნო ქალბატონს,

გულანთებულ მამულიშვილს, წმინდა ბარბარეს დღეს ტყვეობაში ყოფნისას თქმულს და მის იმდღევანდელ მასპინძლებს დროულ გამოფხიზლებას, გონს მოსვლას მოვუწოდებ. მხარი უქციონ, უარი თქვან ძალმომრეობით, იარაღით დროებით დამკვიდრებულებთან საქმიანობაზე, რადგან შავი და საზარელი საქმის კეთებით უბედურებას დაატეხენ საკუთარ მოდგმასა და შთამომავლობას. დაფიქრდნენ და შეიგნონ, რომ ქართველი ერის ჯალათისა და ერთი მუჭა მისი გარემოცვის ხელში ისინი ბრმა იარაღად, საზარბაზნე ხორცად არიან გადაქცეულები, ხვალ რომ წიხლისკვრით გააპანღურებენ ქუჩაში, ნაწილს ციხეში უკრავენ თავს, ზოგსაც ამქვეყნიდან გაისტუმრებენ. გაიხსენონ ჯ. იოსელიანი, თ. კიტოვანი, თ. ხაჩიშვილი, გ. გელაშვილი, ს. ხაბეიშვილი, გ. გულუა, გ. ჭანტურია და სხვა მრავალი.

გზას აცდენილებს, საბრალოებსა და საცოდავებს ბრძენ კონსტანტინეს ქმნილებათა გულისყურით წაკითხვას ვურჩევდი, რომლებშიც

მრავალ ჩაგონებებთან ერთად ესეც არის ჩაწერილი: "მონობაში აშენებული ერი ჯერ არავის უნახავს".

გაზეთი "საქართველოს სამრეკლო"

1998 წელი, დეკემბერი.

ზურაბ ფიფია: მ ე ვ ი ტ ყ ვ ი ს ი მ ა რ თ ლ ე ს !

საქართველოს დამაქცევარი ხელისუფლების მორჩილი და მაამებელი საინფორმაციო საშუალებები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ მბრძანებელთა ბინძური დავალებების შესრულებაში და ნაირგვარი სიცრუით, ცილისწამებითა თუ ბრალდებების შეთხზვა

შეკოწიწებით, პატრონთა სიამოვნებასთან ერთად, თავგამოდებით ესწრაფვიან ხალხის მოტყუებას. მათგან მოწოდებულ უამრავ სიცრუეთაგან, მომეტებულად ბატონ ზვიად გამსახურდიას იდუმალი მკვლელობის "გამოძიება გამოკვლევასა და სიმართლის" დასადგენად ირჯებიან. ამ მხრივ, ერთი გამორჩეულთაგანია გაზეთი "ასავალ

დასავალი", ახლახან კიდევ ერთხელ რომ გვაუწყა "სიმართლე" და საქართველოს პრეზიდენტის დაცვის ყოფილ უფროსთან, **რობინზონ მარგველანთან** საუბარში თქმულით კიდევ ერთხელ "დაგვარწმუნა ჭეშმარიტებაში".

დასახელებული საუბრის გამოქვეყნების შემდეგ, წალენჯიხის რაიონის სოფელ ჩქვალერის მკვიდრი, ბატონი ზურაბ ფიფია გვეწვია და ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილი უფროსისგან თქმული სიცრუით, სინამდვილის განზრახ დაფარვით გულნატკენმა და უკმაყოფილომ, სიმართლის თქმის სურვილი გამოთქვა.

ზურაბ ფიფია: ცნობილია, რომ შევარდნაძის მიერ მოხმობილი რუსული ჯარის მეშვეობით და ქართული კრიმინალური ბანდების ღალატით, აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია სამეგრელოში დარჩა. რუსეთის სპეცსამსახურებისა და მხედრიონელთა დევნის გამო, პრეზიდენტი იძულებული იყო გამუდმებით შეეცვალა ადგილსამყოფელი.

1993 წლის 7 ნოემბერს, ბატონი ზვიად გამსახურდია და მისი გარემოცვა ჩქვალერში პრეზიდენტის ჩალისფერი "ვოლგით", ორი მიკროავტობუსით და სატვირთო ავტომობილით ჩამოვიდნენ. მოსულთა განცხადებით სვანეთში წასასვლელი გზა მდევართაგან დახვედროდათ გადაკეტილი, ამიტომაც წამოსულიყვნენ ჩვენსკენ. პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ბესარიონ გუგუშვილი, დაცვის უფროსი რობინზონ მარგველანი, დაცვის წევრები: ბაჩუკი გვანცელაძე, გოჩა კეკენაძე და სხვები, სულ ოცდაათ კაცამდე. გვიან საღამოს, ნაწილი შეიარაღებული ახალგაზრდებისა, სატვირთო ავტომობილით სვანეთში გაემგზავრნენ. ამასთან დაკავშირებით, მინდა შემდეგი ვთქვა:

თუკი ჩქვალერში მოსვლამდე ვერაფრით მოახერხეს პრეზიდენტის სვანეთში წაყვანა, მაშინ როგორღა შეძლეს იმავე ღამეს, იმავე გზით იქ აღწევა? ასე მგონია, წინასწარ შედგენილი გეგმით, მოსკოვსა და ხუნტას, პრეზიდენტის მოკვლა უშუალოდ სამეგრელოში ჰქონდათ ჩაფიქრებული.

ბატონ ზვიადსა და მის მხლებლებს სასურველი მასპინძლობა გაუწია რ. მარგველანისგან შერჩეულმა ოჯახმა. მაგრამ, სპეცსამსახურების აგენტებისა და მხედრიონელებისგან გარშემორტყმულ სოფელში (ამგვარ მდგომარეობაში იყო წალენჯიხის რაიონის თითქმის ყველა სოფელი) მათი დარჩენა დიდი ხნით შეუძლებელი იყო. ამიტომ, წალენჯიხის პრეფექტთან, ბატონ ზურაბ გუჩუასთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ პრეზიდენტი და თანმხლები პირები მთაში, ტყეში გაშლილ კარვებში გადაგვეყვანა.

სამი კარავი გავშალეთ. პირველში რ. მარგველანი, მისი თანმხლები ორი ქალბატონი და რამდენიმე ახალგაზრდა მოთავსდნენ. მეორე კარავი პრეზიდენტმა, ბ. გუგუშვილმა, ბ. გვანცელაძემ, გ. კეკენაძემ და დაცვის რამდენიმე წევრმა დაიკავეს. მესამეში კი წალენჯიხის პრეფექტურის ექვსი ახალგაზრდა თანამშრომელი მოეწყო. რაც შეეხება ავტომობილებს, ბ. გვანცელაძის მეშვეობით რ. მარგველანს მათი ჩემთვის ჩაბარებასა და საიმედო ადგილზე გადანახვაზე შევუთვალე, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო ისინი იქაურ საეჭვო ხალხს ჩავარდნოდა ხელში და გაუთავებელი აღმადაღმა ქროლვით,

მდევრებს ბატონი ზვიადის იქ ყოფნას გააგებინებდნენ. სამწუხაროდ, პრეზიდენტის დაცვის უფროსმა ეს არ გაითვალისწინა, ავტომობილები მართლაც ყაჩაღებთან მოხვდნენ და საბოლოოდ, უკვალოდ გაქრნენ.....

"ტყეში გასვლის დღიდანვე რაღაც ფაქტორი მუშაობდა, რომ პრეზიდენტისთვის ჩამოეშორებინათ დაცვის ბიჭები. მათი ჩამოშორება ხდებოდა მეგზურების მეოხებით, რომ ოჯახი გაიყიდება, გატყავდება ამდენის შენახვითო და ა.შ. პირადად მე, ხუთი დღე ღამით ჩამომაშორეს პრეზიდენტს", - ამბობს რ. მარგველანი დასახელებულ საგაზეთო საუბარში.

მან პირდაპირ ჩვენ დაგვადო ხელი და დაგვადანაშაულა, თითქოსდა ვერ შევძელით პრეზიდენტისა და თანმხლები ადამიანების შენახვა, კერძოდ, მათი საკვებით უზრუნველყოფა. რა დასამალია და იმ ავბედით პერიოდში, ერთი ორი ოჯახისთვის მართლაც ძნელი იყო რამდენიმე ადამიანის, თუნდაც სამი ოთხი დღით შენახვა. მით უფრო, სპეცსამსახურების დაგეშილი აგენტებითა და მხედრიონელებით გარშემორტყმულ სოფელში. ესეც არ იყოს, ყველასაც ვერ ვენდობოდით. ვისი ნდობაც გვქონდა, იმათი შემწეობით ყველანაირად ვახერხებდით ძვირფასი სტუმრისა და მისი გარემოცვის უზრუნველყოფას. პირადად მე, იმის მიუხედავად, რომ თავგადაკლულები დამეძებდნენ, სასწაულად ვიძვრენდი თავს და ცხენით ყოველდღე ავდიოდი კარვებში დაბანაკებულებთან. სანდო მწყემსებსაც ვთხოვე, საქონელი დაეკლათ და ხორცი მიერთმიათ მათთვის.

იყო ერთხელ შემთხვევა, რომ ვერ შევძელი სახლიდან გამოსვლა, მითვალთვალებდნენ. მაშინ ჩემმა დამ, მეზობლის გოგონასთან ერთად, ვითომცდა ღორების სამწყემსად, ზურგჩანთებაკიდებულებმა აუტანეს საჭმელი. ერთხელ კი ისე მოხდა, რომ სამივე კარავში მყოფთათვის საკმარისი საჭმელი მარგველანის კარავში დავტოვე და სასწრაფოდ გამოვბრუნდი. მეორე დღეს შევიტყვე, რომ პრეზიდენტისა და მეზობლად მდგარ კარავში მყოფნი იმ ღამეს უჭმელნი დარჩენილიყვნენ... ეხლა რაც შეეხება რ. მარგველანის პრეზიდენტისგან ჩამოშორების მცდელობას. დასახელებულ საგაზეთო საუბარში იგი ამბობს, რომ იქაური მეგზურები ცდილობდნენ პრეზიდენტისგან ჩემს ჩამოშორებასო. ამას იგი სრულ სიმართლეს ამბობს. ამისი მოსურნე ერთი პირველთაგანი მე გახლდით. მე ვიყავი ის კაცი, რომელზეც ამბობს ხუთი დღით ჩამომაშორეს პრეზიდენტსო.

რა შეამჩნიეთ ასეთი დასაეჭვებელი ?

- ჩვენთან ჩამოსულ რობინზონს ორი ქალბატონი ახლდა. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ვინ იყვნენ ისინი. სჯობს მათი ვინაობა თავათ დაასახელოს. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტის

დაცვის უფროსი იმ ქალებს უფრო უფრთხილდებოდა და იცავდა, უპირველესი და უმთავრესი მოვალეობა კი მივიწყებული ჰქონდა, იგი წუთითაც არ უნდა მოსცილებოდა ბატონ ზვიადს. სწორედ ამან გადამაწყვეტინა მისი პრეზიდენტისგან ჩამოშორება. სასწრაფოდ მოველაპარაკე ჩვენს ბიჭებს და გადავწყვიტე ყველაფერი პრეფექტისთვის გვეთქვა, რადგან რასაც ვუყურებდით, ძალზე გვაფიქრებდა, ნამდვილი ქაოსი და განუკითხაობა იყო.

არაფერი დამიმალავს, ყველაფერი ვუთხარი ბატონ ზურაბს და ჩვენს

გადაწყვეტილებაზე მოვახსენე. მითხრა, რომ ჩვენს ამ განზრახვას შეიძლება დაპირისპირება მოჰყოლოდა პრეზიდენტის დაცვის წევრებთან და ამიტომ უმჯობესია ყველაფერი ბატონ ზვიადს ვაცნობოთო.

მდგომარეობა კი თანდათან რთულდებოდა. მოსალოდნელ თავდასხმაზეც შეგვატყობინეს. დრო აღარ გვქონდა. გადავწყვიტე ყველაფერი თავათ მეთქვა ბატონ ზვიადისთვის. მოვახსენე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ და ადგილსამყოფელის აუცილებელ შეცვლაზე. დამეთანხმა და მითხრა, რომ დაცვას მზადყოფნაში მოიყვანდა. მაშინ რ. მარგველანის ჩამოცილებაზეც ვუთხარი, გაუკვირდა. დაეჭვების მიზეზს ჩამეკითხა. დაწვრილებით მოვახსენე ყველაფერზე. ისიც ვუთხარი, რომ გამყოლი, რომელსაც პრეზიდენტი იქიდან უნდა გაეყვანა, მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებოდა მეგზურობას, თუკი დაცვის უფროსი თან არ გაყვებოდა. პრეზიდენტი დაგვეთანხმა და რობინზონს იქ დარჩენა უბრძანა.

მართლაც, რ. მარგველანი საგაზეთო საუბარში ამბობს: "პრეზიდენტმა მითხრა: რობინზონ, შენ ახლა უნდა დარჩე, სამიოდე დღის შემდეგ კაცს გამოგიგზავნი და ჩემთან მოგიყვანენო".

სოფლისკენ გამოვეშურეთ. ჩვეთან ერთად წამოვიდნენ ბ. გუგუშვილი, ბ. გვანცელაძე, გ. კეკენაძე და დაცვის ორი წევრი. ჩვენთან ერთად მოდიოდა ზურაბ გუჩუაც. უკუნეთ ღამეში,

თავსხმა წვიმასა და ქარიშხალში მივეშურებოდით სოფლისაკენ. ერთგან პრეზიდენტს იარაღი დაუვარდა. მივაწოდე, მაგრამ მითხრა შემენახა და ფრთხილად ვყოფილიყავი, არ დამკარგვოდა მისთვის ესოდენ ძვირფასი ჯოჰარ დუდაევის რევოლვერი.

გაჭირვებით ჩამოვაღწიეთ სოფელში. ორი დღე დარჩა ბატონი ზვიადი ჩქვალერში. შეძლებისდაგვარად წესრიგში მოიყვანა თავი. სრულიად ჯანმრთელი, საღსალამათად გამოიყურებოდა, სავსებით მხნედ გრძნობდა თავს. წასვლისას, ვახშამზე, ხუთი ჭიქა წითელი ღვინით წარმოთქვა სადღეგრძელოები. დაგვლოცა, მადლობა მოგვახსენა, გაგვამხნევა მომავალი ჩვენიაო. დამშვიდობებისას ჰალსტუხი მაჩუქა, რომელსაც უძვირფასეს რელიქვიად ვინახავ.

გვეძნელებოდა პრეზიდენტთან განშორება, მაგრამ აუცილებელი იყო მისი ესოდენ სახიფათო ადგილიდან წასვლა. სოფელში მისვლამდე, სადაც ისინი მიდიოდნენ, გზად ენგურს შეერთებულ მდინარე მაგანაზე უნდა გადასულიყვნენ. უშიშარმა რაინდმა, სრულიად ჯანმრთელმა ვაჟკაცმა,

ნოემბრის ცივ ღამეს, ყინულივით ცივი წყლით მხრებამდე დაფარულმა, ტანსაცმლიანმა გააღწია მეორე მხარეს...

ბატონ ზვიად გამსახურდიას ჩქვალერში ყოფნის ორი კვირა ზღაპრულ მოგონებად შემომრჩა.

გეტყვით, რომ დღევანდელ უკანონო ხელისუფალთა "მოღვაწეობისას" არავითარი სურვილი არა მქონდა რაიმეს თქმისა, ყველაფერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის დღისთვის ვინახავდი, მაგრამ დასახელებულ საგაზეთო პუბლიკაციაში თქმულმა სიცრუემ და წალენჯიხელებისადმი წამოყენებულმა გაუმართლებელმა ცილისწამებამ აზრი შემაცვლევინა - თავსგადამხდარის გახსენება და მკითხველისათვის განდობა გადავწყვიტე. სათქმელი კი კვლავაც ბევრი დამრჩა. დარწმუნებული ვარ, სიმართლის გამჟღავნების, ცრუთა მხილების ჟამი ახლოვდება.

გაზეთი "ქუჯი"

2001წელი, მაისი.

ენა ჩვენი ქართული

ქართული ენა კურთხეულია ბიბლიაში:

"და ენაი ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა".

უამრავ დასაცველსა და გასაფრთხილებელგადასარჩენს შორის, ყოველთვის რომ ჭარბად ჰქონდათ ქართველებს, უპირველესად ენის, მამულისა და სარწმუნოებისთვის თავის გადადებას მიიჩნევდნენ და ხშირად იგი მოვალეობა სავალალო მსხვერპლთშეწირვით დაუსრულებიათ. მტერი და დამპყრობი არასდროს ელეოდა იბერთ ქვეყანას, რადგან კურთხეული მიწის

მიტაცება ულევი სიმდიდრის მოპოვების უტყუარი საწინდარი გახლდათ. აღსრულება ამისი ძალზე ადვილად შეიძლებოდა, ქართველთათვის ენისა და სარწმუნოების წართმევით. ამიტომაც უნგრევდნენ და უბილწავდნენ ეკლესია მონასტრებს, უმშვენიერესსა და უძველეს ენაზე მეტყველებას უკრძალავდნენ იბერებს. მაგრამ, შეუძლებელი იყო მართლმადიდებლობის უარყოფა, სხვა რჯულის აღიარება. შეუძლებელი იყო და წარმოუდგენელი იაკობის, დავითის, თამარისა და სხვათა წმინდანების ენის უარყოფა. შეუძლებელი იყო უძველესი ანბანის ულამაზესი ასოების დავიწყება და გაქრობა.

მსოფლიოში დაახლოებით სამი ათასი ენაა, ანბანი კი მხოლოდ თოთხმეტი. მათ შორის ერთი უძველესთაგანია ქართული .

და გადაურჩა საუკუნეების შემოტევას ენა ქართული. გაუძლო ოსმალთა და სპარსთა, არაბთა, მონღოლთა, სხვათა გაუსაძლის დაწოლას. სარწმუნოებასა და მამულთან ერთად, ენაც შეინარჩუნეს იბერებმა. თუმცა, გადარჩენა იგი ლამის საბოლოო გაჩანაგებად დაუჯდა ერს. და მაინც, მოუდრეკელი სული, დაუმორჩილებელი გენი ქართველებისა, კვლავაც მზად იყო და შემართული გახლდათ სამი უპირველესი მცნების, კვლავაც სიცოცხლის გაღების ფასად დაცვისთვის. ალბათ, სწორედ ამის გამო იყო მეტი დაკვირვება, მეტის მოთმენა, საუკუნეთა მანძილზე თავსგადამხდარის

გათვალისწინება იყო აუცილბელი, საბედისწერო ნაბიჯის გადადგმამდე "ერთმორწმუნე" ჩრდილოეთელის მფარველობის გადაწყვეტილების მიღებამდე. მაგრამ ალბათ, ეს იყო ნება უზენაესისა, ასე დასაჯა ქართველები უკიდურესად დამღუპველი არჩევანის გაკეთებისთვის.

იქიდან დაიწყო ქართველთა სარწმუნოებისა და ენის არნახული შეურაცხყოფა და დევნა. ყინულეთიდან შემოჭრილი ბრბო დაუნანებლად, გამიზნულად ბილწავდა და ანადგურებდა ქართული ეკლესია-მონასტრების უბრწყინვალეს აღკაზმულობას, კირითა და ბათქაშით ფარავდა დიდებულ ხელოვანთაგან შექმნილ უმშვენიერესსა და უწმინდეს ფრესკებს, ყველანაირად

ავიწროებდა და სალოცავებიდან ერეკებოდა მღვდლებს, ბერებს, მონოზნებს, მრევლს. რუსეთში ეზიდებოდა უძვირფასეს ხატებსა და სარიტუალო ნივთებს, უძველეს წიგნებსა და ფოლიანტებს... მთავარი კი წინ იყო "ერთმორწმუნემ და მფარველმა" დამოუკიდებლობა წაართვა ქართულ ეკლესიას და საუკთარ ნებას დაუმორჩილა უძველესი ქრისტიანული ქვეყანა. რწმენაშეგინებულ ხალხს, რუსი ეგზარქოსები "მოძღვრავდნენ, სულიერად განანათლებდნენ". იმავდროულად, ჩრდილოელებმა იბერთა გადაშენება მოსპობის მეორე უმთავრეს საყრდენს ენას დაუწყეს გაშმაგებით შეტევა და ყველაფერს აკეთებდნენ მისი სამუდამო ამოძირკვისა და დასამარებისთვის. თავათ ცივსა და ყინულოვან ენაზე მეტყველნი, ძაღლის ენას უწოდებდნენ უძველესსა და უმშვენიერეს, ტკბილხმოვან ენას ქართულს, სასტიკად კრძალავდნენ მასზე ლაპარაკს, სწავლა-განათლებას. სამწუხაროდ, ქართველ თავად-აზნაურთა, დიდგვაროვანთა და განათლებული საზოგადოების სულგაყიდული ნაწილი მონურად დაემორჩილა დამპყრობლის სურვილს და საკუთარი კეთილღეობის გასაუმჯობესებლად, ჩინ-მედლებისა და მოწყალების მისაღებად, გვერდში ამოუდგა მტერსა და მოძულეს, მასთან ერთად იღვწოდა და ესწრაფოდა მშობლიური ენის უარყოფას. სწორედ ამან ათქმევინა გულმოკლულ გრიგოლ ორბელიანს:

"რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს".

ძალამ აღმართი ხნა. ქართული ენის შეგინებამ, მოღალატეთაგან მისმა უარყოფამ და ჩაწიხვლამ არნახულად დააძაბუნა, სარწმუნოების შელახვის უკიდურესმა უიმედობამ მოიცვა ქართველი ერი. სასოწარკვეთილი და იმედდაკარგული ხალხი, თითქოსდა შეეგუა დამპყრობლისგან დადგმული უღლის სიმძიმეს. მომეტებულად, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში იმარჯვა სახეგაშიშვლებულმა, საძულველმა მოძალადემ. სწორედ მაშინ გაისმა ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა თავდადებული, გულანთებული მამულიშვილების მგრგვინავი ხმა ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად, გადასარჩენად. თუმცა, ამაო

გამოდგა ერისკაცთა თავგანწირვა სისხლიანი დამპყრობელი, დამონებული და მოღალატე ქართველების ხელით გაუსწორდა გონსმოსულ, თვალახელილ ერს, ხოლო სულიერ მამად და წინამძღოლად აღიარებული ბრძენკაცი, ტყვიით დაადუმა. დიდად დასაღონებელია, რომ ამგვარმა ანგარიშსწორებამ კიდევ უფრო მეტად დააძაბუნა და დააშინა ხმაამაღლებული ქართველობა, იძულებული გახადა კვლავაც მორჩილად შერიგებოდა ვინ იცის, კიდევ რამდენი ხნით რგებულ მწარესა და მძიმე ხვედრს.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების შუა პერიოდში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ხანმოკლე შუალედში, ისევ მიეცა აღორძინებისა და კუთვნილი მისსიის აღსრულების შესაძლებლობა გულსატკენად დაწიხლულ ენას იბერთა. ღირსებაშელახულმა, პატივაყრილმა ქართველებმა თავისუფლად შეძლეს მშობლიურ ენაზე მეტყველება, სწავლა. ქართულმა ეკლესიამაც დაიბრუნა მოძულე მტრისგან წაგლეჯილი დამოუკიდებლობა. ტაძრებსა და მონასტრებში კვლავაც ქართულად აღევლინებოდა წირვალოცვა, ქართული საგალობლებით მშვიდდებოდა მრევლი.

საქართველოს მაშინდელმა კათალიკოს პატრიარქმა კირიონ მეორემ ასე უქადაგა ქართველებს მშობლიური ენის შესახებ:"

"დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი.

მხოლოდ იმ ერს აქვს უფლება ისტორიულ ასპარეზზედ ცხოვრებისა და მოქმედებისა, რომელიც მუდამ იცავს თავის ენას, ზნეს და ჩვევას ".

დიდხანს აღარ გასტანა ქართველთაგან სულის მოთქმის, ქართული ენის გაცოცხლებისა და აღდგენის სანუკვარმა ხანამ. "ერთმორწმუნე" დამპყრობელმა ვერაფრით იგუა უმდიდრესი განძის იბერთა ქვეყნის დროებით ხელიდან გაშვება. ცეცხლითა და მახვილით შემოსეულმა სახელ და ფერნაცვალმა ჩრდილოელმა გველეშაპმა მომეტებული ბარბაროსობითა და

დაუნდობლობით, მზაკვრულად შენიღბულმა შემოუტია ენას ქართულს, რწმენას მართლმადიდებლურს. ქრისტეს მგმობელსა და იბერთ მოძულეს, სამუდამოდ სურდა დაევიწყებინა ქართველებისთვის იოანე ზოსიმესგან თქმული:

"დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰქვიან.

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა ".

გაწითლებულსა და გავარვარებულ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფო ენად ქართული იყო ჩაწერილი. სწორედ მასზე, იმ ფარატინა ფურცელზე მთავრდებოდა იბერთა უძველესი, უმშვენიერესი ენის ყველა უფლება და ღირსება. სინამდვილეში კი ყველაფერი უფროსი "ძმის" ყინულოვან ენას დაქვემდებარებულ დამორჩილებულად კეთდებოდა. მეფის რუსეთის დროიდან მეტ ნაკლებად დანაგვიანებულსა და შელახულ ქართულს, საბჭოთა რუსეთის დროინდელ შენიღბულ დაგეგმილი ჭუჭყისა და სიბინძურის ღვარცოფიც შეემატა და ტკბილხმოვან, თბილ, ჟღერად ქართულს ჟანგად მოედო მკაცრი, დაგუბული, ყინულოვანი სლავური ლექი. იძულებით თავსმოხვეულმა რუსულმა სწრაფად განდევნა საწარმო დაწესებულებებიდან ქართული და სულ უმნიშვნელო თათბირი თუ შეკრებაც კი

მხოლოდ დამპყრობლის ენაზე ტარდებოდა. თანამდებობებს ჩაბღაუჭებული თავმოყვარეობაწართმეული "ხელმძღვანელები" შესაბრალისად, უაზროდ და სამარცხვინოდ ლუღლუღებდნენ რუსულად. ამ გზით სახელმწიფო ხაზინის მძარცველებს აღარავითარ აუცილებლობად აღარ მიაჩნდათ მშობლიური ენის გამოქომაგება, მისი დაცვა და გაფრთხილება. პირიქით, ღირსებააყრილები, გადაგვარებულები, თავიანთს უჯიშო ნაშიერებს რუსულ სკოლებში და უმაღლესი სასწავლებლების სლავურენოვან ფაკულტეტებზე ასწავლიდნენ,

რადგან მხოლოდ ამნაირად შეძლებდნენ დამპყრობლისგან გაკვალულ მრუდე გზაზე სიარულით მოპოვებული თანამდებობისა და ნაძარცვ-ნაქურდალის ჩაბარება დატოვებას. სამწუხაროა, მაგრამ მწარე სინამდვილეა, რომ ქართული ენის დაუძლურებას, მის აბუჩად აგდებასა და უარყოფას, მასზე მეტყველების სამარცხვინოდ მიჩნევას მხარს უბამდა და ესწრაფოდა მოღალატე კომუნისტურ ხელისუფლებასთან დაახლოებული, მისით დაპურებულპატივმიგებული წითელი საზოგადოება, ქართული ინტელიგენციის სახელს რომ იჩემებდა. სწორედ მათი თანადგომითა და თანხმობით, მათი დანაშაულებრივი ხელშეწყობით მრავლდებოდა საქართველოში რუსულენოვანი საბავშვო ბაღები და სკოლები, სხვადასხვა სასწავლებლები, უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტები, გამოდიოდა უამრავი რუსულენოვანი გაზეთი და ჟურნალი, სულ უფრო მატულობდა რუსული ტელე და რადიოგადაცემები, იხსნებოდა რუსული თეატრები, მუზეუმები...

სულ უფრო ცხოველდებოდა საბჭოური იმპერიის ბუნაგში მოკალათებულთა სურვილი და განზრახვა ქართული ენის რაც შეიძლება მალე დაჯაბვნისა, სამუდამოდ გადაგვარება ამოგდებისა. ბუნებრივია, ჩანაფიქრსა და მიზანს განხორციელება, აღსრულება სჭირდებოდა, რასაც ოპერატიულად ახორციელებდნენ წითელი საქართველოს წითელი ხელისუფლები. იმავდროულად, ავი და შესაჩვენებელი საქმის მკეთებელნი, მათთვის საძულველი და მიუღებელი ქართული ენის "დაცვისა და მოვლა - პატრონობისთვის" ქმნიდნენ კომისიებს, უმნიშვნელოვანესი "საერო საქმის " კეთებას რომ ავალებდნენ.

... ბევრის ამტან ქაღალდზე ყველაფერი აღსრულებული იყო ქართულ ენას ვერავინ შებედავდა ხელყოფას, მცირერამ აუგის თქმას. ქაღალდს მიღმა კი ყველაფერი რუსთა სასიკეთოდ, მათს საამებლად კეთდებოდა. ამიტომაც, აღარაფერი დაუდგათ წინ და საბჭოური იმპერიის მმართველებმა, აღარც იმ უძალო ქაღალდზე მოისურვეს სახელმწიფო ენად ქართულის ჩაწერა და 1978 წელს განახლებული საბჭოური კონსტიტუციიდან, მისი ამოღება ბრძანეს. ცხადია, ქართველ კომუნისტთა ხელისუფლება

უმალ დაემორჩილა მბრძანებლის ნებას, მაგრამ აბობოქრებული ქართველი ერის, ინტელიგენციის ღირსეული ნაწილის, ახალგაზრდობის უმრავლესობის, ეროვნული მოძრაობის თავკაცთა შეკაშირებამ, მათგან გაწეულმა წინააღმდეგობამ და უშეღავათო მოთხოვნამ, ხელი ააღებინა იმპერიის ჯურღმულიდან წამოსული ბრძანების შესრულებაზე.

თუმცა, ყველაფერი ისევ ქაღალდს მინდობილი აღმოჩნდა. ქართული ენა საქართველოში ისევ უძალო და უმაქნისი გახლდათ. საბჭოური იმპერია კვლავაც თავის შავბნელ ზრახვებს ახორციელებდა, ბინძურ საქმეთა მკეთებელი ავკაცები თავისას არ იშლიდნენ. კარგად გვახსოვს, რაოდენ უტიფრად და თავხედურად, რუსული შოვინისტური სულის აშკარა გამოხატვით მოითხოვა თბილისში ჩამოსულმა კრემლის მაღალჩინოსანმა, სალდაფონმა ჩინოვნიკმა, რუსული სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების კიდევ უფრო მომრავლება, რუსული ენის გაცილებით გაზრდილი მოცულობით სწავლება. მაგრამ, არ ეწერა აღსრულება მოძალადის დამღუპველ სურვილს. ძალამოცემული ეროვნული მოძრაობის აღორძინებამ და მომძლავრებამ, დასაწყისშივე ჩაახშო და ჩაკლა ქართული ენის საბოლოო დასამარებისთვის წამოწყებული კამპანია.

ეროვნული ხელისუფლების მოსვლამ, დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, უპირველეს რიგში დააყენა საკითხი ქართული ენის კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად. სხვანაირად არც შეიძლებოდა იბერთ ქვეყანაში, ქართული ენა უნდა ყოფილიყო განმგებელ გამკითხავი, ქართულ მიწაზე მოსახლე ყველა ჯურის ჩამომავალს, პატივი და დიდება უნდა მიეგო მისთვის, აუცილებლობად ჩაეთვალა მასზე მეტყველება. ასეც ხდებოდა უცხო ტომისანი ქართული ენის სწავლის, მასზე ლაპარაკის უდიდეს სურვილს აცხადებდნენ და სწავლობდნენ, ლაპარაკობდნენ.

ჩვენდა სავალალოდ, დიდხანს არ გასტანა ნეტარმა და სანატრელმა ხანამ ენისა ქართულისა. ეროვნული ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობამ, საქართველოს კვლავაც რუსეთის დამპყრობლური იმპერიის გამგებლობაში დაქვემდებარებამ, ისევ საფრთხე და საშიშროება შეუქმნა ბევრის

გადამტან ჩვენს ენას. მართალია, დღეს უწინდელი გაშმაგებითა და გააფთრებით აღარ უტევს იბერთა ენას ჩრდილოელი "მფარველი და ერთმორწმუნე" (ამისი მიზეზი კი თვით იმპერიიის შიგნით წარმოქმნილი არნახული კრიზისი და შინააშლილობით გამოწვეული მოუცლელობა გახლავთ), მაგრამ გარკვეული მოცულობით რუსული ისევ ცდილობს ქართულის მორევას. კორუმპირებული "ზედა ფენაც" ისევ სლავურს აძლევს უპირატესობას და მასზე მეტყველებას ამჯობინებს. იმავდროულად, ენას მშობლიურს სხვა მხრიდანაც შემოუტიეს ვითომცდა უცხოეთთან ურთიერთობის დამყარებით, ვითომცდა ერთობლივი "საწარმოებისა და ფირმების" შექმნით, რუსულთან ერთად ინგლისურმა, გერმანულმა, თურქულმა და სხვა ენებმაც შემოუტიეს და სადღეისო განუკითხაობის წყალობით, სლავურისგან გვარიანად

დანაგვიანებულ ქართულში, გულდაგულ ცდილობენ დამკვიდრებას.

გულსატკენია, რომ ერის საარსებო ერთი აუცილებელი საფუძვლის ამ შეგნებულსა და გამიზნულ დამანგრეველ ქმედებას, ქართული ენის ამგვარად შერყვნას არავინ აქცევს ყურადღებას და დანაშაულებრივი გულგრილობით შეჰყურებენ, ისმენენ მიუღებელსა და დაუშვებელს, სასწრაფოდ აღსაკვეთსა და უარსაყოფს. მოუსმინეთ და ნახეთ "ქართული ტელევიზიისა და რადიოს" უკიდურესად დაბალპროფესიულ, ენობრივად გაუმართავ, დამახინჯებული ტექსტებით მომზადებულ მდარე ხარისხის გადაცემებს, თვალი გადაავლეთ ესოდენ მოზღვავებულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ

ყოველმხრივ სამარცხვინო მასალებს, მათში დახვავებულ უცხო, გაუგებარ სიტყვებსა და იაფფასიან ჟარგონს, დაიარეთ ქალაქის ქუჩა-მოედნები და დაკვირვებით დაათვალიერეთ მაღაზიების, კაფე-რესტორნებისა თუ სხვა ობიექტების, დაწესებულებებისა და ფირმების წარწერები. რატომ ამდენი უცხო დასახელება? ნუთუ, ჩამოთვლილ ობიექტთა პატრონებმა ვერაფერი შესატყვისი ვერა ნახეს და მოიგონეს უმდიდრესსა და ამოუწურავ ქართულში?

ნურავის ეგონება ეს ყველაფერი უშნო ახირება, უაზრო ჭირვეულობა იყოს. სწორედაც რომ არა. პირიქით, ყველა ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანაში უპირველესად სახელმწიფო ენად აღიარებულს ანიჭებენ უპირატესობას, მასზე მეტყველების აუცილებლობას უყენებენ იქ სამოსახლოდ ჩასულთ, მისით ნათლავენ ყველანაირ საწარმოსა და დაწესებულებას, ფირმას, კორპორაციას, კონცერნს, ნაწარმს... ასეა, ყვლას თავისი ურჩევნია და მის სულ მცირედ აუგად ხსენებას, უდიერად მოპყრობას არავის აპატიებენ. ჩვენში კი რატომღაც ბევრმა დაივიწყა ოდითგან ჭკვიანურად ნათქვამი:

"სხვის ბაღში თურაშაულის დარგვას, საკუთარში მაჟალოს დათესვა გერჩიოსო".

ასეა, საკუთარი უნდა ვარჩიოთ სხვისას. მითუფრო ენის მხრივ, ბევრად წინ რომ ვდგავართ უამრავ ერსა და ტომზე. ენა ქართული ხომ ერთი უძველესთაგანია და უმდიდრესია დედამიწის ზურგზე. მოვუაროთ და გავუფრთხილდეთ, მოვეფეროთ და დავიცვათ ენა ჩვენი მშობლიური, გავწმინდოთ და უწინდელი მშვენება დავუბრუნოთ. და ვილაპარაკოთ უძველესი, ღვთივკურთხეული, დალოცვილი, ულამაზესი, უბრწყინვალესი

ენით ქართულით იაკობის, დავითის, თამარის, საბას, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ძარღვიანი ქართულით.

ნურასდროს დავივიწყებთ, ყველას ვაუწყოთ ჩვენს სიმდიდრესა და განძზე, ბევრისთვის სანატრელსა და ვერმოპოვებულზე, რომ:

"ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!"

გაზეთი "ქართული მახვილი"

1998 წელი, აპრილი

ქართული ენის "დღე"

ქართველი კაცისთვის ცხოვრების უმთავრესი არსი დასაბამიდან იყო ენა, მამული, სარწმუნოება, რომლისთვისაც თავის გაწირვა სავალდებულო კი გახლდათ, მაგრამ სამწუხაროდ მცირეოდენნი და ლაჩარნი ამას ვერ აკეთებდნენ, რადგან სულგაყიდულები, სამშობლოსა და ერისგან განდგომილები, მოძულებულნი იყვნენ. ენა

განძია ერისა, რომელსაც საკუთარი თავივით მართებს მოვლა-გაფრთხილება, შენახვა და დაცვა მომხდურთაგან, რადგან მტრისთვის უდიდეს გამარჯვებას ნიშნავს

შეტეულისთვის ენის წართმევა, დედა ენაზე მეტყველების აკრძალვა, მითუფრო მაშინ, თუკი დამონებული და უღელდადგმული ამას საკუთარი ნებით, ზოგჯერ სიამოვნებითაც აკეთებს.

"რა ენა წახდეს...". ვიცით და გვსმენია ამ დამაფიქრებელი, უფრო კი გამაფრთხილებელი ჩაგონების დანიშნულება და მიზანი ... და თავგადაკლულები, კბილებით ვიცავთ უძველესსა და ულამაზესს, დედასავით სანუკვარსა და უსაყვარლესს, უმშვენიერესსა და ტკბილხმოვანს, უმდიდრეს ენას ქართულს. თავს ვწირავთ, სიცოცხლეს ვანაცვალებთ მის შენარჩუნებას და დაფარვას, თავდაუზოგავად ვიღვწვით მომავალი თაობისთვის შეუბღალავად და ნირშეუცვლელად გადასაცემ დასატოვებლად. ვიცით ქართველებმა ჩვენი ენის ძალა და ფასი, მისი დანიშნულება და ღონე, რადგან მამულთან და სარწმუნოებასთან ერთად არნახულ შემოტევებისგან გადარჩენილებსა და თავდახსნილებს, დღესაც ქართულად გვალაპარაკებს. და განა მარტო ჩვენ. ქართულად მეტყველებაზე ბევრ ქვეყანაში სურვილობენ, გულით სწადიათ მისი დაუფლება.

და მაინც, საზოგადოების მცირე ნაწილი ისევ სხვის ენაზე "ჟღურტულს" არჩევს, რადგან თურმე ნუ იტყვით და მისით "გავუცვნივართ" ევროპას, მსოფლიოს, მისით "გაგვიხელია" თვალი, მისით მოგვიდენია "ტყაპანი" მსოფლიო ცივილიზაციაში. ამიტომაც უნდა ვეთაყვანოთ თურმე მას, მუხლებზე უნდა ვიხოხოთ და ტერფები ვულოკოთ ჩვენს მერე რამოდენიმე საუკუნის მოგვიანებით ამეტყველებულებს, თუკი მიწიერი ცივილიზაციის "წყლის გადასხმა და ფიზიკურად გადარჩენა" გვწადია. სხვა დანარჩენ შემთხვევაში, თურმე დასაღუპავადა ვყოფილვართ განწირულები.

ეს გვესმოდა და ამას ჩაგვჩიჩინებდნენ დღენიადაგ იმპერიული იდეოლოგიის ყურმოჭრილი, სულგაყიდული "მეცნიერ"-პროპაგანდისტები, "აღმზრდელები თუ პროფესორ მასწავლებლები", კულტურის, ლიტერატურის და საერთოდ, ინტელიგენციის იმ ნაწილის წარმომადგენლები, რომლებისთვისაც სრულიად უცხო იყო და გაუგებარი

"მშობლიური"ენისთვის თავის გამოდება, ხელის გამოღება, მისთვის გამოსარჩლება და სასიკეთოს თქმა. პირიქით, ერის ეს "აღზევებული, მოაზროვნე" ნაწილი თავგადაკლული მომხრე გახლდათ "დიდი ენის" საფუძვლიანი დამკვიდრებისა, მასზე მეტყველებისა და სწავლა საქმიანობისა. ამიტომაც ელაპარაკებოდნენ გაჩენის დღიდან "საჭირო, გამოსადეგ" ენაზე თავიანთს ნაშიერებს და წამითაც არ უფიქრდებოდნენ ჩადენილ დიდ ცოდვას, შეგნებულად რომ წიხლავდნენ, უარყოფდნენ ენას ქართულს.

სანაცვლოდ, კომუნისტის მანდატიანი, სახელმწიფო "მმართველების" კარზე აღზევებულები გულუხვად საჩუქრდებოდნენ თანამდებობრივი სავარძლებით, ბინებით, აგარაკებით, ტკბილი ცხოვრებისთვის საჭირო ყველა სიკეთით. ასე ბანდნენ ერთმანეთს სიბინძურეში გასვრილ ხელებს ბედნიერი და კმაყოფილი პატრონ ქვეშევრდომები და ყველაფერს აკეთებდნენ ურგები უპირატესობის, უფლებების, ბედნიერი და უზრუნველი ყოფის სამუდამოდ შენარჩუნებისთვის. და აკეთებდნენ კიდეც უცხო ენაზე "აღზრდილ განათლებულ" შთამომავლობას მემკვიდრეობით

უტოვებდნენ მრუდე გზით ხელში ჩაგდებულ საცხოვრებელსა და ქონებას, სამეცნიერო წოდებებს, მშობლიური პარტიისადმი სამარცხვინო ლაქიაობას, კრინტსაც არა ძრავდნენ უმთავრესსა და უპირველესზე ენაზე, მამულზე, სარწმუნოებაზე. ან კი რად იტყოდნენ, რა ჰქონდათ სათქმელი, თავათ უსასრულოდ შორს მდგომებს ყოველივე ამისგან.

სამაგიეროდ, ვერ ისვენებდნენ და გულს ვერ იოკებდნენ, სულიერად და ფიზიკურად ბობოქრობდნენ ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში გაერთიანებული მეცნიერებისა და კულტურის, ლიტერატურის, ინტელიგენციის იმ დიდ ნაწილში თავმოყრილი პიროვნებები, ერის საღად მოაზროვნე უმრავლესობა, რომლებსაც ამქვეყნად არსებობა ვერ წარმოედგინათ და არც უნდოდათ სამი უმთავრესი მრწამსის გარეშე. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს ვერ გადაწონიდა ვერანაირი ოქრო და ვერცხლი,

ვერანაირი უზრუნველი და მშვიდი ცხოვრება, ვერანაირი წითელი წოდებები და ტიტულები. შეუძლებელი იყო ორსაუკუნოვანი მონობის უმძიმესი უღლის კვლავაც ტარება და უცხოს დაკრულზე ცეკვა ბუქნაობა. უძველესი და უმშვენიერესი ქართული ენა ვერაფრით აიტანდა სიცივითა და ყინულით გაჟღენთილი მკაცრი, მშრალი მეტყველების შეუფერებელ მეტოქეობას. შეუძლებელი იყო ამაყი და გოროზი იბერიული სიტყვის, მასზე მეტყველთა მუშტითა თუ იარაღით დაჯაბვნა. უძლური იქნებოდა ყოველგვარი ძალმომრეობა შეუდრეკელ ნებაზე, ურყევ სულზე გამარჯვებისთვის. ესეც არ იყოს, როგორც უკვე ვთქვით ენას, მამულსა და სარწმუნოებას ყოველთვის ერის უმრავლესობა, მისი ღირსეული წინამძღოლები იცავდნენ და უფრთხილდებოდნენ, სიცოცხლეს სწირავდნენ იბერიის არსებობისთვის აუცილებელი ამ ფესვების შესანარჩუნებლად.

ყოველთვის ბევრი მტერი ჰყავდა ენას ქართულს, მაგრამ ვერავინ შეძლო მასზე გამარჯვება, უკლებლივ ყველამ მცირე თუ მრავალრიცხოვანმა მეტოქემ სასტიკი მარცხი იწვნია, ენა იბერთა უძლეველი და შეუვალი დარჩა. ნუღარ გადავიხედებით საუკუნეების მიღმა, ნუ განვიახლებთ ტკივილითა და განსაცდელით მოყენებულ ურიცხვ იარებს და თხუთმეტი წლის წინანდელი არნახული, გაუგონარი შემოტევა გავიხსენოთ, "მფარველმა და ერთმორწმუნე" მეზობელმა რომ გვარგუნა. თუმცა, რა დაგვავიწყებს, რა გაახუნებს იმ საშინელსა და ბნელ პერიოდს, წითელი სატანა გაშმაგბული რომ ლამობდა ცურტაველის, გორგასლის, დავითის, თამარის, რუსთაველის, გურამიშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, კონსტანტინეს ენის მოსრასა და შეურაცხყოფას, იბერთა დამუნჯებასა და უცხოურ ენაზე ალუღლუღებას.

მაგრამ, ამაო იყო და უშედეგო წითელი ურჩხულის, საქართველოში მისი ერთგული, საიმედო საყრდენის, მისი ნება სურვილის უსიტყვოდ აღმსრულებლის მაშინდელი ხელმძღვანელობის ცდა და ბრძოლა. ისინი ვერაფერს დააკლებდნენ ხალხის ნებას, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლთა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავგანწირვას. და ვერც ვერაფერი მოუხერხეს. ყველას

გვახსოვს 1978 წლის აპრილის ის მღელვარე და შფოთიანი დღე, თბილისის ქუჩებში მოზღვავებული აბობოქრებულ აფოფრილი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა, მუშა მოსამსახურეები, ხელოვნების, ლიტერატურის, ინტელიგენციის საღად მოაზროვნე ნაწილი, ქართული ენის მოსიყვარულე და დამცველი დიდ პატარა, მზად

რომ იყვნენ სიცოცხლე გაეღოთ წინაპართა ენის შენარჩუნებისთვის. არნახული იყო და გაუსაძლისი იმპერიიდან წამოსული დაწოლა და შემოტევა. სამარცხვინო იყო და შესაჩვენებელი საქართველოში, წითელი იმპერატორისა და მისი ხროვის არაადამიანური სურვილის აღმსრულებელი მაშინდელი ქვეყნის "მმართველების" ცდა და მონდომება, დავალების შესასრულებლად. მაგრამ, სძლია ბოროტებას სიკეთემ, ნათელმა ჯურღმულს, ცოდნამ უმეცრებას, ჭეშმარიტებამ სიყალბეს, სიყვარულმა სიძულვილს, ერთგულებამ ღალატს, ბევრმა ცოტას და ენამ ქარუთლმა ისევ გაიმარჯვა. შეუძლებელი გახდა იბერთა სამეტყველო დიდებული ბგერების ჩახშობა დამუნჯება და რაოდენ მწარეა, მტკივნეულია და სამარცხვინო, მკრეხელობაა, რომ ამ თავგანწირვასა და თავდადებას დღეს ასე უტიფრად, უსირცხვილოდ მიიწერენ პიროვნებები, ცეცხლითა და მახვილით რომ უტევდნენ ქართველთა ენას, თავათ სულგაყიდულები, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ერის დასაჩოქებლად. და როცა არაფერი გაუვიდათ, ვერაფერს გახდნენ, ჩრდილოეთელი პატრონისგან ნაბრძანებ "დათმობაზე" წავიდნენ, უკან დაიხიეს, მზაკვრული ნიღაბი აიფარეს, რადგან უკვე მათთვის საშიშად ძლიერდებოდა ეროვნული მოძრაობა. სწორედ ამ "დათმობის ტაქტიკური"სვლა გახლდათ თბილისში დედა ენის ძეგლის დადგმა. თუმცა, ამ გულისამრევი ფარსისა არავინ იწამა. ყველამ იცოდა, რომ იგი მახე, ავბედითი ხაფანგი იყო დაგებული თავისუფლების მოსურვილე, მშობლიური ენის დამცველი პიროვნებების უვნებელსაყოფად. მაგრამ, ვერც ამ ფარისევლობამ და თვალთმაქცობამ გაჭრა. თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის აგორებული ტალღის დაოკება უკვე ვერავითარ ფანდსა და ეშმაკობას, ვერანაირ პირფერობასა თუ "დათმობას"

აღარ შეეძლო.

სამოცდათვრამეტი წლის აპრილის შემდეგ, კომუნისტური რეჟიმის, წითელმანდატიანების უმწვავესი მარწუხების, არნახული დაწოლისა და დევნა შევიწროების მიუხედავად, ქართველი ერი ყოველწლიურად მიზანდასახულად აღნიშნავდა ენის დიდებულსა და საჭირო დღეს. ეს მართლაც უდიდესი მოვლენა გახლდათ იბერთა ცხოვრებაში, რადგან ენის ზეიმის დღეს, სულიერად და ფიზიკურად განწმენდილი ქართველები ბედნიერები ეგებებოდნენ სასურველ მოვლენას, დაუფარავად და თამამად შეჰხაროდნენ, ესიყვარულებოდნენ უმშვენიერესსა და ტკბილხმოვან, უძველესსა და უმდიდრეს ენას. მომეტებულად, 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ აღნიშნავდა ქართველობა ენის დღეს. მაგრამ, დიდხანს აღარ გაგრძელდა საამო ხანა. შარშან, შექმნილი ვითარების გამო, შეუძლებელი გახდა ბრწყინვალე დღის აღნიშვნა. სასოწარკვეთილმა ხალხმა ვერაფრით შეძლო ჩვეული სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა. დაღლილ, შეურაცხყოფილ საქართველოს ნამდვილად არ შეეფერებოდა ზეიმი და აღარც ხალისი ჰქონდა თბილი, ღიმილიანი სიტყვის თქმისა. ადამიანებს მომავლის იმედიღა შერჩათ და ვაი, რომ იგი კიდევ უფრო სავალალო, სამარცხვინო გამოდგა.

და დაგვიდგა წლევანდელი დღე ქართული ენისა. უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი უდიდესი ქართული მესიტყვის, ქართული პოეტური სიტყვის გენიის ძეგლთან და როდესაც იქ შეკრებილთ უნდა წარმოეთქვათ სიტყვა ქართული, ჯადოსნური, საამოდ სასმენი, ბგერების ნაცვლად იქაურობა რკინა რეზინის ხელკეტების ზუზუნსა და სათაყვანებელ ენაზე მეტყველი გამძვინვარებული შავსათვალიან, საღეჭ რეზინიან, შავ

ქურთუკ პერანგ-შარვალ - ფეხსაცმლიან, სახეალანძული ახალგაზრდების ლანძღვა - გინებასა და ბილწსიტყვაობაში ჩაიძირა. თუმცა, ეს მთლად საკვირველი და მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან წინა საღამოს, მილიციის სამმართველოს შეფის "სიტყვაკაზმული" სატელევიზიო გამოსვლის მერე, ცხადი გახდა, რომ "დემოკრატიული" ხელისუფლება კვლავაც მიმართავდა მრავალგზის წარმატებით გამოყენებულ ხერხს უმოწყალოდ

ეცემათ, არგასაგონად ელანძღათ უდანაშაულო ხალხი, დაეღვარათ სისხლი. ეს ყველაფერი იქ, ზევით დაიგეგმა, რითაც კიდევ ერთხელ დაუმტკიცდებოდა "ერთმორწმუნე" პატრონს ერთგულება და მოკრძალება. კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩენდნენ თუ როგორ იდევნება და იწიხლება სული ქართული, სიტყვა იბერიული, როგორ ითელება ნება ქართველებისა, უფლება ერისა და ეს სხვა არაფერია, თუ არა აშკარა უარყოფა ენისა, მამულისა, სარწმუნოებისა.

ეს იყო ქართული ენის შეგინების, აბუჩად აგდების, დაწიხლვისა და შეურაცხყოფის, ჩაქოლვისა და დასჯის, სიკვდილის დღე.

თუმცა, დამსჯელთა ბანაკს მიტმასნილმა ერთმა "ჟურნალისტმა" ქალმა, გაზეთ "თბილისის"ფურცლებიდან "შეძრულმა და გაოგნებულმა" გვაუწყა, რომ პრეზიდენტის მომხრეებმა საშუალება არ მისცა ქართული ენის საზეიმო აღნიშვნისა (ალბათ, "ჟურნალისტს" შარშან, ზაფხულში, თბილისობანასნაირად აღნიშნული "გაერობანას" დღესასწაულის მსგავსი პროვინციული სანახაობის ხილვა სურდა). ის კი გულმოდგინედ მიჩქმალა, "ვერ დაინახა", თუ რაოდენ სისასტიკითა და დაუნდობლობით გაუსწორდნენ "რაინდი" მილიციელები ქართული ენის ხელშეუხებლობის დამცველსა და ქომაგ ხალხს. მათგან დანთხეული სისხლიც, თურმე "საღებავი" ყოფილა, ოსტატურად რომ "გადაუსხამთ" მანდილოსნებს ჭაღარა თმებზე (!).

ვერაფერს ვიტყვით, ასეთია დღევანდელი "გამარჯვებულების" მოქმედების პრინციპი, ასეთია მათი სამეტყველო ქართული ენა. არ უნდა გვიკვირდეს, ასეთნაირად აღნიშნული ქართული ენის "დღე".

გაზეთი "ნათლისვეტი" 1993 წელი, აპრილი.

ისევ ისე, ძველებურად? არა, უარესად! ანუ თუ შენ ვერ ხვდები, მეზობელს მაინც მიხედე

თანამედროვე საზოგადოება მომსწრე ვართ რუსულ წითელი იმპერიის დამპყრობლურ გამანადგურებელი მოქმედებით მოყენებული სავალალო შედეგისა: ყველგან და ყველაფერში ჩრდილოელთა ენა და წეს კანონი გამეფდა.

დასტურად ნათქვამისა, ახლო წარსული გავიხსენოთ: ურიცხვი რუსულენოვანი ბაგა ბაღები, სკოლები, ყველანაირი რანგის სასწავლებლები, სამეცნიერო ხარისხების მოსაპოვებელი ნაშრომების ურდოს ცენტრში დამტკიცება (რუსული თარგმანის

წარდგენისა და ხშირად გვარიანი თანხის ანუ ქრთამის გაღების შემდეგ), იგივე ხერხით კინოსცენარით ფილმის გადაღების ნებართვის მიღება, უკლებლივ ყველა საწარმო დაწესებულებათა საქმეების მხოლოდ რუსულ ენაზე წარმოება, სულ უმნიშვნელო კრებისა თუ თავყრილობის დამპყრობლის ენაზე ჩატარება, მათზე სამარცხვინოდ წარმდგარი, თავმოყვარეობისა და ღირსების შემლახველი, ნაწვალები სლავურით მოლუღლუღე ხელმძღვანელი (ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წინამძღოლთა ჩათვლით). და კიდევ ერთი მთავარი ხალხის დამთრგუნველ დამბეჩავებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: უამრავი, ქართულს გათანაბრებული რუსული ჟურნალ გაზეთები, რადიო და ტელევიზია. ისიც ხომ კარგად გვახსოვს, როგორი სიმკაცრით მოითხოვა თბილისში ჩამოსულმა საძულველი იმპერიის მაღალჩინოსანმა ემისარმა უმაღლესი სასწავლებლების გადარუსება (!). ზღვარს გადასული სითავხედით დაპყრობა დამონების არნახული მოთხოვნა უსიტყვოდ ჩაყლაპა ვირეშმაკა სალდაფონის წინ მოხოხიალე საქართველოს მაშინდელმა "ხელისუფლებამ" და ჩვეული გულისამრევი მლიქვნელობით, თანხმობა და პირობა მისცა ნაბრძანების უმალ და უსიტყვოდ აღსრულებაზე.

უპირველესი გულმხურვალე მამულიშვილების, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინამძღოლების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მრავალწლიანი ბრძოლით მომწიფებული საერთო სახალხო ამოქმედების სამზადისი, სანატრელი მიზნის მიღწევისა და აღსრულების სახეს ღებულობდა. ოთხმოციანი წლების მიწურული იდგა, სასურველი გამარჯვების მოპოვების სანუკვარი ჟამი ახლოვდებოდა. ოთხმოცდაცხრა წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედია, მას შეწირულ მამულიშვილთა მსხვერპლი, ქართველთა ორსაუკუნოვანი

ბრძოლის გამარჯვებით დასრულების ცრემლიანი და სევდიანი წინაპირობა გახდა. აპრილის ამ სისხლიანმა დღემ ერთ, უძლეველ ძალად შეკრა ქართველები და უბედნიერეს დღეებამდე - 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, 1991 წლის 31 მარტამდე, 9 აპრილამდე და 26 მაისამდე მიიყვანა. ტანჯულ ნაგვემმა საქართველომ სისხლიანი იმპერიის მძიმე უღელი გადაიგდო და თავისუფალი, დამოუკიდებელი გახდა. ქართველებმა მთელი სისრულით შეიგრძნეს თავი საკუთარი მიწა წყლის პატრონებად, ბედნიერ ადამიანებს, ნებით არჩეული პრეზიდენტი და ეროვნული ხელისუფლება ყავდათ.

დაუვიწყარია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ის უტკბილესი და უნეტარესი პერიოდი თითოეული ქართველისათვის. და მარტო მათთვის არა ქართულ მიწაზე მცხოვრებმა სხვა ეროვნების ადამიანებმა მთლიანად გაიზიარეს ქართველთაგან მოპოვებული, გულით გაიხარეს მეორე სამშობლოდ აღიარებული ქვეყნის საზარელი იმპერიის საცეცებისგან თავის დახსნა. თუმცა, უცხოტომელთა გარკვეულ ნაწილს წინაპართა მიწისკენ გაუწია გულმა. მათ ყოველგვარი იძულებისა და ძალდატანების გარეშე, პირადი სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილებით, საკუთარი ნებით დატოვეს საქართველო და ქართველთაგან სიკეთე სითბომიგებულები, მადლიერები და კმაყოფილები გაემგზავრნენ სამშობლოში. დარჩენილები კი მონდომებითა და სურვილით შეუდგნენ ქართული ენის შესწავლას, რადგან მანამდე იმპერიული ბრძანებებითა და მოთხოვნებით დათრგუნვილებმა თვალნათლივ დაინახეს, შეიგრძნეს

უცხო ქვეყანაში ცხოვრების უპირველესი პირობის-სახელმწიფო ენის ცოდნის, მასზე ლაპარაკის აუცილებლობა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ხანმოკლე გამოდგა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ხანა. თანამდებობა და ძალაუფლებადაკარგულმა წითელმა პარტოკრატიამ, ერის "ზედა ფენის" სახელდაჩემებულმა მცირე ნაწილმა, მოსკოვს თავშეფარებულმა მოწინააღმდეგეებმა, ეროვნულ ხელისუფლებაში ჩაბუდებულმა შენიღბულმა

მოქიშპეებმა, კრემლში დაგეგმილ-შემუშავებული საზარელი გეგმითა და კაცთმოძულე რუსული ჯარის მოხმობით შეძლეს სისხლიანი, კრიმინალური გადატრიალების მოწყობა. თბილისის ძველი უბნებისა და გულის დანგრევა გადაბუგვით, თანამოძმეთა დაუნანებელი ჟლეტით, კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის ქვეყნიდან განდევნით, ისევ დამპყრობელსა და მტანჯველს უბოძეს ჯვარცმული მამული, ისევ რუსული ჩექმის, ჩრდილოელი, "ერთმორწმუნე ძმის" სახე და სახელნაცვალი, ათასგზის შემზარავი იმპერიის საჯეგ სათელად გახადეს იგი.

...და ზეობს მას შემდეგ ძირისძირობამდე გაპარტახებულსა და დაქცეულ გაუბედურებულ ქვეყანაში რუსთაგან ხელდასხმული "ხელისუფლება". კიდევ უფრო გაწითლებულმა "მმართველებმა" ყველაფერს ძველებური, იმპერიულ კომუნისტური წყობა და დანიშნულება დაუბრუნეს. ყველგან და ყველაფერს ჩრდილოეთის მზის მაფიცარი ძველები განაგებენ. მხოლოდ ეგ არის, რომ ადრე მიწაში ჩამარხულ ოქრო ბრილიანტსა თუ თვალმარგალიტს, ნაირგვარ უცხოურ ვალუტას დღეს უსირცხვილოდ ამზეურებენ, თვალწინ უტრიალებენ მათგან გაუბედურებულ გაღატაკებულ პატიოსან მამულშვილებს.

დღეს, ესენგედ წოდებული რუსეთის იმპერია, ადრინდელთან შედარებით, გაცილებით მძლავრად და საფუძვლიანად არის ფესვგადგმული საქარველოში. დაქცეულსა და გავერანებულ ქვეყანაში ჩიტი ვერ გაფრინდება კრემლის უნებართვოდ. ყველაფერი ისევ ისე ძველებურად, დამპყრობლის ნებით კეთდება. თუმცა არა, ადრინდელ შავბნელ ხანასთან შედარებით, დღეს ათასგზის საზარელი და უარესი მდგომარეობაა: დარღვეულია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა; დახოცილია, აწიოკებულია და ლტოლვილებად არიან გამხდარი ულმობლად დარბეული, ცეცხლითა და მახვილით მიწასთან გასწორებული მრავალი სოფლისა და ქალაქის მოსახლეობა; უდანაშაულო ადამიანებითა და პოლიტპატიმრებით არის გავსებული ციხეები; სულ უფრო იზრდება დანაშაულებრივი ქმედებანი; მძვინვარებს ყველანაირი სენი და დაავდება; კატასტროფულად ეცემა შობადობა; კატასტროფულად იზრდება უმუშევრობა, სიღატაკე, ნარკომანია, პროსტიტუცია, სიკვდილიანობა...

ქვეყნის ამ უძირო უფსკრულში ჩაჩეხვას და საბოლოოდ დაპყრობა დამონებას ფაქტობრივი ხელისუფლება კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის დაწყების პერიოდად ნათლავს. იგივეს იქმს მარიონეტულ რეჟმს დამორჩილებული რეაქციული, შავრაზმული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ადრინდელთან შედარებით, კიდევ უფრო იმატა რუსულენოვანმა გამოცემებმა და რაოდენ შეურაცხმყოფელია და მწარე, რომ მათგან უპირველესს "სვობოდნაია გრუზია" ჰქვია (!). ახლა თავიდან

ბოლომდე პოლიტიზებულ, უგემოვნო, უმდაბლესი ხარისხისა და პროფესიონალიზმისგან გამიჯნულ რადიო ტელევიზიას აღარ იკითხავთ? მდაბიურ, გამიზნული მოქმედების ბომბად ჩადებულ "ვესტნიკთან" ერთად, თანდათან მატულობს დამპყრობლისენოვანი გადაცემების რიცხვი. ასეთია ნება დამპყრბლისა და მბრძანებლისა, იგი სწრაფად და უთქმელად უნდა აღსრულდეს. და სრულდება შავი საქმე დაპყრობილთაგან მდუმარედ, განუზომელი სიხარულით.

...ისტორიულად ცნობილია, რომ სომხეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, არმენთა ქვეყანა მფარველისთვის ყოველთვის უერთგულესი მოკავშირე და საიმედო საყრდენი იყო კავკასიაში. დღეს ეს კავშირ საყრდენი მრავალგზის გამტკიცებულ გამაგრებულია, ურღვევია და მრავალსაუკუნოვანი (ღმერთმა შეარგოთ!).

და დაუჯერებელი საოცრება! ახლახანს გაზეთმა "კვირის პალიტრამ" (1996წ. N 3) ერევნის ერთადერთ რუსულ გაზეთ "ვრემიაში" (რომელსაც სომხები ალბათ მალე მოაშთობენ) გამოქვეყნებული წერილი "სომხეთში აღარაფერი დარჩა რუსულენოვანი მოსახლეობის გარდა" გაგვცნო. აი, რას გვამცნობს იგი: **"სომხური ენის დაცვის სახელმწიფო კომისიამ დიდი გამარჯვება მოიპოვა. წელს სომხეთში უკანასკნელად გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელოები. დღეს თუკი ვინმე გაბედავს თუნდაც ოფიციალურ დონეზე რუსულ ენაზე ხმის ამოღებას, უმალ უცერემონიოდ ჩააწყვეტინებენ ხმას.**

სომეხი ბავშვებიდან ერთეულებიღა თუ სწავლობენ რუსულ სკოლებში, რომელთა არსებობა უკვე აშკარად აღიზიანებთ შესაბამის უწყებებს და თუნდაც ერთ დღეს წაუღია წყალს, მათზე მზრუნველობას აღარავინ იჩენს. რუსული ჰუმანიტარული უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი

რუსულენოვანი სასწავლებელია, რომელსაც კატეგორიულად ებრძანა სასწავლებლად მიიღოს მხოლოდ რუსი ეროვნების და არავითარ შემთხვევაში სომეხი ახალგაზრდები, რომლებსაც სწავლა განათლების მიღება მხოლოდ მშობლიურ ენაზე მართებთ.

სომხური ენის დაცვის სახელმწიფო კომისიამ ყოველგვარი ხმაურის გარეშე გააუქმა დადგენილება, რომლის საფუძველზეც შერეული ოჯახის ბავშვებს უნდა ესწავლათ მშობლების მიერ ამორჩეულ ენაზე და შესაბამისი გადაწყვეტილებით მათაც კატეგორიულად მოსთხოვა ბავშვები მხოლოდ სომხურ სკოლებში შეიყვანონ, ხოლო რუსულ სკოლებს ასევე კატეგორიული მითითება მიეცათ, არ მიიღონ ამ კატეგორიის ბავშვები სასწავლებლად.

რაც შეეხება სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ორ არხს, იქ პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა რუსულენოვანი მაყურებლისათვის. ყველა ფილმი დუბლირებულია სომხურ ენაზე. მთელ სომხეთში წარწერები სომხურ ინგლისურ ენებზეა. (სტილი დაცულია, - გ. ჯ.)

დაგვეთანხმებით, წაკითხულის შემდეგ მართლა ძნელი დასაჯერებელია ერთგული ყმისა და მორჩილისგან მბრძანებელ მფარველისთვის მხარის ამგვარად აქცევა, უჩვეულო, მოულოდნელი რადიკალური ზომა ღონისძიების გატარება და ამოქმედება. არ ვიცით, მფარველის როგორი რეაქცია მოჰყვა უერთგულესი მოკავშირისა და

აღმსრულებლის უეცარ "ბწკენას", მაგრამ საფიქრებელია, რომ სხვა უამრავი პრობლემითა და საწუხართაგან შეშფოთებულ- აფორიქებულმა იმპერიამ ყველაფერი უჩუმრად ჩაყლაპოს და არაფერი შეიმჩნიოს. ეს კი ყველაზე მეტად აწყობთ მარადჟამს სარგებელის მაძიებელთ და

ზედმიწევნით ხელსაყრელ ვითარებაში მიღებული გადაწყვეტილებით, უდიდეს ეროვნულ საქმეს მოიკვარახჭინებენ. დარწმუნებული ვართ, რაოდენ თავდადებული და ერთგულად აღმსრულებელნი გახდებიან ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისა სომხეთში - რიგითიდან, პრეზიდენტამდე. სამაგალითოდ, ტერპეტროსიანის საქართველოში ბოლო

სტუმრობა გავიხსენოთ, როდესაც სომხებით დასახლებულ ჯავახეთში ჩასული, მშობლიურ ენაზე ესაუბრა თვისტომთ. მასპინძელი, საქართველოს "პრეზიდენტი" კი ძველებურად

"საერთაშორისო", ინტერნაციონალურ, დამპყრობლის ენაზე

მოესიყვარულა შეკრებილთ (?!).

სამწუხაროდ ასეა, საქართველოში ყველაფერი ისევ ისე ძველებურად, ჩრდილოელი დამპყრობლისაგან გაკვალულ კალაპოტში მიედინება. სისხლიანი იმპერია თავდაუზოგავად ცდილობს შემზარავი ჩანაფიქრის ქართველთა მოსრა განადგურების გაცხადებას იმათი ხელით, ვინც 1991 92 წლებში დაუნანებლად დაღვარა მოძმეთა სისხლი და ქვეყანას უპირველესი, დაუძინებელი მტრის, "ერთმორწმუნე მფარველის" მონობის უმძიმესი უღელი დაადგა.

მაგრამ, უძალოა და ფუჭი შავბნელი ზრახვანი ბოროტთა. უფლის მაღალი ნებით, კვლავაც გაერთიანებული მამულიშვილების გმირული ბრძოლით, რაინდული თავგანწირვით, ღვთისმშობლის წილხვდომილი იბერია გაბრწყინდება!

გაზეთი "თვალთაი"

1996 წელი, ოქტომბერი.

ბილწთ ნუ შეეკვრით!

"ხომ მსუბუქია ბატის ფრთა, მაგრამ კალმის მოსმას უფრო მეტი გამბედაობა ესაჭიროება, ვიდრე ხმლის მოქნევას".

დიდი კონსტანტინეს ამ ბრძნული ნათქვამით ზედმიწევნით ზუსტად არის მინიშნებული იმ ადამიანთა უდიდესსა და პასუხსაგებ მოვალეობაზე, კალმის მეშვეობით აზრის გამოთქმა, რჩევა-დარიგება, მოწოდება თუ მიმართვა რომ მიუჩნევიათ ერისა და მამულის სამსახურად. დღეს საქართველოში უამრავ პიროვნებას

უპყრია ხელთ იგი და დიდოსტატისაგან თქმულის საპირისპიროდ, დაუფიქრებლად, დასაძრახი და ზიანის მომტანი სითამამით ამოქმედებს მართლაც ბატის ფრთისებრ მსუბუქსა და ხშირად უმძიმესი სავალალო შედეგის მარგუნებელ კალამს. ამჯერად, კალმოსანთაგან მხოლოდ ჟურნალისტებზე, მათგან უდიდესი პასუხისმგებლობით გასაკეთებელზე გვინდა ვთქვათ და წმინდანად შერაცხული ერის მამის, ილიას სიტყვები შევახსენოთ: "თუ წინსვლა და გამარჯვება გვინდა, ნაკლისა და ხარვეზის მხილებას არ უნდა მოვერიდოთ. პირუთვნელად უნდა ვამხილოთ ყოველი დასაგმობი და უვარგისი".

სამწუხაროდ, ქართველი ჟურნალისტების უმრავლესობისთვის მიუღებელია დიდი მწერლის ეს ჩაგონება, რადგან პროფესიონალობას გამიჯნულები და ლაჩრები, თეთრის შავად წარმომჩენები, სიმართლის ჩამქოლავები და სიცრუის, ტყუილის მომწონებელ მქადაგებლები, საკუთარი ნება-სურვილით დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლების ადვილად სამართავ უმარტივეს, შესაბრალის ტიკინებად გადაქცეულან. ამიტომაც არის, რომ უფსკრულში ჩაჩეხილ საქართველოში, ჟურნალისტიკაც იგივე დღეშია. თითქმის ყოველდღე გამოსულ ახალ გაზეთსა თუ ჟურნალს თავისი წილი შეაქვს მის დაკნინებასა და გაუბრალოებაში. ამას მარტო პრესაზე როდი ვამბობთ, იგივე დღეშია რადიო და ტელევიზიაც. არც არის გასაკვირვი, რადგან ზემოხსენებული "კალმოსან-პოლიტიკოს - მოსაუბრეებზე" დაყრდნობილი პროვინციული, მდაბიური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მათივე სულის, გემოვნების, გონებისა და თვალსაწიერის "ხელისუფლების" ანტიხალხური, ქვეყნის დასაქცევად გამიზნული მწირი, უკიდურესად იაფფასიანი ნააზრევის გამავრცელებელ

საშუალებებს წარმოადგენენ.

ნათქვამის დასტურია ყოველდღიური დეზინფორმაციული რადიო და ტელეგადაცემები. სიმართლისა და კანონიერების უარმყოფელი, სიცრუის, ტყუილის, სამარცხვინო და წყალწყალა ინფორმაციებით, ინტერვიუებით, "პუბლიცისტური" წერილებით ამოვსებული ოთხასამდე "გაზეთი", დაუფარავად რომ წარმოაჩენენ თავიანთი, დიქტატორული რეჟიმისადმი გამოხატულ თანხმობის პოზიციას. კანონიერი ხელისუფლების, მისი მხარდამჭერი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელისა და ღირსების შემლახველ "ჟურნალისტებს" ოდნავადაც არ აფიქრებთ მათგან შეთითხნილ -შეკოწიწებულს თანმოყოლილი უმძიმესი შედეგები და სულგაყიდულები, სისხლისღვრით აღზევებული, მაფიოზურ კლეპტოკრატულ კომუნისტური რეჟიმის მარადჟამს არსებობის იმედით სულდგმულობენ. იარაღით დამკვიდრებულთაგან

გადმოგდებული გამოხრული ძვლებითა და ნასუფრალით დაპურებული "კალმოსნები" მზად არიან ნაირგვარი ჯურის საეჭვო სამსახურებისა თუ "ორგანიზაცია-დაწესებულებების", შავ სამყაროსთან შეკრულ-წილნაყარი "პარტიებისა თუ საზოგადოებების", ბიზნესმენისა და ქველმოქმედის სახელმიწებებული თაღლითებისა და მაფიოზების "პრეს-კონფერენციებზე" დასასწრებად, მეორეკლასელთა სუფთა წერის დარად რომ ჩაამწკრივებენ ხოლმე მაგიდებთან, მზაკვრული ჩანაფიქრის პრესით, რადიოთი და ტელევიზიით გავრცელების მოსურვილე მასპინძლები. და ისინიც, მორჩილი და უაზრო რობოტები, ორიოდე ჭიქა კოკა-კოლასა თუ სპრაიტის

გადაყლურწვის სანაცვლოდ, მზად არიან ყველანაირი ბინძური დავალების შესასრულებლად. მართალია, იგი დავალება უკიდურესად უხარისხოდ, შესაბრალისი ღიმილის მომგვრელი შინაარსითა და ფორმით სრულდება, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. მთავარია შავბნელი სურვილებისა და მიზნების, შხამისა და ბალღამის, ჭუჭყისა და სიბილწის, ქვეყნის დასაქცევი, ერის გასანადგურებელი ავი ზრახვების რაც შეიძლება სწრაფად, შეუფერხებლად გადმოფრქვევა.

მართალია ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი არც მათს გაზეთებს კითხულობს, არც რადიოს უსმენს და არც ტელევიზიას უყურებს, მაგრამ "მმართველთაგან" დავალებამიცემული საეჭვო გაზეთების დამფინანსებლები და პატრონები, უკანონოთაგან დაპყრობილი რადიო-ტელევიზიის მესვეურები, ჩვეული უტიფრობითა და შეუპოვრობით ესწრაფვიან ადამიანთა

დათრგუნვასა და დამონებას, რაც შეიძლება ადვილად სამართავ-

დასამორჩილებელ არსებებად გადაქცევას. საამისოდ, შესატყვისი "არსენალიც" სრულ მზადყოფნაში ყავთ და წერენ შეუსვენებლად, მოუღლელად ლაპარაკობენ დეზინფორმაციის, ცილისწამების მთხზველი, შეურაცხყოფის მიმყენებელი, გესლისა და სამსალის გადმომნთხეველი დაბოღმილი, შურიანი "ჟურნალისტები".

თუმცა, ეს ყველაფერი არც აღსაშფოთებელია და არც შესაცხადებელ გასაკვირვი, თუკი კვლავაც ილიას მოვუსმენთ: "ვინც ლაფში თავიდან ფეხებამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს". ჰოდა ასე, ფერი ფერსაო! ვინც მუსიკას უკვეთავს, "მელოდიაც" მისი გემოვნების, მისთვის გასაგებად არის შეთხზული და შემსრულებლებიც მათი მოთხოვნილების შესატყვისნი, მათს განწყობაზე მორგებულები არიან. ნურც იმას დავივიწყებთ, "ვისგან" და რომელ "სასაწავლებლებში" არიან დამოძღვრილები საგანგაშოდ მომრავლებულ მოვლენილი "კალმოსნები". განა შეიძლება ყვავ-ყორნის ბუდიდანვე ლეშსა და მძორზე დაგეშილ ბახალებს, ბულბულის ბუდეში დაფრთიანებული ბარტყების კეთილხმოვნება, სიმშვიდისა და სილამაზის სიყვარული მოვთხოვოთ? ამიტომაც ნუ გავიკვირვებთ დღევანდელ "ჟურნალისტთა" თავლუწვდენელი ფარის შემსწრენი, უძალო ბღავილით რომ ცდილობენ "მწყემსად" მოვლენილისთვის ფეხის აწყობას და მას, მგელსა და დაუძინებელ მტერს მიიჩნევენ მფარველად და მხსნელად.

დიდად შესაბრალისნი და საცოდავნი არიან უილაჯო ფარად შეყრილ-შეგროვებული, ე.წ. მეოთხე ხელისუფლების გონებაარეული, სიმართლისა და წეს-კანონის მოშიში, პატიოსნების გამთელავი, მამულის დაცვისა და გადარჩენის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებული პიროვნებების მლანძღავ მაგინებელი "კალმოსნები", შავი სახადივით რომ გაურბიან ჭეშმარიტებას და საკუთარი აზრის უქონელნი, მოლაყბე თუთიყუშებად შთენილნი, საცოდავი ნაცოდვილარით ანაგვიანებენ ეთერსა და ურიცხვ ჟურნალ-გაზეთებს... და მათ, ისევ ბრძენკაც ილიას სიტყვები გვინდა ვამცნოთ: "ყოველი სიტყვა აზრის წარმომადგენელია". ცხადია ერის მამა, ადამიანურ, კაცურ სიტყვაზე მიანიშნებს და არა მუცლით

მხოხავთაგან და მაბეზღარა მლიქვნელთაგან, კაცთმოძულე და ადამიანის სახედაკარგულ არსებათაგან ამოთქმულ სიყალბით გაჯერებულ აბდა უბდაზე.

ვფიქრობთ, საკმარისია და მეტის თქმა აღარაფრისა გახლავთ საჭირო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა "გამწევ ძალაზე", იმ მრავალრიცხოვან "ჟურნალისტებზე", აზრდაბნეულნი, უბადრუკი ლაქიების დარად რომ ემსახურებიან ქვეყნის დამაქცევართ და თავიანთი დასაძრახი ქმედებით, ქართველთა უდიდესი მართალი ნაწილის რისხვასა და წყევლა კრულვას იმსახურებენ. ვფიქრობთ, მართალი თანამემამულეებისაგან შერისხული "ჟურნალისტები" დროულად იფიქრებენ გონზე მოსვლასა და გამოფხიზლებას, უარს იტყვიან ბინძურ დავალებათა შესრულებაზე, რათა მათი სახელები აუგად არ მოიხსენიოს დღევანდელი შემზარავი გაზეთების წამკითხველმა მომავალმა თაობამ. არა გვგონია, "კალმოსანთა" გზააბნეულ ფარაში მყოფთა მცირე ნაწილმა მაინც არ მოისურვოს სხივდაბნელებული თვალებიდან ლიბრის გადაცლა და ნათელის დანახვა, სმენადაბრუნებული ყურებით სიმართლის გაგება და აზრმოცემულებმა, საღად იწყონ განსჯა. მართალია გვიან, მაგრამ ამჯერად მაინც ირწმუნონ, რომ ადამიანები არიან და არა ბილწთაგან სამართავი უსულო ტიკინები.

გაზეთი"საქართველოს სამრეკლო"

1998წელი, თებერვალი.

თქვენ იხარეთ, ოღონდაც

მესამე ტკივილიანი აპრილი დაგვიდგა ქართველებს. სიცოცხლის გამახალისებელი, ახასხასებულ აზურმუხტებული თვე გულს გვიმძიმებს და სევდით გვთრგუნავს, იმ საზარელ განთიადს გვახსენებს. დილა მზიანი იყო, მაგრამ ქართველთათვის დაბნელებული და შემაძრწუნებელი, ამაყი სულისა და გენის, მდაბიო და ბინძური წარმონაქმნისაგან ხელყოფილი. 9 აპრილი წამებული საქართველოს, ტანჯული მაგრამ დაუმორჩილებელი დიდბუნოვანი ქართველი ერის ტრაგიკული ისტორიის სისხლში გავლებული ფურცელია. მასზეა ჩამოწერილი ყველა ის სისხლდანთხეული, უჯიშოებმა და ჯალათებმა თვალწინ რომ ამოგვიხოცეს. ფიზიკურად მოგვისპეს მშვენიერი მანდილოსნები და ასულები, გულადი ვაჟკაცები და ჭაბუკები. თუმცა, მათს მებრძოლსა და სპეტაკ სულებს ვერაფერი დააკლეს, რადგან ბოროტი და ეშმაკი ვერასდროს დაჯაბნის კეთილსა და ანგელოზს. სამშობლოსათვის თავდადებულნი უმალ ზეცად ამაღლდნენ, კუთვნილი ადგილი ჰპოვეს წმინდა სასუფეველში.

.... მშვიდი ღამე იყო. ყველანი ერთად ვიყავით, გულანთებულები და აფორიაქებულები, ყველას ერთი ოცნება გვქონდა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა. მერე უსინათლო გოგონამ შავლეგო წამოიწყო, ბევრი აჰყვა, ცეკვაც გაჩაღდა. რა ბედნიერები ვიყავით , უამრავი აციმციმებული სანთელი უფრო მეტად გვინათებდა, გვიწმინდავდა სულსა და გონებას.

ვიღაცამ დაიძახა ტანკები და ჯარისკაცები მოდიანო. არ შევდრკით, ან კი ვისი უნდა შეგვშინებოდა, ჩვენ ხომ ლოცვითა და ცეკვა სიმღერით ვამბობდით მთავარ სათქმელს. ვიფიქრეთ, დაუპატიჟებელნი და უსურველნი მალე გაგვეცლებოდნენ, თავს

დგვანებებდნენ. მაგრამ, ეშმაკი და სატანა ადვილად როდი ამარჯვებინებს ანგელოზსა და წმინდანს. დასაწყისში ხომ ყოველთვის ბნელი და ბოროტი ჯაბნის სინათლესა და კეთილს. ის განთიადი რაღად იქნებოდა გამონაკლისი, მითუფრო ჩვენთვის, მრავალგზის ნატანჯ

ნაგვემი ქართველებისთვის.

და დაგვერივნენ სისხლის მხვრეპელნი ბასრი ნიჩბებითა და მხუთავი

გაზით, უმოწყალოდ გვჩეხეს, სწრაფად მომაკვდინებელი შხამი გვასხურეს.

ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. თუმცა, ისეთი რა უნდა გითხრათ, ბევრი ხომ თავათ იყავით მხილველი იმ ბარბაროსული, კაცთმოძულე ქმედებისა, მთლიანად საქართველომ და ჰუმანურმა მსოფლიომ კი ვიდეოჩანაწერით არაერთხელ იხილა ენით აუწერელი საშინელება. სხვადასხვა ასაკის ადამიანებმა იქ დავასრულეთ მიწიერი არსებობა, უამრავი კი შხამიანი გაზით მოიწამლა. სხვა მეტი მანდაური ვერაფერი გავიგეთ და დავინახეთ, რადგან ზეციურ სამყაროში ავმაღლდით, სულიერ სასუფეველში დავიმკვიდრეთ სამყოფელი.

ზეცად ამაღლებულთა მზერა უპირველესად საყვარელი მამულის, სისხლიანი რბევის ადგილს მისწვდა. გულსაკლავი სანახავი იყო ტრაგედიის ადგილი, დამპყრობლის ავტომატმომარჯვებული პირქუში და უგულო ჯარისკაცები დაპატრონებოდნენ იქაურობას, საზარელ დუმილს მოეცვა სისხლდანთხეული მოედანი და გადაქელილ გავერანებული გამზირი. მერე დედა ქუჩას გავაცილეთ მზერა და ვაი თავო ჩვენო, უფრო მეტად დაგვეცა თავზარი მთელი საქართველო აფოფრილიყო და მოთქმით დაგვტიროდა დაღუპულებს, ცრემლი სდიოდა დიდ პატარას, დამბლადაცემული იყო და გაოგნებული ქართველობა. იმ ღამეს არავის ეძინა საქართველოში. მეორე დღეს ყვავილებით დაიფარა სისხლით მორწყული მოედანი, ძაძებში გაეხვივნენ ქართველები, მოწამლულებით გაივსო საავადმყოფოები, კომენდანტის საათი ნაადრევად

აუკაცრიელებდა მგლოვიარე დედაქალაქს. მაშინ კიდევ რამდენიმე ქართველი ემსხვერპლა ამ არაადამიანურ წესს, ვერა და ვერ დაიცხრეს ჯალათებმა სისხლის წყურვილი.

უდიდესი პატივი მოგვაგო ერმა, დამახასიათებელი თავშეკავებითა და განუზომელი მწუხარებით მიაბარა ჩვენი ნეშტები ცრემლით გაბანილ მადლიან მიწას. ყველაფერს ვხედავდით, ყველაფერი გვესმოდა, მაგრამ ზეცად ამაღლებულებს არ შეგვეძლო სამადლობელი შემოგვეთვალა დამწუხრებული ერისთვის. იმითღა ვინუგეშეთ სულნი ჩვენი, რომ ვიცოდით, მომხდარით საბოლოოდ გამოღვიძებული ქართველობა, აღარ დაიცხრობდა ადუღებულ გონებას და ახლა მაინც აღარ დათმობდა

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის მოახლოებულ შესაძლებლობას. ჩვენდა გასახარად, აგვიხდა სურვილი. ხალხი სწორი და მართალი გზით წავიდა, ანდა სხვანაირად რად მოიქცეოდა, როცა წინამძღოლებად ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ჰყავდათ.

თუმცა, ბნელი ძალებიც არ მოეშვნენ, არც მათ დაიკრიფეს

გულხელი, იცოდნენ ახლა უფრო მეტად მართებდათ ქართველთათვის ფეხის დადება და ზურგში მახვილის ჩაცემა, ძმათა წაკიდება, თავის მიწაზე შეფარებული და სითბოგანაწილებული უცხო ტომების დაპირისპირება. ასე დაიწყო ქვემო ქართლის აშლა. ისევ დაიხოცნენ ქართველები და ისინი ჩვენ სულთა სამძოს გულსატკენ ნამატად გადაიქცნენ, ნამდვილად არ გვინდოდა ამგვარად ზრდა და მატება. მაგრამ, სულთა შფოთვა-ღელვაზე და სურვილზე არ იყო ეს დამოკიდებული, თურმე უფალი კვლავაც გვიმზადებდა განსაცდელსა და საწუხარს.

აფხაზეთის ჯერი დადგა. ზეციდან დავყურებდით სოხუმში დატრიალებულ უსამართლობას, დავინახეთ მართალ ქართველთა სიკვდილი და ჩვენი კვნესა-ვარამი უხმოდ ჩაინთქა ერის მორიგ გოდება-ვაებაში. ისევ გაიზარდა ჩვენი სულების სამძო. მაგრამ, მაინც არ ვიქეცით ჯაბნებად, ხელი არ ჩავიქნიეთ.

რა ვიცოდით, რაოდენ დიდი, უზომო უბედურება გველოდა თურმე ოქტომბრის იმ შავსა და მოღუშულ დღეს, მეხი დაატყდა სრულიად საქართველოს იბერიელთ მერაბ კოსტავა

გამოეცალათ ხელიდან. ისევ წამოვიდა ცრემლის ნიაღვარი, ისევ გაეხვივნენ ძაძებში ქართველები. ვხედავდით, გვესმოდა როგორ ხარობდნენ შინაური თუ გარეული მტრები ჩვენს ურვასა და დაღონებაზე, ფიქრობდნენ, ახლა მაინც დავეცემოდით, გავნადგურდებოდით. მაგრამ, პირიქით მოხდა, უზომო მწუხარებამ კაჟივით გაამაგრა ხალხი და ერთად შეაკვრევინა პირი, უფრო მეტად გაუღვივა სურვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისა. დავყურებდით სათაყვანებელი ერისკაცის წმინდა სავანეში დაკრძალვას და უდიდეს ტკივილთან ერთად, მხურვალე ლოცვას ვუგზავნიდით ერს, უმძიმესი დარტყმის ამგვარად მონელების, შეკვრა შეკავშირების გამო. მას მერე ჩვენთან არის ეროვნული გმირის სული, გვწინამძღოლობს და გვამხნევებს, გაუნელებელი ლოცვა კურთხევით აღვავლენთ მხურვალე სურვილს, უმთავრეს ვედრებას უფლისადმი მალე გადმოგვახედოს თავისუფალ, საკუთარი თავის ბატონ- პატრონ იბერიაზე. მალე იქნებაო, გვარწმუნებს წინამძღოლი, ისევ ლოცვა ვედრებისკენ მოგვიწოდებს და ყველანი ქართველთა შეკავშირებასა და თანხმობის დამყარებას ვნატრობთ.

მაინც გრძლად, დამღლელად გვეჩვენება ქართველთა სანუკვარ მიზნამდე მისაღწევი გზის გასავლელი დრო. თუმცა, დღემდე კარგა გვარიანი მანძილია გავლილი, მაგრამ ვაი, რომ იგი ეკალ-ძეძვიანია, ცრემლითა და სისხლით დამბალი. მისი გავლისას წარმატებაც იყო და სიხარულიც, მაგრამ მარცხი და ტკივილი მაინც სჭარბობდა. დავყურებდით და სული გვინათდებოდა შეკავშირებულებს, შეთანხმებულებს რომ გხედავდით, ვიტანჯებოდით და სული გვითრთოდა დაყოფილებსა და დაპირისპირებულთ რომ გიმზერდით. ასეთ შემთხვევაში მომეტებულად ვშფოთავთ და განვიცდით, უზომოა ჩვენი წუხილი და ტანჯვა. ნეტავ იცოდეთ როგორ გვტკივა, როგორ გვანადგურებს თქვენი უპირობა და შუღლი, განზე ყურება და ერთმანეთზე აუგის თქმა.

ყველაზე დიდი სიხარული შარშან, ოქტომბერში დაგვეუფლა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გადავიტანეთ ის ბედნიერი და ნანატრი დღე. თუმცა, რას ვამბობთ, რატომაც ვერ უნდა წარმოიდგინოთ, განა თქვენ არ იყავით შემქმნელნი მისი? როგორც იქნა ქართველებმა ხმამაღლა, დაუფარავად, თავისუფლად თქვეს და გააკეთეს უმთავრესი საქმე ღირსეულთ და სასურველებს ჩააბარეს სამშობლოსა და ერის ბედი, მომავალი. წინამძღოლობაც დიდებულ ერისკაცს მიანდეს, თანამოსაქმეებიც საიმედონი და სასურველნი მიუჩინეს.

გავიხარეთ, გავლაღდით, თვალში გამოვიხედეთ, თუმცა ბედკრული სამშობლოს ბედის მცოდნეებს მაინც შიში გვქონდა, კვლავ ტკივილისა თუ უსიამოვნების მიყენებისა. და აკი არც გვიმტყუნა უხილავმა ქვენა გრძნობამ. საქართველოს უძველეს კუთხეში დანთებული ცეცხლის მწარე კვამლმა შეგვაღონა ამჯერად. უმადურმა, სულგაყიდულმა, ჩვენი გულის სითბოთი და ადამიანურობით ნაბარტყევ მომრავლებულმა ოსებმა ენით უთქმელი უბედურება დაატრიალეს. უკვე მერამდენე თვეა ვუყურებთ ქართველთა ძნელად მოსათმენ აწიოკებას, რჩეულ ვაჟკაცთა უმოწყალოდ ხოცვას, ველურად და მუხანათურად ანგარიშის გასწორებას, ჩვენი ხალხის აყრასა და ოსების უადამიანობით სულშეძრულებს ძალზე გვიჭირს დამშვიდება, გონიერების მოხმობა. მაგრამ, ახლა თითქმის გვიბრუნდება საღი განსჯის უნარი, ისევ ჩვენი ხალხის სიბრძნის, თავშეკავების, გონიერებისა და ჭკვიანური მოქმედების იმედი გვაქვს. განა ვის უნდა ვუმტკიცოთ, რომ მართლები ვართ და სწორედ ვიქცევით, ყველაფერი ხომ თვალნათლივა ჩანს. მოსკოვიდან წამოსულ სისინსა და დაუშურვებლად ბოძებული იარაღის ხმარებას სულ მალე ქართული ჭკუა, ღონიერი მარჯვენა დაასამარებს, იბერიელთა მოთმინებასაც თავისი მიჯნა გააჩნია. სამარდისო დიდება სამაჩაბლოსთვის თავდადებულ ვაჟკაცებს, მათი სულები ახლა ჩვენს ლაშქარს არიან შემოერთებული და აფორიაქებული დასტრიალებს მამულის, ერის, ბედ-იღბლის ხვალინდელ დღეს.

მომეტებულად მოგვეძალა ფიქრი და დარდი მარტის ბოლო დღეებში. ან კი რა დაგვამშვიდებდა, ქართველებს ხომ უდიდესი გამოცდის ჩაბარება ელოდათ მათ ოფიციალურად, მტკიცედ უნდა განეცხადებინათ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენაზე.

მზერაგამხვილებულები დავყურებდით, სულგანაბულები ვუსმენდით იბერიას 31 მარტის გარიჟრაჟიდან საღამომდე. გვიხაროდა, ვნატრობდით ქართველთა, მათს მიწაზე მცხოვრები სხვა ერების მიერ თანხმობის ერთსულოვნად, მხურვალედ გამოხატვას. როგორი ბედნიერები ვიყავით თქვენთან ერთად, ზეცად ამაღლებულები. ეს ხომ უდიდესი მოვლენა იყო, დაჯერებით გადადგმული გადამწყვეტი ნაბიჯი საბოლოო მიზანთან და სურვილთან მიახლოებისთვის.

იმისი იმედიც მოგვეცა, რომ განზე გამდგარნი და ალმაცერად მომზირალნიც შემობრუნდებიან, მხარს გაუსწორებენ, თანხმობას მისცემენ ქართულ პარლამენტს, მის თავკაცებს. გვჯერა, საბოლოოდ დარწმუნდებიან მხოლოდ ამგვარად მოქმედების სისწორესა და აუცილებლობაში. რომ მხოლოდ ერთად ყოფნით, ერთი აზრით, მიტევებითა და ურთიერთსიყვარულის გამჟღავნებით დადგება დღე ნეტარი და სანატრელი.

...ისევ დადგა 9 აპრილის განთიადი საქართველოში. სევდა მოგვეძალა ზეცად აღვლენილებს, უფალმაც თანაგვიგრძნო და მზე არ გააკარა იმდღეს იბერიას, თუმცა რა ვიცოდით, თურმე რაოდენ დიდსა და განუზომელ ბედნიერებას გვიმზადებდა. იმ დილით შეკრებილმა ქართულმა პარლამენტმა წინამძღოლის წინადადებით უმთავრესი გასაკეთებელი აღასრულა საქართველოს დამოუკიდებლობა აღსდგა. დარბაზში ატეხილმა ტაშისცემამ და შეძახილებმა შეგვძრა. ნეტარებით ატირდა ცად ამაღლებული ყველა ქართველის სული და სწორედ ჩვენი ცრემლები იყო, იმ დღეს გაუჩერებლად რომ აწვიმდა საქართველოს. დავყურებდით ყვავილებსა და ქართველებში ჩაძირულ ჩვენი აღსრულების ადგილს და ხმას ვუერთებდით აქაური წინამძღოლის, ლომგულ მერაბ კოსტავას ღმერთისადმი

აღვლენილ ვედრებას სამშობლოს გადარჩენაზე, ქართველთა ერთიანობაზე.

იყავით ერთად, ხმა და ძალაგაერთიანებულები დადექით მამულის

დასაცავად, სისხლიანი მარწუხებიდან თავის გამოსახსნელად, იბერიის სამარადჟამო გასაბრწყინებლად. ჩვენ კი ტანჯულნი და წამებულნი, მაგრამ მაინც ნეტარნი და ზეცად ამაღლებულნი, ჩვენსას გავაკეთებთ, ზეციურ ფარად დავეფარებით მრავალტანჯულ სამშობლოსა და უდრეკ ერს, ლოცვა - ვედრებას არ მოვაკლებთ ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, მის მკვიდრთ, მათს ჭკვიანსა და უშიშარ წინამძღოლ ზვიადს. იარეთ იმ გზით, რომელსაც იგი ადგას ის თავისუფალ საქართველოსთან მიდის.

ეს არის ჩვენი გაუნელებელი ფიქრი, მალე ასახდენი ოცნება. თქვენ იხარეთ ოღონდაც, იბედნიერეთ სამშობლოს თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, იბერიის გაბრწყინებით და ჩვენს ნაგვემ ნაიარევ სულს, ნებით შეწირულად ჩავთვლით. ალალი იყოს და უყვედრებელი.

1991 წელი, აპრილი

"განაჩენი" საბოლოო არ არის ანუ წრე უკვე შეკრულია

იარაღით მოსული ფაქტობრივი ხელისუფლება ოთხი წელია თავგამოდებული გვიმტკიცებს ერის "გამთლიანებასა და სიმშვიდის დამყარებას". მაგრამ, საღად მოაზროვნე ყოველი ადამიანისთვის დღესავით ნათელია "ხელისუფალთა" სამარცხვინო და ყალბ მცდელობას დაპირისპირებული სავალალო სიმართლე ქვეყანა უფსკრულშია ჩაჩეხილი. აზრი არა აქვს უკიდურესად გაჭირვებული, მოღლილი მოსახლეობისთვის თავსდატეხილი უდიდესი უბედურების, ტრაგედიის ყველა ნიშნის ჩამოთვლას, რადგან ყველაფერი პატიოსან ადამიანებს საკუთარი მხრებით გადააქვთ. ამის მიუხედავად, ერთზე მაინც გვსურს მივაპყროთ მკითხველის ყურადღება, რადგან სხვათაგან გამორჩეულად, ბოლოხანს იგი მომეტებულად მოგვეძალა და ლამის არის ყოველდღიურ მოვლენად გადაიქცეს. ეს არის ტერორიზმი, ყველა თავისი შემზარავი დასასრულით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დრომდე, ფაქტობრივი ხელისუფლების არსებობის პერიოდში მომხდარი ყველა "ტერორისტული აქტი", კანონიერი პრეზიდენტის მომხრეებს ბრალდებოდათ, რაც დაპატიმრებულ პიროვნებებზე უმძიმესი და გაუსაძლისი ფიზიკური ზემოქმედებით "დასტურდებოდა". სწორედ "სამართალდამცავი" ორგანოების მუშაკთა "მაღალპროფესიული და თავდაუზოგავი" გარჯით გახდა შესაძლებელი ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქების, ტელევიზიის შენობის "აღებისა და სატელევიზიო ანძის აფეთქების, ყვარლის ტყის" საქმის

მონაწილეთა, საქართველოს ყველა კუთხე კუნჭულში მოთარეშე "ტერორისტების" ოპერატიულად დადგენა და დაპატიმრება. თუმცა იყო ისეთებიც, მაგალითად ქალაქის პროკურორ მ. ქურდაძის, ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურის თანამშრომელ ფ. ვუდროფის, გ. ჭანტურიას, გ. გულუას, ს. ხაბეიშვილის მკვლელობებთან დაკავშირებული და სხვა "ტერორისტული აქტები", რომელთა მომწყობ განმხორციელებელთა გამოაშკარავება "ვერა და ვერ" მოხერხდა.

მარკოზის სახარება გვამცნობს: "არაფერია დაფარული, რომელიც

არ გაცხადდება, რომელიც არ შეიტყობა". და არც დაიმალა ესოდენ

ძნელად დასადგენი "ჭეშმარიტება", თითქმის ამოუხსნელი საიდუმლო, ერთბაშად "გახსნილი და ამოცნობილი" გახდა. სათავე კი სიმართლის "პოვნასა და გამოაშკარავებას" 29 აგვისტოს, იმელის ეზოში "8-10 კილოგრამი" ტროტილის (მოგვიანებით, ტელევიზიით გვაუწყეს, რომ 200 გრამი ყოფილა) აფეთქებით განხორციელებულმა "ტერორისტულმა აქტმა" დაუდო. მომხდარიდან სამიოდე კვირის შემდეგ რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა დამნაშავეების სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შეფის ი. გიორგაძის, მისი მოადგილის თ. ხაჩიშვილის, მაშველთა კორპუსის უფროსის გ. გელაშვილის, მისი მოადგილის ლ. ჭელიძისა და სხვათა დაპატიმრების სანქციები გასცა. მაგრამ, საქართველოდან "გაქცეული" ი. გიორგაძე და უკვე დაპატიმრებული დანარჩენი დამნაშავეები თურმე მარტოოდენ 29 აგვისტოს "ტერორისტული აქტის" მომწყობ განმხორციელებლები არა ყოფილან. მალევე გვამცნეს, რომ მანამდე "გულმოდგინე ძებნა ძიებით" რატომღაც "ვერ ნაპოვნი" გ. ჭანტურიას, გ. გულუასა და .ს ხაბეიშვილის მკვლელებიც იგივენი ყოფილან. ასეა, როდესაც "მოინდომეს" სამძებრო და "სამართალდამცავმა ორგანოებმა, დროის უმცირეს მონაკვეთში "მიაგნეს" დამნაშავეებს. მაგრამ, რტომღაც არა ჩქარობენ სხვა "ტერორისტული აქტების" მომწყობთა

გამოაშკარავებას, მათთვის კუთვნილის მიგებას ისე, როგორც ეს "ყვარლის ტყის", ჩიქოვანის ქუჩის "ამფეთქებელთა, ტელევიზიის დამკავებელთა, სატელევიზიო ანძისა და ხიდების გამანადგურებელთა" მიმართ მოიმოქმედეს.

ჩამოთვლილიდან, გამორჩეულად ჩიქოვანის ქუჩაზე ჯ. იოსელიანზე "თავდასხმის" მოტივით, 1992 წლის 13 ივნისს მომხდარ "ტერორისტულ აქტზე" გვინდა შევჩერდეთ, რომლის "მომწყობთა ოპერატიულად დადგენაში" უდიდესი წილი ჩაიდო მაშინდელი საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის უფროსის მოადგილე თ. ხაჩიშვილმა. ასე შეითითხნა შემზარავი ბრალდება ინჟინერ **ირაკლი დოკვაძისა** და ექიმ **პეტრე გელბახიანის** მიმართ, რომელთა ხელში ჩასაგდებად ჩვეული ბინძური, ლაჩრული

ხერხები იხმარეს. ამგვარად გარჯისთვის, სახელმწიფო საბჭოს თამჯდომარე ე. შევარდნაძემ ერთგულ თანამოსაქმე თ. ხაჩიშვილს მადლობა გამოუცხადა (მალევე შინაგან საქმეთა მინისტრობაც უბოძა). სექტემბერში, სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა ტერორიზმთან და დივერსიასთან ბრძოლის შტაბი შექმნა, რომელსაც თ. ხაჩიშვილი ჩაუდგა სათავეში. სწორედ ამ შტაბის დამსახურება გახლავთ საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა "საზარელი ჩანაფიქრებისა და ზრახვების გამოაშკარავება". მათ გეგემაში ყოფილა ქვეყნის "მმართველთა, სახელმწიფო საბჭოს წევრების, ინტელიგენციის განადგურება, მეტროს, ტელევიზიის, ენერგოკომპლექსების, საარჩევნო უბნების აფეთქება". და რაც ყველაზე დასაფიქრებელია, თ. ხაჩიშვილმა "შეძლო ყველაზე დიდი მოსალოდნელი უბედურებისა და ტრაგედიის თავიდან აცილება" ზვიადისტების მიერ "გროზნოში შემუშავებული ე. შევარდნაძის მოკვლის გეგმა შეიტყო". 1992 წლის ოქტომბერში, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილში "კრახი", იგი წერდა: "**ტერორისტები აპირებდნენ დანაღმული ავტომობილის იმელთან დაყენებას და აფეთქებას** " (!). მკითხველი დაგვეთანხმება, რომ წერილის ავტორის ნათქვამი უაღრესად ყურადსაღები და გასათვალისწინებელი ფაქტორია **,**

ზედმიწევნითი სიზუსტით რომ გაცხადდა სამი წლის შემდეგ (!).

ახლა კი ზემოთ შეპირებულ, თ. ხაჩიშვილის დიდკაცობისდროინდელ "გახსნილ საქმეს" ჩიქოვანის ქუჩაზე "განხორციელებულ ტერორისტულ აქტს" დავუბრუნდეთ. მომხდარიდან მეოთხე დღეს, მისი ვერსიით უკვე ცნობილი იყო ერთ-ერთი "ტერორისტის" ირაკლი დოკვაძის ვინაობა. 24 ივნისს, ღამის 11 საათზე, მილიციის სამმართველოს თორმეტი შეიარაღებული თანამშრომელი, ყოველგვარი სანქციისა და ორდერის წარდგენის გარეშე შეიჭრნენ დოკვაძეების ბინაში და ორი საათის განმავლობაში, მცირეწლოვანი ბავშვების თვალწინ, იარაღის არსენალის პოვნის მიზეზით აღგზნებულებმა, პირქვე დასცეს იქაურობა. რომ ვერაფერი ნახეს, ბრაზმორეულებმა და ხელმოცარულებმა "დამნაშავის" მშობლები საქმის გასარკვევად "მცირე" ხნით წაიყვანეს და ერთი თვე ამყოფეს იძულებით პატიმრობაში. გათავისუფლების შემდეგ გენერალური პროკურორის ხელმოწერილი უდანაშაულობის მაუწყებელი საბუთი გადასცეს (!). თუმცა, დოკვაძეების ოჯახს მოსვენება არ აღირსეს გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ თითოეულ წევრს. ყველაფერს მისხალ-მისხალ აღნუსხავდნენ. მერე აგვისტოში ესტუმრნენ საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურიდან და ძირისძირობამდე მოჩხრიკ მოიხილეს "ტერორისტის" საცხოვრებელი. არც მათ გაუმართლდათ, ვერ მიაკვლიეს ავტომატებსა და ხელყუმბარებს, ტყვიამფრქვევებს, რაკეტებს... იგივე მეორდებოდა "ტერორისტული აქტის მეორე სულისჩამდგმელ " პეტრე გელბახიანის ოჯახშიც. 29 აგვისტოს, იმელის ეზოში მომხდარი აფეთქების შემდეგ, სპეცსამსახურის მუშაკები ისევ დოკვაძეების ოჯახს მიადგნენ და ირაკლის "ეჭვმიტანილი" დედა წაიყვანეს იგი მიიჩნიეს "ტერორისტული აქტის მოწყობის მოთავედ". მაგრამ, ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო, იძულებული შეიქნენ გაეთავისუფლებინათ ტყვე.

3 სექტემბერს, ირაკლი დოკვაძე ყვარელში დააპატიმრეს. თუ რა მეთოდებით, როგორი მხეცური ხერხებით

იმოქმედებდნენ "ტერორისტის" გამოსატეხად, ძნელი ამოსაცნობი არ უნდა იყოს. გენერალური პროკურორის მოადგილე ა. ბალუაშვილმა არც "დამნაშავის" შვილები დაინდო და მამის სანახავად მიტყუებულებს, უმოწყალოდ ნაცემ-ნაგვემი, ცხვირგატეხილი,ძნელად საცნობი მშობელი ანახა. მერე ოსტატურად გაგრიმულ შენიღბული, ტელემაყურებლებს წარუდგინა და სამარცხვინო მუქარით, არჩევანის წინაშე დაყენებას შეეცადა. ცხადია, მართალმა და უდანაშაულომ არავითარი პირობა არ გაიკარა და სამართლიანი მომავლის იმედად დარჩა. ასეთივე მოწამებრივი გზა გაიარა ბაქოში შეპყრობილმა პეტრე გელბახიანმაც.

1993 წლის 19 ივლისს, ლონდონში, ორგანიზაცია " საერთაშორისო ამნისტიამ" წამებულ მართლებს, თავისუფლებისთვის თავდადებულ რაინდებს (მათთან ერთად გედეონ გელბახიანს, ზაზა წიკლაურსა და ვიქტორ დომუხოვსკის) პოლიტპატიმრების სტატუსი მიანიჭა. ბუნებრივია, ამას თავგადაკლული უკუაგდებდნენ, ხელაღებით უარყოფდნენ ფაქტობრივი ხელისუფლება, მას დაქვემდებარებული "სამართალდამცავი" და სპეცსამსახურები. ამმხრივ საინტერესოა სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის ი. გიორგაძის მრავალგზისი განცხადებები პოლიტპატიმართა არარსებობის თაობაზე. აღარაფერს ვიტყვით ადამიანის უფლებების "დამცველი" კომიტეტის თავკაც ს. კავსაძის ლაჩრულსა და უსუსურ მტკიცებებზე. თუმცა, ბოლოხანს საქართველოდან გარიდებული ი. გიორგაძე საქვეყნოდ აცხადებს ჩვენთან პოლიტპატიმრების არსებობაზე. ადამიანის უფლებათა " დამცველიც" ორაზროვან პასუხებს იძლევა და იძულებითი დუმილით ცდილობს უსიამო საკითხის გვერდის ავლას.

სასურველი შედეგის მოსაპოვებლად მრავალგზის ფიზიკურად შეურაცხყვეს მსჯავრდებულები, თუმცაღა ამაოდ მართლები ბოლომდე უდრეკნი და დაუმორჩილებლები დარჩნენ. საჭიროდ არ მიგვაჩნია განგებ უსაშველოდ გაგრძელებულ მათს სასამართლო პროცესზე რაიმეს თქმა, რადგან იგი უაღრესად სამარცხვინო ფორმით,ყოველგვარი წესისა და კანონის

არნახული დარღვევებით ჩატარდა. ერთს კი აღვნიშნავთ, რომ განაჩენი პრიმიტიული სასამართლო ფარსის დამთავრებამდე დიდი ხნით ადრე იყო საზოგადოებისთვის ცნობილი, რადგან სახელმწიფოს "მეთაურმა" პრესითა და რადიო ტელევიზიით "სამართალგამრიგეებს" მრავალგზის შეახსენა სასჯელის უმაღლესი ზომის სიკვდილით დასჯის არსებობაზე (!).

იარაღით მოსული"ხელისუფლების წინამძღოლის"განცხადებებმა საყოველთაო აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია უცხოეთში, რადგან თავიდან ბოლომდე გაყალბებულ სასამართლო პროცესს მუდმივად ესწრებოდნენ უცხოელი ჟურნალისტები, სხვადახვა ორგანიზაციებიდან წარმოგზავნილი მეთვალყურეები. იქაურ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, მოთხოვნები და პროტესტები უკანონოდ შეპყრობილთა უდანაშაულობაზე, სამარცხვინო პროცესზე და პირად ანგარიშსწორებას, შურისგებას დაქვემდებარებულ განაჩენზე. ამმხრივ აღსანიშნავია ქალბატონ ერიკა დეილის გამოსვლა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში, სადაც დაწვრილებით მიმოიხილა "ტერორისტთა" სასამართლო პროცესი, ზუსტად აღნუსხა ყველა დარღვევა. შავ დღეში ჩავარდნილი საქართველოს "ელჩი" ამერიკაში თ.

ჯაფარიძე უსუსურად შეეცადა თავის დაცვას, თუმცა იძულებული გახდა დათანხმებულიყო ყალბი სასამართლო პროცესის უკანონო განაჩენის გამოტანის ფაქტზე. მაგრამ "უკან დასახევი გზა" მაინც გამოძებნა და მომხდარი, "გადემოკრატების" გზას ახლად შემდგარი ქვეყნის გამოუცდელობით ახსნა.

საბედნიეროდ, ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები კვლავაც თავიანთს პოზიციაზე დგანან და გაუნელებლად მოითხოვენ უდანაშაულოთა გათავისუფლებას.

ხუთი თვე მიიწურა სიკვდილმისჯილთა ადვოკატების თ.ლაშაბერიძისა და გ. მოსესიანის მიერ უზენაეს სასამართლოში გამოტანილი განაჩენის ზეწესით განხილვის განცხადების შეტანიდან. მაგრამ, პასუხის გაცემაზე არავინ ჩქარობს, არავინ სასიკეთოდ არ ირჯება. ჩანს, "დასრულებული" სასამართლო ფარსის სასურველი კალაპოტით წარმმართველთა მითითებებსა და საბოლოო ბრძანებას ელოდებიან. ადვოკატებს არ უშვებენ დილეგში მყოფებთან. არადა, მათ ამისი უფლება გააჩნიათ, რადგან მსჯავრდებულთა საქმე ჯერ არ არის დამთავრებული. გაირკვა, რომ ნებართვა შინაგან საქმეთა მინისტრმა შ.კვირაიამ უნდა გასცეს. მინისტრი კი დუმს. ალბათ სათანადო მითითებისა და ბრძანების მიღების მოლოდინშია.

ამასთან დაკავშირებით, "პრეზიდენტობის კანდიდატის" ჯ. პატიაშვილის მიერ 9 ოქტომბერს გამართული პრეს კონფერენციის გამო, გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" 13 19 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში თქმული გვინდა გამცნოთ. შეკითხვაზე, მიაჩნია თუ არა ი. დოკვაძე და პ. გელბახიანი პოლიტპატიმრებად, მან უპასუხა: "შეწყნარებაზე ხელი იმიტომ არ მოვაწერე, რომ კულუარებიდან შევიტყვე, მათ დახვრეტას არ უპირებენ. ამიტომ, ამისი აუცილებლობა არ იყო" (?!).

ახლა სამხედრო გადატრიალების ერთ ერთი მოთავისა და აღმსრულებლის, უკანონო ხელისუფლების ერთი ყოფილი "ლიდერისა და საყრდენის", ყოფილი "მინისტრისა და დეპუტატის", მერე "მეამბოხისა" და ქვეყნის დაქცევის მოსურვილე თ. კიტოვანის მიერ 10 11 აგვისტოს გაზეთ "რეზონანსში", რედაქციისა და ადამიანის " უფლებათა დაცვის" კომიტეტის ხელმძღვანელ ს. კავსაძისადმი გაგზავნილი წერილი გვსურს გაგაცნოთ (სტილი დაცულია).

"წავიდა ის დრო, როცა კომუნისტები თავიანთ სურვილებს ანხორციელებდნენ მოსამართლის მეშვეობით და თქვენ გახსოვთ მოსამართლე გერსამიას განაჩენი. ეს იყო დაქირავებული მკვლელი კომუნისტების კანონით ხელში. ეხლა მოვალეობას ასრულებს მოსამართლე დოლიძე.

მე მივწერე პროკურატურას. რომ **დოკვაძე და გელბახიანი არ არიან მკვლელები** . ჩემი აზრი უნდა გაეზიარებინათ ჯერ როგორც დეპუტატის, მერე როგროც მაშინდელი სადაზვერვო მონაცემებით, რომ **შემსრულებლები სხვა ადამიანები იყვნენ და არა ისინი,** ვისაც ბატონმა დოლიძემ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა. იგი პასუხს აგებს მის გამოტანილ სასჯელზე.

მე ვალდებული ვარ ჩემი ერის წინაშე განვაცხადო, რომ **გელბახიანი და დოკვაძე არ არიან მკვლელები** და ეს იცოდეს საზოგადოებამ და არა ბოღმისაგან გასიებულმა ზოგიერთმა, ვისაც სისხლი სწყურია და განსაკუთრებული ავადმყოფობით არის

შემკული. გვეყოფა, ისედაც ამდენი სისულელეები ჩავიდინეთ და რამდენი უდანაშაულო ხალხი კედელზე ავაყუდეთ. ახლა დროა, რომ ყველამ სწორედ გამოვიხედოთ თვალებიდან და ბატონ დოლიძეს ვთხოვ თავის შთამომავლობას არ დაუტოვოს მკვლელი მამის სახელი".

ვიტყვით, რომ ახლო წარსულში "სამთავრობო კაცის აღსარება და მონანიება" საკმაოდ ნაგვიანევია და უძალო, მაგრამ ერთგვარად მაინც ყურადსაღები, გასათვალისწინებელი. მომეტებულად ანგარიშგასაწევია წერილში თქმული: "**შემსრულებლები სხვა ადამიანები იყვნენ და არა ისინი, ვისაც ბატონმა დოლიძემ სიკვდილის განაჩენი გამოუტანა".** მაინც ვის გულისხმობს საკანში გამომწყვდეული "დეპუტატი" სხვებში? იმათ ხომ არა, ფაქტობრივმა ხელისუფლებამ 29 აგვისტოს მომხდარი აფეთქება და ადრინდელი "სამი ტერორისტული აქტის" მოწყობა რომ აჰკიდა? ადვილი შესაძლებელია, რადგან იგი ბევრის მომსწრე, გამკეთებელი და მომსმენ-მნახველია. ადვილი შესაძლებელია თ. კიტოვანის აზრით, ჩიქოვანის ქუჩაზე აფეთქების მომწყობნი ის სხვა ადამიანები, 29 აგვისტოს მომხდარი "ტერორისტული აქტის" განმხორციელებლებიც იყვნენ, რადგან ერთმა მათგანმა, კერძოდ თ. ხაჩიშვილმა ჯერ კიდევ 1992 წლის ოქტომბერში, გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნებულ წერილში "კრახი", იწინასწარმეტყველა **იმელთან დანაღმული ავტომობილის მეშვეობით მოსახდენ აფეთქებაზე.**

დაგვეთანხმებით, რომ წრე უკვე შეკრულია. თავიდანვე ყველაფერი ცნობილი და საგანგებოდ მიჩქმალულ მიფარებული, უკვე გამოაშკარავებულია და ნათელმოფენილი. ფაქტობრივ ხელისუფლებას და მათს ნება-სურვილს დამორჩილებულ "მართლმსაჯულებას" აღარაფერი აქვს "საჩხრეკ-საძებნი". უნდათ თუ არა, ყველა გახმაურებული "ტერორისტული აქტისა" და დანაშაულის ჩამდენ-მომწყობნი, მათთან ახლოს მდგომ, საკუთარ საყრდენ დაჯგუფებებსა და ფორმირებებში უნდა ეძებონ.

გაიხსენონ ოდითგან დამღუპველი ქმედება და მწარე სიმართლე ციხის ყოველთვის შიგნიდან გატეხვაზე.

წლეულს, 11 ოქტომბერს, გაზეთმა "მარჯმა" საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა: "27-28 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ გადასინჯა ს. ხაბეიშვილის საქმე და მთლიანად გაამართლა იგი". სწორედ ამაზეა ნათქვამი: სიტყვა სხვაა და საქმე კიდევ სხვაო, რადგან აწგარდაცვლილის მრავალტომიან სასამართლო საქმეში **გარკვევით წერია ბრალდებულის სამგზის აღიარება ჩადენილ დანაშაულზე** .

ახლად "გამართლებულისგან" განსხვავებით, ჩიქოვანის ქუჩაზე

აფეთქების "მომწყობები" ირაკლი დოკვაძე და პეტრე გელბახიანი, უსაშველოდ გაჭიანურებული წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას, **ყოველთვის უდანაშაულობას ამტკიცებდნენ.** კანონი კი ყველასთვის ერთია, უფრო სწორედ ერთი უნდა იყოს. თუმცა, ახლანდელი "ხელისუფლებისაგან" დაპყრობილ

დამორჩილებული რადიო-ტელევიზიისა და პრესის თავგამოდებული მტკიცებით, ყველაფერი "კანონიერად" გადაწყდა. ალბათ, ზუსტად ისე, როგორც რამდენიმე წლის წინათ ს. ხაბეიშვილის საქმე. ამგვარად გარჯა, ჰაერში მუშტების ქნევა და ყვირილი განწირულობის, დამარცხების უპირველესი ნიშანი გახლავთ.

ფარისეველთა, ცრუთა და მონების გასაგონად, ქართველთა უდიდესი ნაწილის, მსოფლიოს სიმართლის მხარდამჭერი, პროგრესული საზოგადოების მტკიცე გადაწყვეტილება და ურყევი აზრი გვინდა განვაცხადოთ: რომ **უზენაეს სასამართლოში გამოტანილი "განაჩენი" საბოლოო არ არის!** სიმართლისა და წეს-კანონის დამცველების მტკიცე მოთხოვნაა მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მიერ უმოკლეს ხანში საფუძვლიანად გადაისინჯოს უკლებლივ ყველა მსჯავრდებულისა და ჯერაც გაუსამართლებელი

პოლიტპატიმრის საქმე. დასაბამი კი არნახული უკანონობით "განაჩენგამოტანილი ტერორისტების" ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის განგებ, შეგნებულად გაუკუღმართებული, დაუმთავრებელი საქმის ზედმიწევნით სამართლიანი, ყველა წეს-კანონის უკიდურესი დაცვით გარჩევამ უნდა მისცეს.

სახარების ათი მცნებიდან, მეცხრე ჩაგვაგონებს: "არა ცილ-სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა". უფლის ეს სურვილი ახალფეხადგმული "ქრისტიანი ხელისუფლების, სამართალდამცავი ორგანოების თავკაცთა" გასაგონად და გასათვალისწინებლად მოვიხმეთ, რადგან ჩადენილი ცოდვისა და ცილისწამებისთვის, მაცხოვრის წინაშე ერთნაირად აგებენ პასუხს მისი ჩამდენნიცა და მათი მოდგმა-ნაშიერნიც. ყველაფრის მნახველ მომსმენი ღმერთი უმძიმეს სასჯელს მიაგებს მართალთა გამამტყუნებლებს, მათი თავისუფლებისა და სიცოცხლის ხელმყოფთა მოსურვილებს.

მინაწერი: 23 ოქტომბრიდან ირაკლი დოკვაძემ და პეტრე გელბახიანმა ციხე-საპყრობილის ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაწყებული რეპრესიების პასუხად შიმშილობა გამოაცხადეს. მართალთა დაჯაბვნა შეუძლებელია, ამაოა ცდა ჯაბანთა.

1995 წელი, ოქტომბერი.

რეტრო ანუ ისმინეთ!

რეტრო წარსულის, ჩავლილის გახსენებას ნიშნავს და მეტწილად სასიხარულო, სასიამოვნო მოვლენასა თუ ამბავთან არის ხოლმე დაკავშირებული. თუმცა ზოგჯერ იძულებით, გარკვეული მიზეზით, უსიამოვნოსა და შემაძრწუნებელის შეხსენებაც აუცილებელი ხდება, რადგან ამას გახსენების პერიოდში შექმნილი ვითარება მოითხოვს. სამწუხაროდ, უმძიმეს შეჭირვებასა და განსაცდელში ჩაცვენილ მართალ ქართველებს, ეროვნული ხელისუფლების არსებობის რამდენიმეთვიანი საამო პერიოდის გამოკლებით, გასახსენებლად

მხოლოდ უბედურებისა და მწუხარების, გლოვის, შიშის შავბნელი წლები შემოგვრჩნენ. დამეთანხმებით, ძნელია ყველა იმ ტკივილის ხელმეორედ შეგრძნება, დამძიმებული სულის კვლავ აფორიაქება, მაგრამ ისევ და ისევ აუცილებლობისა გამო, უფრო კი გამოსაფხიზლებლად, საჭიროდ მივიჩნევ ახლო წარსულის უმძიმესი დღეებისა თუ მოვლენების დღეს უკვე სრულიად განსხვავებული თვალსაზრისით, თუნდაც მოწოდებითი განსჯისათვის.

ამჯერად, ოთხმოციანი წლების მიწურულის იმ უმცირესი ქართველი ახალგაზრდების, სტუდენტებისგან თქმული და ნამოქმედარი მინდა გავიხსენო, სამშობლოს მოღალატეთაგან და გამყიდველებისგან მზერაჩამქრალებმა, სმენადახშულებმა რომ იკისრეს და თავიანთი დანაშაულებრივი საქციელით მხარი აუბეს, ხელი შეუწყეს კანონიერი ხელისუფლების დამხობას, პრეზიდენტის გაძევებას, ძმათამკვლელი ომის გაჩაღებას, საქართველოს დაშლა დანაწევრებას, გაპარტახებასა და გაჩანაგებას. იბერიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამასამარებელი წითელი წინამძღოლებისგან შეგულიანებულ წასისინებულმა გ. მაისურაძემ, გ. ბარამიძემ, დ. ტურაშვილმა, ფ. ჩიხრაძემ და ერთი მუჭა მათმა თანამოაზრეებმა გამოუსწორებელი დანაშაული ჩაიდინეს ერის წინაშე. გაბოროტებულმა და გულღრძო ახალგაზრდებმა დაუნანებლად გასწირეს, ზურგი უშვირეს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობას შეერთებულ, კანონიერი ხელისუფლების გვერდში მდგომი უმრავლესი თანატოლების თავგანწირვას, მამულის გათავისუფლების მოწოდებას და მოღალატეთაგან შეპირებულ ჯილდო თანამდებობებს დახარბებულები, დაღუპულთა გვამებზე და სისხლის ტბორებზე გადალაჯებით წამოსჩდნენ პარლამენტსა თუ სამთავრობო სტრუქტურებში. დღეს, მაფიოზ მძარცველებთან შეკავშირებული, სხვადასხვა რანგის თანამდებობებს ჩაბღაუჭებული ეს არსებანი, ცეკა ტეკას კორუმპირებულ, პატიოსნების, სიმართლისა და კანონიერების მოძულე "აპარატჩიკების" მითითებით "იღვწიან დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად". ცხადია, მტაცებელ კომუნისტთა უბეში დაფრთიანებულთა ამ გარჯას მხოლოდ ერთი მიზანი და დანიშნულება გააჩნია პირადი კეთილდღეობის დამკვიდრება,

რადგან მათაც ადვილად მიუწვდებათ ხელი კრედიტებსა თუ სხვარამ დახმარებებზე. თუმცა, ხანმოკლეა და დროებითი, გაღატაკებულ გაუბედურებულთაგან წაგლეჯილითა და მითვისებულით წელმოდგმულთა აღზევება. უკანონოებსა და დამნაშავეებს აუცილებლად მოუწევთ კანონიერთა და მართალთა წინაშე წარდგომა, პასუხისგება, ჩადენილის მონანიება. დიდად დასაღონებელია და სავალალო, რომ ამგვარად გადაგვარებულთა და დაცემულთ მაინც გამოუჩნდნენ მათებრ სამარცხვინო მემკვიდრეები, მართალია მცირედნი, მაგრამ წინამორბედთა დასაგმობი, სამარცხვინოდ გაკეთებულის გამგრძელებლები.

სწორედ ამიტომ მინდა შემოგთავაზოთ 1991 წლის 23 დეკემბერს დაწერილი წერილი, რომლის გამოქვეყნებაზეც ყველა მაშინდელმა დამფრთხალ დაშინებულმა, ლაჩარმა რედაქტორმა უარი განაცხადა. ვფიქრობ, ცხრა წლის წინათ დაწერილის დღეს დასტამბვას თავისებური გამართლება შეიძლება მოეძებნოს, რადგან ჩვენდა გულსატკენად, ქართველი ახალგაზრდებისა და სტუდენტების მცირე ნაწილს იოტისოდენა დაც არ აფიქრებს უფსკრულში ჩაჩეხილი, დამპყრობლის უღელდადგმული სამშობლოს, გაუბედურებული ერის სვეგამწარებული ყოფა. ამისი

თქმის უფლებას მაძლევენ დედაქალაქის ქუჩებში უაზროდ მოხეტიალე, სწავლა განათლებასა და შრომას გამიჯნული, ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს მიძალებული, პორნოგრაფიულ ფილმებსა და ჟურნალ გაზეთებს დამცხრალი, უცხოეთს უმიზნოდ გახიზნული და დანაშაულებრივ სამყაროში ჩათრეული ქალიშვილები და ჭაბუკები, ფული რომ გაუხდიათ კერპად, სხვა ყველაფერი კი არარაობად დაუგულებიათ.

მაშ ასე, გთავაზობთ ცხრა წლის წინანდელი უმძიმესი დეკემბრის შემზარავ დღეს დაწერილ წერილს ხელუხლებლად, ყოველგვარი შესწორების გარეშე.

ვაი სირცხვილო ! ვინ და რამ აგიბნიათ გზა კვალი ?

უმალ ყველას სათაურში გამოტანილი სიტყვები აღმოხდება სტუდენტთა იმ ნაწილის შემხედვარეს, მათგან თქმულის გამგონეს, დღეს რომ "ოპოზიციას" ამოუდგა მხარში და საქართველოში "დემოკრატიის დამკვიდრებისათვის იბრძვის". ამას ამბობდნენ 12 დეკემბერს, მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე შეკრებილები, უდიდესი ისტორიული მოვლენის უკრაინის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მომსწრენი. და როდესაც სმენადქცეულები სანუკვარ სიტყვებს ვისმენდით, სწორედ მაშინ თქვენი გამყიდველი ხელმძღვანელების, დედობილებად დაგულებული დიაცების ღრიალითა და კივილით, დროშებით მოადექით უმგვანოთა და თავდამსხმელთა შესაკავებლად ჩახერგილ ავტობუსებს. გონებადაბინდულები ანგარიშმიუცემლად გაჰყვიროდით წინამძღოლთაგან ნაბრძანები რუმინელი დიქტატორის გვარს და თავგანწირულები ცდილობდით უმნიშვნელოვანესი მოვლენით მოგვრილი სიხარულის ჩახშობას. საბედნიეროდ, ვერ შეძელით. ან კი როგორ მოახერხებდით, თქვენ ხომ თავისუფლებისა და ბედნიერების დაჯაბვნას ცდილობდით. ბოროტს ხომ კეთილი არასდროს დაუძლევია?

ვაი სირცხვილო! რომ ამისი თქმა გვიწევს. მაგრამ მეტი რა ჩარაა, მორეულ სნეულებას მხოლოდ მკურნალობით ეშველება. ამ შემთხვევაში წამლად მარტოოდენ მართალი სიტყვის ჩაგონება, რჩევის მიცემა მიგვაჩნია. თუმცა, ადვილი შესაძლებელია ისინი ახლოსაც არ მიიკაროთ "დამოუკიდებელნო, საღად მოაზროვნენო და ცამდე მართალნო". დიდად კი შეცდებით, რადგან თქვენმა გარჯამ სრულიად საპირისპირო დაგვანახა, უფრო სწორედ შეგვაშინა, რადგან სტუდენტის სახელდარქმეულ მცირე ნაწილს ოდნავი განსჯის უნარი არა გქონიათ, განდგომილთაგან წაქეზებულებს მთლად დაგიკარგავთ სიმართლის გრძნობა და რაც ყველაზე მეტად შემზარავია, გულიდან ამოგირეცხიათ სამშობლოს, ერის პატივისცემა და სიყვარული, პირადულისთვის გინაცვალებიათ ქართველობა.

ვაი სირცხვილო! 12 დეკემბერის იმ საღამოს, დიდი მოვლენით

გახარებული ადამიანები თქვენ აბუჩად აგვიგდეთ, სტვენითა და ღრიანცელით, თავზეხელაღებული ქალების კივილ ხავილით გსურდათ მიტინგის ჩაშლა, ამაღლებული განწყობის მოშხამვა. მაგრამ მაინც დაგითმეთ, მოგიტევეთ, შერიგება და გაერთიანება გთხოვეთ. მერე ის იყო თქვენს ბანაკში ჩვენგან წარმოგზავნილებმა თანხმობისა და საქართველოს თავისუფლების აუცილებელი ერთიანობის წინადადება შემოგთავაზეს. ტაშისცემით გამოვხატავდით დასტურს და როდესაც ჯერი თქვენი მამამთავრის წარმოდგომაზე მიდგა, მიუღებელი პირობა წამოაყენეთ თქვენგან

დასაცავი ავტობუსების გაყვანა მოითხოვეთ. და ეს შეგნებულად გააკეთეთ, რადგან თქვენმა შემგულიანებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ამას არ ვიზამდით. ჰოდა, გაუმართლებლად გაგულისებულ გაფხორილებმა ისევ დაპირისპირება არჩიეთ და ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ბრალი პრეზიდენტის მომხრეებს დასდეთ. ცხადია, ეს ყველაფერი გამიზნულად გაკეთდა, ვინაიდან თქვენს იმ მოხდომას ლოგიკური გაგრძელება ჰქონდა ჩაფიქრებული აქცია უნდა დაგეწყოთ ილიასა და აკაკის ძეგლის, პრეზიდენტისა და პარლამენტის თვალწინ. მოთხოვნები თქვენებური, უსუსური გქონდათ: " პოლიტპატიმრების" გათავისუფლება, პრესის " თავისუფლება" და ... სტიპენდიების მომატება. თუმცა, პრეზიდენტის გადადგომასაც მოითხოვდით, დემოკრატიის "დამყარება გწყუროდათ"...

ვაი სირცხვილო! ნამდვილად არ გვეგონა თუ ოცდამეერთე საუკუნის ზღურბლს მიმდგარი ქართველი სტუდენტების მცირე ნაწილი ამგვარ უსუსურობას გამოიჩენდით, ქვეყნისა და ერის ავისმსურველთა სათამაშო ტიკინებად გადაიქცეოდით, პრიმიტიულად და ცალმხრივად იაზროვნებდით, ურგებს მოითხოვდით. თქვენ ხომ 1990 წლის 28 ოქტომბრამდე კომუნისტებისა და კომკავშირის უტყვი მონები იყივით, უსიტყვოდ ასრულებდით მათს ნება სურვილს. ლენინის, ბრეჟნევის, გორბაჩოვის, შევარდნაძისა და მათი ხროვის ერთგული ლაქიების პორტრეტებით მიაბიჯებდით საპირველმაისო და საშვიდნოემბრო აღლუმებზე; უხალისოდ, მაგრამ მაინც

მონაწილეობდით ლენინურ შაბათობებსა და სხვა კომკავშირულ ღონისძიებებში. კაი დედმამისშვილები იყავით და ხმა

ამოგეღოთ, წინააღმდეგობა გაგეწიათ. უმალ გვარიან სასჯელს მოგარტყამდნენ და შეიძლება, თანამდებობრივ სკამებზე წამოსკუპებული თქვენი მამიკოებისა და დედიკოების მათზე შემდგომში ჯდომის შესახებაც ემსჯელათ. მერედა, გაწყობდათ ეს თქვენ? ცხადია არა.

ამიტომაც ხუჭავდით თვალებს, იხშობდით სმენას, მაგრად კუმავდით პირს. რატომ მაშინ არ გაწუხებდათ შევარდნაძისა და მისი თანამოსაქმეებისგან ციხე- საპატიმროებში გამომწყვდეული უამრავი პოლიტპატიმრის ბედი? რატომ მაშინ არ აქვეყნებდით ხელისუფლების საწინააღმდეგო, სალანძღავ წერილებს? რატომ მაშინ არ თხოულობდით სტიპენდიების მომატებას? თუ ყველაფერი თავზე საყრელად გქონდათ და თქვენი მოთხოვნების, გაუსაძლისი ჭირვეულობის დაკმაყოფილება მართლა სტიპენდიით ხერხდებოდა?

ბატონმა პრეზიდენტმა, მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა არა ერთხელ საჯაროდ განმარტეს ჯ. იოსელიანისა და გ. ჭანტურიას დაპატიმრების მიზეზი. ადვილი შესაძლებელია, საქართველოს მთლიანობის ხელმყოფი, ქართველთა გაჩანაგების მოსურვილე კულუმბეგოვიც პოლიტპატიმრად მიიჩნიოთ. გაკვირვებას იწვევს თქვენგან პრესის თავისუფლების მოთხოვნაც. ამდენი ოპოზიციური გაზეთების მკითხველები, ამაზე ნამდვილად ხმას არ უნდა იღებდეთ. თავი დავანებოთ მათ, განა სამთავრობო გაზეთებში კი როდისმე უარი გითხრეს წერილების გამოქვეყნებაზე? მათში ხომ ხშირად იბეჭდება პრეზიდენტსა და ხელისუფლებას დაპირისპირებულთა წერილები.

ახლა სტიპნდიაზე ვთქვათ. დაჟინებით მოითხოვთ მომატებას და ოდნავადაც არ უფიქრდებით, რომ თქვენი უშნო ახირების დაკმაყოფილებას რამდენი წინააღმდეგობა ეღობება. არადა ზრდადასრულებულ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ნამდვილად უნდა შეგწევდეთ იმის განსჯა - გაანალიზების უნარი, რომ

უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას ახლა არაფრით შეუძლია თქვენი მოთხოვნის დაკმაყოფილება. კომუნისტი მძარცველებისგან ხაზინადაცარიელებულ საქართველოს სხვა უფრო მწვავე და პირველ რიგში მოსაგვარებელი, გადაუდებელი საქმეებისთვის არა აქვს საჭირო ფული. ძალზე ბევრი სახლია ასაშენებელი მიწისძვრით მოსრილ რაჭაში, იმერეთში, ქართლში. ბევრ იქაურ მოსახლეს კაპიკის საღირალი, თითზე გადასახვევი აღარაფერი დარჩა. ნურც უმოწყალოდ დამეწყრილ აჭარელთა ოჯახებს დაივიწყებთ. საქართველოდან უცხო ტომის ხალხთა გადასახლებისა და მათი კარ - მიდამოს გამოსასყიდი თანხებიც გაიხსენეთ. ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ ათიათასობით პენსიონერს სავალალოდ მცირე პენსიით გაჭირვებით გააქვს თავი, დიდი გასაჭირი ადგათ მარტოხელა მოხუცთა და უპატრონო ბავშვთა სახლების ბინადართ, მაგრამ მადლობა იმ დიდსულოვან ადამიანებს, მათს მესვეურებს, რომ ერთხელაც არ დაუწუწუნებიათ, სიტყვა არ დაუძრავთ სიძნელეებსა და გასაჭირზე.

თქვენ კი, მომიტინგე სტუდენტებო, აქციებს აწყობთ და უკანონო, ურგებ მოთხოვნებთან ერთად, სტიპენდიის მომატებასაც მოითხოვთ. ერთი ესა ბრძანეთ: განა იმისი საფასური რა გააკეთეთ, რამდენსაც დღემდე ღებულობდით, ახლა მომატება რომ მოისურვეთ? ცხადია, გაკეთებაში თქვენს უშუალო მოვალებას- სწავლას ვგულისხმობ. ყველამ კარგად ვიცით, როგორ "სწავლობენ "თქვენნაირი სტუდენტები. პირდაპირ გეტყვით: ეგ თქვენი "სწავლა განათლება" მთლიანად უნაყოფოა და უსარგებლო, ამას სწავლა და სპეციალობის დაუფლება არა ჰქვია. თქვენნაირ "სპეციალისტებს" უცხოეთში, ნებისმიერი ფირმა თუ კორპორაცია მხოლოდ შავ სამუშაოებზე თუ გამოიყენებს. წარმოიდგინეთ, რომ ყველა იქაური უმაღლესი სასწავლებელი თქვენი ცოდნის მქონეთ, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე დაატოვებინებს იქაურობას. დიახ, სრულ სიმართლეს გეუბნებით "დემოკრატიის მოსურვილეებო", თქვენ ურგებსა და უკანონოს მოითხოვთ! თანაც რა დროს, როდესაც არნახულ ბლოკადაში ვართ მოქცეულები. მოითხოვთ, რადგან

მშობლებისაგან უსაშველოდ განებივრებულებს აღარ გაკმაყოფილებთ უძვირესი ივ სენ ლორანის, არმანის, ვერსაჩეს ულტრათანამედროვე სამოსი, ყელში ამოგივიდათ სუპერსიგარეტები, დელიკატესი საკვები, სახელგანთქმული მარკის ავტომობილები და სხვა ბევრი სიკეთე, რისი გაფიქრებაც კი არ შეუძლიათ თქვენს იმ თანატოლებს, თანაჯგუფელებს, თქვენზე უკეთესად რომ სწავლობენ, ჭეშმარიტი მამულიშვილები რომ არიან.ისინიც მონაწილეობენ მიტინგებში: გამოდიან, მოითხოვენ "ოპოზიციონერებისა" და თქვენს გონზე მოსვლას, შემორიგებას, საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, კანონიერი პრეზიდენტის მხარდაჭერას, ერთგულებას. თქვენ კი მოღალატე, გამყიდველი წინამძღოლების გარდა სხვას არავის უსმენთ, თქვენზე დგახართ, ჯიუტად განაგრძობთ "მოთხოვნების" წამოყენებას.

ვაი სირცხვილო! სადამდე მიხვედით, წარმომადგენლები მიუგზავნეთ უამრავი საწუხარითა და მოსაგვარებლით გადაღლილ პრეზიდენტს. მოუცლელმა და

შეჭირვებულმა გამონახა დრო და ყურადღებით მოუსმინა თქვენს დესპანებს. ჩვენ კი ტელეეკრანებზე ვუყურებდით და ვუსმენდით პრეზიდენტის კაბინეტში განვითარებულ "მოვლენებს", სირცხვილით ვიწვოდით მათი უსუსურობის მოწმენი. და შედეგიც სამარცხვინო გახლდათ "რაინდებმა" შერცხვენილებმა დატოვეს იქაურობა. ალბათ, ეს ყველაფერი ჭკუის სასწავლებელი უნდა გამხდარიყო, გონზე უნდა მოსულიყავით. მაგრამ, ისევ მამამთავრებმა იძალეს და შხამის მორიგი ულუფა შეგასვეს, ხელი გიბიძგეს და უკვე ვრცელ დარბაზში შეკრებილებმა, პრეზიდენტთან დაპირისპირება მოისურვეთ. და გაიმართა ეს შეხვედრაც. ჩვენ ისევ ტელევიზიით ვადევნებდით თვალყურს და .... კიდევ უფრო მეტად გავწბილდით. ვერაფრით წარმოვიდგენდით თუ ასე უტიფრად, ცინიკურად, აგდებულად, უპასუხისმგებლოდ მოიქცეოდით, ყოველგვარი წესისა და ეტიკეტის დარღვევით გამოიაშკარავებდით თავს პრეზიდენტის, მთავრობის წევრების, ერის წინაშე. ეს იყო სამარცხვინო, შემაძრწუნებელი თავყრილობა, უხამსი მეტყველების, უხეში სიტყვა - პასუხისა და უმსგავსი ქცევის ამაზრზენი დემონსტრირება. თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ "გამარჯვებულებად", პრეზიდენტის "გამშავებლებად" მიგაჩნდეთ თავი. მწარედ კი მოტყუვდებით. თქვენცა და თქვენმა წამქეზებლებმაც პირწმინდად წააგეთ, სავალალო და მწარე მარცხი იწვნიეთ, თავადვე დაამტკიცეთ, გზააბნეულები და შეცდენილები რომა ხართ. და რაც ყველაზე დამაფიქრებელია, ვერაფრით მიმხვდარხართ, რომ ამით მოსკოვს მოკალათებული ავის მთესველი "თანამემამულის" თავკაცობით დარაზმული მტერი და მოშურნე გაახარეთ, თქვენი ხელით გასაკეთებელი გაუგონარი ავკაცობისა და ბოროტების, დანაშაულისა და სისხლის ღვრის მოწყობის ახალი ჩანაფიქრები აღუძარით. ეს უდიდესი ტრაგედიაა.

ვაი სირცხვილო! ჩვენს თავს აღარა ვჩივივართ, ოღონდაც უცხოელებს არ ენახეთ, იმათ არ შეეტყოთ თქვენს უგუნურებაზე. ქართული ინტელიგენციის ერთ ჯგუფთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა გულნატკენმა გვაუწყა თქვენი საპროტესტო აქციის შემსწრე გაკვირვებული იტალიელი სტუმრების შესახებ. აღშფოთებულებს ვერაფრით დაუოკებიათ უსაზღვრო გულისწყრომა და დაუფარავად უთქვამთ, რომ მათთან მსგავსის ჩადენის შემთხვევაში, ყველას საპატიმროში უკრავდნენო თავს. თქვენი აზრით რა უნდა ეპასუხა ჰუმანისტ პრეზიდენტს? ის, რომ მის გადადგომას მოითხოვთ, დიქტატორსა და ფაშისტს უწოდებთ?...

ვაი სირცხვილო! რას მოვესწარით. ქართველ სტუდენტთა მცირე ნაწილი ერის ინტერესების, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღდეგ მოთხოვნებით გამოდის. ხალხსა და მამულს განდგომილთა, ძველი დროების მობრუნების მოსურვილეთა ყალბი დაპირებებით გზააბნეულებს იმდენად დაგბინდვიათ გონება, კრემლის ინტერესების დამცველ გამტარებელი და საქართველოსთვის მზის ჩრდილოეთიდან ამონათების მოსურნე პიროვნების ნებას დაჰყოლიხართ, მისი მზაკვრული ჩანაფიქრების გაცხადება მოგისურვებიათ. მაგრამ, ხმამაღლა მინდა გითხრათ, რომ ეს აღარასდროს მოხდება,

კომუნისტთაგან დაყენებული მიწიერი ჯოჯოხეთი საქართველოდან მათს ამოძირკვას გაჰყვა თან. დამპყრობილისაგან გამოჭედილ უმძიმეს უღელს აღარასდროს დაიდგამს ქართველი ხალხი. საქართველოში ვეღარასოდეს იბოგინებენ შევარდნაძის, მგელაძის,

იოსელიანის, კიტოვანის, სიგუასნაირი მოღალატეები, მათი მიმდევარნი. ისინი ქართველთა მწარე მოგონებად დარჩებიან.

ამიტომაც მინდა მოგიწოდოთ გონს მოსვლა, თვალის ახელა, საღად აზროვნება, თქვენს იმ თანატოლებთან გაერთიანება, 18 დეკემბერს რომ შეხვდნენ ბატონ ზვიადს, ერისა და პრეზიდენტისთვის თანადგომის, ერთგულების დასამტკიცებლად. ნამდვილად არ უნდა გჭირდებოდეთ იმისი შეხსენება, რომ სადღეისოდ თქვენი უპირველესი მოვალეობა ნაყოფიერი, შეგნებული სწავლა, არჩეული სპეციალობის საფუძვლიანად დაუფლებაა და არა მართალი სიტყვის, საერო საქმეთა მოძულეებისთვის ფრთების შესხმა. სტიპენდიას კი მაშინ მოგიმატებენ, როცა ქვეყანას ამისი შესაძლებლობა მიეცემა და ეს არც ისე შორეული ოცნება გახლავთ. საქართველო მაშინ თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნება და თქვენი გაუნელებელი სწავლით, ჩვენი მკლავმოუღლელი გარჯით იმგვარ ყოფას დავიმკვიდრებთ, ცივილიზებულსა და განვითარებულ ქვეყანას, უმდიდრესი წარსულისა და კულტურის ერს რომ შეეფერება. ამას ყველაფერს კი უმტკიცესი საფუძველი სჭირდებაერის ერთობა, ურთიერთმიტევება, ურთიერთდათმობა და ურთიერთსიყვარული. წინააღმდეგ შემთხვევაში, სანუკვარ მიზანს გვიან და უდიდესი გვემაწვალების, მძიმე ტკივილების, აუნაზღაურებელი მსხვერპლის გაღებით მოვიპოვებთ.

აი რა წერია სახარებაში: "თუ სამეფო თავისივე წინააღმდეგ დაიყოფა, ის სამეფო ველარ გაძლებს" (მათე. 12, 25)

გზააბნეულებო, ჩაუფიქრდით ჯერ კიდევ როდის თქმულ ბრძნულ ჩაგონებას!

გ ელა ჯიღაური

1991წელი, 23 დეკემბერი.

მინაწერი: არგასაგონ, გაუსაძლის გაჭირვებასა და ტკივილში განვლო ამ წერილის დაწერიდან ცხრა წელიწადმა. დრო იგი ხანგრძლივი, უერთგულესი მრჩეველი უნდა გამხდარიყო წერილში მოხსენიებული სტუდენტების იმ მცირე ნაწილისთვის, მაშინ რომ უკანონობას დაუჭირეს მხარი, გვერდში ამოუდგნენ ერის მოღალატეებსა და ქვეყნის გამყიდველ დამაქცევრებს. დრო იგი ერთგვარი მკურნალი უნდა გამხდარიყო სულიერად, გონებრივად დაძაბუნებულებისა და დღენიადაგ მონანიებაზე, განწმენდაზე უნდა ეფიქრ ეზრუნათ. დასანანია, რომ კაცთმოძულე წითელ კრიმინალ მამამთავართაგან ცთუნებულ დამონებულებმა ეს მცირედითაც ვერ შეძლეს, უფრო სწორედ არ მოისურვეს და იმთავითვე სატანას სულმიყიდულები, დღემდე მის მორჩილ უსულო არსებებად დარჩნენ. უფრო მეტიც, ღალატისა და განდგომის სანაცვლოდ თანამდებობ ებჩამორიგებულებმა, მომდევნო თაობის მათებრ გადაგვარებული ახალგაზრდების ის მცირე ნაწილი მოწამლეს, დღეს მოქალაქეთა კავშირის კომკავშირულ სექციასა თუ სხვა მსგავს გაერთიანებებში რომ არიან ჩაბუდებულები და უსიტყვოდ აკეთებენ შავსა და ბინძურ საქმეებს. შორს არ წავალ, 2000წლის აგვისტოში, ომალოს "შემთხვევით" დაბომბვის ფაქტს ავღნიშნავ.

"მოწინააღმდეგის ამ აგრესულ ძალადობით აბუჩად აგდებულ შეურაცხყოფილმა" სმაკელ კომკავშირელებმა "ვერაფრით აიტანეს სამშობლოს საზღვრების ხელყოფა" და

აგრესორის თბილისურ სამყოფელთან "ხმაურიანი საპროტესტო აქცია" მოაწყეს. ცისფერ ქალაჩუნათათვის დამახასიათებელი წიკვინ კივილით "გაგულისებულებმა ღირსეული მიუზღეს თავდამსხმელს" და ქაღალდის თვითმფრინავებით "გააცამტვერეს მომხვდური". ასეთი გულისამრევი, სამარცხვინო ღნავილით "გააკეთეს საქმე" უკანონოთა მემკვიდრე მოცისფრო ყლორტებმა. დასანანია, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით წითელთა ეს საცოდავი ნაშიერები, ერისა და მამულისთვის სამუდამოდ დაკარგული არსებანი არიან.

მაგრამ, დასაღონებელი და თავში საცემი არაფერი გვჭირს იბერილი ებს. მადლობა უფალს, ქართველი ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი სამშობლოსა და ერის უერთგულესი, თავდადებ ული დამცველია. საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქალიშვილები და ჭაბუკები დავითის, თამარის, ცოტნეს, ილიას, აკაკის, ვაჟას, ქაქუცას, კონსტანტინეს, ზვიადის, მერაბის, ქვეყნის ერთგული მამულიშვილებისგან გაკვალულ გზას მიჰყვებიან. და ისინი ძალზე ბევრნი არიან.

გაზეთი"ქუჯი"

2001წელი, სექტემბერი.

წადით! წადით! წადით!!!

გახსოვთ, ალბათ, ნიკო ლომოურის ცნობილი ნაწარმოების პატარა მოქმედემა პირმა, მოთმინებადაკარგულმა კატომ, როგორ გამოაფხიზლა ეკლესიაში სალოცავად საკმაო ხნით დარჩენილი მშობლები, ძმა და წადით, წადით ძახილით დაარწმუნა შევედრებულის ასრულებაში. გონიერი გოგონასაგან მოფიქრებულმა, სასურველი შედეგი გამოიღო და დადუმებული ძმა აალაპარაკა. მწუხარება და განსაცდელი, სიხარულითა და ბედნიერებით დასრულდა. ღვთისმოსავმა ადამიანებმა ეკლესიაში გაგონილი მაცხოვრის ნებად მიიჩნიეს, დაემორჩილნენ და თხოვნაშესრულებულები სახლში დაბრუნდნენ. ამით მწერალმა ჩვულებრივი ცხოვრებისეული ჭეშმარიტება შეგვახსენა, რომ უაზროდ გაჯიუტებულთ, დამნაშავეებსა და გზას აცდენილებს მხოლოდ მონანიება, უფლისადმი მორჩილება, მოყვასთა კეთილი რჩევა-დარიგება იხსნით.

სამაგიეროდ, "მართლმადიდებელი" რუსი ხელმწიფე -იმპერატორები არნახული სიჯიუტით უარყოფდნენ უპირველესად

შესასრულებელს და დასაგმობი უგუნურობით ცდილობდნენ მიწიერი სიკეთის მოხვეჭას. უსაზღვრო სიხარბეს აყოლილნი, ცეცხლითა და მახვილით იპყრობდნენ უცხო ტომების მიწებს, დაუნანებლად ანადგურებდნენ იქ მოსახლეთ და იქაურობას რუსულად ნათლავდნენ. ასეთნაირად იზარდა ისტორიულად მცირერიცხოვან-მცირემიწიანი რუსეთი დღევანდელ უზარმაზარ იმპერიამდე და დღეს, უსამართლოდ

დაპყრობილ- მითვისებულით გაზრდილ-გავრცობილს, ვერაფრით წარმოუდგენია მიტაცებულის ხელიდან გაშვება. საუკუნეების განმავლობაში სხვათა კისერზე წამოსკუპებულ-ჩაფრენილს, იქიდან გამოწოვილი სისხლით ნასაზრდოებს, ცოცხალი თავით არა სურს დათმოს იგი საზრდო-საარსებო და კვლავაც ტყვიით იღვწის დაპყრობილის შენარჩუნებისთვის.

უზარმაზარი ტერიტორიის ხელთმოგდებული რუსული იმპერიის ყველა დროის "მმართველები" განუკურნებული, ავბედითი სენით იყვნენ შეპყრობილნი მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდნენ. გამონაკლისი არც მეოცე საუკუნის მიწურულს მიღწეული დღევანდელი "მმართველი", ე.წ. პრეზიდენტი გახლავთ. ვინ არის იგი "დემოკრატიის გზას შემდგარი რუსეთის პრეზიდენტი?".მისი პიროვნების წარმოსაჩენად საკმარისია მისივე მოდგმის, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის, კინორეჟისორ ს. გოვორუხინის მიერ გაზეთ "იზვესტიაში" (1995 წ. N50) გამოქვეყნებულ წერილში თქმული: "ჰკითხეთ ნებისმიერ ინტელიგენტს ჩვენში და იგი გიპასუხებთ, რომ ელცინი ლოთია". დაგვეთანხმებით, ძნელია ამას რამე დავუმატოთ. ბახუსს დამონებულის თქმული და ნაბოდვარი კი რისი მომტანიც გახლავთ, შესანიშნავად ვუწყით.

"თუ ჩეჩნეთში ომს ვერ შევაჩერებ, პრეზიდენტობაზე უარს ვიტყვი". ეს წლეულს, პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კამპანიის დროს წარმოთქმული ელცინის სიტყვებია. თუ როგორ შეასრულა იგი კანიბალმა იმპერატორმა, ყვალასათვის ცნობილია: " არჩევნებში გამარჯვების" მეორე დღესვე გააფთრებული საომარი მოქმედებები განაახლა და გულგრილ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა ბოროტების იმპერიის კაცთმოძულე სახე. თუმცა,

ყველაფერი ბოლო მომაკვდინებელი გაფართხალება გამოდგა ფუძემორყეული იმპერიისა და ალკოჰოლისგან დასნეულებული მისი თავკაცისა. თითქმის ორწლიანი უსასტიკესი ომის გადამტანი ხელისგულისოდენა ჩეჩნეთი რაინდული თავგანწირვის, უზარმაზარი მსხვერპლის გაღების ფასად მიილტვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. "მსოფლიოს შემაზანზარებელი უძლეველი" რუსული ჯარი თავლაფდასხმული, ყველანაირად დამარცხებული და შერცხვენილი სტოვებს მათგან არაადამიანურად, ბარბაროსულად, იავარქმნილ ვაინახთა მრავალტანჯულ მიწას. წითელი იმპერია კუდამოძუებული იხევს უკან და სახელშებღალული, საბოლოოდ ნიღაბჩამოგლეჯილი, კიდევ უფრო გაავებული ძველებურად, უტიფრად ცდილობს ჩადენილი უსაშინლესი დანაშაულის მიჩქმალვას. თუმცა, ამაოა განწირულის საცოდავი სხმარტალი.

... და მაინც, რუსული იმპერიის დამანგრეველ დამასამარებელი ძალა საქართველოდან დაიძრა. შეუძლებელი გახდა აბობოქრებული ეროვნულ -განმათავისუფლებელი მოძრაობის იმპერიული, ტრადიციული ხერხებით შეჩერება. თბილისში დატრიალებულმა აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ უკან დახევისა და ჩაჩუმება შეშინების ნაცვლად, უმტკიცესად შეაკავშირა ერი, რაც აუცილებელი წინაპირობა გახდა კომუნისტთა მმართველობის გაუქმების, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისა, რასაც ეროვნული ხელისუფლების მოსვლა და პირველი ქართველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას არჩევა მოჰყვა. ჩვენდა სავალალოდ, ეს მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი სახელმწიფოს მაშინდელი თავკაცისთვის, რადგან თავად

გახლდნენ გახლართულნი შავბნელ, მაფიოზურ მასონურ დაჯგუფებებში და ცხადია, მათთვის შეუძლებელი იყო მფარველთა და თანამზრახველთა ნება- სურვილის წინააღმდეგ წასვლა. არც რუსეთში ისხდნენ გულხელდაკრეფილები სახელ და ფერნაცვალი, თანამდებობებისა და დაპყრობილი ქვეყნების დაკარგვით შეშფოთებული კომუნისტები. პირიდან გავარდნილი გემრიელი ლუკმის-საქართველოს უკან, ჯამში ჩაბრუნება წითელ პრეზიდენტ ელცინს თანამეინახეებმა, უცხოეთის შავბნელმა ძალებმა ახლო მომავალში მათგან დაგეგმილი, მოსკოვს თავშეფარებული ქართული პარტიული ნომენკლატურის, მათთან შეკავშირებული კრიმინალური "ინტელიგენციის" მცირე ნაწილის მიერ წამოწყებული "ამბოხების" ანუ სამხედრო გადატრიალების მოწყობით ურჩიეს .

ყველაფერი იმ შემზარავი გეგმით გაცხადდა: პრეზიდენტგანდევნილი ქართველებისგან დაცლილი, დაფლეთილ -გაჩანაგებულ-დანგრეული საქართველო ამჯერად ესენგედ სახელმონათლული იმპერიის კოლონია გახდა. მმართველობა ისევ კომუნისტებმა ჩაიბარეს. ასე შეკოწიწდა დროებით, რღვევადაწყებული სისხლიანი იმპერია. დაგვეთანხმებით, რომ ყოვლად წარმოუდგენელია ბოროტების იმპერიას კაცთმოყვარე, კანონ-სამართლის დამცველი პიროვნება თავკაცობდეს. ყოვლად წარმოუდგენელია მისი გარემომცველი შოვინისტი, დამპყრობლური სულისკვეთების მქონე მმართველების დემოკრატებად და ჰუმანისტებად დაგულება. აკი ამიტომაც, იმპერატორიცა და მისი ამალაც ძველებურად დაუფარავად, კვლავაც თავის საკუთრებად აცხადებს ესენგეში "ნებაყოფლობით" გაწევრიანებულ ქვეყნებს და საკუთარი უკიდეგანო ტერიტორიის ვერ მომვლელ-მომრევი, თავგამეტებული და გამწარებული ეპოტინება სხვათა მიწა-წყალს, დაუნანებლად ჟლეტავს თავის საკუთარ მოდგმას თუ იქ მოსახლეებს, ერთი გოჯი ურგები მიწის შესანარჩუნებლად. მაგრამ, ღმერთი საბოლოოდ ყველას კუთვნილს მიაგებს, კუთვნილ სკამზე დასვამს. უპირველესად კი მწარე სამაგიეროს რუსულ იმპერიას, მის "მმართველებს" არგუნებს, რადგან ხარბნი და მტაცებელნი ჯერაც ვერ მოსულან გონს, არაფრად არ სურთ უზენაესისგან რგებულით დაკმაყოფილება. თუმცა, მეორეს მხრივ ალბათ არც გაემტყუნებათ ცოდვილებსა და უვიცთ, რადგან გონებანაკლულთა განსჯის უნარი, ბეცად თვალსაწიერი ფრიად ვიწრო და შეზღუდულია.

მართალია კომუნისტური იმპერიის "მმართველმა" ხროვამ დროებით შეძლო იბერთა ქვეყნის მარწუხებში მოქცევა და წითელი წყობა- რეჟიმის აღდგენა, მაგრამ ვერაფერი გააწყო

ქართველთაგან წამოწყებული ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერ, ღირსეულ გამგრძელებელ მემკვიდრე ვაინახებთან. თუმცა, რუსეთის იმპერიულ ძალებს არც ამ ხალხის შემარცხვენელი მოღალატე თანამემამულეების მოძებნა და "სამშობლოში წესრიგისა და მშვიდობის"დასამყარებლად შეგზვნა გაუჭირდათ. მაგრამ საბედნიეროდ, მათ თითქმის არავინ გაჰყვა-ჩეჩნეთში გამყიდველები და მოღალატეები თითებზე ჩამოსათვლელები აღმოჩნდნენ. ამიტომაც გამოდგნენ უძლეველები ერთიანი სულისკვეთებით, ერთ მტკიცე ძალად შეკრული ჩეჩნები.

... არა და არ ეთმობა სიავისაგან გაწითლებულ გავარვარებულ იმპერიას უმდიდრესი კავკასიის ერთი გოჯი მიწაც კი და სიღატაკის უფსკრულში ჩაჩეხილი, დამშეულ სასოწარკვეთილი, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მთლიანად მოშლილ-დაქცეული სისტემის, უკიდურესად მოძველებული სამხედრო თავდაცვითი ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის პატრონი, ფანტასტურად ზღაპრულ თანხებს არ იშურებს იმპერიული ზრახვების დასაკმაყოფილებლად . მაგალითისთვის, რუსული ცრუ საინფორმაციო საშუალებებისგან მოწოდებულ შელამაზებულ მონაცემებს გაგაცნობთ: თურმე ჩეჩნეთის ომის თითოეული დღე იმპერიას ხუთი მილიონი დოლარი უჯდება (!). ცხადია, ტრადიციულ მიჩქმალვა-მიჩუმათებას, სიცრუესა და ტყუილს მიჩვეულმა საინფორმაციო საშუალებებმა არ უღალატეს ჩვევას, თორემ რიგითი მოკვდავისთვისაც კი ნათელია, რომ დანახარჯები გაცილებით მეტია.

ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა რუსული იმპერია, რომ ერთიციქნა ჩეჩნეთში არნახულ წინააღმდეგობას წააწყდებოდა, რადგან საგულდაგულოდ ჰქონდა მივიწყებული დიდი შამილისა და შეიჰ მანსურის დროიდან მოყოლებული გმირული ბრძოლების ამბები. აკი ამიტომაც განაცხადა ჩვეული უტიფრობითა და თავხედურად მსოფლიოს "შემაზანზარებელმა და უძლეველმა" რუსეთმა ომის დაწყებისას, ჩეჩნებთან ანგარიშის ორ-სამ დღეში გასწორების შესახებ.

... ბრძოლები კი თითქმის ორი წელიწადი გაგრძელდა და იგი

დამპყრობლის სამარცხვინო, სასტიკი მარცხით დასრულდა!

იმპერიის არმიის კაციჭამია ჯარისკაცებს უკიდურესად

არაადამიანურად მოქმედება ჰქონდათ ნაბრძანები: არავინ და არაფერი დაენდოთ, ფერფლად და ნაცრად ექციათ ყველაფერი, დაუნანებლად ეჟლიტათ პრეზიდენტ ჯოჰარ "დუდაევის ბანდიტური" ფორმირებები, მშვიდობიანი მოსახლეობა... შემაძრწუნებელია და ძარღვებში სისხლის გამყინავი რუსული თვითმფრინავებისა და ტანკების, დამპყრობლის მიერ გამოყენებული ყველანაირი იარაღის, მათ შორის ქიმიურისაც, ჩადენილ-ნამოქმედარის ხილვა. ფედერალური ჯარების მებრძოლები მხეცურად უსწორდებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს: ტანკების მუხლუხებით სრესდნენ ჩვილ ბავშვებს, ცოცხლად მარხავდნენ ხელთმოგდებულ ადამიანებს, მუცლებს უფატრავდნენ ორსულებს, თვლა არ ჰქონდა გაუპატიურებულებს ... ასე ბარბაროსულად გარჯილნი, სამშობლოსა და ერის დამცველ რაინდებს ბანდიტებად, მკვლელებად ნათლავენ, ამგვარად ცდილობენ უმძიმესი დანაშაულის მიჩუმათებას. მაგრამ, განა დაიმალება შუბი ხალათში? მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, მართალი საზოგადოება აშკარად ხედავდა წითელთა მხეცობისა და ავკაცობის სავალალო შედეგებს და ხმას იმაღლებდა, განუწყვეტლივ მოითხოვდა გაუგონარი სისხლისღვრის შეწყვეტას, კანიბალთა ჯარების დაპყრობილი ქვეყნიდან გაყვანას.

წადით! წადით! წადით ! ეძახდა აღელვებული მსოფლიო ჩეჩენთა სისხლით ვერ გამძღარ ჯალათებს. აგონიაში ჩავარდნილთ არაფერი ესმოდათ, რადგან მაცხოვარი კუთვნილის მისაგებად ამზადებდათ. და დადგა ჯერი განწირულის დანარცხებისა. ვაინახებმა სამხედრო თვალსაზრისით, პოლიტიკურად და მორალურად დაჯაბნეს მომხდურნი,

თვალნათლივ დაანახეს მსოფლიოს სიმართლისა და კანონიერების ყოვლისშემძლეობა.

ატომური იარაღის მფლობელი და კოსმოსში გაჭრილი, სამარცხვინოდ დამარცხებული, მათხოვრულად ხელგაშვერილი იმპერია კი ჯიუტად იფიცება ჩეჩენთა ქვეყნის საკუთრებას და დასტურად მისგანვე დაჯღაბნილ-შეთითხნილ "წყალშეუვალ საბუთს-კონსტიტუციას" აფრიალებს. დანარჩენი ყველაფერი: ღმერთიც და მრავალსაუკუნოვანი ისტორიაც, უძალოა და არაფრის მაქნისი. მთავარია მისგან დაწესებული " წეს-კანონი" და ის ფარატინა ქაღალდი "კონსტიტუცია".

ამასთან დაკავშირებით, ¨საქართველოს პარლამენტის¨ 23 აგვისტოს

სხდომაზე გამოსული "ვიცე-პრემიერ" თ. ნადარეიშვილის ნათქვამი გვსურს შეგახსენოთ: "ბევრ სხვა რამესთან ერთად, იმიტომ არის აუცილებელი ახალი კონსტიტუციის მიღება, რომ მოსკოვში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ყველა მოლაპარაკებაზე, რუსეთის მხარე დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთის საქართველოს კუთვნილებაში ყოფნის დამადასტურებელ ოფიციალურ საბუთს" (!).

შეუძლებელია ამაზე მეტი ზღვარს გადასული სითავხედისა და თავგასულობის წარმოდგენა. საინტერესოა, თვით რუსეთს თუ გააჩნია კავკასიის, შუა აზიის, უკრაინის, ბელარუსიის, მოლდავეთის, თათრეთის, ბაშკირეთის, ჩუვაშეთის, იაკუტიის, უდმურტეთის, ტუვისა თუ ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, კურილიის კუნძულების, კარელია -ფინეთის, პრუსიისა თუ სხვა მიწების საკუთრებად დამადასტურებელი ოფიციალური საბუთები და სიგელ- გუჯრები?

და საერთოდ, სად იწყება და სად მთავრდება რუსთა იმპერიული სამფლობელო? რა გააჩნდათ და რისი მფლობელები იყვნენ ოდითგან სხვისი მიწა-წყლის მიტაცებაზე მომეცადინე სლავები? აი, რას წერენ გ. სმოლიცკაია და მ. გორბანევსკი წიგნში "მოსკოვის ტოპონიმები:" : " გ 20-30 ჯîãû XX ÿØêÿ ÞûëèÞ

ïðØãïðèíÿòû ïîïûòêè ãîêÿçÿòü ÿèÞðèãíîØ ïðîèñõîæãØíèØ íÿçÿÿíèÿ ØîñêÿÿÞ: ýëØìØíò **ÿÿ**, ïî ýòîìó ìíØíèþ, ïðèíÿãëØæèò ôèìíî-óÿîðñêîé ÿçûêîÿé ñðØãØ, ÿ êîðØíü **ìñê -** ñÿÿçÿí ñ íÿçÿÿíèØì çÿÿêÿçñêîÿî íÿðîãÿ Øæÿzт è èìØØò îÞùØØ ïðîèñõîæãØíèØ ñ òÿêèìè ýòíîíèìÿìè çÿÿêÿçÿ, êÿê **ÿÞõÿç è ÞÿñêÞ.** ã 40-õ ÿîãÿõ ÞûëÞ ÿûñêÿçÿííî ìíØíèØ î òîì, ÷òî îÞÿ êîìîíîØíòÿ íÿçÿÿíèÿ è **Øîñê,** è **ÿÿ** ïðèíÿãëØæÿò çÿÿêÿçñêèì ÿçûêÿì (ä. ö. ÿìîëèöêÿÿ, Ø.ã. äîðÞÿíØÿñêèé «ríîíîèìèÿ Øîñêÿû». òçã. «Þÿóêÿ» Ø. 1982 ÿ. ñòð.85.)

განწირულისა და აგონიაში ჩავარდნილი იმპერიის "მმართველ" ხროვას ოდნავადაც არ აწუხებს დასაწყისიდანვე წაგებულ ომში დახოცილი სლავი ჯარისკაცების, ტყვედ ჩაბარებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, მათი ახლობლების ბედი. წითელ იმპერიას ჩეჩნეთში ავღანეთის ომის რეანიმაცია ჰქონდა ჩაფიქრებული, რადგან ამ გზით მაღალჩინიანი სამხედროები უზარმაზარი თანხების ჩაჯიბვას გეგმავდნენ. ჰოდა, სწორედ ავღანეთში განცდილი სამარცხვინო ლაჩრული მარცხის დარად, იჩქერიიდანაც კუდამოძუებულებს უწევთ გაქცევა ზღაპრული სიმდიდრის მოხვეჭაზე მეოცნებეებს. ჩეჩნებმა ღმერთს შეჰფიცეს, რომ ახლანდელი დაპირისპირება საძულველ დამპყრობელთან საბოლოო იქნებოდა, რომ რუსეთმა საკუთარი ნებით უნდა თქვას უარი მათ ქვეყანაში პარპაშზე. ამიტომაც იბრძოლეს არნახული თავგანწირვით რაინდმა ვაინახებმა, აღმაფრთოვანებელია და სამაგალითო მათი თავდადება სამშობლოსა და

თანამემამულეებისადმი. ათი -თორმეტი წლის ყმაწვილებმა სიცოცხლე არ დაიშურეს, მტრის ტანკებს ჩაუცვივდნენ, ნამსხვრევებად აქციეს ნგრევა- სიკვდილის მომტანი მონსტრები. დაუვიწყარია რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი გადაცემის მონაწილე ჩეჩენი ქალი, რუს კორესპონდენტს კიდევ ერთხელ რომ "აუხილა" თვალი მათგან ჩადენილზე და ცრემლებმომდგარმა ამაყად განუცხადა რვა წლის ვაჟიშვილის მიერ დახატულ დაბომბილ კრემლზე- ჟლეტისადმი გამოხატულ ბავშვურ შურისგებასა და სიძულვილზე. არა გვგონია, ამის შემდეგ ვინმეს ეჭვი შეეპაროს იჩქერიის წარმოუდგენლად მებრძოლი

ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაში. ამას ყველაზე კარგად თვითონ დამპყრობლები გრძნობენ და ხედავენ, მაგრამ შერცხვენილები ზურგზე არ ეცემიან და სიცრუის, სიყალბის ყველანაირ ზღვარს გადასული მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით " რიხიანად და უტეხად ამტკიცებენ ჩეჩნეთის კონსტიტუციურად" წილხვედრილობასა და საკუთრებას.

მართლაც წარმოუდგენლად უჭირთ დაპყრობილი ქვეყნების საუკუნეების მანძილზე ძარცვა-გლეჯით მოპოვებული, შინგასაზიდი აურაცხელი სიმდიდრის ხელიდან გაშვება და იმპერიის არნახულად გაავებული "მმართველები", დიდ-პატარა ჩინოვნიკები ყველაფერს კადრულობენ კვლავაც სხვათა კუთვნილის მისატაცებლად, მათი ნაშრომ-ნაჯაფის მისათვისებლად. დამარცხებული რუსეთის ძალაგამოცლილი "ხელისუფლების" მაღალი ეშელონების წარმომადგენელები, სახელმწიფო სათათბიროს პალატების დეპუტატები, პოლიტიკოსები და სხვანი, საცოდავად ასავსავებენ დაჩლუნგებულ -დამსხვრეულ ჭანგებს და ხმამილეულნი, ხრიალით ამოთქვამენ გამარჯვებული ჩეჩნების "კანონსაწინააღმდეგო" ქმედებების შესახებ. მართალთაგან დაჯაბნილნი არასწორად მიიჩნევენ გამარჯვებულთა ქვეყნის ახალი მთავრობის მიერ არჩევნების დანიშვნის თაობაზე გაკეთებულ განცხადებებს, ყველანაირი კავშირის გაწყვეტით ემუქრებიან იჩქერიის დამოუკიდებლობის მაღიარებელ ქვეყნებს. ამაზეა ზუსტად ნათქვამი: ბოროტისგან ბოროტება გამოდისო. საკუთარის ვერმომრევი, ვერმომწესრიგებელ-ვერმომვლელი ისევ სხვისკენ იხედება დამშეული დათვივით და ქრისტიანობაზე "თავგადაკლულ მართლმადიდებლებს" ერთხელაც არ გახსენებიათ სახარებაში თქმული: "სჯობს მცირედი და სამართლიანობით, ვიდრე მრავალი და უსამართლობით". (ტობითი, თ.12).

ალექსანდრე ბატონიშვილმა ასეთი ზუსტი შეფასება მისცა ჩრდილოელ დამპყრობლებს: "რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მათში არ მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან".

... "რუსეთის იმპერია აუცილებლად დაინგრევა და ამას ახალგაზრდა ჩეჩნები დაუდებენ დასაბამს", - ეს ვაინახთაგან არჩეულმა პირველმა პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა განაცხადა სისხლიანი იმპერიის ბარბაროსული შესევის დაწყებისას.

უცხოეთის ერთმა რადიოსადგურმა რუსული იმპერიის მთელი მსოფლიოსთვის სასურველი დაშლა-განადგურების პროცესი ოთხ ძირითად ეტაპად დაჰყო: ყველაფერი გერმანიის გაერთიანებიდან დაწყებულა, მეორე ეტაპი ბალტიისპირეთის ქვეყნების წითელი ურჩხულისგან თავდახსნით დასრულებულა. მესამე ეტაპი საქართველოდან,

ჩეჩნეთიდან და საერთოდ კავკასიიდან რუსეთის აბარგებით დამთავრდება და საბოლოოდ ტაჯიკეთის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვება დაასამარებს წითლების იმპერიას.

დღეს რუსეთს სხვა გამოსავალი აღარ დარჩა-ჩეჩნეთისგან სასტიკად დამარცხებულ-განადგურებულმა გუდა-ნაბადი უნდა აიკრას და სასწრაფოდ გაეცალოს ამბოხებულ-აბობოქრებულ კავკასიას.

წადით! წადით! წადით !

ოდითგან დაპყრობის, დამონების, მოსპობა-განადგურების, მიტაცებისა და მითვისების ჟინით შეპყრობილო, შემოპარულო "მფარველებო და დამცველებო". გაფრთხილდით, მოახლოებულია ჟამი თქვენი განკითხვისა!

დაგვეთანხმებით, მართლაც კარს მომდგარია რუსული იმპერიის დაქცევის ჟამი. გარდაუვალი აღსასრულით კიდევ უფრო გახელებული და გაბოროტებული წითლები, გააფთრებული სისასტიკით და არნახულად მოძალებული ვამპირული მადით ელტვიან შემზარავი საპყრობილის ფუძეგამოცლილი, დაბზარულ -დამსკდარი კედლების შეკავებასა და გამაგრებას. მაგრამ, ფუჭია ყოველივე- საძულველი იმპერია უნდა დაინგრეს.

ჩვეულებრივი ჭეშმარიტებაა: გაჭირვებისა და განსაცდელის დადგომისას, გონს მოსულთა უმრავლესობა გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ავკაცობასა და ბოროტებას და დარჩენილ დღეთა სიკეთეში, სიყვარულში გალევას ესწრაფვიან.

სწორედ ამგვარად გარჯა გვინდა ვურჩიოთ წითელი იმპერიის შეუვალობასა და უძლეველობაში ამაოდ დაჯერებულ სნეულსა და სასომიხდილ "პრეზიდენტს", ანგარების უფსკრულში ჩაჩეხილ მის ბეც, გონებადაბნელებულ გარემოცვას და ჩავაგონოთ, რომ ჯერ კიდევ შეუძლიათ გონს მოგება, უაზრო განდიდების, ყველაფრის შემძლეობის მცდარი და შესაბრალისი მანიის დაოკება. მოუწოდოთ, თამამად გაუსწორონ სინამდვილეს თვალი და მზერადაბნელებულებმა ცხადლივ დაინახონ, რომ ხავსი, რომელზეც ასე გამეტებით ცდილობენ ჩაბღაუჭებას, დიდი ხანია წაიღო წყალმა, მოუღლელად რომ ამღვრევდნენ უამრავ ჩადენილ დანაშაულთა, ცოდვათა დასაფარ-დასამალად. იგივეს იქმოდნენ ყველა მანამდე არსებულ იმპერიათა იმპერატორები, მმართველები .... და ვერ შესძლეს, უკლებლივ ყველა იმ ბინძური და ატალახებული წყლით დატრიალუბულმა მორევმა ჩაყლაპა!..

1995 წელი.

ხვედრი განწირულისა

"ფარისეველო ! გაუტანელო !

სხვასთან თავმხრელო, შინ ორმოს მთხრელო,

ნაგავის მყრელო, შენ ჭრელო გველო!

რამ შეგაძულა, სთქვი, საქართველო ?!"

აკაკი

ორ თვეზე მეტია საქართველოს ძველი "პატრონი" დაუბრუნდა, უფრო სწორედ იგი ქვეყნის ერთ ერთმა "ხელმძღვანელმა" ჯ. იოსელიანმა მოიწვია. თუმცა რაზეა ლაპარაკი, როცა "მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსმა" ე. შევარდნაძემ თავათ ასე მოისურვა მოწვევა უნდა მიეღო, ხვეწნა მუდარა შეეთვალათ, ჩამოსულიყო და "გადაერჩინა სამშობლო, განადგურებისგან დაეცვა საყვარელი ერი". თორემ მისივე თქმით, სულაც არ უნდოდა მაღალი თანამდებობისთვის განკუთვნილ სავარძელში ჩასვენება, მას მხოლოდ "უფსკრულში ჩაჩეხილი სამშობლოს ფეხზე დაყენების უდიდესი სურვილი ამოძრავებდა". თადარიგიც თავიდანვე დაიჭირა და "საკუთარი წიგნის" უცხოურ გამოცემებში აღებული ჰონორარი, მისგანვე ნაბრძანები გადაბუგულ დანაცრული რუსთაველის გამზირის "აღსადგენად" გადმორიცხა. მერე რაღა დარჩენოდა? არაფერი! მხოლოდ ხელები უნდა დაეკაპიწებინა და თანამოაზრეებთან ერთად ძველებურად დატრიალებულიყო ჩვეული ფანდებით გზიდან ჩამოეცილებინა, ფიზიკურად გაენადგურებინა საშიში მოწინააღმდეგეები, თავისუფლების მოყვარე, დამოუკიდებლობის მოსურვილე ქართველები.

ბუნებრივია, "აღმშენებელს" ერთგული მხარდამჭერები და საქმის მკეთებლები დასჭირდებოდა, რადგან ბევრის გაქრობისა თუ დამუნჯებისთვის, ბევრი სულგაყიდულისა და გადაგვარებულის გულქვაობა, შეუწყნარებლობა უნდა მოეხმარებინა. რაც მთავარია, ყველაზე საჭირო და აუცილებელი უკვე განაღდებული ჰქონდა ხალხისგან არჩეული თავდადებული და გონიერი წინამძღოლი, მისთვის უპირველეს მეტოქედ და მტრად გამოცხადებული საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, სამშობლოს გარიდებული გახლდათ. მარადიული კომუნისტის გონებაშეზღუდულმა, ერს დაპირისპირებულმა დამქაშებმა სისხლის მორევში ჩაახრჩეს თავისუფლების დამცველი, სიმართლის მთქმელი ადამიანები, რუსეთის იმპერიის მინისტრყოფილის შემწეობით შეძენილი იარაღითა და უშუალო მითითებებით, რუსი კაციჭამია ჯარისკაცების დახმარებით დაუნდობლად დაცხრილეს უწვერულვაშო ჭაბუკები, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები, დაანგრიეს და გადაწვეს თბილისის გული და უძველესი უბნები, ძარცვეს და ანგრიეს მოწინააღმდეგეთა საცხოვრებლები... თუმცა, მთლად პრეზიდენტის მომხრეთა რბევით რომ არ გამოეჩინათ თავი, თითო ოროლა თავიანთს თანამდგომთა წინასწარ გამოცარიელებულ, მოფამფალებულ სახლებსაც "შეუტიეს", რაც მერე ჩინებული მიზეზი იქნებოდა "განგაშის" ასატეხად, პრეზიდენტისა და მისი თანამოსაქმეების დასადანაშაულებლად.

ეს დასაწყისი იყო საქართველოს დამაქცევარისა და მომსვრელის, მოსკოვის ემისრის, მსოფლიოს ძლიერ სახელმწიფოთა გაიძვერა დიპლომატებთან დაახლოება მიჩოჩებაში გაწაფული შიკრიკის, თანამდებობის მიღებით აფართხალებული ე. შევარდნაძისა და რუსეთის "გადემოკრატებული ხელმძღვანელების" შემაძრწუნებელი ჩანაფიქრისა.

სამოქმედო გეგმა კი ბევრის მომცველი იყო ქართველთა დიდი ნაწილის საბოლოოდ განადგურებას და დარჩენილთათვის რუსეთის სამუდამო უღლის დადგმას ითვალისწინებდა. ამ საშინელების აღმსრულებლები, სამხედრო საბჭოს დამორჩილებული კბილებამდე შეიარაღებული გვარდია და მხედრიონი, წითელი "ინტელიგენცია", სრულ მზადყოფნაში იყვნენ. და გაცხადდა რუსეთის საოკუპაციო ჯარის ხელშეწყობით საზარელი გეგმა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების მოსურვილეებმა, ქართველი მაფიოზების ხელშეწყობით დაუნდობლად დახოცეს კანონიერი ხელისუფლების დამცველები და სისხლიანი კალოს

კვლავაც დაყენებით შეწუხებულ პრეზიდენტს, სამშობლოსა და ერის მიტოვება აიძულეს.

ქვეყნის პრეზიდენტის სავარძელთან ერთად, მთავრობის ხელმძღვანელის სავარძელიც ცარიელი დარჩა. ძნელი არ იყო მიხვედრა იმისა, თუ ვის უფეშქაშებდა მას ჟინდამცხრალი შევარდნაძე ამისთვის უკვე შერჩეული ყავდა სასურველი პიროვნება, რომელმაც შესაშური მონდომებითა და მუხლებზე ამაზრზენი ხოხვით დაუმტკიცა ერთგულება ჯერ რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედ, ხოლო მერე საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელად აღზევებულმა. "შევის" მარიონეტმა წითელმა "პროფესორმა" თ.სიგუამ ბოლომდე შეასრულა კრემლიდან წამოსული დავალება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სკამის მაძიებელი ხელმძღვანელების, ჭკუაარეული წევრების, ეროვნული გვარდიის "სარდალ" თ. კიტოვანის, გვარდიის საღ ნაწილს მორჩენილი ნარკომან მძარცველი "გვარდიელების", კრიმინალური "ინტელიგენციის" მხარდაჭერითა და მოქმედებით, ერთმანეთის მიყოლებით განახორციელა 2 სექტემბრის, 3 4 ოქტომბრის, 21 ნოემბრის აქციები. ერისგან გამდგარი სამშობლოს გამყიდველები სრულიად წელგამართულები იყვნენ საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის დამქაში, ქართველთა გადაშენებაზე მეოცნებე შევარდნაძე შეუსვენებლად აწვდიდათ იარაღსა და მძიმე ტექნიკას, ტყვია წამალს, უცხოურ ვალუტასა და რუსულ ფულს, სურსათ სანოვაგეს, ნარკოტიკებს... გარდა ამისა, საბოლოო "გამარჯვების", თავისუფლების სისხლში ჩაძირვისა და კომუნისტური რეჟიმის აღდგენის შემდეგ, ყველა თავისას მიიღებდა: თანამდებობებსა და წოდებებს, ჩინ მედლებსა და ხარისხებს, მოსახლეობის ძარცვით მოპოვებულ ნადავლს, ცხოვრებისეულ ყველა სიკეთეს.

ამიტომაც არ დაიზოგეს თავი ერის მოძულეებმა, მამულის გამყიდველებმა საბოლოოდ აიღეს თავზე ხელი და კრემლში შემუშავებული დამაგვირგვინებელი შეტევის განხორციელებას შეუდგნენ. 1991 92 წლების 22 დეკემბერ 7 იანვრის შუალედი საქართველოს დიდი ისტორიის დაწყევლილ, სამარცხვინო

მონაკვეთებს მიემატა. იარაღში ჩაფლულმა მოღალატეებმა, რომელთა შორის ციხიდან გამოვარდნილი "დრამატურგი და პროფესორი" ჯ. იოსელიანი და მისი ბანდის წევრებიც იყვნენ, რუსეთის საოკუპაციო ჯარის ნაწილებთან ერთად შტურმი მიიტანეს მთავრობის სახლში მყოფ პრეზიდენტზე, მის თანამოაზრეებსა და ერთგულ გვარდიელებზე. არტილერიის გამოყენებით უმოწყალოდ დაანგრიეს ნაგებობები და რაც ყველაზე შემაძრწუნებელია, სიცოცხლე მოუსწრაფეს თავდადებულ ბევრ ახალგაზრდას, ბევრიც დაჭრეს და დაასახიჩრეს, სამუდამო ხეიბრებად აქციეს. ალბათ

ბოლო არ ექნებოდა მხეცებადქცეულთა სისასტიკეს, სისხლით გახელებულები არნახულ ბარბაროსობას ჩაიდენდნენ, პრეზიდენტს რომ სწორი გადაწყვეტილება არ მიეღო დაეტოვებინა რეზიდენცია და იქნებ სამშობლოდან გარიდებით მაინც დაეცხრო ნარკოტიკებით გამხეცებული კაციჭამიების ჟინი, განადგურებას გადაერჩინა უდანაშაულო, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსურვილე ხალხი, შემდგომი დაქცევა გადაწვა აეცილებინა თბილისისთვის.

7 იანვარს "საქართველოს ტელევიზიამ" კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ძალაუფლების სამხედრო საბჭოს მიერ ხელში აღება გვაუწყა. იმპერიის ხელმოცარულმა ნამინისტრალმა შვებით ამოისუნთქა პირველი წარმატება განაღდებული ჰქონდა, ფულს დახარბებულმა იარაღით დახუნძლულმა გარეწრებმა მისი და რუსეთის შოვინისტი ხელისუფლების ნატვრა აასრულა. ახლა შემდგომი სვლა იყო გასაკეთებელი მომხდარით ამბოხებულ შეძრული ცალკეული კუთხეების მკვიდრთა დაჩოქება, დადამბლავება იყო აუცილებელი. ამაში შესაშური ერთგულება გამოამჟღავნეს იოსელიანისა და კიტოვანის "ვაჟკაცებმა", რუსეთის ჯარის ადამიანის სახედაკარგულმა ჯარისკაცებმა. მაშინ ხომ უცხო თესლის დამპყრობელთა ბანდებს, შევარდნაძემ ოკუპანტის სტატუსი მოუხსნა, ისინი უკვე ჩვენი "დამცველები, დიქტატორული რეჟიმისგან დამხსნელები" იყვნენ.

და დაიძრნენ დასავლეთ საქართველოსკენ იარაღში ჩაფლული რეციდივისტები, ცეცხლითა და მახვილით ნაცარტუტად რომ უნდა ექციათ ქალაქები, კოპწია სოფლები, უმოწყალოდ

გაენადგურებინათ პრეზიდენტის მომხრეები. არავითარი შეღავათი არ გაეწიათ, ყურადღება არ მიექციათ, თუ ვინ იქნებოდა სიმართლისა და კანონიერების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველ მომთხოვნი, ფიზიკურად მოესპოთ მათს ნებას დაუმორჩილებელი ქალი და კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა, ბავშვი... "ზვიადისტების" სისხლით დაელბოთ ქართული მიწა.

აი ასე, იმპერიის დედაქალაქიდან ებრძოდა საქართველოს, თავისუფლების მოყვარე ქართველებს "შევი". რუსეთისა და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან საუბრებში "გულდათუთქული და დამწუხრებული", ნიღაბაფარებული უზიარებდა "გულისწუხილს" საქართველოში დატრიალებულ მოვლენებზე, "სინანულსა და მწუხარებას" გამოთქვამდა დაღუპულებზე, გულში კი მეორე დღისთვის გამიზნულ მზაკვრულსა და დამღუპველ ჩანაფიქრს ქსოვდა. აი ამგვარად, ჯერ საგაზეთო ინტერვიუებით, სატელევიზიო გამოსვლებით შემოგვიჩოჩდა ჩვენი მოძულე, დაუნდობელი მტერი და ამომგდები, 7 მარტს კი მისი საქართველოში ჩამოსვლა გვაუწყეს.

ვინა ხართ თქვენ, ამხანაგო შევარდნაძე ? განა რა ბრალი მიგვიძღვის ქართველებს ღმერთის წინაშე, რომ ვერა და ვერ შევძელით თქვენგან თავის დახსნა, თქვენი ანტიქრისტიანული ქმედებებისგან გათავისუფლება? რაოდენ გულსატკენია და სამწუხარო, რომ დედამიწის ამ მადლიან კუთხეში დასახლებულ კაცთმოყვარე მოდგმას, ყოველ დროსა და ეპოქაში გამოერეოდა ხოლმე საკუთარი ჯიშის ამომგდები მტარვალი, მამულის დამაქცევარი და დამპყრობლის ხახაში ჩამგდები. საქართველოში

თქვენი ტირანიის წლებმა მხოლოდ უბედურება და უიმედობა, სასოწარკვეთა, სულიერი და ფიზიკური დაცემა გვარგუნა. იმ შავბნელსა და საზარელ წლებში თქვენგან ამოქმედებული სატანური კომუნისტური მანქანა შეუჩერებლად მუშაობდა, უამრავი ფუნქცია რომ ჰქონდა დაკისრებული. მაგრამ, მარტო მანქანა მაინც ვერ გიშველიდათ ადამინის სახე და ფორმამიღებული სულიერი არსებანიც საჭირონი იყვნენ. ჩვენდა

სავალალოდ, ასეთები საკმაოდ აღმოჩნდნენ, რომლებმაც თანამდებობების მისაღებად, თუ ცხოვრებისეული უპირატესობების მოსახვეჭად, უყოყმანოდ მოგყიდეს თავიანთი ბინძური სულები, უსიტყვო აღმსრულებლები გახდნენ საბჭოეთის დედაქალაქში შემუშავებული და თქვენგან დახვეწილ დაზუსტებული ქართველთა გასანადგურებელი გეგმისა. მასში კი ბევრირამ იყო ჩადებული უმთავრესი ქართველთა ასიმილაცია გახლდათ. ამისათვის საჭირო იყო საღად მოაზროვნეთა განადგურება, გონებაჩლუნგების ნასუფრალით დანაყრება, "პატივმოყვარე ინტელიგენტებისთვის" თანამდებობრივი სკამებისა და წოდებების ჩამორიგება, მათი და ოჯახის წევრების უცხოეთში ხშირი გრიალი, კორუფციისა და ნარკომანიის ზედმიწევნით გაფურჩქვნა, მექრთამეობისა და სპეკულაციის უმაღლეს ზღვრამდე მიყვანა, დანაშაულებრივ სამყაროსა და საიდუმლო ფაშისტურ სამსახურებში რაც შეიძლება მეტი გადაგვარებულის, მომეტებულად კი სუსტი ნებისყოფის, ნარკოტიკებს დამონებული ახალგაზრდების ჩათრევა, რისთვისაც უებარი საშუალება კომკავშირისა და კომპარტიის "ყოვლისშემძლეობა" გქონდათ მომარჯვებული. მოქმედებით, იღვწოდით, ყველაფერს კადრულობდით მოსკოველი ბოსების ნების აღსასრულებლად, ერთგულებისა და ყმობის დასამტკიცებლად. ამისი დამადასტურებელი ჩინ მედლები, ორდენები და სიგელები, ნამგალ ურიანი ხუთქიმიანი ვარსკვლავი ხომ საგულდაგულოდა გაქვთ შენახული, რათა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის მთლიანად აღდგენის შემდეგ, ისევ დაიმშვენოთ მათით მკერდი.

მაგრამ, სრული უტოპიაა თქვენი ოცნება ამხანაგო ედუარდ! რით ვეღარ დაიჯერეთ გული თქვენს დამქაშებთან ერთად, რომ ქართველები აღარასდროს დავუშვებთ მომაკვდინებელი, კაცობრიობის გამანადგურებელი კომუნისტურ სოციალისტური წყობის ფეხმოკიდებას. მართალია, თქვენი "მოღვაწეობის" დროს ბევრი გააქრეთ და მოსპეთ, მაგრამ ბევრსაც ვერ მოერიეთ, ვერ აჯობეთ, რადგან თქვენმა ღარიბმა სულმა, მარტივმა აზროვნებამ, უსაფუძვლო განათლებამ,

ვერაფრით დაჯაბნა მათი ამაღლებული სული, უზადო ნიჭი, აკადემიური განსწავლა და რაც მთავარია, ვერაფრით შეძელით მათი ყველაზე დიდი უპირატესობის სამშობლოსა და ერის სიყვარულის, თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ბედნიერების მოპოვების გაუნელებელი სურვილის ჩაკვლა. ვერც შეძლებდით, რადგან ამ უდიდესი, უმთავრესი მიზნისა და სურვილის შესასრულებლად, თავდადებულმა ხალხმა ორი ჭეშმარიტი მამულიშვილი ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იწინამძღვრა.

სწორედ ისინი გიკარგავდნენ მოსვენებას წითელ ჟანდარმს, მათდამი გამჟღავნებული შიში გიწამლავდათ ყოფას ჯერ კიდევ კომკავშირში მოღვაწეობისას. მერე შიში, სასოწარკვეთა უსაზღვროდ გაიზარდა და კომუნისტური ძალმომრეობით ახუხულავებული სახელმწიფოს "სამართავი ტახტის" ხელში ჩასაგდებად მიმქროლავი, თავგანწირული ცდილობდით მათს მოშთობას. გაიხსენეთ, რა არ იღონეთ ამისათვის:

ციხეებში გამომწყვდევა, გადასახლებები, ფსიქიატრიულ კლინიკებში დამუშავებები, დაუსრულებელი დევნა თვალთვალი თუ მიყურადება, მდაბიური და პრიმიტიული შანტაჟი, ტერორი, ცილისწამება, სამარცხვინო ლანძღვა გინება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით... მაინც დამარცხდით, ვერ გიშველათ ჭკუანაკლული და შლეგი ბრეჟნევის, მისი ხროვის მხარდაჭერამ და დაფინანსებამ. ვერც მას მოყოლილმა სხვა იმპერატორებმა შეგაძლებინეს ეს. მერე საბოლოო შანსი მოგეცათ "გამარჯვებისა" როცა წითელი იმპერიის პრეზიდენტის ნიღაბაფარებულმა შოვინისტმა, კაციჭამია შანტაჟისტმა და ტერორისტმა, მდაბიურმა თვალთმაქცმა და იაფფასიანმა მოლაყბე გორბაჩოვმა გვერდით მიგისკუპათ და საქართველოს საბოლოოდ განადგურება გიბრძანათ. ჰოდა, ქსოვეთ და ქსოვეთ წამებულთა გასაბმელი ქსელები, აგეთ და აგეთ უჩუმრად დასაჭერი ხაფანგები, უანგარო ერთგულებით მოქმედებდნენ საქართველოში დატოვებული, ამაზრზენ მაქინაციებში თქვენგან გაწვრთნილი ნაცვალები.

და ისევ ვერაფერს გახდით. არა ცხრებოდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, არ მშვიდდებოდა

აბობოქრებული ერი, სულ უფრო ზვირთდებოდა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა. აუცილებელი გახდა გადამჭრელი ზომების მიღება და მორიგი დამსჯელი, "ჭკუის სასწავლებელი" ოპერაციაც გაამზადეთ. თქვენ და თქვენმა სულიერმა მოძღვარმა, 1989 წლის 9 აპრილის საშინელი აქციის ჩატარება დათქვით. დავალება უნაკლოდ შესრულდა ისევ დაიღვარა სისხლი, დაიხოცნენ უდანაშაულო ადამიანები. მერე "დამწუხრებული ჭირისუფლის" იერმიღებულმა "თანადგომა" გამოგვიცხადეთ, დამნაშავეთა "დადგენასა და დასჯას შეგვპირდით". ვერ მოგვატყუეთ, რადგან ვიცოდით და პირში მოგახალეთ, რომ ტრაგედიის ავტორი თქვენ იყავით. ფარდა, რომელსაც ამოეფარეთ, ძალზე სიფრიფანა იყო და ნათლად ჩანდა, როგორ იწმენდით სისხლიან ხელებს თქვენ, გორბაჩოვი, იაზოვი, ნიკოლსკი, როდიონოვი და სხვები. როგორ დახოხავდნენ დავალების შემსრულებელი ფინიები, ცეკა ტეკას მაღალი თანამდებობის პირები, პარტოკრატები და გახელებულები ლოკავდნენ დამნაშავეთა ხელებიდან ჩამოღვრილ სისხლს. გეგონათ, საბოლოოდ გატეხავდით ხალხს. პირიქით კი მოხდა ქართველები კიდევ უფრო შეიკრნენ და გაერთიანდნენ, უფრო ძალუმად მიენდვნენ წინამძღოლებს.

თქვენ ამხანაგო შევარდნაძე, უსაზღვრო შიში მოგერიათ, მიხვდით, რომ სულ უფრო ახლოვდებოდა საქართველოში კომუნისტური რეჟიმის კრახის დღე. ამიტომაც გაავდით და გააფთრდით, დარტყმას დარტყმაზე გვაყენებდით, მაგრამ ვერაფერს გვაკლებდით, რადგან არჩევნებისთვის ვემზადებოდით. და სწორედ მაშინ ჩაგვწიხლეთ ყველაზე მწარედ მერაბ კოსტავა გამოგვაცალეთ ხელიდან. ეს თქვენი უდიდესი მარცხი იყო. სამაგიეროდ, დიდმა ჭირმა კიდევ უფრო გაგვამაგრა და სინამდვილედ ვაქციეთ უპირველესი ოცნება არჩევნებში გავიმარჯვეთ. ვიცოდით, ჩვენი წარმატება ახალი შეტევების განხორციელების ჟინს გაუასკეცებდა მოსკოვს, იქ დაბანაკებულ გამყიდველსა და შურისმაძიებელ "ქართველებს", ეროვნულ ხელისუფლებას დაპირისპირებულ ოპოზიციას, რომლებზეც უდიდეს იმედს ამყარებდნენ იმპერიული ძალები. თქვენ მაშინ ის

გასაღები იყავით, ზუსტად რომ მოერგებოდით მათს მერყევ სულებს. ასე გამართლდა მზაკვრული ჩანაფიქრი. ოპოზიციამ და პარლამენტში წარმოქმნილმა დაჯგუფებებმა სამარცხვინო შინაომი გამოუცხადეს პრეზიდენტს, მართალ პარლამენტარებს. მოსკოვიდან ყველანაირი დახმარებით გაძლიერებულმა ოპოზიციამ, აქაურ შეიარაღებულ ბანდებთან ერთად ყველაფერი იღონა ბინძური ამბოხების მოსაწყობად, სამხედრო გადატრიალების მოსახდენად. თქვენ "გაიმარჯვეთ" ამხანაგო ედუარდ! დეკემბერ იანვრის სისხლიანმა დღეებმა, საერთო სახალხო აჯანყებად რომ მონათლეთ, ხმის "ამოღების" საშუალება მოგცათ და "სამშობლოს გათავისუფლებით შეძრულმა" მსოფლიოს აუწყეთ დიდი ხნის სურვილი: რომ ახლა ისურვებდით "თავისუფალ სამშობლოში" ჩასვლას, ვეღარ დაიცადეთ და დაუფიქრებლად გაუსწარით იოსელიანისგან შემოთვლილ მოწვევას.

პირდაპირ საოცარია, მანამდე ხომ მრავალგზის განაცხადეთ, რომ არავითარი სურვილი არა გქონდათ საქართველოში პოლიტიკურ თუ ხელმძღვანელ თანამდებობაზე საქმიანობისა. უბრალოდ, თქვენს უნარსა და ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან ურთიერთობას "უშურველად მოახმარდით" გასაჭირში ჩავარდნილ "სამშობლოს". თქვენი სიტყვებისა არავის სჯეროდა, რადგან ვიცოდით, რომ ინტრიგებისა და ტერორის დიდოსტატი, სრულიად საპირისპიროზე ოცნებობდით იმ თქვენს "ნაცნობობასა თუ ზეგავლენას", მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ხელმეორედ ხელში ჩასაგდებად, კომუნისტური რეჟიმის აღსადგენად გამოიყენებდით. ასეც გააკეთეთ. 7 მარტს ცოდვილი ფეხი თქვენგან მრავალგზის შეგინებულსა და შეურაცხყოფილ ქართულ მიწას დაადგით. და დაიწყეთ უგემოვნოდ შეთითხნილი სანახაობის წარმოდგენა ქართულად მიესალმეთ დამხვდურ კაციჭამიებსა და სისხლიანი აქციების მომწონებელ მხარისდამჭერ ერის "ნაღებს". "ინტელიგენციასა" და ახალგაზრდობის მოღალატე ნაწილს ავტომატების ხელში აღება და მართალი ხალხის დახოცვა, ქალაქებისა და სოფლების დაწვა დანგრევა იმ ენაზე მოუწონეთ,

გაუნელებლად, თავგანწირულად რომ იბრძოდით მის აღმოსაფხვრელად და ამოსაძირკვად. მართალია, ნაძალადევ ღიმილს არ იშორებდით ფეხებში გაგორებული ფინიებისთვის, მაგრამ მაინც შეშინებული იყავით, შინაგანად გაკრთობდათ ხალხის დიდი ნაწილის მოსალოდნელი რეაქცია. მაგრამ, "ჭკვიანმა პოლიტიკოსმა" არაფერი შეიმჩნიეთ, რადგან უმალ თვალზე აგაფარეს გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", რომელშიც თქვენი უზარმაზარი პორტრეტით "შემკული" წერილის ავტორი ჯ. ღვინჯილია სამარცხვინო, გულისამრევი ლაქუცით "აჯერებდა" მკითხველებს შევარდნაძის საქართველოს მხსნელად მოვლენას. სულგრძელად მოგიტევებდათ და გიმართლებდათ უმძიმეს დანაშაულებს: უამრავი ადამიანის დახოცვას, ციხეებში ამოლპობას, შეურაცხყოფას, გეორგიევსკის ტრაქტატის მოწონებას და ზარ ზეიმით აღნიშვნას, თვითმფრინავის "გატაცებას" თანმოყოლილ ტრაგედიას ... საერთოდ, საქართველოს გაპარტახებას. სამხედრო საბჭოს თავკაცებმა კიდევ ერთხელ მოგახსენეს, რომ სისხლის მორევში იყო ჩაძირული, მიწასთან იყო გასწორებული დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი, მრავალგზის უმოწყალოდ იყვნენ დახოცილები თბილისში გამართული პრეზიდენტის მხარდამჭერი მანიფესტაციების მონაწილეები ...

ალბათ, მცირედით გაგინელდათ შიში ცოდვადამძიმებულს და გაბედულად შეაბიჯეთ სიონის ტაძარში. ეს უდიდესი მკრეხელობა იყო თქვენი მხრიდან, რადგან დღენიადაგ

ეკლესიის დევნა შევიწროებაში იყავით, იქაურ მსახურთა უმრავლესობა საზარელ სუკის აგენტებად გადააქციეთ. ახლა კი უფლის სახლში შეხვედით და სანთელი "დაანთეთ". დარწმუნებული ვართ, მაშინ ყველა ხატისა და ფრესკის წმინდანმა სიმწრისაგან თვალები დახუჭა, სმენა დაიხშო, თავიანთს სამყოფელში რომ არ ეხილეთ, ყურში არ ჩაწვდომოდათ ერისა და მამულის ამაოხრებლის, უბედურებისა და ტანჯვის მომტანის უსიამო ხმა. იქიდან გამოსულს, ყველაზე მეტად, მთავრობის სახლისაკენ გაგიწიათ გულმა, გეჩქარებოდათ თქვენი ბრძანებით დანახშირებულ დანაცრული რუსთაველის გამზირის ხილვა. აი, მაშინ კი ცოტათი

დამშვიდდით, გულით შეაქეთ, მადლობა უძღვენით ამ ბარბაროსობის ჩამდენთ და გაბედულად მიხვედით 9 აპრილის მსხვერპლთა მოსახსენებელ წმინდა ქვასთან, ყვავილები დაალაგეთ და თავი დახარეთ იმ ადამიანთა მოსაგონებლად, თქვენი მზაკვრული სურვილის ჩაფუშვას რომ შეეწირნენ. ესეც დიდი მკრეხელობა იყო და თუ აღიარებთ, უზარმაზარი მარცხიც. თუმცა, მარცხი კვლავაც გელოდათ, როდესაც ერთგული მამულიშვილის დაკრძალვის მონაწილე ადამიანებმა წყევლა კრულვა და რისხვა დაგატეხეს თავზე, უნივერსიტეტთან თქვენს საავტომობილო ამალასთან შეჩეხვისას. გამძვინვარებულმა ხალხმა იუდას, საქართველოს ჯალათის, მოღალატისა და გამყიდველის შეძახილები დაგაყარათ. ეს აქტი ხალხის ნების გამოხატულება, საქართველოში თქვენი ჩამოსვლის წინააღმდეგ გამოთქმული უდიდესი პროტესტი იყო.

და საერთოდ, ვინ მოგიხმოთ საქართველოში ამხანაგო ედუარდ? ვინ შეგთხოვათ შველა და დახმარება, ანდა რისი უნარი შეგწევთ? ალბათ გგონიათ, თქვენი მომხრე მცირე ნაწილის გარდა, სხვას ვინმეს გვჯერა თქვენი როგორც "ნიჭიერი, გამჭრიახი, გამოცდილი პოლიტიკოსის, მსოფლიო აღიარებისა". დაგვერწმუნეთ, არა. რადგან ეგ ყველაფერი თავათ მიაწერეთ საკუთარ თავს და პირველმა თვითონვე ირწმუნეთ, მერე კი მთელი ძალით ჩაუტენეთ თავში თქვენს ლაქიებს, რომლებმაც საქვეყნოდ იღრიალეს არარსებულზე. სინამდვილეში ჩვეულებრივი, საშუალო დონის თვალთმაქცი პროვოკატორი, გაიძვერა და გაქნილი არსება ხართ, საოცრად რომა გაქვთ შესისხლხორცებული იაფფასიანი, სამარცხვინო ფანდები და ხრიკები, ჩვენთან რომ ვერ იყენებთ და ვერ ყიდით. აი, უცხოელი გამოჯეჯკილი პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეებისთვის მართლაც უცხო ხილია თქვენებური ვირეშმაკობა, ფლიდობა და ამიტომაც ეგებიან ადვილად თქვენგან მოსატყუებლად გადაგდებულ ანკესზე. სწორედ ჯანჯუხებისა და ქამარ ხანჯალ ნაბად ქუდ ქალამნების ჩუქებით აუხვიეთ თვალები ასეთ რამეებში გაუთვითცნობიერებულ ადამიანებს და ერთი ორი სასიკეთო სიტყვა დააცდენინეთ, ბოლო დროს კი

წმინდა ავგუსტინეს ორდენიც გამოსტყუეთ. ესეც არ იყოს, მათთვის მართლაც მოულოდნელი იყო პირქუში, სალდაფონი რუსი "დიპლომატების"ფონზე, თქვენი ნაძალადევად გაღიმებული სახე და მიჯრით გამოჩენილი კბილები. რაც შეეხება თქვენგან დაჩემებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების "ხსნისა და გერმანიის გაერთიანების მითს", სრული უგუნურებაა და სიცრუე. თქვენ ამისი უნარი ნამდვილად არ შეგწევდათ და ეს მისსია არც არავის დაუკისრებია. უბრალოდ, ფეხმარდი, მომღიმარი შიკრიკი ყავდით გორბაჩოვს, მის ხროვას, უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურებთან გამართული მოლაპარაკებების დროს.

ამიტომაც არის ამხანაგო შევარდნაძე, რომ დიდი კომუნისტური, წითელი რუსეთის გარეშე ვერაფრით წარმოგიდგენიათ არსებობა. აკი თბილისის ტრაგედიის დაწყებამდე გულახდილად განაცხადეთ "ნეზავისიმაია გაზეტაში", რომ საქართველო დაიღუპებოდა "ერთმორწმუნე" დამპყრობლის გარეშე. ის კი არადა, ქართვლები თურმე ორ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, "მუხლმოყრილები, მიწაზე დამხობილები შესთხოვდნენ რუსეთს მფარველობას". მაინც სად, რომელ ისტორიულ წყაროებსა თუ საბუთებში ამოიკითხეთ ამის თაობაზე ? შეიძლება წითელმა ისტორიკოსებმა მიგანიშნეს ჩვენთვის უცნობ მასალებზე ? ისიც იქ ხომ არ ეწერა, თითქოსდა ქართვლებს ეთქვათ რუსებისთვის, ამიერიდან მზე ჩვენთვის ჩრდილოეთიდან ამოვაო ? აი, თქვენ მხოლოდ ასეთი რამეების გაკეთება შეგწევთ და სწორედ ესა გწადიათ მოიმოქმედოთ თქვენგან მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შემდეგ. და აღარც დააყოვნეთ დროებითი "მთავრობა" და სამხედრო საბჭო მალევე გააუქმეთ და სუფთა კომუნისტური სახელმწიფო სამართავი აპარატი შექმენით. რეზიდენციაც შესაფერისი შეირჩიეთ იმელი. არც გაგემტყუნებათ, ჩანასახიდანვე კომუნისტი, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებდით, უშუალოდ უნდა შეიგრძნოთ მარქსის, ენგელსისა და ლენინის კაცთმოძულე იდეები. ასე დაგვიკანონეთ სახელმწიფო საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც დაინიშნეთ თავი. მერე მთელს საქართველოში, კვლავ დაბრუნებულ სკამებზე წამოასკუპეთ

ყველა ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, კორუმპირებული რაიკომის მდივანი და აღმასკომის თავმჯდომარე, დირექტორი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე... სულით კომუნისტს, ვერაფრით წარმოგიდგენიათ არსებობა საბჭოების, აქტივების, თავმჯდომარეების გარეშე.

თუმცა, რატომ მარტო პარტიული მუშაკები? განა "ინტელიგენციის ნაღები" კი გვერდში არ გედგათ ? განა ისინი კი თავგანწირვით არ ებრძოდნენ პრეზიდენტს, მის მომხრე თავისუფლების მოსურვილე ხალხს, დემოკრატიას? კარგად იცოდნენ, რომ არ დაუკარგავდით ერთგულ სამსახურს. არც შეცდნენ უკლებლივ ყველამ კუთვნილი მიიღო იმისდა მიხედვით, თუ ვინ როგორ გასწირა საქართველო, პრეზიდენტი. მარტო სახელმწიფო საბჭოში თავმოყრილი წითელი "აკადემიკოს პროფესორები", უმაღლესი კომუნისტური წოდებებით დახუნძლული "შემოქმედ ხელოვან მეცნიერები" რად ღირან, ყველაფერზე რომ გეთანხმებიან, წარამარა რომ იშველიებენ სამიოდე წლის წინათ რუსეთიდან გადმოხვეწილ, მანამდე ყველასთვის უცნობი "ქართველი ფილოსოფოსის" მ. მამარდაშვილის გამონათქვამებს. არადა ცხადია, ერთი ორს თუ აქვს წაკითხული (ისიც გარდაცვალების შემდეგ) მისი "ნაშრომები". მაგრამ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ის, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს ერის დაპირისპირებისთვის. მათ სამუდამოდ შეგვაზიზღეს სიტყვა "ინტელიგენტი", რადგან მხოლოდ საკუთარ თავებს მიიჩნევენ ამად. არადა, ჩვენ მათზე გაცილებით მაღლა ვდგავართ, შეუდარებლად ძლიერები ვართ, რადგან გვწამს სიმართლე და პატიოსნება, გვიყვარს სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ვაღიარებთ და მივყვებით კანონიერ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს. და რაც მთავარია, ჩვენ მამულიშვილები ქართველი ერი ვართ და არა გადაგვარებული

"ინტელიგენეტები".

ისე რომ, ამხანაგო ედუარდ, მშვიდად შეგიძლიათ იყოთ, კადრების

საკითხი "მოგვარებული" გაქვთ ყველა ძველი მაფიოზი და კორუმპირებული არსება წინანდელ სავარძელშია ჩაფლული. ახლა

კი ნამდვილად "შეშურდება" პრეზიდენტს თქვენი "წარმატებისა". ალბათ იმაზეც "ინანებს", მთავრობის სახლის წინ დაცემულ კარვებში "ჩაბუდებული" წეს კანონების დამცველი ქალბატონები რომ ვერაფრით განასხვავა, სახელმწიფო საბჭოში მოკალათებული, ფრანგული სუნამოთი ნაპკურები, ყავისა და ამერიკული სიგარეტის კვამლით გაჟღენთილი "უმწიკვლო" დიაცებისგან. მაგრამ, ყველაფერს ამას ხომ ჭკუის "მიტანება" უნდოდა?... აი, თქვენ ყველაფერში "წინდახედული" ხართ, ყველაფერს "გამიზნულად", თქვენთვის ხელსაყრელი შედეგის მომტან საქმეებს აკვარახჭინებთ. იმგვარ დივერსიებსა და შეთქმულებებს აწყობთ, თქვენ და წითელი იმპერიის თავკაცებს რომ გარგებთ. ადრინდელს მოვეშვათ და ახლები გავიხსენოთ: პუტჩს მოყოლილი მართალი ადამიანების ხოცვა ჟლეტა და პოლიტპატიმრებით საპყრობილეების გავსება, ეთნოკონფლიქტების გაძლიერება, ქართვლთა უფრო მეტად დაპირისპირება და ურთიერთშეძულება, ადამიანთა ქონების განუკითხავად ძარცვა, სისხლის სამართლის დანაშაულებათა უსაშველოდ მატება, ცხოვრების წარმოუდგენლად გაძვირება და პატიოსანი ხალხის სიღატაკეში ჩაყრა, მექრთამეობისა და კორუფციის კატასტროფულად აღზევება, ქართული ენის თქვენებურად, ძველებურად დაწიხლვა ჩაქოლვა, მშვიდობიანი მომიტინგეების უმოწყალოდ დარბევა და ჟლეტა, მათზე გაავებული ნაგაზების მისევა ... და კიდევ ერთი - თქვენი გაუნელებელი ღვწა და მცდელობა საქართველოს პრეზიდენტის სახელისა და ღირსების შელახვისათვის, შურისძიებისთვის, რის მისაღწევადაც არაფერს ერიდებით. თვით ერისთვის სათაყვანო და უწმინდესი ადგილის, პრეზიდენტის განსვენებული მამის, დიდი კონსტანტინეს სახლ მუზეუმის გადაბუგვასა და გაძარცვასაც კი. ამგვარი მოქმედებით გწადიათ ძალადობით მოპოვებული უფლებების შენარჩუნება და გამტკიცება, ზეძალით ამოქმედებული კომუნისტური წნეხით პატიოსანი ხალხისთვის სულის ამოხდა.

აკი დაადასტურეთ კიდეც ყველაფერი 7 აპრილს, გაზეთ "იზვესტიაში" გამოქვეყნებულ ინტერვიუში: "მე არჩევანი არა მქონდა. ასე მიკარნახებდა სინდისი, მორალურ ზნეობრივი

პრინციპები, რომლებითაც მთელი ჩემი სიცოცხლე ვხელმძღვანელობდი, რა გულით უნდა გავდგომოდი განზე იმას, რაც საქართველოში ხდებოდა".

ერთი ეს გვიბრძანეთ ამხანაგო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარევ ! რატომ მაინც და მაინც დეკემბერ იანვრის ტრაგიკული დღეების შემდეგ "მოგეძალათ სამშობლოს შველის" სურვილი ? "ასი ათასი დოლარიც ხომ მოგვიანებით გადმორიცხეთ" დანაცრული რუსთაველის გამზირის "აღსადგენად". მანამდე კი რატომღაც ცხრა ზღვა და ცხრა მთა გადაღმელივით ლაპარაკობდით, თითსაც არ ანძრევდით თქვენი "დიდი ავტორიტეტის" საქართველოსთვის "მოსახმარებლად"...

ეს ყველაფერი იმისი ნიშანია, რომ თქვენ და თქვენი უვიცი, უწიგნური ხროვა იმდენად აუტანიხართ შიშს, იმდენად გზარავთ კატასტროფის მაუწყებელი ხვალინდელი დღე, რომ აღარაფერს ერიდებით. ეს განწირულთა და შერისხულთა ხვედრია.თქვენი მარცხი

გარდაუვალია. თუმცა, გამეტებით ებღაუჭებით იმელში დადგმულ სავარძელს და ხან გენშერის, ხან ბუშისა თუ ბეიკერის, ხანაც კოლისა თუ ანდრეოტის, მეიჯორის სახელების მეშვეობით, სხვადასხვა სახელმწიფოთა "საელჩოების გახსნით" ცდილობთ თქვენგან დანგრეული ქვეყნის "გადარჩენას". გულდაგულ ამტკიცებთ, რომ მდგომარეობის სულ მცირე ცვლილებისთვის, სამი ოთხი წელიწადი იქნებაო აუცილებელი. ამას სრულიად მშვიდად ისმენს წითელი "ინტელიგენცია", პრეზიდენტისგან კატეგორიულად რომ მოითხოვდა ერთ წელიწადში საქართველო ბაღნარად გადაექცია, რომ შეძლებულად ეცხოვრათ, უმაღლესი ხარისხის საკვები ეჭამათ, სუპერ თანამედროვე საცხოვრებლები, აგარაკები, ავტომობილები ჰქონოდათ, დედამიწაზე ყველაზე უკეთესად ჩაეცვათ...

"იზვესტიაში" დაბეჭდილ ინტერვიუში "შეწუხებული" ამბობთ: "ძნელია აწარმოო დიალოგი, როდესაც სროლა ისმის, როდესაც ყველაფერი გაკლია.." საქართველოს პრეზიდენტი დღენიადაგ ამაზე უარეს მდგომარეობაში იყო. თქვენგან მისეული ოპოზიცია თუ შიდაპარტიული დაჯგუფებები, ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომაც მოერიეთ და სამშობლოს, ხალხის მიტოვება აიძულეთ. მაგრამ, "გამარჯვება" დროებითია,

ხანმოკლეა თქვენი ხელმეორედ ცეკას გაპირველმდივნობა, რადგან ერთი მუჭა მომხრეების გარდა, ქართველთა უმრავლესობა თქვენი წინააღმდეგია და ვერაფრად იგუებს პირწავარდნილი კომუნისტის, რუსეთის იმპერიის ჟანდარმის უმაღლეს ხელისუფლად ყოფნას. ვერ მიიღებს, ვერ მოიწონებს თქვენს პოლიტიკას: ხელგაწვდილი, ყელგამოწვდილი რომ ევედრებით დასავლეთელ "ძმაკაცებსა და მეგობრებს" დახმარებას.

გამოდის, იმდენადა ხართ დარწმუნებული საკუთარი მოქმედების სისწორეში, იმდენად "გამარჯვებულად" სახავთ თავს, რომ გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს, არავისი რჩევისა თუ ჩაგონების, მოსმენის სურვილი არა გაქვთ. არადა, ამისი გაკეთება აუცილებელია, რათა თვალი აგიხილონ, გონებაზე მოგიყვანონ. ეს უპირველესად ოჯახის წევრებმა უნდა გააკეთონ, მათ უნდა იფიქრონ იმაზე, რომ უამრავ ცოდვათა ჩამდენ აკიდებულმა, აღარ მიუმატოთ ახალი, რადგან მის მოხსნასა და ანაზღაურებას ღმერთი თქვენს შთამომავლობას დააკისრებს. ხომ გაგიგონიათ, პაპის ნაჭამმა ტყემალმა, კბილი ვის მოკვეთა...

მაგრამ, ჩანს ახლობლებიც განუხრელი თანამოაზრეები გყვანან, ღრმად სწამთ და სჯერათ თქვენი მოქმედების სისწორისა, თორემ შეუძლებელია რაიმე არ ეღონათ აგონიაში ჩავარდნილის გამოფხიზლებისთვის. აბა მაშ რითი ავხსნათ თქვენი თანამეცხედრის გაბადრული სახე და გაუნელებელი ღიმილი "სამშობლოში" დაბრუნების, ამერიკის "საელჩოს" გახსნის, ბეიკერის, გენშერისა და მათი უზარმაზარი ამალების საქართველოში გამოსეირნების აღსანიშნავად გაშლილ ზღაპრულ სუფრასთან მჯდომს რომ გადაფენოდა სახეზე. საინტერესოა, ვის ეჯიბრებოდა იმ წუთებში, ვის უხდიდა სამაგიეროს ვითომცდა თავისუფალი, უდარდელი ქცევით? ალბათ, პრეზიდენტის მომხიბლავ მეუღლეს, მისი დაჩრდილვა თუ სურდა. აშკარად ჩანდა, რომ ყველაფერი ხელოვნური, ნაძალადევი და პროვინციული იყო. უმჯობესი იქნებოდა,

ერთი წუთით წარმოედგინა, რომ ძაძებში გამოხვეული ბევრი დედა სიცოცხლეგამწარებული დასტიროდა

თქვენგან გაჩაღებულ ძმათამკვლელ ომში დაღუპულ შვილებს, მეუღლეებს, ახლობლებს. ამასთან ბევრმა, მიცვალებული კუბოს გარეშე მიაბარა მიწას, რადგან დღეს საქართველოში სიკვდილი წარმოუდგენლად ძვირია სიცოცხლესთან შედარებით.

ესეც შიშმა გაგაკეთებინათ, ესეც დიდი მარცხი იყო, რადგან შესანიშნავად იცით განწირული ხართ. ამიტომაც სხვა გზა აღარა გაქვთ და დამნაშავე თანამოსაქმეებთან ერთად, ერთიმეორის მიყოლებით წარმოგვიდგენთ პრიმიტიულ სპექტაკლებს, რომელთა ძირითადი არსი საქართველოს "განთავისუფლება გადემოკრატება", პრეზიდენტის ლანძღვა გინება, მისი მომხრე ხალხის განადგურება, ესენგეში შევარდნა და რუსეთის იმპერიის უღლის სამუდამოდ დადგმა, უცხოელი გავლენიანი "ძმაკაცებისგან დახმარების მიღება, საელჩოების" გახსნა და ვინ იცის, კიდევ

რომელი არარსებული "სიკეთის" ქართველებისთვის მოტანა გახლავთ.

მაგრამ, ყველაფერს თავისი დასასრული აქვს ზოგს სავალალო, ზოგსაც კეთილი. გარწმუნებთ, მალე მოეღება ბოლო თქვენს თარეშს, საქარველოს დაქცევისა და ქართველთა მოსპობისთვის რომ არის გამიზნული. უშედეგოა და უძალო თქვენი საზარელი ქმედება. ნუ გექნებათ იმედი გონებაშეზღუდული, "სამშობლოსა" და ერის გამყიდველი ხროვისა, დღეს მტრისგან ზურგგამაგრებული რომ სპობს და ნაცრავს საკუთარ მოდგმას, "მამულს". ნარკოტიკსა და ფულს დამონებული უგუნური მასა მალე შემოგიბრუნდებათ და სასტიკად გაგისწორდებათ "დიდი მოკავშირეებისგან, მეგობრებისგან" არარსებული"დახმარების" შეუსრულებლობისთვის. მაშინ ამხანაგო ედუარდ, ვეღარ გიშველიან ბუშები, ბეიკერები, კოლები, დე მიქელისები, გენშერები, რომლებისთვისაც სრულიად გამოუსადეგარი იქნებით. ზურგს შეგაქცევს "ქართული ინტელიგენცია", დღეს რომ თქვენს ფეხებთან გორაობენ, ყველანაირ გამყიდველობას გიწონებენ, პრეზიდენტის, მისი მომხრეების ზიზღსა და სიძულვილში გეჯიბრებიან, უდანაშაულო და მართალი ხალხის დახოცვაში გამართლებენ. მაშინ ვეღარაფერს გიშველით "ემვედე" და "კაგებე", მხედრიონი, გვარდია თუ სხვა საჯარისო ფორმირებები. შეუწყნარებლები

გახდებიან "სამართალდამცავი" ორგანოები, ამხანაგი რაზმაძე, თქვენგან შეგულიანებული თავდაუზოგავად და "ვაჟკაცურად" რომ ებრძვის "სისხლის სამართლის დამნაშავე" პრეზიდენტს და ურცხვად აქვეყნებს სამარცხვინო "მამხილებელ ბრალდებებს". აღარც ის ახალგაზრდები დაგინდობენ, ნარკოტიკებით რომ დაიმონეთ, პროფესიონალ მკვლელებად, "სამშობლოს" გამყიდველებად და ჯაშუშებად რომ გადააქციეთ. ის ხუთასამდე "მწერალიც" მაშინ ჭკუანაკლულ პოლიტიკოსად, ბეც სახელმწიფო მოღვაწედ გამოგაცხადებენ და აქამდე ცაში ატაცებულს, ტალახში ჩაგფლავენ.

ისე, რომ ამაოა თქვენი ღვწა და გარჯა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარევ ამაოა, ქართველი ხალხისთვის დრომოჭმული კომუნისტური ხერხებით "ტკბილი ცხოვრების"თავსმოხვევის მცდელობა. დროა, მთელი ერი აღარ გააიგივოთ იმათთან,

ბოლო ჩამოსვლისას რომ დაგხვდნენ აეროპორტში, მწერალთა კავშირში რომ განუცხადეთ, თურმე სულმოუთქმელი ეძებდით და კითხულობდით: სად არის ჩემი ხალხიო? ისინი მართლა თქვენები არინ, ამიტომაც ჩაგიკრეს გულში, მლიქვნელური ღიმილით შეეცადნენ თანჩამოყოლილი ჩრდილოული სუსხის ჯობნას. მაგრამ, სულ ტყუილად დაშვრნენ ვერაფრით დაგვაჯერეს თქვენს "დემოკრატიულობასა და მამულიშვილობაში". პირიქით, საბოლოოდ ჩამოგგლიჯეს ნიღაბი და ცხადლივ დაგვანახეს რუსეთის განახლებული იმპერიის ერთგული ყმის, წითელი ურჩხულის ნებაზე მოთამაშე ჯამბაზის პიროვნება.

ამიტომაც, ისღა დაგვრჩენია საბოლოოდ და მტკიცედ განგიცხადოთ, რომ ვერანაირი ფანდებითა და ხრიკებით, ვერენაირი დაშინებითა და მუქარით ვეღარ შეძლებთ ჩვენს მოხიბვლასა და გულის მოგებას, რადგან მამულისა და ერის ერთგული ჭეშმარიტი ქართველი, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას არასდროს ანაცვალებს სამადლოდ გადმოგდებული უგემური სანოვაგით სტომაქის ამოყორვას, დაწუნებული სამოსელით შემოსვას. არ არსებობს არავითარი ძალა საღად მოაზროვნე ქართველთა დაჩოქებისა, მონობის მძიმე უღელქვეშ გათანგვისა. ახლა ქართველებს მხოლოდ ერთი

სურვილი და მიზანი გვასულდგმულებს რაც შეიძლება მალე დავიბრუნოთ პრეზიდენტი, ხელისუფლება და პარლამენტი, მათთან თანადგომით დავიბრუნოთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

თქვენ კი, იარაღით მომხდურო ამხანაგო ედუარდ, საბოლოოდ განწირული ბრძანდებით. ნუთუ ვერა ხვდებით, რომ ვერაფერს გშველით დაუსრულებელი კომენდანტის საათი და საგანგებო მდგომარეობა, 1921 წლის კონსტიტუციის "ამოქმედება, არჩევნების ჩატარებისთვის" მზადება, მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების უგულებელყოფა, ადამიანთა უფლებების დაუნდობლად თელვა, მშვიდობიანი მომიტინგეების რბევა დასახიჩრება, სისხლში ჩახრჩობა, თქვენთვის სასურველი "პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეების" ერთი ორი საათით საქართველოში ჩამოსეირნება და მხარზე წამოგდებული თეთრი ნაბდებითა და ხალხის პირიდან გამოგლეჯილი ხორაგით ავსებული მაგიდებით, საკუთარი "რეიტინგის"ამაღლების მიღწევა, ერთი მუჭა კორუმპირებული "ინტელიგენციის" ჩაბღაუჭება, გზააბნეული და იარაღასხმული ახალგაზრდების მცირე ნაწილის დროებითი ერთგულება, მაფიოზური პარტოკრატების ხანმოკლე აღზევება.

ყველაფერს ამას ხომ დიდი შიში, შეძრწუნება გაკეთებინებთ,

აშკარად რომ გამოსჭვივის თქვენი ცივი მზერიდან, გაყინული თვალებიდან, ვერასდროს რომ ვერ გვისწორებთ ტელეეკრანიდან. ან კი როგორ უნდა შემოგვხედოთ ამდენი ცოდვის ჩამდენმა, ურიცხვი ადამიანის გამაუბედურებელმა და ამწიოკებელმა ?

ჩვენგან რად გინდათ იმისი თქმა, რომ თქვენს ნატერფალში ყველგან სისხლის გუბეები დგება და ლენცოფაც კი აღარ ამოდის. ამიტომაც გვინდა დროულად მოგიკვეთოთ და მოგიცილოთ, მთელი საქართველო გადატრუსულ უდაბნოდ, ყვავ ყორანთა საუფლოდ რომ არ გადაიქცეს.

განწირული ხართ არავისგან მოხმობილო, არავისგან წინამძღოლად დანიშნულო, არავისგან კანონიერად მიჩნეულო.

იცოდეთ, რომ განწირულის ხვედრი ყოველთვის მძიმეა და მწარე, კატასტროფული, წარმოუდგენლად ტრაგიკული. განწირულის შიში, საკუთარი თვალით დანახული, ცხადლივ შეგრძნობილი სიკვდილია, მიწიერი ჯოჯოხეთია.

გეშინოდეთ შემზარავი განაჩენისა, საქართველოს დასაღუპავად მოვლენილო განწირულო "ქართველო"!

გაზეთი "საშუალო ფენა"

1992 წელი, მაისი.

გაშიშვლებული სული, გაშიშვლებული სახე

მოხდა ისე, რომ რედაქტორმა საჭიროდ არ ჩათვალა წერილის შესავალი ნაწილი და ჩემთან შეუთანხმებლად მოხსნა. ასე უაზროდ, უშინაარსოდ დაწყება ამჯობინა და თავმოგლეჯილის გაცნობა – წაკითხვა შესთავაზა მკითხველებს. სამწუხაროდ, წერილის გამოქვეყნების მერე ვეღარ შევძელი დედნის დაბრუნება. და ახლა, იძულებული ვარ ისევ მაშინდელი, დამახინჯებული სახით შევთავაზო კრებულის მკითხველებს.

- ექვსი წლისა უკვე "კალიტკას" ვმღეროდი, - ასე იწყებს თავის რუსულ აღსარებას მომღერალი **ნანი ბრეგვაძე**, შიშველი სხეულების ბეჭდვით სახელგანთქმულ ბულვარულ რუსულ "ექსპრეს-გაზეტაში".

დიახ, "კალიტკა"! აბა მშოლიურ ქართულ სიმღერას ხომ არ დაასახელებდა, ეს სუფთა პროვინციალიზმი იქნებოდა.

აი, რას ეუბნება ქართველი მომღერალი 1986 წლის 29 ივლისს გაზეთ "ახალგაზრდა კომუნისტში" საქინფორმის კორესპონდენტს: "ვგრძნობ, რომ ბოლომდე მიგებდნენ მოსკოვში, ლენინგრადში, რუსეთის საშუალო ზოლში. იქ განსაკუთრებით ესმით ჩემი". მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამაზე ვერ შევედავებით და საწინააღმდეგოს ვერაფერს ვეტყვით, რადგან იგია უშუალო შემგრძნობი საკუთარი შემოქმედების უფრო მეტად დაფასებისა ყინულოვან რუსეთში. რომ იქ მოსახლე თავკერძა, უკარება ადამიანების გაზუთხულ-გაზეპირებული უგემოვნო და უგემური სამადლობელი უფრო მეტად ესალბუნება მის გულს, რომ მხოლოდ რუსული რომანსების შესრულებისთვის იქ დაკრული ცივი ტაში უფრო მეტად ურჩევნია სამშობლოში, თანამემამულეთაგან გამოხატულ მხურვალე აღტაცებასა და სამადლობელს, გულიდან გადმოღვრილ ულევ სითბოსა და გაუნელებელ სიყვარულს. ნება მისია. უცხოეთშიც ხომ რუს მომღერლად მიიჩნევენ და ძირითადად რუსული რომანსების მიხედვით აფასებენ. დიდი ხნის

წინათ, საფრანგეთში, პარიზის რუსულ კლუბ "ჟარპტიცაში" გამოდიოდა და ცხადია, მხოლოდ მათს სიმღერებსა და რომანსებს ასრულებდა. მოგვიანებით, ცნობილ დარბაზ "ოლიმპიაში", მოსკოვის მუზიკ-ჰოლის შემადგენლობაში გამოდიოდა და მაშინაც მხოლოდ რუსულად მღეროდა. არცთუ დიდი ხნის წინათ, რუსეთიდან ამერიკაში გაქცეულმა საეჭვო გზით ჯიბეგასქელებულმა "ახალმა რუსებმა" მიიპატიჟეს და ნიუ-იორკში, თავიანთს კლუბში ამღერეს. მაგრამ, არც იმისი დავიწყება შეიძლება, ისიც სათანადოდ უნდა დავუფასოთ, რომ ბევრ ქვეყანაში ქართული სიმღერა სწორედ მისი შესრულებით გაიცნეს და აღიარეს. სიმართლე და ღვაწლი ადამიანებს არასდროს არ უნდა დავუკარგოთ.

და მაინც, ნ. ბრეგვაძე რუსული ორიენტაციის ხელოვანია. ამიტომაც მიიჩნევენ იზაბელა იურევასა და სხვათა ღირსეულ მემკვიდრედ. ამის დასტური გახლავთ ზემოდასახელებულ "ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული წერილი: "ცნობილი საბჭოთა მომღერლის საოჯახო არქივში ქვეყნის ყველა კუთხიდან მიღებული ათასობით წერილია. ისინი მოწმობენ, რომ ყველაზე მეტი თაყვანისმცემელი ქართველ მომღერალს რუსეთში ჰყავს", - ვკითხულობთ მასში. რატომაც არა. რუსული რომანსისა და სიმღერის დაუღალავ პოპულიზატორს წერილების, მისალოცი ბარათებისა და დეპეშების წერა-გაგზავნაში გაწაფული ცივსისხლიანი და პირქუში მოდგმის ადამიანები ამგვარი მარტივი ფორმით იგებენ ნ. ბრეგვაძის, ვ. კიკაბიძისა და მათს მსგავსთა გულებს. იქაური ხელისუფლება კი ძუნწად, მაგრამ მაინც იმეტებს სხვადასხვა წოდებებს, ორდენ-მედლებ-სიგელებ-პრემიებს… სამაგიეროდ, ამნაირად დაპურებულ-დაკმაყოფილებული უცხო მოდგმის არსებანი სამუდამოდ მიმხრობილნი, მათი მაფიცარ-მადიდებელნი და უტყვი მორჩილები არიან. და არამარტო ისინი – მათი ოჯახების წევრებიც, ახლობლებიც, ნაცნობ-მეგობრებიც (საბედნიეროდ, ყველა არა).

ახლა ისევ იმ იაფფასიანსა და პრიმიტიულ რუსულ გაზეთში აღვლენილ ბრეგვაძისეულ "აღსარებას" დავუბრუნდეთ:

"ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი ბავშვი ვიყავი. როცა სკოლაში საშინაო წერით დავალებებს მაძლევდნენ, ბაბუა მიწერდა. იძულებული ვიყავი მისი ნაწერი გადამეწერა, ჩემებურად შემემოკლებინა. სხვაგვარად მიმიხვდებოდნენ, რომ ჩემი დაწერილი არ იყო. ჩვეულებრივ სამიანს მიწერდნენ". ვფიქრობთ, "აღსარების" ამ მონაკვეთში მომღერალი მთლიანად გულწრფელია, რადგან მისი კოლეგებისგან და მეგობრებისგან ბევრჯერ მოგვისმენია მის მოკრძალებულსა და ალმაცერ ურთიერთობაზე ლიტერატურასთან, ისტორიასთან, ჟურნალ-გაზეთებთან. მაგრამ, განა რა აუცილებელია ყველა გაზეთისა და წიგნის ჭია იყოს? ბევრს ხომ მათს გარეშეც შესანიშნავად გააქვს თავი. ჰოდა, ამმხრივ დიდად გაუმართლა ქალბატონ ნანის, ღმერთმა მშვენიერი ხმა მიჰმადლა და მანაც ზედმიწევნით გამოიყენა. დიდებულ მომღერლად ჩამოყალიბებულმა, კუთვნილი ადგილი დაიკავა ცეკა-ტეკას უმაღლეს ჩინოსანთა წრეში, რატომღაც ქართული ინტელიგენციის სახელდაჩემებულ, კორუმპირებულ წითელ არსებათა გარემოცვაში. თუმცა, დროდადრო "ხალხშიც გადიოდა" და ხანგამოშვებით გამართული კონცერტებით, რიგითებსაც აძლევდა საკუთარი ხელოვნებით დატკბობის საშუალებას. და მაინც, უფრო მეტად ჩრდილოეთისკენ მიუწევდა გული, იქ ელოდა გამორჩეულ დაფასებას, პატივისცემას… და საზღვრის მიღმა გასვლის შესაძლებლობას. თუ მათ არ მიუფერებდა, არ ელოლიავებოდა, ერთგულებას არ შეჰფიცებდა, პირქუში და უმადური

ნაცნობ-მეგობრები უმალ ზურგს შეაქცევდნენ, უბოდიშოდ ჩაურაზავდნენ უცხოეთში გასასვლელ კარს და შეიძლება აღარც თავიანთს ყინულოვან ქვეყანაში მოენდომებინათ მისი მოსმენა. ამას კი არასგზით არ დაუშვებდა მომღერალი, რადგან ერთ საგაზეთო ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნა მოგზაურობის სიყვარულსა და გატაცებაზე.

“ჩემი ქმარი ინჟინერ-მშენებელი იყო¨, - აგრძელებს აღმსარებელი, - ¨ის ერთადერთი იყო ჩემთვის. თვითონ წავიდა ჩემგან. ძალზე განვიცდიდი, მაგრამ ახლა არ ვნანობ. მის შემდეგ უბრალოდ თაყვანისმცემლები მყავდნენ. და იყო ერთადერთი სიყვარულიც, ძალზედ ამაღლებული. არაჩვეულებრივი კაცი გახლდათ, არ მინდა მისი ვინაობა დავასახელო, ის ყველასთვის კარგადაა ცნობილი”. გაუგებარია, თუ რატომ არ მიიჩნია აუცილებლობად “პროვინციული, სახლში ჩაკეტილი, დღენიადაგ სამზარეულოში მოსაქმე, თანამემამულე ქალებისგან განსხვავებულმა ზეთანამედროვე, ემანსიპირებულმა ქალბატონმა და არ გაუმჟღავნა მკითხველებს კაცობრიობის უდიდეს გრძნობას გადაყოლილი იმ “ყველასთვის” ნაცნობი თაყვანისმცემლის ვინაობა. მაგრამ, ამას გადამწყვეტი და არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება. მთავარია თავის მოსაწონი და ღირსების კიდევ უფრო მეტად ამამღლებელი ითქვა- მეორე ნახევრისგან მიტოვებული მომღერალი თავდავიწყებული თაყვანისმცემლის სამიჯნურო მელოდრამის პრიმადონა გახდა…

მერე, “აღსარებაჩაბარებული” ქალიშვილზე, მშვენიერ მომღერალზე უყვება მკითხველებს, დაუფარავად აცნობს სხვა ოჯახურ წვრილმანებს.

ეძნელება მომღერალს რუსეთზე, რუსთაგან მიგებულ სიყვარულსა და პატივისცემაზე საუბრის მიტოვება (თუმცა, იქაური გაზეთის მკითხველებს ესაუბრება და რა ქნას?) და კმაყოფილი აგრძელებს: “კონცერტებს მაშინ ვიწყებ, როცა ფული გამომელევა. პეტერბურგში ყოველთვის კარგად მხვდებიან. მოსკოვი უფრო განებივრებული ქალაქია, მაგრამ მაინც ვგრძნობ დედაქალაქის პუბლიკის სიყვარულს”. დიახ, ნ. ბრეგვაძე ყოველთვის დიდი სიამოვნებით გამოდის რუსი მსმენელის წინაშე, მით უფრო მაშინ, როცა იქაური “ნაღები” საზოგადოება ზის დარბაზში. ამმხრივ აღსანიშნავია არცთუ დიდი ხნის წინათ მისი ბოლოდროინდელი მოსკოვური წარმატება, როდესაც არნახულად ბედნიერი, გალაღებულ-გაბრწყინებული მღეროდა, ალბათ რუსულ სიმღერებსა და რომანსებს (ფირი გახმოვანებული არ იყო) რუსეთის “დემოკრატი პრეზიდენტისა” და საქართველოს “პრეზიდენტის” მეუღლეთა და მათი გარემოცვის მიერ “სამშვიდობო” მისსიის ეგიდით გამართულ შეხვედრაზე. აბა ვის ესიამოვნებოდა ქართული ჰანგები, ანდა რა საჭირო იყო “ბოგანო მოდგმის უსიამო ბგერების ცივილიზებულთა” სამყოფელში მოსმენა?

ახლა მკითხველებს ჩვენებური ანეკდოტი გვინდა გავახსენოთ, დილაუთენია ორი კახელი გლეხის შეხვედრისას, ერთისგან მიცემულ სალამზე მეორე, ქურდი, მისდაუნებურად რომ ამჟღავნებს თავს და პასუხად გაგულისებული ყვირის: “რი ატამი, რა ატამიო!”. სწორედ ასე დაემართა იაფფასიანი რუსული გაზეთის მდარე გემოვნებიანი მკითხველებისთვის აღსარებაჩაბარებულ ნ. ბრეგვაძეს. მართალია, აღსარების უშუალო მიმღებს – კორესპონდენტს მისთვის კითხვა არ დაუსვამს არც საქართველოში შექმნილ სადღეისო უმძიმეს მდგომარეობაზე და არც ჩვენს პირველ პრეზიდენტზე, მაგრამ იმ აპილპილებული ქურდი კახელი გლეხისდარად,

თავისდაუნებურად იწყებს მისთვის საჩოთირო, უკიდურესად უხერხულსა და რუსთაგან ქართველთათვის თავსდატეხილ უდიდეს ტრაგედიაზე, უმტკივნეულეს საკითხზე ირონიულსა და ცინიკურ, დასაძრახ საუბარს: "ვმეგობრობდი ზვიად გამსახურდიას დასთან, შესანიშნავი გოგონა იყო. მათ ძალიან კარგი დედა ჰყავდათ. როდესაც მე ამ გოგონას დაბადების დღეზე მივიდოდი,ზვიადი იქ არასდროს მინახავს. იგი ჩაიკეტებოდა, უცნაური იყო. იგი დისიდენტიც ცუდი იყო.

ის, რომ რუსეთი საზღვარგარეთია, საქართველოში თავშიც კი არავის მოსდის. ისინი, ვინც გამსახურდიასთან იყვნენ, უკვე აღარ არიან.

ღმერთო, რას ჰგავდნენ-ჭუჭყიანები, ველურები".

ვერაფერს ვიტყვით იმის გარდა, რომ მომღერალი მისთვის შეუფერებელ, ჩრდილისა და ზიანის მიმყენებელ, ღირსების შემლახველ ტყუილს მიმართავს, უტიფრად ცრუობს. ამიტომაც გვინდა ვუთხრათ, რომ ამგვარად გარჯა ყველა ცოდვილისა და გზას აცდენილის დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ. მისი კოლეგაც, ქართველი "შანსონიე" ვ. კიკაბიძეც ხომ სწორედ ამას იქმს-ყველა საგაზეთო თუ ტელესაუბრებში (ცხადია, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებშიც) აუცილებლად მოიხსენიებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის მომხრეთა მიტინგების მისგან დარბევისა და მომიტინგეთა დახოცვის თაობაზე ხალხში გავრცელებულ "ჭორს". რატომ? ვინ ატანს ძალას? მართალი კაცი ხომ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს ყურს არასდროს უგდებს. მაგრამ, ცეცხლი უკვამლოდ რომ არ არსებობს? ქურდს ქუდი რომ ყოველთვის ეწვის? იმ ატმის ქურდი კახელი გლეხისა არ იყოს.

ახლა კი აღმსარებლისგან რუსთათვის თქმულიდან უმთავრესზე გვინდა აღვნიშნოთ. მომღერლისგან აუგად მოხსენიებული, მარადჟამს "კარჩაკეტილი და უცხვირპირო" ზვიად გამსახურდია, მათთან შინმისულ ნ. ბრეგვაძესნაირი გონებრივი თვალსაწიერის მქონე პიროვნებებთან ნამდვილად ვერაფერზე ისაუბრებდა, საერთოს ვერ გამონახავდა და ამიტომაც ერიდებოდა მათთან შეხვედრას, მოსაწონად შესრულებულ სიმღერებს კი კარს მიღმაც კარგად მოისმენდა. რაც შეეხება საქართველოს პირველი პრეზიდენტის დისიდენტობის ავკარგიანობის შეფასებას, მისგან გაკეთებულის მომღერლისთვის სასიკეთო კუთხიდან დანახვის დასამტკიცებლად თავის გადადება, უაზრობად და ამაო გარჯად მიგვაჩნია. იმას კი ვიტყვით, რომ ეროვნულ მოძრაობასა და დისიდენტობას, ცასა და დედამიწას შორის არსებული მანძილისხელა სივრცით დაშორებულ მისგან "ჭეშმარიტ დისიდენტებად და ეროვნული მოძრაობის ბურჯებად" დაგულებულ ქვეყნის დღევანდელ "ხელისუფლებას", მათს მხარდამჭერ წითელ საზოგადოებას: ლ. ჯავახიშვილს, რ. ჯაფარიძეს, ჭ. ამირეჯიბს, რ. ამაშუკელს, და-ძმა ლორთქიფანიძეებს, ძმებს შენგელაიებს, გ. ფანჯიკიძეს, ვ. კიკაბიძეს, რ. ჩხიკვაძეს, რ. სტურუას, ლ. ღოღობერიძეს, ს. ჭიაურელს, ი. ორჯონიკიძეს, რ. ბერიძეს, მ. ჩილინგაროვას (გიგინეიშვილს), ლ. შაკიაშვილს, მათს სულიერ ძმებსა და დებს, ერმა დიდი ხანია ზურგი შეაქცია და სამუდამოდ მოიკვეთა. და საერთოდ საინტერესოა, ესმის კი მომღერალს, თუ რას ნიშნავს სიტყვა "დისიდენტი"? ალბათ, ცეკა-ტეკას "მონათლულ", კიდევ უფრო მეტად გაწითლებულ მდივნებსა და მათს წვრილფეხა ლაქია ჩინოვნიკებს.

ამაშიც ცრუობს ნ. ბრეგვაძე, როდესაც რუსი მკითხველების გულის მოსაგებად მათს ყინულოვან ქვეყანას ლამის ქართველთა მეორე სამშობლოდ რომ აცხადებს. მაშინ როდესაც, ქართველთა უდიდესი ნაწილისთვის ბოროტების იმპერიად მონათლული სლავთა ქვეყანა მათი დაუძინებელი მტერი და საძულველი დამპყრობია. იმ ტყუილსაც აღფრთოვანებული და კმაყოფილი ამცნობს ქართველთა მოძულეებს: გამსახურდიას გვერდით მყოფნი აღარავინ დარჩაო. მართალია, მომღერლისგან მხარდაჭერილი სისხლისღვრით მოსული დღევანდელი "ხელისუფლების" რეჟიმმა დაუნდობლად შეიწირა საქართველოს პირველი პრეზიდენტის გვერდში მდგომთა გარკვეული ნაწილი, ზოგიც საზარელ საპყრობილე-ჯურღმულში იტანჯება, მაგრამ ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდში გაზრდილ-ჩამოყალიბებული და ერის დაუმორჩილებელ უმრავლესობასთან მტკიცედ შეკრული მათი მონაგარი, კვლავაც ბატონ ზვიად გამსახურდიას იდეების, მისი ნაფიქრალ-ნააზრევის ერთგული რჩება. ისინი კი ძალზე ბევრნი არიან- წითელი ნომენკლატურის გულის გასახეთქ ოთხმოცდაცხრა პროცენტს შეადგენენ (დღეს უკვე შეიძლება მეტსაც).

არ გვიკვირს, აღსარებაჩაბარებული, "გონებადაბნელებულ, თეთრისა და შავის ერთმანეთისგან ვერგამრჩევ" თანამემამულეებს ჭუჭყიანებსა და ველურებს რომ უწოდებს. ეს ყველაფერი უამრავჯერ გვაქვს მოსმენილი და წაკითხული მისი კასტის ყველა წევრისაგან. მაგრამ, ტკბილხმოვან მომღერალს მაინც გვინდა ვაუწყოთ საკუთარი მოსაზრება ამის თაობაზე: რომ ყველა გულმხურვალე მამულიშვილს, ღირსეულ ქართველს, სწორედ იმ "ჭუჭყიანებისა და ველურების აუტანელი სუნი, პირველყოფილი ქცევა და მეტყველება" ურჩევნია, ყინულოვანი სამშობლოს, მშობლებისა და საკუთარ ნაშიერთა უყოყმანოდ შემგინებელთა და ხელისმკვრელთა, ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში მოკალათებულთა, ინტელიგენტთა, ქუჩის მაწანწალების შიგნეულიდან იაფფასიანი არყისა და ოდეკალონის გაუთავებელი სმით ოხშივრად ამოვარდნილ მყრალსა და

ამაზრზენ სუნს.

რაც შეეხება კოლეგების თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებას, აღმსარებელი რუსი მომღერლების საქებარსა და მოსაწონს ამბობს და აზრადაც არ მოსდის უამრავი მშვენიერი ქართველი მომღერლის წარდგენა, თუნდაც ორიოდე თბილი გასახსენებელი სიტყვის თქმა მრავალგზის მუსიკალურ პარტნიორზე, ბრწყინვალე მომღერალ გოგი დოლიძეზე. მაგრამ, ბოლოს მაინც გაიხსენა ქართველი კოლეგა- ჩრდილოეთს გახიზნული, იქ მოსახლეთა გემოვნების დარი, საქართველოს ახლანდელი რეჟიმის მესვეურთა აღლუმების უცვლელი მონაწილე, ყურში საყურეგარჭობილი და წელამდე გაშიშვლებული მოხტუნავე ს. პავლიაშვილი. თუმცა, გემოვნებაზე არ დაობენ. ამის მიუხედავად, მაინც გვინდა ვთქვათ, რომ თავისიანის, ეროვნულის უარმყოფლები და მოძულენი, აბუჩად ამგდებნი, სხვისი ჯიშისა და ჯილაგის (მითუფრო მტრისა) მაღმერთებლები, მათი მოტრფიალენი და ერთგულები, განწირულები არიან. ასეთებს ყირგიზმა მწერალმა ჩინგიზ აითმათოვმა მანქურთები უწოდა, რაც ამ არსებათა უდიდესი ტრაგედია გახლავთ.

და კიდევ ერთი, საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება: ნებისმიერ დარგში მოპოვებული წარმატებით, სახელითა და დიდებით, სავსებით შეუძლებელია პიროვნების კარგ ადამიანად აღიარება. ცხადია, არც კარგი მომღერლობა იგივდება ყოველთვის კარგ ადამიანობასთან.

რადგანაც მოსკოვის "ექსპრეს-გაზეტაში" გამოქვეყნებულ "აღსარებაში" ქართველმა მომღერალმა თავი წმინდანადაც წარუდგინა მკითხველებს და წერილსაც სათაურად ეს სიტყვა აქვს შერჩეული, გვინდა ამის თაობაზეც გამოვთქვათ პირადი მოსაზრება, რომ მიწიერთაგან არავის აქვს უფლება საკუთარი პიროვნების წმინდანად შერაცხვისა. თვით მოციქულთა სწორმა, ადრე მრუდე გზით მავალმა, მაგრამ შემდეგში მაცხოვრის წინასწარმეტყველებით შეძრულმა და ყველაფრის გულმხურვალედ მომნანიებელმა, იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოძღვრების უერთგულესმა, დაუმშვრალმა მქადაგებელმა მარიამ მაგდალინელმა, მხოლოდ უფლის ნებით დაიმკვიდრა წმინდანის სახელი. ასეა, წმინდანებად მიწიერ არსებებს ღმერთი ასახელებს! სხვამხრივ, საკუთარი ნებით მათთან თავის გატოლება, მითუფრო წმინდანად აღიარება, უდიდესი ცოდვა და მკრეხელობაა.

დასასრულ იმასაც ვიტყვით, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები

აღსარებას მხოლოდ ღმერთის სახლში, ეკლესიაში აბარებენ მაცხოვრის მიწიერ შუამავალს-მოძღვარს და არა სამშობლოს, თანამემამულეთა მოძულისა და დაუძინებელი მტრის საეჭვო რეპუტაციისა და იაფფასიანი გაზეთის შესაბამისი კატეგორიის

შავგულიან მკითხველებს.

გელა ჯიღაური

გაზეთი "თვალთაი"

1996 წელი, აგვისტო

"ასე ვიცის... დათამა" ანუ საგაზეთო ტრაგიკომიკური წერილი-პიესა სამ მოქმედებად

დარწმუნებული ვართ, სათაურის წაკითხვა მკითხველს მიხეილ ჯავახიშვილის ცნობილი რომანის გმირს გაახსენებს. თუმცა, სახელის დაუმთხვევლობა ცოტა ხნით შეაყოვნებს და მალევე ყველაფერს გაარკვევს: რომ საუბარია მეორე, არანაკლებ ცნობილი ნაწარმოების მთავარ გმირზე. მაგრამ, უშუალოდ მასზე არა. ასე ვთქვათ, ყურადღების ფოკუსში ამჯერად მისი ეკრანული ორეულის შემსრულებელი მსახიობის, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის (გვაპატიოს დათამ, თუ მის სხვა ტიტულ-რეგალიებს ვერ ჩამოვთვლით), მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის,

ცივილიზაციის ბილიკს გაყოლილის, დემოკრატია-დამოუკიდებლობას ნაზიარების, ახლებურად "მოაზროვნე" თავკაცის ბოლოდროინდელი ქმედებაა მოხვედრილი. რაც შეეხება ქვესათაურს: იგი საქართველოში შემოჭრილ კიდევ ერთ უცნაურსა და საფრთხილო სიახლეს ეხება, რომელიც გაზეთმა "კვირიონმა" მესამე ნომერში შესთავაზა მკითხველებს. მართალია, დღევანდელ გაუბედურებულ-დაბეჩავებულ ქართველებს თავის გადარჩენის გარდა, თითქმის აღარაფერი გვაინტერესებს, მაგრამ ვფიქრობთ, დასახელებული სიახლე-სამმოქმედებიანი ტრაგიკომიკური საგაზეთო პიესა-წერილი, ოდნავ მაინც შეძლებს მიმქრალი გრძნობის გაღვივებას და მასში თქმულის საღად, სამართლიანად გააზრებასა და განსჯას.

დასახელებული საგაზეთო პიესა-წერილი ავტორს ერთგვარად შემპარავი სათაურით **"უჩვეულო დრამა მარჯანიშვილის თეატრში"** მოუნათლავს, ხოლო ქვესათაურად საკმაოდ დამაფიქრებელი, თითის გვარიანად დამქნევი, უფრო კი ვიღაცეებისთვის მუშტის მოღერების მაუწყებელი მოკლე წინადადება-**"მორევა ჯანზეა"** შეურჩევია. გამორჩეულია მოქმედებათა ხასიათისა და შინაარსის მონაცვლეობით დალაგებაც: პირველი და მესამე კომიკურია (მეტწილად ირონიული და ზოგჯერ სიბრალულის მომგვრელი ღიმილის მაუწყებელი), მეორე კი

ტრაგიკული (მეტწილად შეცოდების მომგვრელი და არავითარ შემთხვევაში ნიშნის მიგებისა).

ახლა კი წერილს გავუყვეთ: ერთი თვის წინათ, მარჯანიშვილის თეატრში ბომბი აფეთქებულა. შტატის ოცდათოთხმეტი და ოცდაოთხი შტატგარეშე მსახიობი სამსახურიდან დაუთხოვიათ.

... და, მოქმედება პირველი (როგორც აღვნიშნეთ, კომიკური). მთავარი მოქმედი პირი, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ოთარ მეღვინეთუხუცესი,** როგორც პიესა-წერილიდან ირკვევა, სამხატვრო ხელმძღვანელსა და მსახიობს (დადგმული სპექტაკლების უმრავლესობაში მთავარი როლები მისია. სხვათა შორის, არც მისი თანამეცხედრე გახლავთ ამმხრივ განაწყენებული და დაჩაგრული), თეატრის დირექტორთან და რეჟისორებთან შეთანხმებით გადაუწყვეტია დაკნინებული, მაყურებლებისგან მივიწყებული ამ სანახაობითი დაწესებულების ზედმეტი თანამშრომლებისგან გაწმენდა-გათავისუფლება. თუმცა, წერილ-პიესაში, დასაწყისში სამხატვრო ხელმძღვანელი გულახდილად აღიარებს, რომ მას უკლებლივ ყველა მსახიობის თეატრში დარჩენაზე მიუცია ხმა. სწორედ აქედან იწყება მოქმედების კომედიურობა, უფრო სწორედ ფარისევლობა, რადგან სათქმელის დასასრულს იგი სულ სხვას, დასაწყისში თქმულის საპირისპიროს ამბობს და წერილის ქვესათაურის მუქარაშერეული სიტყვებით მიანიშნებს საკუთარ უძლეველობასა და გამარჯვებაზე. არ შეიძლება ეჩოსებრ მხოლოდ ერთ მხარეს მივითალოთ და მეორე ბოლოს აღარ გავიხედოთ, ანუ ამხანაგ "დათას" უზურპატორობა და დიქტატორობა დავწამოთ, რადგან "გულმოწყალესა და მიმტევებელს", ბოლომდე არ გაუწირავს გაპანღურებულები და მისივე თქმით, თავის გადარჩენისა და ღირსების შენარჩუნებისთვის საჭირო მშვენიერი საკომპენსაციო გზა გამოუნახავს, რაც დათხოვნილთათვის ორშაბათობით სცენის დათმობასა და რაც მთავარია, მატერიალურ დახმარებაში გამოიხატება. ამასთან გაისად, თურმე ორჯერ მეტი თანხის გადახდასაც

დაპირებია, რაზეც გათავისუფლებულებს თანხმობა უთქვამთ და ხელმოწერითაც დაუდასტურებიათ... მაგრამ, მერე რატომღაც შემცირებაში მოყოლილთ ეჭვის ჭია შესჩენიათ და შეთავაზებული პირობები უარუყვიათ, რითაც უსაშველოდ გაუცეცხლებიათ "მზრუნველი" სამხატვრო ხელმძღვანელი. მართლაც კომედიაა, აბა რა არის, ადამიანი შენი "კეთილდღეობისთვის იხარჯებოდეს", "უმადური" კი ვერაფერსა ხედავდენ, არაფერი გესმოდეს, "სიკეთის მსურველს" სასამართლოსა და სხვადასხვა საკანონმდებლო სამსახურში უჩიოდეს, ედავებოდე.

ჰოდა, ამხანაგი დათაც ჩვეულებრივი მიწიერი, მოკვდავი არსებაა. მასაც გააჩნია თავმოყვარეობა, თავშეკავებისა და მიტევების "დიდი უნარითაც" გახლავთ შემკული, მაგრამ ყველაფერს ხომ თავისი დასასრული აქვს? ამიტომაც, მოთმინების ფიალაავსებულმა, მახვილს დაავლო ხელი და "უაზროდ" ამხედრებულებთან ხელჩართული ომი გააჩაღა. "რამდენიმე დედაკაცი აჯანყებებს აწყობს. ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ცოტა ხნის წინ კარვის ქალები იქცეოდნენ. ვერავინ მათს სასარგებლო სიტყვასაც ვერ ამბობს იმიტომ, რომ ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. იმუქრებიან, თეატრის წინ შიმშილობას დავიწყებთო. ეს პოლიტიკური აქციაა, ვის ებრძვიან, სახელმწიფოს? ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ ამდენი მსახიობი გვყავდეს, მაშინ თეატრი უნდა დაიხუროს. ყველანაირად ვეცდები, მხარში ამოვუდგე მათ, მორალური დახმარება გავუწიო", - აცხადებს წეს-კანონებისა და სიმართლისთვის "დამშვრალი" დათა. ამაზეა ნათქვამი: ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. საინტერესოა, რითი აპირებს გაძვალტყავებული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამდენი გათავისუფლებული

თანამშრომლის თუნდაც მცირედი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფას? ალბათ, ერთ-ერთ კომერციულ ორგანიზაციასთან ერთობაში გახსნილი მაღაზია "პელიკანიდან" მიღებული შემოსავლით. დაუჯერებელია, რადგან რამდენს და რამდენხანს უნდა გასწვდეს იქიდან შემოსული ფული? მაგრამ, სულ დაგვავიწყდა, რომ პიესა-წერილის ეს მოქმედება კომიკურია. ეს ჟანრი კი ბევრ რამეს ითვალისწინებს, თუნდაც არაკისა თუ ზღაპრის სინამდვილედ წარმოჩენასა და გასაღებას. ამიტომაც არ არის გასაკვირვი, რომ მოქმედების მთავარი გმირი, მსახიობი ო. მეღვინეთუხუცესი ყველანაირად ცდილობს და ახორციელებს კიდეც ხასიათით გათვალისწინებული ყველა უფლების გაცხადებას.

ჩვენი კომენტარი: არ შევედავებით სამხატვრო ხელმძღვანელს მინიჭებული კანონიერი უფლებების გამოყენების მცდელობასა თუ სისწორეში, ეს შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მოვალეობა გახლავთ. მაგრამ, მეფე ლირისა და ფიროსმანის როლების ერთნაირად, ანუ დაშტამპულ-განურჩევლად შემსრულებელ ამხანაგ დათას ვერაფრით დავეთანხმებით, პირიქით, დავძრახავთ ერთი პიროვნების-საქართველოს პირველი პრეზიდენტისადმი ანგარიშსწორების გამო გულში დაგროვილი ულევი ბოღმის დღემდე ნთხევასა და ეროვნული მოძრაობის, მისთვის თავდადებული ადამიანების აუგად ხსენებისა და გაბაიბურებისთვის.

კარვის ქალებს გათანაბრებულ (აბა მატარებილს "უმწიკვლო" დიაცებს ხომ არ შეადარებდა) მსახიობ ქალბატონებს კი თეატრში დარჩენისთვის, ძალზედ ადვილსა და უაღრესად სასარგებლო რჩევას მივცემდით: სასწრაფოდ შეიძინონ დოლბანდები და თავდაბურულები, ერთიანად გაწევრიანდნენ საზოგადოება "თეთრ მანდილსა" და

მოქალაქეთა კავშირში. დაგვიჯერონ, მათი მომრევი აღარავინ იქნება. პირიქით, ხელფასთან ერთად, შეიძლება გვარიანი დანამატიც დაუწესონ.

ბუნებრივია, თეთრ მანდილიან ქალბატონებად და მოქალაქეთა კავშირის წევრებად გამხდრებს აღარ მოუწევთ თეატრის წინ შიმშილობის მოწყობა, რომელსაც ამხანაგი დათიკო პოლიტიკურ აქციად, სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლად მიიჩნევს. იცის ამგვარი გამოცდილების, ანუ ქართველი ხალხის ოთხმოცდაშვიდი პროცენტის თანხმობით არჩეული ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებულმა წითელმა მსახიობმა, თუ რაში შეიძლება გადაიზარდოს თითქოსდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო, რამდენიმე დედაკაცის მიერ წამოწყებული აქცია. თუმცა ისიც კარგად უწყის, რომ დღევანდელ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე, ათეულობით შეიარაღებული მილიციელი და ჯარისკაცი მოდის. ჰოდა, არხეინად არის სამხატვრო ხელმძღვანელი: ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს, მესამეს აკეთებს. ესეც კომედიის ჟანრის თავისებურებაა, რომელსაც ყველა აქტიორი ვერ ართმევს თავს. კომედიაში მონაწილე ყველა მსახიობი, თუნდაც მთავარი როლის შემსრულებელი, მართალი სიცილის ნაცვლად, სიბრალულისა და შეცოდების ღიმილს, უკმაყოფილებას იწვევს. სწორედ ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდა ამხანაგი დათა. მას არც ეს როლი გამოუვიდა...

და მეორე მოქმედება. ამჯერად ტრაგიკული. მთავარი მომქმედი პირი, წარსულში ქართული თეატრისა და კინოს მშვენება, მომხიბლავი ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე. როგორც საგაზეთო პიესა-წერილიდან შევიტყეთ, ღვაწლმოსილი ხელოვანი თეატრიდან დათხოვნილთა შორის აღმოჩნდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი მისთვის დასახელებულ საგაზეთო

პიესაში მთავარი როლის მიკუთვნებისა.

“კარგახანია, არ დამიდგამს ფეხი სცენაზე, მაგრამ ვისი ბრალია ეს, ჩემი თუ რეჟისორის? არ შეიძლება ყველაფერი ფულით იზომებოდეს”,

- ამბობს მსახიობი.

არ ვიცით, თუ რას გულისხმობს იგი ყველაფრის ფულით გაზომვაში. ალბათ, ჩვენში ბოლოხანს კიდევ უფრო მეტად ფეხმოკიდებული ჩაწყობით მოკვარახჭინებულ საქმეებს, რომლებიც ცხადია, მხოლოდ ფულის მეშვეობით კეთდებიან.

ნუთუ, როლის მიღებისთვის იგია საჭირო? ცხადია, მსახიობი ამას არ ამბობს, მაგრამ... ფულზე მაინც მიანიშნებს. ღვაწლმოსილ მსახიობს დიდად აეჭვებს და უტოპიად მიაჩნია ო. მეღვინეთუხუცესის მიერ მინიშნებული მაღაზია “პელიკანიდან” მიღებული თანხებით ერთი წლის განმავლობაში ოცდათოთხმეტი გათავისუფლებული მსახიობისთვის გაწეული მატერიალური დახმარება და მართალიც გახლავთ, რადგან ეს მტკნარი სიცრუე და შეურაცხყოფილ-გაავებული ადამიანების უსირცხვილოდ

მოტყუებაა. აღსანიშნავია, რომ მშვენიერი ქალბატონი მარტოოდენ საკუთარი თავით არ ისაზღვრება და უდიდესი გულისტკივილით გვამცნობს დათხოვნილი კოლეგების გაუსაძლისსა და მძიმე პირობებზე. გვჯერა ქალბატონი დოდოს ამ გულწრფელი წუხილისა და შეშფოთებისა, მაგრამ ყოველგვარი ნიშნის მიგებისა და სამაგიეროს გადახდისაგან შორს მდგომებმა, დაუფარავად გვინდა ვუთხრათ ერის საყვარელ ხელოვანს, რომ მსგავს მდგომარეობაში და უარესშიც, დიდი ხანია იმყოფება კანონიერი ხელისუფლებისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერი ხელოვნების უამრავი ღვაწლმოსილი და სახელგანთქმული მოღვაწე. ისინი შეუდრეკელი ნებით, მოთმინებით მოელიან კანონიერების აღდგენას, კუთვნილი ღირსებისა და უფლებების დაბრუნებას.

სამწუხაროა, რომ არაფერი შეგვიძლია ვუთხრათ სანუგეშო და დასაიმედებელი ღვაწლმოსილ ხელოვანს, მშვენიერ ქალბატონს, რადგან მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ, დღეს საქართველოში ყველაფერი ფულით იზომება. უკლებლივ ყველა მოქმედი დაწესებულებისა თუ საწარმოს თავკაცს, მხოლოდ ფულიან, მაგარზურგიან პიროვნებებთან ურთიერთობა და საქმიანობა აძლევს ხელს. ქალბატონ დოდოს თქმულიდან გამომდინარე კი აშკარად ჩანს, ორივე ამ საშუალებას გახლავთ მოკლებული. ასეთები კი არავის უნდა. არც დათას. ამიტომაც ირჯება ასე თამამად. აკი დაუფარავადაც აცხადებს, რომ აჯანყებულები მას ვერანაირად ვერ აჯობებენ, ვერ მოერევიან **მორევა ჯანზეაო!**. უთვლის იგი დაპირისპირებულებს.

დიახ, ასე ვიცის... დათამა!

და მოქმედება მესამე. კვლავ კომიკური. ამჯერად, მთავარი როლი თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე გ. ლორთქიფანიძეს ერგო. ვიტყვით, რომ ეს მოქმედება კიდევ უფრო კომიკურია, რადგან მთავარი როლის შემსრულებელი იმდენად უსუსურად, უნიათოდ და პრიმიტიულად ცდილობს საკუთარი პიროვნების შემწყნარებლად წარმოჩენას, რომ სიცილი კი არა, ხარხარი აგიტყდებათ.

ცნობილია, რომ გ. ლორთქიფანიძე გახლავთ ო. მეღვინეთუხუცესის მამობილი, ნათლიმამა, ხელდამსხმელი, ხელის წამომკვრელი და გზის გამკვალავი. აკი არც მალავს და გულახდილად გვიმხელს მათს ორმოცდათხუთმეტწლიან მეგობრობასა და ურთიერთობაზე. ჰოდა, ყოველივე ამის მიუხედავად, წითელი რეჟისორი "დაუნანებლად ქოლავს და აჩვენებს" შვილობილსა და შეგირდს, მისი უადამიანობისა და გულქვაობისთვის. არნახულ "საშინელებად მიიჩნევს" ნაჯახის პრინციპით განხორციელებულ მსახიობთა დათხოვნას. ამას თურმე თვითონ "არაფრით ჩაიდენდა". მოდით და ნუ გავიცინებთ, უფრო სწორედ, ნუ ვიხარხარებთ ამხანაგ თავმჯდომარის ამ სიტყვებზე, რადგან თეატრალური სამყაროდან ყველაზე შორს მყოფი ადამიანებისთვისაც კი ცნობილია ამ წყვილის შესაშური სინქრონულობა და ერთიანობა, უმჭიდროეს-უმტკიცესი კავშირი. იგი და დათა ყველგან და ყველაფერში მარადჟამს ერთი აზრისანი არიან, ერთად აკეთებენ ყველანაირ საქმეს. გამონაკლისი არც მარჯანიშვილის თეატრში დატრიალებული უსიამოვნო დრამა გახლავთ. ხომ გაგიგონიათ: რაც ხე, ის ნაყოფიო. ხელი ხელსა ბანს და ორივე პირსაო. რა ვქნათ და, ვერაფრით დავიჯერებთ წითელი რეჟისორის "გულახდილობას", რადგან თითქმის

ხუთი წელია, არნახული თავგამეტებით იხარჯება საქართველოსა და ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

დასასრულს, "კვირიონში" გამოქვეყნებულ საგაზეთო წერილ-პიესაში დათას თქმულიდან მოყვანილი კიდევ ორი ადგილი გვსურს შემოგთავაზოთ: "მინდა აღვნიშნო, რომ მე უკლებლივ ყველა მსახიობს მივეცი ხმა იმის გამო, რომ ძალზე მიმძიმს თითოეული მათგანის თეატრიდან გაშვება".

"მე ხმა მივეცი იმას, ვისი წასვლაც არ შეიძლება. მას, ვინც

აუცილებელი არ არის თეატრისთვის, ვერ დავტოვებთ".

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ერთი პიროვნების მიერ ერთსადაიმავე უმტკივნეულესსა და საპასუხისმგებლო საკითხზე გამოთქმული ურთიერთსაწინააღმდეგო ეს ორი აზრი, კლასიკური ნიმუშია ორპირობისა და ორსახეობისა, რომელიც ძალზე სახიფათო და საშიშია ყველგან, ყველა დროს, ყველა ვითარებაში და ყველა საკითხის გადაწყვეტისას. ამგვარად, ნამდვილად არ გაირჯებოდა ჯერაც დაუდგენელი ავტორის ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოების მთავარი გმირი დათა. ასე მხოლოდ ეკრანული დათა იქცევა.

გელა ჯიღაური

გაზეთი "კვირიონი"

1996 წელი, ივლისი

როცა ფეხი დაადგეს ...

წერილის გამოქვეყნებაზე თავის დროზე უარი თქვეს გაზეთებმა

ახალს იმით ნამდვილად არაფერს ვიტყვით, რომ მანამდე და ახლაც, ყველაფერი კომუნისტური, ხალხისთვის მიუღებელია და საძულველი, მათ შორის გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკაც", რომელმაც კომუნისტებისთვის დამახასიათებელი მზაკვრობით მხოლოდ სახელი იცვალა, თორემ შინაარსით კიდევ უფრო ბილწი და აუტანელი, ჭუჭყიანი და სასაცილო გახდა.

ამასწინათ, ხარაზთან მისულს, შეკეთებული ფეხსაცმელები ხელოსანმა სწორედ ამ "გაზეთში" გამიხვია. შინ მისულმა თვალი შევავლე ერთ-ერთ სათაურს "პასუხად რუს კოლეგებს". მერე ავტორით დავინტერესდი – იგი **გურამ ფანჯიკიძე** აღმოჩნდა. დამაინტერესა, რას და ვის პასუხობდა ქართველ "მწერალთა" კავშირის "თავკაცი".

მწერლის პასუხ-მიმართვას, 11 ივნისის გაზეთ "ლიტერატურნაია როსიაში" გამოქვეყნებული რვა რუსი მწერლის ის მიმართვა-წერილი ჰქონდა წამძღვარებული, ასე რომ "გაუცეცხლებია" ქართველ "მოკალმე-ლიტერატორთა წინამძღოლი". რუსი კოლეგები მთელრიგ ბრალდებებს უყენებდნენ ქართველ "ლიტერატორებს" აფხაზეთის ომის თაობაზე. "ვის აძლევს ხელს დღეს ომი აფხაზეთში?" - ეკითხებიან ისინი წერილის ადრესატებს. უნდა ითქვას, რომ რუსი ავტორები რამდენიმე სამართლიან ბრალდებას უყენებენ ქართველ "მოკალმეებს", რაც ასე ცეცხლად მოსდებია გ. ფანჯიკიძეს და თავგამოდებით "გარჯილა საკადრისი პასუხის" მისაგებად.

მცირეოდენი შესავლის შემდეგ, პასუხ-მიმართვის ავტორი თავათ გადადის "შეტევაზე და გამანადგურებელ" შეკითხვებს უსვამს აფხაზეთის ბედით "გულაჩუყებულ" რუს კოლეგებს – სად იყავით მანამდე? რატომ სამოცდაათი წლის განმავლობაში არ გაღელვებდათ საბჭოეთში გაერთიანებული ხალხების ბედიო, საკუთარი ისტორიის სწავლებას რომ უკრძალავდითო, სულ უმნიშვნელო ღონისძიებებსაც რომ რუსულ ენაზე ატარებინებდითო და თანაც მხურვალე მადლობას ახდევინებდით დიდი რუსი ხალხის მისამართითო?..

პატივცემულ მწერალს არც კინოსცენარების, საგამომცემლო გეგმების, სასკოლო თუ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების მოსკოვში დამტკიცების დამამცირებელ-შეურაცხმყოფელი პროცესები დავიწყებია და "გახელებული უტევს, პასუხს სთხოვს" მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილის ხელმომწერებს.

ახლა "განრისხებულსა და გაავებულ" ქართველ კალმოსანს მისგან შეკრული შეკითხვების კონა სამას სამოცი გრადუსით გვინდა შევუტრიალოთ და მართალი, გულწრფელი პასუხების მოგებება ვთხოვოთ.

მართლაცდა, სად იყავით მაშინ ამხანაგო ფანჯიკიძე, არნახული მონდომებით რომ იდევნებოდა ყოველივე ქართული, რომ თითქმის ყველაფერი "დიდი" რუსი ხალხის "ცივილიზებულ" ენაზე სრულდებოდა. რომ ბევრ სკამის მაძიებელ გადაგვარებულს თავისი ნაშიერები რუსულ სკოლებსა და უმაღლესი სასწავლებლების ამ ენაზე მომეცადინე ფაკულტეტებზე შეყავდათ. რომ ყველანაირ დაწესებულებებსა თუ ობიექტებს აუცილებლად ამ ენაზეც უნდა ჰქონოდა წარწერა. რომ სამსახურში ჩადგომისას აუცილებელ პირობად უყენებდნენ რუსულის ცოდნას. რომ ქართველ ჭაბუკებს სამშობლოს გარეთ-რუსულ ჯარში უნდა ემსახურათ. რომ დისერტაციები თუ სხვა ნებისმიერი სამეცნიერო შრომები (თუნდაც მხოლოდ ქართული მხარისათვის საინტერესო), გამოგონება-პატენტები, სცენარები და პიესები, სახელმძღვანელოები თუ სხვა ბევრი რამე უფროსი "ძმის" ნებართვით იწყებდა "სიცოცხლეს". რომ თუნდაც საზოგადოებრივი სარგებლობის ტუალეტის ასაშენებელი პროექტი აუცილებლად იქ, ჩრდილოეთში უნდა დაემტკიცებინათ, აშენების თანხმობა მიეცათ... და კიდევ ერთი ამხანაგო მწერალო! სად იყავით მაშინ, იმ საბედისწერო და ავადმოსაგონარ დღეს – 1978 წლის 14 აპრილს, როცა თავგამეტებული ქართველი ახალგაზრდები, მუშა-მოსამსახურეები, საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებსაც ინტელიგენციის "ზედა" ფენა ბრბოსა და ჭუჭყიანებს უწოდებთ, სიცოცხლის გაღების ფასად იბრძოდნენ წინაპართა ენის სახელმწიფოებრივ-კონსტიტუციურად დაკანონებისთვის, შთამომავლობისთვის მისი შენარჩუნება რომ ერჩივნათ ამქვეყნად არსებობას. სად

იყავით მაშინ პატივცემულო მწერალო, როდესაც ეროვნული მოძრაობის წინამძღოლებსა და მათს თანამოსაქმეებს უმოწყალოდ დევნიდნენ, ავიწროებდნენ წითელმანდატიანი მმართველები, წლობით რომ ყავდათ ჩამწყვდეული ციხე-საპატიმროების საზარელ ჯურღმულებში, ფსიქიატრიულსა თუ სხვა საშინელ ლაბორატორიებში, მათზე რომ ატარებდნენ დამღუპველ-გამანადგურებელ ცდებს, გულდაგულ რომ ამუშავებდნენ მომაკვდინებელი პრეპარატებით. რატომ არ აიმაღლეთ ხმა და წინააღმდეგი არ წახვედით 9 აპრილის ტრაგედიის ჩამთავრებისთანავე, მისმა ავტორებმა და შემსრულებლებმა ისევ საძულველ მოწინააღმდეგეებზე – ეროვნული მოძრაობის თავკაცებზე რომ შეიწმინდეს სისხლიანი ხელები და კვლავ დილეგში უკრეს თავი?...

ახლა თქვენი პასუხი-მიმართვის ცოტა ქვედა ნაწილი ჩავიკითხოთ, მორიგ ბრალდებას რომ უყენებთ რუს თანამოკალმეებს ავღანეთის სასაკლაოდ გადაქცევის გამო, ყურს "უწევთ" რუსეთის დაუოკებელ სიხარბეზე მინიშნებით, ვერაფრით რომ ვერ დაიცხრო მიწების მიტაცების მადა. მართლაცდა დასაძრახი სურვილია ურგების მიტაცება, მითუფრო ტერიტორიისა. მაგრამ, თუკი საკუთარი ნებით უბოძებენ და ზედაც მონობის თანხმობას დააყოლებენ? თანაც იმგვარ მტარვალსა და დამპყრობელს, რუსეთის იმპერია რომ გახლავთ. ალბათ მიხვდით, რაზეც მოგახსენებთ, თუმცა უფრო გასაგებად, ქვემოთ გეტყვით. ჯერ კი ავღანეთზე მინდა გკითხოთ: რატომ არ ამოიღეთ ხმა იმ საშინელი ომის წამოწყებისათვის. მაშინ ხომ ცნობილ საბჭოთა მწერალთა კოჰორტაში ირიცხებოდით და არა გვგონია თქვენგან თქმული მართალი სიტყვისათვის, თქვენს თანამოკალმეებს არ დაეჭირათ მხარი. კარგით, ვთქვათ თქვენს წყრომასა და გულისტკივილს მაშინ არავინ გაუწევდა ანგარიშს, სამაგიეროდ საუკუთესო შესაძლებლობა გქონდათ ეს მაშინ მაინც გაგეკეთებინათ, როდესაც მოსკოვის იმპერიულ მმართველობაში ერთ-ერთი "გადამწყვეტი და ანგარიშგასაწევი ძალა" გვყავდა ქართველებს – "მსოფლიო რანგის სახელმწიფო მოღვაწე". განა მაშინ ნაკლებად ეწირებოდნენ რუსეთის უაზრო, უსამართლო მოქმედებას ქართველი ვაჟკაცები? რისთვის ჩაიხოცნენ ასეულობით უწვერულვაშო ჩვენებური ჭაბუკები ავღანეთის მთებსა და უდაბნოებში? რისთვის დაქვრივდნენ ნაადრევად მათი ცოლები? რისთვის დაობლდნენ მამებს ჯერაც შეუჩვეველი გოგო-ბიჭები? რატომ დაასრულეს ნაადრევად სიცოცხლე მათს დარდსა და ვარამს გადაყოლილმა მშობლებმა?..

ახლა დროებით თქვენს პასუხ-მიმართვას გვინდა დავანებოთ თავი და იმ უდიდეს სადღეისო სატკივარზე გკითხოთ, ასე ძალუმად რომ მოგვერია, რომლისგან თავის დახსნაზე თქვენც, თანამედროვე ქართველი მწერლობის ერთ-ერთ ცნობილ წარმომადგენელს, სხვადასხვა ჯილდო-პრემიებით დახუნძლულ ხელმძღვანელ თანამდებობეზე მყოფს უნდა გეფიქრათ. ცხადია მიხვდით, ბოლო ორი წლის მანძილზე დატრიალებული არნახული ტრაგედია რომ გვაქვს მხედველობაში. ამჯერად შეკითხვებს ნამდვილად აღარ დაგისვამთ, რადგან ყველაფერი ხელისგულზე გვიდევს და იმდენად ნათლად ჩანს გაკეთებული, პასუხის გასაცემად აღარ გაგრჯით, თავათ ჩამოგიმარცვლავთ მაშინდელ ნათქვამ-ნამოქმედარს.

ვფიქრობთ, კარგად გემახსოვრებათ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების პერიოდი-მტრობის, ქიშპობის, ფეხის დადებისა და მოთხრა-მოსრის ბინძური დღეები. და მაინც სიმართლემ, პატიოსნებამ, კანონმა, ხალხის ნება-სურვილმა გაიმარჯვა. მერე

საპრეზიდენტო არჩევნები და ისევ ბინძური კამპანია დევიზით "ყველანი ერთის წინააღმდეგ!". ის საძულველი ერთი – ეროვნული მოძრაობის თავკაცი, ბატონი ზვიად გამსახურდია გახლდათ. ძნელად გასახსენებელია და მტკივნეული იმ დღეების საზარელი, შეურაცხმყოფელი ქრონიკა, რომლის მონაწილეებს მხოლოდ ერთი მიზანი და დავალება გქონდათ შესასრულებელი – პრეზიდენტობის ერთადერთი ღირსეული კანდიდატის ლანძღვა-გინება, შეურაცხყოფა, დამცირება, ლაფისა და სიბინძურის სროლა. და კვლავ სიმართლის, პატიოსნების, კანონის, ხალხის ნება-სურვილის ზეიმი – ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი გახდა. ამან საბოლოოდ გააცოფა წითელი ინტელიგენცია, ე. წ. ოპოზიცია და მოსკოვს დაბანაკებულმა მოღალატე ქართველებმა, რუსული იმპერიის მმართველი ხროვისაგან იარაღით, ფულითა და სხვა დახმარებებით ძალამოცემულებმა, გადამწყვეტი იერიში მიიტანეს ეროვნულ, კანონიერ ხელისუფლებაზე.

ტელევიზიასთან, უნივერსიტეტთან, იმელთან, მთავრობის სახლთან გამართული სამარცხვინო თავყრილობების იარაღასხმული მონაწილეები გაუგონარი მუქარითა და გინებით იკლებდნენ პრეზიდენტს, პარლამენტს, მათს მხარდამჭერ, სამშობლოს დამცველ პატიოსან ხალხს. აკი "გაიმარჯვეს"კიდეც – სამშობლოდან განდევნეს პრეზიდენტი, მისი ოჯახის წევრები და თანამოსაქმეები, დაწვეს და დაანგრიეს თბილისის უძველესი უბანი და რაც ყველაზე შემაძრწუნებელია, ღვარად ადინეს ასეულობით ქართველის სისხლი (!). მაგრამ ამას არ დასჯერდნენ, სისხლის გემოგაგებულებმა ვერაფრით დაიცხრეს გულები და დაუნანებლად არბიეს, შეუბრალებლად ჟლიტეს ხალხმრავალი მიტინგები, სამსახურებიდან გამოყარეს და არსებობის საშუალება მოუსპეს პრეზიდენტის მომხრე მართალ ადამიანებს. დედაქალაქში საქმემომთავრებულებმა მერე სამეგრელოს "მიხედეს" და მიწასთან გაასწორეს იქაურობა, თანამოძმეთა სისხლით გააჯერეს კოლხეთის მიწა, ნაცარტუტად აქციეს იქაურების საცხოვრებლები, ძარცვეს და გლიჯეს მთელი სიცოცხლის მანძილზე შეძენილი ცხოვრება და დოვლათი, ურჯულო და დაუძინებელი მტრებივით აჰყარეს პატივი მეგრელი მამაკაცების თვალწინ მათს ცოლებს, ასულებსა და დებს... და მაინც ვერ გაიმარჯვეს, ვერ დააჩოქეს მეგრელები. ამაყმა, შეუდრეკელმა სულმა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების უდიდესმა სურვილმა მაინც დაჯაბნა მომხდურ კაცუნათა ძალადობა.

და რადგან იქ ვერაფერს გახდნენ, თბილისში მობრუნებულებმა დაუნდობლად გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს ქართველებისთვის სათაყვანებელი და წმიდა ადგილი, დიდი კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმი. ვანდალთა ამ არაადამიანურ მოქმედებაზე ქართველ "მწერალთა საძმომ", თქვენ რომ თავკაცობთ, კრინტი არ დაძრა და თანადგომა გამოუცხადა კაცთმოძულე წესრიგის "დამპყრობლებს". ის დრო, მათი მოქმედება საქართველოს დიდ, ტკივილიან ისტორიაში შემაძრწუნებელ და თავისმომჭრელ შავ ფურცლებად აიკინძა.

სად იყავით ყველა აქ თქმულის მნახველ-გამგონე ამხანაგო მწერალო?

ახლა რუსი მწერლებისგან გამოგზავნილ წერილს მივუბრუნდეთ, რომელშიც ძირითად ბრალდებად აფხაზეთში ომის დაწყებას გიყენებენ და პირდაპირ გისვამენ კითხვას – ვის აძლევსო ხელს ეს ომი? ამ კითხვას ჩვენც ვუერთდებით და დამატებით კიდევ ერთ

კითხვას მოგაგებებთ: ვისი სურვილით, რა მიზეზით, ვის საამებლად და სარგებელის სანახავად დაიწყო ეს გაუმართლებელი, უგუნური, სამარცხვინო ომი? და აქვე გიპასუხებთ, რომ ქართველთათვის თავზე ლაფდასასხმელი და შემზარავი, სახელისა და ღირსების შემლახავი ომი საქართველოს "დემოკრატი ხელმძღვანელობის" ნებით, "ტიტულოვანი ტყვის გამოხსნისა და რკინიგზის, ხიდების, დაცვა-განთავისუფლების" მიზეზით, ჩრდილოელი მფარველის საამებლად და სასარგებლოდ გაჩაღდა. და შემზარავი, დამამცირებელი შედეგი სახეზეა – ათიათასობით დაღუპული და დასახიჩრებულ-დახეიბრებული ადამიანი, დანგრეულ-გადაბუგული ქალაქები და სოფლები, უამრავი სამუდამოდ განწირული ლტოლვილი ქართველი. და თითქოს ეს უბედურება "ერთგვარად გრილდება", ტკივილი ყუჩდება ომის "დასრულების" მაუწყებელი მოუნელებელი, ქართველთა გამანადგურებელ-დამამცირებელი, შემარცხვენელი იმ გარიგება-კაპიტულაციის წყალობით, საქართველოს ერთი უმშვენიერესი და მოზრდილი ნაწილი საკუთარი ნებით რომ ჩაბარდა დამპყრობელს.

სად იყავით მაშინ, რატომ არაფერი თქვით ამ ღალატსა და არსაქნელ, ერის დამასამარებელ მოქმედებაზე?

მოსკოველებმა თავიანთი წერილი ასე დაასრულეს: "იმედი გვაქვს, წინ აღუდგებით აფხაზეთში გაჩაღებულ ომს, თქვენი შემწეობით ბოლო მოეღება ამ განუკითხაობას".

მაგრამ, თქვენ ისევ იყუჩეთ. ქართველ "მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ" ვერაფერი შეკადრეთ "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსს". თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ამაზე არც გიფიქრიათ, რადგან საქმე სწორედ ისე მიდიოდა, როგორც "სახელმწიფო მეთაურს" ჰქონდა დავალებული და თქვენ, წითელი ინტელიგენციაც ხომ ქართველი "გენიის" ერთგული მხარდამჭერი ბრძანდებოდით.

ალბათ, ამით დავასრულებდით მოსკოველთა წერილის მიმოხილვას და თქვენს პასუხ-მიმართვას მივუბრუნდებოდით, თუ არა მათგან თქმული კიდევ ერთი მწარე სიმართლე: "არც ის გვგონია, რაიმე სარგებლობა მოუტანოს ყარყარაშვილის მსგავს შუბლმაგარ მხედართმთავრებს, რომელმაც განაცხადა, დაე დაიხოცოს ასი ათასი ქართველი, ჩვენ მაინც ერთიანად ამოვჟლეტთ აფხაზებსო".

ამან თურმე ძალიან "განგარისხათ და გაწიწმატებულ-გაცხარებული თავს არ იზოგავთ, ყველანაირ ხვრელში ძვრებით და ღვარად ოფლდადენილი, თავგამოდებით ცდილობთ" ბუტია "გენერალ-მინისტრის" ძარღვებში სისხლის გამყინავი სურვილის, ბრძნულ და ჰუმანურ ჩანაფიქრად წარმოჩენას. განა პირველია, რომ მრავალგზის ფიცის გამტეხი "სარდლისათვის", გახვრეტილი გროშის ფასიც არ გააჩნია მრავალი ადამიანის სიცოცხლეს? მან სწორედ ის განაცხადა დაუფარავად, რისი შესრულების სურვილიცა და უნარიც შესწევდა. დანარჩენი თქვენი შემოქმედებითი ფანტაზიის უსუსური მცდელობა გახლავთ, ახლა ასე თავგამოდებით რომ ამართლებთ "თავისუფალი და დამოუკიდებელი" საქართველოს თავდაცვის "მინისტრს" და ხმის ჩახლეჩამდე უმტკიცებთ რუს კოლეგებს მის "ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობას". რატომ მაშინ არაფერი თქვით, ქვეყანა არ შეყარეთ იმის გაგონებაზე, თუ როგორ სთავაზობდა პუტჩის დღეებში, მეცნიერებათა აკადემიაში თავმოყრილ ერის "თავკაცებს" ყარყარაშვილი საჰაერო დაბომბვით მთავრობის სახლის მიწასთან გასწორებასა და იქ მყოფთა

გაჟლეტას. მერე კი თურმე იმ ადგილზე ... ეკლესიას ააგებდნენ. ეს ხომ უდიდესი მკრეხელობა იყო და განუზომელი ცოდვა, წარმოთქმული "ქრისტიანის" ბაგეთაგან და შესმენილი "თანამორწმუნეთაგან" ...

თქვენ მაშინაც გაჩუმდით. ან კი რად იტყოდით რამეს, როცა მოსკოვიდან სასიხარულო ცნობები მოდიოდა, საბოლოო გამარჯვებას აღარაფერი აკლდა.

მოდით ახლა ისევ თქვენი პასუხ-მიმართვის სხვა ადგილებიც ჩავიკითხოთ. ერთაგნ რუს კოლეგებს იმაში "სტეხავთ"პირს, რომ ზღვის სეზონის დადგომის გამო, ვეღარ ჩამობრძანდებიან ბიჭვინთაში, გაგრაში, ახალ ათონში. ვეღარ ილივლივებენ აქოჩრილ ტალღებში და ამიტომაც გაავებულები, ათასგვარ ცილსა და აუგს გწამებენ ქართველ თანამოკალმეებს.

მერედა, ვინ დააჩვია ის ცხრამთა გადაღმელები ამგვარად დაკანონებულ ჩამობრძანებას, არნახულ ხელგაშლილობას, უმსგავსი და ჭირვეული ნება-სურვილის ასრულებას, უამრავი ხორაგითა და სასმელით, ძვირფასი საჩუქრებით გასტუმრებას?

ისევ და ისევ თქვენ, პატივცემულო მწერალო. თქვენ და თქვენი თანამოაკალმეების ამქარმა დააჩვიეთ უფროსი "ძმები", დამრიგებელ-პატრონები საქართველოში ხშირ სტუმრობას, ყველანაირ უმსგავსოებას, ახლა რომ მოგახსენეთ. და განა მარტო მასპინძლობისას ირჯებოდით ასე დასაძრახად. იქ, იმპერიაში ჩასულებიც იგივეს სჩადიოდით. ქართული მიწის ბარაქით, სურნელოვანი ღვინითა და არყით, სასუსნავით უვსებდით საკუჭნაოებს უმადურ დამხვდურთ, ძვირადღირებულ საჩუქარ-სამკაულებს უძღვნიდით საქმით დაკავშირებულ კოლეგებსა და სახელმწიფო ჩინოვნიკებს, მათი ოჯახების წევრებს, სამარცხვინოდ ელაქუცებოდით, უგორავებდით გულქვა, ყინულივით ცივ, თქვენთვის სასურველი, ურგები საქმეების მომკვარახჭინებელ მოხელეებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი გახდებოდა ქართველი "მწერლების ნამოღვაწარის" გამოცემა, რომ აღარაფერი ვთქვათ მათს რუსულ თარგმანებზე. დიახ, სწორედ ამ სამარცხვინო, ჩარჩ-ვაჭრული გარიგებისა და მოქრთამვის გარეშე თქვენს შვილებსა და სხვა ახლობლებს ვეღარ გააგზავნიდით იენას, სორბონის, ოქსფორდის, კემბრიჯის, ჰარვარდისა და პრინსთონის, სთანფორდის უნივერსიტეტებში სასწავლებლად, პრესტიჟული ქვეყნების საელჩოებსა თუ აღიარებულ სამეცნიერო ცენტრებში სამუშაოდ. ვეღარ მოივლიდით მშრომელი ადამიანების მწირი ხელფასებიდან დაკავებული თანხებით შეკოწიწებული სახელმწიფო ხაზინიდან დაუშურვებლად გაცემული ფულით დედამიწის კუთხე-კუნჭულს, ვეღარ იხილავდით და ვერ იგემებდით ამქვეყნიურ სიკეთეს, სიამტკბილობას.

რატომ გგონიათ ამხანაგო ფანჯიკიძე, რომ მხოლოდ წითელი ინტელიგენტების ნაშიერები შეძლებდნენ საზღვარგარეთ სწავლასა და საქმიანობას? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მეფოლადის, ხაბაზის, ხარატის, მძღოლის შვილებიც საკმაოდ ნიჭიერები არიან და ბევრის მცოდნენიც. განა ასეთი სასახელო ახალგაზრდებისთვის კი ურიგო იქნებოდა მაღალკვალიფიციურად განსწავლა? ანდა, რატომ ფიქრობთ, რომ თქვენსავით სხვა ვერავინ მოახერხებდა "ფორო იტალიკოს", "მარაკანას", "უემბლის", "მედისონ სქუერ გარდენისა" თუ "უიმბლდონის" ტრიბუნებზე დაბრძანებას, იქ ნანახ-მოსმენილის სათანადოდ აღქმას, მშვენიერ ქალაქებში დანახულის აღწერასა და

დაბეჭდვა-გამოცემას? მაგრამ, ყველაფერ ამისთვის სწორედ იმისი გაკეთება-ჩადენა გახლდათ აუცილებელი, ზემოთ რომ მოგახსენეთ.

უნდა გითხრათ, რომ თქვენს პასუხ-მიმართვაში მხოლოდ იმ ნაწილში ხართ მართალი და გულახდილი, რუსთა ზღვაზე დასვენების მოკლებას რომ ეხება. სხვა დანარჩენში, ამაოდ ცდილობთ "მაგარ-მაგარი" პასუხების მიგებას, რადგან ჩინებულად მოგეხსენებათ, რომ წერილის მოსკოველ ავტორებს მხოლოდ დასვენება-გართობის, პატივისცემა-დასაჩუქრების, გულუხვი ქართული პურ-მარილის ხელიდან გავარდნა აწუხებთ და სტკივათ, თორემ დანარჩენი, რაზეც თქვენ პასუხებსა სთხოვთ, არ ენაღვლებათ და ყველაფერი კანონზომიერად გაკეთებულად მიაჩნიათ. ისე, რომ თქვენს ამ ხელის "გამოღებას", ხმის "ამაღლებას" არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ გააჩნია. უბრალოდ, ასე იმიტომ "გაისარჯეთ", რომ უფროსმა ძმებმა და დამრიგებლებმა ამჯერად საჯაროდ ძალიან მაგრად, მტკივნეულად დაგადგეს ფეხი და თქვენც მეტი რა გზა გქონდათ "ყველაფერი უთხარით, ყველაფერში ამხილეთ".

მაგრამ, სად იყავით მანამდე ამხანაგო მწერალო, "საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტო", სხვადასხვა წოდება-ჯილდოებისა და პრემიების მფლობელო, "ქველმოქმედო", ქართველ "მწერალთა" კავშირის ჯერ მდივანო და მერე თავმჯდომარევ? ზოგიერთ უმნიშვნელოვანეს, საერო ტკივილზე თქვენს გაყუჩება-დუმილზე უკვე გითხარით, ახლა დანარჩენზეც მოგახსენებთ, ასე გულცივად, უმოწყალოდ რომ აუქციეთ გვერდი, სამარისებური დუმილი რომ შეაგებეთ. არადა განგაში უნდა აგეტეხათ, ქვეყანა შეგეყარათ საქართველოსათვის ჩრდილოელი "მფარველისაგან" გამოცხადებული დემოგრაფიული და ეკოლოგიური ომის გაჩაღებისათვის, როკის დამღუპველი გვირაბის გაყვანისათვის, საქართველოს ცალკეული კუთხეების, გამორჩეულად კი შავი ზღვის სანაპიროს უცხოტომელთაგან მასობრივად დასახლებისათვის, უძველესი ისტორიულ-ხუროთმოძღვრული ძეგლების ნგრევა-განადგურებისათვის, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დაწყების მცდელობისათვის, თვითმფრინავის "გამტაცებელი" ჭაბუკებისა და ქალიშვილების, მღვდლის დაუნდობლად დახვრეტა-დახოცვისათვის, სამაჩაბლოს დაკარგვისათვის, რუსის ჯარისთვის ოკუპანტისა და დამპყრობლის სტატუსის გაუქმებისათვის, უამრავი სისხლის სამართლის დამნაშავისა და რეციდივისტის ციხიდან გამოშვებისა და შეიარაღებისათვის, მათს ადგილებზე უდანაშაულო, სიმართლისა და კანონიერების დამცველი ადამიანების ჩამწყვდევისათვის, პოლიტპატიმრებით ციხე-საპატიმროების ავსებისათვის, არაადამიანური, ფაშისტური ხერხებით ტანჯვა-წამებისათვის, ყვარლის ტყეში და ბაქოში დაკავებულ-მოტაცებული სამშობლოს "მოღალატეთა" წინასწარ განაჩენგამოტანილი სასამართლო ფარსი-პროცესების უსაშველოდ გაჭიანურებისათვის, დანაშაულებრივი სამყაროსა და მაფიის განუსაზღვრელი თარეშისათვის, ადამიანთა უსაზღვრო ტერორისა და შანტაჟის, დევნის, მათი ქონების განუკითხავი ძარცვა-გლეჯისათვის, უსასრულო მკვლელობებისათვის, შემაძრწუნებელი დასმენა-გაცემისათვის, ურთიერთდაპირისპირებისა და დაუძინებელ მტრებად მოქცევისათვის, არნახული ჰიპერინფლაციისა და შემზარავი სიღარიბისათვის, შიმშილით დაჩიავებულ-წონაგანახევრებული ხალხის მომრავლებისათვის, ნოლზე დასული მშობიარობისა და სასოწარკვეთამდე მოძალებული სიკვდილიანობისათვის, უზნეობაში ჩაძირული, უცოდინარ-გაუნათლებელი, ნარკოტიკებს დამონებული გადაგვარებული ახალგაზრდების გამრავლებისათვის, მათი უცხოეთისკენ დაუოკებელი სწრაფვის, ერის

მომსპობი და საშიში სენის-ემიგრაციის მოძალებისათვის, ზღვარს გადასული უმუშევრობისა და უდიდესი ლაქისა და სირცხვილის-მასობრივი მათხოვრობისათვის, პურის უსაშველო გრძელ რიგებში ქანცგაწყვეტილი ბავშვების, მოხუცებისა და სნეულების საათობით დგომისათვის... ალბათ, კიდევ ბევრი რამე გამოგვრჩა, მაგრამ რაც ჩამოვთვალეთ, განა ეს კი არ არის საკმარისი ახლანდელი გაპარტახებულ-განადგურებულ-დამცირებულ-შეურაცხყოფილ-შეგინებული საქართველოს წარმოჩენისთვის?

ხედავთ, რამდენი სატკივარი და ჭირი გვქონია ქართველებს, საქართველოს, რა ტანჯვასა და ურვაში ყოფილან თქვენთვის ბრბოდ და ნახირად მიჩნეული მართალი, პატიოსანი ადამიანები? ამიტომაც დაგისვით ბევრჯერ ესოდენ უსიამო კითხვები: "სად იყავით მაშინ? და რატომ ხმა არ აიმაღლეთ?".

დასმით კი დაგისვით კითხვები, მაგრამ პირდაპირ გეტყვით, რომ პასუხის გასაცემი ნამდვილად არაფერი გაგაჩნიათ და არც უფლება გაქვთ ამისი. სამაგიეროდ, თავათ გაგცემთ საერთოსა და საქმიან პასუხ: დასაწყისში თქვენ ყოველთვის იქ იყავით, იმათ გვერდზე იდექით, თავგამოდებითა და შესაშური ერთგულებით ამაგრებდით, აძლიერებდით კომუნისტური კაცთმოძულე რეჟიმის საფუძველს-კომკავშირს. ქებასა და ხოტბას ასხამდით ქართველი ახალგაზრდების მომსპობ-გამანადგურებელ ორგანიზაციას, აღტაცებული ბრძანდებოდით დიად საბჭოეთში გაშლილი ყამირული მოძრაობითა და "აღმშენებლობით". მერე საოცნებო კომუნისტური პარტიის წევრი გახდით და კომკავშირში გამოცდილებამიღებულ ახალგაზრდა მწერალს, თავისუფლად მოგენდვნენ მშრომელი ადამიანების დამორჩილება-დამონებაში გაწაფული წითელმანდატიანი პატრონები. რაკი დაინახეს, რომ ერთგულად და მოსაწონად, მათთვის სასურველ რიტმში აუწყეთ ფეხი, სამუდამოდ თავისიანად დაგიგულეს და მათს ხელთარსებული ყველა სიკეთე მოგაგეს. აი, სად და ვის გვერდით იდექით, ვის ასხამდით ხოტბასა და დიდებას, ვის უკრავდით ტაშს, ვისი ამალის წევრი ბრძანდებოდით, უზენაესზე მაღლა მდგარი პირველის (ასე რომ უწოდებდით და ახლაც იგივეს ეძახით წითლები) უხამსი და დასაგმობი ნება-სურვილის აღმსრულებელო! ამიტომაც ბუნებრივია, არაფერს ამბობდით მშრომელი ხალხის გამწარებული ყოფის, კანონიერებისა და სიმართლის არნახულად დარღვევის, ადამიანთა უფლებების უკიდურესად შელახვის მაცქერალი. თუმცაღა, იმავე პირველის შეკვეთითა და დავალებით, დრო და დრო "ცხარე-მწარე-პილპილიან პუბლიცისტიკასაც შეუცურებდით" ხოლმე ხელისუფლებს, გულს "მოაფხანინებდით" პატიოსან ადამიანებს. მარტო იმ დროს "მეხად გავარდნილი და ყუმბარად გამსკდარი რომანი "თვალი პატიოსანი" რად ღირს ...

თქვენ ამაყად თავაწეული, ბედნიერი იდექით 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში და "დიქტატორის" დამამხობელ "გამარჯვებულ" თანამეინახეებთან ერთად მოთმინებით უცდიდით მოსკოვიდან მომფრინავ საქართველოს "მხსნელსა და გადამრჩენელ" პირველს, კარგა ხნით ადრე რომ გპირდებოდათ სისხლისფერი წყობა-რეჟიმის აღდგენას, დაკარგული პოზიცია-თანამდებობების, განსხვავებული ყოფა-პატივის დაბრუნებას. აბა სხვანაირად ვერაფრით მიაღწევდით იმ სამარცხვინო დღემდე – 1992 წლის 25 მარტამდე, როდესაც საგანგებოდ დანიშნულ მწერალთა ყრილობის

ჭეშმარიტი შემოქმედი მამულიშვილების მიერ მიტოვების მერე, თქვენ "მწერალთა" კავშირის თავმჯდომარედ დაგნიშნეს.

აი, სად იყავით ყოველთვის და რატომ არ იმაღლებდით ხმას ამხანაგო ფანჯიკიძე! სამაგიეროდ, ახლა ყველგან გაბედული და თამამი, თავაწეული დგახართ და რიხიანადაც ირჯებით. პირველის უახლოესი მეგობრების - "მსოფლიო რანგის" პოლიტიკოსების ბეიკერისა და გენშერის თბილისში სტუმრობის დროს გაღიმებული შეჰყურებდით "ჭუჭყიან ბრბოზე" ხელკეტებით, ავტომატებით, ნაგაზებით მისეულ ადამიანის სახედაკარგულ, თრიაქით გონებადაბინდულ "ვაჟკაცებს", აღტაცებას ვერ მალავდით თბილისობის ტყუპისცალის "გაერობის" მნახველი. დიახ, თქვენ დღეს უდიდესი უფლებითა ხართ აღჭურვილი და ყველაფრის ნება გაქვთ დართული. აკი იყენებთ კიდეც – შეუზღუდავი ძალაუფლების ხელთმოგდებული იმასაც კი კადრულობთ, რომ თუკი რომელიმე ჟურნალსა და გაზეთში, თქვენთვის საძულველ ბანაკში მყოფი შემოქმედის ნაწარმოები გაიელვებს, უმალ საყვედურს აჯახებთ რედაქტორს და მუქარით "გამოფხიზლებისკენ" მოუწოდებთ.

სამაგიეროდ, კვლავ სდუმხართ და ჩრდილში დგომას ამჯობინებთ, პირველის (დღეს რომ სახელმწიფო მეთაური ჰქვია) მიერ განუსაზღვრელი უფლებების მოთხოვნის გამგები. პირში წყალს იგუბებთ რუსეთთან იმ საზარელი ხელშეკრულების ხელმოწერის გამო, საქართველოს სამუდამო და მონობის უმძიმესი უღლის დადგმას რომ უპირებს. უნდა გითხრათ, რომ ამდროს ამგვარად გარჯა, მამულისა და ერის ღალატი, გაყიდვაა. ამისათვის პასუხს თქვენთან ერთად, თქვენს მოდგმასა და შთამომავლობასაც მოსთხოვს

ხალხი.

დასასრულს, თქვენი პასუხი-მიმართვის ბოლო ნაწილს გადმოვიწერთ: "მწერლის ყოველი სიტყვა, წერილი, რადიო თუ ტელეგამოსვლა მხოლოდ ერთ მიზანს უნდა ისახავდეს, აღძრას ადამიანებში მიმტევებელი გრძნობები, ხელი შეუწყოს შერიგებას, მშვიდობას, კეთილშობილებისა და სიყვარულის აღზევებას და არა შხამის და გესლის ფრქვევას, რითაც შეგნებულად აღავსებს ადამიანებს შურისძიების ყველაზე საშინელი და საზიზღარი გრძნობით".

სამწუხაროდ, ამხანაგო ფანჯიკიძე აქ თქმული მხოლოდ საგაზეთო პასუხი-მიმარვთისათვის გამოიყენეთ, სინამდვილეში კი სწორედ ისე იქცევით, რასაც ყველაზე საშინელსა და საზიზღარს უწოდებთ. ამიტომაც გვინდა გითხრათ პირდაპირ და გასაგებად, რომ თქვენ ძალიან ცოტანი ხართ – სამშობლოდაკარგულები, ჭეშმარიტ მამულიშვილებს გარიყულ-გარიდებულები, უზომოდ გაბოროტებულ-გაავებულები. სამაგიეროდ ჩვენ გახლავართ ძალიან ბევრნი – კეთილნი, კაცთმოყვარენი, ქრისტიანები, მამულისა და ერის მოყვარულები, საიმედოდ შეკავშირებულ-შეერთებულები. ჰოდა აქედან გამომდინარე, უბრალო ცხოვრებისეულ სიმართლეს, კანონიერებას მოგახსენებთ – ბევრი აუცილებლად დაჯაბნის ცოტას, სიკეთე უეჭველად სძლევს ბოროტებას. ეს უპირველესად მწერალმა უნდა იცოდეთ, უფრო სწორედ უნდა გცოდნოდათ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მწერლობა განიზრახეთ.

გელა ჯიღაური

1993 წელი

“პოეტი – დირექტორი - ვანგა”

იზა ორჯონიკიძე თუ პოეტი იყო, 1991-92 წლების სისხლიან გადატრიალებამდე საქართველოში თითქმის არავინ იცოდა. ეს “პატივი” სხვათაგან განსხვავებით, ცოტა ადრე, სამსახურში მერგო, სადაც ზედმეტად თამამი დიაცის მნახველს, მის “პოეტობაზეც” მაუწყეს.

კანონიერი ხელისუფლების დამხობის, პრეზიდენტის განდევნის, ქვეყნის აწიოკება-გაპარტახების, ტერიტორიების დაკუწვა-გაჩუქების, ძმათამკვლელი ომის გაჩაღებისა და გამარჯვების, პროვინციული ფაშიზმის ამოშანთვისა” და სხვა ბევრ უბედურებათა მნახველ-მომსწრე “რევოლუციის გამარჯვებულმა ტრიბუნმა” საწადელს მიაღწია. ცეცხლითა და მახვილით, ნგრევითა და სისხლისღვრით ძალაუფლებადაბრუნებული წითლების მზაკვრულ თვალს არ გამოეპარა მისი ქმედება და ერთგულება, ბოლომდე ამოიცნეს “სამშობლოს თავისუფლებაზე თავდადებულის” სურვილი და გვერდში ამოიყენეს, ოცნების ასრულება აღუთქვეს.

“პროვინციული ფაშიზმის დამმარცხებელმა” მარტო ამ წარმატებით ვერ დაიცხრო ჟინი. მფარველისაგან მხარ-უფლება მიცემულმა, ცნობილ მეცნიერთან ჭიდილი მოიგო და ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის სკამის მფლობელი გახდა. ვერც ამ წარმატებამ გაანელა “პოეტ-ხელმძღვანელის” აბობოქრებული სული და კანონიერი ხელისუფლების თანამდგომი ხელქვეითების მუზეუმიდან ლანძღვა-გინებით გამოყრის მერე, არნახული შემართებით გადაეშვა “იმედის საპარლამენტო არჩევნებში” მონაწილეობის მისაღებად. და იქაც იმარჯვა გადირექტორებულმა “მოლექსემ, ამომრჩეველთაგან ხმამიცემულმა და ნდობარგებულმა, დეპუტატის” მანდატი მოიპოვა. ყველაფერი წარიმართა წმინდა წიგნში ნათქვამით: “კეისარს კეისრისაო”. თუმცა, ი. ორჯონიკიძე ამმხრივ გამონაკლისი და გამორჩეული არ გახლავთ. სისხლიანი გადატრიალების უკლებლივ ყველა მონაწილეს ჩაუცვივდა პირში დაზვინული მაგიდიდან ჩამოცვენილი ნამცეცები. მაგრამ, ყველას არ შეერგო ის სასუსნავი: ზოგი თავისით, ხელუხლებელი გაიძურწა ამაქვეყნიდან, სხვებს “ტერორისტებისა და დაუდგენელი ბოროტმოქედების” ტყვიებმა მოუსწრაფეს “დიქტატურასთან” ბრძოლაში გადარჩენილი სიცოცხლე. და გრძელდება დღემდე “უცნობთაგან” გაჩაღებული ანგარიშსწორების სამარცხვინო, პრიმიტიული კამპანია.

“პოეტ-დირექტორ-პარლამენტარს” ამმხრივ არავითარი საფრთხე არ მოელოდა, იგი არც მხედრიონელი გახლდათ და არც ტერორისტული დაჯგუფების წევრი. მაშინდელ “მმართველთაგან” აღზევებული, თავგამოდებით ჩაერთო ქვეყნის “გადემოკრატებისთვის წამოწყებულ საერთო-სახალხო ლაშქრობაში” და თავის საგაზეთო, ტელე თუ საპარლამენტო გამოსვლებში “არავინ დაინდო, ქვა ქვაზე არ დატოვა”. ცხადია, რევოლუციის ერთ-ერთი მებაირახტრის რისხვა უპირველესად მისთვის საძულველ საქართველოს პირველ პრეზიდენტს დაატყდა და მარადჟამს

“სიმართლის მთქმელმა და დამცველმა”, ამაზრზენსა და სამარცხვინო ტელეგამოსვლაში, ჩვეული დაუნდობლობით “ამხილა”.

“მე ყოველთვის დინების საწინააღმდეგოდ მივდიოდი და არასდროს მიტრაბახია. უსამართლობას ვერ ვიტან და … ამიტომ საქართველოს “კაგებეს” ჩემთან პრობლემა არასდროს ჰქონია, ჩემი არასოდეს შინებიათ”, - განაცხადა “ნაპარლამენტარმა პოეტმა-დირექტორმა” გაზეთ “ასავალ-დასავალში” (1997 წ. N 5) გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რომლის სათაურიც “სანამ ცოცხალი ვარ, ბატონ ედუარდის გვერდით ვიდგები”, რესპოდენტის ვინაობის ძირისძირობამდე აღქმისა და შეცნობის დამადასტურებელია. ი. ორჯონიკიძისეულ ამ “გულწრფელსა და პირდაპირ” ნათქვამში მკითხველი უმალ ამოიცნობს ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი მისი მოწინააღმდეგეებისაგან წამოსროლილი გამონათქვამის – საქართველოს პრეზიდენტის მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ცურვის – პერიფრაზს. სხვაობა მხოლოდ ერთ სიტყვაშია და ალბათ იმიტომ, რომ სავარაუდოა “პოეტმა-დირექტორმა” ცურვა არ იცოდა. ალბათ ამის გამო მიუყვებოდა ფეხით მდინარის ნაპირს, ცხადია დინების საწინააღმდეგოდ.

ცნობილია, რომ საქართველოს პრეზიდენტს “არასწორად” ცურვისათვის მსოფლიოს შავი სამყარო დაუპირისპირდა და ბუნებრივია, “უკუღმა” მოსიარულე ი. ორჯონიკიძესაც არ დაადგებოდა სიკეთე. ავადსახსენებელი კაგებე ხომ სწორედ უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებსა და სიმართლის მთქმელთ დევნიდა. მარადჟამს უსამართლობის “ვერ ამტან პოეტს” კი, თურმე არაფერს ერჩოდა, ოდნავადაც არ შინებია მისი… ჩვენ კაგებე საზარელ და შავბნელ, დაუნდობელ და კაციჭამია მონსტრად გვყავდა წარმოდგენილი. სინამდვილეში კი მასაც ჰქონია მიტევებისა და მოსიყვარულების, მიჩვევისა და ერთგულ მეგობარ-თანამოსაქმედ გახდომის უნარი. ამიტომაც, ძნელია “პოეტის” ამ ურთიერთსაწინააღმდეგო და აბსოლუტურად შეუსაბამო “აღიარებებს” ვერწმუნოთ. მართლაცდა, ვერაფერს დავუჯერებთ პიროვნებას, რომელიც საცოდავი უსუსურობით, შესაბრალისად უპირისპირდება საკუთარ თავს და საგაზეთო ინტერვიუს ერთ მცირე მონაკვეთში, კორესპონდენტის ნათქვამით: “თქვენზე უამრავი ჭორია გავრცელებულიო”, - გაცეცხლებული, დაუფიქრებლად, ღირსებად მიიჩნევს მანამდე ბატონ ზვიად გამსახურდიას მეუღლის გასალანძღად დასახელებულ თვისებას: “სკანდალური ქალი, ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე გახლავთ”.

ცოტა ქვემოთ კი პრეზიდენტის მეუღლის გამკიცხავი “პოეტი-დირექტორი”, იგივე თვისებით თავს იწონებს და უხარია: “მერე რა თუ სკანდალურ ქალბატონს მეძახიან, ლაჩარს ხომ არა!”

რას მივაწეროთ ი. ორჯონიკიძის ამგვარი წუთიერი ცვალებადობა? გულმავიწყობას რასაკვირველია არა. მანასეზე ნათქვამისა არ იყოს, საგაზეთო ინტერვიუდან აშკარად ჩანს, რომ “ხან ისე და ხან ასე”, მისი არსებობისა და მოქმედების უმთავრესი წეს-კანონია. ამიტომაც აბამს იგი მოურიდებლად და ურცხვად ქოთანს ყურს, მისთვის ხელსაყრელსა და სასურველ ადგილზე, უსამართლობისა და უკანონობის “მოსისხლე მტერი”. თუმცა, მთლად დაუნახავებიც არ უნდა ვიყოთ, რომ ვერ შევნიშნოთ მისი გულწრფელობა და თავმდაბლობა, ინტერვიუში გადაჭრით რომ უარყოფს საკუთარი პიროვნების **ვანგად და ნოსტრადამუსად** წარმოჩენას. არადა, ეს თავმდაბლობის

გამოხატვის მართლაცდა კლასიკური და ერთგვარად გაცვეთილი ხერხია, თორემ საგაზეთო საუბარში არსებული ცალკეული ადგილების წამკითხველებმა ადვილი შესაძლებელია მათზე ძლიერ წინასწარმეტყველად და ნათელმხილველადაც აღიარონ. და რაც მთავარია, "პოეტისთვის" უფლისგან მინიჭებული "მადლი" უბრალო ცხოვრებისეული, ბულვარული წვრილმანების ამოცნობასა და განჭვრეტაში კი არა, არამედ სახელმწიფოსა და ერის საარსებო უმნიშვნელოვანესი, სასიცოცხლო საკითხების, მოსალოდნელი საფრთხისა თუ საშიშროების შეტყობინებაზე იხარჯება.

ნათქვამი ვინმემ შურიანობასა და ცინიკოსობაში რომ არ

ჩაგვითვალოს, "პოეტ-დირექტორსა" და სუკის პოლკოვნიკს შორის 1976 წელს შემდგარი საუბრის ერთ მონაკვეთს გაგაცნობთ: "მეც პირდაპირ ვუთხარი – სულ რაღაც ათ წელიწადში სსრკ დაიშლება, საქართველო დამოუკიდებლობას მოიპოვებს, მაგრამ … თავისუფლებისთვის მზად არ აღვმოვჩნდებით (!) …". მართალია, "ნათელმხილველი შეცდა და მისგან გამოცნობილი" მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ გაცხადდა, მაგრამ განა იგივე ნოსტრადამუსი და ვანგა თავიდანვე ყველაფერს მიზანში არტყამდნენ? წარმატება და სახელი ხომ მოგვიანებით მოდის. ჰოდა, ი. ორჯონიკიძესაც თანდათან გაუძლიერდა მამაზეციერისგან ბოძებული "მადლი, სიბრძნისა და გონიერების" მომატებაც საგრძნობი გახდა, ადამიანთა "შესწავლა-ამოცნობამაც" თავისი გაიტანა და ყველაფერი განკუთვნილ ადგილზე დადგა. ამის შემდეგ წარმოუდგენელი იყო და ცოდვის დადება, ვინმესგან მის ვანგობაში დაუჯერებლობა. ეს რომ სიმართლეა და ყველანაირ ეჭვს მოკლებული, ნათლად დასტურდება "პოეტ-ვანგას" მიერ, მისთვის საძულველი პიროვნების, საქართველოს პირველი პრეზიდენტისადმი გამოთქმული იმ "წინასწარმეტყველებით", ინტერვიუში რომ გვაუწყებს:

"ზვიადმა ლექსების გამოცემა გადაწყვიტა. მისმა პირველმა მეუღლემ "მერანში" მოიტანა. წავიკითხე და პირკატა მეცა. ვუთხარი, არ შეიძლება კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟმა ამისთანა ლექსები გამოაქვეყნოს, შერცხვება-მეთქი. ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ზვიადი თვითონ მეწვია და გამლანძღა, მეწყინა და გასვლისას მივაძახე – გავა ხანი და შეარცხვენ შენს ოჯახს, სამშობლოსა და საკუთარ თავს – მეთქი. აკი ამიხდა კიდეც…".

არა გვგონია ყოველივე ამის მერე რომელიმე ურწმუნო თომას რაიმე საწინააღმდეგოს სათქმელად მოუბრუნდეს ენა, სულ მცირე ეჭვიც კი შეიტანოს "პოეტის" ვანგობაში, რადგან დღეს ყველამ იცის მისგან ჯერ კიდევ "როდის განჭვრეტილის მწარე სიმართლეზე" – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ "შერცხვენილ ოჯახზე, სამშობლოსა და საკუთარ თავზე". ესეც არ იყოს, წერილის დასაწყისში ი. ორჯონიკიძე ქართველთათვის უცნობ პოეტად მოვიხსენიეთ და ვაგლახ როგორ "შევმცდარვართ". "პოეტად დაბადებული", თურმე ჯერ კიდევ როდის "უკეთებდა რეცენზიას წიგნებს", უნიჭიერეს ზვიად გამსახურდიას შემოქმედებას აბუჩად იგდებდა და იწუნებდა, სამარცხვინოდ მიიჩნევდა. ამაში არაფერია გასაკვირვი – ზედმეტად თამამების ენას ძვალი არა აქვს. დიდმა ბერნარდ შოუმ ასეთებზე ამომწურავადა თქვა: "ვისაც ყველაზე მეტად უყვარს სწავლება, მან ყველაზე ნაკლები იცის".

მართალია, “პოეტს-დირექტორს-ვანგას” მოჭარბებულად უყვარს სხვათათვის ჭკუის დარიგება, მითითება და სწავლება, მაგრამ დიდი ირლანდიელის ნათქვამი ი. ორჯონიკიძეზე ნამდვილად არ ვრცელდება. ამისი დამტკიცება კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს და უმალ დარწმუნდებით ამაში, თუ ინტერვიუს ჩაუყვებით: “ზვიადი ისეთ საქმეს დაეჭიდა, ისეთი ტვირთი წამოიკიდა, რომელსაც ვერასოდეს მოერეოდა (!)…დეკემბრის ამბები რომ დაიწყო, მთავრობის ტელეფონით გავაფრთხილე გონს მოსულიყო, მაგრამ…

გამსახურდიას ყველაზე დიდი დანაშაული ის იყო, რომ სიახლოვესაც არ იკარებდა იმ ადამიანებს, ვინც მასზე ყველაფერი იცოდა (!)”.

დასანანია, რომ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ყურად არ იღო “პოეტ-ვანგას”გაფრთხილება, ახლოს არ გაიკარა ეროვნულ ხელისუფლებაში პრესტიჟული თანამდებობის მიღების მოსურვილე, მისი “ავან-ჩავანის, ყველა ცხოვრებისეული წვრილმანის მცოდნე” ი. ორჯონიკიძე და აკი ამიტომაც “დაისაჯა”. თუმცა სულ დაგვავიწყდა, რომ ბატონი ზვიადი სიახლოვეს არ იჭაჭანებდა კრიჭაში ჩამდგარსა და ზედმეტად ცნობისმოყვარე, მის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩამყოფ არამკითხეებს. “პოეტ-დირექტორს” კი თურმე “ბევრი სცოდნია უკარება” პრეზიდენტზე: “ზვიადს ბავშვობიდან ვიცნობდი. მასთან ძალზე თბილი და ნორმალური ურთიერთობა მქონდა”.

და მაინც არ დაიყენა გვერდში პრეზიდენტმა “ახლო ნაცნობი” ი. ორჯონიკიძე, საჭიროდ არ ჩათვალა მისთვის სულ უმნიშვნელო საქმის დაკისრება, რადგან უეჭველია მასაც კარგად ეცოდინებოდა ბავშვობიდან “დაახლოებული პოეტის” ავ-კარგი. მუდამ სიმართლისთვის მებრძოლი, მისთვის თავდადებული პრეზიდენტი გვერდში ვერ ამოიყენებდა სიმართლის ჩამქოლავს. “მივხვდი, რომ სიმართლის თქმით არაფერი იცვლება, უპატიოსნებას ვერაფერს მოვუხერხებ, ჩემი კნავილი სახელმწიფოს ვერ გაასწორებდა”, - ეს “პოეტ-დირექტორის” ინტერვიუში ნათქვამი სიტყვებია.

ეტყობა, კორესპონდენტთან საუბრისას გაახსენდა კატისგან ძეხვის ვერ შეწვდომით გამოწვეული სინანულისა და მარცხის პარასკევისთვის დაბრალება და უსუსურად, შესაბრალისად, იქით ცდილობს თავის დამდაბლებას: “ხშირად მეკითხებიან, რატომ არ დადექი პრეზიდენტის გვერდითო. მე ეს არ შემეძლო. მან გაუსაძლისი სიტუაცია შექმნა. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ეროვნული მოძრაობა დასაწყისშივე შავ სამყაროს დაუკავშირდა, ჭუჭყიანი ფული იშოვნა და ყველა მათგანი საეჭვო სახსრებით სულდგმულობდა. ვინ აღარ დაგვასვა თავზე. აგიჟებდნენ, რაღას არ ეუბნებოდნენ – ბუშზე ჭკვიანი და ნიჭიერი ხარო … მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა”.

ჰოდა, ვეღარ მოითმინა საქართველოს პრეზიდენტის “უხერხემლობითა და უნიათობით შეძრულმა”, ვერაფრით აიტანა მის გარემოცვაში მყოფ “უვიცთაგან” ჭუჭყიანი ფულით სულდგმულობა. საუბარში დასახელებული მისთვის საძულველი პიროვნებებისგან და მათს მსგავსთაგან გამიჯნული, სამშობლოსა და ერის “გადამრჩენი” ლ. შაკიაშვილის, რ. ბერიძის, მ. ჩილინგაროვას (გიგინეიშვილის), ნ. კირთაძის, ნ. დევდარიანის, ქ. დოლიძის, გ. გაბუნიასა და სხვა ოპოზიციონერი “ჟანა დ’არკებისაგან” შემდგარ ამქარს შეუერთდა. ბოლომდე იბრძოლა “ფაშისტური დიქტატურის ამოსაძირკვად”,

პრეზიდენტის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების, თანამოსაქმე-თანამოაზრეთა ქვეყნიდან გასაძევებლად. იწონებდა ხუნტის მიერ მანიფესტანტთა და მომიტინგეთა დარბევა-დახოცვის, სამეგრელოს მრავალგზის მიწასთან გასწორების შემზარავ ოპერაციებს. რაც შეეხება საქართველოში განხორციელებული სისხლიანი სამხედრო გადატრიალების მოსურვილე და ხელშემწყობ, შავბნელ ძალებთან დაკავშირებულ, ბინძურ გარიგებებსა და საეჭვო ოპერაციებში გახლართულ ექს-პრეზიდენტ ბუშთან, ნიჭიერი შემოქმედისა და მეცნიერის, უდიდესი ჰუმანისტის, ტაქტიანი და ბრწყინვალე პოლიტიკოსის, ბატონ ზვიადის შედარებას, იგი აზრად არავის მოსვლია, რადგან უბრალოდ ამისი გაფიქრებაც კი სიშლეგე, ალბათ უფრო დანაშაულია. ამიტომაც, "პოეტ-ვანგას ამ ირონიული" ჩანაფიქრის სიმართლედ გასაღების მცდელობა, წყლის სულელური ნაყვა და შესაბრალისი ცილისწამებაა, უდიდესი ცოდვის დადება და მკრეხელობაა.

ვერც ეროვნული მოძრაობის დასაწყისშივე შავ სამყაროსთან "ჩახუტება აიტანა" ი. ორჯონიკიძემ, ვერაფრით "აპატია" ბატონ ზვიად გამსახურდიას ნდობამოპოვებულებს საეჭვო სახსრებით "სულდგმულობა" და ბუნებრივია, ამგვარ "მტაცებელ-დამნაშავეებთან" ყოფნას, ფაქტობრივი ხელისუფლების "ხათრით", უცხოეთიდან შემოსული ჰუმანიტარული დახმარებებისა და უზარმაზარი სესხების "ოფიციალური არხებით აღებ-მიმთვისებლებთან" შეკავშირება ამჯობინა. ალბათ ამის გამო გავრცელდა ხმები "პოეტ-დირექტორის" მიერ უცხოეთში სახლის ყიდვის თაობაზე. არ ვიცით, რამდენად მართალია მისი უცხოეთში გაქოხიანების ამბავი, მაგრამ ჭკვიანურად ნათქვამისა: "კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს", ნამდვილად გვჯერა. თუმცა, ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყბადადგმულისა და დაჩქმალულ-დაფარულად, მიუღებელი და დასაძრახი გზით შეძენილი სრა-სასახლეებისაგან თუ სხვარამ ულევი ქონებისაგან, ღმერთმა ყველა დაიფაროს.

უგემოვნო, ჭრელა-ჭრელა, ერთმანეთს მიუსადაგებელი ნაკუწებისგან შეჯღანული საბნის პირის მსგავსი დაფანტულაზრებიანი ინტერვიუს ერთ ნაწილს "პოეტი-დირექტორი-ვანგა" თანამზრახველი მეამბოხეებისგან გაჩაღებულ 1991-92 წლების სისხლისღვრას სწირავს: "ნუ გგონიათ, რომ თბილისის ომი ინტელიგენიცამ დაიწყო. არც ზვიადი იყო იმისათვის მზად, რაც მოხდა. მის დაღუპვაში ყველამ დოზირებული როლი ითამაშა.

ასეა თუ ისე, გამსახურდიამ მოაწყო დეკემბრის ამბების პროვოცირება…"

საქართველოს პრეზიდენტის "ოპოზიციონერთა" და ი. ორჯონიკიძისეულ ამ "კლასიკურ" ცილისწამებაზე პასუხის გაცემის არავითარი სურვილი არ გაგვაჩნია, რადგან სიმართლე დიდი ხანია დადგენილია. მართალს ქუდი არასდროს არ ეწვის. "პოეტ-ვანგას" და მის ქუდდამწვარ დაქალ-ძმაკაცებს მხოლოდ ოდითგან თქმულს შევახსენებთ: "ჩემი შენ გითხარიო…".

ჭკუის სწავლებითა და დარიგებებით, "უტყუარი" წინასწარმეტყველებით მოღლილ "ნაპარლამენტარს" ისევ ავიწყდება კორესპონდენტისთვის ნათქვამი, რომ თავისი კნავილით სახელმწიფოს ვერ გაასწორებდა, უპატიოსნებას ვერაფერს მოუხერხებდა და ინტერვიუს დაღმართს ჩაყოლილი, სრულიად საწინააღმდეგო ხასიათის პიროვნებად,

ყველანაირ უპატიოსნება-უსამართლობის წინააღმდეგ ჩახმახშემართულ მებრძოლად წარმოგვიდგება: "როგორ ფიქრობთ, ვინმეზე ნაკლებ პარტიას ვერ ჩამოვაყალიბებდი, სურვილი რომ მქონდეს? მაგრამ არ ვაკეთებ... ზედმიწევნით ვიცი საქართველოში მოქმედი თითოეული პარტიის სულის თქმა, ვინ რითი მოვიდა დღემდე.

კატეგორიულად მოვითხოვ, მომავალი არჩევნებისას ყველა პარტიამ წარმოადგინოს და საზოგადოებას აჩვენოს, თუ რა საშუალებებით ახერხებს

არჩევნებში მონაწილეობის მიღებას."

მოდით და ნუ მოვუწონებთ ამგვარ "შეუვალობასა და

მომთხოვნელობას პოეტ-დირექტორს". ახლა კი ცხადია და გასაგები, რომ პარტიათა სამზარეულოების ყველა ბინძური წვრილმანის მცოდნე, ვერაფრით იგუებდა მრუდე გზაგამოვლილი პარლამენტარების გვერდით ჯდომას, მათთან ერთად "სახელმწიფოს" ბედ-იღბლის გადაწყვეტას და აკი ამიტომაც ჩამოცილდა "პოლიტიკურ მოღვაწეობას, ისევ პოეტად" დარჩენა და "გადირექტორობა" არჩია.

…"შევარდნაძესთან ახლო ურთიერთობა ჩემ სიცოცხლეში არ მქონია", - აცხადებს სიბრალულისა და შეცოდების აღმძვრელი სათაურის მქონე ინტერვიუს დამამთავრებელ ნაწილში ი. ორჯონიკიძე. თუმცა, მისგანვე ნათქვამიდან და საერთოდ მოქმედებით აშკარად ჩანს, თუ რაოდენ მოხიბლულია "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსით" და ჩვეული "გულმავიწყობით", საქართველოს "პრეზიდენტისგან" შორსდგომისა და უცნობობის საწინააღმდეგოს გვაუწყებს: "მთელს საქართველოში ყველაზე კარგად მარტო შევარდნაძემ იცის, რომ მე მივეკუთვნები ისეთ ადამიანთა რიცხვს, რომელთა მართვაც არ შეიძლება".

ალბათ, ამ შემთხვევაში გულმავიწყობა არაფერ შუაშია, უბრალოდ "პოეტი-დირექტორი" კმაყოფილი გვამცნობს სათაყვანებელი არსების საოცარ უნარს. არც ზოგიერთი გონებადაბნელებულის გამოფხიზლება ავიწყდება და თავგადაკლული იღვწვის დაუჯერებლის დასამტკიცებლად: "ის მეთოდები და ხერხები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ ასწავლა, არასოდეს თავისი ქვეყნისა და ხალხის საწინააღმდეგოდ არ გამოუყენებია!". თევზისა არ იყოს, ამ შემთხვევაში წყლით პირგავსებულები, კრინტსაც ვერ დავძრავთ…

ჩანს, დღემდე არ განელებია "პარლამენტარ პოეტ-დირექტორ-ვანგას" საქართველოს პირველი პრეზიდენტისგან უარყოფა, უნდობლობის გამოცხადება და შეურაცხყოფილ-განაწყენებული, "უცნობი-შორსმდგომი", მაგრამ იმავდროულად მისი "ყველაზე კარგად შემცნობი", საფიცარი პიროვნებისგან გულმოცემული, კიდევ ერთხელ "ბწკენს" საძულველ ადამიანს და თავს გამარჯვებულად მიიჩნევს: "ედუარდი ბინძურ რუსულ პოლიტიკას მთელს მსოფლიოში ყველაზე უკეთ იცნობს. ამიტომ გამსახურდიასავით, მოედანზე არმატურით არ შემოიფარგლა, ეგ არის და რუსეთისგან თავი დავიცავიო".

ეტყობა, უსასრულო ლაფის სროლითა და სიბინძურის შესხმით, ლანძღვა-გინებით გასავათებულ ი. ორჯონიკიძეს მეხსიერებამ გვარიანად უღალატა, თორემ "ბევრის მცოდნემ" უნდა უწყიდეს, რომ იმ ავბედით დღეებში, მთავრობის სახლის წინ

შეკრებილი მომიტინგეების მიერ, მომხდური “პოეტისა და ოპოზიციონერებისგან” გასამიჯნად პროსპექტის გარდიგარდმო დაყენებული ავტობუსები, არმატურისგან არ მზადდება. შეიარაღებული ბანდებისგან ალყაშემორტყმული პრეზიდენტის მომხრეები, ძალიანაც რომ სდომებოდათ, არმატურას ვერსად იშოვნიდნენ და იქ ვერ მიიტანდნენ მის შემოსაფარგლავად. სამაგიეროდ, “ნაპარლამენტარის” სულიერ-ხორციელმა და-ძმებმა იშოვნეს ბლომად არმატურა, რკინა-ბეტონის ბლოკები, საკანალიზაციო მილები, ყველანაირი ნაგავი და რამდენიმე ადგილას გადახერგეს დედა-ქუჩა. რაც შეეხება ბატონ ზვიადისთვის რუსეთისგან თავის დაცვის თაობაზე წაყენებულ “ბრალდებას”, საამისო ნამდვილად არაფერი სჭირდა და არც უფიქრია ამაზე. პირიქით, შეშინებულმა და საგონებელში ჩავარდნილმა სისხლიანი იმპერიის მმართველებმა ყაზბეგში, საქართველოს პრეზიდენტისგან შეთავაზებულ თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების წინადადებას, განაწყენებული წითელი ქართველების მიერ განხორციელებული სამხედრო გადატრიალებით უპასუხეს. და დღეს, დამპყრობელი რუსის ჩექმა, ადრინდელთან შედარებით კიდევ უფრო მეტი დაუნდობლობით ჯეგავს ქართულ მიწას, აბუჩად იგდებს იბერთ ქვეყანას, ხარბად იტაცებს მის ძველთაძველ ტერიტორიებს და ბარბაროსულად ანადგურებს იქაურ მკვიდრ მოსახლეობას.

სისხლიანი იმპერიის არაადამიანური ქმედებების მნახველი, ამერიკაში გაწვრთნილი ურიცხვი დამცველებით შემოსალტული “თავკაცი” კი დუმს.

დარწმუნებული ვართ, წერილში ნათქვამს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სრულიად უშედეგოა თეთრის შავად, თაფლის ნაღველად, ბულბულის ყვავად გამსაღებელი ი. ორჯონიკიძესათვის, არსებისათვის, მისთვის მრავალგზის მოსაწოდებელს, უპირველესად ჩასაგონებელსა და მისაღებს, ჩემი შენ გითხარის პრინციპმომარჯვებული, ისევ სხვებისთვის მისათითებლად და დასამოძღვრავად რომ იყენებს: “არ შეიძლება პოლიტიკური შეხედულებების გამო ერთმანეთს მტრად გადავეკიდოთ.”

კარგი იქნებოდა თუ ამ მოწოდება-ლოზუნგს უწინ თვითონ

გაითავისებდა და მრუდე გზას დამდგარი, მცდარ პოზიციაზე გაყინული, მტრად არ მოეკიდებოდა სამშობლოსთვის, ერისთვის თავგანწირულ ადამიანებს, სიმართლის დამცველ პიროვნებებს, რომელთა ერთ ნაწილს უდიერად იხსენიებს ინტერვიუში, წარმოუდგენლად სწორი, უშეცდომო არჩევანისა და სურვილის გამომხატველი სათაური რომ ახლავს. სხვანაირად არც ეგების – შეუძლებელია სულმა სული არ იცნოს.

გელა ჯიღაური

გაზეთი “ზვიადის გზა”

1997 წელი, N 19

ცრუნი

“საქართველოს ტელევიზიის” სადღეისო საქმიანობას მხოლოდ ერთი სიტყვა-უარყოფითი მიესადაგება, რომლის მიღმაც ამისი დამადასტურებელი ბევრი მიზეზი და ფაქტი ფიგურირებს. თავი დავანებოთ მის მწირ, ლამის ქვის ხანის დროინდელ ტექნიკურ აღჭურვილობას, უკიდურესად დაბალ პროფესიონალიზმსა და უვიცობას, უგემოვნებას, რუსეთის ტელევიზიის გადაცემებთან მიმსგავსების პრიმიტიულ მცდელობასა და მთავარზე ვთქვათ – იმ შემზარავ, დამღუპველსა და სამარცხვინო სიცრუეზე, ტყუილსა და სიყალბეზე, ასევე სამარცხვინო შეუპოვრობითა და მოუღლელობით რომ აფრქვევს. ეთერიდან მოვარდნილი ჭუჭყისა და სიბილწის ამ ნიაღვარს მხოლოდ ერთი დანიშნულება გააჩნია – ძირფესვიანად მოთხაროს, საბოლოოდ მოახრჩოს მართალი სიტყვა და პატიოსნება, სინათლე და სითბო, სიყვარული… ამიტომაც არის, რომ ქართულ ტელევიზიას მაყურებელი და მსმენელი თითქმის აღარავინა ყავს. პატიოსანი ადამიანები, ჭეშმარიტი მამულიშვილები სახადივით ერიდებიან მტრად მოკიდებულ ამ სადეზინფორმაციო საშუალებას და ისედაც გაუსაძლის ყოფას, კიდევ უფრო არ იმწარებენ საგანგებოდ შემზადებული საეთერო სამსალით. თუმცა ჩვენდაუნებურად, გაუთვალისწინებელ გარემოებათა თუ შემთხვევათა გამო, ხანდახან მაინც გვიწევს ხოლმე ეკრანიდან მოვარდნილ სიცრუესთან შეჩეხვა და გუნება-განწყობილების გაფუჭება. წერილში სწორედ ხასიათის წამხდენ შემთხვევით ნანახ-მოსმენილ ერთ ასეთ ეკრანულ მწარე “ინექციაზე” გვსურს გაუწყოთ.

22 მაისს, “საქართველოს ტელევიზიამ”, გადაცემა “პარლამენტის საათი” შემოგვთავაზა. მისი ერთი სიუჟეტი “პარლამენტის ვიცე-სპიკერ” **რ. ბერიძესა** და “პარლამენტარ” **მ. ჩილინგაროვას** (გიგინეიშვილს) დაეთმო, რომლებიც თურმე ახალი დაბრუნებულები გახლდნენ ბელგიაში “საქმიანი” სტუმრობის შემდეგ, სადაც ფრიად მნიშვნელოვან თავყრილობაში – ევროსაბჭოს სხდომებში მიეღოთ მონაწილეობა. ცხადია, პირველი სიტყვა “ვიცე-სპიკერს” ხვდა. და მანაც, საბჭოური ეკონომიკური გეოგრაფიის მასწავლებლისთვის დამახასიათებელი სქემით “გაგვათვითცნობიერა” დასახელებული საბჭოს შექმნის ისტორიასა და სტრუქტურაში. შემდეგ კი “მთავარზე” გადავიდა და სივრცეში მომზირალმა, სახეზე ნათელფენილმა, უკვე უშუალოდ “გაკეთებულ-მოგვარებულ” საქმეზე “გვახარა”. თავი და თავი კი ამ არნახული “წარმატებისა”, თურმე სხდომის მონაწილეთაგან მოწონებული მისგან წარმოთქმული “საანგარიშო მოხსენება” გამხდარა.

ქალბატონ “ვიცე-სპიკერის” გამოსვლიდან შევიტყვეთ, რომ მოხსენებით გამოსულს “არაფერი დაუმალავს, არაფერი შეულამაზებია” და სხდომის მონაწილეთათვის “აბსოლუტური სიმართლე” უთქვამს: რომ თურმე, ხანგრძლივი კრიზისისა და პარალიზების შემდეგ, “სახელმწიფოს თავკაცთა მოუღალავი განსჯით, ფიქრით, მცდელობითა და მოქმედებით, ბოლოხანს როგორც იქნა ნავსი გამტყდარა” და წინა ხელისუფლებისგან “გზას აცდენილ-გავერანებულ-დაქცეული” ქვეყნის გადარჩენის “საიმედო ნაბიჯები” გადადგმულა. რომ თურმე, ბოლო არ უძევს საქართველოში უცხოელი “ინვესტორებისა და ბიზნესმენების, ფინანსისტებისა და ბანკირთა სტუმრობას, რომელთა სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრები და მოლაპარაკებები, უდიდეს იმედებს გვინერგავენ უმძიმესი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად”. რომ თურმე, ქვეყანაში სულ “უფრო აშკარად საგრძნობი ხდება საერთო მდგომარეობის

სტაბილიზება". რომ თურმე, "თავისუფალი და დამოუკიდებელი" საქართველო მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიკაფავს გზას "დემოკრატიისკენ". ერთი სიტყვით, ხანგრძლივი უკუნეთისა და სიბნელის შემდეგ, როგორც იქნა "მართლა გამოჩენილა" ნანატრი სინათლის სხივი, ნანატრი გვირაბის ბოლოს.

საუბრის დასასრულს, "ვიცე-სპიკერმა ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის" სიმები შეგვირხია და კიდევ უფრო სახენათელმა და გრძნობამოჭარბებულმა გვამცნო იმ დიდსა და განუზომელ ბედნიერებაზე, უნაპირო სიხარულსა და სიამაყეზე, რაც "პარლამენტარ" მანდილოსნებს ბრიუსელში გამართულ კონცერტზე, ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების, ქართველი დირიჟორის ხელმძღვანელობით შესრულებისას ხვდათ წილად.

აი, ასეთ ნათელ ფერებში დაგვისურათა "ვიცე-სპიკერმა" ევროსაბჭოში სტუმრობა და მისი წევრი ქვეყნების წარმომადგენლებისთვის "აღმავლობის" გზაზე შემდგარი სამშობლოს საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაცნობა. ოდნავადაც არ გვეპარება ეჭვი, რომ "ხელისუფლების" წარმომადგენელი ქალბატონი, ღრმად არის დარწმუნებული დასახელებული სატელევიზიო გამოსვლის სიმართლესა და სისწორეში, რომ მისგან ბრიუსელში თქმულმა "სიმართლემ" სამომავლოდ გასაკეთებელ "დიდ საქმეს" დაუდო დასაბამი. რომ გადაცემის მსმენელებმა, ნამდვილად დაიჯერეს ეკრანიდან მოსმენილი და იმ ღამით უწყინარი, მშვიდი, სახვალიო ბედნიერი და იმედიანი მომავლის დადგომის ძილით დაიძინეს.

სამაგიეროდ, ჩვენ ვერ დავუჯერებთ რ. ბერიძეს, ვერ ვირწმუნებთ მის გულწრფელობას, ბრიუსელში თქმულსა და ნამოქმედარს ვერ ჩავუთვლით არა თუ სასიკეთო, რიგით საქმედაც კი, რადგან "ხელისუფლებაში" მყოფმა, ჩვენგან – რიგითებისგან განსხვავებით, ბევრად მეტი იცის იმ კატასტროფულ მდგომარეობაზე, რომელიც სადღეისოდ არის შექმნილი საქართველოში. სინამდვილის შეგნებულად გვერდის ავლა და დამალვა, შავის თეთრად გასაღება, სიმართლის განგებ მიჩქმალვა და დაფარვა კი ნამდვილად დასაგმობი ქმედებაა, რომლის მომქმედს პატიოსანი და მართალი ხალხი ოდითგან მატყუარას, ცრუს ეძახის. დიდად საინტერესოა, თუ რას გულისხმობდა "ვიცე-სპიკერი" საქართველოს სასიკეთო მდგომარეობისკენ შემობრუნებაში, სტაბილიზაციისა და აღმავლობის გზაზე გასვლაში? ალბათ საზღვრებმორღვეულ, დაფლეთილ-დანაწევრებულ-გაყიდულ-გაჩუქებულ, რუსული იმპერიის ხელახლად უღელდადგმულ, ოკუპირებულ, დამპყრობლის სამხედრო ბაზებით მოფენილ, მტრისგან გადათელილ-გაპარტახებულ ქვეყანას, მის პატივ-ღირსება-უფლებააყრილ მოსახლეობას, ეროვნული ხელისუფლების დამხობის მერე მის მხარდამჭერთათვის მოწყობილ სადამსჯელო ლაშქრობებსა და იარაღით მოსული "ხელისუფლების" მიერ განხორციელებული სისხლიანი გადატრიალების დროს დაღუპულ ათეულ ათასობით ადამიანს, უსახლკაროდ დარჩენილ, დამცირებულსა და შეურაცხყოფილ სამას ათას ლტოლვილს, ქვეყნის შრომისუნარიანი მართალი მოსახლეობის ოთხმოცდაჩვიდმეტ პროცენტ უმუშევარს, თვეობით უხელფასოდ მომუშავე დანარჩენ "მოსამსახურეებს", უამრავ მოშიმშილეს, სნეულსა და მათხოვარს, საგანგაშოდ მომრავლებულ ნარკომან და ზნედაცემულ ახალგაზრდობას, თავის გადასარჩენად უცხოეთში გადახვეწილ-გახიზნულ, ყოვლად შეუფერებელსა და სამარცხვინო, დამამცირებელი სამუშაოებით დასაქმებულ ქართველებს, ქვეყნის უკიდურესად დამბლადაცემულ ეკონომიკასა და

მთლიანად მოშლილ მეურნეობას, უკლებლივ ყველაფრის გაუგონარ სიძვირეს, ბიზნესად მონათლულ გულისამრევ, არაფრის მომცემ წვრილმან ვაჭრუკანობას, გაუგებარსა და დამღუპველ პრივატიზაცია-ვაუჩერიზაციას, "კონსტიტუციაზე მუშაობას, არჩევნებისთვის" მზადებასა და სხვა მრავალს.

არა გვგონია, ბრიუსელში გამართული ევროსაბჭოს იმ თათბირის გამოცდილსა და მცოდნე მონაწილეებს უკლებლივ ყველაფერი დაეჯერებინათ "ვიცე-სპიკერის" მოხსენებიდან, ყველაფერზე თავი დაექნიათ, დასტური განეცხადებინათ და ერთი სული ჰქონოდათ, სანამ კრიზისიდან "უკვე თავდაღწეული" ქვეყნის წარმომადგენლებს, დახმარების ზეშეღავათიან წინადადებებს შესთავაზებდნენ.

შეუძლებელია თათბირის მონაწილეები საქართველოს თავს დამტყდარი უბედურებისა და ტრაგედიის გამომწვევი მიზეზების გამო მომხსენებლებისთვის დასმული კითხვების უპასუხოდ დატოვებას დასჯერებოდნენ. არაფრად ჩაეგდოთ მათი საბჭოს მიერ, გაჩანაგებულ-გაძარცვული ქვეყნის დასახმარებლად გადაცემული, ქარს გატანებული და უგზო-უკვლოდ მიჩუმათებული ათეულ მილიონობით ეკიუ. განა ჯერ კიდევ ყოფილი ვიცე-პრემიერი რ. გოცირიძე საჯაროდ არ აცხადებდა (თანაც რამდენჯერ), რომ ვერაფრით დაედგინათ, რაში მოეხმარებინათ ევროსაბჭოს მიერ გამოყოფილი სამოცდაათი მილიონი ეკიუ. მერე კი იმ ვაიფინანსისტ-ეკონომისტის "სამოღვაწეო" ასპარეზიდან აბარგების შემდეგ, იმ თანხაზე აღარავის დაუძრავს კრინტი. ამას გარდა, ევროსაბჭომ კიდევ რამდენჯერმე გადმოურიცხა მილიონობით ეკიუ ჩვენს ქვეყანას, თუმცაღა უცნობია და დაფარული მათით "გაკეთებული" საქმეები.

სიმართლე უნდა ვთქვათ და ტელესაუბრის დასაწყისში, ევროსაბჭოს დანიშნულებისა და საქმიანობის გაცნობისას, "ვიცე-სპიკერმა" მათემატიკური სიზუსტით გვაუწყა დახმარებისთვის გამოყოფილ ზემოხსენებულ თანხებზე, მათს მოხმარებაზე კი რატომღაც იყუჩა. ალბათ, ერთგვარ უხერხულობად და უადგილოდ მიიჩნია თავიდანვე ტყუილის მოხლა, რადგან მერე ბევრზე ბევრი სიცრუე უნდა გაესაღებინა სიმართლედ, სასოწარკვეთილი და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაცვენილი ადამიანების "დასაიმედებლად", ბედნიერი მომავლის დადგომის მოლოდინის "გასახანგრძლივებლად". ეს ალბათ თვით რ. ბერიძის ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს. წლეულს, გაზეთში "ალია საქართველოდან" თებერვალში გამოქვეყნებულ ინტერვიუში დასმულ შეკითხვაზე, თუ როდის და რატომ მიმართავს ტყუილს, გულახდილად პასუხობს:"მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ვინმეს გამხნევება, დაწყნარება და დამშვიდება მინდა"…

ამჯერად, ნამდვილად ვერ დავიჯერებთ "ვიცე-სპიკერის" ხასიათის ამ ნიშანთვისების გამოყენებას თანმოყოლილ სასურველ, აუცილებელ დადებით შედეგიანობას. პირიქით, იმ საღამოს ტელეეკრანიდან ნათქვამმა გაშიშვლებულმა სიცრუემ და აშკარა ტყუილმა, თვალნათლივ დაგვანახა ბრიუსელში მივლინებულისთვის მიცემული დავალების არსი და დანიშნულება, რომლის შესრულებაც ყველანაირი ხერხითა და ფორმით გახლდათ აუცილებელი. ამიტომაც გვინდა ვუთხრათ მისიამოთავებულ "ხელისუფლების წარმომადგენელს", რომ მისგან იმ საღამოს ტყუილისა და სიცრუის მრავალგზის მოხმობამ, კიდევ ერთხელ წარმოგვიჩინა ფაქტობრივი ხელისუფლების უსუსურობა და უძალობა, ხავსს მოკიდებული, უილაჯოდ რომ ცდილობს ფონს გაღწევას. სხვანაირად

რომ ვთქვათ, "ვიცე-სპიკერის" ტელეგამოსვლამ მამლის ნათქვამი გაგვახსენა: "მე ვიყივლე და გათენდება თუ არა, ჩემი საქმე არ არისო"…

ჯერი ბელგიის დედაქალაში შემდგარ ფორუმზე წარგზავნილ მეორე "დესპანზე", "მეცნიერ-პარლამენტარ" **მ. ჩილინგაროვაზე** (გიგინეიშვილზე) მიდგა. მისი ნათქვამიდან გამომდინარე ვიტყვით, რომ ფრიად "საპასუხისმგებლო" მისიადავალებულმა, საკუთარ შესაძლებლობათა ფარგლებში, მეტნაკლებად შეძლო მიცემული დავალების შესრულება, რადგან გამგზავრებამდე, მუშაობისა და მოქმედების საბჭოურ-კომუნისტური წეს-კანონებით დავალებამიცემულ არსებებს, აუცილებლად ჩაუტარებდნენ საჭირო საწვრთნელ მეცადინეობებს, მიეცემოდათ სათანადო ინსტრუქტაჟი და მითითებები იქ სალაპარაკოდ, ძირისძირობამდე გაიცხრილ-გაიფილტრებოდა ევროსაბჭოში წასაკითხი მოხსენებები. ამასთან დაკავშირებით, აუცილებლობად მიგვაჩნია გაზეთ "თავისუფალი საქართველოს" ამაწლის N11 გამოქვეყნებული წერილის "ნორმა ჰელმსი-ტირანიის მფარველი" ორი ადგილის მოყვანა: "საგულისხმოა, რომ მან (ნორმა ჰელმსმა, - გ. ჯ.) თავისი ბარათი ევროსაბჭოში გადასაცემად გაატანა "პარლამენტის ვიცე-სპიკერ" რ. ბერიძესა და "პარლამენტარ" მ. გიგინეიშვილს, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ ბრიუსელში განსაკუთრებული მისიით – როგორმე გაეფანტათ ამ ბოლო დროს

ევროსაბჭოში და საკუთრივ ამ კომისიაში (ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებათა დაცვის კომისიაში, - გ. ჯ.) ჩამოყალიბებული აზრი საქართველოში

ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების შესახებ".

და კიდევ ერთი ნაწყვეტი ამავე წერილიდან: "ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენელმა საქართველოში ქალბატონმა ნორმა ჰელმსმა წერილი მისწერა ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიას, რომელმაც "გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" წინასწარი და სასამართლო ძიების დროს დაშვებულ სამართალდარღვევათა გამო საკმაოდ მკაცრად შეაფასა საქართველოში ამ სფეროში არსებული ვითარება. ქალბატონი ჰელმსი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია – "ჰიუმან რაითს ვოთჩ/ჰელსინკის" ანგარიში ამ საქმის თაობაზე რიგ შემთხვევებში გაზვიადებულია, რიგ შემთხვევებში ყალბი და ხელისუფლებისადმი ოპოზიციური ძალებისგან მომდინარე ტენდენციის გამომხატველი".

ვფიქრობთ, ყოველივე ამის შემდეგ სრულიად ნათელია და გასაგები ბრიუსელს წარგზავნილებისთვის მიცემული დავალების – იქ სათქმელის მთავარი არსი და დანიშნულება. სწორედ ამ შინაარსისა გახლდათ "მეცნიერ-პარლამენტარის" სატელევიზიო გამოსვლაც. ბუნებრივია, მოსაუბრე "ვიცე-სპიკერის" გაკვალული გზით წავიდა და ყველანაირად შეეცადა ოდნავადაც არ დაერღვია დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

"პარლამენტარის" საუბრიდან შევიტყვეთ, რომ ბრიუსელში გამართულ სხდომაზე იგი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოსულა.

აღსანიშნავია, რომ მ. ჩილინგაროვამ არც ამჯერად გაუშვა ხელიდან შემთხვევა და კიდევ ერთხელ გვამცნო ფაქტობრივი ხელისუფლების "თავკაცის ამოუწურავ" შესაძლებლობებზე, კიდევ უფრო "დამაჯერებელი სიდარბაისლით" გვაუწყა მისი ინიციატივითა და ძალისხმევით შექმნილ, მსოფლიოში სხვაგან არსად არარსებულ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო კომიტეტზე, რომლის ფაქტიური, ნამდვილი საქმიანობა-ადამიანთა უფლებების დარღვევა და შელახვა, კარგად გახლავთ ცნობილი მართალი ქართველებისათვის.

ამის შემდეგ "პარლამენტარი" უშუალოდ "საქმეზე გადავიდა და გულახდილად, მისხალ-მისხალ" გაგვაცნო წარმოთქმული მოხსენების შინაარსი. შევიტყვეთ, რომ მასაც "არაფერი დაუმალავს, არაფერი მიუჩქმალავს, ყველაფერი წესითა და რიგით, სათანადო ფაქტებ-მაგალითებით" მოუხსენებია დარბაზში მყოფთათვის, დაწვრილებით უსაუბრია სამაჩაბლოში დატრიალებულ ამბებსა და აფხაზეთის შემზარავ ომზე, ქართველთა სასტიკ გენოციდზე, ადამიანურ უფლებააყრილ ლტოლვილებზე. შეუძლებელია არ შევაქოთ და მადლობა არ მოვახსენოთ მ. ჩილინგაროვას ამგვარი "გარჯისათვის", საჯაროდ რომ აუწყა ევროპის ძლიერი და განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლებს, აფხაზი და ოსი სეპარატისტებისგან საქართველოში დატრიალებულ უბედურებებზე, მათგან დაზარალებული ადამიანების უფლებების არნახულ დარღვევებზე. სხვა დანარჩენზე კი საყვედური უნდა ვუთხრათ ბრიუსელს წარგზავნილ "დესპანს" სიცრუის იმ ნიაღვრისთვის, ასე დაურიდებლად და დაუფარავად რომ მიუშვა სხდომის მონაწილეებზე.

შინ დავალებამიცემულმა შეგნებულად აუარა გვერდი და არაფერი თქვა საქართველოს ამჟამინდელი "ხელისუფლების" რეჟიმს თანმოყოლილ ადამიანთა უფლებების შემაშფოთებელ დარღვევებზე, კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერი მოსახლეობის მრავალგზის აწიოკება-დარბევებზე, მრავალათასიანი მიტინგების დახვრეტა-დახოცვის ფაქტებზე, პოლიტპატიმრებით ავსებულ ციხე-დილეგებზე, მათს გაუგონარ, აუტანელ დაკითხვა-წამებებზე, უკანონოდ და უსამართლოდ წარმართულ სასამართლო პროცესებზე, უკანონო განაჩენებზე. თუმცა, ეს გასაკვირვი არ არის, რადგან ყველაფერი "მეცნიერ-პარლამენტარ" არსებას სიცრუედ და ტყუილად, ერთობ გაზვიადებულ-გაბერილად მიაჩნია, ზუსტად ისე, როგორც ჰელმსისგან, ბრიუსელში გატანებულ წერილში წერია. ასეა, სული სულსა სცნობს და ხელი ხელსა ბანს. ამიტომაც უწოდა მ. ჩილინგაროვამ, ევროსაბჭოს საქართველოში წარმომადგენელ თანამოზრე ქალბატონ ჰელმსის დარად, საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰიუმან რაითს ვოთჩ/ჰელსინკის" მიერ საქართველოში დატრიალებული უბედურებების სამართლიან შეფასებას ყალბი და ცრუ, კანონიერი ხელისუფლების მომხრეთაგან მოგონილი.

არა გვგონია სხდომის მონაწილეებს, საქართველოდან წარგზავნილი მეორე მომხსენებლის ცრუ ბრალდებებისთვის ეგდოთ ყური და ერთხმად მოეწონებინოთ მოსმენილი. ალბათ ასეც იყო, რადგან ტელემოსაუბრეს უნებურად მაინც წამოსცდა და "გულახდილ, მართალ" საუბარში მაინც გაჟონა სიცრუის დამჯაბვნელმა სიმართლემ – სხდომის მონაწილეთაგან გამოხატული "წამიერი" უკმაყოფილებისა და უნდობლობის გამო. მაგრამ მისდა სასახელოდ, მალევე ისეთი "გამაქარწყლებელი და დამაჯერებელი ფაქტებით გაუფანტავს და მიუხვრჩია თავდამსხმელთა ის წამიერი შეტევა, ეჭვები და უნდობლობა", რომ საღამოს გამართულ ვახშამზე, ლამის "მუხლებზე დავარდნილებსა

და ქადაგად დაცემულ ცდომილთ, უამრავი საბოდიშო სიტყვა დაუხარჯავთ, გულწრფელი პატიება უთხოვიათ ცამდე მართალი ქართველი'' არსებებისთვის. ნათქვამის დასტურად, ევროსაბჭოს საქართველოში სხვა წარმომადგენელი, ბატონი კორბიუ მოიხსენია.

დაე სჯეროდეთ მათ, რომ მართლები არიან და სამართლიან-კანონიერად ირჯებიან. შეუძლებელია, საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენილებმა მაინც არ იგრძნონ ნათქვამისა და ნამოქმედარის მცდარობა, ოდნავი სინანული მაინც არ განიცადონ ამდენი სიცრუისა და ტყუილის სიმართლედ გასაღების მცდელობის გამო. თუმცა გარეგნულად, მსგავსი არაფერი ეტყობოდათ. პირიქით, გამარჯვებულებისა და უკიდურესად საჭირო საქმის ფრიად საპასუხისმგებლო მისსიის სასურველად მომგვარებლების კმაყოფილი პოზით დაგვემშვიდობნენ. ალბათ, ღრმად იყვნენ დარწმუნებულები ''პაეზდკის'' წარმატებაში.

სამაგიეროდ ჩვენ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ფაქტობრივი ხელისუფლების სამსახურში ჩამდგართა სამარცხვინო ხერხებით ყოფისა და საქმიანობის მოახლოებულ გარდაუვალ მარცხსა და კატასტროფაში. სხვანაირად არც შეიძლება – ტყუილსა და ფარისევლობაზე, ორპირობასა და სიცრუეზე დაფუძნებული ძალაუფლება დასაღუპავად არის განწირული. მატყუარები და ცრუნი, ბოროტთა დარად, ყოველთვის იქნებიან ძლეულნი სიკეთითა და სიმართლით, პატიოსნებითა და ჭეშმარიტებით.

22 მაისის ხსენებულ ტელეგადაცემაში, ბრიუსელიდან მობრუნებული ''დესპანები'' კი აშკარად, შეუპოვრად და ურცხვად, უტიფრად ცრუობდნენ. და იყვნენ ცრუნი.

სიცრუე და ორპირობა, ავნებს…

დასრულება ბრძნულად ნათქვამისა ''მეცნიერ-პარლამენტარი'' არსებისთვის მიგვინდია.

გელა ჯიღაური

გაზეთი ''არჩევანი''

1995 წელი, ივლისი

თქვენ არავინ არა ხართ, ბატონო …

ვინც კი გაზეთ ''მოსკოვსკიე ნოვოსტის'' ოცდამეჩვიდმეტე ნომერში გამოქვეყნებული **აკაკი მიქაძისა და გენადი ჟავორონკოვის** წერილი ''პრეზიდენტის შემოდგომა'' წაიკითხა, კიდევ ერთხელ ჩაწყდა გული, რეაქციულ გაზეთში, ამგვარი ამაზრზენი პუბლიკაციისთვის ქართული გვარის მატარებელი პიროვნების ხელმოწერის დანახვაზე. აღარაფერს ვამბობ იმ სიბინძურესა და უწმინდურობაზე, იმ გესლსა და ბალღამზე, აშკარად და იაფფასიანი ფორმით რომ არის გადმონთხეული ვითომცდა დემოკრატიული გაზეთის ფურცლებზე.

ვინა ხართ თქვენ, ბატონო აკაკი? საიდან მოხვედით, ვინ გამოგგზავნათ? ვის დავალებასა და მითითებას ასრულებთ?

თუმცა, რა საჭიროა და რა ფასი აქვს კითხვების დასმას – ყველაფერი ხომ აშკარაა და დღესავით ნათელი. თქვენ რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი, ლაგამამოდებული მშიშარა მსახური ხართ, დამპყრობელს ფერწასული და აკანკალებული რომ შესციცინებთ ჩასისხლიანებულ თვალებში. უჩუმარი აღმასრულებელი ხართ ქართველი ერის ფიზიკურად მომსპობი კაცთმოძულე გადამთიელებისა.

თქვენ ქართველი არა ხართ და საერთოდ, ეროვნება არ გაგაჩნიათ – თქვენ ხართ ტიპიური საბჭოთა არსება, ანუ ტიკინა, რომელსაც იმპერიის შოვინისტურ წრეებში მოკალათებული კაციჭამიები საკუთარ ნებაზე გათამაშებენ. იმას გაკეთებინებენ, იმას გაწერინებენ, რასაც ბილწი, შერყვნილი გვამები მოისურვებენ. მათ კი მხოლოდ ერთი სურვილი და მიზანი ამოძრავებთ – თავისუფლების ამოხრჩობა, სხვათა სამუდამო დამონება. მათ ხელში თქვენ მოლაპარაკე ავტომატი და ყუმბარა ხართ, რომელიც იმ საშინელ, უსულო იარაღებზე უფრო სწრაფმომქმედი და მომაკვდინებელია. თქვენი მიზანია ქართველი ერი კაცობრიობას უვიც, პირველყოფილ და გულბოროტ ხალხად გააცნოთ, მისი წინამძღოლი კი საძულველ, ფაშისტ დიქტატორად. აკი სარბიელიც ფართო და მოცულობითი გაქვთ – ქართველთა მოძულე და ძირის გამომთხრელი "დემოკრატიული მოსკოვსკიე ნოვოსტი".

ღრმადა ვარ დარწმუნებული, რომ ყველა ჭეშმარიტი ქართველი შორს დაიჭერდა თავს ასეთ გაზეთთან თანამშრომლობისგან, უყოყმანოდ დათმობდა მისგან ბოძებულ მაღალ ხელფასსა და ჰონორარს. აკი თქვენს მეტმა არც არავინ მოინდომა. თქვენ კი ორივე ხელით ჩაებღაუჭეთ …

თქვენნაირები ყველა ხალხს, ყველა დროს ჰყავდა. ქრისტესაც ხომ ჰყავდა – ისკარიოტელი, ოცდაათ ვერცხლს რომ ანაცვალა მაცხოვარი. ჰოდა, რა ხვედრი ერგო გამცემს, მოგეხსენებათ. იგივე გაიზიარა ამ გზაზე დამდგარმა ყველა გამყიდველმა. თუმცა თქვენ ეს არ იცით, რადგან როგორც ჩანს, წმინდა წიგნად ისევ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაბოდვარი მიგაჩნიათ.

ბატონო აკაკი! თქვენ ბევრჯერ გაყიდეთ საქართველო, ქართველები, დაუნანებლად დაგვასხით თავს ლაფი, ყველანაირი სიბინძურე, გული იჯერეთ ქართველთა პრეზიდენტის ლანძღვა – გინებითა და განქიქებით. მაინც საიდან მოედინება ამდენი შხამი და გესლი, რა ისეთი ულევი სამსალით გიმასპინძლდებიან ჩრდილოელი მბრძანებლები? თუმცა, ცოდვიანსა და სახედაკარგულს, უნებურად მაინც წამოგცდებათ ხოლმე სიმართლე და ორშაურად ჰყიდით საკუთარ თავს. ამისი ნიმუში გახლავთ თქვენი უკანასკნელი წერილი.

პუბლიკაციაში "პრეზიდენტის შემოდგომა" წერთ: "გამსახურდიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის მომენტიდან, ჩვენი ცენტრალური პრესა საკმაოდ ძუნწად წერდა რესპუბლიკაში შექმინილ ვითარებაზე". ამაში უყოყმანოდ გეთანხმებით, რომ თქვენს პრესას არამც თუ ძუნწად, საერთოდ არასდროს არაფერი დაუწერია საქართველოში

შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე, სიმართლეზე. სიყალბესა და სიცრუეზე, ჭორსა და ჭუჭყზე, ღირსების შელახვაზე, შეურაცხყოფაზე, იცოცხლეთ ბლომად და უამრავჯერ.

ნათქვამია: მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო. თქვენ "ვაჟკაცურად, ჟურნალისტური მიუდგომლობითა და კეთილსინდისიერებით" იქცევით და "ქართველ სოკრატეს"— მ. მამარდაშვილსა და გადარუსებულ ა. სახაროვს (მანაც თქვენსავით ზურგი აქცია საკუთარ ერს, სხვისი გვარი მიიწება) ტკბილად იხსენებთ და გულდათუთქული მისტირით მათს "ბრძნულსა და მისნურ წინასწარმეტყველებას" ქართველი ერისთვის სამომავლოდ მოსალოდნელ "უბედურებაზე", რომელიც აგერ "აგვიხდა" კიდეც. თქვენგან განსხვავებით, მათზე ვერაფერს ვიტყვი სასიკეთოს, მხოლოდ ცხოვრებისეულ კანონს შეგახსენებთ—ადრე თუ გვიან, ყველას მიეგება თავისი. "ქართველი სოკრატე", ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, საქართველოს დატოვებით იმუქრებოდა, ეგონა მიმდევარი ბევრი ეყოლებოდა. მაგრამ მადლობა ღმერთს, ბატონ ზვიადის არჩევის შემდეგ, ამ მიზეზით საქართველოდან არავინ გაქცეულა. რაც შეეხება ვითომცდა რუს აკადემიკოსს, იგიც ბევრს ეცადა მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში საქართველოს გაცამტვერებასა და ჩირქის მოცხებას, "მცირე იმპერიად" მოგვნათლა და მის მართლაც და იმპერია – "სამშობლოსთან" შედარებით, გაცილებით საშიშ ერად "ჩამოგვაყალიბა". თქვენ კი ცხარე ცრემლებსა ღვრით "დამშვრალთათვის" და არც ახლა შეგშრობიათ თვალთა ჩინი.

წერთ, რომ ზვიად გამსახურდიას მოსვლით, დამოუკიდებელ გაზეთებს უმალ შეუწყვიტეს ქაღალდის მიწოდება, ტელევიზიის "კრიტიკულად განწყობილი" ბევრი ჟურნალისტი უმუშევარი დარჩაო. აქაც პირწმინდად თვალთმაქცობთ. პატიოსნისთვის და სიმართლის მთქმელისთვის არავის არაფერი უკადრებია, ოპოზიციურ გაზეთებს კი თვლა არა აქვთ, საკმაოდ გამოდიან. თითოეული მათგანი მზად არის თქვენნაირების გულში ჩასაკრავად, ნებისმიერი მოცულობისა და რაოდენობის წერილის გამოსაქვეყნებლად, რაც თქვენც კარგად იცით.

მიწის რეფორმის დაგვიანებასაც "შეუწუხებიხართ და გულდაკოდილი" გამოჰკიდებიხართ "ბედშავი" გლეხების "მწარე ხვედრს". საიდან მოიტანეთ დაბეგვრის სამოცდათხუთმეტი პროცენტი? იგი ხომ თქვენს მეტს არავის უხსენებია, თვით უკიდურესად დაპირისპირებულ ოპოზიციასაც კი. საქვეყნოდ გაჰყვიროდით, არიქა, ბატონმა გამსახურდიამ მმართველობის ყველა სტრუქტურა შეინარჩუნა და ცენტრის ფულადი ინვესტიციებით ცდილობს თავის გატანასო. თანაც, უშიშროების კომიტეტი და შინაგან საქმეთა სამინისტრო, მოსკოვის დოტაციაზეაო, სწორედ ცენტრის ფულით იგმანება რესპუბლიკის ბიუჯეტში გაჩენილი ხვრელებიო.

ერთი ეს მიბრძანეთ"სიმართლისთვის დამშვრალო" იმპერიიდან მოვლენილო არამკითხე "ჟურნალისტო"! განა შეიძლება ხელის ერთი დაკვრით ყველაფრის ერთბაშად შეცვლა – განახლება? შეგნებულად არ ჩამოვთვლი განახლებულ სტრუქტურებს, ძირეულ ცვლილებებს, რადგან თქვენც შეგნებულად დახუჭავთ თვალებს, დაიგმანავთ ყურებს. ამიტომ, სიმართლის ამ შემთხვევაში მტკიცება, წყლის ნაყვა იქნება და სხვა არაფერი. თქვენმა ჩრდილოურმა "გარდაქმნამ ანუ პერესტროიკამ", რისთვის ტკეპნა ექვსი წელიწადი ერთი ადგილი და საბოლოოდ ის თქვენი იმპერია უფსკრულისკენ რაღად გააქანა?

რაც შეეხება უშიშროების კომიტეტსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის დოტაციაზე ყოფნასა და იქიდან მიღებული ფულით ბიუჯეტის ხვრელების ამოვსებას, ესეც ელვისებური სისწრაფით ვერ მოგვარდება. არა გვგონია ბატონ ზვიად გამსახურდიაზე მეტად შეგტკიოდეთ გული ამ ეშმაკეული მანქანიდან თავის დასაღწევად. მაგრამ, ვაი რომ არც ისე ადვილია მანდ შექმნილი ჯოჯოხეთური და დამთრგუნველი ქაოსიდან გამოღწევა. ისე, გული საგულეს ჩაიდეთ და დაჯერებით გაუწყებთ, მაგასაც მოევლება, უსაშველო ამქვეყნად უკურნებელი სენისა და სიკვდილის გარდა, არაფერი არსებობს.

ახლა თქვენგან გადმოსროლილი კიდევ ერთი "კოზირი" უნდა გავჭრა. ჩვენს პრეზიდენტს თქვენს იმპერიაში მომხდარ აგვისტოს სამარცხვინო პუტჩთან გაუგებარსა და აბლანდულ კავშირში სდებთ ბრალს, ვინმე ცხრა მთაგადაღმელსა და საკუთარი ერის მოღალატე პუგოსთან არარსებული საუბრის "ჩანაწერს" იშველიებთ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალ პატრიკეევთან "შეთანხმებასა" და ეროვნული გვარდიის "დაშლას" სწამებთ.

ბატონმა ზვიადმა პუტჩის მოწყობის მეორე დღეს, მიმართვა გაუგზავნა მსოფლიოს პროგრესულსა და დემოკრატიულ სახელმწიფოებს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება სთხოვა. პუგოსთან "საუბრის" ჩანაწერის მოხმობა მტკნარი სიცრუეა და უძალო ჭორი. ასეთი "ჩანაწერი" რომ არსებობდეს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ოპოზიცია მისით ყურებს გამოგვიჭედავდა. რაც შეეხება პატრიკეევთან "შეთანხმებას", გვარდიის "დაშლას", ტყუილად დამშვრალხართ მასზე "დარდითა და წუხილით". პრეზიდენტმა განსაცდელის ჟამს სწორი და ტაქტიკური სვლა გააკეთა და მას დროებით შეუცვალა სტატუსი. მეტი სხვა არაფერი. შეგიძლიათ დამშვიდდეთ – ქართული გვარდია არსებობს.

2 სექტემბერს, კინოს სახლთან მომხდარი ინცინდენტის შესახებ შეიტყობდით, რომ საფუძვლიანი გამოძიება მიმდინარეობს და ჩვენთან ერთად თქვენც უეჭველად შეიტყობთ სიმართლეს. პრეზიდენტი, დამნაშავეებისთვის კუთვნილის მიგებას, მკაცრად დასჯას გვპირდება.

თუმცა, ბანქოს თამაშში, კოზირს ერთხელ როდი იყენებენ. და აჰა,

თქვენი მეორე "კოზირიც" – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ პრეფექტებზე

დაწოლა, რაიონებიდან ხალხის ჩამორეკვაზე და ხელისუფლების დაცვაზე. ამისი განცხადებით კიდევ ერთხელ გამოკვეთილად ადასტურებთ თქვენს არაქართველობას. ამიტომაც, იძულებული ვარ შეძლებისდაგვარად ახლოს მოგიყვანოთ და რამენაირად ჩაგახედოთ ქართველის უმდიდრეს სულში, გავარვარებულსა და უსაზღვრო სიყვარულის დამტევ საოცარ გულში. ქართველს – ქალსა თუ კაცს, დიდსა თუ პატარას არასდროს, არავისი მითითება და ბრძანება არა სჭირდება ენის, მამულის, სარწმუნოების, წინამძღოლის შეყვარებაზე, მოვლასა და დაცვა – გაფრთხილებაზე. ეს გრძნობა და მოვალეობა ჩვენს სულშია, სისხლშია გათქვეფილი, გულშია ჩაჭედილი. ამიტომაც მოდის საქართველოს ყველა კუთხის ხალხი მისგანვე არჩეული პრეზიდენტის გასამხნევებლად, მხარდასაჭერად და დასაცავად!

ბატონო აკაკი! თქვენს სამარცხვინო წერილში კიდევ ერთხელ ცდილობთ სიმართლისთვის "წამებულის" ნიღბის მორგებას და კიდევ ერთი "ბუნდოვანი, ჩახლართული" საკითხის გარკვევას – უკვე არარსებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ს. რიგვავასა და გაზეთ "ცხოვრების" რედაქტორის, ბატონ ო.იოსელიანის ირგვლივ დახვეული "გორგალის გახსნას". გეტყვით, რომ გაზეთის რედაქტორი თავისუფალი და უვნებელია, პატიმრობაში მყოფი მეორე მდივნის საქმეს კი პროკურატურა იკვლევს. დაველოდოთ, ერთად შევიტყოთ სიმართლე და მაშინ აცნობეთ იგი თქვენი გაზეთის მკითხველებს. მანამდე კი ნუ აჩქარდებით, წინასწარმეტყველება ყოველთვის როდი მართლდება ...

დასასრულს, სინანულს გამოვთქვამ რესპუბლიკის მწვავე ვითარების სიმბოლურ გამოხატულებაზე, მთავრობის სახლის წინ ვითომცდა სექტემბრის მოვლენების დროს, 9 აპრილის მსხვერპლთა მოსახსენებლად დადგმული მარმარილოს დაფის გატეხვის თაობაზე. აქაც აშკარად იაფფასიან, გულის "ამაჩუყებელ" ფანდს მიმართავთ, ტყუილად ცდილობთ არარსებული ცრემლების დაღვრას. თქვენგან ნახსენები დაფა დიდი ხნით ადრე გატყდა, რამაც ყველანი შეგვაწუხა. მაგრამ, ეს არაფერია იმ საწუხართან, იმ განსაცდელთან შედარებით, ახლა რომ გვიდგას ქართველებს. რაც შეეხება დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ გატეხილ დაფას, თითქოს სწორედ ასეთი შეეფერება ჩვენს ახლანდელ ყოფას. მერე

კი, მშვიდობისა და დამოუკიდებლობის ჟამს, წამებულთა უკვდავ სახელებს დიდებულ ძეგლს დავუდგამთ.

თუმცა, ისევ ანდაზა უნდა მოვიშველიო: შეაყარე კედელს ცერცვიო და გამომშვიდობებისას კიდევ ერთხელ უნდა გკითხოთ: ვინა ხართ თქვენ, ბატონო **აკაკი?**

თავათვე გიპასუხებთ: **თქვენ ქართველი არა ხართ !** ნუ გეწყინებათ ჩემგან ამგვარი განაჩენის გამოტანა, რადგან პირფერობასა და მიხვეულ – მოხვეული გზით სიარულს არა ვარ ჩვეული. ქართული გვარი მანდ, ცივსა და პირქუშ, თავისუფლებისა და ადამიანთა მოძულე იმპერიაში მოგაწებეს. სინამდვილეში თქვენ ან ულიანოვი ხართ, ან კრუჩკოვი, ან იაზოვი, ან ხრუშჩოვი, ან რასპუტინი, ან ბრეჟნევი, ან გორბაჩოვი, ან სუსლოვი, ან იანაევი, ან ... მათი მოდგმისა ვინმე ქართველთა მოძულე და მტერი.

თქვენ საქართველოს გამყიდველი ბრძანდებით ! მაგრამ, ისიც ვერ გაგიგიათ ვისთან და რაზე ყიდით ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, უსასრულოდ ტანჯულ ერს. იმდენად დაგბინდვიათ გონება, ისიც ვეღარ გაგიგიათ, რომ უკიდურესობამდე გაძვალტყავებულ – გაღატაკებულსა და დანგრეულ იმპერიას ის ოცდაათი ვერცხლიც აღარ უყრია გახვრეტილ ჯიბეში, თქვენნაირ ლაჩრებსა და მონა – მორჩილებს რომ გადმოგიგდებდათ ხოლმე. თუმცა, რად უნდა იგი გულღრძოსა და პირსისხლიანს, როცა უიმისოდაც სრულიად უმტკივნეულოდ გლეჯს თქვენნაირების ხელით, მაგ ცივ მიწაზე ზღვად მოსულ ნარ – ეკალსა და ლენცოფას, ჩვენს თბილსა და ბარაქიან მიწაზე დასათეს – მოსამრავლებლად. მაგრამ, უნდა გული მოგიკლათ და გითხრათ — უცხო და ყინულოვანი მიწის საძულველ თესლს ქართულ მიწაში არასდროს გაუდგამს ფესვი, არასდროს უხარია.

ვინა ხართ – მეთქი გკითხეთ ბატონო აკაკი და პასუხიც თავათ გავეცი საკუთარ კითხვას. თუმცა, იგი მთლად დასრულებულად არ მიმაჩნია, რადგან ადამიანებისა არ იყოს, თურმე ცხოველ - ფრინველთა შესახებაც წამოიჭრება ხოლმე ეს დილემა. ქართველებს თქვენი მოსახელე დიდი პოეტი გვყავდა, რომელმაც ბრწყინვალედ განსაზღვრა ფრინველისა თუ მღრღნელის – ღამურას ბედი. ვგონებ, ეს ლექსი რუსულად უნდა იყოს გადათარგმნილი, აუცილებლად წაიკითხეთ. ვიმედოვნებ, მიხვდებით თუ

რატომ გირჩევთ ასე დაჟინებით.

თუმცა, თქვენნაირი არსების ბუნებიდან გამომდინარე, საკუთარ

თავს იშვიათად რამეში თუ გავიმტყუნებთ, გავკიცხავთ. პირიქით, მტყუანსა

და დამნაშავეს ყოველთვის სხვაგან ვეძებთ, სხვისკენ ვიშვერთ ხელს.

ამიტომ, რად გვინდა დიდი აკაკის ის ბრძნული ლექსი თქვენი ვინაობის დასადგენად. პირდაპირ გეტყვით:

თქვენ არავინ არა ხართ !

გელა ჯიღაური

გაზეთი "თბილისი"

1991 წელი, სექტემბერი

"მოთმინების ფიალადაცლილი, ამხედრებული" კაცუნები ანუ ვინც მახვილს აიღებს...

ტევა არ იყო 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში. საქართველოსა და ქართველთა თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოძულე, მარადიული მტრისა და დამპყრობლის უტყვი მონები, მისი ნება-სურვილის აღმსრულებლები, შავსა და ბნელ, მაფიოზურ ძალებთან შეკრული, კორუმპირებულ-კლეპტოკრატული, ინტელიგენციის სახელმიწებებული მოღალატე და გამყიდველი, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და კანონიერი ხელისუფლების დამამხობელი, "გამარჯვებული", ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით აღტყინებულ-ატაცებული წითელი დიაც-კაცუნები, გულაფრიალებულები ელოდებოდნენ უსაზარლესი ტრაგედიისა და დანაშაულის სულის ჩამდგმელისა და აღმასრულებელი ედუარდ-"გიორგი" შევარდნაძის ბოროტების იმპერიის ბუნაგიდან ჩამოფრენას. ქვეყნისა და ერის დამაქცევართა შორის წილრგებული უფლებით მოსილნი გახლდნენ ორი არნახულად "თავგანწირულ-დამშვრალი" კაცუნა – ერთი "ფილოსოფოსი, მეცნიერი და პროფესორი" **ვ.გოგუაძე,** მეორე კი "სოციოლოგი და ჟურნალისტი" **ვ.კვარაცხელია.** იბერთა ქვეყნისთვის მონობის უმძიმესი უღლის ხელმეორედ დადგმისა და უდანაშაულო ადამიანების სისხლის დაღვრაში წილჩადებულებს, მთელ სიცოცხლედ უღირდათ სანატრელი

“მესსიის” რაც შეიძლება მალე დანახვა, რადგან იგი მიაგებდათ კუთვნილს მხარში ამოდგომისათვის. ჯოჯოხეთური ტრაგედიის მონაწილენი ღრმად დარწმუნებულები და გულდამშვიდებულები იყვნენ ყველაფრის მათთვის სასურველად დასრულებაში, მომხდარის მალევე დავიწყებაში და “ბევრის მცოდნეთ”, რატომღაც გულდაგულ დაევიწყებინათ ბიბლიაში თქმული: “არა არს დაფარული, რომელ არა განცხადნეს”. აღარც საძულველი პრეზიდენტის მამისგან დაბარებული ახსოვდათ: “ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია. ჯოჯოხეთის ცეცხლით დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გავლებული ხელები”.

... და მოევლინათ “მესსია” ურდოდან მოფრენილი ხომალდიდან. ქართველთა სისხლით გაჟღენთილ მიწაზე ფეხდადგმულმა, ქვეყნის გამყიდველნი, ერის მოძულენი გულში ჩაიკრა და ძმათაკვლა, საქართველოს ხელმეორედ დამონება მიულოცა, მადლობა უძღვნა იარაღის ხელში აღებისთვის, ჯვარცმული ქვეყნის დაქცევა-გაპარტახებისთვის. ცხადია, შექებისა და მადლობის კუთვნილი წილი იმ ორ კაცუნასაც ეკუთვნოდა, რადგან ბევრ დანარჩენ მოღალატესა და გამყიდველთან ერთად, ისინიც გამალებულები მიმოსრიალებდნენ მოსკოვში ჩაბუდებულ სისხლიანი გადატრიალების მომწყობებთან, ტრაგედიის მოსახდენი დავალება-ბრძანებების მისაღებად. და ასრულებდნენ ურგები სკამისა და შემოსავლის მომლოდინეები საქართველოს, ქართველთა მოძულეთა ნება-სურვილს. კანონიერებისა და სიმართლის წინააღმდეგ ამხედრებულებს, ხალხის ნებით არჩეული პრეზიდენტისადმი პირადი ანგარიშსწორებით გამძვინვარებულებს, სამოქმედო დევიზად დიდი კონსტანტინესგან თქმული ჰქონდათ აფარებული: “ყოველი დროის ცილისმწამებლებმა კარგად იცოდნენ: თუ გინდა ადამიანი უზომოდ დასაჯო, მას ისეთი რამ უნდა დააბრალო, რის წინააღმდეგ იგი თავად იბრძოდა “. და არაფერი იცოდნენ ბრძენკაცისგანვე ჩაგონებულზე: “ქვაი ნატყორცნი გულმართალისა და მდუმარის მიმართ, მის გამტყორცნელს მიუბრუნდება უკან “.

... თუმცა, რომელ შეგონებაზეა ლაპარაკი, როცა სატანასთან ყველა წილნაყარის დარად, ამ ორ კაცუნასაც აღზევებისა და განდიდების ჭია უხრავდათ გულებს. სწორედ მათნაირებზე თქვა საქართველოს პრეზიდენტის მამამ: “ვინც ჭეშმარიტად აღზევებულია, მას აღზევება არ ესაჭიროება. სულმდაბალნი და სულითგლახაკნი მიესწრაფვიან აღზევებას მუდამ”. არც ეს სიტყვები იყო მათთვის მცირედ დამაფიქრებელი, გონს მოსასვლელი, რადგან შურითა და ბოღმით გატენილებს, ძმათა მკვლელების მხარის დამჭერთ, ის სკამები ერჩივნათ ყველაფერს, უეჭველად რომ არგუნებდნენ ურგებ პატივსა და დიდებას, ნებიერ ყოფასა და ნეტარ სიცოცხლეს. იაკობმა ასე გვაუწყა სახარებიდან: “სადაც არის შური და შუღლი, იქვეა შფოთი და ყოველი საქმე ბოროტი “. ჰოდა, აკეთეს საქმენი შავნი ვ. გოგუაძემ და ვ. კვარაცხელიამ. სწორედ მათით მოიპოვეს ის თანამდებობები, ყოფა “საამო”, სიმართლესთან, პატიოსან ხალხთან დაპირისპირებისა და ბრძოლის დროს რომ ჩაიდეს გესლითა და ბალღამით ამოვსებულ შავ გულებში. პირველი “პარლამენტის სპიკერად” წამოსკუპდა, მეორე კი “დეპუტატად” დაინიშნა, იმავდროულად მამად დაგულებული მბრძანებლისა და “გაპრეზიდენტებულის” პრეს-მდივანი, ანუ სიბილწისა და სიცრუის მომდინებელ-მჯღაბნელ-გამავრცელებელიც გახლდათ. შევარდნაძის ამქარში თავმოყრილ კორუმპირებულ-კლეპტოკრატულ-მაფიოზურ-გამყიდველ-მოღალატე არსებებთან ერთად, ორი კაცუნაც იწონებდა და ტაშს უკრავდა კანონიერი ხელისუფლების,

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერი, მშვიდობიანი მეთოდებით მებრძოლი უდანაშაულო ხალხის მანიფესტაციებისა და მიტინგების დარბევა-დახვრეტას, მართალი ადამიანების დაპატიმრებასა და შემზარავ წამებას, მხედრიონისა და სხვა კრიმინალურ-დამსჯელი ბანდების მიერ საქართველოს ცალკეული კუთხეების, მომეტებულად კი სამეგრელოს დარბევასა და აწიოკება-გაპარტახებას. სულგაყიდულ "პარლამენტარებთან", დამპყრობლისგან გულუხვად გაღებული ბინძური ფულითა და ბრჭყვიალა საჩუქრებით დაკმაყოფილებულ წითელ "ინტელიგენციასთან" ერთად, მათაც კანონიერად ჩათვალეს და მოიწონეს სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ჩრდილოელი გველეშაპისათვის მირთმევა-ჩუქება, სახელნაცვალ საბჭოთა კავშირში ხელმეორედ შესვლა, მონობის უმძიმესი უღლის განმეორებით დადგმა. სწორედ ამგვარ უღირს ნაშიერებზე უთქვამს ქართველ კაცს: "ხემა თქვა, ცული რას დამაკლებდა, ტარი რომ ჩემი ჯიშისა არ იყოსო". და ისევ დიდი კონსტანტინეს გულის ტკივილი და გმინვა: "ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი. ეს ჩვენ გავხადეთ ჩვენი ქვეყანა ისეთ დუქნად, სადაც უცხოელები გაცილებით უკეთ ვაჭრობენ, ვიდრე ჩვენ თვითონ, და ყოველი კაცი მეორეს ეჯიბრებოდა, რომ საქართველო ისე გაეყიდა, როგორც ებრაელებს კვართი უფლისა".

გაყიდვასა და აღებ-მიცემობაში მართლაც ხინჯს ვერ უპოვნით ვ.გოგუაძესა და ვ.კვარაცხელიას. მოსკოვს შეხიზნული ქართველი წითლებისა და ჩრდილოელი დამპყრობელ-მბრძანებლებისგან დაგეშილ-წასისინებულმა წვრილფეხობამ, ვეღარ აიტანა ზვიად გამსახურდიას "შეცდომებს" თანმოყოლილი ქვეყნის "უფსკრულისკენ დაშვება" და იარაღმომარჯვებულებმა გადაწყვიტეს "დამაქცევარის" დამხობა-განადგურება. ამბოხებულებმა ბრძოლის განსხვავებული ფორმები აირჩიეს: ერთნი დაუფარავად, ცხადლივ აჟღარუნებდნენ იარაღს, სხვებმა "ცივილიზებულ" მეთოდს მიმართეს, ვითომცდა მომაკვდინებელ საშუალებათა გარეშე (სინამდვილეში, მათაც გვარიანი არსენალი გააჩნდათ) გაიშოტნენ ზოგი უნივერსიტეტის და ზოგიც ტელევიზიის კიბეებზე. სწორედ "მშვიდობიანებში" ირიცხებოდა ორი კაცუნაც. ყველას მსგავსად, მათაც კუთვნილი დავალება უნდა შეესრულებინათ, განსაზღვრული წილი ჩაედოთ საზარელი ტრაგედიის მოხდენაში და მერე, როგორც აღვნიშნეთ, დამნაშავე ბანდების ყველა წევრთან ერთად, მათაც სათანადოდ დაუფასდებოდათ იგი დანაშაული.

მოსახდენი მოხდა. ბოროტების იმპერიაში ჩაფიქრებულ-დაგეგმილი, დროულად და შესაშური სიზუსტით გაცხადდა. საქართველოში კვლავაც კაცთმოძულე წითლების დიქტატურა დამყარდა. ხანმოკლე შვებასა და თავისუფლებას ნაზიარებ მართალ ხალხს გაუსაძლისი მონობის აღვირი ამოსდეს და გაუგონარი სისასტიკით დაიწყო ქართველების გადაგვარება-გაჩანაგების შემაძრწუნებელი კამპანია. ელვისებური სისწრაფით მოედო ქვეყანას უმუშევრობა, შიმშილი და ავადმყოფობა, მათხოვრობა და სიღატაკე, შეწყდა შობადობა და არნახულად იძალა სიკვდილიანობამ, მცირედი სახსარშემორჩენილებმა უცხოეთს მიაშურეს და თავის გადასარჩენად უმძიმეს, სამარცხვინო საქმიანობაში გაეხლართნენ. შინ დარჩენილთაგან, უკიდურეს სასოწარკვეთილებაში ჩაცვენილთა ერთმა ნაწილმა თვითმკვლელობით დაასრულა ამაქვეყნად არსებობა, ზოგმა კი სხვათა ქონების ძარცვა-გლეჯით გაიხანგრძლივა ძაღლური ყოფა... და რაც ყველაზე სავალალოა და შემაძრწუნებელი, წინასწარ შედგენილ-შემუშავებული ჩანაფიქრით, ერის არსებობისთვის აუცილებელ წყარო-

სათავეს, ახალგაზრდობას, ძირისძირობამდე ამოუშანთეს სამშობლოსა და ერის სიყვარულის, მისთვის თავდადების გრძნობა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გაუნელებელი სურვილი და მათი ერთი ნაწილი დამნაშავეობის, სიბილწის, პროსტიტუციისა და ნარკომანიის მორევში ჩაახრჩეს.

ამ მხრივ დიდად შესატყვისი და გამოსადეგი გახლდათ ვ.გოგუაძე. მანამდე პირწავარდნილი ათეისტი, უნივერსიტეტის სტუდენტობის გონების აღმრევ-ამამღვრეველი, მათი წითელი იმპერიის უტყვ მორჩილებად ჩამომყალიბებელი, უფლისა და მართლმადიდებლობის უარმყოფელ-მაგინებელი, დღეს უსინდისოდ იჩემებს ქრისტესთვის თავდადებას და ეკლესია-მონასტრებში კელაპტრებაბრიალებული, სინდისის ძარღვგაწყვეტილი შუბლს "გამეტებით ურახუნებს" ჭეშმარიტ წამებულ მორწმუნეთაგან გაცვეთილ ფილაქანზე. ერთი სიტყვით, ერთი წევრთაგანი გახლავთ თვით "შევის" თავკაცობით მოვლენილი "პავლედ გარდაქმნილი" სავლეების ლაშქრისა.

მეორე სავლეც – ვ.კვარაცხელიაც ზედმიწევნით მორგებული გამოდგა აქ თქმულისადმი. ცხადია, ქართული სოციოლოგიისა და ჟურნალისტიკის "წინა რიგებში მყოფი შორიდან ვერ უყურებდა ნებისმიერი საერო საქმის წამოწყებას და აკი ამიტომაც, ერთი პირველთაგანი შეერწყა" ოთხმოციანი წლების მიწურულში აღზევებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ერთი "საიმედო" საყრდენ-ბურჯთაგანი გახდა იბერთა ქვეყნის ჩრდილოელი დამპყრობლის მომაკვდინებელი ჭანგებიდან თავის დასაღწევად დაწყებული მშვიდობიანი ბრძოლისა. ნათქვამის დასტური გახლავან მისი იმდროინდელი საგაზეთო პუბლიკაციები, რადიო და ტელეგამოსვლები, "გულანთებული" რომ გვმოძღვრავდა, "თავგამოდებული" იჩემებდა კომუნისტი ფუნქციონერების მოწინააღმდეგეობასა და ეროვნული მოძრაობის წინამძღოლთა თანადგომას. სინამდვილეში, წითელთა სამსახურში მყოფი ნიღაბაფარებული ორი კაცუნა სრულ მზადყოფნაში იყვნენ საქართველოს დამაქცევართაგან მოსალოდნელი ნიშნის შესატყობად, უმალ ნიღბების ჩამოგლეჯისა და ნაბრძანების აღსრულების მაუწყებელი რომ უნდა ყოფილიყო. დავალება კი პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების მიერ "დაშვებული შეცდომების" გამო წარმოქმნილ დაპირისპრებას და სამხედრო გადატრიალებას, სისხლიანი იმპერიისადმი ადრინდელთან შედარებით გაცილებით გაუსაძლის მონობას ითვალისწინებდა. სანაცვლოდ, დამპყრობლისაგან შეგულიანებულებს განაღდებული ჰქონდათ დაკარგულის დაბრუნება და მათს ნასუფრალს მორჩენილი ნამცეცებით დაპურება.

და აიღეს მახვილი ქართველთა უდიდესი ნაწილის თანხმობით არჩეული პრეზიდენტისადმი პირადი ანგარიშსწორების დასაძრახი სურვილით გონებაწართმეულმა გახელებულმა შურისმაძიებლებმა და მსოფლიოსგან მოძულებული სლავი ჯალათების მეშვეობით, ნება-ჩანაფიქრი შეუსრულეს ბოროტების იმპერიის კაცთმოძულე მმართველებს.

მოღალატური სისხლიანი გადატრიალებით წილხვდომილი საქართველოს შემდგომი ბედი ყველა ჭეშმარიტ ქართველისთვის უმცირეს წვრილმანებამდეა ცნობილი და თავს გადამხდარი. ამიტომაც არ მივიჩნევთ საჭიროდ მასზე საუბარს, რადგან ამ გაუნელებელი საწუხარისა და ტკივილის მომყენებელთა ბანაკში მყოფი, სადღეისოდ

“თვალახელილი, ნეკზე მწარედ მკბენარი, მოთმინების ფიალადაცლილი”, ე.შევარდნაძის “მოსისხლე მტრად გადაქცეული” ორი კაცუნას იმ საგაზეთო “მხილებებს” გვინდა გამოვეხმაუროთ, ზოგიერთ გულუბრყვილოსა და დოყლაპიას რომ “მოფხანა” გული. მკითხველი ალბათ მიხვდა, რომ მისი ყურადღება უკანონო ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარ, “შევის” თავდადებულ იაფფასიანსა (ცხადია შინაარსით) და მდაბიურ გაზეთ “შანსის” 1-2 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ ვ.გოგუაძისა და ვ.კვარაცხელიას “გამაოგნებელ, უმკაცრეს, მყვირალა” სათაურიან პუბლიკაციებს გვინდა მივაპყროთ.

ცნობილია, რომ ადამიანები შეძლებისდაგვარად ცდილობენ ერთფეროვანი ცხოვრებისა და საქმიანობის გამრავალფეროვნება-გახალისებას, მომაბეზრებელ ყალიბში ჩაჭედილი ყოფის რამენაირად გამოცოცხლებას, გარკვეული ინტერესის მისანიჭებლად. მართალია, ე.შევარდნაძეს მსგავსი არაფერი სჭირს, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მოკვდავი გახლავთ (თუმცა, მისგან დაპურებულები მესსიად და მარადიულ არსებად მიიჩნევენ. ასე ეგონათ შლეგი და ჭკუათხელი ნ.ხრუშჩოვის, ლ.ბრეჟნევის, ი.ანდროპოვის, კ.ჩერნენკოსა და სხვა მათნაირი ტირანებისგან აღზევებულ კაციჭამია კომუნისტ ფუნქციონერებს, მაგრამ ყველა ისინი ჯოჯოხეთმა შთანთქა). ჰოდა, სულაც არ არის გასაკვირვი, თუკი ხანდახან მასაც გაუჩნდეს “მოუცლელი, საინტერესო და გადატვირთული” ცხოვრებისეული ბილიკიდან გადახვევის სურვილი, საკუთარი ყოფისათვის კიდევ უფრო “მეტი დატვირთვის, ინტერესისა და შინაარსის” შესაძენად. სწორედ ამ მიზეზით ჩაიფიქრა და წამოიწყო ყველასთვის ადვილად ამოსაცნობი, იაფფასიანი, პრიმიტიული “ტერაქტობანასა და ოპოზიციონერობანას” სამარცხვინო თამაში. “სიახლის” თარგი კი ტრადიციული, ძალზე ძველმოდური და ჩამყაყებულ-ჩაობებული წარმოადგინა: უერთგულესი ლაქიების, მისი ნაფეხურების მლოშნელთა, ყველაფრის მკადრებელთა ერთ ნაწილს “ვეღარ უნდა გაეძლო” დიქტატორი “პრეზიდენტის” დამანგრეველი რეჟიმისთვის, “ხმა უნდა აემაღლებინა, ეყვირა მის გადადგომასა და ჩადენილის გამო პასუხისგებაზე”. მოკლედ რომ ვთქვათ, “ამბოხებულები, ოპოზიციონერები” უნდა გამხდარიყვნენ. ერთი სიტყვით, გაორებული სულის არსებანი იყვნენ საჭირონი, სწორედ ისეთები, ფაქტობრივ ხელისუფალთა ამალას რომ შეადგენენ.

“გაორებული სულის კაცი არამდგრადია თავის ყველა გზაში”, - ეს უპირველეს წიგნში წერია და ზედმიწევნითი სიმართლეა.

ესეც არ იყოს, “პრეზიდენტის” ამ ჩანაფიქრს ყველაზე კარგად ვ.გოგუძე და ვ.კვარაცხელია აღასრულებდნენ, რადგან მანამდე ცაში ატყორცნილები, ამჟამად დედამიწაზე გახლდნენ “დაშვებულები” და ადრინდელთან შედარებით “პატივაყრილები, მწარედ ანანებდნენ” მბრძანებელს “ზურგის შექცევასა და სხვებისკენ ყურებას”. მომენტიც ხელსაყრელი მოიხელთეს და ბოროტების იმპერიის კაცთმოძულე თავკაცთა ჩანაფიქრის შემდგომი საფეხურის – მაისის მიწურულს გაჩაღებული გალის რაიონის საქართველოსგან ჩამოცილების გამო დატრიალებული ტრაგედიის დროს “იშიშვლეს” მახვილი. მოთმინების “ფიალადაცლილმა” კაცუნებმა “საჯაროდ მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა”.

პირველი სიტყვა ასაკით უფროსსა და “შევის” სამსახურში გაცილებით დიდი ხნით მყოფს, შესაბამისად მეტი სიკეთისა და სარგებელის მომხვეჭელ ვ.გოგუაძეს ერგო.

“მხილება” წითელმა “პროფესორმა” ჩვეული ლიქნ-ლაქუცითა და პირფერობა-ხოხვით დაიწყო: “წერილი, რომელსაც გწერთ, დიდი ტკივილის, მწარე ფიქრისა და განსჯის შედეგია. ჩემს მწარე წერილებში არაერთგზის მომიხსენებია მადლობა ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისათვის. უაზრობაა იმის მცდელობა, ე.შევარდნაძე შემთხვევით პიროვნებად დასახო და ეცადო, არ დაინახო მისი დიდი ნიჭიერება, პიროვნული უნიკალური თვისებები”.

ამის მიუხედავად, “ნასპიკერალი” და ამჟამად “პარლამენტარი”, იმდენად არის “შეძრული” პატრონისგან ჩადენილით, არაფრად უთვლის დაუმსახურებლად ბოძებულ სახელსა და დიდებას და “ჩვეული შეუვალობით, დაუნდობლად ახლის პირში, მანამდე გულში დაგუბებულს”. ქვეყნისა და ერის შავ დღეში ყოფნით “შეძრწუნებული”, გონზე მოგებას ურჩევს ღმერთად დაგულებულ “პრეზიდენტს”, მისეული “ბრძნული, მარადჟამს შეუმცდარი გადაწყვეტილების მიღებას, ჩვეული სწორი” ნაბიჯის გადადგმისკენ მოუწოდებს: “თქვენ საქართველოში მსოფლიო პოლიტიკოსად დაბრუნდით. მსოფლიოსა და საქართველოს შორის ურთიერთობა თქვენ გადაწყვიტეთ საქართველოს გასაუბედურებლად. არაბუნებრივი იქნებოდა თქვენ დაგაბრალოთ იმის სურვილი, რასაც თქვენ აკეთებთ. ეს თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდება. მსოფლიო პოლიტიკა მიჰყავთ იმ დახვეწილ არამზადებს, ვისაც თავისი ქვეყნების ინტერესები ამოძრავებთ. საქართველოს ბედი აწუხებთ მხოლოდ იმ მხრივ, რომ სურთ ეს ქვეყანა ხელში ჩაიგდონ. “მშვენიერია საქართველოს ტერიტორია, მაგრამ ეს ხალხი ამ ბუნებას არ შეეფერება”, - ასე ფიქრობენ თქვენს მიერ საქართველოს მეგობრებად მიჩნეული ქვეყნების მესვეურები.

თქვენ იძულებული ხართ ითამაშოთ. თქვენმა პოლიტიკამ, რომელიც სრულიადაც არ არის დამოუკიდებელი, პატარა საქართველო რუსეთთან ფარულ ომს ხილულად შეალეწა. თქვენ დაგავალეს, რაც შეიძლება გაამწვავოთ რუსეთთან ურთიერთობა, გააკეთოთ ყოველივე, რომ რუსეთსა და საქართველოს საერთო საზღვარი არ ჰქონდეს, რათა სრულიად მოწყვიტოთ საქართველო და კავკასია რუსეთს, რათა დაინგრეს რუსეთი. საქართველო უნდათ, როგორც “პროხოდნოი დვორ”.

ამ ჩიქორთულ “რჩევა-დარიგებასა თუ სურვილში” ვ.გოგუძე თავისდაუნებურად გვამცნობს სიმართლეს, საღად მოაზროვნე ქართველებისთვის დიდი ხანია რომ არის ცნობილი. განა რას ამბობს ახალს ე.შევარდნაძის უტყვი მორჩილი და მსახური, ვითომცდა “მსოფლიო პოლიტიკოსის” უძალობისა და მარიონეტობის, შავბნელ ძალებთან და ჩრდილოელ მოსისხლე მტერთან კავშირის თაობაზე? ყველამ ხომ კარგად იცის სისხლისღვრით მოსულის უძალობასა და სამარცხვინო თვალთმაქცობაზე, დემოკრატობანას მდაბიურ თამაშზე. იციან, რომ იგი სასურველი შემსრულებელი არსებაა პლანეტის ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილის გასაპარტახებლად, იქ მოსახლე იშვიათი მოდგმის გასანადგურებელ-გასაქრობად, რადგან სწორედ ამ გზით ძალუძთ კურთხეული მიწის უმტკივნეულოდ მიტაცება, ვ.გოგუაძის გამონათქვამი რომ გავიმეოროთ, იბერთა ქვეყნის “პროხოდნოი დვორად” გადაქცევა. ბუშებს, ბეიკერებს, გენშერებს, მათს კაცთმოძულე მემკვიდრე “პოლიტიკოსების” ხროვას, მეგობრებად და მოყვრებად რომ დაუგულებია საქართველოს დამაქცევარ “გიორგის”.

ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთუმე "პროფესორი", პატრონთან ერთად, "სამშობლოს გადარჩენისა და შემდგომი არსებობის" ერთადერთ პირობად, ყოველთვის ჩრდილოეთელი დამპყრობლის უმძიმესი მონური უღლის ტარებას მიიჩნევს. ეს გასაკვირვი სულაც არ არის, რადგან ვ. გოგუაძესნაირი "პროფესორ-აკადემიკოსები", მეცნიერების, კულტურის, მწერლობისა თუ სხვა დარგთა კორუმპირებული მოღვაწე-ჩინოსნები, სწორედ მოძულე იმპერიის მმართველი ხროვის ხელშეწყობით ახერხებენ ურგები წოდებების, ხარისხების, თანამდებობების ხელში ჩაგდებას, გაზულუქებული მონაგარის ვინ იცის რომელი თაობის უზრუნველი ცხოვრების მოსაწყობად. სანაცვლოდ, უერთგულესი და მონური აღმსრულებლები უნდა იყვნენ მბრძანებლის შემაძრწუნებელი სურვილის - საქართველოსა და ქართველთა გაცამტვერება-მოსპობისა, სამოთხისდარი ქვეყნის მტაცებლებისთვის ჩასაბარებლად. აკი არცა მალავს ბოროტების იმპერიის სამსახურში ჩამდგარი "ნასპიკერალი" და საგაზეთო თუ რადიო-ტელეინტერვიუებში დანაშაულებრივად ამტკიცებს საქართველოს ურუსეთოდ "დაღუპვის" ამაზრზენ ვერსიას. სწორედ ამგვარ კაცუნაზეა ნათქვამი: "ყველაზე უბედური ბოროტია, რადგანაც გესლის მეტი არაფერი გააჩნია". ჰოდა, შხამითა და ბალღამით გატენილს, მისი "მხილების" მაუწყებელ გაზეთ "შანსის" მეცხრე გვერდზე დასტამბული თანამოაზრე ლ.სანიკიძის წერილის "ვაი, რუსეთისგან" ქვესათაურების წაკითხვას ვურჩევდით: "დამეხსენი ჩრდილოელო", - აკაკი; "დაუბანელო რუსეთო, ქვეყანავ მონობა-ბატონობისა", - ლერმონტოვი; "ჰოი, ჰოი, ივლტოდეთ ქვეყნისგან ჩრდილოისა, ამბობს უფალი", - ზაქარია, 2,6. დიდმა კონსტანტინემ კი ასე დაგვიბარა: "მონობაში აშენებული ერი ჯერ არავის უნახავს". დაბოლოს, ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ სლავთა მტარვალურსა და ავსულოვნებაზე ზუსტად და შეუმცდარად ნათქვამიც გვინდა შევაგონოთ მოძულე მტრის ემისარს: "რუსები ბუნებით მუხანათნი არიან, ჭეშმარიტება მათში არ მკვიდრობს, სწორისა და მრუდის გარჩევა არ იციან".

თუმცა, მისი სხვაგვარად აზროვნება, მოქმედება წარმოუდგენელია და შეუძლებელი, რადგან სწორედ ასეთი გარჯისათვის ღებულობს გასამრჯელოს, ინარჩუნებს სკამს. ისე კი, რუსული ჩექმის მოსურვილესა და "გიორგისგან ზურგშექცეული" სისხლიანი იმპერიის აღზევებაზე მეოცნებე ვ. გოგუაძეს, ნამდვილად არაფერი სჭირს ასაღელვებელ-შესაშფოთებელი, რადგან "პრეზიდენტი" არნახული თავგანწირვით იღვწის დაკისრებული დავალების – საქართველოს რუსეთისთვის საბოლოოდ ჩასაბარებლად. საგაზეთო "მხილებაში" მოხმობილი "მოსაზრებები და ვარაუდები" რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებაზე, მასთან საერთო საზღვრის მოშლაზე, სლავთა ქვეყნის კავკასიიდან გაძევებაზე, სიტყვების რახარუხი და მდაბიური თვალთმაქცობაა. ამის მიუხედავად, მაინც გვინდა ვატკინოთ გული "პარლამენტარობასღა" დაჯერებულ "მეამბოხეს" და პირში მივახალოთ მისთვის მომაკვდინებელი სიმართლე, კავკასიიდან რუსეთის გაპანღურებაზე, მის სამუდამო დაშლა-დანაწევრებაზე. ამას კი აუცილებლად მოჰყვება კაცთმოძულე იმპერატორის ყველა კავკასიელი, წითელი მარიონეტ-ნაცვალის ჩამოგდება, მათი მხარდამჭერების პარპაშის აღკვეთა, ჩადენილზე პასუხისგება, საზარელი წყობის მოსპობა. ადვილი შესაძლებელია ამას წითელთა სამსახურში გაწაფულ-გამოწრთობილი წითელი "პროფესორიც" გრძნობდეს, მაგრამ დანაშაულებრივსა და მოღალატურ თამაშში ჩათრეულს სხვა გზა აღარა აქვს, ბოლომდე უნდ შეასრულოს ბინძური დავალება, ითამაშოს სწორედ ისე, რასაც დასახელებულ საგაზეთო "მხილება"-ნაჯღაბნ-ბოდვაში იქმს.

ვითარცა ენას არა აქვს ძვალი, ისე არ უჩანს ბოლო სულგაყიდულის სიცრუესა და სიყალბეს, ორპირობას: "თქვენმა პოლიტიკამ საქართველო უფსკრულში ჩააგდო. ისტორია არ იცნობს მეორე ქართველს, ვისაც ამდენი უბედურება მოეტანოს თავისი ქვეყნისათვის. თქვენი დაპირებებისა აღარავის სჯერა. რაც შეეხება გალის ტრაგედიას, ესაა საკუთარი ხალხის მიმართ მოწყობილი ტრაგედია", - ახლის "ყოფილ" მბრძანებელსა და პატრონს "ამბოხებულ-ამხედრებულ-განდგომილ-ოპოზიციონერყოფილი" ყმა-ქვეშევრდომი. ის კი არადა, ტრაგედიით "შეძრული", გამოსავლისა და თავის გადარჩენის ბილიკზეც მიუთითებს ხელმოცარულ "მსოფლიო პოლიტიკოსს": "მოგმართავთ არა როგორც თქვენი მტერი, არამედ კეთილი მრჩეველი. მე ერთ გამოსავალს ვხედავ, რათა გადარჩეს საქართველო და გადარჩეთ თქვენი ოჯახით. თქვენ რომ თქვენის ნებით პრეზიდენტობიდან გადადგეთ, უკეთესი მდგომარეობა გექნებათ. შეუცვლელი პიროვნება არ არსებობს. საქართველოში ჭკვიან ადამიანებს რა გამოლევს" (ზვიად გამსახურდიას გარდა, რომლის ჭკუა და ნიჭიერება, კაცუნა - "პროფესორის" სტანდარტებს რომ ვერაფრით მიუახლოვდა).

საგაზეთო "მხილებას" ვ.გოგუაძე "ფარული მუქარა-დაშინებით" ამთავრებს: "ახლოვდება შურისძიების წარღვნა და თქვენი კლანიც განადგურდება. თქვენ უნდა გადადგეთ. სხვა გამოსავალი არ არის. თუ არადა, მკაცრი იქნება უფლისა და ხალხის განაჩენი" (!).

"მხილებამოთავებულ", უფრო სწორედ პატრონ-მბრძანებლის მითითებებით შეთითხნილი საგაზეთო დავალების შემსრულებელ "ნასპიკერალს", მთელი ცხოვრება და საქმიანობა, მისთვის საძულველი საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნათქვამის "თუ გსურს ერი ან ადამიანი გახრწნა და გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავისი ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატეები კი გმირებად", უზუსტესი განსახიერება რომ გახლავთ, საჯაროდ გვინდა ვაუწყოთ, რომ მის პატრონსაც და სისხლიანი გადატრიალების უკლებლივ ყველა მონაწილეს, საქართველოს დამაქცევარ-გამყიდველებს, უფალმა და ხალხმა დიდი ხანია გამოუტანა განაჩენი. უბრალოდ, მისი აღსრულებაღაა დარჩენილი. დღე იგი მამაზეციერის ნებით დადგება მაშინ, როგორც ეს მათეს სახარებაში წერია: "უფლის დღე ისე მოვა, როგორც ღამე ქურდი". მათე ამასაც შეგვაგონებს: "რომელი საწყაოთიც მიუწყავთ – უკანვე მოგეწყებათ თქვენ". იბერთა ქვეყნის გამყიდველთა და მოღალატეთა საწყაო კი სამშობლოსა და ერის თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის თავდადებული მართალი, უდანაშაულო მამულიშვილების სისხლით არის ავსებული...

სისხლიან გადატრიალებას თანმოყოლილი ურიცხვი შავი დღეებიდან, ერთი დასამახსოვრებელია 1992 წლის 25 მარტი. ამ დღეს ვერის პარკში, ჭადრაკის სასახლეში გამართულ "მწერალთა" სამარცხვინო შეკრებაზე, მართალმა, მამულისა და ერის ერთგულმა მწერლებმა უარი განაცხადეს ხუნტის სამსახურში ჩამდგარ "თანამოკალმეებთან" ყოფნა-საქმიანობაზე და მონა-ლაქიათა კავშირი დატოვეს. მათს მხარდასაჭერად მისულმა ხალხმა მათგან განდგომილებს სახეში მიაყარა შესაბრალისი, დამამცირებელი თხოვნა-მუდარითა და ლაქუცის წყალობით დასტამბული ნაჯღაბნ-ნათითხნი "წიგნები" და მათით მოფინეს იქაურობა. ცხადია, ამგვარ "შეურაცხყოფას"

ვერაფრით აიტანდნენ "წესრიგის დამცველები" და უმწეოთა ცემა-ტყეპაში გაწაფულებმა, მაშინაც გვარიანად "ივაჟკაცეს". მართალი ხალხის ამ არაადამიანური დარბევის ნიშნის მიმგებთა და მოსეირეთა შორის, გამორჩეულად თვალმისაპყრობი გახლდათ თეთრ "მაზდაში" ჩასკუპებული ვ.კვარაცხელია, გამარჯვებული და კმაყოფილი რომ აჭყვიტინებდა ძვირადღირებულ ავტომობილს. მაშინ მართლაც გამარჯვებული იყო მანამდე ზოგიერთ მისებრ ვაი-სოციოლოგთან დაპირისპირებული, მერე ტელევიზიაში მოკალათებული, მერე საქართველოს პრეზიდენტთან საგანგებო დავალებით დაპირისპირებული, მისი ლანძღვა-თათხვით გულმოოხებული, სხვადასხვა ნაგებობათა კიბეებზე ნაგორავები, მოსკოვში ე.შევარდნაძის თავკაცობით ჩაბუდებულ შეთქმულებთან მალი-მალ მოსრიალე, რადგან უკეთურსა და მრუდე გზაზე შემდგარს, განაღდებული ჰქონდა ნაოცნებარი და შეპირებული ჯილდო-მდგომარეობა.

იმ წლების პრესა ავსებული იყო, რადიო და ტელეგადაცემებში ბოლო არ უჩანდა "პრეზიდენტის" პრეს-მდივნისა თუ თანაშემწის, "პარლამენტარ" ვ. კვარაცხელიას წერილებსა და გამოსვლებს, თავგანწირული რომ ამტკიცებდა "მესსიად" მოვლენილისგან, მოკლე პერიოდში საქართველოს სამოთხედ გადაქცევას. მერე, როდესაც ის მცირე მონაკვეთი მიიწურა და ქვეყანა არნახული სისწრაფით დაეშვა უფსკრულისკენ, მარადჟამს უკანონობისა და ძალადობის "წინააღმდეგ მებძროლმა", ქვეშეცნეულად შეიგრძნო პატრონის აუცილებელ გაკოტრებასა და განწირულობაზე და სხვა ხმაზე სიმღერის წამოწყებას შეეცადა. საამისოდ, რუსეთის ტელევიზიის ერთი უხამსი პროგრამა შეასხვაფერ-გადააკეთა და უფროსობასთან შეთანხმებული, შესაბრალისი ღიმილის მომგვრელი უაღრესად "მწვავე, უშეღავათო, დაუნდობელი გადაცემით დაიპყრო" ეკრანი. პროგრამა "პირისპირის" წამყვანი დაუფარავად "ებრძოდა დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის მშენებელთა რიგებში შეპარულ" არსებებს. მერე პატრონთანაც "აემღვრა" წყალი, მბრძანებელს დიქტატორობის ჭიის შეჩენა "დასწამა და იმედგაცრუებული მარადიული ოპოზიციონერი იძულებული შეიქნა იგიც არ დაენდო, კრიჭაში ჩადგომოდა". ცხადია, ქვეყნის "მესაჭე" ვერაფრით იგუებდა უძღები ნაშიერის "განდგომას" და დროზე "ჩამოიშორა და მოიკვეთა უმადური". ასე დარჩა "უმუშევარი და ოჯახდაუპურებელი" მანამდე ზეცას თავშეხლილი ვ.კვარაცხელია.

საყოველთაოდ არის ცნობილი ფაქტობრივი ხელისუფლების "წინამძღოლის" მიერ ბინძურ საქმეთა და ავისმკეთებელთა აღმოჩენის უტყუარ ალღოსა და უნარზე. ცხადია, მპოვნელ-ნაპოვნთა შემდგომი მოქმედება უღალატოა და ურღვევი. ამ დროს გამორიცხულია ფიცისა და შეთანხმების ოდნავ დარღვევა, რადგან ფეხდაცდენილი უმალ მიიღებს კუთვნილს. მომეტებულად დაუნდობელია და შეუვალი მბრძანებელი "ქვეყანასა და ერს" განდგომილთა მიმართ, უყოყმანოდ რომ მიაგებს "უმკაცრეს" სასჯელს. საბედნიეროდ, ვ.კვარაცხელიას მსგავსი "არაფერი ჩაუდენია" და აკი ამიტომაც, ისევ "მიტევებითა და კაცთმოყვარეობით" ცნობილმა "შევიმ" დათმო, კვლავ თავისთან იხმო "გზასაცდენილი, უმიზეზოდ დაპირისპირებული" ნაპრესმდივან-ნათანაშემწარი. "შეწყალებულმა", გაზაფხულზე ამის თაობაზე გახარებულმა გვამცნო შავრაზმული "ასავალ-დასავალიდან". მერე, ისრაელში გასეირნებულთა ჯგუფშიც ვიხილეთ და ტელეეკრანს დაბრუნებული, გულდამშვიდებული შეუდგა უკანონოებთან საქმიანობას, დავალებების შესრულებას. ერთი ასეთი დავალება იყო გალის ტრაგედიით

“შეძრული, საბოლოოდ გამოფხიზლებული” და მბრძანებელ-პატრონისათვის ქვის “მსროლელი” ვ.კვარაცხელიას ზემოხსენებული საგაზეთო “მხილება”. ვ.გოგუაძის დარად “მოთმინების ფიალადაცლილი” მეორე კაცუნას ამ გულისამრევ ნაცოდვილარში იმდენი სიცრუე და სიბილწეა წარმოჩენილი, იმდენად აშკარად და დაუფარავად გამოსჭვივის მისი საგანგებო დავალებით შექმნა-გამოქვეყნება, რომ აღარავის შეეპარება ეჭვი, “ერთ დროს მესსიად” მიჩნეული მფარველის წინააღმდეგ “ამხედრებული” ორი უტყვი მონის დასახელებულ საგაზეთო “მხილებათა” ერთობლივ შეთხზვა-შეკოწიწებაში. და ეს შესაბრალისი ფარსი ორივე მხარეს აძლევს ხელს. პატრონისთვის იგი, ვითომცდა მისი დემოკრატულობისა და უსაზღვრო ჰუმანურობის მიმანიშნებელია: გუშინ თანამოაზრე-თანამოსაქმენი (სინამდვილეში კვლავაც ყურმოჭრილი მონები), დღეს “შეურიგებელი მოწინაამდეგეები ხდებიან, დაუნდობლად ამზეურებენ” მის შეცდომებსა და ჩავარდნებს. თუმცა, ამაოა მათი “ფართხალი, უძლეველსა და შეუცვლელს” ვერ მოერევიან, ვერაფერს დააკლებენ. რაც მთავარია, “მტრად მოკიდებულები” ძალზე ცდებიან, რადგან იგი “პრეზიდენტი” აბსოლუტურად “შეუმცდარია” და მსოფლიო დემოკრატიის ერთ-ერთ “მამამთავრად აღიარებული” (ჯერ მარტო მისთვის მიკუთვნებული წოდებები და ჯილდო-პრემიები დაითვალონ). მეორე მხრისთვის, ანუ კაცუნებისთვის კი გაზეთებში ამტყდარი ყაყანი “მაგარ” ბიჭებად დასამტკიცებლად გახლავთ საჭირო, ასე უშიშრად რომ ახლიან პირში “სიმართლეს მსოფლიო რანგის პოლიტიკოსს”, მფარველსა და მარჩენალს. ის კი არადა, საჯაროდ მოუწოდებენ გადადგომისკენ (!). ამასთან დაკავშირებით, გამორჩეულად გვინდა აღვნიშნოთ, რომ “განდგომილთაგან” გამოქვეყნებული “მხილებებიდან”, წითელი “პროფესორისა და ნასპიკერალისგან” თქმული, ასაკის შესაფერისად “დახვეწილია და აკადემიური”, “სოციოლოგ-ჟურნალისტ-ნაპარლამენტარისას” კი მეტი ემოციურობისა და “დაუღვინებლობის” გემო-კვალი დაჰკრავს. აი, როგორია ვ.კვარაცხელიას ანუ გოშიად სახელშერქმეულის საგაზეთო “მხილება”.

“შვიდი წლის წინ თითქმის ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვისაც

იმედი ჰქონდა, რომ კატასტროფის გზაზე დამდგარ საქართველოს სამშვიდობოს გაიყვანდით. სამწუხაროდ, ვცდებოდი თურმე. თქვენს

ჩამოსვლას არანაირი სიკეთე არ მოჰყოლია. თქვენი პიროვნების მიმართ, არნახული ანტიპატიითა და სიძულვილითაა გაჟღენთილი მთელი საქართველო”, - წერს “იმედგაცრუებული მარადიული მეამბოხე” და მომდევნო წინადადებიდანვე უპირისპირდება საკუთარ არსებას, რადგან კარგად სცოდნია პატრონის ოცდაექვსწლიანი საქმიანობა: “თქვენ თქვენი ზეობის 26 წლიან პერიოდში ვერ შესძელით ხალხის გულის მოგება, რადგან ხალხზე და ქვეყანაზე არასოდეს გიფიქრიათ. ხალხი ხვდებოდა თქვენს ნამდვილ ვინაობას”.

ამასთან დაკავშირებით, “გამოფხიზლებულ” ვ.კვარაცხელიას უკვე უთვალავჯერ თქმული და დაწერილი უნდა შევახსენოთ, რომ მისგან “შეცოდებული” ხალხი ის ადამიანები არიან, რომლებმაც 1990 წლის 28 ოქტომბერს სწორი არჩევანი გააკეთეს და საქართველოს გადარჩენა კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დააკისრეს. მერე მალევე, სწორედ ამ ადამიანებს დაუშინეს ტყვიები ძალაუფლებადაკარგულმა და კორუმპირებულმა, სლავი კაციჭამია სალდაფონებით გულმოცემულმა ერთი მუჭა

არსებებმა, ქვეყნიდან გააძევეს პრეზიდენტი და კანონიერი ხელისუფლება. მაშინ, "ჟურნალისტი და სოციოლოგი გამარჯვებულთა" ბანაკში იმყოფებოდა და "პროვინციული ფაშიზმის, დიქტატურის" სისხლში ჩახრჩობით იყო აღფრთოვანებული, გულაფრიალებული ელოდებოდა პატრონის ჩამოსვლასა და გამეფებას.

"1992 წელს, ჩამოსვლის წინ, თქვენ ხალხს ოთხი რამ შეჰპირდით. რომელი შეასრულეთ? ვერც ერთი. ან კი როგორ შეასრულებდით, როცა იმთავითვე სიცრუით დაიწყეთ. დეკემბერ-იანვრის მოვლენებს სახალხო აჯანყება და დემოკრატიული რევოლუცია დაარქვით". მკითხველი დაგვეთანხმება, რომ გოშიას ეს სიტყვები კლასიკური ცინიზმი და სითავხედეა, რადგან ამასვე ამბობდა იმ ძმათამკვლელი, სისხლიანი ტრაგედიის მომწყობთა თანამეინახეც. შემდგომ, ასე "აშავებს მხილებულსა და ნიღაბჩამოგლეჯილ" პატრონს: "ქართული მიწები განიავებული აღმოჩნდა, ასეულ ათასობით ქართული ოჯახი ლტოლვილად იქცა. სამი წელი ომობდით აფხაზეთში, ათეულ ათასობით ახალგაზრდა და პატრიოტი ჩაიხოცა. ბოლოს, იძულებული გახდით, იქიდან გამოქცეულიყავით. უტიფრად დაბრუნდით თბილისში. არჩევნებიც მოაწყეთ, სახელმწიფოს მეთაურის ტიტული პრეზიდენტის ტიტულში გაცვალეთ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. თქვენ ხომ იცით, რაც ხდება საქართველოში, ხალხი გაწყდა წელში. სამაგიეროდ თქვენი კლანი გასუქდა". და "გადამდგარი" თანამოაზრე მორჩილი, ოჯახის წევრებისა და ძმისწულ-ნათესავებისაგან უკანონოდ ნაშოვნ ფულსა და სიმდიდრეს "ახლის" სახეში პატრონსა და მფარველს. ის კი "ავიწყდება", რომ წითელ მაფიოზებთან და კორუმპირებულ ინტელიგენტებთან ერთად, იგიც სიხარულით მიიჭრა "საარჩევნო" ყუთთან – საქართველოს დამაქცევარის "გაპრეზიდენტებას" მისცა ხმა. თუმცა, ორპირისა და ცრუსათვის, საჭიროებისდა მიხედვით შავი ყოველთვის თეთრია და ყვავი ფრინველთა მეფე. აკი ამიტომაც განაგრძობს პირუთვნელ "მხილებას": "თქვენს ჯიშსა და მოდგმას საფლავი რომ არ ეღირსება საქართველოში, ეს ხომ კარგად უწყით. წინასწარ მეცოდება თქვენი ცხედარი, თუ თქვენ გიწერიათ, რომ საქართველოში დაიმარხოთ". ამით "უმადური" მონა, პატრონს, ქართველთა ღირსებისა და სახელის შემლახველი ფილმის "მონანიების" ერთი მთავარი პერსონაჟის სიკვდილის შემდგომ ვითარებას შეახსენებს. აღსანიშნავია, რომ ამ "მძიმე" განაჩენის გამოტანას უმალ გამოეხმაურა ადამიანთა უფლებების ერთი "დამცველთაგანი", "შევის" დავალებათა ვინ იცის როდიდან ერთგულად შემსრულებელი რ.ბერიძე და უკიდურესად განრისხებულმა, დაუკრეფავში გადასვლისთვის მკაცრად დაუტატანა "არამკითხე" თანამოაზრე-თანამოსაქმეს.

საქვეყნო და საერო დანაშაულებრივ საქმეთა "გადმოფარჩავების" მერე, გულნატკენი და შეურაცხყოფილი ვ.კვარაცხელია, პირადად გაწეულ სამსახურსაც არ ივიწყებს და "უტყუარი ფაქტების" მოხმობით, ცხვირიდან "ძმრად ადენს დაუნახავ პრეზიდენტს": "იმ დამოკიდებულებისა თუ ურთიერთობის შემდეგ, რომელიც თქვენთან მქონდა, თქვენს ტრადიციულ რადიო-ინტერვიუში წყალს გაატანეთ. როგორც შემეძლო გემსახურეთ და ახლა ამას, აქეთ მაყვედრით? თქვენს უმადურობაზე ანეკდოტებს ჰყვებიან. თქვენ საქართველო დაანგრიეთ, მოსპეთ, გააცამტვერეთ. იგი პრაქტიკულად უკვე დაშლილია. თუ დაგცლდათ, იმ ნაკუწსაც, ოდესღაც საქართველო რომ ერქვა, მალე დაუსვამთ წერტილს. ნუთუ არ დადგა დრო, როცა უნდა გააცნობიეროთ მთელი თქვენი

მოღვაწეობის აბსურდულობა და უნაყოფობა. გვეყო. აივსო მოთმინების ფიალა. დაანებეთ თავი საქართველოს და ქართველ ხალხს''.

მოდით და ყოველივე ამის შემდეგ სათანადოდ ნუ დავუფასებთ და

''ვაჟკაცობას'' ნუ შევუქებთ აგრერიგად ''გაბედულსა და თავგანწირულ'' გოშიას. განა სხვა ვინმე მისებრ შებედავდა ამგვარ ''მწარე და მკვახე

სიმართლეს წამოაძახებდა მსოფლიოს შემაზანზარებელ პოლიტიკოსს?'' ვიყოთ მიმტევებლები და შემწყნარებლები, მთლად მიწას ნუ მივაყრით და წყალს ნუ გავატანთ ერისა და მამულისთვის ''დამშვრალთაგან'' გაკეთებულს. როგორც ''მხილებებში'' გვაუწყებენ, ორივესთვის კარგად ყოფილა ცნობილი პატრონის საქართველოში მოღვაწეობის ოცდაექვსწლიანი პერიოდის ყველა წვრილმანი და ამის მიუხედავად, მაინც ''შემცდარან'', იგი მიუჩნევიათ მესსიად. მერედა შეცდომა ვის არ მოსვლია? (მისი დაშვება ყველას ეპატიება, ზვიად გამსახურდიას გარდა). ჩინებულად უთქვამთ ინგლისელებს: ''ვინც შეცდომას არ უშვებს, ის არც აკეთებს რამეს''. სამაგიეროდ, ქართველთა უდიდესი ნაწილის ნებით არჩეული პრეზიდენტის, კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული მოღალატური სისხლის ღვრისას გააკეთეს ზუსტი და შეუმცდარი არჩევანი – პრეზიდენტგაძევებული ქვეყანა, კვლავაც დამპყრობელსა და დაუძინებელ მტერს უფეშქაშეს. მაშინ სხვა გამოსავალი არა ჰქონიათ. თურმე პატრონის ''გენიოსობით'' გახლდნენ დაბანგულ-დაშამათებულები, იგი მიაჩნდათ მხსნელად. მაგრამ, მალევე (შვიდი წელიწადი თურმე ცოტა ყოფლია) თვალი ''აეხილათ, გონს მოეგნენ'' და ამიტომაც ''აუმხედრდნენ'' მბრძანებელსა და პატრონს, მახვილი ''იშიშვლეს'' სიმართლისა და კანონიერების, ქვეყნისა და ერის ''დასაცავად''. ალბათ ისევ ქუდზე თუ იხმობენ ძველ თანამზრახველებსა და თანამოსაქმეებს, ისევ გადაგორდებიან ნაცნობი ნაგებობების ნაცნობ კიბეებზე და საქართველოს კანონიერი პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდამჭერი შეუდრეკელი, მართალი ადამიანების დარად, ''უშიშრად მიუშვერენ'' მკერდს სისხლით მოსული უკანონო მმართველებისგან მისეულ დამსჯელ ბანდებს. ალბათ, სწორედ ამით გულმოცემული შეუძახებს ვ.კვარაცხელია ექსპატრონ-მფარველს: ''თქვენ ხომ ყველაფერი იქითკენ მიგყავთ, რომ ტრიბუნალით კი არა, ხალხმა ლამის ლინჩის წესით გაგასამართლოთ! ''.

დასრულდა კაცუნების საგაზეთო ''მხილებები''. ვფიქრობთ, მკითხველი კიდევ ერთხელ, საბოლოოდ დარწმუნდა მათი შეკვეთით მომზადებაში, ''მხილებულ-მამხილებელთა'' ერთობლივ გარჯაში, რომლებსაც ყველა სხვა განდგომილ-გამყიდველის, ცრუსა და ორპირის, ფეხის დამდებისგან მანამდე უამრავი მსგავსი ნათითხნის დარად, სიმართლისა და კანონიერების დაუნანებლად ჩაწიხლვა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის, კანონიერი ხელიუფლების, მათი მხარდამჭერ ქართველთა უმრავლესობის ლანძღვა-გინება, ტალახისა და სიბინძურის შესხმის მისსია აქვს დაკისრებული. თუმცა, ამაოა დასაღუპავად განწირულთა ოფლის ღვრა, სამსალისა და ბალღამის გაუთავებლად ნთხევა, რადგან არქიმანდრიტი რაფაელი შემდეგნაირად გვამშვიდებს: ''როცა მტრები გვსაყვედურობენ, გვლანძღავენ და გვთათხავენ, თავისი ენით ჩირქს აცლიან ჩვენს წყლულებსა და იარებს''. წმინდა წიგნში კი წერია: ''არ

ვფიქრობთ ცოცხლები, როცა უსამართლობას ჩავდივართ, რა განსაცდელი მოგველის სიკვდილის შემდეგ".

რაც შეეხება "ნაპრესმდივნალისა და ნაპარლამენტარის" ამზრზენი და სამარცხვინო საგაზეთო "მხილების" დასკვნით ნაწილში, მოთმინების ფიალადაცლილი ხალხის მიერ ქვეყნის დამღუპველის ვითომცდა ლინჩის წესით გასამართლებას, იგიც პროვინციული ნაფიქრ-ნააზრევიდან და იაფფასიანი თამაშიდან მოდის. ამასთან დაკავშირებით, "გონს მოსულსა და გადამდგარს", საყოველთაოდ ცნობილი უნდა ვაუწყოთ: ბოროტებასა და ღალატს, დანაშაულსა და უკანონობას მალევე ჩაკლავს, ამოშანთავს და მოსპობს სამართლიანი რისხვა, კანონიერება, პირუთვნელი განკითხვა და მხილება. დამნაშავეთაგან და მოღალატეთაგან უსამართლოდ დაწიხლულ-დამონებული ხალხისგან გამოტანილი განაჩენი უმძიმესი იქნება და ზედმიწევნით სამართლიანი. მოახლოებულია და კარს მომდგარია ჟამი განკითხვისა, სამაგიეროს მიგებისა. წმინდა წიგნი გვამცნობს: "ვინც მახვილს აიღებს, მახვილით დაიღუპება".

მართალთაგან აღებული მახვილი კი ბრძოლის უკიდურესად მშვიდობიანი ფორმაა, ავისმქმნელთათვის უმძიმესი, წარმოუდგენლად ბასრი და მომაკვდინებელი.

გელა ჯიღაური

გაზეთი "საქართველოს სამრეკლო"

1998 წელი, სექტემბერი.

ავი, ავყია, ბოროტი

ანუ ჯოჯოხეთმონატრებული კიტუნია და პატრონები მისი

"თავისუფალ და დამოუკიდებელ" საქართველოში პრესაც რომ "თავისუფალია", ყველამ ვიცით. დღეს აღარავინ "იზღუდება", აღარავის "სდევნიან". ნებისმიერ ადამიანს "თავისუფლად" შეუძლია საკუთარი ნაფიქრ-განსჯილის გამოქვეყნება. ეს 1991-1992 წლების "სახალხო აჯანყების" მონაპოვარი გახლავთ, თორემ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს თანმოყოლილი "დიქტატურის დროს რა დღეშიც" ვიყავით, არავის დაგვიწყებია. მაშინ ბევრმა ჩაიგუბა პირში წყალი, რადგან "სიმართლის თქმისათვის ტყვიას თუ არა, საპყრობილეს" მაინც ვერ ასცდებოდნენ. ამიტომაც შეიბუდნენ სახლებში და მოუთმენლად მოელოდნენ პატრონისგან შემოთვლილ-შეპირებულის გაცხადებას, მანამდე კი დაკისრებული დავალებების შესასრულებლად უნდა გარჯილიყვნენ.

დავალება კი ბევრნაირია. არ არსებობს ადამიანი, ვინმესგან დავალება რომ არ მიეღოს რაიმეს გაკეთებაზე და ისინიც შეძლებისდაგვარად ცდილობენ მათს დროულად

შესრულებას, სამსახურებრივი იქნება, საბრძოლო თუ ყოფითი. რაც შეეხება სამსახურებრივ დავალებებს, მათ სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებათ ყოველი მოსამსახურისთვის, რადგან მათს შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული მისი მომავალი – თანამდებობრივი და მატერიალური წინსვლა-მატება, ჯილდო-ტიტულების მოპოვება, სხვა ყოფითი პრობლემების მოგვარება. ამიტომაც, მოსამსახურეთა უმრავლესობა თავს არ იზოგავს, კანში ძვრება უფროსების საამებლად, ნდობის მოსაპოვებლად, გულის მოსანადირებლად.

ცნობილია, რომ კომუნისტური რეჟიმის დროს ყველაზე მნიშვნელოვან დავალებებს სახელმწიფოს სამართავი სამსახურების მოხელეები, მეცნიერებისა და კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, რადიო-ტელევიზიის, პრესის წარმომადგენლები ღებულობდნენ. მათგან გაკეთებული და თქმული ხომ ყველას დასანახი და გასაგები ხდება, რასაც მალევე სათანადო შედეგებიც მოჰყვება ხოლმე. "ვინც რა უნდა თქვასო…", - შეახსენა ქართველთა სისხლისღვრით დამკვიდრებულმა "ხელისუფლებამ ტელევიზიონშჩიკებს", დღეს ჩვენა ვართ საქართველოს განმგებლები და რასაც მოვისურვებთ, გიბრძანებთ, ის უნდა გააკეთოთ და თქვათო. ჰოდა, ისედაც უხარისხო, უგემოვნო და პრიმიტიული გადაცემების შემქმნელმა "გამარჯვებულმა ტელეჟურნალისტებმა" თავი აღარ დაზოგეს და ერთმანეთს აღარ აცდიან სიმართლის, უდანაშაულო და პატიოსანი ადამიანების ჩაქოლვას, საქართველოს პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას, მისი ოჯახის წევრებისა დ ახლობლების, კანონიერი ხელისუფლების ლანძღვა-გინებას, ერის ურთიერთდაპირისპირებას, "მოღალატე" თანამოსაქმეების თათხვა-ფურთხებას, არგასაგონი სიცრუის მოგონებას…

მათ ერთი დავალება აქვთ მიცემული: ძალ-ღონე არ დაიშურონ, ყველაფერი იკადრონ, ნურაფერს მოერიდებიან, უტიფრად ამტკიცონ – თოვლი შავია და კუპრზე თეთრი ამქვეყნად არაფერიაო. საბრალონი ერთი წუთითაც არ ფიქრობენ, რომ მათს ამ უნაყოფო, სამარცხვინო ოფლის დენას წითელი, ერის მოღალატე, გამყიდველი თანამოაზრეების გარდა არავინ უყურებს და უსმენს, "სუნიანი ნახირი" სახადივით ერიდება ამ უმსგავსოებას. არა გვგონია თვალებზე ლიბრგადაკრულნი და სმენადახშულები ვერა ხვდებოდნენ, თუ რაოდენ უბადრუკი ტიკინები არიან "ყოვლისშემძლე" წითელი ბატონების ხელში, რომლებიც სადაც და როდესაც უნდათ იქით მოისვრიან, იმაზე ატიკტიკებენ, რაც მათი ნება იქნება. იციან, მაგრამ რა ქნან, დავალება უნდა შეასრულონ, ტყუილად ხომ არ იკოტრიალეს ტელევიზიის კიბეების საფეხურებზე? გზააბნეულებმა ისიც იციან, რომ პატრონებთან ერთად ხალიფები ბრძანდებიან, თანაც მხოლოდ ერთი საათით (!).

რაკი სხვადასხვა სამსახურებისთვის მიცემულ დავალებებზე ვთქვით, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით პრესას. "ხელისუფლება" გაზეთებს განსაკუთრებულ დავალებებს უმზადებს და ისინიც ცდილობენ პირი არ გაიტეხონ, თავი არ შეირცხვინონ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წეს-კანონისა და ეთიკის დაცვას. პირიქით, თავდაუზოგავად, გაუთავებელი ლანძღვით ამოსუნთქვის საშუალება არ მისცენ "ყალბისმქმნელ, ცრუპენტელა" მოწინააღმდეგეებს. ამგვარად თავგამოდებული მჯღაბნელები კი საკმაოდ არიან "შევის" ამქარში.

ერთი ასეთი მინიშნებული არსება გახლავთ "მწერალი და დრამატურგი, ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, დისიდენტი, ქომაგი, წამებული, მრჩეველ-დამრიგებელ-შემგონებელი", ტორიჩელის სიცარიელის ზედმიწევნითი ნიმუში (მსგავსნი მრავლად რომ მოეძიება "პრეზიდენტს") **კიტა ბუაჩიძე,** ოდითგან წითლების საზარელი სპეცსამსახურების დავალებათა უსწრაფეს-უპირველესი შემსრულებელი. ასაკდაუთვლელი ეს არსება დღესაც ფორხილობს და ამაზრზენი მლიქვნელობით განაგრძობს ბილწ, საწყევარ-საგინებელი საქმეების კეთებას. საჭიროდ არ მივიჩნევთ და გონების დანაგვიანება გვინდა ავიცილოთ ამ ავსიტყვა, შავგულიანი არსების "ნამოღვაწარის" განხილვით და მხოლოდ საქართველოსა და ქართველთათვის ტრაგიკული მოვლენის – 1991-1992 წლების სისხლიანი გადატრალების დროს, მისთვის გულის გასახარსა და გაბრწყინებულ პერიოდში ნამოქმედარის განხილვით გვინდა შემოვიფარგლოთ. ამას შავრაზმული "საქართველოს რესპუბლიკის" ახალგამომცხვარ დამატება "აბჯრის" 1993 წლის 20 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნებული ნაბოდვარით დავიწყებთ.

ვინც კი საღად მოაზროვნე პიროვნება ამ "ოპუსს" გაეცნო, იგი ყველამ ბოროტების, ღვარძლის, შურის, შეგინების, ლანძღვა-თათხვის, შეურაცხყოფის, ჭორიკნობის, ქართველთა კიდევ უფრო დაპირისპირების ნიმუშად, მოწოდებად აღიარა. ეს გულის ამრევი ნაცოდვილარი სხვა არაფერია თუ არა ბაზარს გაჩვეული, გაწუწკებული მაწაუკი დედაბრის მიერ დახლებს შორის სუნსულის დროს ყურმოკრული ქვეყნის ჭორი, ერთად რომ აქვს შეკრებილი და საღამოს, ბაზრის დაკეტვის მერე, თვისტომებთან რომ ჩიფჩიფებს პირაქაფებული. ამ არაადამიანურ, არაკაცურ ნაბოდვარს ბევრმა უპასუხა, მასში მოხსენიებულმა ბევრმა პიროვნებამ კი საჭიროდ არ ჩათვალა სიბილწის მთხზველთან შეპასუხება. თუმცა, საკვირველი და მოულოდნელი არაფერია საცოდავი არსებისთვის თავსლაფდასასხმელ, წყევლა-კრულვისა და სიძულვილის მომხვეჭელ იმ ნაჯღაბნში, წითელი მბრძანებელ-პატრონების მითითებითა და დავალებით რომ არის შექმნილი. დავალება კი ფრიად მრავალწახნაგოვანი აღმოჩნდა: თავდაუზოგავად, ყოველგვარი ეტიკეტისა და ზრდილობის, ზღვარის დაუცველად, საკუთარი ასაკის უგულებელყოფით, ქუჩის ნაძირალასდარი ბილწსიტყვაობით ელანძღა და ეგინებინა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, მისი მშობლები, ოჯახის წევრები, შეურაცხყოფა მიეყენებინა და აბუჩად აეგდო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მას შეწირული ადამიანები, ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები, ქართველი მანდილოსნები და მთლიანად ერი, დაუსრულებლად ენთხია შხამი და ბალღამი. და შეასრულა პირნათლად დავალება ყურმოჭრილმა ყმამ, მხდალმა და მუცელზე მხოხავმა მონამ. ექსტაზში შესულმა, აგონიაში ჩავარდნილმა იმდენი სისულელე და ბოროტება წამოროშა, რომ პატიოსან, სამშობლოსა და ერის მოყვარე ადამიანებს განსჯის უნარი წაერთვათ გონგამოცლილი (ანდა როდის ჰქონდა იგი) კაცუნას სატანური აზროვნების გამო.

სხვანაირად ვერც გაირჯებოდა კომუნისტებისგან დავალებების მიღება-შესრულებას ჩვეული არსება. მათგან დაპურებული, უარს ხომ ვერ შებედავდა მანამდე უამრავჯერ გაკეთებულზე? გახსოვთ ალბათ წითლების ოფიციალური ბატონობის დროინდელი იაფფასიანი "ტაქტიკური" ხრიკი – მუშებთან და გლეხებთან თავის "გატოლება-გაყადრების" სიმართლედ წარმოჩენა. ყველანაირ ბიუროებში (ცეკადან დაწყებული) აუცილებლად რომ უნდა ჰყოლოდათ მევენახე, მეფოლადე, მეფრინველე, მშენებელი,

ზეინკალი, ფეიქარი, მეჩაიე, მეეზოვე ... "სიხარულითა და პატივისცემით" რომ წამოასკუპებდნენ ხოლმე საშვიდნოემბრო თუ საპირველმაისო, ლენინის დაბადების დღის აღმნიშვნელი საზეიმო საღამოების პრეზიდიუმებში. შეიძლება მერე ზღაპრულ სადილ-ვახშამზეც წაეყვანათ და ღრეობას მორჩენილი ნამცეცებით დაკმაყოფილების ნება მიეცათ. ანდა კიდევ, პრესტიჟულ რაიონში საგანგებო პროექტითა და ხარისხით აშენებულ სახლებში, ერთი ბინა მათთვის გაემეტებინათ. არც კაპიტალისტურ ქვეყნებში სამოგზაუროდ შეკრებილ ჯგუფებში ივიწყებდნენ მოწინავე მშრომელის შეყვანას და ა.შ.

მწერლებიც, პუბლიცისტებიც, დრამატურგებიც, ჟურნალისტებიც თავიანთს დავალებებს ღებულობდნენ: "შეულამაზებლად, სიმართლის პირში მიხლით, დაუფარავად ემხილებინათ" არსებული ნაკლოვანებები, "გამოეაშკარავებინათ და საზოგადოების მსჯელობის საგნად გაეხადათ უღირსი ხელმძღვანელები". და იწერებოდა უამრავი რომანი, მოთხრობა, ნოველა, პიესა, სცენარი, წერილი, შარჟი, რეპორტაჟი, იდგმებოდა სპექტაკლები, იღებდნენ კინო და ტელეფილმებს. მერე იყო "აკრძალული", უმთავრესთა და უძლიერესთა "მხარდაჭერითა და მფარველობით" გაკეთებულის საჯარო განხილვები, პრემიების მიკუთვნება (!). "უშიშარი" ავტორების ლამის ეროვნულ გმირებად გამოცხადება. მაშინ როცა, ერთ-ერთი ფილმის მთავარი პერსონაჟის, მოხუცი ფოსტალიონისთვის ვითმოცდა მოულოდნელი საჩუქრის – მაცივრის ჩუქების ამბავის ყველასთვის ცნობილისა არ იყოს, ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილ-გათვალისწინებული. სწორედ ასეთი დავალება მიიღო დიდი ხნის წინათ "სიმართლის მთქმელმა უშიშარმა დრამატურგმაც". და მანაც აღარ დააყოვნა, ისეთი "პილპილ-წიწაკიანი" პიესა "ეზოში ავი ძაღლია" გამოაცხო, რომ ამ მდარე, პრიმიტიულ-მდაბიური ქმნილების სცენაზე გადატანამ "სიმწრის ოფლი ადინა, შიშისგან ააცახცახა" თანამდებობის ბევრი პირი თუ ჩინოვნიკი. ასე "დაუნანებლად, უშიშრად ამხილა და გაამათრახა" კიტუნიამ მაშინდელი უკუღმართობანი, მათი ჩამდენი სოციალისტური საზოგადოების ხორცმეტები. ცხადია, მაყურებელი ხვდებოდა, რომ პიესაში ნათქვამი სხვა არაფერი იყო, თუ არა კომუნისტური "თვითკრიტიკისა და ნაკლოვანებათა თვითმხილების" ცნობილი და გაცვეთილ-გახუნებული ხერხი, რომელიც ყურებზე ხახვს ვერავის დააჭრიდა, მაგრამ მთავარი გაკეთებული გახლდათ – ხელმძღვანელი კომუნისტების დავალება შესრულდა. შედეგი? არაფერი! უკბილო და უგერგილო იუმორით თქმულ "სიმართლეს" დაბეჩავებული ხალხი მწარე ღიმილით ისმენდა და ხელს უიმედოდ იქნევდა.

ასეც იყო – ქარავანი თავისი გზით მიდიოდა. თუმცა, პიესის ავტორს უკვე განაღდებული ჰქონდა სიმართლისთვის "მებრძოლის", ხალხის ინტერესებისთვის უანგარო "თავდადებულისა და მოსარჩელე-ქომაგის" სახელი. ასე ასრულებდა წითელი პატრონებისგან მიცემულ სხვა დავალებებსაც: ხელმოკლე და მრავალშვილიანი ოჯახების (მათ შორის მეგრელებისაც) მატერიალურად ხელის წაშველებას, ხელისუფლების "გამამათრახებელი" პიესებისა თუ პუბლიცისტური ნაღვაწების, "შავი წიგნების" გამოქვეყნებაში მიღებული ჰონორარებით. და განა მარტო პირიდან ლუკმის "გამოღებითა" და უპოვართათვის "განაწილებით", ფულის "მიტანითაც დახმარებია" შეჭირვებულთ და უმწეოებს, დასჯილებსა თუ მოკვეთილებს, უბინაოებს... თურმე სხვა ბევრი რამითაც, ეხლა ყურები რომა გვაქვს გამოჭედილი და თვალები ჩაწყალებული, "გამკეთებლის" დაუსრულებელი ძახილითა და წერა-ჯღაბნით. ის კი საგულდაგულოდ აქვს დავიწყებული, ქრისტეს რჯულის მიმდევარმა მტკიცედ რომ უნდა დაიცვას:

მარჯვენამ ისე აკეთოს სიკეთე, მარცხენამ არაფერი იცოდეს. თუმცა, ეს ჩაგონება ჭეშმარიტმა ქრისტიანმა უნდა აღასრულოს და არა სატანასთვის სულმიყიდულმა.

როგორც ვთქვით, კიტუნია მარადჟამს "ხმალამოღებული, ჩახმახშეყენებული" ედგა დარაჯად სამართლიანობასა და კანონიერებას, თავსა "სწირავდა" დაჩაგრულთა და ბედშავთათვის. თუმცა, მასაც ჰქონდა "იძულებითი დადუმების ავბედითი" პერიოდი. "სიმართლისათვის წამებული", ბატონ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს თვალს იყო მიფარებული და ხმადაწეული უჩუმრად დაფაჩუნობდა "უჭაღო და უსკამ-უმაგიდო" საცხოვრებელში. ვერ გავამტყუნებთ, მაშინ ხომ "დიქტატურისა და ოცდაჩვიდმეტ წელზე შავბნელი პერიოდი იდგა", ხმის ამოღება და დღის სინათლეზე გამოსვლა მისნაირებისთვის მომაკვდინებელი გახლდათ, რადგან იმ "დაწყევლილ დროში არც ოპოზიციური გაზეთები გამოდიოდნენ, არც მიტინგების, დაწესებულებების კიბეებზე ჯდომა-გორაობისა და ბარიკადების მოწყობის უფლებას" იძლეოდნენ. ამიტომაც აირჩია "ბედს შერიგებულმა" უბადრუკ სამყოფელში დარჩენა და არქივის გამალებით ავსება ყველანაირი გულის ამრევი ჭორითა და სიბილწით, რაც კი ვინმე უმგვანმა და გადაგვარებულმა, მამულისა და ერის მოღალატე-გამყიდველმა ჩასჩხავლა. რაც კი პანაშვიდებზე, ტრანსპორტში თუ სხვაგან გაიგონა ქართველთათვის ავის მოსურნე ნაძირალებისგან. აგროვებდა, რადგან ბოროტების იმპერიის სამსახურში მყოფი მზე-ბატონის, იქ ჩაბუდებული მოღალატეებისგან დანამდვილებით იცოდა მოახლოებულ სისხლიან გადატრიალებაზე, სისხლისფერთა ხელმეორედ აღზევებაზე, საქართველოსა და ქართველთათვის მალე თავსდასატეხ უბედურებაზე.

და დადგა ნანატრი ჟამი "გამარჯვებისა". წითლებმა ღვარად ადინეს ქართველთა სისხლი, დაუნანებლად დაანგრიეს და დანაცრეს თბილისის უმთავრესი ქუჩა, ძველი უბნები, დაამხეს "დიქტატორი", მოვიდა "თავისუფლება და დამოუკიდებლობა", ქართველებმა "შვებით" ამოისუნთქეს. სახელნაცვალი კომუნისტები წინამძღოლის თავკაცობით ისევ წამოჯდნენ მცირე ხნით დაკარგულ, ნეტარი ცხოვრების მომტან სკამებზე, ზარ-ზეიმით დაიბრუნეს ურგები თანამდებობები და საქმეების კეთებას შეუდგნენ. იმ საქმეებისას, დღევანდელ კატასტროფამდე რომ მიგვიყვანეს.

და დაჯდა წერად მანამდე მოლოდინით სულგალეული კაცუნა დიდი ხნით დაგროვილი ბალღამის, ბილწსიტყვაობის ნიაღვრის ქვეყნისათვის გადასანთხევად. ამისათვის რეაქციული "საქართველოს რესპუბლიკა" აირჩია. თქმა არ უნდა, მისი რისხვა უპირველესად და უმთავრესად ზვიად გამსახურდიასთვის იქნებოდა განკუთვნილი. მაგრამ ისე მოხდა, რომ მოთხრა-მოსრის ნაცვლად, არნახული სამსახური გაუწია და ღირსება შემატა მისთვის საძულველ პიროვნებას. მხედველობაში გვაქვს მისი "პუბლიკაცია", გაავებული "მიწასთან რომ ასწორებს" ბატონ ზვიადს, "ორ დღეში ნასწავლი" აფხაზურით რომ "გაბედა" აფხაზებთან საუბარი. მართლაც დიდებული და მოსაწონი სამსახური, ასე ვთქვათ უნიკალური რეკლამაა - საქვეყნოდ დაწერო პიროვნების ნიჭსა და უნარზე, ორ დღეში ენის დაუფლებაზე და მერე მასზე მოლაპარაკე ხალხთან უმნიშვნელოვანესი მიმართვის გაკეთების თაობაზე. ბარაქალა კიტუნია, ქართველთა პრეზიდენტის ნიჭის, მოქნილი გონების ასე ზედმიწევნითა და სწორად შეფასებისთვის, სრულიად საქართველოსთვის შეტყობინებისთვის. ეტყობა მაშინ პატრონებმა გვარიანად დაუტატანეს გადაღრძოებულ მოენე-მსახურს სიმართლის თქმისთვის და გააფრთხილეს: დავალებად ქება კი არა, ლანძღვა-გინება შეგიკვეთეთო...

ჰოდა, გაფრთხილდა უტყვი ყმა, თავი აღარ დაიზოგა და ზემოხსენებულ "აბჯარში" გამოქვეყნებული მრავალგვერდიანი ნათითხნით გამოისყიდა შეცდომა.

"პუბლიცისტიკის" ეს სამარცხვინო ნაბოდვარი ზვიად გამახურდიას "განადგურებით" იწყება და სხვადასხვა დროს აღნუსხულ უბედურებებზე გვაუწყებს, რომელთა მომწყობ-განმხორციელებლები დღესაც თავისუფლად დათარეშობენ. ცხადია, დუჟმორეული "კალმოსანი" არაფერსა წერს ძალმომრეობით მოსულთაგან დატრიალებულ უმძიმეს ტრაგედიებზე – თბილისში 3 და 7 იანვარს, 2 თებერვალს გამართული მანიფესტაციების მონაწილეთა დახვრეტაზე.

მომდევნო დარტყმა უცხოეთიდან სამშობლოში ჩამოსულ, კომუნისტების მოძულე ნუგზარ შარიაზე მოდის, ღვარძლითა და ირონიით რომ მოიხსენიებს მის ამერიკის მოქალაქეობას. მომეტებულად კი მსახიობისგან პრეზიდენტისთვის მიძღვნილ კონცერტს (აბა ავტომატსა და ბეტეერს ხომ არ უსახსოვრებდა) გაუცოფებია.

ვერც ბატონ ზვიადის წიგნების გამოცემა მოუნელებია, შურისაგან თვალებდაბნელებული, წიგნების მაღაზიების საწყობების ამ "მაკულატურით" ავსებაზე ვიშვიშებს.

და ნიმუში სულის სიმწირისა, პატარკაცობისა ანუ კაცუნობისა, "აბუჩად" რომ იგდებს პრეზიდენტის განათლებას, მის სიყვარულს ხელოვნების ერთი უდიდესი ძარღვისადმი და ფორტეპიანოზე მიკარებისათვის შავ დღეს აყრის მასაც და აწგარდაცვლილ მშვენიერ მუსიკოსს, ქალბატონ მედეა ფანიაშვილსაც. მისი აზრით, პრეზიდენტს ეს მკრეხელობად ეთვლებოდა. გამოდის, ამერიკელებმა, თბილისში განხორციელებული სისხლიანი გადატრიალების მომწყობთა დარად, ქვემეხებისა და ტანკების ალყაში უნდა მოაქციონ თეთრი სახლი და მანამდე უშინონ ჭურვები, სანამ ბატონი ქლინთონი ყველას დასანახავად არ დაამსხვრევს საყვარელ ინსტრუმენტს – საქსაფონს და ხმამაღლა არ იყვირებს: მივქარე და მეორედ ამას ხელს აღარ ვახლებო!

უნდა ითქვას, რომ დასახელებულ ნაბოდვარში ავტორს აქა-იქ წამოსცდება ხოლმე სიმართლე და თავსიდაუნებურად გვამცნობს: "საზოგადოებას პატიება მინდა გამოვთხოვო უხეიროდ დალაგებული ბუნდოვანი აზრებისთვის, გაუმართავი ფრაზებისა და აწეწილ-დაბურდული...", ალბათ უნდა ეთქვა მონაჩმახისთვისო, მაგრამ ჩანს მეტს აღარ უხსნის "გონებას" სატანა და ისევ გესლით უვსებს თავში არსებულ სიცარიელეს. ამიტომაც აღარ აყოვნებს, ისევ ტყუილსა და ჭორს, შხამს ამოანთხევს, ტალახსა და სიბინძურეს გვესვრის არნახულად გამძვინვარებული. უშვერად გვლანძღავს ქართველებს, არნახულად აკნინებს ერისთვის უმტკივნეულესი და უმძიმესი ტრაგედიის – 9 აპრილის უდანაშაულო მსხვერპლთ, რომ თურმე ეროვნული მოძრაობის წინამძღოლებს, უსინათლო მომღერალი გოგონები შეუტოვებიათ ხელში კაციჭამია რუსი სალდაფონებისთვის. ამ ტყუილსა და ამაზრზენ, არაკაცურ სიცრუეზე კიტუნიამ საკადრისი პასუხი მიიღო ერთ-ერთი იმ უსინათლო გოგონასგან გაზეთ "იბერია-სპექტრის" N76-ში.

ზვიად გამსახურდიასადმი ზიზღსა და სიძულვილს მთლად დაუდამბლავებია მწირი აზროვნების მქონე კაცუნა და შურით გახელებულ-გაავებული "ნაცარტუტად აქცევს" პრეზიდენტის უბრწყინვალეს ნაშრომს დიდი შოთას პოემის შესახებ. გაალმასებული,

უზომოდ შეურაცხყოფს ერის სიამაყესა და საგანძურს, მსოფლიო პოეტური გენიის შედევრს. ნაშრომის "გაცამტვერებისა და დაწუნების" მიზეზად მისგან ვერავითარი შინაარსის გამოტანასა და თუნდაც მცირეოდენი მეცნიერული ღირებულების დაუნახაობას ასახელებს. და სწორადაც ბრძანებს – მისნაირი აღქმა-გაგების არსებისთვის მართლაც ძნელად ჩასაწვდომი იქნებოდა დასახელებული ურთულესი მეცნიერული ნაშრომი და რაკი ვერ გაიგო (თურმე თუ გაიგებდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა გამოკვლევის მეცნიერულ ღირებულებაზე საუბარი), მოდგა და "ძირფესვიანად მოთხარა". ამიტომაც გვინდა ხმამაღლა ვთქვათ გულღრძო და პირგესლიანი "მწერლისა და დრამატურგის" გასაგონად, რომ ადვილი შესაძლებელია ჩვენც მთლად ვერ გავიგოთ ეს ჩინებული მეცნიერული გამოკვლევა, მაგრამ ამით თავი სასაცილო მდგომარეობაში არ უნდა ჩავიგდოთ. ამგვარ ნაშრომებსა და გამოკვლევებს მხოლოდ ისეთი ღრმად განსწავლული დიდი მეცნიერები გაიგებდნენ და ღირსეულად შეაფასებდნენ, როგორებიც მისგან "გაკიცხულ-თითდაქნეული" ბრწყინვალე ერისკაცები, აწგარდაცვლილი ბატონები აკაკი გაწერელია და ალექსანდრე ბარამიძე გახლდნენ. სირცხვილია და თავხედობაა, ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პატრიარქებისთვის, იაფფასიანი და მდარე პიესების მჯღაბნელისგან ამ დიაპაზონზე ისტერიული კივილი, "გამოფხიზლებისკენ" რომ მოუწოდებდა სამშობლოსა და ერის უერთგულეს, ვალმოხდილ მეცნიერებს. აღარაფერს ვამბობთ სითავხედის, ავყიაობის, შავგულობის ყოველგვარ ზღვარს გადასულ გამოხდომაზე დიდ კონსტანტინე გამსახურდიასადმი. ამ შემთხვევაშიც შური ჯაბნის ჭკუას და ამის გამოა, რომ დაკარგულია თუნდაც მცირეოდენი განსჯისა და ზომიერების დაცვის უნარი.

რაკი ჭკუის სწავლებასა და ჩაგონებას მორჩა კიტუნია, მერე არჩევნებსაც გადასწვდა და კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს ამ მხრიდანაც შეუტია. არაფრად ჩაუგდო წეს-კანონის დაცვით შესრულებული პროცესი, რადგან თურმე ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა მასონმა, სამართლიანობის უგულებელმყოფელმა, შავი სამყაროს წარმომადგენელმა და კაცთმოძულე პრეზიდენტმა "ოთხი" ენის მცოდნე ზვიად გამსახურდიას უარი შემოუთვალა შეხვედრაზე. სამაგიეროდ, დიდი პატივითა და ხვევნა-კოცნით მიუღია მხოლოდ ორი ენის მცოდნე ყირგიზეთის მტკაველნახევრიანი "პრეზიდენტი". ამიტომაც "აივსო" აზიის ეს სახელმწიფო დოვლათითა და ბარაქით, იქიდან მოყოლებული, ყირგიზებმა აღარ იციან რა სვან და ჭამონ, რა ჩაიცვან და დაიხურონ... ის კი გამალებულმა მიაჩუმათა უსირცხვილო კაცუნამ, რომ პრეზიდენტყოფილ ბუშს არც კი უფიქრია საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრა, რადგან მზაკვრული ჩანაფიქრების მოსურვილე, დინების საწინააღმდეგოდ მოცურავესთვის ვერაგულ ხაფანგს აგებდა, რომლის ამოქმედებაც წითელი მაფიისა და მას მიკედლებული წითელი "ინტელიგენციის" მეშვეობით განახორციელა. თუმცა, ავისმქმნელსა და ბოროტს აღარც თავათ დაადგა კარგი დღე – ამერიკელებმა აღარ ისურვეს მისი წინამძღოლობა და თეთრი სახლიდან მიაბრძანეს. ურჩიეს, დინების საწინააღმდეგოდ ესწავლა ცურვა, რადგან მხოლოდ ამის შემძლე პიროვნებას ძალუძს ხალხის სიყვარულისა და ნდობის მოპოვება.

რაც შეეხება ენების ცოდნის რაოდენობას, გულშავ არსებას ისევ შური ართმევს ისედაც მწირი აზროვნების უნარს და მხოლოდ ოთხი ენის "ცოდნას" უდასტურებს პრეზიდენტს (სინამდვილეში ხომ მეტია? თუნდაც "ორ დღეში" ნასწავლი აფხაზური). თუმცა, იქვე არაფრად უგდებს და უნიორწყლებს ამ უპირატესობას და სიყვარულით

ჩამოთვლის კრიმინალური "ინტელიგენციის პოლიგლოტ" წარმომადგენლებს. უფრო მეტიც, შორეულ ბანგკოკში გადასკუპებული, იქაური უნივერმაღების გამყიდველთა სამ ენაზე "ჭიკჭიკის" ამბავს გვმიხელს. ამით იგი ორ კურდღელს იჭერს: საკუთარ "ენციკლოპედიურ განათლებას" წარმოაჩენს და საქართველოს პრეზიდენტისა და ბანგკოკელი გამყიდველების ერთ სიბრტყეზე გათანაბრებას მიანიშნებს. მაგრამ, რაღა ცხრა მთისა და ზღვის იქით მიექანებოდა ბედშავი არსება? გასულიყო ავლაბარში და საკუთარი ყურით მოესმინა შეიძლება სულაც ხუთ ენაზე მოსაუბრე ფეხსაცმელების მწმენდავისთვის, გამყიდველისთვის, თერძისთვის, ხარაზისთვის, დალაქისთვის.... მართლაც დიდად შესაბრალისია ამქვეყნად არარაობად მოვლენილი არსება, გესლითა დ ბალღამით გატენილი რომ წამლავს ისედაც გაბინძურებულ გარემოს.

მორიგი დავალება წითელთა ლაქიას პრეზიდენტის მეუღლის განსაქიქებლად მიუღია და "ოპუსის" მოზრდილი ნაწილი გაუმეტებია. გესლიან კაცუნას თურმე "საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია ქალბატონ მანანას გარეგნობისადმი". კიდევ კარგი, რომ "განსჯის ეს ობიექტი" ჭკუადაცლილმა, მბრძანებელთა თანამეცხედრეებს არ "შებედა და შეადარა", წარა-მარა უცხოეთში რომ დარბიან უზომო ჭამა-სმით ფორმადაკარგული "სხეულების" გასაპეწენიკებლად. მაგრამ, რაც შეეხება ქალბატონ მანანას მოქმედებას, იგი ამაში მთლიანად "ჩაჭრილია" და აკი ამიტომაც "შანთავს და ამათრახებს" არნახული დაუნდობლობით. რას აღარ იხსენებს "მწერალი და დრამატურგი", რა მამხილებელ ფაქტებს აღარ ააშკარავებს: მიტინგებზე თავმოყრილი ჭუჭყიან-სუნიან-სოფლელი ბრბოს დირიჟორობას "ზვიადის დასაძახებლად", ქართულად "ჩინებულად" მოსაუბრე კომუნისტი ნაციონალ-ფუნქციონერ თამარ ქაბულოვას (პავლე გილაშვილის მარჯვენა ხელის)

"ჟეჟვა-ბეჟვასა და ჭიტლაყის ამოკვრას" (ის კაი დედ-მამის შვილი, თუკი წყაროსავით არაკრაკებდა ქართულს, რაღას გვაოჩნებდა ჩვენთვის გაუგებარ, კიტუნიასა და მისი მზე-ბატონისთვის სათაყვანებელ ყინულოვან ენაზე დუდუნით?) და ბევრ სხვა საარაკო ჭორსა და ანეკდოტს. მაგრამ ასეა, დავალება უნდა შეესრულებინა, არადა "დუბინკის" ცემით დააოსებდნენ...

ახლა ამაზრზენი ნაბოდვარის კიდევ ერთ შემზარავ, დანაშაულებრივ ნაწილზე ვიტყვით, რომელშიც აშკარად გამოსჭვივის დასაძრახი საქმის კეთების უდიდესი სურვილი. იგი მისთვის და მბრძანებელ-პატრონებისთვის საძულველ უმშვენიერეს კუთხეს, იქ მოსახლე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსურვილე, კანონიერების დამცველ ხალხს ეხება. დავალების მიზანი კი ტრადიციულად პრიმიტიულია და შესაბრალისი: კიდევ უფრო გააღრმაოს ვითომცდა დანარჩენ საქართველოსა და სამეგრელოს შორის "წარმოქმნილი ნაპრალი". დუჟმორეული და გაცოფებული "პუბლიცისტი" არგასაგონად შეურაცხყოფს მეგრელებს, აბუჩად იგდებს მებრძოლსა და პატიოსან ადამიანებს, არნახულ სიბინძურესა და ჭუჭყში ძირავს მამულის, ერის ინტერესების დაცვის, კანონიერი ხელისუფლების გამოსარჩლებისა და მხარში ამოდგომისათვის. ლაჩრებსა და მხდალებს უწოდებს "დინამოს" სტადიონზე დატეული აფსუების "ვერმომრევსა და ვერდამმარცხებელ" მეგრელ ვაჟკაცებს და ლამის არის "თეთრ მანდილოსანთა უმწიკვლობის სიმბოლოდ" გადაქცეული ლეჩაქები

წამოახუროს. იმას კი თავგამოდებული აფარებს ხელს და მიწას გამალებული აყრის, თუ ვინ გაადიდგულ-შეაგულიანა ურგები უპირატესობებით: უნივერსიტეტით, ტელევიზიით, თეატრებითა და ჟურნალ-გაზეთებით მოყირჭებული აფსუები. არაფერს ამბობს რკინიგზის "დაცვა-გაწმენდისა და ტიტულოვნი ტყვის (ს.კავსაძის, - გ.ჯ.) დახსნისათვის" დაწყებული გაუმართლებელი და დანაშაულებრივი ომის წამოწყებაზე, უაზროდ რომ შეიწირა უამრავი ახალგაზრდა მებრძოლი და მშვიდობიანი მოსახლეობა, დაუნანებლად რომ დაანგრია, ფერფლად გადააქცია კოპწია ქალაქები და სოფლები. მაგრამ ეს "არაფერია", უბრალოდ, მოსახდენი მოხდა. მთავარი მეგრელთა დაჩოქება, მოსრა და შეჩვენება გახლდათ. თუმცა იმავდროულად, არც მეგრელთათვის "გაწეულ სიკეთეს" ივიწყებს და მანამდე უამრავჯერ დაჯღაბნილსა და წამოყრანტალებულს, გახელებული კიდევ ერთხელ გვადენს ცხვირიდან ძმრად.

როგორც აღმოჩნდა, შხამით გატენილ არსებას, ბატონ ზვიადის საუბარიც ყელზე დასდგომია და ამიტომაც ატარებს "ცეცხლის ბრიალა ალში" ღრმად განსწავლული მეცნიერის სადა, გასაგებ მეტყველებას. ვერ შევედავებით – ყველას ხომ მღვდელი არ მოსწონს, ზოგს მისი მეორე ნახევარი უფრო მოსდის თვალში. ალბათ კიტუნიას, მფარველი "პრეზიდენტისა და პარლამენტართა, მომეტებულად თავმჯდომარის მჭერმეტყველი, დახვეწილი" ქართულით საუბარი ჩაუვარდა გულში. ამიტომაც გვინდა ვახაროთ აბითურიენტებსა (გამორჩეულად, ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე შემსვლელთ) და მშობლებს, ნუღარ დაიწყებენ ძვირადღირებული რეპეტიტორების ძებნას. დიქტოფონებმომარჯვებულები მიუსხდნენ რადიო-ტელევიზორებს და ღრუბელივით ისრუტონ ანკარა წყაროსავით ჩქაფუნით მოვრდნილი "მარგალიტები".

გვეგონა ამით დაასრულებდა "კალმოსანი" ზვიად გამსახურდიას "გაშავებას", მაგრამ კიდევ ერთი "ბრალდება" ჰქონია შემონახული და იგიც დაუფარავად აუწყა სრულიად საქართველოს. წითელთა მოენესა და გადაღრძოებულ კაცუნას საქართველოს პრეზიდენტისთვის ვერაფრით უპატიებია საფრანგეთის აწგარდაცვლილი პრეზიდენტის შარლ დე გოლის "წამდაუწუმ" ხსენება, მისთვის თავის "გატოლება" და გაბოროტებული ნიშნისგებით ჩხავის: რადგან მას "ეტოლები", შენც უმალ უნდა გადამდგარიყავი, როგორც ის მოიქცა, როდესაც ხალხმა მოუწოდაო (!). და ისევ გულბოროტის წესი და ჩვევა – მთავრისა და სიმართლის ჩაწიხვლა, პატრონისთვის საამო შავი საქმის კეთება, თორემ "ენციკლოპედიურად განათლებულმა პუბლიცისტმა" უნდა იცოდეს, რომ დე გოლს გადადგომა **მისსავე ამომრჩეველმა ხალხმა** მოსთხოვა და ამისთვის არც ელისეს სასახლის დაწვა-დანგრევა, არც თანამემამულეთა ხოცვა-ჟლეტა, სისხლის ნიაღვრად მოვარდნა შეიქნა საჭირო. და პრეზიდენტმა **ხალხის ნება აღასრულა**. საქართველოში კი სრულიად საპირისპირო მდგომარეობა შეიქნა – **პრეზიდენტის ამომრჩეველი ხალხი** კვლავაც მის გვერდით იდგა, მისი გადადგომა **ხალხს არ მოუთხოვია.** ეს წითელი, კრიმინალური "ინტელიგენციის" სურვილი გახლდათ, შევარდნაძისა და მოსკოვს თავშეფარებული მაფიოზური ნომენკლატურის ხელშეწყობით განხორციელებული სისხლიანი გადატრიალებით რომ შეისრულეს.

რადგანაც ბატონ ზვიად გამსახურდიასა და სხვა ბევრი

მამულიშვილის ლანძღვა-თათხვითა და კბენა-ჯიჯგვნით იჯერა გული, ვიფიქრეთ დაცხრაო, მაგრამ ამაოდ. შავგულიანმა და ბოღმა-შურიანმა ბოლომდე არავის აპატია

“ცოდვა” და პროფესორ გ. შარაძეს მისდგა – როგორ გაბედე და ი.ორჯონიკიძეს თანამდებობაში შეეცილეო. ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ არ მივიჩნევთ უაზრო სჯა-ბაასის გაჩაღებას, მაგრამ “პოეტთან” დაკავშირებით კი ვიტყვით, რომ მისი შეძლებისა და უნარის პატრონს, ნამდვილად არ სჭირდება ძალაგამოცლილი, მიხრწნილი კაცუნას ვექილობა. არა გვგონია, ყველაფერზე წამსვლელმა და ყველაფრის მკადრებელმა დიაცმა ტყუილუბრალოდ ვინმეს დააჩაგვრინოს თავი, მითუფრო “პრეზიდენტის კრიშით” თავდაგულებულ–დაცულმა.

... ამით არ სრულდება 1993 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული საცოდავი არსების ნაჯღაბნი, რომელიც მისდა სავალალოდ, ზედმიწევნით მართალი, უნაკლო დასასრულით მთავრდება, წერილის ბოლოში რომ გაგაცნობთ, რადგან აღმოჩნდა, რომ “კალამგაუგდებელ კალმოსანს” კვლავაც ბევრჯერ აღუსრულებია წითელი ბატონების დავალებები, კიდევ ბევრი სიბილწით დაუნაგვიანებია იაფფასიანი ღვარძლის, შურისა და ბოროტების საქვეყნოდ მომფენი ასევე იაფფასიანი, უკანონოთა სამსახურში ჩამდგარი ჟურნალ-გაზეთები. ვიტყვით, რომ უბადრუკი კაცუნას იმ “შემოქმედებას” არ გავცნობივართ, რადგან არანაირი სურვილი არა გვაქვს შევარდნაძის პრესით გონების დანაგვიანებისა. მხოლდ ახლახანს, შემთხვევით მოგვეცა საშუალება მის ერთ-ერთ რუპორ-გაზეთ “ახალ საქართველოში” დასტამბული (იგი რამდენიმე ნომერში, რამდენიმე გვერდზე იყო გადაჭიმული, - გ.ჯ.) წითელთა სპეცსამსახურების უერთგულესი მსახურ-”კალმოსნის” ნაბოდვარის წაკითხვისა. გულღრძო კაცუნას ამ მორიგი სიგიჟის სათაურთან დაკავშირებით გვინდა ყველას ვურჩიოთ მისთვის თვალის შევლება, რადგან გაუსაძლისი ყოფისგან შეჭირვებულებს, მცირედ განმუხტვის უებარი შემთხვევა მიეცემათ. დაგვერწმუნეთ, დიდხანს და გულიანად იხარხარებთ სულით ავადმყოფობის ზედმიწევნით დამადასტურებელი სათაურ-ქვესათაურის წაკითხვისას. ვინც ვერ მოახერხებს, თავათ გაუწყებთ: “ახლა, მასწავლებელო, ნოდარ ნათაძის დაჭერის მომხრეთა სიას ვადგენ” – ეს სათაურია. ქვესათაური კი მთლად სუპერსახარხარო გახლავთ: “... ამას წერდა ედუარდ შევარდნაძე, როცა ის ქრისტეს ასაკისა ბრძანდებოდა” (!). ჰოდა, ამის გამო გადავწყვიტეთ ამ აბდა-უბდის მკითხველებისთვის გაცნობა.

“მე ნაურაზე არაფერს ვწერ, ყველაფერს ვწონი, არ შემიძლია დავწერო: “ზვიადი უშეცდომო კაცი იყო. ჩემი ღრმა რწმენით, გამსახურდიას პრეზიდენტობა სულ ერთიანად შეცდომების თაიგული იყო. მე არავისი არც მერიდება და არც მეშინია, ეშინოდეთ სიმართლის....”. ეს მრავალგვერდიანი ნაბოდვარის წანამძღვარია. ახლა კი “კალმოსნისთვის” პატრონთაგან მიცემული მორიგი დავალებით შეთითხნილ სიგიჟეს გავუყვეთ.

ცხადია, “ნამოღვაწარს” შავგულა არსება დაუფარავი შურიანობითა და ზიზღით, თანამოაზრეთა ჭ.ამირეჯიბის, მ.ლებანიძის, რ.ჭეიშვილის, ე.კვიტაიშვილის, ჯ.ჩარკვიანის, თ.წივწივაძის, ტ.ჭანტურიას, სხვათა ბწკენა-კბენით, ქოქოლის დაყრით იწყებს, რასაც უმალ საკუთარ “ჯვარცმულობას” მიაბამს. თუმცა მალევე, დროებით, შიგნეულობაში ჩაიბრუნებს გადმოსანთხევად გამზადებულ სამსალას, რადგანაც ყველაზე უმთავრესი, ქვესათაურში მკრეხელურად ნათქვამი სურს გადმოისროლოს:

“შემოვიდა ჩვენში მაისი და გაზაფხულის დღესასწაული (ცხადია 1 მაისი, - გ.ჯ.). შემოვიდა ამაყად, რწმენით, გულდაჯერებით, რომ მთელს ქვეყანას, მთელს დედამიწას ახაროს სიხარული ერისა რომელმაც საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო, ათასი ჭირ-ვარამი გამოიარა, ყველაფერი აიტანა და მაინც არ დაარღვია ფუძე, არ გააცია კერა, არ წააქცია დედაბოძი. ლაპარაკია ერზე, რომელიც ამ ლამაზ მიწაზე დასახლდა (ნუთუ მიწა ლამაზი შეიძლება იყოს? მიწა ნაყოფიერი, ფხვიერი, შავი, მწირი გაგვიგია, - გ.ჯ.), დაფუძნდა და ღირსეულად ეზიარა საკაცობრიო კულტურის ყველა მონაპოვარს, აითვისა და გაიცნო კაცთა მოდგმის ნაღვაწი და ნააზრევი, თავადაც თქვა თავისი სიტყვა, ისეთი, როგორიც ეკადრებოდა, როგორიც მის მიწასა და ბუნებას შვენოდა – ლამაზი, დარბაისლური...”.

შევარდნაძის ამქარში მყოფი სტეფანოვის, ალფენიძის, მირიანაშვილის, საქართველოს დაქცევაზე, ქართველთა გადაშენებაზე მლოცველი ქართულ გვარ-სახელებს ამოფარებული უცხოტომელი ურიცხვი მრჩეველ-”კალმოსნების” მიერ ათასგზის გაცვეთლ-გაწყალებული სიტყვების ამ რახარუხით შოკში ჩავარდნილა, ცაში აფრენილა დღენიადაგ წითელი მბრძანებლის ფეხებთან მოგორავე კიტუნია და ჩიქორთული ქართულით შეკოწიწებული სისულელით რეტდასხმული წერს: “შინაარსობრივად ასე მოკლედ, აზრობრივად ასე ფრთაგაშლილად, ასე ხატოვნად ბევრი ნამდვილი მწერალიც ვერ დაწერდა, არადა, ამას წერდა ედუარდ შევარდნაძე, როცა ის ქრისტეს ასაკის ბრძანდებოდა, ვიდრე მაცხოვარს ჯვარზე გააკრავდნენ – 33 წლისა, რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი”.

ესეც ასე! ქრისტიანული სამყარო საუკუნეებია უზენაესის მეორედ მოსვლას მოელის და თურმე ამაოდ, უფალი იგი, ოციანი წლების დასაწყისში გამოგვცხადებია და თანაც სად, ჩვენს კურთხეულ მიწაზე (!). ნამდვილად არ გვეპატიება, არნახულად “შესაჩვენებლები”, სადღეისო შეჭირვებაზე უარეს განსაცდელში ჩასაყრელები ვართ, რადგან “ბევრის მცოდნე-აღმომჩენი” კაცუნას, მისი თანამოსაქმე ერთი მუჭა კრიმინალების გარდა, ლამის მთელმა საქართველომ ვერ შევნიშნეთ, ვერ ამოვიცანით ჩვენი თანამედროვე, კომკავშირ-კომპარტიაგამოვლილი სისხლისფერი “მესსია”. მაგრამ, სასოწარკვეთილებას ნუ მივეცემით, თავზე ნაცარს ნუ დავიყრით “მამაზეციერის” აღმოჩენისადმი გამოჩენილი უნებური “უმადურობის, დაუფასებლობისა და პატივის მიუგებლობისა” გამო, რადგან ჩვენგან “გასაკეთებელ-გასაღებს” თავათ “მესსია” კისრულობს – დავალებათა უერთგულეს შემსრულებელ მონასა და მოენეს მოუღალავად ანაყრებს გამოხრული ძვლებითა და ნამცეცებით.

რაკი საცოდავმა კაცუნამ მბრძანებელი “მესსიად” დაიგულა, ისევ საკუთარი არსების ქება-შეფასებას მოჰყვა და გულღრძოდ შობილმა, ზოგიერთ მისებრ მიხრწნილ-გადამღვრძალ თანამოაზრე “კალმოსანთან” ერთად აღარც მბრძანებლის ამქვეყნიდან წასული მეხოტბეები დაინდო: “ იმ ხანებში (ლაპარაკია “შევის” ცეკას პირველმდივნობის დასაწყისზე, - გ.ჯ.) ქსეროქსზე გადატანილი ჩემი “შავი წიგნი” გამოვიდა, რომლითაც მოურიდებლად ვუყვირე გრ.აბაშიძეს, ნ.დუმბაძეს, ო.თაქთაქიშვილს, ვ.ჭელიძეს, რ.ჯაფარიძეს, გ.ციციშვილს – გამოვფხიზლდეთ, ვიღუპებით-მეთქი, მაგრამ ... ყველა ამათგან არავითარი მხარდაჭერა, სრული დუმილი. უბრალო ხალხმა კი, ჩეკა-კაგებეს აშკარა დევნის მიუხედავად, “შავი წიგნი” უმალვე აიტაცა, ერთმანეთს ხელიდან აცლიდნენ”.

არ გეგონოთ ამას ტყუილს ამბობდეს ლამის ბიბლიას გატოლებული ნაბოდვარის შემქმნელი. “წყალგაუვალი” ფაქტებისა და მხოლოდ “სიმართლის მთქმელი, ნაღვაწის შემფასებელ მათემატიკოს დ.ჭანტურიშვილისგან მიწერილს” (სინამდვილეში იგი თავათ კიტუნიას ნაშემაკარი გახლავთ, - გ.ჯ.) გვაცნობს: “მართალია, თქვენ ამ ნაშრომს წერილს უწოდებთ, მაგრამ მის ავტორობაზე ... უარს არ იტყოდა ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე კი თავის რჩეულ ნაწარმოებებში პირველ ადგილს დაუთმობდა”. ჰოდა, ყოველივე ამის მერე, ერის მამასთან და თვალსაჩინო მამულიშვილთან თავგატოლებულმა “კალმოსანმა” როგორ არ უმტროს, არ დაშხამ-დაცოფოს პატრონისგან რატომღაც მასზე მეტად პატივმიგებული “კალმოსნები”? სწორედ ამ მიზეზით ნ.დუმბაძის, გრ.აბაშიძისა და ი.აბაშიძის კიდევ ერთხელ დაგესლვის მერე, შვებამოპოვებული არსება წითლების საქმიანობის ტრადიციულ ნაწილს, დავალებით გათვალისწინებულ “შეხურების, თვითკრიტიკის, თვითგვემისა და შეჩვენების” ნაწილს უახლოვდება.

“მთელი წლის წვალება დამჭირდა, რომ წიგნს რესპუბლიკის ხელმძღვანელამდე მიეღწია, მაგრამ მან მისი დამწერის ხილვა არ ისურვა. ამხანაგი შევარდნაძე დისიდენტად მიჩნეულ კიტა ბუაჩიძეს თავს როგორ გაუყადრებდა”. აი, ასე “უტევს და აშავებს დისიდენტი” კიტუნია მზე-ბატონს. მაგრამ, ამით არ ამთავრებს “შეჩვენებას და უარეს მწარე ბრალდებას ახლის” სახეში, რაც უნებლიედ წამოსროლილი სიმართლე გახლავთ: “გადაჭრით შეიძლება თქმა იმისა, როგორც შევარდნაძის მრავალწლიანი მოღვაწეობა გვიჩვენებს, გულგრილად უყურებდა და უყურებს ჯერ ერის გამეჩხერიანების, მერე კი მისი სრული ამოწყდომის საკითხს”. სრული სიმართლეა! თვით საბრალო კიტუნიასგანაც ვერდამალული.

და ისევ უნებლიე სიმართლე: “მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გახადა შესაძლებელი “შავი წიგნის” დასტამბვა 1990 წელს” (ე.ი. ეროვნული მოძრაობის აღზევებისა და გამარჯვების პერიოდში, - გ.ჯ.). თუმცა, ამას არავითარი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს უმადური, გულშავი არსებისთვის. მერე დავალების გეზს უნებურად აცდენილი, ისევ ოდითგან გაკვალულ კალაპოტში ვარდება და ჩვეული გაავებით მიედ-მოედება, ულევად აფრქვევს სიცრუეს, ბალღამს.

“შევარდნაძე 1992 წლის სექტემბერში გვაფრთხილებდა, საქართველოს ბედი სოხუმში წყდებაო. ეს ომი სულაც არ იგრძნობოდა თვით თბილისშიც კი. თოფი არ აიღოთ, აფხაზები ხელს არ გახლებენო, - ამშვიდებდა გალელებს პრეზიდენტობაზე თავგადაკლული “მწერალი და მეცნიერი” ზვიად გამსახურდია”, -გაჰკივის წითელთა სპეცსამსახურებში დაგეშილ-გამოწრთობილი ¨დისიდენტი პუბლიცისტი”. დაგვეთანხმებით, წყლის ნაყვა და უაზრობაა ჭკუადაცლილის, ბოროტებისგან თვალებდავსილის, სმენადახშობილის ნაბოდვარისთვის უამრავჯერ თქმულის, დაწერილის, ოფიციალურად აღიარებულისა და დამტკიცებულის დაპირსიპირება. ანდა რა საჭიროა? განა თავათ უამრავჯერ არ ამოუკითხია მზე-ბატონის მაამებელ გაზეთებში დაბეჭდილი მწარე სიმართლე “უმაღლესი მთავარსარდლის” სოხუმიდან გამოქცევის, ჩვენი უპირველესი მტრის– რუსეთისთვის საქართველოს ერთი უმშვენიერესი კუთხის- აფხაზეთის ჩაბარება – ჩუქების თაობაზე? ისიც კარგად იცის, რომ ბატონ ზვიადის დაბრუნება და კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა – კონსტიტუციით აფხაზეთი თოფ-ზარბაზნის

გამოუყენებლად, მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილებით დაუბრუნდებოდა საქართველოს. ამას კი არაფრად დაუშვებდა "უმაღლესი მთავარსარდალი", დავალების შეუსრულებლობას არ აპატიებდნენ დინების საწინააღმდეგოდ ცურვის უარმყოფელი და ვერამტანი შავი სამყაროს ბოსები.

აფხაზეთის ტრაგედიის "ვერგადამტანი" არსება მრავალგვერდიან აბდა-უბდაში მოზრდილ ნაწილს, "გაუქარვებელ ტკივილთან" დაკავშირებულ პიროვნებას – სტალინს უწილადებს და შავ დღეს უთენებს, ჯუღაშვილის თურმე ოსად გამომცხადებელ, ქართველ დრამატურგ პოლიკარპე კაკაბაძის შვილს, პროფესორ მანანა კაკაბაძეს. და იშვიათი მიზეზის მპოვნელი ხელიდან არ უშვებს დიდი ხნით შიგნეულობაში ჩაგუბებული სიძულვილის გამოაშკარავების სასურველ შემთხვევას. შურით აღგზნებული, ჩვეული გაუტანლობით გესლავს დრამატურგს: "პოლიკარპე კაკაბაძეს ხელისუფლებისგან არასდროს არავითარი დევნა და შევიწროება არ განუცდია (თურმე აუცილებლად კაგებეს ჯურღმულებსა და ციხე-დილეგებში უნდა ამოერთმიათ სული უდანაშაულო პიროვნებისთვის, - გ.ჯ.). მარჯანიშვილის თეატრში დადგმულ საშუალო დონისაზე დაბალ სპექტაკლ "ცხოვრების ჯარას" მაყურებელი არ მიაწყდა". შურით დაბოღმილ-გააფთრებული კაცუნა, პ.კაკაბაძის შემოქმედების დამფასებელსა და მომწონებელს, მარადჟამს წითელ რეჟისორ გ.ლორთქიფანიძესაც არ ინდობს და დიდ ცოდვად, შემოქმედებითს მარცხად მიუთვლის "ყვარყვარეს" გრიბოედოვის თეატრში დაუდგმელობას. ჰოდა, ყველაფერი ნათელია – რაკიღა პ.კაკაბაძის პიესა დასახელებულ თეატრში არ გააჭაჭანეს, იგი არაფერი ყოფილა. სამაგიეროდ მისმა მდარე, მდაბიურმა პიესამ "ეზოში ავი ძაღლია" იბოგინა გარკვეული ხნით, ქართველთა დაუძინებელი მტრისენოვანი თეატრის სცენაზე (!).

მართალია ენამოშხამულმა, შურიანმა კიტუნიამ უთვალავგვერდიან დავალება-აბდაუბდაში საკმაო ადგილი დაუთმო მუდამ მისი პატრონების სამსახურში მყოფ ზოგიერთ მისებრ გამყიდველსა და მოღალატე არსებას, მაგრამ ბოლო ათწლეულის დავალებები ხომ მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს პრეზიდენტის, მისი ოჯახისა და ახლობლების, კანონიერი ხელისუფლების, მისი მხარდამჭერი მოსახლეობის გაუნელებელ ლანძღვა-შეჩვენებას, ჭუჭყისა და სიბილწის მორევში ჩახრჩობას ითვალისწინებს. ჰოდა, დაკვეთით გაუთვალისწინებელი წითელი "ინტელიგენტების" კბენა-ფლეთით გულნაჯერი კაცუნაც ისევ მბრძანებელთათვის უკიდურესად საჭიროსა და მაამებელ, შიგნეულობაში დაგროვილი ულევი ბალღამის გადმონთხევისთვის აუცილებელ საკითხებს უბრუნდება: "ქალის ენერგიამ და სინაზემ უნდა გადაარჩინოსო საქართველო", - ამოუკითხავს "შევის" პრესაში, მუდამ ბოროტების მაძიებელსა და მოსურვილე "კალმოსანს" და განაგრძობს: "ამასვე ამბობს ერთი პარლამენტარი მანდილოსანი, მეტი ქალი უნდა ჩავაბათო პოლიტიკაში". შემდეგ კი უპირველეს საძულველ პიროვნებას მიადგება:

"ბევრი ქალი ჩააბა პოლიტიკაში ზვიად გამსახურდიამ, მის გამოჩენისას კივილს რომ იწყებდნენ, ვარდებოდნენ ისტერიკაში, ქვითინებდნენ, იგლეჯდნენ თმებს. მათი ავანგარდი გახლდათ ე.წ. კარვის ქალები "ანტიზვიადელებს" პერანგებს რომ ახევდნენ და სახეში აფურთხებდნენ, მწერალთა ყრილობის წინ ცეცხლს რომ მისცეს მათი მშვენიერი წიგნები"..

“შავი წიგნის” შემკოწიწებელ-დამჯღაბნელის ამ ათასჯერ თქმულში ახალი და სენსაციური არაფერია. პატრონთა საამებლად, მამულისა და ერისთვის თავგანწირული ქართველი ქალების აუგად ხსენება, ლანძღვა-გინება, მიმღვრძალი ფინიასავით აწკავწკავებული არსების ერთი საყვარელი თემა გახლავთ და ცხადია, ამჯერადაც უდიდესი სიამოვნებით ასრულებს დავალების ამ მონაკვეთსაც. მხოლოდ ის არის “გულდასაწყვეტი”, რომ საბრალო კაცუნას არანაკლებ საბრალო მბრძანებლბს ხელთ არა აქვთ “ზვი-ა-დის” ძახილით “ქადაგად დავარდნილი, თმებდაგლეჯილ-ლოყებჩამოკაწრული, გაგიჟებულ-დასაბმელი, “ანტიზვიადელების” ცემა-ტყეპით გამხეცებული კარვის ქალების ორგიების” ამსახველი ვიდეომასალა, თორემ იცოცხლეთ, ელექტროენერგიას ოცდაოთხი საათი მიაწვდიდნენ მათგან მოძულებულ ქართველებს და მხოლოდ იმ სანატრელ ჩანაწერებზე ამუშავებდნენ ტელევიზიის უკლებლივ ყველა არხს. არც ხალხის მიერ შეჩვენებული, ძალმომრეობით დამკვიდრებულთა დავალებით გამართული “მწერლების” შეგროვების დროს მათი “მშვენიერი” (ჭირის დღესავით საძულველ არსებათაგან მოპარულ-გადაწერილი “ქმნილებანი”, გესლიანი კაცუნასთვის ამჯერად მშვენიერნი რომ შეიქნენ, - გ.ჯ.) წიგნებით არარსებული კოცონის აბრიალებას, ზვიად გამსახურდიასგან “ორასი მილიონი მანეთისა და ზოოპარკიდან გატაცებული ცხოველების”, მოსკოვის “პუტჩის” მომწყობთა მხარის დაჭერის დამადასტურებელი იანაევის ოქმებისა თუ სხვა “სენსაციური, უტყუარი” ფაქტების ვერდამტევი ფირების ხილვას მოგვანატრებდნენ. და რადგან სატანასთან წილნაყარებს მსგავსი არაფერი მოეძიებათ, კიტუნიასგან შეთითხნილი მდაბიური, პრიმიტიული საგაზეთო ნაცოდვილარებით კმაყოფილდებიან. თუმცა მეორესმხრივ, არც გაემტყუნებათ – “სუნიანსა და ტლუ, გიჟებად შერაცხულ კარვის ქალებს” როგორ შებედავენ და თუნდაც წამიერი გაფიქრებით გვერდში ამოუყენებენ ამერიკული სიგარეტების კვამლითა და ფრანგული სუნამო-კონიაკ-შამპანურის არომატით გაჟღენთილ “უმწიკვლო და სპეტაკ-უცოდველ დიაცებს”: ლ.ღოღობერიძეს, ქ.დოლიძეს, მ.ლორთქიფანიძეს, ი.პირუმოვას (სარიშვილს), გ.გაბუნიას, ნ.კირთაძეს, მ.ჩილინგაროვას (გიგინეიშვილს), ნ.დევდარიანს, რ.ბერიძეს, ნ.ალექსანდრიას, ი.ორჯონიკიძეს, ნ.ონიანს, ნ.ჯაფარიძეს, მ.დოიჯაშვილსა და მათი ამქარის სხვა წვრილფეხობას.

ჩანს, “კარვის ქალების” თემა ერთგვარი ქვაკუთხედი გამხდარა სპეცსამსახურების ჭკუადაცლილი შიკრიკისთვის. ამისი დასტურია “ახალ საქართველოში” დასტამბული მრავლგვერდიანი ნაბოდვარის სწორედ ერთი “შლეგი კარვის ქალისგან უნებურად წამოსროლილი სიმართლის” მაუწყებელი სიტყვებით დასათაურება. 1991 წლის ოქტომბერში, “კალმოსანი” კაცუნას ნაცნობი “გვართმცოდნე აკადემიკოსი”, კარვების წინ თავის ნამოწაფარ ქალს გადაყრია და “მისგან ნაამბობი” კიტუნიასთვის უხარებია. მასწავლებლის შეკითხვაზე, ნამოწაფარ “კარვოსანს” იქ ყოფნისა და საქმიანობის შესახებ დაუფარავად ჩაუკაკლია: “ახლა, მასწავლებელო, ნოდარ ნათაძის დაჭერის მომხრეთა სიას ვადგენ (აი, სწორედ ეს მარგალიტის მძივად ასხმული სიტყვებია გამოყენებული ამაზრზენი “პუბლიკაციის” სათაურად, - გ.ჯ.). ზოგმა არც კი იცის, რას აწერს ხელს... კარავს ენდობიან, ჩვენ ხომ აქ მთავრობის ტელეფონიც გვიდგას... ხუთას მანეთს მაძლევენ ყოველთვიურად”. მართალია შავგულა-შავკალმოსანი არსება დასაწყისში ერთგვარი მადლიერებით მოიხსენიებს “უაღრესად საინტერესო ამბის” მაუწყებელს, მაგრამ იქვე კუთვნილ შხამს აპკურებს მასავით ჭორიკანა “მეცნიერს”, რომელიც ძნელად დასადგენი ურიცხვი “აკადემიებიდან”, ერთ-ერთის “აკადემიკოსად” სახელწოდებარგებული ყოფილა. ცხადია, ამქვეყნად ბოროტებისთვის მოვლენილი,

“გვართმცოდნე აკადემიკოსისგან” მოჩმახულს არ დასჯერდებოდა და მეტად დარწმუნებისთვის, კვლავაც მისგან შეთითხნილს, “პიროვნებაგაუმხელელი (სინამდვილეში არარსებული, - გ.ჯ.) ნაცნობი ქალისგან” თქმულად ასაღებს: “კარავში “ნაკოლკებიანი” ქალებიც იყვნენ, ქრთამობიაც იყო გამეფებული...”. დიდად გასაკვირვია და მოულოდნელი, რომ “კარვის ქალების” მეისტორიე-მემატიანე მხოლოდ ამ ორი მოგონილი პიროვნებისგან “მოყოლილით” დაკმაყოფილებულიყო.

ჰოდა, “ინფორმაციული სიცარიელე” ნაწილობრივ ჩვენ გვინდა შევუვსოთ და ვახაროთ, რომ “ქვეყნის საარსებო უმნიშვნელოვანესი საკითხების გადამწყვეტ-მომგვარებელი კარვის ქალები” არაფრად დასჯერდებოდნენ მარტო სამთავრობო ტელეფონსა და ხუთასმანეთიან ანაზღაურებას. ადვილი საფიქრებელია, პრეზიდენტი კარვებს არც ფაქსებითა და კომპიუტერებით (მაშინ ჩვენში მობილური ტელეფონები თითქმის არ არსებობდნენ, თორემ მათაც უხვად ჩამოურიგებდა კარვოსნებს, - გ.ჯ.) უზრუნველყოფაზე ეტყოდა უარს. აღარაფერს ვამბობთ “თავზესაყრელი სურსათ-სანოვაგით უწყვეტ მომარაგებაზე”, თორემ აბა მაშ რითი “ღრეობდნენ და ტაშფანდურობდნენ კარავთა მკვიდრნი?”. რაც შეეხება ნ.ნათაძის “დაჭერისთვის საჭირო ხელმოწერების შეგროვებას”, ამისთვის ნამდვილად თავს არ შეიწუხებდნენ, არ “დახურდავდებოდნენ კარვის ქალები”. ჭკუამხიარულობისა და უვიცობის საოცარი ნაზავი არსების “შეპყრობას” როგორმე, ხელმოწერების შეუგროვებლად მოახერხებდნენ “ყოვლისშემძლე მოხელეები”.

და ისევ “კარვის ქალების” უსაყვარლესი თემა, მხოლოდ ამჯერად გაცილებით მომგებიანი დატვირთვითა და შეფერილობით. ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიასადმი ქართველი ხალხის მიერ გამოხატული თანადგომის, პატივისცემისა და სიყვარულის დამნახველი გაშმაგებული არსება ისევ ზემოხსენებული “ინკოგნიტო ქალის მონაყოლით” ესწრაფვის მზე-ბატონის გულის მოგებას და არაკაცური, არაადამიანური მეთოდით ცდილობს ეროვნული მოძრაობის წინამძღოლის “გაბაიბურებას”. ყველაფერს ყელში ამოსული, გაცვეთილი მონაჩმახით იწყებს: “მიტინგის დროს თუ ტაში იყო დასაკრავი, ქალბატონი მანანა ხელს აგვიწევდა, და თუ არ იყო ტაში დასაკრავი – ხელს გააქნევდა”, - “გაუმხელია” უხილავსა და არარსებულ ქალს ჭორის გუდა “კალმოსნისთვის”. მაგრამ, გულბოროტი კაცუნა ამ “უმნიშვნელო სამხილით” არ კმაყოფილდება და პრეზიდენტის მეუღლეს “უმკაცრეს ბრალდებებს” უყენებს: “ამ ქალის “პოლიტიკური თამაშები” აშკარად სახიფათო და დამღუპველია, რადგან შინაურ იდიოტებს სათვალავი არ მოეპოვებათ, რომელთა აყოლიება ქმრის გვარის წყალობით, დიდად არ გაუჭირდება”. მკითხველი ცხადია მიხვდა, რომ შხამ-გესლიანი კაცუნა ქალბატონ მანანას “სახიფათო და დამღუპველ პოლიტიკურ თამაშებში” ქართველთა უდიდესი ნაწილის თანხმობითა და მხარდაჭერით, ძალმომრეობით დამკვიდრებულთა წინააღმდეგ გაგრძელებულ სამართლიან მოქმედებას გულისხმობს და აშკარად გრძნობს წარმატებული, უეჭველი დასასრულის მოახლოებას.

ამ გარდაუვალი აუცილებლობითა და ჭეშმარიტებით შეშინებული, დამბლადაცემული “მწერალი და დრამატურგი” მასზე არანაკლებად დამფრთხალ-შეძრწუნებული მბრძანებლების გამოსაფხიზლებლად “ენციკლოპედიური განათლებით” ცდილობს მათს გაფრთხილებასა და თადარიგის დაჭერას: “მანანა არჩვაძეს გაგონილი ექნება და

ახლა მოსვენებას არ აძლევს სირიმავო ბანდარანაიკეს ბედი, რომელსაც ქმარი, შრი-ლანკას პრემიერ-მინისტრი მოუკლეს და მის ადგილზე სირიმავო დასვეს. მანანა არჩვაძე-გამსახურდიასაც გულში აქვს ამოჭრილი, რომ მსგავსი შემთხვევა საქართველოშიც განმეორდეს. მასაც საქართველოს პრეზიდენტობაზე უჭირავს თვალი''. დაგვეთანხმებით, პატრონთაგან მართლაც დიდად დასაფასებელია ერთგული მორჩილისა და დავალებათა უზადო შემსრულებლის ამგვარი "მიხვედრილობა და ალღოიანობა'', რადგან ქალბატონ მანანას "გულისნადები და დამღუპველი აზრები'' დღემდე მის გარდა სხვამ ვერავინ ამოიცნო. ვერც გაიგებდნენ, რადგან "უბრწყინვალესი ნიჭის'' პატრონს, სხვა ბევრ რამესთან ერთად, მამაზეციერმა ბევრისთვის საოცნებო მჩხიბავ-მკითხაობაც მხოლოდ მას უბოძა. აი, თურმე კიდევ რისთვის იხმეს წითლებმა "სასწაული'' არსება საიდუმლო სამსახურში საქმიანობისთვის, ბინძური დავალებების შესასრულებლად. ადვილი შესაძლებელია, კიტუნია შევარდნაძის უზარმაზარი ამალის ერთი წევრთაგანი იყოს, ისეთი, ვითარცა გამოტვინებული, შეშლილი ბრეჟნევისთვის, სამყაროს "საოცრებად'' მოვლენილი "გრძნეული''ოფიციანტი

ჯუნა. ჰოდა, მშვიდად შეუძლია იყოს "პრეზიდენტი'', სახელგავარდნილი ჯუნას ორეული, უფრო სწორედ მჯობნი, აუცილებლად აღმოუჩენს განუსაზღვრელი ვადით, ე.ი. სიკვდილამდე, პრეზიდენტად "არჩევა''-ყოფნის გზასა და საშუალება-კანონს.

უკიდურესად საძულველი "ზვიადიზმის'' პრობლემის ქექვა-ჩხიბვას

"მისანი-კალმოსანი'' საქართველოს პრეზიდენტის მკვლელობასთან

დაკავშირებული "წყალშეუვალი და უზუსტესი მოსაზრებებით'' ამთავრებს: "თურმე ნუ იტყვით, ბატონი გოცირიძის გაზეთი გამოდის როგორც ცილისმწამებელი, რომელიც შეგნებულად აფარებს ხელს ზვიად გამსახურდიას მკვლელობის ორგანიზატორ შევარდნაძეს. და ეს უმძიმესი ბრალდება სახელმწიფოს მეთაურმა ისე გადაყლაპა, ვითომც აქ არაფერია. ეს არ მოხდებოდა, შევარდნაძეს პრინციპულობა რომ გამოეჩინა: გამსახურდიამ თავი მოიკლა თუ მოკლეს, მაშინ სულ იოლი იქნებოდა დაზუსტება. ჩამოვიდნენ კიდეც უცხოელი ექსპერტები, მაგრამ ცხედარს ახლოსაც არ გააკარეს მხოლოდ იმიტომ, რომ საამისოდ გროზნოდან ნება არ დართო მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ იმ წინასწარი მოსაზრებით, რომ თუ ექსპერტიზა თვითმკვლელობას დაადგენდა, მაშინ მისი ქმარ-პრეზიდენტის მოკვლას შევარდნაძეს ვეღარ დააბრალებდა, ახლა კი აბრალებს. ძალზე საკვირველია, ხელისუფლებას მანანა არჩვაძისათვის ასე მონურად "ანგარიში რატომ უნდა გაეწია''.

გაკაპასებული არსების ამგვარად აღშფოთება და მზე-ბატონის "გაუმართლებელი გაჩუმება, დათმობაზე წასვლა'' გულბოროტი კაცუნას მორიგი თვალთმაქცობაა, თორემ ყველაზე უკეთ სწორედ მას მოეხსენება მბრძანებლის არნახულ დაუნდობლობასა და გაწირვაზე, უდანაშაულო და მართალი ადამიანებით გადაჭედილ ციხე-საპატიმროებზე, იმქვეყნად გასტუმრებულ უამრავ გამოყენებულ "ახლობლებსა და მეგობრებზე''... უსასრულოდ ჩამოსათვლელიდან მხოლოდ ერთი – თვითმფრინავის "გამტაცებელი''ჩინებული ახალგაზრდებისა და მათი "წინამძღოლი'' მღვდლის დახვრეტაც კმარა. ჰოდა, მართლაც დიდად გასაკვირვია, რატომ "იყუჩა და თვალი მოუხუჭა მსოფლიო რანგის პოლიტიკოსმა, რატომ დაემორჩილა ასე უჩუმრად'' მისთვის

საძულველი პიროვნების “უძალო” თანამეცხედრის გროზნოდან “მოსული” ექსპერტიზის ჩაუტარებლობის მოთხოვნას?

მაგრამ, კვამლი უცეცხლოდ რომ არ არსებობს...

“ზვიადიზმის” პრობლემის დაღრღნა-დახვრით გამაძღარი და გულნაჯერი “პუბლიცისტი” მრავალგვერდიანი ნაცოდვილარის მომდევნო ნაწილს ქვეყნის სასიცოცხლო, გადამრჩენი პრობლემების განსჯა-განხილვას უთმობს. მისი გაცნობა, თუნდაც თვალის გადავლება (რომელიც თურმე დასახელებული გაზეთის მომდევნო ნომრებში გაგრძელდება, - გ.ჯ.) მართლაც გონების დაბინძურებაა, რადგან იგი ნაბოდვარი, დავალებით გათვალისწინებული ტრადიციული კომუნისტური “თვითკრიტიკა–თვითგვემა-მხილების”მოხმობით გახლავთ შეთითხნილი.

ახლა კი დადგა ჯერი მკითხველისთვის 1993 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნებული ნაჯღაბნის უნაკლო დასასრულის გაცნობისა, რომლითაც შავგულა არსებას საკუთარი თავის გამაბაიბურებელ, უზუსტეს შეფასებად აქვს მოყვანილი. აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ყრმობის დროს, მათემატიკის მასწავლებელის მიერ დაბდურსა და ბენტერა თავში (მართლაც ზედმიწევნითი შეფასებაა, - გ.ჯ.) გამრავლების ცხრილიდან, ბევრი ბაგუნის შემდეგ, როგორც იქნა შეუტანია უბრალო ჭეშმარიტება, რომ ორჯერ ორი ოთხია. და მაინც არაფერი შესულა პატარობიდანვე თავცარიელ არსებაში და დღემდე ვერ გარკვეულა ელემენტარულ არითმეტიკაში, ვერაფრით მიმხვდარა, რომ უამრავი უარყოფითისგან ვერაფრით წარმოიქმნება მცირეოდენი დადებითიც კი. ეს რომ გაეგო და შეეთვისებინა, მაშინ აღარ დაიწყებდა საქვეყნოდ თავის გასამასხარავებელი სიგიჟის მტკიცებას, რომ ე.წ. “იმედის არჩევნების” დროს, ურნებთან მიახლებულმა “შევის” მომხრეთა დიდმა ნაწილმაც კი უარყოფითი წერილობითი პასუხი გასცა (ე.ი. გადახაზა, - გ.ჯ.) “პარლამენტის თავმჯდომარედ” მისი კანდიდატურის დასახელებაზე. საბოლოოდ კი იგი “დადებითი – ოთხმოცდათექვსმეტპროცენტიანი თანხმობით არჩეული” გამოდგა (!)... ჰოდა, ამგვარი სასწაულის მოხდენის შემდეგ მაინც შეეცდებოდა მათემატიკას შემომწყრალი კაცუნა მისკენ ნაწილობრივ შემობრუნებას მხოლოდ იმის გამო, რომ კომუნისტური რეჟიმის კვლავმობრუნების ჟამს, სისხლისფერ მბრძანებლებს გაცილებით ბევრი სჭირდებათ ბინძური, არაადამიანური, შავი დავალებების სულგაყიდული შემსრულებლები, რომელთა დასახარბებლად ამქვეყნად ყველაზე “სანატრელს” - დოლარებს იშველიებენ. ისე რომ, ეჭვშეუვალია, “ენციკლოპედიურად განსწავლული” უტყვი მორჩილი სიამოვნებით ჩაუჯდებოდა არითმეტიკის პირველი კლასის სახელმძღვანელოს, ცხონებული მასწავლებლის გაკვეთილებსაც გაიხსენებდა და რამენაირად შეისწავლიდა უმარტივეს მიმატება-გამოკლებას, გამრავლების ტაბულას, უანგარო სამსახურს რომ გაუწევს პატრონთაგან მიცემული დავალებების შესრულებაში გადაგდებული დოლარების დათვლაში. იმ დოლარებისა, თავათ წითლები მთელი სიცოცხლე მალულად რომ აგროვებდნენ, მათით რომ დაიხვავეს რამდენიმე თაობის ნაშიერთათვის სამყოფი სარჩო-საბადებელი.

და ბოლოს, გესლითა და ბალღამით გატენილი არსებისგან აბუჩად აგდებულ, ბატონ ზვიად გამსახურდიასგან შეუმცდარად განჭვრეტილ ქვეყნისა და ერის მომავალზეც გვინდა აღვნიშნოთ. ვაი, რომ ამაშიც მართალი გამოდგა ხალხის რჩეული. საქართველოში შექმნილი სადღეისო მდგომარეობა კატასტროფულია, უფსკრულში

გადაჩეხილებს ვერაფრით დაგვიღწევია თავი, ხსნის გზა ყველა მხრიდან მოჭრილია. თუმცა, ეს ოდნავადაც არ აწუხებს წითელთა უტყვ მონას, რადგან დარჩენილი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, სისხლისღვრით აღზევებული პატრონების ახალი დავალებების დრულად შესრულება გახლავთ. და აკეთებენ ერთად საქმეს დამღუპველსა და შავს, ვითარცა არს "შავი წიგნი" მისი. ასეა, ხომ გაგიგიათ ბრძნული ნათქვამი: "ბოროტისგან ბოროტება გამოდისო". არქიმანდრიტმა რაფაელმა კი თავის ქადაგებაში ეს გვაუწყა: "როცა მტრები გვსაყვედურობენ და გვთათხავენ, თავიანთი ენით ჩირქს აცლიან ჩვენს წყლულებს და იარებს".

ისიც კარგად გვინდა დაიხსომონ იარაღით, სისხლისღვრით დამკვიდრებულებმა, მათგან გულგამაგრებულმა უმგვანო და საზარელ დავალებათა შემსრულებელმა მოღალატე, ლაჩარმა არსებებმა, უპირველესად კი კიტუნიამ, რომ არნახულ საქმეთა გამკეთებლები, არმოსასმენის მთქმელები, ქართველებმა დიდი ხანია შერისხეს და შეაჩვენეს, დაუნანებლად მოიკვეთეს, ზურგი შეაქციეს გამყიდველთაგან შეგინებულსა და გათელილ მიწიერ სამყოფელში. დანარჩენს კი უზენაესი მიაგებთ – იქ გასამგზავრებლად გამზადებულებს, ჯოჯოხეთს სანატრელად გაუხდით.

გელა ჯიღაური

1993 წელი, იანვარი.

ბოროტისაგან ბოროტება გამოდის!

ანუ გაფრთხილდით ამხანაგო პრეზიდენტო!

სამყაროს შექმნისას უფალმა ყველას და ყველაფერს კუთვნილი მიაგო. ცოცხალ არსებათა შორის უდიდეს საოცრებას-ადამიანსაც თავისი არგუნა, რომელთაგან ძირითადი გახლდათ ცნება **თავისუფლება** რომლის შელახვის უფლება არავის უბოძა. პირიქით, ამგვარი სურვილის აღძვრისა და აღსრულების შემთხვევაში, არავის ინდობდა და უმკაცრესად სჯიდა. სწორედ ამისთვის აღგავა მიწისაგან პირისა სხვათა თავისუფლების ხელმყოფი ზოგიერთი უძღები მოდგმა, დაშალა და დაამსხვრია უსამართლო, სისხლისმღვრელ ომებში დროებით გამარჯვებული იმპერიები. ისე, რომ ღმერთი საბოლოოდ ყველას და ყველაფერს საკუთარ ნებას უმორჩილებს და ადამის ჩამომავალთ, წილხვედრით დაკმაყოფილებას აჯერებს. გონებაჯანსაღნი და მორჩილნი ყურად იღებენ, ჯერდებიან უფლისგან რგებულს, უძღებნი და ბოროტნი, შლეგნი და გონებაჩლუნგნი კი ისევ სატანას მონობენ და სხვათა დამორჩილებით ლამობენ გაძლიერებას, ნებიერი, მდიდარი ყოფის დამკვიდრებას.

ამ მხრივ, პირველობას ვერავინ შეეცილება ჩრდილოელ "ერთმორწმუნე" სლავ მეზობელს, მარადჟამს მადადაუმცხრალი რომ მიელტვის უცხო ტომების დაპყრობას, მათი მიწების მიტაცებასა და დაჩემებას. უზარმაზარი ტერიტორიის ხელთმოგდებული

რუსეთის ყველა დროის იმპერატორები განუკურნებელი, ავბედითი სენით იყვნენ შეპყრობილნი–მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ როგორცა ვთქვით, უზენაესს არავისთვის მიუნიჭებია ეს დასაგმობი უფლება და ცხადია, არც რუსთა უძღები მოდგმა იქნებოდა გამონაკლისი. და მაინც მოხდა ისე, რომ სწორედ სლავთა იმპერიამ მოაღწია მეოცე საუკუნის მიწურულამდე. მოაღწია ვერაგული, მზაკვრული ხერხებით და უზარმაზარ საპყრობილედ აგებულ სისხლიან იმპერიას, სხვადასხვა მოდგმის ხალხთა "ერთიანი, ძმური კავშირის" ქვეყანა ეწოდა. ბოროტობით, სიძულვილით, ძალადობითა და შიშით გაჟღენთილი საზარელი ნაგებობა, მასში იძულებით შეყრილი ადამიანების ძვლებითა და სისხლით იყო ნაშენები, რომელსაც მმართველად

ყოველთვის გაურკვეველი ეროვნების, საკუთარი ჯიშის უარმყოფელი ურჩხული-უზურპატორები, კაცთმოძულე ავანტურისტები ყავდნენ. ყველა წითელი მონსტრი და სისხლიანი ტირანი, თავის მემკვიდრეს არსებული გაუსაძლისი რეჟიმის კიდევ უფრო გამკაცრების, დამონებულ ხალხთა მეტად დაპირისპირების, განადგურების, მათი სამკვიდრებლის მოსრა-გაქრობის შემზარავ ანდერძს უტოვებდა.

დანაბარები უდიდესი მონდომებითა და სიამოვნებით სრულდებოდა ახლადმოვლენილი გველეშაპი-მეთაურის მიერ. კომუნისტი ჯალათები, კაციჭამია ხელქვეითებთან ერთად ადგენდნენ წითელი იმპერიისათვის საშიში, "ზედმეტი" მცირერიცხოვანი ერების გადაგვარება-განადგურების გეგმებს და მერე ელვისებურად ახორციელებდნენ არაადამიანურ ჩანაფიქრს. აღსანიშნავია, რომ კრემლის დიქტატორთა მოქმდება ძირითადად კავკასიის დაუმორჩილებელ, თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე ვრცელდებოდა, რადგან მათ მიიჩნევდნენ იმპერიის დამსხვრევისა და მოსპობის უპირველს, უმთავრეს მოსურვილეებად და აღმსრულებლებად. ტირანნი მომეტებულად ქართველებითა და ჩეჩნებით იყვნენ დაშინებულები, მათი შეუპოვრობა და რაინდობა უკარგავდათ მოსვენებას, მათი ამბოხი სული და დაუმორჩილებლობის გაუნელებელი სურვილი აფორიაქებდათ, რადგან კარგად უწყიდნენ, რომ მათი ხელიდან დასხლტომა, უგემრიელესი და მსუყე ლუკმის – კავკასიის დაკარგვას მოასწავებდა. ამიტომაც იყო, რომ კავკასიის "გადამრჩენი და მფარველი" სლავი ხელმწიფეები, დღიდან დედამიწის ამ კუთხეში ფეხმოკიდებისა, გაუნელებელი მონდომებით იღვწოდნენ ამ ხალხების დამონებისა და განადგურების, მათი უმდიდრესი მიწების, სამყაროს ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნაწილის სამუდამოდ მისათვისებლად. ბოლო არ უჩანდა ჩრდილოელთა ვერაგულ თავდასხმებს და ეგზეკუციებს, აშკარა და ფარულ ბრძოლებს, რეპრესიებს, ამაყი და თავმოყვარე ხალხების დაპირისპირებას, გენოციდს… უნდა ითქვას, რომ რუსთაგან გატარებულ სამარცხვინო, დასაგმობ პოლიტიკას, დასაძრახ მოქმედებას, ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰყვებოდა – ურთიერთქიშპობასა და ბრძოლებში გამწყდარ-დაქანცულ ხალხებს, წამქეზებლები და მოსისინენი ძალზე ადვილად, უმტკივნეულოდ აბამდნენ ხაფანგში და მერე შიგ მომწყვდეულთა თხოვნითვე ადგამდნენ მონობის უღელს. ასე ფორმდებოდა "მფარველობის, გადარჩენის, ხელშეუხებლობის" ტრაქტატები და ხელშეკრულებები, შეთანხმებები. ასეთნაირად იზრდებოდა და ფართოვდებოდა რუსთა იმპერია, რომელშიც ყველანი და ყველაფერი "გადამრჩენლის" საკუთრება

ხდებოდა. და რაც ყველაზე სავალალოა, იმპერიის ჩარჩოებში მომწყვდეული ხალხები უმალ კარგავდნენ ყველანაირ უფლებებს საკუთარ ქვეყნებში: ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე მეტყველება, იდევნებოდნენ რელიგიურობისთვის, მამა-პაპათა მიწა-წყლიდან აყრილებს, უსიერსა და მომაკვდინებელ ადგილებში ასახლებდნენ… ასე ჩაიკლა ეროვნული სული და გენი რუსთაგან დამონებულ ბევრ მოდგმაში, რომელთა ახლანდელი ნაშიერნი მხოლოდ დამპყრობლის ენაზე მეტყველებენ, მის ადათ-წესებს მიიჩნევენ მშობლიურად (?!).

შემდეგ კი დადგა ჟამი ჩაგრულთა და დამონებულთა "გადარჩენის, ხსნის, გათავისუფლების, მონობის ბორკილთა მსხვრევის, თვითგამორკვევისა". ცარიზმის უღელქვეშ მგინავ ერებს, სულზე "მოუსწრო" ურჯულო ვ. ულიანოვის თავკაცობით აბობოქრებულმა "დიადმა ოქტომბრის რევოლუციამ და საბოლოოდ იხსნა გაქრობისაგან". სახელ და ფერნაცვალ იმპერია-ჯურღმულში გამომწყვდეული ყველა მოდგმა "თანასწორუფლებიანი და თანატოლი" გახლდათ - რიგითსა და ბოგანო მეჯინიბესა თუ მრეცხავს, "თავისუფლად შეეძლო დაერიგებინა და შენიშვნა მიეცა" ბოლშევიკური იმპერიის თავკაცისთვისაც კი და საჭიროების შემთხვევაში მის ადგლიზე წამოსკუპებულიყო.

ცნობილია, რომ ხელისუფლების მპყრობელი ღვთის მგმობი წითლები, ძალაუფლების შენარჩუნებას თავიანთი კაციჭამიობით ახორციელებდნენ. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან წითელთა იმპერიის ფუძემდებელმა, თაღლითურად შენიღბულმა ულიანოვმა ძალაუფლება და ტახტი, წინამორბედი თეთრი იმპერატორის მოდგმის ამოწყვეტით, უზარმაზარი სამართავი აპარატის განადგურებით მოიპოვა. სიცრუესა და ორპირობაზე, გაუტანლობასა და ღალატზე, დაუნდობლობაზე, თვალთმაქცობაზე დაფუძნებული, ხელოვნურად და ძალადობით შეკოწიწებული "სახელმწიფო" ერთი ძირითადი და უმთავრესი პრინციპით არსებობდა – მბრძანებელ მოდგმას, მუდამ მორჩილებასა და შიშში ჰყავდა უმცირესნი და დაპყრობილ-დამონებულნი, ყველანაირი

მზაკვრული და ფარული ხერხებით რომ აჯიშებდა, ავიწროებდა, ციხე-

დილეგებსა და მასობრივ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილებს, მამა-პაპათა მიწებიდან აყრას აიძულებდა და მანამდე სხვებისთვის წართმეულ შუა აზიის მხურვალე უდაბნოებსა და ყინულოვანი ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის

უკაცრიელ, გაუსაძლის ტრამალებში გადაისროდა, იქ უღებდა ბოლოს.

სულიერი მამისგან და მასწავლებლისგან გაკვალული, უთვალავ უდანაშაულო ადამიანთა სისხლისგან დამბალი გზა გააგრძელა და გატკეპნა "ყველა ხალხების მამად" სახელშერქმეულმა ი. სტალინმა. დედამიწაზე სოციალიზმის მშენებლობისა და დამკვიდრების ერთ-ერთმა სტრატეგმა, საბჭოთა კავშირად წოდებულ უზარმაზარ საპყრობილეში რკინისებური რეჟიმი დაამყარა. "წესრიგისა და კანონიერების, სიმართლის დაცვას" უამრავი ხალხი შეეწირა – 1937 წელი ამ მხრივ ყველაზე სისხლიანი გამოდგა, უდანაშაულოდ დასჯილ-დახოცილ ადამიანებს არავინ ითვლიდა. განუზომელი იყო ბელადის "თანამემამულეთა" მაშინდელი ტრაგედია –

ოცდაჩვიდმეტმა წელმა ყველაზე ბევრი ქართველი მოინელა. მაინც ვერ დაცხრა ტირანი, სამშობლოდ აღიარებული იმპერიის შესანარჩუნებლად ყველანაირ დამსჯელ მეთოდებს მიმართავდა: ერთი ასეთი ღონისძიება გახლდათ ფეთქებადსაშიშ ადგილებში მოსახლე მეამბოხე სულის ხალხთა აყრა-გადასახლება, ყოვლად აუტანელი ვითარების შექმნა და თანამიმდევრული გაჩანაგება. სწორედ ამგვარი ხვედრი ერგოთ თავისუფლებისმოყვარე, დაუმორჩილებელსა და რაინდ ჩეჩნებს, წინაპართა უმდიდრესი მიწიდან, შუა აზიის მკვდარ უდაბნოებში რომ გადაისროლეს. იქ უნდა განადგურებულიყო იშვიათი და საოცარი მოდგმა, მათი სამშობლო კი ჩრდილოელთა სამუდამო კუთვნილება გამხდარიყო. მაგრამ, ამაო გამოდგა ვერაგი ზრახვანი იმპერიის მმართველი ხროვისა. ვაინახებმა არავის დაანებეს ტანჯული სამკვიდრო, სასწაულად თავგადარჩენილები, მამა-პაპათა კერიებს დაუბრუნდნენ.

ხალხთა საზარელი საპყრობილის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ჩრდილოელთათვის აშკარად შეუფრებელი სახელის – დიდი რუსი ხალხის მბოძებლის, მათთვის დამშვრალ-მოღლილისა და ყველანაირი სიკეთის მსურველ-გამკეთებელი დიქტატორის ამაქვეყნიდან გადასვლისა და მათგან რგებული "სამადლობლის" მიგების შემდეგ, ტახტი მის გარემოცვაში ტაკიმასხარად და ლაქიად მიჩნეულ არსებას ხვდა. ნ. ხრუშჩოვს თანამოსაქმეები დაუდგენელი ეროვნების პიროვნებად თვლიდნენ: ზოგი რუსად, სხვები უკრაინელად. ასეა თუ ისე, ამ ვირეშმაკასა და გაუთლელ არსებას, ღორის კოლტის მწყემსობა უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე სისხლიანი იმპერიის წინამძღოლობა. თუმცა, ხომ გაგიგიათ ჩვენებური ჭკვიანური ნათქვამი: "რაც ალხანა, ის ჩალხანაო". ჰოდა, "დიადი ქვეყნის" სამართავი აღვირი მამაზეციერმა ზედმიწევნით შერჩეულ "თავკაცს" ჩააბარა. ამერიკის შეერთებული შტატების დაწევისა და გასწრების შლეგურ-შეშლილი ჟინით შეპყრობილმა უჭკუო და რეგვენმა ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირად წოდებულ საპყრობილეში გამომწყვდეულ ხალხებს, ორ ათეულ წელიწადში "ამქვეყნიურ სამოთხეში" – კომუნიზმში შებრძანება და არნახულად ნეტარი ცხოვრების დამკვიდრება აღუთქვა. სინამდვილეში კი მისთვის საძულველი წინამორბედი დიქტატორის პიროვნების კულტის დაგმობითა და გაუთავებელი ლანძვა-გინებით, კიდევ უფრო გაამწვავა ეროვნული შუღლი "ერთიან ძმურ ოჯახში" გაერთიანებულთა შორის. ამიტომაც გაუჩნდა სურვილი შეგნებულად ათვალწუნებული ერის-ქართველების აყრა-გადასახლების, მიწისა პირისაგან აღგვისა და მათს სამოსახლოზე სლავთა გამრავლება-დამკვიდრებისა. მაგრამ, ვერ აისრულა საწადელი ჭკუით სნეულმა და ხეპრემ. თანამოსაქმე-თანამოაზრე ბანდიტებმა, მოულოდნელად გამოსდეს კვანტი და სიცოცხლის შენარჩუნების პირობით, ტახტის დათმობა აიძულეს.

ჩამოგდებულისა და შეგინებულის მემკვიდრე კი უკვე გვირგვინდადგმული გახლდათ. ასე გაიმპერატორდა ხრუშჩოვზე არანაკლებ უვიცი და უწიგნური, ყეყეჩი ლ. ბრეჟნევი: ოქრო-ბრილიანტისა და ჩინ-მედლების მონა, უთვალავი ორდენისა და მედალ-სიგელის კავალერ-მფლობელი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი "მწერალი", სამარცხვინო პოლიტიკოსი და მილიონობით ადამიანის საწყევარ-საგინებელი ავღანეთის სისხლიანი ომის გაჩაღებისთვის, ჩვენდა საუბედუროდ უამრავი ქართველი ახალგაზრდაც რომ შეეწირა. მაგრამ, სატანაგაბატონებული იმპერიის ხელმწიფემ თავისდაუნებურად, წინამორბედისგან დაწყებული ერთი სასიკეთო საქმე მაინც გააკეთა – გულდაგულ არყია და ანგრია შემზარავი იმპერიის ბალავარი და დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში პირადი საპირფარეშოთი მოგრიალემ (ლამის საბანკეტო მაგიდასთან

მჯდომს, ზურგსუკანაც რომ უდგამდნენ), ჯოჯოხეთში მიმავალმა, გვარიანად შერყეულ-მოფამფალებულ-ჩამპალი დატოვა.

ხელმწიფობის ჯერი სუკის ცივსისხლიან შეფსა და კაცთმოძულე

ი. ანდროპოვს დაუდგა, მოხერხებულად რომ შეეცადა "სახელმწიფო წესრიგისა და სამართალ-კანონის დაცვა-გამყარებას". უამრავი ცოდვის ჩამდენმა და სამომავლოდ კვლავაც გამკეთებელმა, დიდხანს ვეღარ იბოგინა

და დიდი ხნით ადრე დასამკვიდრებელი ჯოჯოხეთის გზას დაადგა.

კომუნისტებს კი ტახტის მემკვიდრე უკვე გამზადებული ჰყავდათ და იმპერატორობა ამქვეყნად არაფრის მაქნისს, ცოცხალ-მკვდარ კ. ჩერნენკოს უბოძეს. თუმცა, არაფერი არ იყო გასაკვირვი – სისხლიანი იმპერიის მმართველ ვამპირთა ბანდას სწორედ მისნაირი ლეში-თავკაცი აწყობდა. მათდა სავალალოდ, ტახტზე დადებულმა ხელმწიფემ მალე განუტევა სული და წითელმანდატიანები ისევ ტახტის მიტაცების, მმართველი უმრავლესობისთვის სასურველი თავკაცის ამორჩევის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.

იმპერატორის გვირგვინი გაქალაქელებულმა პროვინციელმა, გაქნილი და მოხერხებული მეუღლისგან მოკვარახჭინებული საქმის ჩაწყობით ხელთმოგდებულმა, ქაქან-ლაქლაქის მანქანის მჯობნმა მ. გორბაჩოვმა დაიდგა. ავანტურისტი და თაღლითი, ტრადიციული შოვინისტის აღზევებით, საბჭოეთში ახალი, იმპერიის დაშლა-გაქრობის წინაპერიოდი ჩამოდგა. ახლადგამომცხვარმა სისხლიანმა დიქტატორმა თანამოსაქმე ლაქიებთან ერთად, ხალხთა საპყრობილის შენარჩუნების სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა, რომლის გაცხადებასაც ხმაურიანი და სამარცხვინო, ტახტისა და მემკვიდრეობის შემარყეველ-გამოსაცლელი სიტყვები "გარდაქმნა და საჯაროობა" წარუმძღვარა. თვალთმაქცი "პოლიტიკოსის" განცხადებით, ეს ყველაფერი აუცილებელი წინაპირობა უნდა გამხდარიყო ახალი "დემოკრატიული ზესახელმწიფოს" ჩამოსაყალიბებლად. უნდა ითქვას, რომ ქაქანა ტირანმა თავდაპირველად შეძლებისდაგვარად მოახერხა იმპერიის უდიდეს ნაწილზე მოსახლე ბოგანო, გონებაჩლუნგი ადამიანებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა, მცირეოდენი ნდობის მოპოვება. ამის გამო ცრუპენტელა და თანამეცხედრის დაკრულზე მოცეკვავე იმპერატორმა, სამფლობელოს ვითომცდა მართლა გარდაქმნა-გადემოკრატების დასამტკიცებლად, საბჭოეთის პირველი პრეზიდენტის სახელიც მიიწება. ამ იაფფასიანი ხრიკებით სურდა ენაჭარტალა კაცუნას სისხლისფერი იმპერიის შენარჩუნება. იმას კი ვერა გრძნობდა, თუ კიდევ უფრო როგორ მოირყა იმპერია-საპყრობილის საძირკველი, როგორ იმრავლეს და იზარდნენ მის კედლებს მოდებულმა ბზარებმა. სულ უფრო მიზანდასახული ხდებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალების ჭკვიანური მოთხოვნები და მოქმედებები, თანამიმდევრული ზეწოლით რომ აიძულეს ავყია და ბრიყვი გორბაჩოვი, საკუთარი ნებით დაეთმო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, დათანხმებოდა გერმანიის გაერთიანებაზე.

და მაინც, ბოროტების იმპერიის დამანგრეველ-დამასამარებელი ძალა საქართველოდან დაიძრა. შეუძლებელი გახდა აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობის იმპერიული, ტრადიციული გადამჭრელი ზომებით ჩახშობა. წითელი პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ძალისხმევით თბილისში დატრიალებულმა აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ, უკან დახევისა და ჩაჩუმება-შეშინების ნაცვლად, უმტკიცესად შეაკავშირა ერი, რაც საფუძველი გახდა კომუნისტთა მმართველობის გაუქმებისა და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისა, რასაც ეროვნული ხელისუფლების მოსვლა და პირველი ქართველი პრეზიდენტის, ეროვნული მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას არჩევა მოჰყვა. ბატონმა პრეზიდენტმა ზედმიწევნით ზუსტი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. იგი აბსოლუტურად განსხვავებული იყო მანამდე არსებული კომუნისტურ-იმპერიულ-მონურ-შოვინისტური ურთიერთობის პრინციპებისგან. მისი მოქმედება სრულ თანასწორუფლებიანობაზე, უმეტესად დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის დამყარებაზე გახლდათ დაფუძნებული. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი მაშინდელი სახელმწიფოს თავკაცისთვის, რადგან თავათ იყვნენ გახლართულნი შავბნელ, მაფიოზურ-მასონურ დაჯგუფებებში და ცხადია, მათთვის მიუღებელი იქნებოდა მფარველთა თუ თანამზრახველთა ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა.

არც რუსეთში ისხდნენ გულხელდაკრეფილები დაპყრობილი ქვეყნების დაკარგვით შეშფოთებული კომუნისტები. თავდაპირველად, მათი ახალი წინამძღოლი, მანამდე ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტით მოსიარულე და ასევე ჩვეულებრივი პოლიკლინიკა-მაღაზიებითა თუ სხვა ყოფითი სამსახურებით მოსარგებლე, დემოკრატის სახელდაჩემებული, სინამდვილეში სულითხორცამდე კომუნისტი ელცინი, ვითომცდა დაყაბულდა უგემრიელესი ლუკმის-საქართველოს, იმპერიის ორთავიანი არწივის ჭანგებიდან დასხლტომას და ქართველი პრეზიდენტის ნებას "დაყოლილმა", ყაზბეგში ჩასულმა, ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოთაშორისო საბუთებსა და შეთანხმებებზე მოაწერა ხელი. ეს ყველაფერი ბოროტების იმპერიის ახალ წითელ პრეზიდენტს საერთაშორისო ნდობის მოსაპოვებლად სჭირდებოდა, თანაც მთლად მოსაწონი არ იყო, ახლად გაპრეზიდენტებულს, მეორე დღესვე ბომბდამშენები და ტანკები შეესია ქართველთა მიწა-წყლისთვის. პირიდან გავარდნილი მსუყე ლუკმის უკან ჯამში ჩაბრუნება, თანამეინახეებმა და უცხოეთის შავბნელმა ძალებმა ურჩიეს ახლო მომავალში მათგან დაგეგმილი მოსკოვს თავშეფარებული ქართული განაწყენებული პარტიული ნომენკლატურის, მათთან შეკავშირებული თანამდებობადაკარგული, ხელმოცარული კრიმინალური ინტილიგენციის მცირე ნაწილის მიერ წამოწყებული ამბოხების ანუ სამხედრო გადატრიალების დაწყების დღისთვის გადაედო.

მართალია კომუნისტური იმპერიის მმართველმა ხროვამ ჩვეული, მრავალგზის სასურველი შედეგის მომტანი ხერხების გამოყენებითა და ქართველ ხალხს, მის კანონიერ პრეზიდენტს გამდგარი მაფიოზურ-კრიმინალური ერთი მუჭა არსებათა მხარდაჭერით, დროებით შეძლო იბერთა ქვეყნის საკუთარ მარწუხებში მოქცევა და წითელთა წყობა-რეჟიმის აღდგენა, მაგრამ ვერაფერი გააწყო ქართველთაგან წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერ, ღირსეულ გამგრძელებელ-მემკვიდრე ვაინახებთან. მართალია, რუსეთის იმპერიულ ძალებს არც ამ ხალხის შემარცხვენელი ჰასბულატოვის, ავტურხანოვის, ზავგაევის, ჰაჯიევისა და მათი მსგავსების მოძებნა და "სამშობლოში წესრიგისა და კანონიერების

დამყარებისათვის" შეგზავნა გაუჭირდათ, მაგრამ საბედნიეროდ, მათ თითქმის არავინ გაჰყვა-ჩეჩნეთში გამყიდველები და მოღალატეები, თითებზე ჩამოსათვლელები აღმოჩნდნენ. ამიტომაც გამოდგნენ უძლეველები ერთიანი სულისკვეთებით, ერთ მტკიცე ძალად შეკრული ჩეჩნები. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა რუსული იმპერია, რომ ხელისგულისოდენა ჩეჩნეთში ამგვარ წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

განწირულსა და აგონიაში ჩავარდნილს, ოდნავადაც არ აწუხებს დასაწყისიდანვე წაგებულ ომში დახოცილი უამრავი სლავი ჯარისკაცის, ტყვედ ჩაბარებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, მათი ახლობლების ბედი. წითელი პრეზიდენტი იანუშშიც არ აგდებს შვილმკვდარი და ჯერ კიდევ ცოცხალი ჯარისკაცების დედების საპროტესტო გამოსვლებს,

კატეგორიულ მოთხოვნებს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის, ჯარის

გამოყვანის შესახებ. საამისოდ, იმპერიის მესაჭეს ოდითგან დამკვიდრებული

"დასამშვიდებელ-დასაწყნარებელი" პასუხი აქვს მომარჯვებული – პრესითა და ტელევიზიით ურცხვად აცხადებს "უმცირესი დანაკარგებით განხორციელებულ წარმატებულ" საბრძოლო ოპერაციებზე, მოპოვებულ

"გამარჯვებებზე".

განწირულის ბოდვასა და უაზრო ლუღლუღს, მხარს უბამს მესამედ გაწითლებული საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება. 30 აგვისტოს, მიტინგზე გამოსულმა სახელმწიფოს "მეთაურმა" განაცხადა, რომ მართალია მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება, დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურები ასეა თუ ისე აღიარებენ რუსეთის მიერ ჩეჩნეთში გაჩაღებული ომის უკანონობას, ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევებს, მაგრამ არაფერს ამბობენ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ხელყოფაზე, რადგან იგი თურმე "კონსტიტუციურად რუსეთის განუყოფელი ნაწილი და კუთვნილება" ყოფილა. ცხადია გამომსვლელი, წითელი იმპერატორისგან შედგენილ-მიღებულ "კონსტიტუციას" გულისხმობდა. ყოველივე ამის შემდეგ, საღად მოაზროვნე ყველა ადამიანი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ წყლის ნაყვა მართლა უაზრობაა და არაფრის მომცემი, რომ კედელს შეყრილი ცერცვი ძირს ჩამოცვივდება, რომ ენას ძვალი არა აქვს…

ჰოდა, ლაქლაქობენ უსირცხვილოდ ესენგეს იმპერიის დიდ-პატარა ჩინოვნიკები ჩეჩნეთის "უკანონო" პრეზიდენტისა და "ბანდიტური" ფორმირებების მოსპობა-განადგურების გამო წამოწყებული ომით გამოწვეული დანგრეული ქვეყნის "აღდგენა-აღმშენებლობაზე", დაუშურვებლად აცხადებენ და ასახელებენ ჩეჩენთა ხვალინდელი "ბედნიერი" ცხოვრებისთვის დასახარჯ ფანტასტურ-საარაკო თანხებს. და ყოველივე ამის შემდეგ რუსეთის ავიაცია დაუნდობლად ბომბავს, ნანგრევებად აქცევს იჩქერიის ქალაქებსა და სოფლებს… "აღდგენითი" სამუშაოები კი "ფართო ფრონტით არის გაშლილი", დამპყრობელი ტრილიონობით რუბლს "არ იშურებს" ჩეჩენთა ქვეყნის "ასაყვავებლად"(!). ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ტელევიზიის პროგრამა "ვრემიას" გადმოცემულზე გვსურს გაგახსენოთ, ლენინგრადში გამართულ მიტინგზე პედაგოგი ქალი ლოზუნგით ხელფასით მხოლოდ ოთხი დღით თავის გატანაზე რომ გვაუწყებდა.

მაშინაც რომ მაგიდაზე შემწვარ-მოხრაკული, სხვარამ პირის ჩასატკბარუნებელი არ ექნებოდა გაშლილი, კარგად მოგეხსენებათ. იცის ეს ბოროტების იმპერიის წითელმა იმპერატორმა და ოდნავადაც არ ადარდებს ამ დღეში მყოფი მილიონობით თანამემამულის ბედი და არხეინად იმეორებს მისთვის ეგზომ ხელსაყრელსა და მომგებიან გამოთქმას: ვინც რა უნდა თქვასო…

იგივე გამოთქმის მოშველიებით შეეცადა რუსთ ხალმწიფე ჩეჩნებთან მოლაპარაკებისაგან თავის დაძვრენას, მაგრამ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის იმ ერთი მუჭა "ბანდიტური ფორმირებებისაგან" შერცხვენილი, ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის უთვალავი დანაკარგისა და ზარალის მიმგები, დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურთაგან ზემოხსენებულ გაფრთხილებათა მიმღები, იძულებული შეიქნა, თავისი უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები და თანამზრახველები მოსალაპარაკებლად გაეგზავნა სწორედ "უკანონო" პრეზიდენტის წარმომადგენლებთან და არა მისგანვე შეგზავნილ გამყიდველ და მოღალატე "ეროვნული აღორძინების მთავრობის თავმჯდომარე" ს. ჰაჯიევთან, უ. ავტურხანოვთან, რ. ჰასბულატოვთან თუ ჩეჩენთა საძულველსა და მიუღებელ სხვა მარიონეტებთან, რომლებიც საბედნიეროდ ძალზე ცოტანი არიან.

მართალია მოლაპარაკება დაიწყო და მიმდინარეობს, მაგრამ წითელი ხელმწიფის მსტოვრები ჩვეული სიფლიდით, სიცრუითა და მზაკვრობით ყველაფერს კადრულობენ მის ჩასაშლელად. ამგვარი პროვოკაციებისა და შანტაჟის მომწყობნი იქით ედავებიან ჩეჩნებს – "ორპირობასა და ლაჩრობას" სწამებენ.შეთანხმების საფუძველზე მიღებული ტყვეთა გაცვლის პირობის შეუსრულებლობას, პრინციპით "ყველა, ყველაზე" ჩეჩნებს აბრალებენ და შეგნებულად ჩქმალავენ სიმართლეს – ტყვედ ჩავარდნილ-ჩაბარებული რუსი სამხედროების უარსა და პროტესტს სამშობლოში დაბრუნებაზე, სადაც მათი თქმით სასჯელის უმაღლესი ზომა თუ არა, მრავალწლიანი კატორღა მაინც აქვთ განაღდებული. ყოველივე ამის მიჩუმათებითა და თვალს მიფარებით სურს განწირულ იმპერიას არსებობის გახანგრძლივება და სხვა მრავალ უსუსურ საბაბთა მოშველიებით ცდილობს სადამსჯელო ჯარის ჩეჩნეთში დატოვებას, აზრადაც არ მოსდის მისი გამოყვანა. ასე ეწირება საზარბაზნე ხორცად გადაქცეული უამრავი რუსი ჭაბუკი, ჟინდაუმცხრალი იმპერიისა და მმართველი ბანდის მგლურ მადას. განწირული "ხელისუფალნი" ყველაფერზე მიდიან.

ვფიქრობთ, ძალზედ მოახლოებულია ბოროტების იმპერიის

დაქცევის ჟამი. გარდაუვალი აღსასრულით კიდევ უფრო

გახელებული და გაბოროტებული წითლები, გააფთრებული სისასტიკითა

და არნახულად მოძალებული ვამპირული მადით ელტვიან შემზარავი საპყრობილის ფუძეგამოცლილი, დაბზარულ-დამსკდარი კედლების შეკავებასა და გამაგრებას. მაგრამ, ამაოა ყოველივე-საძულველი იმპერია უნდა დაინგრეს და აღიგავოს მიწისგან პირისა. ბოროტების აუცილებელი ხვედრი სიძულვილი, მარცხი და განადგურებაა.

გელა ჯიღაური

გაზეთი “არჩევანი”

1995 წელი, ივლისი

ვისი გორისა ხარ შენ, “ევროპელო ქართველო?”

გაუბედურებულსა და დაქცეულ – გაპარტახებულ საქართველოს, განსაცდელში ჩაცვენილ ქართველებს, კიდევ ერთი “საწუხარი და უბედურება” დაგვატყდა თავს: “ღვიძლი მეგრელი ანუ ნაღდი ქართველი პარლამენტის თავკაცი, უფროსი ძმის “ ქვეყანაში, იქაურ გაზეთში არაქართველად, სომეხად შერაცხეს (კიდევ კარგი ებრაელობაც არ დასწამეს) და დღემდე მოყენებულ უამრავ ცილისწამებასა და შეურაცხყოფასთან ერთად, ახლა ამ “ ბრალდებით დაგვიკოდეს” გული. დაგვეთანხმებით, არანაირად, “მოსათმენი და ყურის წასაყრუებელია” სლავთა მორიგი გამოხდომა. აკი არც მოითმინეს “არგასაგონი სიცრუით აღშფოთებულ-განრისხებულმა იბერიელებმა” და კავკასიონის გადაღმიდან წამოსულ “ჭუჭყსა და სიბილწეს” უმალ “სიმართლე და სინამდვილე” შეაგებეს. თბილისში, ზუგდიდსა და აბაშაში თავშეყრილმა ოცდაათ ვერცხლჩამორიგებულებმა, “წყალშეუვალი და უტყუარი ფაქტებით გააქარწყლეს” ყინულოვანი ქვეყნიდან წამოსული “ბრალდება და ქვეყნის მეორე პირი, N1 ქართველად გამოაცხადეს”.

ყველაფერი ეს “პარლამენტის წინამძღოლისგან მალულად, დაფარულად” გაკეთდა, რადგან “უჩინონი” დამცველები არნახულად უფრთხილდებიან, ყველანაირად ერიდებიან მსოფლიოს შავბნელი ძალებისა და წითელი იმპერიისგან საქართველოს დაშლა- დანაწევრებისთვის, ქართველთა განადგურებისთვის მიცემული დავალების შემსრულებლისთვის ზედმეტად გულის ტკენასა და დამწუხრებას. არადა, მართლაც ვერაფრით “ მოიცალა სპიკერმა ბინძური ჭორების მოსასმენად, შეკვეთილ-შეთითხნილ ნაჯღაბნების” წასაკითხად, რადგან ჯერაც ბევრი აქვს გასაკეთებელი უჯიშო, გამყიდველ-მოღალატე ქართველებისგან დაწყებულ საზარელ საქმეთა დასასრულებლად.

საქმე მართლა თავზე საყრელად არის უმშვენიერესსა და მდიდარ, უხსოვარი დროიდან ქრისტეს რჯულის მაღიარებელსა და დამცველ,

ურჯულო ბარბაროსთაგან ურიცხვჯერ აოხრებულ-გაძარცულ,

ქართველებისგან დაცლილ, მათს სამკვიდრებლებში ველური მოდგმის არსებებით ჩასახლებულ, სისხლის მსმელი და კაციჭამია ტირანებისგან ვერანაირად დამონებულ “ერთმორწმუნე ჩრდილოელი მფარველისგან” ვერაფრით დაჩოქებულ, წითელ მოღალატე თვისტომებისგან დაფლეთილ-დანაწევრებულ -გაჩუქებულ საქართველოში.

კონსტანტინე გამსახურდია: “1914 –17 წლების მანძილზე საქართველო უდიდეს განსაცდელში იყო, რომანოვების რუსეთი პოლიგონს გვიმართავდა ქსნის ხეობაში;

ტფილისი წაგვართვეს როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად, მთელი ქართლი დაგეგმილი იყო წინასწარ. მტკვრის გაღმა-გამოღმა მდებარე მიწებს სომხის პლუტოკრატები ყიდულობდნენ. ასე რომ, კიდევ 10 წელი და სქართველოს ხსენება არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე".

დიახ, საუკუნეების მანძილზე და კაცთმოძულე კომუნისტთა ოფიციალური ზეობის ხანაში, გაძარცვულისა და გაპარტახებულ საქართველოში, კიდევ ბევრი დარჩა დასატაცებელ- წასაღები, მოსაპარ- მისათვისებელ-გასაჩუქებელი. დღესაც საკმაოდ მოიძევებიან ქართველთა გადაჯიშება- გაქრობის მოსურვილეები.

მაინც რა გაქვთო ამდენი, რითი მოგაქვთო თავი? – ჩაიქირქილებენ მოკეთისა და მეგობრის ნიღაბაფარებული მტრები და მძარცველები.

ბევრი! სწორედ იმდენი, რამდენიც უფალმა გვიბოძა ამქვეყნად საარსებოდ ქართველებს.

ერის მამა, ბრძენი ილია: "ტყე – მინდორი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი, იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა, სულო და გულო, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო.

ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა"

დიდოსტატი კონსტანტინე: "საქართველოს რესურსები, მისი მარგანეცი, ღვინო, ციტრუსები და მადნები სამ რესპუბლიკას ეყოფა".

ამიტომაც ეზიდება ლამის სამი საუკუნეა "ჩრდილოელი მფარველი" ჩვენს სიმდიდრესა და ქონებას, ვერაფრით ამოიყორა უძღები სტომაქი და თავგადაკლული იბრძვის უგემრიელესი ლუკმის სამუდამოდ დასაკუთრებისთვის. შავბნელი მიზნებისა და სურვილების გამცხადებლებიც საკმაოდ მოიძევება – სულგაყიდული ქართველები და ჩვენში მოსახლე ქართულ გვარ-სახელებს ამოფარებული უცხოტომელები, სათანადო გასამრჯელოს საფასურად მზად არიან მბრძანებლის ნება – სურვილის აღსასრულებლად. მხოლოდ ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების საქმიანობის პერიოდში გახდა შესაძლებელი წითელი ურჩხულისა და უღირსი, გამყიდველი, ქვეყნის ამაოხრებელი ქართველების, თხუთმეტ მანეთად "გაქართველებულ" მძარცველთა ალაგმვა, ურგები სკამებიდან გადმოსკუპება. ქვეყნის განძი და სიმდიდრე ქართველთა საკუთრებად გამოცხადდა.

მაგრამ, ხანმოკლე გამოდგა იგი ბედნიერი ხანა ჭეშმარიტი ქართველებისთვის. წითელმა რევანშისტებმა ვერაფრით იგუეს ძალაუფლების დაკარგვა და მსოფლიოს რეაქციული, ბნელი ძალების თანხმობითა და ხელშეწყობით, მოსკოვს დაბანაკებულ "მსოფლიოს რანგის პოლიტიკოსს", მის კრიმინულურ ბანდებს, დიდძალი ფულის მიცემითა და კბილებამდე შეიარაღებული კაციჭამია სალდაფონების მიშველიებით, კანონიერი ხელისუფლების დამხობა და საქართველოს აოხრება უბრძანეს. საზარელი ჩანაფიქრი და გეგმა, შემზარავ სინამდვილედ გაცხადდა- კანიბალებმა ქართველათა სისხლის ტბორები დააყენეს და მართალთა გვამებზე გადალაჯებულებმა ისევ წითლების მეფობა აღადგინეს. მაშინდელ "გამარჯვებულთა" ბანაკში ირიცხებოდა მწვანეთა პარტიაც, რომლის ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილი, მანამდე საზოგადოებისთვის უცნობი

“წინამძღოლი”, თბილისს მობრუნებულ “შევის” ამალაში თვალშისაცემად ყელყელაობდა და საქართველოს დაქცევის დამწყებთაგან გამზადებული, შავბნელ საქმეთა საკეთებლად ემზადებოდა.

ცნობილია, რომ შევარდნაძეს თავისით რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლება არასდროს ჰქონდა. თუმცა, ამისი უნარი არც გააჩნდა. მითუფრო, სისხლიანი გადატრიალების მოთავების მერე “პრეზიდენტობარგებულს” არც მსოფლიოს ახალი წესრიგის დამყარების ავტორები და არც წითელი იმპერატორი, მათ დაუკითხავად თითის განძრევის ნებას არ მისცემდნენ. აი, სწორედ ამ ძალების ბრძანებით აღმოჩნდა მის გარემოცვაში მწვანე “პოლიტიკოსი”, რომელიც მალევე “პრეზიდენტისგან” შეკოწიწებულ-შეთითხნილი პარტიის გენსეკი გახდა. მერე უკანონოთა უკანონო “პარლამენტის” დეპუტატი იყო, 1995 წლიდან კი დღემდე “სპიკერად” მუშაობს.

მაინც ვინ არის, საიდან მოვიდა “პარლამენტის სპიკერი?”

1998 წელს, გაზეთ “თვალთაის” მეცამეტე ნომერში, სათაურით “ზანაზანა იგივე ზურაბი”, გამოქვეყნდა “პარლამენტის თავკაცის” ვინაობის

მაუწყებელი ინფორმაცია:

“1959 წლის ივლისში თბილისიდან ექსკურსიაზე გაემგზავრნენ ლენინაკანში, იქაური მძღოლის **სურენ ხაჩიკის ძე ანტონიანის** ავტობუსით. ამ ჯგუფში შედიოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი **რემა გოლდბაუმი** (“ვაენტორგის” მესაწყობის შვილი). ექსკურსანტები თბილისში იმავე მძღოლმა ჩამოიყვანა. ამ მოგზაურობის დროს სურენსა და რემას შორის რომანი გაიბა, რაც 1960 წლის თებერვალში მათი შეუღლებით დამთავრდა. სურენ ანტონიანს (1932 წელს დაბადებულს) ლენინაკანში ჰყავდა ორი შვილი-**ხაჩიკი და აშოტი.**

რემას და სურენს 1961 წლის 15 იანვარს შეეძინათ ბიჭი **ზანაზანა**, რომელიც რამდენიმე წელი იზრდებოდა “პეტროვიჩი”-ს ბაგა-ბაღში “დომ ლოტჩიკოვ”-ის უბანში. 1962 წლის მარტში სურენ ანტონიანი თავისი ავტობუსით დაიღუპა ახალქალაქში. იგი დაასაფლავეს ლენინაკანის გარეგინას სასაფლაოზე. რემა გოლდბაუმმა დაამთავრა რა უნივერსიტეტი, მუშაობა დაიწყო ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც იგი 1962 წლის დეკემბერში ცოლად გაჰყვა ამავე ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკს **ბუსა ჟვანიას**. მასთან შეეძინა გიორგი, რა დროსაც დაბადების მოწმობა უკვე ახალი მონაცემებით ზანაზანასაც გაუფორმეს. ამჯერად იგი გახდა **ზურაბ ბუსას ძე ჟვანია.**

ამასობაში ახალი ბინაც მიიღეს “სპეციალისტები”-ს სახლში საბურთალოზე. ამ ოჯახში უკვე გოგონაც დაიბადა, რომელსაც ქალბატონმა რემამ პირველი ქმრის საპატივცემულოდ **ანტუანეტა** დაარქვა. 1992 წლის არჩევნების შემდეგ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები “პეტროვიჩის” საბავშვო ბაღიდან გაქრა. მაგრამ 26 კომისრების განათლების განყოფილების არქივიდან გამოცდილი იურისტის მიერ აღდგენილი იქნა. ზანაზანას ძმა მამის მხრიდან, ხაჩიკ ანტონიანი თავისი ქვეყნის

ეკლესიაში მესამე სასულიერო პირია, აშოტი კი ჯავახეთის ბიზნესმენთა “კრიშაა” (სტილი დაცულია, გ.ჯ.).

დასახელებული ინფორმაცია რამდენიმე გაზეთმა დაბეჭდა და მთელმა საქართველომ შეიტყო “სპიკერის” ნამდვილი ვინაობა. ეგ არის მხოლოდ, რომ ვერც ქვეყნის “მეორე პირმა” და ვერც ქალბატონმა გოლდბაუმმა ამის თაობაზე “ვერაფერი გაიგეს”, ან კი როგორ გაიგებდნენ, როცა ისინი ქართულ გაზეთებს “არ კითხულობენ” . სხვა საქმეა, თუ კი ამაზე “პრავდაში”, “კომსომოლსკაია პრავდაში”, “იზვესტიაში”, “მოსკოვსკი კომსომოლეცსა” თუ მათი შემწე, მფარველი ყინულოვანი იმპერიის გაზეთებში დაისტამბებოდა. არა და, პატარა სქართველოში, მითუფრო თბილისში, ამგვარი ცნობისმოყვარეობის აღმძვრელ-გამაღიზიანებელი ამბები თვალის დახამხამებაში ვრცელდებიან. თუმცა, დასამალი საქმისჩამდენი ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, რაც არ აწყობს და არა სურს, არც თვალწინ დადებულს დაინახავს და არც პირში ნათქვამს მოისმენს- ბრმა და ყრუ გახდება.

ასევე “ვერაფერი შეიტყვეს” გოლდბაუმ-ანტონიანებმა 1999 წელს, გაზეთ “საქართველოს სამრეკლოს” N106-ში, ბატონ გ. გოგაძის მიერ გამოქვეყნებული წერილის თაობაზე და “საკადრისი პასუხი ვერ გასცეს ამ მორიგ სიცრუესა და ცილისწამებას”. ამიტომაც ყველაფერი “დავიწყებას” მიეცა. ქართველთათვის დამაფიქრებელსა და გონზე მოსვლის მაუწყებელ წერილში ავტორი წერს: “ქართველმა საზოგადოებამ დიდი ხანია იცოდა ამ კაცის წარმომავლობა. მისი არაქართველობის დამტკიცებისათვის მისი ფიზიონომიაც კმარა: წვრილი, ღრმად ჩამჯდარი ღორის თვალები, ვიწრო დაფანჩული წარბები, ზევითკენ დაწვრილებული თავის ქალა (შეზღუდულობის მაჩვენებელი). მკვეთრად გამოკვეთილი არაქართული გაბუშტული ცხვირ-პირი. ზომაზე დიდი გავა. წაწვრილებული ხმა, მკვეთრად გამოხატული არაქართული დიქცია, ბრტყელ-ბრტყელი დაზეპირებული, არაქართული ფრაზები. არაქართული, გაურკვეველი გენოტიპი. მისი ლურჯი პირი-სახე მიუთითებს იმაზე, რომ იგი სადღაც შუა აღმოსავლეთიდანაა მოსული და რომ მის სისხლში წვეთიც კი არ არის სისხლი ქართული. ამიტომაა რომ ზანაზანა ასე გულგრილად უყურებს ქართველების გენოციდს სამეგრელოში.

ზანაზანა-ზურაბის დედა-ქალბატონი რემა გოლდბაუმი მორწმუნე იუდეველია, ხოლო ჭეშმარიტად ისრაელის შვილად ითვლება ის ადამიანი, ვინც იშვა ებრაელი ქალის საშოდან. ასე რომ არა აქვს მნიშვნელობა მამას. ზურაბ (ზანაზანა) ჟვანია (ანტონიანი) ჭეშმარიტი იუდეველია და მისაღებია, როგორც მსოფლიო სიონისტური, ასევე მსოფლიო მასონური ორგანიზაციისათვის” (სტილი აქაც და ყველგან დაცულია, - გ.ჯ.)

დაგვეთანხმებით, ზედმიწევნით ამომწურავი დახასიათებაა, რომელსაც აღარაფრის მიმატება აღარ სჭირდება. თუმცა, ერთ ანგარიშგასაწევსა და გასათვალისწინებელს მაინც დავამატებდით: ცნობილია, რომ იუდეველნი ასო “რ”-ს მკაფიოდ, გარკვევით ვერ გამოთქვამენ და მას ასო “ლ” –თან შერწყმულად წარმოსთქვამენ. დარწმუნებული ვართ, ბევრმა ამას ყურადღება მიაქცია და “სპიკერის” უსიამო ხმით, გატყლარჭულად მეტყველებისას, ჩვენგან მინიშნებული ამოიცნო.

... ამასაობაში “სპიკერი” დროს არ კარგავდა და შესაშური მონდომებითა და ხალისით, მოუღლელად ასრულებდა ზემოხსენებული ორგანიზაციებიდან და ბოროტი

იმპერიიდან წამოსულ ბრძანება-დავალებებს. სწორედ ერთი ასეთი დავალება ითვალისწინებდა მის სტრასბურგში ჩასვლას და ევროსაბჭოს დარბაზში თავშეყრილთათვის ჩვეული უსიამო ხმით მიმართვას: ქართველი ვარ და მაშასადამე ევროპელი გახლავართო! აი, სწორედ ამ წინადადებამ "უზრუნველყო" საქართველოს ამ უძალო ორგანიზაციაში გაერთიანება, დღემდე იოტისოდენა სასიკეთო რომ არაფერი შეაწია ტერიტორიებწართმეულ იბერთ ქვეყანას.

ისევ ბატონ გურამს მოვუსმინოთ: "ის ქართულ საზოგადოებაში იმდენად უცნობი და შემთხვევითი პიროვნება იყო, დიდი ყურადღება მისთვის არ მიუქცევიათ. წარმოუდგენელი იყო ყოველგვარი პოლიტიკური საფეხურების გავლის გარეშე, უცბად მოევლინა თბილისს ყველასათვის უცნობი, გაურკვეველი წრსულის მქონე და უფრო ბუნდოვანი ეროვნების ახალგაზრდა. სრულიად, არაქართული მანერის, ქცევის, დიქციის და ფერის ბიჭი საეჭვოდ დიდი ფულით და ჩამოაყალიბა მწვანეთა პარტია. ქართველთა "მწვანეების" ხელდასმა მოხდა საერთაშორისო "მწვანეების" უშუალო ხელშეწყობით და დაფინანსებით. მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაციას თავის მხრივ განაგებს მსოფლიოს მასონურ-სიონისტური მოძრაობა. ზანაზანას სწორედ ამ ორგანიზაციაში აქვს გავლილი "აპრობაცია", რის შემდეგაც დაიწყო მისი არნახული პოლიტიკური აღზევება.

ზანაზანა შევარდნაძესთან "მწვანეებიდან" მოვიდა. მისი უშუალო ხელშეწყობით გაჩანაგებული იქნა საქართველოს ტყეები და გაზიდული იქნა საზღვარგარეთ. ეს დანაშაული დღესაც გრძელდება".

თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი შოთა მეფარიძე: "წყნეთში მიწების უკანონო გაყიდვა 1992 –93 წლებში გამგებელმა დაიწყო. აქ მაფია მუშაობს. დეპარტამენტის თავმჯდომარემ მითხრა, მაგათ ჟვანია მფარველობს და ვერაფერს გახდებიო". (გაზეთი "დრონი", 2000 წ.)

კვლავ გურამ გოგაძის წერილიდან: " როცა თბილისში და მთელ

საქართველოში ქართველების აღვირახსნილი გენოციდი მიმდინარეობდა, ზანაზანა შორიდან უყურებდა ამ სისხლისღვრას. მას წარბიც არ შეხრია აფხაზეთში მათ მიერ დაგეგმილი შედეგების გამო, არც პროტესტი გამოუთქვამს. იმიტომ, რომ იქ სხვათა სისხლი იღვრებოდა. იგი ძალზე ბუნებრივად, შეშფოთების გარეშე შეხვდა სამაჩაბლოს მოღალატურ გასხვისებას. შესანიშნავად გრძნობდა თავს ციხიდან ახალგამოშვებულ კრიმინალებთან, მხედრიონთან. ყოველთვის პოულობდა საერთო ენას ყველა ჯურის ნაძირალასთან. მისი აზროვნება პრაგმატულია: წყალსაც წუღია ქართველებიც და საქართველოც, რადგან მას სხვა სამშობლო აქვს. მისი სამშობლო – მთელი მსოფლიოა. მხოლოდ არა საქართველო. ესაა სიონისტურ-მასონური იდეოლოგია. მე არ გამოვრიცხავ, რომ შესაძლოა ამ კაცს პათოლოგიური ზიზღით სძულდეს ყოველივე ქართული. იგი სრულიად უცხო სხეულია ქართულ სინამდვილეში".

ბატონ გურამს არც 1999 წელს "სპიკერის" ამერიკაში გამგზავრება ავიწყდება და შემდეგს გვამცნობს: "ტურნე კალიფორნიიდან. ამერიკელი სომხების ცენტრიდან დაიწყო.

როგორ გავიგოთ რა ამბავი ჩაუტანა იქ. ვის და რატომ შეხვდა. იქ საზღვარგარეთელი სომხების დიასპორა, მასონებისა და სიონისტების მსოფლიო ცენტრებია. როგორ გავიგოთ რომელი მათგანისაგან რა დავალება მიიღო, სად რა ილაპარაკა. შეიძლებოდა ერთი კაცის გაგზავნა ასეთ საპასუხისმგებლო მივლინებაში სახელმწიფო საქმეზე, ისიც ასეთი კაცის გაგზავნა? ან რა გაუჭირდათ "პარლამენტში", ასეთი ეროვნების ადამიანს რომ შეაჩეჩეს ხელში საქართველო".

დავალება კი მართლაც ბევრი მიიღო "ევროპელმა ქართველმა", როგორც მამის მხრიდან სისხლისმიერი მოდგმის მფარველებისგან, ისე ოკეანის გაღმა მრავლად მოსახლე დედის მხრიდან სისხლისმიერი ჯილაგის პოლიტიკურად და ფინანსურად გავლენიანი ბოსებისაგან: საქართველოს საბოლოოდ გაპარტახება და დანგრევა, ქართველთა სამუდამოდ ამოძირკვა და განადგურება...

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე, ბატონი **შალვა ნათელაშვილი**: "კარგი იქნებოდა, ჟვანიას პასუხი გაეცა მოსკოვში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსის ჭკუასელის განცხადებაზე, რომ ჟვანია ამერიკაში ებრაული კლუბის წევრია" (გაზეთი "ახალი თაობა", 2000 წ.).

"სპიკერი" კი დუმდა, გულდაგულ ასრულებდა დავალებებს

"პრეზიდენტთან" და თანამოსაქმე – თანამოაზრეებთან ერთად, მომეტებულად კი მისნაირ თხუთმეტ მანეთიან "ქართველებთან" შეკრულ-განდგომილი. მოგეხსენებათ, ოფიციალურ საბჭოეთში, საკუთარი გენისა და მოდგმის მოძულეებს, სულ რაღაც თხუთმეტ მანეთად შეეძლოთ გადაქცეულიყვნენ ნებისმიერი ეროვნების არსებებად. სწორედ ამგვარი "ქართველები" გვითხრიდნენ ძირს ოდითგან და დღესაც ფარულად, დაუნდობლად გვიტევენ და გვმტრობენ ყველას მიმტევებლ, გულმოწყალე და კაცთმოყვარე იბერიელებს.

ახლა "თავის მსურველთაგან სპიკერის ქართველობაში ეჭვმიტანილობით შეურაცხყოფილ-შეძრწუნებულ-აღელვებულ" საქართველოში დავბრუნდეთ. მართალია სომეხ-ებრაელობაში მხილებული, ყველანაირი უფლებებით მინიჭებული და აღზევებულ-გათამამებული "სპიკერი არაფრად აგდებდა, დიდად არ აღელვებდა" მისი ჩამომავლობის ამგვარად გადმოფარჩავება, მაგრამ სისხლი წინაპართა, მოსვენებას უკარგავდა და სამაგიეროს გადახდას – ქართველთა საზიანოდ გასაკეთებლ უამრავ საქმეთა გაგრძელებას მოუწოდებდა. ერთი ასეთი, ქართველთაგან მარადჟამს ნალოლიავებ-ნაფერები და საამაყო-თავმოსაწონი, მათს მიწაზე მოსახლე უცხოტომელთა გარკვეული ნაწილისთვის ძნელად მოსანელებელი და დასაღონებელი, ეროვნულობის საკითხი გახლდათ. სწორედ ამ მხრიდან იყო აუცილებელი და სასწრაფო, ქართველებისთვის დარტყმა და დასუსტება, ეროვნული თვითშეგნების, ერისა და მამულის სიყვარულის, დაცვა-გაფრთხილების სურვილისა და მოწოდების აღმოფხვრა- ამოშანთვა, ეროვნული თვითმყოფადობის ჩაკვლა, ქართველთა ურთიერთგაუცხოება. ქართველებს საკუთარ გენსა და ჯილაგზე საუბარი სირცხვილად, შეურაცხყოფად უნდა მიეჩნიათ.

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი **გ. ბოკერია**: "ვინც ამბობს, რომ ეროვნულობის აღნიშვნა აუცილებელია, ის ან ბრიყვია, ან ქვეყნის ერთიანობის

წინააღმდეგ მიმართული აზროვნება აქვს, ან წმინდა წყლის ფაშისტია (გაზეთი “ალია” 2000 წ.).

დასახელებული “ინსტიტუტი” სპიკერის წყალობითა და მფარველობით სულდგმულობს, მისი ნასუფრალით საზრდოობს, მის ნება-სურვილს აღასრულებს. ამიტომაც, გასაკვირვი არ არის საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე, სისხლისმღვრელი გადატრიალების მომწყობთა მხარის დამჭერი მოჭადრაკე ქალბატონის, კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მიტინგების დარბევა-დახვრეტის მრავლგზის მონაწილის, მერე იტალიაში კარგახნით გახიზნული ძის ამგვარი აზროვნება.

მოქალაქეთა კავშირის წევრი, “პარლამენტარი და მომრიგებელ მოსამართლე” **ვ. მაღლაფერიძე**: “ეროვნების აღნიშვნა ეს არის ადამიანის უფლებების შელახვა” (გაზეთი “7 დღე”, 2000 წ.). “შევის” პარტიის აქტივისტი მანქურთის აზროვნება სხვანაირად წარმოუდგენელია.

მაგრამ , მარტო ეს ვაი – ქართველები როდი ფიქრობენ ასე, “პარლამენტი” სავსეა მათნაირებითა და თხუთმეტმანეთიანი “ქართველებით”.

მწერალი **რევაზ მიშველაძე**: “პრეზიდენტმა გაურკვეველი ეროვნების ათიოდე კაცი მიყვანა და მთელ საქართველოს თავზე დაასვა და ეხლა ყველამ უწყის, რომ ამ ათი კაციდან უმეტესობა არაქართველია (გაზეთი “მერიდიანი-44”, 2000წ.).

რატომ ათი და არა ათჯერ ათი? იგივე მდგომარეობაა “კანცელარიასა და სამინისტროებში, სხვადასხვა სამთავრობო” დაწესებულებებშიც. ასეა, საქართველოს დღეს სააკოვ-სააკიანები, ხუდადოვები, ამირხანოვები, ჩილინგაროვები, პირუმოვები, აშკენაზები, მერაბოვები და სხა ჭრელა-ჭრულა რჯულის არსებანი განაგებენ. ამიტომაც შეძლეს ადვილად, უმტკივნეულოდ, მცირეთაგან მცირეოდენი გაფართხალების დაძლევით “პარლამენტის” დათანხმება დაბადების მოწმობიდან და პასპორტიდან ეროვნების მაუწყებელი გრაფის გაქრობა.

პირველ პირობაზე მეოცნებე “მეორე” პირს მოსვენებას უკარგავდა 1992 წელს, გაზეთში “საქართველოს ცის ქვეშ”, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასგან თქმული: “ეროვნული ცნობიერება აყალიბებს ადამიანს ადამიანად. რელიგია და ეროვნება წარმოადგენს ადამიანის განმასხვავებელ ნიშანს. ხოლო ადამიანისთვის ყველა ეროვნული განმასხვავებელი ნიშნის წართმევა უმძიმესი დანაშაულია მის წინაშე და მისი, როგორც პიროვნების დეგრადაციის დასაწყისია. დენაციონალიზაცია-ეს არის წინაპრების, წარსულის უპატივცემლობა. ეს ადამიანის ეროვნული ფესვებიდან მოწყვეტაა. ადამიანის კულტურა განუყოფელადაა დაკავშირებული მის ეროვნებასთან.

ცხოველებს არ გააჩნიათ ეროვნება!”.

სწორედ ამისი მიღწევა ეწადა “სპიკერს” და ბატონ ზვიადის უდიდესმა მოძულემ, ცხოველთა ზნე –ჩვეულებების სპეციალისტმა,

ქართველთათვის წინასწარმეტყველი საშიშროება, სინამდვილედ გადააქცია.

დღეს ქართველები უეროვნებო, მსოფლიო მოქალაქენი ვართ.

მართალია პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩაჯდომის

მოსურვილემ ქართველებისთვის ეროვნების "წართმევით" თავი ერთგვარად მოსვენებულად, "გამარჯვებულად" დაიგულა, მაგრამ ნუ იტყვით და მტერს მაინც არა სძინებია. ამ სავარძლის მოცილეთაგან წაქეზებულმა "უხილავმა" მჯღაბნელებმა ურდოში აფრინეს უსტარი, რომელშიც "სპიკერთან" ერთად, სხვა სამი დანარჩენი პოლიტიკანის უცხოტომელობაზეც უწყოდნენ. შედეგმაც აღარ დააყოვნა და ივლისის დამდეგს, საქართველოდან მიღებული "სენსაციური" არზა-ვედრება, სლავმა წითლებმა ერთ-ერთ გაზეთში დასტამბეს. ამით ჩრდილოელმა მფარველ- მბრძანებლებმა "დასავლური ორიენტაციის ევროპელ ქართველს" თითი დაუქნიეს, ყური აუწიეს და სასწრაფოდ თავის გამართლება და სათანადო ზომების მიღება მოსთხოვეს.

მეტი რა გზა ჰქონდა "სპიკერს", ყველაფერი უნდა ეღონა "ბრალდების" გასაქარწყლებლად. მანამდე "პარლამენტში" ეროვნების უარყოფა- უკუგდების კანონის მიმღებს, ახლა კბილებით უნდა დაეცვა, "საკუთარი ეთნიკურობა" და სტრასბურგის დარად, კიდევ ერთხელ ხმამაღლა ეყვირა: "ქართველი" ვარო. საამისოდ, მას დამორჩილებული საინფორმაციო საშუალებების სასწრაფოდ და მთელი ძალით ამოქმედება გახლდათ აუცილებელი, თანაც თანამოსაქმე-თანამოაზრეთაგან მრავალგზის აწიოკებულ-დარბეული "მშობლიური" კუთხის მონახულება და "ახლობელთა" მოკითხვა- მოსიყვარულებაც უნდა გაეთამაშებინა. ერთი სიტყვით, მაღალჩინოსანი პირისთვის მხარდამჭერ-გამამართლებელი კომუნისტური კამპანია უნდა გაჩაღებულიყო.

და დაიწყო: ტელევიზიით გამოსულმა, ყოველგვარი ეროვნულობის მოწინააღმდეგე და მოძულე "ხელისუფლებისგან" დაპურებულმა არსებებმა, თავი გადაიკლეს და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ "სპიკერის N1 მეგრელად ანუ N1 ქართველად " გამოცხადებაში. ეგარის, მხოლოდ ასევე სომეხად მხილებულმა ჭანტურიას "ქვრივმა", ჩვეული ღვარძლიანობით დაადასტურა "ევროპელი ქართველის" სომხობა, საკუთარი კი ცხადია უარყო. მერე წითელ- ყვითელი პრესა ახმაურდა, ისინიც "სპიკერის ქართველობას" იფიცებოდნენ და ღაღადებდნენ. "კალმოსნები" ამას არ დასჯერდნენ და თავიანთს სახლში

გოლდბაუმ-ჟვანიას ქორწილის "თამადას, მაყრიონსა და ძველისძველ მეზობლებს" მოუხმეს. თავშეყრილები, ერთიმეორის მიყოლებით

"იხსენებდნენ" ქორწილის ამბებსა და წვრილმანებს, მაგიდაზე მიტანილი

კერძებისა და ტკბილეულის "რაოდენობას, დაუვიწყარ გემოს" და რაც მთავარია, ყველა იქ მყოფი ერთხმად "ამტკიცებდა" ამ კავშირის უშუალო ნაყოფის "ჟვანიაობას" (!).

იაფფასიანი და გულისამრევი კამპანიის დამაგვირგვინებელი ნაწილი გახდა "სპიკერის მშობლიურ კუთხეში" მრავალრიცხოვანი დაცვა-ამალით სტუმრობა. მართალია, აბაშასა და ზუგდიდში, თბილისიდან ჩასულებითა და მცირეოდენი ფქვილით ჩამორიგებული ადგილობრივი სულგაყიდული არსებებით შევსებულმა დარბაზმა სტუმარს "მეგრელობა ანუ ქართველობა" დაუდასტურეს და მფარველობა ანუ "ცივილიზებულად" რომა ვთქვათ, ლობისტობა შესთხოვეს, სამაგიეროდ გარეთ, რკინისკუნთება დამცველებისგან იზოლირებული მართალი ადამიანები ხმამაღალი გულისწყრომითა და ტრანსპარანტებით ამტკიცებდნენ "ევროპელი ქართველის" არაქართველობას.

ცხადია, ამას ვერაფრით იგუებდნენ დარბაზში მყოფნი და დედაქალაქიდან ჩაყვანილ გამოცდილ დამრბევებთან ერთად, პროტესტანტებს შეუტიეს. თუ არა მართალი ადამიანების ძალისხმევა, ადვილი შესაძლებელია ეს სამარცხვრინო, წინასწარ ჩაფიქრებული შეტაკება, სისხლისღვრით დასრულებულიყო.

ბუნებრივია, მომხდარის შესახებ "ვერაფერი შეიტყო სამეგრელოს ლობისტმა, იგი თვისტომთათვის მშობლიური კუთხის აყვავების დაპირებებით იყო დაკავებული". აი, ამ გვარად "გამართლებული, საბოლოოდ მეგრელად ანუ ქართველად დამტკიცებულ-დადასტურებული" დაბრუნდა დედაქალაქში. "ასე გაქარწყლდა და გაბათილდა" მისთვის წლების მანძილზე თანმდევი უსიამო "ჭორი", და ბოლოდროინდელი რუსული საგაზეთო პუბლიკაცია.

გაბათილდა კი? მაშ რა ვუყოთ აბაშასა და ზუგდიდში, მართალი და პატიოსანი ხალხისგან ნათქვამ სიმართლეს, ტრანსპარანტების მოწოდებებს: "სამეგრელო დაბადების მოწმობა არ არის !" და "სისხლს რაღა ვუყოთ?".

შალვა ნათელაშვილი: " რაც შეეხება თავყრილობას, რომელიც ზუგდიდში ჩატარდა, ეს იყო ბინძური პროვოკაცია საქართველოს

წინააღმდეგ. ეს გახლავთ ჟვანიას ხრიკები, რომელსაც სურს სამეგრელოს ფაქტორის გამოყენება თავისი ბინძური მიზნების მისაღწევად და პრემიერ-

მინისტრის საკმზე ასაბობღებლად, შემდეგ კი პრეზიდენტის სკამზე გადასასკუპებლად. ალბათ, უარესს საქართველოს წინააღმდეგ ვერანაირი მტერი ვერ მოიმოქმედებს "(გაზეთი "ახალი ერა", 2001წელი, 13 ივლისი).

მართალი ბრძანდება ქართველი ლეიბორისტების თავკაცი. ბოლო ათწლეულის ქართველ პოლიტიკანთა მიერ ქვეყნის მოსახლეობისთვის თავსმოხვეულ ბინძურ პოლიტიკაში ჩახედულისთვის, უმცირეს წვრილმანებამდეა ცნობილი, თუ ვინ რა წილი ჩაიდო საქართველოს დაქცევაში, ქართველთა გაუსაძლის ყოფაში ჩაყრაში, მათს გაუბედურებაში. და იცის, ვითარცა ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა, ვისი გორისაა "ევროპელი ქართველი".

გელა ჯიღაური

2001 წელი, ივლისი

ბოროტისაგან ბოროტება გამოდის!

ანუ გაფრთხილდით ამხანაგო პრეზიდენტო!

სამყაროს შექმნისას უფალმა ყველას და ყველაფერს კუთვნილი მიაგო. ცოცხალ არსებათა შორის უდიდეს საოცრებას-ადამიანსაც თავისი არგუნა, რომელთაგან ძირითადი გახლდათ ცნება **თავისუფლება** რომლის შელახვის უფლება არავის უბოძა. პირიქით, ამგვარი სურვილის აღძვრისა და აღსრულების შემთხვევაში, არავის ინდობდა და უმკაცრესად სჯიდა. სწორედ ამისთვის აღგავა მიწისაგან პირისა სხვათა თავისუფლების ხელმყოფი ზოგიერთი უძღები მოდგმა, დაშალა და დაამსხვრია უსამართლო, სისხლისმღვრელ ომებში დროებით გამარჯვებული იმპერიები. ისე, რომ ღმერთი საბოლოოდ ყველას და ყველაფერს საკუთარ ნებას უმორჩილებს და ადამის ჩამომავალთ, წილხვედრით დაკმაყოფილებას აჯერებს. გონებაჯანსაღნი და მორჩილნი ყურად იღებენ, ჯერდებიან უფლისგან რგებულს, უძღებნი და ბოროტნი, შლეგნი და გონებაჩლუნგნი კი ისევ სატანას მონობენ და სხვათა დამორჩილებით ლამობენ გაძლიერებას, ნებიერი, მდიდარი ყოფის დამკვიდრებას.

ამ მხრივ, პირველობას ვერავინ შეეცილება ჩრდილოელ "ერთმორწმუნე" სლავ მეზობელს, მარადჟამს მადადაუმცხრალი რომ მიელტვის უცხო ტომების დაპყრობას, მათი მიწების მიტაცებასა და დაჩემებას. უზარმაზარი ტერიტორიის ხელთმოგდებული რუსეთის ყველა დროის იმპერატორები განუკურნებელი, ავბედითი სენით იყვნენ შეპყრობილნი–მსოფლიო ბატონობაზე ოცნებობდნენ. მაგრამ როგორცა ვთქვით, უზენაესს არავისთვის მიუნიჭებია ეს დასაგმობი უფლება და ცხადია, არც რუსთა უძღები მოდგმა იქნებოდა გამონაკლისი. და მაინც მოხდა ისე, რომ სწორედ სლავთა იმპერიამ მოაღწია მეოცე საუკუნის მიწურულამდე. მოაღწია ვერაგული, მზაკვრული ხერხებით და უზარმაზარ საპყრობილედ აგებულ სისხლიან იმპერიას, სხვადასხვა მოდგმის ხალხთა "ერთიანი, ძმური კავშირის" ქვეყანა ეწოდა. ბოროტობით, სიძულვილით, ძალადობითა და შიშით გაჟღენთილი საზარელი ნაგებობა, მასში იძულებით შეყრილი ადამიანების ძვლებითა და სისხლით იყო ნაშენები, რომელსაც მმართველად

ყოველთვის გაურკვეველი ეროვნების, საკუთარი ჯიშის უარმყოფელი ურჩხული-უზურპატორები, კაცთმოძულე ავანტურისტები ყავდნენ. ყველა წითელი მონსტრი და სისხლიანი ტირანი, თავის მემკვიდრეს არსებული გაუსაძლისი რეჟიმის კიდევ უფრო

გამკაცრების, დამონებულ ხალხთა მეტად დაპირისპირების, განადგურების, მათი სამკვიდრებლის მოსრა-გაქრობის შემზარავ ანდერძს უტოვებდა.

დანაბარები უდიდესი მონდომებითა და სიამოვნებით სრულდებოდა ახლადმოვლენილი გველეშაპი-მეთაურის მიერ. კომუნისტი ჯალათები, კაციჭამია ხელქვეითებთან ერთად ადგენდნენ წითელი იმპერიისათვის საშიში, "ზედმეტი" მცირერიცხოვანი ერების გადაგვარება-განადგურების გეგმებს და მერე ელვისებურად ახორციელებდნენ არაადამიანურ ჩანაფიქრს. აღსანიშნავია, რომ კრემლის დიქტატორთა მოქმდება ძირითადად კავკასიის დაუმორჩილებელ, თავისუფლებისმოყვარე ხალხებზე ვრცელდებოდა, რადგან მათ მიიჩნევდნენ იმპერიის დამსხვრევისა და მოსპობის უპირველს, უმთავრეს მოსურვილეებად და აღმსრულებლებად. ტირანნი მომეტებულად ქართველებითა და ჩეჩნებით იყვნენ დაშინებულები, მათი შეუპოვრობა და რაინდობა უკარგავდათ მოსვენებას, მათი ამბოხი სული და დაუმორჩილებლობის გაუნელებელი სურვილი აფორიაქებდათ, რადგან კარგად უწყიდნენ, რომ მათი ხელიდან დასხლტომა, უგემრიელესი და მსუყე ლუკმის – კავკასიის დაკარგვას მოასწავებდა. ამიტომაც იყო, რომ კავკასიის "გადამრჩენი და მფარველი" სლავი ხელმწიფეები, დღიდან დედამიწის ამ კუთხეში ფეხმოკიდებისა, გაუნელებელი მონდომებით იღვწოდნენ ამ ხალხების დამონებისა და განადგურების, მათი უმდიდრესი მიწების, სამყაროს ამ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნაწილის სამუდამოდ მისათვისებლად. ბოლო არ უჩანდა ჩრდილოელთა ვერაგულ თავდასხმებს და ეგზეკუციებს, აშკარა და ფარულ ბრძოლებს, რეპრესიებს, ამაყი და თავმოყვარე ხალხების დაპირისპირებას, გენოციდს… უნდა ითქვას, რომ რუსთაგან გატარებულ სამარცხვინო, დასაგმობ პოლიტიკას, დასაძრახ მოქმედებას, ყოველთვის სასურველი შედეგი მოჰყვებოდა – ურთიერთქიშპობასა და ბრძოლებში გამწყდარ-დაქანცულ ხალხებს, წამქეზებლები და მოსისინენი ძალზე ადვილად, უმტკივნეულოდ აბამდნენ ხაფანგში და მერე შიგ მომწყვდეულთა თხოვნითვე ადგამდნენ მონობის უღელს. ასე ფორმდებოდა "მფარველობის, გადარჩენის, ხელშეუხებლობის" ტრაქტატები და ხელშეკრულებები, შეთანხმებები. ასეთნაირად იზრდებოდა და ფართოვდებოდა რუსთა იმპერია, რომელშიც ყველანი და ყველაფერი "გადამრჩენლის" საკუთრება ხდებოდა. და რაც ყველაზე სავალალოა, იმპერიის ჩარჩოებში მომწყვდეული ხალხები უმალ კარგავდნენ ყველანაირ უფლებებს საკუთარ ქვეყნებში: ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე მეტყველება, იდევნებოდნენ რელიგიურობისთვის, მამა-პაპათა მიწა-წყლიდან აყრილებს, უსიერსა და მომაკვდინებელ ადგილებში ასახლებდნენ… ასე ჩაიკლა ეროვნული სული და გენი რუსთაგან დამონებულ ბევრ მოდგმაში, რომელთა ახლანდელი ნაშიერნი მხოლოდ დამპყრობლის ენაზე მეტყველებენ, მის ადათ-წესებს მიიჩნევენ მშობლიურად (?!).

შემდეგ კი დადგა ჟამი ჩაგრულთა და დამონებულთა "გადარჩენის, ხსნის, გათავისუფლების, მონობის ბორკილთა მსხვრევის, თვითგამორკვევისა". ცარიზმის უღელქვეშ მგინავ ერებს, სულზე "მოუსწრო" ურჯულო ვ. ულიანოვის თავკაცობით აბობოქრებულმა "დიადმა ოქტომბრის რევოლუციამ და საბოლოოდ იხსნა გაქრობისაგან". სახელ და ფერნაცვალ იმპერია-ჯურღმულში გამომწყვდეული ყველა მოდგმა "თანასწორუფლებიანი და თანატოლი" გახლდათ - რიგითსა და ბოგანო მეჯინიბესა თუ მრეცხავს, "თავისუფლად შეეძლო დაერიგებინა და შენიშვნა მიეცა"

ბოლშევიკური იმპერიის თავკაცისთვისაც კი და საჭიროების შემთხვევაში მის ადგლიზე წამოსკუპებულიყო.

ცნობილია, რომ ხელისუფლების მპყრობელი ღვთის მგმობი წითლები, ძალაუფლების შენარჩუნებას თავიანთი კაციჭამიობით ახორციელებდნენ. სხვანაირად შეუძლებელი იყო, რადგან წითელთა იმპერიის ფუძემდებელმა, თაღლითურად შენიღბულმა ულიანოვმა ძალაუფლება და ტახტი, წინამორბედი თეთრი იმპერატორის მოდგმის ამოწყვეტით, უზარმაზარი სამართავი აპარატის განადგურებით მოიპოვა. სიცრუესა და ორპირობაზე, გაუტანლობასა და ღალატზე, დაუნდობლობაზე, თვალთმაქცობაზე დაფუძნებული, ხელოვნურად და ძალადობით შეკოწიწებული "სახელმწიფო" ერთი ძირითადი და უმთავრესი პრინციპით არსებობდა – მბრძანებელ მოდგმას, მუდამ მორჩილებასა და შიშში ჰყავდა უმცირესნი და დაპყრობილ-დამონებულნი, ყველანაირი

მზაკვრული და ფარული ხერხებით რომ აჯიშებდა, ავიწროებდა, ციხე-

დილეგებსა და მასობრივ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილებს, მამა-პაპათა მიწებიდან აყრას აიძულებდა და მანამდე სხვებისთვის წართმეულ შუა აზიის მხურვალე უდაბნოებსა და ყინულოვანი ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის

უკაცრიელ, გაუსაძლის ტრამალებში გადაისროდა, იქ უღებდა ბოლოს.

სულიერი მამისგან და მასწავლებლისგან გაკვალული, უთვალავ უდანაშაულო ადამიანთა სისხლისგან დამბალი გზა გააგრძელა და გატკეპნა "ყველა ხალხების მამად" სახელშერქმეულმა ი. სტალინმა. დედამიწაზე სოციალიზმის მშენებლობისა და დამკვიდრების ერთ-ერთმა სტრატეგმა, საბჭოთა კავშირად წოდებულ უზარმაზარ საპყრობილეში რკინისებური რეჟიმი დაამყარა. "წესრიგისა და კანონიერების, სიმართლის დაცვას" უამრავი ხალხი შეეწირა – 1937 წელი ამ მხრივ ყველაზე სისხლიანი გამოდგა, უდანაშაულოდ დასჯილ-დახოცილ ადამიანებს არავინ ითვლიდა. განუზომელი იყო ბელადის "თანამემამულეთა" მაშინდელი ტრაგედია – ოცდაჩვიდმეტმა წელმა ყველაზე ბევრი ქართველი მოინელა. მაინც ვერ დაცხრა ტირანი, სამშობლოდ აღიარებული იმპერიის შესანარჩუნებლად ყველანაირ დამსჯელ მეთოდებს მიმართავდა: ერთი ასეთი ღონისძიება გახლდათ ფეთქებადსაშიშ ადგილებში მოსახლე მეამბოხე სულის ხალხთა აყრა-გადასახლება, ყოვლად აუტანელი ვითარების შექმნა და თანამიმდევრული გაჩანაგება. სწორედ ამგვარი ხვედრი ერგოთ თავისუფლებისმოყვარე, დაუმორჩილებელსა და რაინდ ჩეჩნებს, წინაპართა უმდიდრესი მიწიდან, შუა აზიის მკვდარ უდაბნოებში რომ გადაისროლეს. იქ უნდა განადგურებულიყო იშვიათი და საოცარი მოდგმა, მათი სამშობლო კი ჩრდილოელთა სამუდამო კუთვნილება გამხდარიყო. მაგრამ, ამაო გამოდგა ვერაგი ზრახვანი იმპერიის მმართველი ხროვისა. ვაინახებმა არავის დაანებეს ტანჯული სამკვიდრო, სასწაულად თავგადარჩენილები, მამა-პაპათა კერიებს დაუბრუნდნენ.

ხალხთა საზარელი საპყრობილის ერთ-ერთი მესაძირკვლის, ჩრდილოელთათვის აშკარად შეუფრებელი სახელის – დიდი რუსი ხალხის მბოძებლის, მათთვის დამშვრალ-მოღლილისა და ყველანაირი სიკეთის მსურველ-გამკეთებელი დიქტატორის

ამაქვეყნიდან გადასვლისა და მათგან რგებული "სამადლობლის" მიგების შემდეგ, ტახტი მის გარემოცვაში ტაკიმასხარად და ლაქიად მიჩნეულ არსებას ხვდა. ნ. ხრუშჩოვს თანამოსაქმეები დაუდგენელი ეროვნების პიროვნებად თვლიდნენ: ზოგი რუსად, სხვები უკრაინელად. ასეა თუ ისე, ამ ვირეშმაკასა და გაუთლელ არსებას, ღორის კოლტის მწყემსობა უფრო ეკუთვნოდა, ვიდრე სისხლიანი იმპერიის წინამძღოლობა. თუმცა, ხომ გაგიგიათ ჩვენებური ჭკვიანური ნათქვამი: "რაც ალხანა, ის ჩალხანაო". ჰოდა, "დიადი ქვეყნის" სამართავი აღვირი მამაზეციერმა ზედმიწევნით შერჩეულ "თავკაცს" ჩააბარა. ამერიკის შეერთებული შტატების დაწევისა და გასწრების შლეგურ-შეშლილი ჟინით შეპყრობილმა უჭკუო და რეგვენმა ხრუშჩოვმა, საბჭოთა კავშირად წოდებულ საპყრობილეში გამომწყვდეულ ხალხებს, ორ ათეულ წელიწადში "ამქვეყნიურ სამოთხეში" – კომუნიზმში შებრძანება და არნახულად ნეტარი ცხოვრების დამკვიდრება აღუთქვა. სინამდვილეში კი მისთვის საძულველი წინამორბედი დიქტატორის პიროვნების კულტის დაგმობითა და გაუთავებელი ლანძვა-გინებით, კიდევ უფრო გაამწვავა ეროვნული შუღლი "ერთიან ძმურ ოჯახში" გაერთიანებულთა შორის. ამიტომაც გაუჩნდა სურვილი შეგნებულად ათვალწუნებული ერის-ქართველების აყრა-გადასახლების, მიწისა პირისაგან აღგვისა და მათს სამოსახლოზე სლავთა გამრავლება-დამკვიდრებისა. მაგრამ, ვერ აისრულა საწადელი ჭკუით სნეულმა და ხეპრემ. თანამოსაქმე-თანამოაზრე ბანდიტებმა, მოულოდნელად გამოსდეს კვანტი და სიცოცხლის შენარჩუნების პირობით, ტახტის დათმობა აიძულეს.

ჩამოგდებულისა და შეგინებულის მემკვიდრე კი უკვე გვირგვინდადგმული გახლდათ. ასე გაიმპერატორდა ხრუშჩოვზე არანაკლებ უვიცი და უწიგნური, ყეყეჩი ლ. ბრეჟნევი: ოქრო-ბრილიანტისა და ჩინ-მედლების მონა, უთვალავი ორდენისა და მედალ-სიგელის კავალერ-მფლობელი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი "მწერალი", სამარცხვინო პოლიტიკოსი და მილიონობით ადამიანის საწყევარ-საგინებელი ავღანეთის სისხლიანი ომის გაჩაღებისთვის, ჩვენდა საუბედუროდ უამრავი ქართველი ახალგაზრდაც რომ შეეწირა. მაგრამ, სატანაგაბატონებული იმპერიის ხელმწიფემ თავისდაუნებურად, წინამორბედისგან დაწყებული ერთი სასიკეთო საქმე მაინც გააკეთა – გულდაგულ არყია და ანგრია შემზარავი იმპერიის ბალავარი და დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭულში პირადი საპირფარეშოთი მოგრიალემ (ლამის საბანკეტო მაგიდასთან მჯდომს, ზურგსუკანაც რომ უდგამდნენ), ჯოჯოხეთში მიმავალმა, გვარიანად შერყეულ-მოფამფალებულ-ჩამპალი დატოვა.

ხელმწიფობის ჯერი სუკის ცივსისხლიან შეფსა და კაცთმოძულე

ი. ანდროპოვს დაუდგა, მოხერხებულად რომ შეეცადა "სახელმწიფო წესრიგისა და სამართალ-კანონის დაცვა-გამყარებას". უამრავი ცოდვის ჩამდენმა და სამომავლოდ კვლავაც გამკეთებელმა, დიდხანს ვეღარ იბოგინა

და დიდი ხნით ადრე დასამკვიდრებელი ჯოჯოხეთის გზას დაადგა.

კომუნისტებს კი ტახტის მემკვიდრე უკვე გამზადებული ჰყავდათ და იმპერატორობა ამქვეყნად არაფრის მაქნისს, ცოცხალ-მკვდარ კ. ჩერნენკოს უბოძეს. თუმცა, არაფერი არ იყო გასაკვირვი – სისხლიანი იმპერიის მმართველ ვამპირთა ბანდას სწორედ მისნაირი

ლეში-თავკაცი აწყობდა. მათდა სავალალოდ, ტახტზე დადებულმა ხელმწიფემ მალე განუტევა სული და წითელმანდატიანები ისევ ტახტის მიტაცების, მმართველი უმრავლესობისთვის სასურველი თავკაცის ამორჩევის პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ.

იმპერატორის გვირგვინი გაქალაქელებულმა პროვინციელმა, გაქნილი და მოხერხებული მეუღლისგან მოკვარახჭინებული საქმის ჩაწყობით ხელთმოგდებულმა, ქაქან-ლაქლაქის მანქანის მჯობნმა მ. გორბაჩოვმა დაიდგა. ავანტურისტი და თაღლითი, ტრადიციული შოვინისტის აღზევებით, საბჭოეთში ახალი, იმპერიის დაშლა-გაქრობის წინაპერიოდი ჩამოდგა. ახლადგამომცხვარმა სისხლიანმა დიქტატორმა თანამოსაქმე ლაქიებთან ერთად, ხალხთა საპყრობილის შენარჩუნების სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა, რომლის გაცხადებასაც ხმაურიანი და სამარცხვინო, ტახტისა და მემკვიდრეობის შემარყეველ-გამოსაცლელი სიტყვები "გარდაქმნა და საჯაროობა" წარუმძღვარა. თვალთმაქცი "პოლიტიკოსის" განცხადებით, ეს ყველაფერი აუცილებელი წინაპირობა უნდა გამხდარიყო ახალი "დემოკრატიული ზესახელმწიფოს" ჩამოსაყალიბებლად. უნდა ითქვას, რომ ქაქანა ტირანმა თავდაპირველად შეძლებისდაგვარად მოახერხა იმპერიის უდიდეს ნაწილზე მოსახლე ბოგანო, გონებაჩლუნგი ადამიანებისთვის თვალებში ნაცრის შეყრა, მცირეოდენი ნდობის მოპოვება. ამის გამო ცრუპენტელა და თანამეცხედრის დაკრულზე მოცეკვავე იმპერატორმა, სამფლობელოს ვითომცდა მართლა გარდაქმნა-გადემოკრატების დასამტკიცებლად, საბჭოეთის პირველი პრეზიდენტის სახელიც მიიწება. ამ იაფფასიანი ხრიკებით სურდა ენაჭარტალა კაცუნას სისხლისფერი იმპერიის შენარჩუნება. იმას კი ვერა გრძნობდა, თუ კიდევ უფრო როგორ მოირყა იმპერია-საპყრობილის საძირკველი, როგორ იმრავლეს და იზარდნენ მის კედლებს მოდებულმა ბზარებმა. სულ უფრო მიზანდასახული ხდებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალების ჭკვიანური მოთხოვნები და მოქმედებები, თანამიმდევრული ზეწოლით რომ აიძულეს ავყია და ბრიყვი გორბაჩოვი, საკუთარი ნებით დაეთმო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, დათანხმებოდა გერმანიის გაერთიანებაზე.

და მაინც, ბოროტების იმპერიის დამანგრეველ-დამასამარებელი ძალა საქართველოდან დაიძრა. შეუძლებელი გახდა აზვირთებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იმპერიული, ტრადიციული გადამჭრელი ზომებით ჩახშობა. წითელი პრეზიდენტისა და მისი გარემოცვის ძალისხმევით თბილისში დატრიალებულმა აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ, უკან დახევისა და ჩაჩუმება-შეშინების ნაცვლად, უმტკიცესად შეაკავშირა ერი, რაც საფუძველი გახდა კომუნისტთა მმართველობის გაუქმებისა და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებისა, რასაც ეროვნული ხელისუფლების მოსვლა და პირველი ქართველი პრეზიდენტის, ეროვნული მოძრაობის თავკაცის ზვიად გამსახურდიას არჩევა მოჰყვა. ბატონმა პრეზიდენტმა ზედმიწევნით ზუსტი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. იგი აბსოლუტურად განსხვავებული იყო მანამდე არსებული კომუნისტურ-იმპერიულ-მონურ-შოვინისტური ურთიერთობის პრინციპებისგან. მისი მოქმედება სრულ თანასწორუფლებიანობაზე, უმეტესად დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან ურთიერთსასარგებლო ეკონომიკურ-პოლიტიკური კავშირის დამყარებაზე გახლდათ დაფუძნებული. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს მიუღებელი აღმოჩნდა ზოგიერთი მაშინდელი სახელმწიფოს თავკაცისთვის, რადგან თავათ იყვნენ გახლართულნი შავბნელ, მაფიოზურ-მასონურ დაჯგუფებებში და

ცხადია, მათთვის მიუღებელი იქნებოდა მფარველთა თუ თანამზრახველთა ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა.

არც რუსეთში ისხდნენ გულხელდაკრეფილები დაპყრობილი ქვეყნების დაკარგვით შეშფოთებული კომუნისტები. თავდაპირველად, მათი ახალი წინამძღოლი, მანამდე ჩვეულებრივი საქალაქო ტრანსპორტით მოსიარულე და ასევე ჩვეულებრივი პოლიკლინიკა-მაღაზიებითა თუ სხვა ყოფითი სამსახურებით მოსარგებლე, დემოკრატის სახელდაჩემებული, სინამდვილეში სულითხორცამდე კომუნისტი ელცინი, ვითომცდა დაყაბულდა უგემრიელესი ლუკმის-საქართველოს, იმპერიის ორთავიანი არწივის ჭანგებიდან დასხლტომას და ქართველი პრეზიდენტის ნებას "დაყოლილმა", ყაზბეგში ჩასულმა, ფრიად მნიშვნელოვან სახელმწიფოთაშორისო საბუთებსა და შეთანხმებებზე მოაწერა ხელი. ეს ყველაფერი ბოროტების იმპერიის ახალ წითელ პრეზიდენტს საერთაშორისო ნდობის მოსაპოვებლად სჭირდებოდა, თანაც მთლად მოსაწონი არ იყო, ახლად გაპრეზიდენტებულს, მეორე დღესვე ბომბდამშენები და ტანკები შეესია ქართველთა მიწა-წყლისთვის. პირიდან გავარდნილი მსუყე ლუკმის უკან ჯამში ჩაბრუნება, თანამეინახეებმა და უცხოეთის შავბნელმა ძალებმა ურჩიეს ახლო მომავალში მათგან დაგეგმილი მოსკოვს თავშეფარებული ქართული განაწყენებული პარტიული ნომენკლატურის, მათთან შეკავშირებული თანამდებობადაკარგული, ხელმოცარული კრიმინალური ინტილიგენციის მცირე ნაწილის მიერ წამოწყებული ამბოხების ანუ სამხედრო გადატრიალების დაწყების დღისთვის გადაედო.

მართალია კომუნისტური იმპერიის მმართველმა ხროვამ ჩვეული, მრავალგზის სასურველი შედეგის მომტანი ხერხების გამოყენებითა და ქართველ ხალხს, მის კანონიერ პრეზიდენტს გამდგარი მაფიოზურ-კრიმინალური ერთი მუჭა არსებათა მხარდაჭერით, დროებით შეძლო იბერთა ქვეყნის საკუთარ მარწუხებში მოქცევა და წითელთა წყობა-რეჟიმის აღდგენა, მაგრამ ვერაფერი გააწყო ქართველთაგან წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კანონზომიერ, ღირსეულ გამგრძელებელ-მემკვიდრე ვაინახებთან. მართალია, რუსეთის იმპერიულ ძალებს არც ამ ხალხის შემარცხვენელი ჰასბულატოვის, ავტურხანოვის, ზავგაევის, ჰაჯიევისა და მათი მსგავსების მოძებნა და "სამშობლოში წესრიგისა და კანონიერების დამყარებისათვის" შეგზავნა გაუჭირდათ, მაგრამ საბედნიეროდ, მათ თითქმის არავინ გაჰყვა-ჩეჩნეთში გამყიდველები და მოღალატეები, თითებზე ჩამოსათვლელები აღმოჩნდნენ. ამიტომაც გამოდგნენ უძლეველები ერთიანი სულისკვეთებით, ერთ მტკიცე ძალად შეკრული ჩეჩნები. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა რუსული იმპერია, რომ ხელისგულისოდენა ჩეჩნეთში ამგვარ წინააღმდეგობას წააწყდებოდა.

განწირულსა და აგონიაში ჩავარდნილს, ოდნავადაც არ აწუხებს დასაწყისიდანვე წაგებულ ომში დახოცილი უამრავი სლავი ჯარისკაცის, ტყვედ ჩაბარებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, მათი ახლობლების ბედი. წითელი პრეზიდენტი იანუშშიც არ აგდებს შვილმკვდარი და ჯერ კიდევ ცოცხალი ჯარისკაცების დედების საპროტესტო გამოსვლებს,

კატეგორიულ მოთხოვნებს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის, ჯარის

გამოყვანის შესახებ. საამისოდ, იმპერიის მესაჭეს ოდითგან დამკვიდრებული

“დასამშვიდებელ-დასაწყნარებელი” პასუხი აქვს მომარჯვებული – პრესითა და ტელევიზიით ურცხვად აცხადებს “უმცირესი დანაკარგებით განხორციელებულ წარმატებულ” საბრძოლო ოპერაციებზე, მოპოვებულ

“გამარჯვებებზე”.

განწირულის ბოდვასა და უაზრო ლუღლუღს, მხარს უბამს მესამედ გაწითლებული საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლება. 30 აგვისტოს, მიტინგზე გამოსულმა სახელმწიფოს “მეთაურმა” განაცხადა, რომ მართალია მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება, დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურები ასეა თუ ისე აღიარებენ რუსეთის მიერ ჩეჩნეთში გაჩაღებული ომის უკანონობას, ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევებს, მაგრამ არაფერს ამბობენ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ხელყოფაზე, რადგან იგი თურმე “კონსტიტუციურად რუსეთის განუყოფელი ნაწილი და კუთვნილება” ყოფილა. ცხადია გამომსვლელი, წითელი იმპერატორისგან შედგენილ-მიღებულ “კონსტიტუციას” გულისხმობდა. ყოველივე ამის შემდეგ, საღად მოაზროვნე ყველა ადამიანი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ წყლის ნაყვა მართლა უაზრობაა და არაფრის მომცემი, რომ კედელს შეყრილი ცერცვი ძირს ჩამოცვივდება, რომ ენას ძვალი არა აქვს…

ჰოდა, ლაქლაქობენ უსირცხვილოდ ესენგეს იმპერიის დიდ-პატარა ჩინოვნიკები ჩეჩნეთის “უკანონო” პრეზიდენტისა და “ბანდიტური” ფორმირებების მოსპობა-განადგურების გამო წამოწყებული ომით გამოწვეული დანგრეული ქვეყნის “აღდგენა-აღმშენებლობაზე”, დაუშურვებლად აცხადებენ და ასახელებენ ჩეჩენთა ხვალინდელი “ბედნიერი” ცხოვრებისთვის დასახარჯ ფანტასტურ-საარაკო თანხებს. და ყოველივე ამის შემდეგ რუსეთის ავიაცია დაუნდობლად ბომბავს, ნანგრევებად აქცევს იჩქერიის ქალაქებსა და სოფლებს… “აღდგენითი” სამუშაოები კი “ფართო ფრონტით არის გაშლილი”, დამპყრობელი ტრილიონობით რუბლს “არ იშურებს” ჩეჩენთა ქვეყნის “ასაყვავებლად”(!). ამასთან დაკავშირებით, რუსეთის ტელევიზიის პროგრამა “ვრემიას” გადმოცემულზე გვსურს გაგახსენოთ, ლენინგრადში გამართულ მიტინგზე პედაგოგი ქალი ლოზუნგით ხელფასით მხოლოდ ოთხი დღით თავის გატანაზე რომ გვაუწყებდა. მაშინაც რომ მაგიდაზე შემწვარ-მოხრაკული, სხვარამ პირის ჩასატკბარუნებელი არ ექნებოდა გაშლილი, კარგად მოგეხსენებათ. იცის ეს ბოროტების იმპერიის წითელმა იმპერატორმა და ოდნავადაც არ ადარდებს ამ დღეში მყოფი მილიონობით თანამემამულის ბედი და არხეინად იმეორებს მისთვის ეგზომ ხელსაყრელსა და მომგებიან გამოთქმას: ვინც რა უნდა თქვასო…

იგივე გამოთქმის მოშველიებით შეეცადა რუსთ ხალმწიფე ჩეჩნებთან მოლაპარაკებისაგან თავის დაძვრენას, მაგრამ პრეზიდენტ ჯოჰარ დუდაევის იმ ერთი მუჭა “ბანდიტური ფორმირებებისაგან” შერცხვენილი, ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის უთვალავი დანაკარგისა და ზარალის მიმგები, დასავლეთის სახელმწიფოების მეთაურთაგან ზემოხსენებულ გაფრთხილებათა მიმღები, იძულებული შეიქნა, თავისი უმაღლესი რანგის ჩინოვნიკები და თანამზრახველები მოსალაპარაკებლად გაეგზავნა სწორედ “უკანონო” პრეზიდენტის წარმომადგენლებთან და არა მისგანვე შეგზავნილ

გამყიდველ და მოღალატე "ეროვნული აღორძინების მთავრობის თავმჯდომარე" ს. ჰაჯიევთან, უ. ავტურხანოვთან, რ. ჰასბულატოვთან თუ ჩეჩენთა საძულველსა და მიუღებელ სხვა მარიონეტებთან, რომლებიც საბედნიეროდ ძალზე ცოტანი არიან.

მართალია მოლაპარაკება დაიწყო და მიმდინარეობს, მაგრამ წითელი ხელმწიფის მსტოვრები ჩვეული სიფლიდით, სიცრუითა და მზაკვრობით ყველაფერს კადრულობენ მის ჩასაშლელად. ამგვარი პროვოკაციებისა და შანტაჟის მომწყობნი იქით ედავებიან ჩეჩნებს – "ორპირობასა და ლაჩრობას" სწამებენ.შეთანხმების საფუძველზე მიღებული ტყვეთა გაცვლის პირობის შეუსრულებლობას, პრინციპით "ყველა, ყველაზე" ჩეჩნებს აბრალებენ და შეგნებულად ჩქმალავენ სიმართლეს – ტყვედ ჩავარდნილ-ჩაბარებული რუსი სამხედროების უარსა და პროტესტს სამშობლოში დაბრუნებაზე, სადაც მათი თქმით სასჯელის უმაღლესი ზომა თუ არა, მრავალწლიანი კატორღა მაინც აქვთ განაღდებული. ყოველივე ამის მიჩუმათებითა და თვალს მიფარებით სურს განწირულ იმპერიას არსებობის გახანგრძლივება და სხვა მრავალ უსუსურ საბაბთა მოშველიებით ცდილობს სადამსჯელო ჯარის ჩეჩნეთში დატოვებას, აზრადაც არ მოსდის მისი გამოყვანა. ასე ეწირება საზარბაზნე ხორცად გადაქცეული უამრავი რუსი ჭაბუკი, ჟინდაუმცხრალი იმპერიისა და მმართველი ბანდის მგლურ მადას. განწირული "ხელისუფალნი" ყველაფერზე მიდიან.

ვფიქრობთ, ძალზედ მოახლოებულია ბოროტების იმპერიის

დაქცევის ჟამი. გარდაუვალი აღსასრულით კიდევ უფრო

გახელებული და გაბოროტებული წითლები, გააფთრებული სისასტიკითა

და არნახულად მოძალებული ვამპირული მადით ელტვიან შემზარავი საპყრობილის ფუძეგამოცლილი, დაბზარულ-დამსკდარი კედლების შეკავებასა და გამაგრებას. მაგრამ, ამაოა ყოველივე-საძულველი იმპერია უნდა დაინგრეს და აღიგავოს მიწისგან პირისა. ბოროტების აუცილებელი ხვედრი სიძულვილი, მარცხი და განადგურებაა.

გელა ჯიღაური

გაზეთი "არჩევანი"

1995 წელი, ივლისი

"ვარსკვლავთცვენა"

წერილის მცირე ნაწილი ქვეყნდებოდა გაზეთ "ქუჯში" და შეწყდა გარკვეულ მიზეზთა გამო. ამჯერად გთავაზობთ მთლიანად

“ყოველი ხორციელი ბალახივითაა და ადამიანის ყოველი დიდება ბალახის ყვავილივითაა. ბალახი გახმა და მისი ყვავილიც დასცვივდა”.

ეს. 40.6 – 8

ასტროლოგების ანუ ვარსკვლავთმისნების განმარტებით, ვარსკვლავთცვენა ჩვეულებრივი ზეციური მოვლენაა, რომლის პერიოდულობის დადგენა შეუძლებელია. მეცნიერებმა ვერც იმისი დამტკიცება შეძლეს, თუ დედამიწაზე სად მოხდება ციურ მნათობთა ჩამოცვენა და ვერც იმაზე დებენ თავს, ნახა თუ არა ვინმემ როდისმე ჩამოვარდნილი ვარსკვლავი. ჰოდა, რაკი ეს არასდროს გაცხადდა, ადამიანებმა ისევ გამონახეს გამოსავალი და ... დედამიწაზე მოვლენილ ვარსკვლავებად საკუთარი თავი წარმოაჩინეს. ასე გაჩნდნენ ხელმწიფე – ვარსკვლავები, პრეზიდენტ – ვარსკვლავები, პოლიტიკოს – ვარსკვლავები, მეცნიერ – ვარსკვლავები. ვარსკვლავები გახდნენ მწერლები და ჟურნალისტები, მსახიობები, მომღერლები, სპორტსმენები...

ვარსკვლავი ადამიანები სახელთან ერთად ყოველთვის უზრუნველყოფილნი არიან ფინანსურად და ამქვეყნიური ყველანაირი სიკეთითა და უპირატესობით სარგებლობენ, ისევ გამორჩეულ – განსხვავებულის გამოგონებასა და დასაკუთრებას ესწრაფვიან. ზოგი მთათა მწვერვალებს, ქალაქებს არქმევს საკუთარ სახელს, სხვები გემებისა და თვითმფრინავების, გრანდიოზული ნაგებობებისთვის თავიანთი სახელების მინიჭებით კმაყოფილდებიან. ისეთებიც არიან, რომლებიც ავტომობილებს, სურსათ – სანოვაგეს, ჩასაცმელ – დასახურს, პარფიუმერიას ნათლავენ თავიანთი სახელებით. ისე რომ, ადამიანი – ვარსკვლავების უკვდავყოფა მრავალნაირი ფორმითა და პრინციპით ხორციელდება. ვერ გეტყვით, კაცობრიობა რომელს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ იმისი თქმა კი შეიძლება, რომ დედამიწაზე მოსახლეთა დიდი ნაწილისთვის მეტნაკლებად

ცნობილია ამერიკის კინო – ქალაქ ჰოლივუდში არსებული ვარსკვლავთა ხეივანი, სადაც მსოფლიოს კინოვარსკვლავთა უკვდავსაყოფად, იქაურობა ვარდისფერი მარმარილოს ვარსკვლავებით, ცემენტის ფილებზე აღბეჭდილი მათი ფეხების ტერფებისა და ხელისგულების ნაკვალევებით არის მოფენილი.

მოგეხსენებათ, ქართველებს ზოგჯერ წამბაძველობა შემოგვიჩნდება ხოლმე და ყველაფერს ვიღონებთ, არაფერს დავიშურებთ გულში ჩადებულის ასასრულებლად. აღმოჩნდა, რომ ბოლოხანს ოკეანეს გაღმელთაგან დაწესებული ზემოთქმული ტრადიციით დავინტერესებულვართ და სამუდამო უკვდავყოფისათვის “სახელგანთქმულ - აღიარებული” თანამემამულეებისათვის, დედაქალაქის ღირშესანიშნავი ადგილების მათი სახელწოდებული მარმარილოსა და გრანიტის ვარსკლავებით მოკირწყვლა გადაგვიწყვეტია. უცხოთა მიბაძვით გაღვიძებული ამ სურვილის გასაცხადებლად, იდეის სულის ჩამდგმელებმა, დასაწყისისთვის, ფილარმონიის მთავარი შესასვლელის წინმდებარე გრანიტის ბაქანი შეარჩიეს.

შარშან, მინიშნებულ ადგილზე, უდიდესი ხელოვანი, მშვენიერი ქალბატონი ნინო რამიშვილი თავათ დაესწრო მისი სახელდებული ვარსკვლავის გახსნას. საუკუნის მიწურულს კი მის მეზობლად მეორე ვარსკვლავი გამოჩნდა. იგი “პრეზიდენტის” ოჯახთან დაახლოებულის, უშუალოდ მისი თავკაცის აღმაფრთოვანებლის, საუკუნის

მომღერლად დასახელებულ ნ. ბრეგვაძის სახელობისა აღმოჩნდა. მეორე ვარსკვლავის დაგებას, პირველისაგან განსხვავებთი ერთგვარი სიახლე დაემატა – იქაურობა ფერადოვანმა ფეიერვერკმა გააბრდღვიალა. ასე მიეცა დასაბამი მოსალოდნელ თბილისურ "ვარსკვლავთცვენას", რომელიც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ქვეყნის "აღმშენებლობისგან" განსხვავებით, ელვისებურად განვითარდება. ამისი საბაბი კი ნამდვილად არსებობს – დღეს ხომ უამრავი "უთვალსაჩინოესი, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსები თუ მეცნიერები, მწერლები, ხელოვანნი, სამხედრო სტრატეგნი, საზოგადო მოღვაწეები" გვყვანან. და დააგებენ ვარსკვლავებს.

26 მაისს, რესპუბლიკის მოედანზე ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილი მრავალათასიანი ჭეშარიტი მამულიშვილების მიტინგის არნახული არაადამიანურობით დარბევის შემდეგ, ფილარმონიასთან კიდევ ერთი გრანიტის ვარსკვლავი დაიგო. იგი ანსამბლ "ორერას" მიეძღვნა. და გრძელდება "ვარსკვლავთცვენა" თბილისში. ბევრი მოელის, ყველას ეკუთვნის, ყველა ღირსია ვარსკვლავით უკვდავყოფისა. სამშობლოსა და ერის წინაშე "ვალმოხდილებსა და თავდადებულებს" კუთვნილი უნდა მიეგოთ.

შევუდგეთ საქმეს "საშურს" და იგი ქვეყნის "აღმშენებელთა, წინამძღოლთა, პოლიტიკოსთაგან" დავიწყოთ.

ცნობილია, რომ ციურ მნათობთა გარკვეული ნაწილი გამოჩენილ პიროვნებათა სახელებს ატარებენ. მამაზეციერმა ქართველებს ამმხრივ გული არ დაგვწყვიტა და ასტროლოგთაგან აღმოჩენილ ერთ – ერთ მნათობს "ყველაზე ცნობილი ქართველის" **ედუარდ –"გიორგი" შევარდნაძის** სახელი დაენათლა. ამ დიდებასა და პატივთან შედარებით, ნამდვილად ნაკლებად საკადრისია ყეყეჩი და უტვინო ბრეჟნევის დარად უთვალავი ორდენ – მედალ – ჩინის, სამ ათეულამდე ქვეყნის ცნობილი უნივერსიტეტების "დოქტორისთვის", გერმანიის "გამაერთიანებლისა" და მსოფლიოს "დამაშომინებლისთვის", კომუნისტური იმპერიის "დამანგრევლისთვის" თუნდაც უმშვენიერესი მარმარილოს ვარსკვლავით უკვდავყოფა, მაგრამ ასეთია წესი ახალი ტრადიციისა. სამაგიეროდ, ის კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს, რომ ცეკას შენობის წინ მდებარე მოედანზე დაგებული "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის", საქართველოს დამანგრეველ – დამღუპველის, საპატიო მხედრიონელის ვარსკვლავი ზომით სხვებისაზე გაცილებით დიდი და წარმოსაჩენი იყოს.

ბუნებრივია, "პრეზიდენტის" სახელდებულ ვარსკვლავს ირგვლივ თანამოაზრე – მოსაქმეთა და მეგობრების ვარსკვლავები უნდა შემოეწყვნენ.

პირველობა "შევის" დიდი ხნის მეგობარს, თანამოსაქმე "დოქტორ" **ჯ. იოსელიანს** ეკუთვნის. მართალია მერე პატრონმა "ოდნავ გვერდი უქცია პროფესორს" და ადგილი ციხის ფანჯარასთან მიუჩინა, მაგრამ იქიდან გამოსულს, მ. სააკაშვილის გამინისტრების გამო, "პარლამენტში" გათავისუფლებული ადგილის დაკავების უფლება უბოძა. ეს კია, ახალგაზრდა "რეფორმატორთა" წინამძღოლის, დაუდგენელი ეროვნების ახალგამომცხვარ ექსცენტრულ იუსტიციის "მინისტრს", კარგახანს არ ეთმობოდა "დეპუტატობა" და ორ სკამზე მჯდომი, ადვილი შესაძლებელია ორი ხელფასის უწყისსაც სიამოვნებით აწერდა ხელს (მართალია, ოჯახს მათით არ ინახავს, მაგრამ

მაინც ...). ესეც არ იყოს, ნომერ პირველ მხედრიონელს მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ: "დათიკო თუთაშხიასგან" თეატრიდან გამოძევებული მსახიობი, ვაკეში ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით მოწყობილი გამოსვლების მონაწილე ა. ტყაბლაძე, ჭანტურიას "ქვრივი" ი. სარიშვილი (პირუმოვა), მინისტრის პორტფელდატოვებული, დიდი ფულის მშოვნელი მ. მაჭავარიანი, მრეწველთაგან წახალისებული გ. ჟორჟოლიანი და სხვები. თუმცა, ეს ყველაფერი ვარსკვლავის დაგებას ხელს ნამდვილად არ შეუშლის.

მომდევნო ქვის მნათობს ედუარდ – "გიორგის" უხნესი მეგობრის, თანამოაზრის, მარჯვენა ხელისა და მისი შავბნელი ჩანაფიქრ-ზრახვების უნაკლოდ აღმსრულებლის. საქართველოსა და ქართველების დაღუპვა-განადგურებაში უდიდესი წილჩადებულის. მარადჟამს თვალს მიფარებულისა და უჩინრად მომქმედის, ბოლო დროს სამზეოზე გამოსულის. არნახულად პირქუშისა და გულცივის, მუდმივად დაბღვერილისა და ღიმილგაუკარებელი "უშიშროების საბჭოს მდივან" **ნ. საჯაიას** სახელწოდებულს დააგებენ.

შევარდნაძის ვარსკვლავთან ახლოს დაიმკვიდრებს ადგილს კახეთის ყოფილი "მმართველის", ყოფილი "სწავლულის", ამჟამად "მინისრტთა თავკაცის", სიტყვატკეპნია **გ. არსენიშვილის** ვარსკვლავი. მართალია მ. მეზვირიშვილის კალთას ამოფარებულმა ამ უხერხემლო, უსუსურ-უძალო, უნიათო "მოურავმა" ერთი თეთრის საღირალი არაფერი გაუკეთა კახელებს, მაგრამ სწორედ ამგვარი მშიშარა, უტყვი, მორჩილი დასჭირდა "პრეზიდენტს", ბოლო ხანს ერთგვარად "დაუმორჩილებელ – განდგომილი ყოფილი სახელმწიფო მინისტრის" სანაცვლოდ და "უძღები შვილის" ჩამოცილების მერე გამოთავისუფლებულ სავარძელში, "მეცნიერულად განსწავლული მოურავყოფილი" ჩაასკუპა. და მანაც განაგრძო პატრონის სტილ – მეთოდით "მოღვაწეობა": "საქმიანი ვიზიტებით" აღმა – დაღმა სეირნობა, დელეგაციათა მიღება – გასტუმრება, უცხოელ "ინვესტროთა საქმიან ქაღალდებზე" ხელმოწერა ...

"მსოფლიო პოლიტიკოსის" ვარსკვლავთან ახლოს დააგებენ ოდითგან მისი უერთგულესი თანამდგომ – ქვეშევრდომის. ოქტომბრელ – პიონერია – კომკავშირ – კომპარტიის წარჩინებულისა და კლასიკოსის. აღმასკომის თავმჯდომარის, რაიკომისა და ტეკას მდივნის სკოლაგამოვლილის. ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობისას თვალს მიფარებულ – მიყუჟულის. სისხლიანი გადატრიალების მხარდამჭერისა და მონაწილის, "პროვინციული ფაშიზმისა და დიქტატურის"დამმარცხებლის. შევარდნაძის კვლავ გამეფებით "დეპუტატის" მანადტით დაწყებული და მთლად "სახელმწიფო მინისტრის" პორტფელბოძებულის. მალევე "ჩამოქვეითებულის" და სანაცვლოდ შტატიანი "პარლამენტარობითა და უმრავლესობის თავმჯდომარეობით", მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობით, გადამხდელთა კავშირის წინამძღოლობითა და სხვა ბევრი თანამდებობა – წინადადებებით დაკმაყოფილებულის. "ქრისტიან ტაძართმშენებლად" მოვლენილისა და სხვა "საერო" საქმეთა გამცხადებლის. "პატიოსანი გზით, ალალი გარჯით დაგროვილი" უთვალავი რაოდენობის ფულის მშოვნელის. მეგობარ – თანამოსაქმეებისგან ფულის ტომრად სახელშერქმეულის. ამის გამო "ცილისმწამებელთა სასამართლოში ჩივილით დამმუქრებლისა" და მერე ჩაჩუმებული_**ნ. ლეკიშვილის** სახელდანათლულ ქვის მნათობს.

მართალია ყოფილმა "სახელმწიფო მინისტრმა", რუსეთში "ელჩადყოფილმა"

ვ. ლორთქიფანიძემ ბოლო დროს ოდნავ " უგანა და ურჩობა დაუწყო" პატრონს, მაგრამ კომკავშირში დაფრთიანებული და კომპარტია – ცეკაში დავაჟკაცებულ - დაღვინებული, მფარველისგან მთლინად არ გაიწირა და უნივერსიტეტის პროფესორობასთან ერთად კათედრის გამგეობაც დაირტყა. ჰოდა, სახელმწიფო საქმეების " მოგვარებით მოღლილს", ახლა მშვიდად შეუძლია აკეთოს არანაკლებ საპასუხისმგებლო საქმე – "თავისუფალსა და დამოუკიდებელ სამშობლოს მაღალკვალიფიციური მეცნიერები და სპეციალისტები მოუმზადოს". ამგვარ დამსახურებებს კი შესაფერისად დაფასება მართებთ. და დაუფასდება იგი " ამაგი ვალმოხდილს". მშობლიური ბაღდათის რაიონის შეჭირვებული მოსახლეობისთვის "სამოთხისებური ყოფის დასამკვიდრებლად კვლავაც დეპუტატად" გახდომის მოსურვილეს. ქეთევან წამებულის ნეშტის " გადმოსასვენებლად" ინდოეთს გასეირნებულის ვარსკვლავი "პრეზიდენტის" ვარსკვლავის სიახლოვეს დაიგება.

ქვის მომდევნო მნათობი "შევის ვარსკვლავეთში", რუსეთის სპეცსამსახურების მიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასათვის საგნგებოდ მიჩნეული მოენის. შევარდნაძესთან ოდითგან შეკრულ – შეკავშირებულის. კლასიკური კომუნისტის. თბილისის საზარელი ომის ერთ – ერთი სულის ჩამდგმელისა და მონაწილის. საქართველოს დამაქცევარისა და გამყიდველის, ერის მოღალატისა და მოკვეთილის. მეცნიერის სახელმიტაცებული **თ. სიგუას** სახელობისა იქნება.

გრანიტის ვარსკვლავს დაუგებენ მარადჟამ უაზროდ და საეჭვოდ მოხითხითეს. ეროვნულ მოძრაობაში შეგზავნილს. 1991 – 92 წლების სისხლიანი გადატრიალების ერთ – ერთ წამომწყებსა და მონაწილეს. კვლავ "გამინისტრებულსა და გადეპუტატებულს". მერე თანამოსაქმე "პრეზიდენტისგან განწირულს". სამშობლოდ დაგულებულ რუსეთს გადახვეწილს. იქაური სპეცსამსახურების უძველეს თანამშრომელს. მხატვრის სახელდაჩემებულ " სამხედრო სტრატეგ " **თ. კიტოვანს.**

"სამხედრო პირი" ვახსენეთ და დარწმუნებული ვართ, ხსენებულ დარგთან დაკავშირებული პიროვნების ვარსკვლავს, უეჭველად შევარდნაძის ვარსკვლავის სიახლოვეს მიუჩენენ ადგილს. შემზარავია ძმათამკვლელი ომის აქტიური მონაწილის მიერ, მეცნიერებათა აკადემიაში მოწყობილ შტაბში დაუფარავი სურვილის გამოთქმა – მთავრობის სახლის მიწასთან გასწორებასა და იქ მყოფთა ამოხოცვაზე. მართალია ამგვარი "რაინდობის" მოსურვილე, კანონიერი ხალისუფლების, პრეზიდენტის წინააღმდეგ მებრძოლი და " გამარჯვებული" **გ. ყარყარაშვილი**" თავდაცვის მინისტრობით" დასაჩუქრდა, მაგრამ მოგვიანებით, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულმა იგი ურგებ ნობათად და დიდ შეცდომად აღიარა.

სახელობითი ვარსკვლავის ცეკას მოედანზე დაგება ნამდვილად უპრიანია საბჭოთა კავშირის დეპუტატების ყრილობაზე "დამი ი გასპადას გამაოგნებელი" მისალმებით გამოსულისა და ამერიკამოვლილის. სუკის დაქვემდებარებაში მყოფი საქინფორმის თანამშრომელ **ა. ასათიანისათვის,** ამის თაობაზე საქვეყნოდ რომ წამოაძახეს "პარლამენტში". მართალია "ცილისწამებით შეურაცხყოფილი" წამომძახებლებს "სასამართლოში ჩივილით დაემუქრა", მაგრამ საამისოდ არაფერი გააკეთა. არაფერი

გააკეთა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ამ მაღალჩინოსანმა ერისთვის უმძიმესი უბედურების – თბილისის ომის დროს. მოსკოვიდან დავალებამიღებული, "გულის მძიმე შეტევით დაუძლურებული, ლოგინად ჩავარდა" და ქობულეთში ჩაიკეტა. მერე "ოდნავ მომჯობინებულმა" დასავლეთ საქართველო დალაშქრა და პრეზიდენტის, ხელისუფლების დასაცავად თბილისში წამსვლელი იქაური მოსახლეობა "ხატზე ფიცი - მტკიცით", სისხლის მღვრელი ომის "დასრულებასა და მშვიდობიანობაში " დააჯერა, ადგილზე დარჩენაში დაარწმუნა. დავალებაშესრულებული, ძალმომრეობით დამკვიდრებულთაგან კვლავაც მაღალზურგიან სავარძელს ელოდა, მაგრამ ხელი მოეცარა – უმადურმა "ხელისუფლებმა" მხოლოდ რიგითი

"დეპუტატის" მანდატიღა მიაჩეჩეს.

შემდეგ ვარსკვლავს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრისა და შევარდნაძის "პარლამენტის დეპუტატ" **დ. ხაბულიანის** სახელობისას დააგებენ. ექს – მინისტრიც ავად მოსაგონარი თბილისის ომის დროს "დაზარალდა". "ავის მოსურველეებმა თვალებში საწამლავი შეასხეს და აბა უსინათლოდ შთენილი მინისტრი", თანაც ყოფილი მოჭიდავე, რიღასი მაქნისი იყო. მერე საქართველოს დაცემის, ქართველთა სისხლში ჩახრჩობის, კომუნისტურ – დიქტატორული რეჟიმის აღდგენისა და ხუნტის "არჩევნებში გამარჯვებული", ქვეყნის "აღმშენებლობის ფერხულში ჩაება": გულდაგულ ასუფთავებს საქართველოს "უსარგებლო და ზედმეტი ჯართისაგან" – ძვირდღირებულ ფერად ლითონებს უცხოელებზე ჩალის ფასად ყიდის და თავათ არნახულად მდიდრდება.

იქვე ახლოს დაუგებენ ვარსკვლავს რამდენჯერმე შინაგან საქმეთა მინისტრად, მის მოადგილედ, მილიციის სამმართველოს უფროსად დანიშნულ – მოხსნილს. თბილისის ომის დაწყების "ბრძანების გამცემის აღმომჩენ - გამომააშკარავებელ" **რ. გვენცაძესაც,** მერე "სარწმუნოებაში რომ გადავარდა" და ნარიყალას ციტადელში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის აგებაში მონაწილეობით რომ "უკვდავყო" სახელი თვისი.

შინაგანი ძალების ყოფილი შეფის ვარსკვლავის გვერდით სავსებით მართებულად დააგებენ ეროვნულ – განმათავისუფლებელ მოძრაობაში ლამის საბავშვო ბაღის ასაკიდან შეგზავნილი "დისიდენტის". ხალხის ნებით არჩეულ პრეზიდენტს დაპირისპირებული **ი. ბათიაშვილის** ვარსკვლავს. ღალატისა და განდგომისათვის მშობლიური სამინისტროს შეფად დაჯილდოებული, გაავებული რომ ბრძანდება კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომთხოვნი მომიტინგეების დარბევასა და დასჯას. დავალებაშესრულებული "პარლამენტარი" სისხლიანი "ხელისუფლების" ოპოზიციონერობას რომ იჩემებს, ურიცხვი რადიო – ტელე – საგაზეთო ინტერვიუებით რომ "ებრძვის" უსამართლობას.

გრანიტ–მარმარილოს ვარსკვლავის დაგების ღირსია ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის აღზევების პერიოდის "მონაწილე". მიტინგებზე "პატრიოტული შემართებით" გამოსული, კომუნისტების "განდევნის მოსურვილე", ახალგაზრდა მეცნიერ – ეკონომისტი **რ. გოცირიძე**. კანონიერი ხელისუფლების დამხობის მერე, სახელ და სახენაცვალ კომუნისტებს რომ ამოუდგა მხარში და "გავიცეპრემიერებულმა", დაუფარავად დაიწყო ზვიად გამსახურდიასა და მისი

ხელისუფლების “შეცდომათა მხილება”. ადრე მომჭირნედ მცხოვრები, დღეს ეკონომიურად წელმოდგმული “სახელმწიფო მოხელე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს უძღვება და ძალ – ღონეს არ იშურებს სამშობლოს უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობიდან დასახსნელად”. აკი ამიტომაც არის, რომ “გონსმოსულ – გამოფხიზლებული”, ქვეყნის ეკონომიკის ერთ – ერთი დამანგრეველი, აღარავის “ინდობს” და ნულოვანი ვარიანტის მიღების “მოწინააღმდეგე, ქვას ქვაზე აღარ სტოვებს”.

მოგეხსენებათ, მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთა სხვა არაფერია, თუ არა კომკავშირი, კომპარტია. თავისთავად, იქ მყოფნი სულით ხორცამდე კომკავშირელ – კომუნისტები გახლავან, ერთი სულისანი არიან, პარტიულ ბოსთან ერთად ანგრევენ და ყიდიან საქართველოს, ებრძვიან ჭეშმარიტ მამულიშვილებს. დღეს, რღვევადაწყებულ ამქარს ლაჟვარდოვანი აჭარის მკვიდრი,” ნავიცესპიკერალი” კომუნისტი **ე. სურმანიძე** გენსეკობს და პატრონის დარად, თავგადაკლული ესწრაფვის განწირულთა შეკავშირებას. ამ და უწინდელი სამსახურისთვის, თავდადებულის ვარსკვლავს “გერმანიის გამაერთიანებელი” ლამის სეხნიის ვარსკვლავის მახლობლად მიუჩენენ ადგილსამყოფელს.

ნათქვამია “თოფი მეთოფესაო და მეთოფე სოფელსაო”. ამ ბრძნული ჩაგონების ზედმიწევნითი გაცხადება იქნება ცეკას წინამოედანზე დაგებული ის ვარსკვლავი, რომელიც ქართველი ასტროლოგების ამჟამინდელი “წინამძღოლის, უპირველესი ვარსკვლავთმისნის” **ჯ. ლომინაძის** სახელდებული იქნება. აღმოჩნდა, რომ ციურ მნათობთა ჭვრეტასთან ერთად, “ერუდიტი მეცნიერი” უზადო ფოტოხელოვანი, ილუზიონისტი და “ანგარიშგასაწევი, პრინციპული პოლიტიკოსიც” ყოფილა. ამიტომაც ნუ გაგვიკვირდება, ნუ “დავიბოღმებით, მეცნიერ - აკადემიკოსის” ბოლოდროინდელი აღზევება – წამოტივტივებით. “არასდროს არაფერში შეუმცდარი შევის”არჩევანი ამჯერადაც “უტყუარი” გამოდგა – “ცენტრალური საარჩევნო კომისიის” აკადემიკოს – თავმჯდომარემ “არჩევნები” ისე ჩაატარა, როგორც მბრძანებელს სურდა: “ასხუთი პროცენტით ხმამიცემული პრეზიდენტი, პარლამენტის სპიკერი, ვიცე-სპიკერები და პარლამენტარები”, შეუცდომლად დაინიშნენ წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით. ისე რომ, ვარსკვლავთმრიცხველისთვის ქვაში გაცხადებული ვარსკვლავით პატივგება სავსებით დამსახურებულია “ და კანონიერი.

“პრეზიდენტის” გრანდიოზულ ვარსკვლავთან ახლოს მიუჩენენ ადგილსამყოფელს მისი ერთი – ერთი საყვარელი და საიმედო შეგირდის, “ციხენახეხის, მრავალწლიან დევნა - შევიწროებას თავდაღწეულის, მრავალტანჯულ ნაგვემ – ნაწამების, დისიდენტყოფილის”. უსაშინლესი თავდასხმის დროს მეუღლისა და მძღოლის შემაძრწუნებელი სიკვდილის “მხილველისა” და ტყვიის წვიმისგან “სასწაულად გადარჩენილის”. “საერთო – სახალხო სოციოლოგიური გამოკითხვით” დიდი, მზისდარი თამარის “მჯობნი მოვლენა - პოლიტიკოსის”. “ყველაფრის მთქმელის”, მაგრამ მსმენელისგან სიტყვათა ამ აბდა – უბდისა და დემაგოგიისგან ვერაფრის აღმქმელის მიმწოდებლის. “პრეზიდენტის კამანდის უღირს წევრთა საიდუმლოთა ამომხსნელისა და მამხილებლის”. მამაღმერთად დაგულებული შეფისგან ბოლო “საპარლამენტო არჩევნებიდან ჩამოცილებულისა” და სხვა ახალ დავალებათა მიცემულის. მფარველსა და მასწავლებელს “დაპირისპირებულისა და კრიჭაში

ჩამდგარის, არჩევნების ჩაშლის მხარდამჭერის". მერე ისევ მამობილისგან ვაკის "არჩევნებში" მონაწილეობისთვის "მხარდაჭერაშეპირებულის", მაგრამ ისევ ფეხდადებულისა და "პარლამენტის" კარის ცხვირწინ ჩაკლიტულის. ამის გამო რუსთაველის გამზირის გადაკეტვით დამმუქრებლისა და ვ. ზოდელავას "მერის" სავარძლიდან გადმოსკუპების მომთხოვნის. თუმცა, მეორე დღესვე ყველაფრის უკან წამღების და მიზეზად აფხაზეთის ათწლიანი ტრაგიკული ამბების მაშინ გამხსენებელ **ი. სარიშვილის** ვარსკვლავს.

შემდეგ ვარსკვლავს საიდუმლო სამსახურების უხსოვარდროინდელი საიმედო თანამშრომლის. ციხე – საპატიმროების მკვიდრთა ბედ – იღბლის "განმგებელ – გადამწყვეტის". საქართველოდან გაეროში გაგზავნილი წერილობითი ანგარიშებით იქ მყოფთა "გამკვირვებელ – აღმაფრთოვანებლის". მათემატიკოს – "სახელმწიფო მოღვაწის". შევარდნაძის მარადიული მსტოვრის. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე მზადმყოფისა და ცისფერი ეკრანიდან "დიქტატორის" განდევნით გახარებულისგან წინასწარ ჩამოყალიბებულ –შეთითხნილი სიცრუისა და "ბრალდების", წლობით დაგროვილი ბოღმა – ბალღამის

გადმომთხევნის, ბინძური ცილისწამებებით გულნაჯერების. "პარლამენტის

ნავიცესპიკერალ" **რ. ბერიძის** სახელობისას დააგებენ.

მომდევნო ვარსკვლავს ისევ ადამიანის უფლებების "დამცველი"

დიაცის სახელობისას დააგებენ. ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოს კათალიკოსყოფილ დავით დევდარიანის "მოღვაწეობის" მხილებამ, არნახულად გააცოფა "დეპუტატყოფილი, ქალაქის საკრებულოს ყოფილი მდივანი", "სოციალისტი" მილიონერის ხელშეწყობით ისევ "გადეპუტატებული". ეკლესიის ყოფილი "მწყემსმთავრის" შვილიშვილი **ნ. დევდარიანი**. ამჟამად ბერიას რეზიდენციაში დამკვიდრებული, დამცირებულ – დაჩაგრული ადამიანების უფლებების "დასაცავად და შველით, მოვლა – პატრონობით დაღლილ – დაქანცული, სანთელივით რომ ილევა".

ბოლო "საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის" დროს შევარდნაძის მხარდამჭერ მლიქვნელ–ლაქიათა სამარცხვინო სატელევიზიო მეხოტბეთაგან გამორჩეულად დასამახსოვრებელი გამოდგა კომკავშირელ – კომუნისტად დაბადებულ – ჩამოყალიბებულის, უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის მდივანყოფილის. ამერიკაში "გაბიზნესმენებულის". ფოთის მერყოფილისა და თბილისის მერის სავარძელბოძებული **ვ. ზოდელავას** ტელერეკლამა, დიდიხნის ნაოცნებარ სურვილზე – მამად დაგულებულის განუსაზღვრელი ვადით ყოფნაზე რომ განაცხადა. მართალია, თბილისელებისა და დედაქალაქის "აღმაშენებელ - მოამაგემ" სისხლისღვრით "გაპრეზიდენტებულის" უბეში ჩათბუნებულმა, თავზე ხელგადასმულმა და უზომოდ გათამამებულ – გადიდგულებულმა, დაუფიქრებლად გახსნა პატრონის კარტები და წინასწარ დაგეგმილ – დაკანონებული გამოააშკარავა, მაგრამ შეცდომა იგი "ახალგაზრდული" დიდსულოვნად მიეტევა, რადგან საუკუნოვანი "პრეზიდენტობა" ისედაც განაღდებული იყო. ისე, რომ რადიოთი უპოვართა და მიუსაფართა, სნეულთა "შემცოდებელ – დამპურებელ მერს", ზღაპრული სრა – სასახლის პატრონს,

უცილობლად განაღდებული აქვს ვარსკვლავის ჩაგება "პრეზიდენტის" ვარსკვლავთ გარემოცვაში

დასახელებულ ადგილზე ვარსკვლავს დაუგებენ ორგზის ექს – იუსტიციის მინისტრს, "პრეზიდენტის საპარლამენტო ექს - მდივანს", დღეს "საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ" დანიშნულს. ეროვნულ ხელისუფლებას განდგომილსა და უკანონო მთავრობაში დამკვიდრებულ

ჯ. ხეცურიანს.

ვარსკვლავი ერგება იარაღით მოსული " ხელისუფლების ვიცე – პრემიერყოფილს". მარადჟამს გაფუყულ – გაბუტულ, ცივსისხლიან,

უნიჭოსა და საქმეში ჩაუხედავ, გაურკვეველს, მშიშარასა და გაუბედავ "ექსტრა - ფინანსიტს". შოკური თერაპიის მამის – ბალცეროვიჩის, ეკონომიკურად გაკოტრებული საქართველოს "მხსნელად" დამგულებელს. ნულოვანი ვარიანტის მხარის დამჭერს. შევარდნაძის ურიცხვ მრჩეველთაგან ერთ უპირველეს უტყვ მორჩილ, უძალო **თ. ბასილიასაც.**

რაკი ჯერი თანაშემწეებზე დადგა, ცხადია ვერაფრით გაანაწყენებენ "საბჭოეთის დამანგრევლის" კიდევ ერთ მრჩეველ – თანაშემწეს, ცეკას ყოფილი მდივანის ძეს. ინგლისური ენის "უბადლო მცოდნეს", ამერიკული სლენგის "უნაკლოდ შემთვისებლ – შემსისხლხორცებელს". სამყაროშემოვლილსა და იქაური საარაკო ამბების მომყოლს, "შეუდარებელ" თარჯიმანს. დღეს უკვე ძალზედ გადიდხაზეინებულ **გ. ჩარკვიანს.**

ცეკას წინმდებარე მოედანზე, სუსტი სქესის წარმომადგენელთა ვარსკვლავთსაკრებულოში დააგებენ ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის "ვეტერანისა და ამაგდარის, დისიდენტისა და პოლიტპატიმრის". კანონიერი ხელისუფლებისა და ქართველთა უდიდესი ნაწილის ნება – სურვილით არჩეული პრეზიდენტისგან განდგომილისა და შეურიგებელი მოწინააღმდეგის. ერთ დროს ცეკას საძულველი მდივნის, "დაუძინებელი მტრისა" და საქართველოს დამაქცევარ – დამღუპველის მიმტევებელ **ლ.შაკიაშვილის** ვარსკვლავს. გულით რომ "დაიჯერა, სასწაულებრივად იწამა" ბიბლიაში თქმული: სავლეს პავლედ გადაქცევის მიწიერი გაცხადება – ედუარდის "გიორგად" წარმოჩენა. და იგი "დაჯერება, წამებულს პარლამენტში მოღვაწეობამდე" გაჰყვა. ხელმეორედ "გადეპუტატებისგან" ხელმოცარულს, ისევ "ზიზღი და სიძულვილი გაუჩნდა და მოეძალა" მიტევებულის მიმართ.

ვიმედოვნებთ, დროზე იზრუნებენ და გრანიტის ვარსკვლავის დაგებით პატივს მიუზღავენ ერთ დროს "პარლამენტის მართლა ნესტანად" თავდაგულებულს."მრავალ პარტიამოვლილსა და პოლიტიკაში საქმემოთავრებულს. "პარლამენტარის" შტატის დამკარგველს. დღეს მეცნიერებაში "დაფუძნებულს, მრავალი საინტერესო და საჭირო წიგნის" ავტორს, მომავალი თაობის "აღმზრდელ - განმსწავლელ" **ნ.კირთაძეს**.

მშობლიურ კომპარტიაში, ტეკას მდივნად ხანგრძლივი საქმიანობისთვის. ბეიკერ – გენშერ – ანდრეოტ – ნეთანიაჰუსა და სხვათა

“ძმაკაცის” არნახული ერთგულებისა და მხარდაჭერისთვის. მისი სახელობის “ფონდში” დამკვრელური გარჯისათვის, ქვადქცეული ვარსკვლავის დაგებით

სათანადოდ დაფასდება “პირველი ლედის” ამალის ერთი “სეფექალთაგანი”, პატრონის “მშვიდობის მქადაგებელი, საქველმოქმედო, სასწაულთმოქმედი საზოგადოების” ერთი ბურჯთაგანი **ნ.გურგენიძე.**

სახელმწიფოთა სამართავად ღმერთმა მეფეებსა და კეისრებს, იმპერატორებს საშინაო თუ სამეზობლო საქმეთა მომგვარებლები მიუჩინა, უდიდესი პასუხისმგებლობით რომ ასრულებდნენ დავალებებს. საუკუნეთა განმავლობაში თვით სახელმწიფოთა განვითარება - გაძლიერებასთან ერთად იხვეწებოდა მართვის სისტემაც და ფორმებიც. ბევრგან მონარქები პრეზიდენტებმა, პრემიერ – მინისტრებმა და კანცლერებმა შეცვალეს. ცხადია, ახალი ტიპის მმართველები წინამორბედების მსგავსად, მარტონი ვერ წარუძღვებოდნენ საქვეყნო საქმეებს – მათ ესაჭიროებოდათ დამხმარეები, ჭკვიანი მრჩევლები. ასე გაჩნდნენ მინისტრებად სახელშერქმეული პიროვნებები, დღეს რომ უმნიშვნელოვანესი წილი უძევთ თავიანთი ქვეყნების მართვა – არსებობაში. უნდა ითქვას, რომ ძლიერი და ღონიერი, განვითარებული ქვეყნების წინამძღოლები ყველანაირად ცდილობენ მინისტრთა ნაკლები რაოდენობით ყოლას, რადგან მათი უწყებების რჩენას გვარიანი თანხები სჭირდება. სამაგიეროდ, რამდენიცა ჰყავთ, უნაკლო პროფესიონალები გახლავან და ანაზღაურებასაც შესაფერისს ღებულობენ, დავალებასა და საქმესაც ბრწყინვალედ, დროულად ართმევენ თავს.

საბჭოეთად წოდებულ წითელ იმპერიაში კი “ჩამპალი” კაპიტალისტური წყობისაგან განსხვაებით, მართვის სისტემა გაცილებით “დახვეწილი და სრულყოფილი იყო”. რა დარგისა და დანიშნულების სამინისტროები აღარ არსებობდნენ თავიანთი მინისტრებით, მრავალრიცხოვანი მოადგილეებითა და აურაცხელი თანამშრომლებით. “საქმეც კეთდებოდა და დოვლათიც იქმნებოდა, გროვდებოდა სიმდიდრე”. ფასების ზრდის პროპორციულად “იზრდებოდა კომუნიზმისკენ მიმავალი მოსახლეობის ცხოვრების დონე”. მაშინ უმუშევარი არავინ იყო, “დამკვრელურად შრომობდა დიდ – პატარა, ყველა ბედნიერი და კმაყოფილი იყო”.

და გრძელდება ტრადიცია: “ თავისუფალსა და დამოუკიდებელ საქართველოში თვლა არა აქვს სამინისტროებს, ახალი ყაიდის, ეპოქის შესატყვის “მინისტრებს”, მათს მოადგლეებს, აუარება “პროფესიონალ, ძირითადად უცხოეთში განსწავლულ”თანამშრომლებს. ასე “მივიწევთ წინ”. და ეს ისე “ სწრაფად” ხდება, ისეთნაირად “გვიუმჯობესდება” ყოფა, რომ 2000 წლის მიწურულს გამოქვეყნებული მონაცემებით, თურმე მსოფლიოს ასსამოცდაათი ქვეყნიდან, ცხოვრების დონით “სამოცდამეათე”(!) ადგილზე ვყოფილვართ! გაზეთის ამ მონაცემს ცხადია არავინ დაიჯერებს – აშკარაა, რომ კომპიუტერის ოპერატორსა და კორექტორს 70 –ის წინ არსებული “შემთხვევით ამოვარდნილი” ერთიანი კუთვნილ ადგილში აღარ ჩაასმევინეს და ჭეშმარიტება, ანუ 170 –ე ადგილი, ასი ერთეულით დაკლებულად შემოგვაჩეჩეს. თუმცა, ეს ყველაფერი “მინისტრებს” მაინც არ ეხებათ, ქვეყნის “აყვავებასა და მოსახლობის გაბედნიერებაზე დამშვრალთ” ნამეტანსაც ნუ მოვთხოვთ. პირიქით, დღემდე “შექმნილ -გაკეთებულისთვის”, უკლებლივ ყველა ღირსია გრანიტ – მარმარილოს ვარსკვლავით უკვდავყოფისა. ამიტომ, მათი ვარსკვლავებით შეკრულ

მტკიცე ჯავშანს საიმედო სარტყელ – დამცველად შემოუგებენ "შევის", მისი გარემოცვის ვარსკვლავთ საკრებულოს.

დაცვა ვახსენეთ და მათდა გასახარად, დამცველებიც ბლომად ჰყავთ ცეკას წინამოედანზე დამკვიდრებულ ვარსკვლავოსნებს. სიმბოლურ ჯავშან – სარტყელში უპირველესად "თავდაცვის" უენო, გაუჩერებლად რწევა – მოქანავე, ხაზინაგაქურდული ქვეყნის ხარჯზე პირად და ოჯახის წევრთა მოსახმარ – საამებლად შეძენილი ძვირადღირებული ჯიპების მოყვარულის, "ფილოსოფიურად განსწავლულ მინისტრ" **დ.თევზაძის** ვარსკვლავს ჩააგებენ.

მეზობლად, "უშიშროების მოკრძალებული, თავმდაბალი, პრეზიდენტის" დაცვა - გაფრთხილებაში გამოწრთობილი, "იუსტიციის მინისტრისგან" საქვეყნოდ წამოძახებული. ხალხისგან წაგლეჯილ – მოპარული ფულით სასახლის აშენებისა და ვინ იცის კიდევ რა მიძინებულ – მიფარებული სიმდიდრის მიმთვისებელი **ვ. ქუთათელაძის** ვარსკვლავს მიუჩენენ ადგილსამყოფელს.

ჯავშანში შემდეგ ვარსკვლავს კაბინეტ – მაგიდის ბრჭყვიალა ზარ – ზანზალაკებითა და სხვარამ იაფფასიანი მოსართავებით გაფორმებული. გაუთავებლად მომცინარი, "ენაწყლიანი და კოპწია, მოკრძალებული ქონების" პატრონის. "პრეზიდენტობაზე" პრეტენზიაგამოცხადებული, "შევის" უსაზღვრო მფარველობით გადიდგულებულ – გათამამებული, კავკასიის ომის ქარცეცხლისაგან "გადამრჩენი" **კ. თარგამაძის** სახელობისას ჩააგებენ. ოღონდ ეგ არის, "წესრიგისა და მშვიდობის დამმყარებლის" ვარსკვლავი სხვებისგან განსხვავებული ზომისა იქნება, რადგან მნათობის ქიმების აუცილებელი დანამატები გახდებიან **ს. ალავიძის, მ. სალაძის, ე. ჯამბურიას, თ. მღებრიშვილის, უ. მგელაძის** მომცრო ვარსკვლავები, რადგან მათი ავკაცობის გარეშე შეუძლებელია "მინისტრს" ასე წარმატებით გაერთმია თავი პატრონის ბრძანებების აღსრულებისთვის, კანონიერების აღდგენის მომთხოვნი მომიტინგეების დარბევა-დაწიოკება – დაპატიმრებისთვის...

მომდევნო ქვადქცეული ვარსკვლავი "უმწიკვლოებითა და პატიოსნებით" სახელგავარდნილის, მეორე ვადით "მოღვაწეობის" მიწურულს "იმპიჩმენტდამუქრებულის", "პრეზიდენტისგან" კბილებით დაცულის, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაპანღურებული "გენერალური პროკურორის" **ჯ. ბაბილაშვილის** სახელობისა იქნება.

ძალოვანთა "უმტკიცეს" ჯავშან – სარტყელს ერთგვარ სინატიფეს მიანიჭებს შევარდნაძის "აღმშენებლობითი" მოღვაწეობის მხარდამჭერ – შემსრულებელი მონა - ყმების წვრილი ვარსკვლავებისგან ასხმული სიმბოლური ყელსაბამი – "სამშვენისი".

"მშვენიერი სამკაულის" პირველი ვარსკვლავი "პრეზიდენტის" მეთვალყურეობით კომკავშირ – კომპარტიაში გაწვრთნილ – გამოწრთობილი, საბჭოეთის დროინდელი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის. ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებაში შეგზავნილი და მალევე დათხოვნილი მინისტრის. სისხლის ღვრით მოსულთა "მთავრობაში" მედიცინა მიტოვებულისა და "დიდ პოლიტიკაში გადაშვებული"

უძალო, უსუსური საგარეო საქმეთა "მინისტრ" **ი. მენაღარიშვილის** სახელმინიჭებული იქნება.

მერე "მთავრობის" სხვა დანარჩენი წევრების სახელობითი ვარსკვლავებით აისხმება იგი მძივი. კუთვნილ ადგილებს დაიკავებენ:

ჩვენი ფლორა - ფაუნის "საიმედო და უერთგულესი დამცველის", ეკოლოგიის გაჩანაგებაზე "ფარად აღმართულის", ადამიანების ჯანმრთელობისთვის უკიდურესად საშიში ბენზინის წარმოების ხელშემწყობისა და ამით ხელის საკმაოდ მომთბობ "მინისტრ" **ნ. ჩხობაძის;**

საზღვაო ფლოტის დანგრევა – ჩალის ფასად გაყიდვა – გასხვისების, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტებში დატრიალებული შავბნელი გარიგებების მიმჩუმათებლისა და ფოსტა – კავშირგაბმულობის ძალზედ სარფიან საქმეთა შემთავსებელ **მ. ადეიშვილის**;

გერმანიაში "განსწავლულის, ბერლინის კედლის დამანგრევლის" თარჯიმანყოფილის, ეროვნული ბიბლიოთეკის "აღორძინების ბოლომდე ვერ მიმყვანი" დირექტორყოფილის, სანაცვლოდ სწავლა – განათლების სისტემის დანგრევა – გაჩანაგების დავალების შესასრულებლად გამინისტრებული **ა. კარტოზიას** ;

აჭარის "ლომთან დაპირისპირებული" ფიზიკოს – "პარლამენტარყოფილის. მოულოდნელად გამინისტრებულის". პროფესიიდან გამომდინარე ყველაფრის პლუს – მინუსებით დამხარისხებელ – შემფასებლის. თბილისში "უბინაოდ შთენილისა და ალბათ ვაზისუბანში ან ვარკეთილში დაქირავებული ბინის ქირით წელში გაწყვეტილის" (სამაგიეროდ, გაზეთ "ალიაში" გამოქვენებულ საუბარში "ხელფასზე მცხოვრები მინისტრი" ამბობს: "ჩემს განკარგულებაში ორი ავტომობილი იქნება ... ახალაც ჩემი ავტომობილი ჩემს მეუღლეს მოემსახურება", - სტილი დაცულია – გ.ჯ.). პარიზში გზაგაკვალულ – გაჩვეულის. მეგობარ - თანამოსაქმეებისგან დაზარალებულ – გაძარცვული უპოვარი, აქციის მონაწილე პირამოკერილი ადამიანების სამართლიანი მოთხოვნების ცინიკურად და დასაძრახი, არაკაცურ – არაადამიანურობით უკმგდების (აი, რას წერს გაზეთ "არგოში" მწერალი რ. მიშველაძე: "ზრდილობა მოიძიე მინისტრო ნოღაიდელო! შენ უკვე მოქალაქეთა კავშირის "ერთგული ლეკვი" კი არა, დამოუკიდებელი საქართველოს მინისტრი ხარ. მაგ კაბინეტში არაერთი დაუპანღურებიათ კუდაბზიკობისა და თავხედობისათვის!", – სტილი დაცულია, - გ.ჯ.). მოულოდნელად "დავაჟკაცებულისა" და თავის მსგავს არსებაზე "გაწეულის". ნულოვანი ვარიანტის მიღებით საქართველოს ეკონომიკის საბოლოოდ დამანგრევლისა და გამჩანაგებლის. დაუმორჩილებელი "თბილკრედიტბანკის გამაცამტვრებელ - მომსპობის". მის მფარველობაში მყოფი "ბაზისბანკის" შავბნელი საქმიანობის ხელშემწყობის, იქაურობის ერთი ბატონ – პატრონთაგანის. ოცმილიონიანი სახელმწიფო კრედიტის ამ ბანკში ჩამრიცხველისა და ვინ იცის ვისთვის გამანაწლებელ – მჩუქებელი "ფინანსისტ" **ზ. ნოღაიდელის;**

კლასიკური, ფრიადოსანი კომკავშირელობით თავგამოჩენილის, "კვალიფიციური ნიადაგმცოდნის", მამად დაგულებულისგან შემჩნეულისა და კომპარტია – მოქალაქეთა კავშირის გენსეკად დაწინაურებულის. "პარლამენტში დავაჟკაცებულისა და

ვიღაცეებზე გაწეულ - გაქაჩულის" ძმაკაცის მიერ უარყოფილ – გადაგდებული "მინისტრის"პორტფელის დამტაცებლის. ქვეყნის "ბიუჯეტის" სიგარეტით, კომუნისტურად "გადაჭარბებით შემსრულებლის". ბათუმს ფულის წასართმევად მუქარით გაქცეულისა და უკან ხელცარიელი მობრუნებულის. "მოულოდნელად მინისტრობაზე უარის" მთქმელისა და მფარველი ძმაკაც – "სპიკერის "სამდივნოს უფროსად გამწესებულის. ცივსისხლიანი "პრინციპული", მუდამ ირონიული მოხელე – ჩინოვნიკ **მ. მაჭავარიანის;**

"ახალი ქართული პოლიტიკის შუქურის". ამერიკაში, სახელგანთქმულ კოლუმბიის უნივერსიტეტში განათლებულის. "ახალი ტალღის"ერთი ლიდერთაგანის. ჰოლანდიელების სიძის. მუდმივად სომხობის უარმყოფელისა და ქართველობის მამტკიცებლის. უმნიშვნელოვანესი თანამდებობებმოვლილის. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ექს - ვიცე - პრეზიდენტის. კარგახანს ერთდროულად "პარლამენტარისა და იუსტიციის მინისტრის" სკამზე მჯდომის და მხოლოდ რამდენიმე თვის მერე "მინისტრისაზე" დამჯდარ – დამკვიდრებულის. "სასამართლო – პროკურატურის მამა – რეფორმატორის". ციხე – საპყრობილეების მკვიდრთა ტორტებ – შამპანურებით "მომთვინიერებლის". ციხეთა ჯურღმულების სასიკვდილო საკნების მოსწავლეების მიერ დათვალიერების წამომწყების. "კაპიკებით ახალი, კეთილმოწყობილი" ციხე – დილეგის გაჭიანურებული მშენებლობის დამსრულებლის. ხალხის ფულის მომპარავ – მიმტაცებელი კოლეგების მიერ აშენებული უგემოვნო სასახლეების ოთხიოდე ფოტოსურათის "მთავრობის სხდომაზე მინისტრების, პრეზიდენტის" თვალწინ ამფრიალებლის და დაუსაბუთბელი ქონების მფლობელთა განკულაკების მომთხოვნის. საქართველოსა და ევროსაბჭოს დროშებით გარშემორტყმული ბრძენი ილიას პორტრეტის ფონზე წარმოჩენილ პერპეტუუმობილე – მოლაპარაკის. მოულოდნელად, ღმერთად დაგულებული " შევისთან დაპირისპირებული და განდგომილის. მინისტრობაზე უარის მთქმელის." ვაკის "არჩევნებში გამარჯვებულისა და მშობლიურ პარლამენტში" მიბრუნებულ **მ.სააკაშვილის;** უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტისა და საქართველოს

კომკავშირელთა ცეკას წინამძღოლყოფილის. "საგარეო საქმთა მინისტრის მოადგილედყოფლის". დღეს საქართველოს უძველესი კულტურის "მომვლელ – გამფრთხილებელ – ამყვავებლად" დანიშნული **ს. გოგიბერიძის**;

ლიხაურის ჩაის ფაბრიკის ყოფილი მუშის, მერე თბილისში ჩამოსულის, "განსწავლულის", გაქალაქებულ – გაეშმაკებულის. თბილისის "მოკრძალებულ" ბინასა და წყნეთის უგემოვნო "ულტრა – ვილის" მფლობელის. ყოფილი ბანკირის, ფულის კეთების უნარმოძალებულის. ხალხის მიერ ბანკებში მიბარებული დანაზოგების კოპერფილდივით გამაუჩინარებელ – მიმთვისებლის. "სახელმწიფო მინისტრის მოადგილედყოფილის", ამჯერად ერთდროულად სამ სკამზე მჯდომის ანუ სამგზის "მინისტრის". თავათვე "ოფიციალურ" მილიონერად გამომცხადებლის. რუსთაგან ქართველთა კიდევ ერთხელ გათელვა – ჩაწიხვლის მოსურნის. რუსეთის უტყვი მონა – ლაქიაობის დამამტკიცებელი ნულოვანი ვარიანტის მიღების თავგადაკლული მქადაგებლისა და ამით საქართველოს უფრო მეტად გამპარტახებელ – დამაქცევარ **ვ.ჩხარტიშვილის;**

მცხეთური "თეთრი სახლისა" და ვინ იცის კიდევ სად და ვის სახელზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონებისა თუ სხვარამ ურიცხვი განძეულის მფლობელის. გერმანიაში "ხარისხდაცულის". შემოსავლების სამინისტროდან დათხოვნილი ახლო ნათესავების მიერ გვარიანი პირადი შემოსავლების დაკარგვის გამო "უმწიკვლო მინისტრთან" მტრად მოკიდებული " პარლამენტის საფინანსო კომიტეტის თავმჯდომარე" **ზ.სიორიძის.**

და სხვა ძმათა გრანიტ – მარმარილოს მნათობები.

"მოქმედ მინისტრებთან" ერთად, არა გვგონია გულდაწყვეტილები დატოვონ "საქმემოთავრებული" ყოფილები. მათაც ხომ საკმაო წილი უძევთ საქართველოს ყოველნაირად დაუძლურებაში.ჰოდა, შესრულებული დავალებებისა და ბრძანებების აღმსრულებლებს, თავზე ხელგადასმულებსა და ნაპატიებთ, სახელდებული ვარსკვლავების დაგებით გადაუხდიან მადლობას:

ახლად წვერ – ულვაშწამოშლილ, უმარტივეს ფინანსურ

საკითხებში გაურკვეველს, ხაზინის დაცარიელებასა და საკუთარ

ჯიბეთა გატენვაში ელვისებურად გარკვეულ - მიხვედრილ **მ.ჭკუასელს**;

ამერიკაში "განსწავლულ", ცარიელი ხაზინის მიმღებ - დამტოვებელს. ზედმეტად ფლეგმატურს. დღეს ჩამკვდარი ქართული ფილმთწარმოების "ამაღორძინებელს". ლარად სახელწოდებულ ქაღალდზე სამახსოვრო ხელმოწერის მჩუქნელ **დ. ონოფრიშვილს.**

და სხვა მათებრ არაფრის მაქნის, პირადი ყოფის მომწყობ, ურგები ფულისა და სიმდიდრის მომხვეჭელ ყოფილ "მინისტრებსა" და მაღალჩინოსნებს.

სიმბოლურ ყელსაბამზე კიდევ ერთი ყოფილის, მექრთამეთა და კორუმპირებულთა "რისხვის, ვერანაირად მიუდგომელ - მოუსყიდელ – უკარებას", ურთულესი ფინანსური მაქინაციების ჩამდენებისა თუ სახელმწიფო ქონების მიმტაცებელ – ჩამჯიბველების "გამომააშკარავებლის, კეთილსინდისიერად და სუფთად მომუშავის". კონტროლის პალატის თავკაცად ნამყოფის, ამჟამად ე.წ. საარბიტრაჟო პალატის წინამძღოლ **რ. შავიშვილის** ვარსკვლავი იქნება.

ყოვლად დაუშვებელია ცეკას წინამოედნის ვარსკვლავეთის წარმოდგენა "შევის" ცეკას მდივნობისდროინდელი, ეროვნული ხელისუფლების მოღვაწეობის პერიოდში ჩრდილს მიფარებულ და მერე, წითელთა კვლავ გამეფებისას, ნაცნობ ფრთებს ქვეშ შეყუჟულ ერთგულ თანამებრძოლთა ქვა – მნათობების გარეშე.

ეს პატივი უპირველესად კომპარტიის კლასიკურ – აკადემიურ ღვიძლ წევრს, ფუნქციონერის ნაირნაირ სკამებგამოცვლილს; პატრონისგან ყველაზე სარფიანი, უზომო ფულის მითვისებისა და მოპარვის შემძლე სამუშაორგებულს. "ქრისტიანობას შემდგარს, არსაკიძის მემკვიდრეს, სამების კათედრალური ტაძრის აღმშენებელ" **ი. ანდრიაძეს** უნდა ერგოს.

“შევის” ნებითა და ბრძანებით აქვე დააგებენ ოდითგან დღემდე უერთგულესი თანამოსაქმე – ყმის. დაბადებიდან ათეისტისა და ახლა ქრისტეს ჯვრის “მტვირთველის”, სტუდენტთა გზას ამცდენ – გადამგვარებელი, პირწავარდნილი კომუნისტის, წითელი “პარლამენტის” წითელი “ექს – სპიკერის”. “დასავლეთისკენ მომზირალ პრეზიდენტთან გაბუტულისა” და გაზეთებიდან მისი “გონზე მოსაყვანი რჩევა – დარიგებების მიმცემის.”საქართველოს რუსული ჩექმით საბოლოოდ გადათელვაზე მეოცნების. პატრონ-მბრძანებლის დავალებების ძველებურად შემსრულებლისა და “დარღვეული კავშირის” აღსადგენად მოსკოვს მალიმალ მივლინებულ - მიმქროლავ **ვ. გოგუაძის** სახელდებულ ქვის მნათობს.

ნებისმიერი ქვეყნის არსებობისთვის, წინსვლა – აყვავებისთვის, სახელმწიფოთა ხელმძღვანელების მიერ ბრძნული, საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებაში, გონივრული ნაბიჯების გადადგმაში, სხვადასხვა მრჩეველ – თანაშემწეებთან ერთად კუთვნილი წილი უძევთ გონებაგამჭრიახ, შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსებსაც. ჩვენდა საბედნიეროდ, “გრძნეული პოლიტიკოსები” საკმაოდ გვყვანან, რომელთა “ნაჯაფ - ნაღვაწისა და დაღვრილი ოფლის” ქვის ვარსკვლავებით “უკვდავყოფა” მცირედით მაინც შეაფასებს მათგან “გაკეთებულს”.

ამ მხრივ პირველობა დიდი სტაჟის მქონე საბჭოელ პოლიტიკურ მიმომხილველებს, საიდუმლო სპეცსამსახურებთან შეკრულ – შეთანხმებულებს ეკუთვნით.

თანამედროვე ქართველ პოლიტიკანთა პირველ ვარსკვლავს გამობრძმედილი კომუნისტის, კანონიერ ხელისუფლებაში შეღწეულის, დავალებათა შესრულების მერე კრიმინალური გადატრიალების მომწყობებთან გადაბარგებულის. საქართველოს ეროვნული დროშისა და ზვიად გამსახურდიას მიერ ხელმოწერილი დეპუტატის მანდატის დამწველ **ჰ. ჭიპაშვილის** სახელობისას დააგებენ.

გვერდით, ტყუპისცალივით მსგავსი, ნაღდი საბჭოელი ჩინოვნიკის, ცრუ ინფორმატორისა და სიყალბის მფრქვეველის, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის მოუღლელი ცილისმწამებლის, მერე უკანონოთაგან “რედაქტორობაბოძებულის”, ქვეყნის მომავალ “დიპლომატთა დამფრთიანებელი აკადემიის რექტორად” გამწესებულის. მწვანე ბუხართან “სამშობლოს ბედ – იღბლის მჩხრეკელ” ს. ცინცაძის გრანიტის ვარსკვლავს ჩააგებენ.

პოლიტიკანთა ვარსკვლავთსაკრებულოს კიდევ ერთი კომუნისტი მიმომხილველის, თბილისში მისიაამოწურულისა და ბათუმში გადანაცვლებულის, მეორე სუნთქვაგახსნილი და “გაპარლამენტარებული” **გ. ბოლოთაშვილის** ვარსკვლავი მიემატება.

ვარსკვლავს დაუგებენ პოლიტიკან – “სოციოლოგს”, უნიჭობისა

და უვიცობის, ლაჩრობისა და მლიქვნელობის ნიმუშს, ბალღამით გულ –

მუცელამოვსებულს, “უტყუარ მისან” **რ. საყვარელიძესაც.**

სუკის უძველესსა და უერთგულეს მონა – მოსამსახურე – მოენეს,

“შევის” და მისი გარემოცვის ყველა წევრის ფეხის მტვერ **რ. კლიმიაშვილს**.

დღევანდელი “პოლიტიკური თაიგული” წარმოუდგენელია დარგში “ღრმა კვალდატოვებული” ძმების:

რედაქტორყოფილის, “პარტიისა და გაერთიანებების” თავმჯდომარ-წევრყოფილ **ი. ხაინდრავას;**

“კინორეჟისორსა” და აფხაზეთის “ექს – სახელმწიფო მინისტრის”, მინისა და მინერალური წყლების კომპანიის წარმომადგენელ **გ. ხაინდრავას;**

“ექს–დისიდენტების”, რუსეთის საშინელ პოლიტპატიმართა “ბანაკებგამოვლილების, არაადამიანურად ჯვარცმულების”, ბოლოხანს “გონსმოსულებისა და “შევის” ოპოზიციონერებად მოვლენილების”. ჯ. პატიაშვილის “საარჩევნო კამპანიის” აქტიური წევრის, მისი “უკანონო მარცხის” სტრასბურგში “გამსაჩივრებელ” **დ. ბერძენიშვილის ;**

შევარდნაძის მაამებელი და უშინაარსო, სამარცხვინო ტელეპროგრამა “მჯერას”(?) წამყვანის, ეროვნული ბიბლიოთეკის “უფროსის”, ერის მამის ილიას ნაფიქრ - ნააზრევის დამწუნებლის, ზესუპერწონიან **ლ. ბერძენიშვილის.**

... და ოთხი “ქართველი კენედი” – პოლიტიკანის ვარსკვლავებიც კუთვნილ ადგილებში ჩაიგებიან.

“პარლამენტის” შენობის წინ, იქ სადაც 1989 წლის 9 აპრილს რუსმა კაციჭამია სალდაფონებმა ქართველი მომიტინგეები დაჩეხეს და მოწამლეს, უღიმღამო, რუხი ფერის ასფალტდაგებული მოზრდილი ფართობიც შეიცვლის იერს და გრანიტ – მარმარილოს ვარსკვლავების ხალიჩით მოიკაზმება. ციური მნათობებით მოქარგული ხალიჩა წარმოსადეგი ზომისა იქნება, რადგან “საკანონმდებლო ორგანოში” დანიშნული “დეპუტატებიდან ბევრია “ღირსი” ვარსკვლავებით “უკვდავყოფისა”.

“მშვენიერი” ხალიჩის შუაგულში “პარლამენტის ორგზის

წინამძღოლის”. გაზეთებისგან რამდენჯერმე სომეხ – ებრაელად შერაცხულისა და ამ “ბრალდების” ევროსაბჭოს დარბაზში ევროპელ

ქართველად გამოცხადებით “უკუმგდებ - გამბათილებლის, ანუ უპირველესი მეგრელ - ქართველის”. პროფესიით ცხოველთმცოდნის, მაგრამ მთელი

შეგნებით “სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულის, დისიდენტყოფილის”. ეროვნული მოძრაობის ერთი “ბურჯთაგანის, მოუღლელი მომიტინგის”, მწვანეთა მოძრაობის თავკაცის, ჩვენი ფლორა - ფაუნის “ უპირველესი დამცველისა და პატრონის”. 1991 – 92 წლების შემზარავი გადატრიალების მონაწილის. კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის განდევნით შვებამოპოვებულის. “უხილავი ძალებითა” და შევარდნაძისგან გზაზე დაყენებულის:

მისი პარტიის გენსეკად გამწესებულის, მერე "გადეპუტატებულისა და მთლად თავმჯდომარედ" დანიშნულის. ურგებით მიღებულისგან უსაზღვროდ გათამამებულ – გადიდგულებულ -გაყვინიზებულის. გატყლარჭულ – გაპრანჭული და უსიამო ხმით, ხელების საეჭვო მოძრაობებით კოლეგებისა და "მოსახლეობის დამმოძღვრელის". საახალწლოდ, საგანგებოდ ქვეყნის "ნაღებისა" და მათი მომხრეებისთვის გამართულ სამარცხვინო თამაშობაში "ლამის ოცი ათასის მომგების". ე.წ. ნულოვანი ვარიანტის დაკანონებით საქართველოსა და ქართველთა კიდევ ერთხელ გამყიდველ – აბუჩად ამგდებელ – შეურაცხმყოფელის. უზმოზე ღომის ჭამით "მეგრელ-ქართველობის საბოლოოდ დამამტკიცებელ" **ზ. ჟვანიას** მოზრდილი ზომის ექვსქიმიან ვარსკვლავს ჩააგებენ.

ქვეყნის "მეორე პირის" ვარსკვლავის ქიმებს გვირგვინებად შემოეწყობიან მის მოადგილეთა სახელდანათლული გრანიტის მნათობები.

მერვე წელია აფხაზეთი საქართველოდან მოწყვეტილია და "ხელისუფლებას" მისი დაბრუნების არავითარი ძალა, უნარი არ შესწევს და რაც მთავარია, ამისი იოტისოდენა სურვლიც არა აქვს. მრავალი სახელმწიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებისა და მხარდაჭერის, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა რეზოლუცია - დადგენილებების მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის უძველესი კუთხე ჯერაც რუსული ჩექმით ითელება, დევნილი მოსახლეობა სხვადასხვა ქალაქებშია მიმოფანტული. არც "პრეზიდენტი, ხელისუფლება და პარლამენტი თმობენ პოზიციებს, თავგამეტებით იბრძვიან იქაურობის დასაბრუნებლად". ამ "უშეღავათო ომში" საკუთარი წილი უძევს აფხაზეთის მკვიდრს, "პარლამენტის ვიცე - სპიკერ" **ვ.ყოლბაიას.**__სწორედ ამ "თავგანწირულის" გრანიტის ვარსკვლავი მოერგება "თავმჯდომარის " მნათობის ერთ – ერთ ქიმს.

მომდევნო ქიმთან საქართველოს "განუყოფელი" კუთხის – აჭარის

მკვიდრის, ასევე "ვიცე-სპიკერის ", ჯერჯერობით მდუმარედ და უმოქმედოდ მყოფი **რ. ჯაფარიძის** ვარსკვლავს დააგებენ.

მესამე ქიმთან უკვე "სტაჟიანი ვიცე – სპიკერის", საბჭოთა კინოდან "პოლიტიკაში გადაბარგებულის", არაჩვეულებრივ გამოფენად წოდებული ინტერნაციონალიზმის მქადაგებელი ფილმის ავტორის. ძმასთან ერთად, სომხეთში მიმავალი ზვიად გამსახურდიას კვალში ჩამდგარი მდევარის, პრეზიდენტისგან "გატაცებული მილიონების წამართმევლის". ხელმოცარული და უსუსტეს პოლიტიკან **ე.შენგელაიას** სახელმინიჭებულ ვარსკვლავს ჩააგებენ.

მეოთხე ქიმთან თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის", მედიცინას ზურგშექცეულის, "პარლამენტში" დაწინაურებულის, კომენტარების მოყვარულის, პროვინციულად თავმომწონე, უნიჭო **გ.წერეთლის** სახელდებულ ვარსკვლავს დააგებენ.

შემდეგ ქიმთან "ექს-ვიცე - სპიკერის" და ხელმეორედ სამარცხვინო ხვეწნა -ჩალიჩით "გავიცესპიკერებულის", ნაღდ თბილისელად თავდაგულებულის, კლასიკური საბჭოური მოხელის, "მშვიდობის დაცვის ბურჯის", მილიონერ "სოციალისტის",

ვნებადაუმცხრალი "პოლიტიკოსის" ბორჯომის წყლით გამაგრილებელ – დამაშოშმინებლის, რესტორან – კაზინო – ავიაკომპანიის, სიმამრის სახელზე გაფორმებული არმაზის ვილა – სასახლისა და ვინ მოთვლის კიდევ რომელი მიძინებული ქონების პატრონის. მემკვიდრის ინგლისს სასწავლებლად წარმგზავნელის. მამად დაგულებული "პრეზიდენტის" ჯერ სანაგვეზე "გადამგდებლისა" და მერე მისი ენაჭარტალა, უჭკუო მეგაზეთეებისგან თავგადაკლული დამცველის. "პარლამენტის სპიკერის" მოძულე – გამშავებლისა და მაინც მისი მოადგილის. "მჭერმეტყველი ტრიბუნის". ჭაბუკობაში ქალაქურ ზედმეტსახელ ტუიდ მონათლული **ვ. რჩეულიშვილის** ვარსკვლავს დააგებენ.

რაკიღა საპარლამენტო ხალიჩის შუაგული მოიხატება, მერე ჯერი მის მთლიანად მოქარგვა – მოჩითვაზე მიდგება. აქაც ცეკას წინამდებარე მოედნის "ვარსკვლავეთის" დარად, გული – ორნამენტის ახლოს უფრო "სახელმოხვეჭილთა" გრანიტ – მარმარილოს ვარსკვლავები ჩაიგებიან, დარჩენილ ადგილებს კი ნაკლებად თავგამოჩენილთა და ახალბედათა სახელშერქმეული ქვის მნათობები ამოავსებენ.

პირველ რიგში სუსტი სქესის "კანონმდებლებს" სცემენ პატივს და

იქაურობას იმათი სახელობითი ვარსკვლავებით შესძენენ ლაზათს.

სისუსტისა რა მოგახსენოთ და "სპიკერის" ექვსქიმიანი ვარსკვლავის გვერდით უპირველესად, გვარიანად ჯანიანი და ძალოვანი არსების; ჟვანია-გოლდბაუმის მარჯვენა ხელის, მასთან შეკრულ-შედუღაბებულის, "პარლამენტის აპარატის უფროსის", ამ თანამდებობით უზომო ფულის მშოვნელის; ამერიკაში გაჯირითებულის; შუშის ნაკეთობათა მდაბიური ხარახურის კოლექციონერის; ნ. ბურჯანაძის "გასპიკერების კამპანიაში ბიულეტენების გაყალბებაში ბრალდებაწაყენებულისა და ბოლოს გამართლებულის"; დაუდგენელი ეროვნების **ხ. გოგორიშვილის** გაბარიტებს შეფარდებულ ქვის ვარსკვლავს ჩააგებენ.

მძიმეწონიანი არსების ვარსკვლავის მეზობლად ქვეყნისა და ერის წინაშე "ვალმოხდილის". ქართველთა სისხლის ნიაღვრებად დამაქცევრის ქალიშვილის, "რეპრესირებულ – რეაბილიტირებულის" და მაინც "არგაგონილი ნიჭის" წყალობით გზაგაკვალულის. "უნაკლო" ფილოლოგის, ცოტათი "პოეტის, მთარგმნელის, პოლიგლოტის, მხოლოდ საკანდიდატო დისერტაციის დაცვის მომსწრების". საბჭოთა კინოხელოვნების შესაფერისი, წითელი ბობოლებისთვის "ცივი ოფლის დამსხმელ – ამაკანკალებელი" უგემოვნო, მდარე შინაარსის ფილმების გადამღების. ეროვნულ – განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეგზავნილის. საფიცარ ხატად გადაქცეული შევარდნაძის "გამლანძღავ – დამპოტნელის". კანონიერი ხელისუფლების წნააღმდეგ მებრძოლი წითელი, კრიმინალური ნაღების წარმომადგენლის. "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის" ხელმეორედ გამეფების აქტიური მონაწილის, შტატიან "დეპუტატად" დანიშნულის. მესხეთელი თურქების ჩამოსახლების ხმალამოღებული მებრძოლის. ევროსაბჭოში საქართველოს "ელჩად" გამწესების გამო ფილმების ვერგადამღები **ლ. ღოღობერიძის** ქვადქცეულ ვარსკვლავს დააგებენ.

პირველი ქართველი "ელჩი" ქალის ვარსკვლავის მეზობლად ხორბალ - ფქვილეულ – პურ - ფუნთუშეულ – მაკარონის "მაგნატის" ქალიშვილის, ქვეყნის "მთავარი" სამხედრო

პროკურორის თანამეცხედრის. "პარლამენტის" შტატიან "დეპუტატ – კომიტეტების თავმჯდომარის". ნიუ – იორკის "მეტროპოლიტენ" – მუზეუმში ქართული მინანქრის ნამსხვრევების შედევრების ნახვით "გონდაკარგულისა" და ამის გამო საქართველოში დარჩენილი ეროვნული განძეულის ამერიკისთვის ჩუქების მოსურვილის. მოქალაქეთა კავშირის ფრაქციამიტოვებულის, მაგრამ მაინც " თავმჯდომარის სავარძელში" მჯდომის. სწორედ ამ სავარძლის კიდევ რამდენიმე ხნით შესანარჩუნებლად ე.წ. ნულოვანი ვარიანტის ხმის მიცემით საქართველოსა და ქართველთა კიდევ ერთხელ ღალატისთვის **ნ. ბურ-ჯანაძის** სახელდანათლულ ვარსკვლავს მიუჩენენ ადგილს.

რატომღაც ისე მოხდა, რომ "თავისუფალ, დამოუკიდებელსა და დემოკრატიულ" საქართველოში ციხეები გავსებულია პატიმრებით. მართალია მათ შორის პოლიტპატიმრები "აღარ არიან", მაგრამ დაცვა – გამოსარჩლება და პატრონობა ყველა სახის მსჯავრდებულს ეგების. ამ მხრივ "ხელისუფლებას" მშვიდად შეუძლია იყოს, რადგან ციხე – დილეგებში გამოკეტილებს მართლაც "გულანთებული და შეუვალი ქომაგი. ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, "კალბატონი" **ე. თევდორაძე** ყავს. პატიმართა სვე-ბედის "მეუფე და გამკითხველი, მეორე დედა ტერეზა, სიმართლისა და კანონიერების დასადგენად, " უსამართლოდ დაჩაგრულთა "გასამართლებლად, არავის ეპუება და უშეღავათოდ იბრძვის, დაუნანებლად, საჯაროდ, ამხელს ხელისუფლების" მაღალჩინოსნებსაც კი. სწორედ ამგვრი "თავგანწირვისა და პატიოსნებისთვის", მოყვარეს პირში უძრახეს პრინციპით "მომქმედი" პიროვნების სახელმინიჭებულის, ნულოვანი ვარიანტის მხარდამჭერის ვარსკვლავიც კუთვნილ ადგლზე ჩაიგება.

ადამიანის უფლებების დაცვისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ხალხის რჩეულთა ლანძღვა – თათხვასა და ცილისწამებაში ტოლს რომ არავის დაუდებს, ამაში არაერთხელ რომ დავრწმუნდით, შტატიანი "დეპუტატის", ერთი შეხედვით "მოკრძალებული", ენით აუწერელი ბოროტებისა და კაცთმოძულების ნიმუშის. ბინების კოლექციონერის, ჯღან – ძველმანების რესტავრატორის, "ქველმოქმედის". პრაღაში მალიმალ მიმქროლავის. კორუფციასთან "ბრძოლის" კომისიის ერთი ყველაზე "შეუვალ – შეურიგებელი" წევრის. ქართული ენის სიწმინდის "უანგარო დამცველის". სამეცნიერო წიგნებისა თუ ნაშრომების ქექვა - ფურცვლაში თვალებამოღამებული **მ. ჩილინგაროვას (მ. გიგნეიშვილის),** ავთვისებიანი სიმსივნესავით სასწრაფოდ მოსაკვეთის სახელდებულ ვარსკვლავს დააგებენ და დასახელებულ

მოედანზე.

საერთოდ, "პარლამენტის დეპუტატთა" უმრავლესობა შტატიანია და თბილისის "მერის" მიერ "შევის" განუსაზღვრელი ვადით "პრეზიდენტობის" ამოწურვამდე, მშვიდად შეუძლიათ იყვნენ.

ასეთი შტატიანი "დეპუტატ – კომიტეტის თავმჯდომარე" გახლავთ

"მმართველი პარტიის" ფრაქციის თავკაცი, ნულოვანი ვარიანტის მხარდამჭერი, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის "ვიცე – პრეზიდენტი", საიდუმლო მოსასმენი მოწყობილობით აღჭურვილი კაბინეტის მქონე **რ. ადამია**. თქმა არ უნდა "ბევრის

შემძლე და გამკეთებელი მაღალჩინოსნის" ვარსკვლავს, ხალიჩაში განსაზღვრულ ადგილს მიუჩენენ.

კუთვნილი პატივის მიგება მოელის მწვანეთა პარტიასა და "ეროვნულ მოძრაობაში" დაფრთიანებულს. ხალხის ნებით არჩეულ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს დაპირისპირებულს. მოღალატეთა და ომის გამჩაღებელთა თანამდგომს. "დამანგრეველ ქარტეხილებგამოვლილსა და აფხაზეთის ომის საშინელებათა გადამტანს". "გერმანიის გამაერთიანებლისა" და საქართველოს დამანგრეველ – დამანაწილებლის რჩევა – დარიგებებით "დაღვინებულ – დავაჟკაცებულს". "რეფორმატორთა გუნდის" აქტიურ წევრს, "პარლამენტში" კუთვნილი შტატის წილრგებულს. "ანტიკორუფციული საქმეების შემსწავლელ – გამომვლენელი კომისიის ექს - შეუვალ თავკაცს". ქონებრივი დეკლარაციის თანახმად ლამის "თითზე გადასახვევის არაფრის მქონეს (იხ. გაზეთი "თბილისი", 2000წ. 12 ოქტომბერი). მეუღლის სახელოვანი პაპის დანატოვარით "წელმოდგმულს, წამგებიანი და არაფრის მომტანი შ.პ.ს – ს" პატრონს. მეუღლის მიერ გამოცემული ასდოლარიანი წიგნის თვეში ხუთი –ექვსი უცხოელისგან შეძენილი ფულით "სულმოთქმულს". კოლეგა – "კალმოსნის" მიერ ლეღვის ფოთლის უხამსად მოხსენიებით უკიდურესად "შეურაცხყოფილს" და მისი გემოზე "დამლილავებელს". ევროპის ქვეყნებშემოვლილსა და ამერიკაში "სასწავლებლად" წარგზავნილ **გ. ბარამიძეს.**

"სასწავლებლად რომ წავიდა გია ამერიკაში, იქიდან რა სიხშირით მირეკავდა ყოველდღე, დღეში ათჯერ.

ჯვარი ვაშინგტონში დავიწერეთ. ქორწილი ჩვენს სახლში გადავიხადეთ.

"თითიქმის ერთი წელი ვიყავით ამერიკაში, გიასთვის ძალზე

სასარგებლო იყო იქ ყოფნა".

ამას ბოლო "საპარლამენტო არჩევნების" წინაპერიოდში გამოსულ გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელის" დამატებაში ყვება შევარდნაძის "ხელისუფლების" ერთი ფავორიტთაგანის მეუღლე.

მართალია ამერიკაში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში "სწავლა –

განათლებისთვის", დაოჯახებისა და დროსტარებისთვის ხანგრძლივი დროით წარგზავნას, განწირული მოსახლეობის "პენსიების" გაუცემლობის ხარჯზე, სახელმწიფო ხაზინას გვარიანი თანხის გაღება მოუხდა, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. სამაგიეროდ, იქიდან ხვალინდელი "ბედნიერი ცხოვრების ასაშენებლად ძალზედ საჭირო სუპერ სპეციალისტი" დაგვიბრუნდა.

ძნელია თქმა იმისა, თუ რომელი თანამდებობრივი სავარძლის დაუფლებას ლამობდა ოკეანის გაღმიდან მობრუნებული. ერთი კია, რომ მინისტრის პორტფელშეთავაზებულმა, ცივი უარი განაცხადა, რის გამოც პატრონ - დამკვალიანებელთა "რისხვა" დაიმსახურა. თუმცა, "წყენა – გაბუტვის" პერიოდმა მალე განვლო და "გონსმოსულ – მონანიებულს" შეუნდეს – "თავდაცვისა და უშიშროების

კომიტეტის უფროსობა" უბოძეს. და არის საქართველო "თავდაცული და უშიშრად" მყოფი. აი, ამ სამსახურისთვის, ნულოვანი ვარიანტის მხარდაჭერისთვის ჩაიგება "პარლამენტის" წინ გაშლილ სიმბოლურ ხალიჩაში **გ. ბარამიძის** გრანიტის ვარსკვლავი.

გრანიტ- მარმარილოს მნათობებით მოქარგულ ხალიჩაში კუთვნილ ადგილზე ჩააგებენ ყოფილი მოფარიკავის, დიდი სპორტიდან წასულისა და ჟურნალისტიკაში მისულის. სპორტული და საზოგადოებრივ – პოლიტიკური ჟურნალ - გაზეთების რედაქტორებად ყოფილის. პირველი "ოპოზიციური" გაზეთის რედაქტორყოფილის. ხელოვნურად შეკოწიწებული ინფორმაციის მინისტრყოფილის. უკანონო ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარი, ანტიეროვნული, ქართველთა დათრგუნვა – დამონების მისიადაკისრებული ტელევიზიის ყოფილი შეფის . ამჯერად "დეპუტატად" დანიშნულის, ჯერ-ჯერობით ვერაფრით წარმოჩენილის. ქვეყნის დამღუპველი ნულოვანი ვარიანტის მომხრე **ა. გოგელიას** სახელობის ვარსკვლავს.

საქართველოს "მხსნელად მოვლენილი რეფორმატორების" გუნდის კიდევ ერთ აქტიურ, "იურისტად" შობილს, უკლებლივ "ყველაფრის მცოდნესა და გადამწყვეტს". ქართველთა პასპორტებიდან ეროვნების მაუწყებელი გრაფის გაუქმების ერთ უპირველეს მომთხოვნს. იეღოველთა მოუღლელ მფარველსა და საქართველოში მათი გამრავლების, მართლმადიდებლობის დაკნინებაზე მეოცნების. "ვაჟკაცობადაჩემებულისა და უშიშარი დამრტყმელის." ნაირგვარი "კომისიების წევრ - მომკვლევ – გამომააშკარავებლის". "იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის" ვაკანტური ადგილის მიუღებლობით განაწყენებულის და ამის გამო ნულოვანი ვარიანტის მიღების მომხრეებს "დაპირისპირებულისა და განრიდებულის". მოქალაქეთა კავშირიდან და ფრაქციიდან "გასვლის დამმუქრებლის". სასამართლოში "სარჩელის შეტანისა და თვით სტრასბურგამდე ლამის რკინის ქალამნებით წამსვლელის." მაგრამ, მალევე ყველაფერზე მიყუჩებულ – ჩამცხრალის. საბოლოოდ, რაიმე სარფიანი თანამდებობის მიღებაზე იმედგაცრუებულის. დაუნახავ – უმადურ პატრონთაგან განაწყენებულისა და ამის გამო მშობლიურ პარტია - ფრაქცია "მიტოვებულის". და მაინც, უწინდელი ერთგული და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, წითლები დათმობაზე წავლენ და **კ. დავითაშვილს** სახელდებულ გრანიტის ვარსკვლავს მაინც დაუგებენ.

ქვად ქცეული ვარსკვლავებით დაფასება მოელით "პრეზიდენტის" ცეკას მდივნობის დროინდელ პარტიულ მუშაკებს:

საქართველოს კურორტების "აღმშენებელსა და მზრუნველ" მეპატრონეს, მშრომელთა "მოსვენებულ დასვენებაზე ფიქრით დამშვრალს", უძირო ქონების მომხვეჭელს. დღეს "დეპუტატის მანდატით" უზრუნველყოფილსა და რომელიღაც "კომიტეტის წინამძღოლ", ლამის საუკუნეს მიღწეულ **ზ. ღუღუნიშვილს;**

საბჭოთა ვაჭრობის ბნელსა და ლაბირინთულ სისტემაში გამობრძმედილ, ამჟამად საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს "დაუფლებულ – გადეპუტატებულ "შევის" ჩანათესავებულ, დაუთვლელი ფულის პატრონ **მ. ტყეშელაშვილს;**

ძეს მისას, რუსთავის "მერყოფილს", იქაურ მკვიდრთა ყოფაცხოვრების "მოწყობა - გაუმჯობესებით სიქაგაცლილს." "უმშვენიერესი" თეატრალური ფესტივალისა თუ

ნაირგვარ გამოფენა – სანახაობათა “ჩატარების წამომწყებს”, უსუსტესსა და არაფრის გამკეთებელ “დეპუტატ” **მ. ტყეშელაშვილს.** არ არსებობს ქვეყანა, ხელისუფლებას ჭიად შეჩენილი მოწინააღმდეგეები, ანუ ოპოზიცია რომ არა ყავდეს. ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. თუ არა ამ “ფოლადგულიანების ურყევად დგომა, ყველაფრის გულდაგულ ჭვრეტა – ჩხრეკა, აღმოჩენილ – ნაპოვნის გამომზეურება”, ხელმრუდეთა და შავგულიანთათვის ნათქვამ – ჩადენილის “მიუტევლობა, პირში მიხლა”, ვინ იცის ყველანაირი უბედურების მომსწრეთ, სხვა კიდევ რა წარღვნა დაგვატყდებოდა თავზე.

ღვთის წყალობით ამგვარნი მართალია ბევრნი არა, იმდენნი მაინც არიან, თავისას რომ გაიტანენ, მტაცებლებსა და უღირს კოლეგებს “ხელებს ააწევინებენ, უკან დაახევინებენ და ჩააჩუმებენ, უკეთურ საქმეთა გაკეთებას გადააფიქრებინებენ”. სწორედ ამგვარი “შეუპოვარნი, მამულის მხსნელნი”, თავდაპირველად იარაღით დამკვიდრებულთა მომხრენი და მერე “გონსმოსულ–გამოფხიზლებულნი გაერთიანდნენ ეჭვშეუვალ ოპოზიციურ ახალ ფრაქციაში და ცეცხლი დაუნთეს” ქვეყნის ძარცვა – გლეჯაში გაჯიბრებულ, თავზე ხელაღებულ “ყოფილ” თანამოაზრე – თანამზრახველებს. დარწმუნებულები ვართ, ამ “თავდადებულებსა და სამშობლოს მოჭირნახულეებს ყოველ ნაბიჯზე ფეხს დაუდებენ, ჩაქოლავენ. მაგრამ, საღი აზრი და მართალი სიტყვა ბოლოს მაინც თავისას იქმს, სახელი და დიდება თავათ იპოვნიან ღირსეულთ”. და “პარლამენტის “ შენობის წინ გაშლილ ხალიჩას მათი სახელებდანათლული ვარსკვლავები შეემატებიან.

პირველი ვარსკვლავი სადაზღვევო კომპანია “ალდაგის” პატრონის, “მოკრძალებული, სუფთა გზით მავალი”, საქართველოს რკინიგზის თავკაცთან “დაპირისპირებულის” და მალევე ჩაჩუმებულის, მართლაც “უშეღავათო ოპოზიციონერ” **დ. გამყრელიძის** სახელმინიჭებული ჩაიგება.

მეორე ვარსკვლავი სააკაშვილის “საარჩევნო კამპანიის” ხელმძღვანელისა და მერე მასთან “დაჯახებულის”. ბიზნესში ერთობ “პატიოსნად” მოსულის, “მოუღალავი შრომითა და ოფლის ღვრით, არაფრიდან დაწყებულით” და დიდი ფულის მშოვნელის, ქართული ღვინის ხარისხისა და სახელის “მოსაპოვებლად დამშვრალის”. დამწვარ “მერსედესიანი მომღერალი უცნობი” ძმის, მის სარეკლამოდ გაკეთებული შემზარავი კლიპის მონაწილის. სამშობლოსა და ერის “კეთილდღეობაზე მოფიქრალი სწორუპოვარი ოპოზიციონერი” **ლ. გაჩეჩილაძისა** იქნება .

ყველასათვის ცნობილია ღმერთისგან დაწესებული: უფროს თაობასა და წარმავალს, აუცილებლად უნად მოჰყვებოდეს სიცოცხლის, ამქვეყნად არსებობის გამაგრძელებელი მემკვიდრე. მამის დაწყებულსა და გაკეთებულს, შვილი აგრძელებს; გამოცდილსა და ასაკმოძალებულ ხელმძღვანელს, ახალგაზრდა ხელქვეითი სცვლის; ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ ხელისუფლებს, ურთულესი მოვალეობების შესრულებაზე პასუხისმგებელი, წინამორბედთა დარად მოსახლეობისგან არჩეული ენერგიული პიროვნებები ენაცვლებიან.

ამ თვალსაზრისით დამშვიდებულები შეგვიძლია ვიყოთ. მართალია "მსოფლიო სახელის პოლიტიკოსს" განუსაზღვრელი ვადით "აქვს მინიჭებული ქვეყნის თავკაცობა", მაგრამ იმ შორეული დროისათვის თადარიგი მაინც დაჭერილი აქვს და საკუთარ პარტიაში ახალგაზრდული, კომკავშირული სექცია - ფრთა აქვს შექმნილი. სწორედ ამ სკოლაგამოვლილი მარადიული კომკავშირლები: **მ. სააკაშვილი, მ. მაჭავარიანი, გ. ბარამიძე, ზ. შენგელია, ვ. ზოდელავა, ს. გოგიბერიძე, ლ. ძნელაძე, ფ. ჩიხრაძე** და სხვანი გახლავან დღეს დამკვიდრებულები "უმაღლეს ხელისუფლებაში". დანარჩენები რიგში დაგანან და ელიან გამზრდელ – დამკვალიანებლისგან ხელის წამოკვრასა და წყალობას. ზოგიერთი კიდეც დაინიშნა "პარლამენტის დეპუტატად და აკეთებენ საქმეებს ეროვნულს". მომავალ მაღალჩინოსანთა ამგვარ ერთგულებასა და სამსახურს დაფასებაც შესაბამისი მართებს. ამიტომაც არავინ დაამადლებთ სანუკვარ ხალიჩაში სახელობითი ვარსკვლავების ჩაგებას.

გრანიტის ვარსკვლავებით "უკვდავყოფა" მოელით:

მოქკავშირიდან წასულს, კანონიერი ხელისუფლების მოძულეს, ქვეყნის დამღუპველთა თანამოსაქმეს, ნარედაქტორალსა და პარტიებშემოვლილს, ბოლოს და ბოლოს ადგილმოპოვებულ "ოპოზიციონერ" **ფ. ჩიხრაძეს;**

მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდულ – კომკავშირული სექციის წინამძღოლს, წარჩინებულსა და უჭკნობ, კლასიკურ კომკავშირელს, პავლიკ მოროზოვის იდეებს ნაზიარებ – გამზიარებელს, მარადჟამს მჭმუნვარე სახით მოარულს, "საქვეყნო საქმეების გადაწყვეტის წილრგებულს", სამარცხვინო კომკავშირული "საპროტესტო" ღონისძიებების მომწყობს, სუფთაწყლის დემაგოგს, ნულოვანი ვარიანტის მხარდაჭერის წყალობით, კვლავაც კომკავშირელთა თავკაცად დარჩენილ **დ. ტყეშელაშვილს;**

ჯერ – ჯერობით რაიმე ღირებული თანამდებობის ხელში ვერმომგდებელს, მუდამ ცინიკურ – ირონიულად და უაზროდ მომღიმარს, ნულოვანი ვარიანტის მხარდაჭერით იმედმოცემულ სკამის მომლოდინე **ი.**

ჩუბინაშვილს.

სულ მცირე ხნით წარმოვიდგინოთ როგორი იქნება საქართველო ხვალ, რანი ვიქნებით ქართველები, თუ არა უფსკრულიდან თავის დაღწევის იმედად გამომკრთალი სხივი "გადარჩენისა და ხსნისა". კომუნისტური რეჟიმის წნეხიდან გამოღწეულებმა, მშვენივრად ვუწყით მათი მოღვაწეობის უმთავრეს არსზე – "არავისთვის დაენებებინათ სახელმწიფო ქონების ხელყოფა" და თუ კი ვინმეს ხელი წაუცდებოდა, ურგებს მიითვისებდა, "უმძიმეს სასჯელს ირგუნებდა". ამიტომაც მოხდა, რომ საბჭოეთის "დაშლის" შემდეგ "ყველანი" ხელფასით შეძენილი მოკრძალებული ქონების მქონენი აღმოვჩნდით. მერე საბაზრო ეკონომიკაზე "გადასვლამ", მას მოყოლილმა "სიკეთემ"

ხელ - ფეხი შეუხსნა "ნიჭიერსა და საქმის მკეთებელ" ადამიანებს და შედეგიც სასურველ – სანუკვარი გამოდგა: პატიოსანი მოსახლეობის კუთვნილი სახელმწიფო ქონებისა და შემნახველ სალაროებში შეტანილი მათი ფულადი დანაზოგების მიტაცებით, "ჭკვიანებმა და მარიფათიანებმა," წაგლეჯილ – წართმეულით, ქვეყნის "მრეწველობის აღორძინება" დაიწყეს. ასე მოგვევლინენ ახალი ქართველი "მრეწველები", ანუ მოდერნულად რომა ვთქვათ "ბიზნესმენები". მართალია, ქვეყნის "მხსენელებმა" ამგვარად ნაშოვნი კაპიტალით აგებულ – ამოქმედებული ფირმა – საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების უდიდესი ნაწილი, როგორც წესი საკუთარ ჯიბეებში მოაყუჩეს, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზოგიერთს სინდისმა ცოტათი უბიძგათ – სასოწარკვეთილ ადამიანთა მცირე ნაწილს სამუშაო უბოძეს და

მათი ოჯახები გარდაუვალ კატასტროფას გადაარჩინეს.

ასეა თუ ისე, უზომო ფულის მშოვნელებმა, ბევრ სხვა პირად სიკეთესთან და პატივთან ერთად, არ არის გამორიცხული, უკანასკნელი მოდის სიახლით – ვარსკვლავთსახელთუკვდავებაც მოისურვონ და თავიანთს ოფის – ბანკებს გაყოლილი ქუჩები ძვირფასი მარმარილოს ვარსკვლავების დაგებით გაამშვენიერონ.

თავდაპირველად, ფრანგულ "კასტელთან" ერთად ქართული ლუდის ამაღორძინებელი და მერე მასთან დამდურებულ – ჩამოცილებული, თხევადი საპნის, მაკარონის მწარმოებელი, "ყაზბეგის" სარეკლამო ნიშნიანი რესტორან – ბარების მეპატრონე **გ. თოფაძე**_"პარლამენტის დეპუტატი და ფრაქცია მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს" თავკაცი გახლავთ.

ისიც ცნობილია, რომ ე.წ. ნულოვანი ვარიანტისთვის კენჭისყრაში, საქართველოს დამაქცევარ – გამყიდველ ასოცდაშვიდ კოლეგას მხარი არ აუბა, სული არ გაყიდა და ქართველთა წყევლა – კრულვა აიცილა. ამიტომაც ისურვებს გაბედულად, სახელდებული მარმარილოს ვარსკვლავის საკუთარი ოფისის წინ გამავალ ქუჩაზე დაგებას.

მარმარილოს მნათობს დააგებენ ღვინის მწარმოებელი ერთი "მეფეთაგანის", ვოლგოგრადის ღვინის ქარხნის ვერდამპატრონებლის, "პარლამენტარ" **ზ. ტყემალაძის** ოფისთანაც.

მინისა და მინერალური წყლების კომპანიის, ანუ ბორჯომის წყლის ფაქტიური მფლობელი, თი ბი სი ბანკის მეპატრონე, "ქველმოქმედი", რატომღაც "პარლამენტის" გარეთ არის დარჩენილი. თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან "დეპუტატის მანდატის" ჯიბეში ჩაუდებლად, "ახალი ფრაქციის წინამძღოლების" თანამოაზრე, მშვენივრად ახერხებს გაღატაკებულ – დაბეჩავებულ – დამშეულ ბორჯომელებთან გამკლავებას და მათგან სახელმწიფოსთვის "მიყენებული ზარალის თავიდან აცილებას". და "თავგანწირვას, კეთილ საქმეთა კეთებას" დაფასებაც სათანადო მართებს. **მ. ხაზარაძის**_სახელობის მარმარილოს ვარსკვლავს მისი ოფისის (ების) წინ დააგებენ.

არც განუმეორებელი, უგემრიელესი, სასარგებლო ლაღიძის წყლების გამაუფასურებელ – გამდევნელი, ქართველთა ჯანმრთელობისთვის უკიდურესად საშიში და მავნე კოკა –

კოლას პრეზიდენტის სახელზე გამოიწერა "დეპუტატის მანდატი". "ბორჯომის მეფის" დარად, არც ოკეანის გადაღმიდან მოვლენილით გაფულიანებული "მაგნატი" ივიწყებს "საქვეყნო თუ საერო საქმეთა კეთებას, იღვწის და იხარჯება სამშობლოს ასაყვავებლად" **თ. ავქოფოვის(ჭყონიას)** სახელდანათლულ ვარსკვლავს დიდუბეში, მისი ოფისის წინ დააგებენ.

ვის ვის და გრანიტის ვარსკვლავებით, ერთ – ერთი უპირველესების, საქართველოს "აღმშენებლობის ყველაზე დიდი მოსურვილეების", ანუ პირადი ქონების ყველაზე დიდი შემძენების, "პრეზიდენტის" უახლოესი ნათესავების სახელსა და დიდებას უკვდავყოფენ.

გრანიტის სახელდებულ ვარსკვლავებს დაუგებენ ბენზინ – ნავთობის, ენერგეტიკული, თვალს მიფარებული სხვა უამრავი, განუზომელი ფულისა და სიმდიდრის მომტანი ობიექტების, ადამიანთა დამღუპველ – გადამგვარებელი კაზინოების მფლობელ **ც. და ნ. შევარდნაძეებს;**

საბჭოთა საქართველოს სავაჭრო პალატის ყოფილ და ახლანდელ პატრონს, სხვადასხვა უჩინარი ობიექტებისა და ბანკების მფლობელ "შევის" მძახალ **გ. ახვლედიანს;**

ახლად წამოჩიტული ქართული "ბიზნესის" ერთ – ერთ "ანგარიშგასაწევ ფიგურას", საქართველოს გამამობილურებელი "უძლეველი მაგთის" პატრონს, კაგებეშნიკ გენშერის სამშობლოს "გამაერთიანებლის" სიძე **გ. ჯოხთაბერიძეს.**

და სხვა ბევრ "ნიჭიერსა და ღირსეულს".

ძლიერი, ფუნდამენტური მეცნიერება რომ სახელმწიფოს დიდების ერთ – ერთი უმთავრესი წინაპირობაა, ყველა დაგვეთანხმება. თავის ქებაში ნურავინ ჩამოგვართმევს, მაგრამ სრული ჭეშმარიტებაა და სიმართლე, რომ ქართველი მეცნიერების ნაფიქრალ - ნააზრევმა, აღმოჩენებმა საფუძველი დაუდეს როგორც საქართველოს, ისე სხვა ბევრი ქვეყნის მეცნიერების ცალკეული დარგების დაფუძნებასა თუ განვითარებას, საგრძნობი წარმატება და უპირატესობა არგუნეს ტექნიკასა და მრეწველობას, ქვეყნების ეკონომიკურად გაძლიერებას. სახელოვან წინაპართაგან გაკვალულ გზაზე, დღეს დაჯერებულები და სახელმოხვეჭილები მიუყვებიან ჩვენი სწავლულები, ამქვეყნად არსებობის მთავარი მიზანია ღირსეულ მემკვიდრეთა აღზრდა, ქვეყნისათვის სახელისა და დიდების მოხვეჭა, მამულისა და ერის სამსახურში ყოფნა, თავდადება გახლავთ. ჩვენდა სამწუხაროდ ბევრი, სამუდამო სასუფევლის ბინადარი გახდა, მაგრამ ვინც ჩვენი თანამედროვეა, ჩვენებრ სამშობლოს ჭირ – ვარამით არსებობს, ვალდებულები ვართ თავი მოვუდრიკოთ, გავუფრთხილდეთ და სადღეისო შეჭირვებულ დროში, ბევრით თუ არა, მოდური გრანიტ – მარმარილოს სახელდარქმეული ვარსკვლავებით მაინც ვუძღვნათ სამადლობელი.

თბილისის მთავარ გამზირზე, მეცნიერებათა აკადემიის ლამაზი შენობის წინ, გრანიტის პირველ ვარსკვლავს უხუცესი მეცნიერის, უპირველესი ვარსკვლავთმისნის, აკადემიის პრეზიდენტყოფილისა და "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის" ბრძანებების უსიტყვოდ შემსრულებლის, "დამოუკიდებელი საქართველოს ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების" სამარცხვინო ტელესარეკლამო თამაშობანას მონაწილის, ორმოცლარიანი პენსიის მიღების მოლოდინით მოქანცული **ე. ხარაძის** სახელმინიჭებულს

დააგებენ.

გვერდით ჩაგებული ვარსკვლავი, მხცოვანი მეცნიერის საქმის გამგრძელებლისა და მემკვიდრის, ქვეყნის "წინამძღოლის" ნება – სურვილის უხმოდ აღმსრულებელ **ა. თავხელიძის** სახელობისა იქნება.

გრანიტის ვარსკვლავის დაგება ეკუთვნის კოსმოსური ტექნიკის "მსოფლიო მიღწევისა და მისი ქვეყნისთვის არნახული, საარაკო შემოსავლების მომტანი საოცრების, კოსმოსური "ზონტიკის" გამომგონებელს. საპრეზიდენტო არჩევნებში "უალტერნატივო კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირს", იმ პერიოდის ტელეეკრანის განუყოფელ ელემენტ **ე. მეძმარიაშვილს**.

რადგან მეცნიერთა მოდური ვარსკვლავებით უკვდავყოფაზე ვთქვით, ბუნებრივია მათით პატივმიგებას მოელიან სახელმწიფო უნივერსიტეტში "მოღვაწე სწავლულებიც". და დააგებენ ცოდნის ტაძრის წინ გაშლილ ბაღში, დიდი ერისკაცების საფლავ – ძეგლების თვალწინ, მათი მამულიშვილური საქმეების "გამგრძელებლების" გრანიტ – მარმარილოს სახელშერქმეულ მნათობებს.

უნივერსიტეტის ბაღში დაწყებულ "ვარსკვლავთცვენას", საქართველოს ისტორიის გამყალბებელ – დამამახინჯებლის, სიმართლის მიმჩქმალავ – მიწამიმყრელის, ცეკას თავკაცთა ამალის მუდმივი წევრის და მათგან "ქვეყნისა და ერის მემატიანედ მიჩნეულის". საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგის, წითელი კრიმინალური "ინტელიგენციის" წარმომადგენლის, სისხლისფერი ჩინ – მედლებითა და საბჭოურ – კომუნისტური წოდებებით დახუნძლულ "აკადემიკოს" **მ. ლორთქიფანიძის** ვარსკვლავის დაგებით მიეცემა დასაბამი.

ქართული ისტორიული მეცნიერების "დედაბოძი" ვარსკვლავის მეზობლად ჩააგებენ სახელოვანი მამის საქმის " გამგრძელებლის", ღვთივკურთხეული ქართული ენის "მოუღლელი მკვლევარის, თავდადებული ქომაგისა და მომვლელ - გამფრთხილებლის", ქართველთა სისხლის ღვრით ხელისუფლებახელთმოგდებულების მხარის მიმცემისა და მართალთა დასჯის მოსურვილის, ერის ინტერესების უგულებელმყოფლის, სიკეთესთან ზურგშექცეულისა და ბოროტებასთან მიახლებულ **მ. შანიძის** გრანიტის ვარსკვლავს.

ბაღის გამორჩეულ ადგილზე დააგებენ ვეტერანი კომკავშირელისა

და კომუნისტის, მჟავანაძის დროინდელი ცეკას მდივნის, მაგრამ "შევისგან" შერისხულ გაძევებულის, მერე შემორიგებულ-შენდობილის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორყოფილის, დღეს ქვეყნის განათლების უპირველესი კერის "რექტორის," ბანკირისა და ბინათმფლობელის, "აკადემიკოსობასთან ჰარმონიულად" შერწყმულ რ. **მეტრეველის** გრანიტის მნათობს.

მერე ერთმანეთის მიყოლებით დააგებენ:

"რექტორყოფილის", ფიზიკის საიდუმლოებათა "მკვლევარ - ამომცნობის", "პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის" უხერხემლო, არაფრის გამკეთებლი "თავმჯდომარის", ნულოვანი ვარიანტის სამარცხვინოდ ხმის მიმცემ **ნ. ამაღლობელის** ვარსკვლავს;

კლასიკური პარტკომის, "ელინოლოგის", უსამართლოდ მსჯავრდებულთა "გამკითხველ-შემწყალებლის," წითელი კრიმანალურ-გამყიდველი საზოგადოების ტიპიურ წარმომადგენელ **რ. გორდეზიანის** ვარსკვლავს;

კანონიერი ხელისუფლებლის პერიოდში, მოსკოვიდან წამოსული ბრძანებით დაშინებულისა და რექტორობაზე უარის მთქმელის. "აღმოსავლეთმცოდნის," ვინმე ივანოვთან ერთად გამოცემული ქართველთა შეურაცხმყოფელი წიგნის ავტორის, ცივსისხლიანი "აკადემიკოსის" და აღმოსავლეთმცოდნეთა ახალი თაობის "აღმზრდელ" **თ. გამყრელიძის** სახელობის ქვის მნათობს;

ბოროტების კლასიკური ნიმუშის, ზნედაცემული არაკაცის, საქვეყნოდ შესაჩვენებლის, საქართველოს ისტორიის გამყალბებლისა და შემლახველის, კანონიერი ხელისუფლების მოძულე მტრის, კრიმინალური საზოგადოების ტიპიური ნიმუშის, ხელოვნების მუზეუმის დირექტორის სავარძლის ხელთმოგდებულისა და იქაურობის გამძარცველ- გამნიავებლის, ქართველთა განძეულის ოკეანის გაღმა გაყიდვა-გაჩუქების ერთი მოთავეთაგანის.

"ამ კაცმა სულ გაათახსირა ყველაფერი. უცხოეთში დააქვს ფიროსმანის გამოფენა და სულ ყიდის და ყიდის. მარტო ფიროსმანი კი არა, ალბათ, სხვაც ბევრი აქვს გაყიდული. ერთხელ ტელევიზიით გამოვიდა და თქვა – ხელოვნება კარგად არ მესმისო. შეიძლება ხელოვნების მუზეუმის დირექტორს ხელოვნება არ ესმოდეს?! რა უნდა იქ, დაღუპავს საქართველოს! ვისაც ხელოვნება არ უყვარს, ის ადამიანი არ არის", - ასე განაცხადა გაზეთ "ასავალ დასავალის" 2000 წლის N 44, ოთხმოცდაორი წლის მხატვარმა ,"შევის" თაყვანისმცემელმა ნათელა იანქოშვილმა. და მაინც დაუგებენ საჯაროდ ქართული ეკლესიის შეურაცხმყოფელ **ნ. ხუდადოვს (ნ. ლომოურს)** ქვადქცეულ ვარსკვლავს.

საქართველოსა და ქართველთა მოღალატე-გამყიდველის, ავსისხლიანი მამის შავბნელ საქმეთა გამგრძელებლის, ოდითგან საბჭოეთის "დამშლელისა" და საქართველოს დამაქცევრის მესაიდუმლის, მისი ნება- სურვილის აღმსრულებლის, კანონიერი პრეზიდენტის დაუძინებელი მტრის, ქართველთა გადაშენებაზე მეოცნების, მათი მიწა-წყლის უცხო ტომელთაგან დაპატრონების მოსურვილე **გ. მამულიას** ვარსკვლავს.

ქართული ჟურნალისტიკის “მეტრის”, შევარდნაძის მარადიული თანამდგომ-მოაზრისა და შეუცვლელი იდეოლოგის, წითელი ტელევიზიის ყოფილი წინამძღოლისა და ამავ ფერის გაზეთის ექს-რედაქტორის, მომავალ კალმოსანთა “აღმზრდელად”, მათი განმსწავლელი ფაკულტეტის დეკანად დანიშნულის, მერე “თავგანებებულის” და მალევე ისევ “არჩეული” **ნ. ფოფხაძის** გრანიტის ვარსკვლავს.

საზოგადოებამ უწყის, რომ ოფიციალური კომუნისტური რეჟიმის ხანაში, წითელი მეფეები ძალაუფლების შესანარჩუნებლად ანუ დიქტატურის დასამყარებლად, მოსახლეობის დასამორჩილებლად, ერთ-ერთ საიმედო საყრდენად მათივე ფერის მაძღრად დაპურებულ, ნაირგვარი წოდებებითა და ჩინ-მედლებით დაკმაყოფილებულ-მიმხრობილ კალმოსნებს, ე.წ. მწერლებს მიიჩნევდნენ. ისინიც, ადამიანების “ზნეობრივად და სულიერად მასაზრდოებელნიც, ბურჯნი ქვეყნისა და ერის ძლიერებისა, თვითმყოფადობისა”, ყველაფერს აკეთებდნენ, თავებსა სწირავდნენ მბრძანებელ-დამპყრობელთა დასაგმობ დავალებათა შესასრულებლად. ამიტომაც არ არის გასაკვირვი, რომ 1991-92 წლების სისხლიანი გადატრიალების, “პროვინციული ფაშიზმისა და დიქტატურის” წინააღმდეგ მებრძოლ მოღალატე-გამყიდველებთან ერთად, მწერლებად წოდებულმა არსებებმაც წამოავლეს ხელი ავტომატებს და ქართველთა სისხლის ღვრით ვნებადამცხრალებმა, კანონიერი ხელისუფლების დამხობით “გამარჯვებულებმა, სამშობლო დაღუპვისაგან იხსნეს”. წითელ კალმოსანთა ეს “რაინდობა” კვლავმობრუნებულმა წითელმა ბატონმა ტრადიციული დაპურებით აღნიშნა და დააფასა, უკმაყოფილო, გულდაწყვეტილი არვინ დატოვა და ჩვეულ დავალებათა კვლავაც აღსრულება მოსთხოვა. და უქადაგებენ გაუბედურებულ, მონადქცეულ, ღირსებააყრილ, ეროვნებაწართმეულსა და სამშობლოგაჩანაგებულ ქართველებს “სიტყვის პატრიარქნი, ხვალინდელი სამოთხისდარი და უბედნიერესი დღის დადგომაზე, ამის შემძლე შეუცვლელი პრეზიდენტის განუსაზღვრელი დროით მეფობაზე”. სანაცვლოდ, კიდევ ერთხელ დაუფასდებათ ცრუ სამსახურში დამშვრალთ, “პრეზიდენტი” მათი სახელობითი გრანიტის ვარსკვლავებით უკვდავყოფის ბრძანებას გასცემს და მწერალთა სახლად წოდებული უმშვენიერესი ნაგებობის წინამდებარე ფილაქანზე ჩაგებული ქვის მნათობები მეტ “სიდარბაისლეს” შესძენენ იქაურობას.

ცხადია, პირველ ვარსკვლავს “უპირველესი კალმოსნის, სახლის ახლანდელი მასპინძლის, სახელოვანი კრიტიკოსისა და ნაღდი რედაქტორის”, “შევის” ამქრის ერთი უპირველესი წევრისა და ყველანაირ საქმეთა გამშანსავ-მომკვარახჭინებლის, ტელეკომპანია რუსთავის 2-ის “სენსაციურ პროგრამა 60 წუთში გამოჭენებულ-გამოაშკარავებულის, ამის გამო შეურაცხჰყოფილისა და სასამართლოთი პატიოსნებისა და უმწიკვლობის დამბრუნებელ” **თ. წივწივაძის** სახელობისას დააგებენ.

მერე თავმჯდომარის ვარსკვლავის მიყოლებით, კავშირის წევრ “კალმოსანთა” სახელშერქმეულ ქვის მნათობებს ჩაამწკრივებენ.

ეჭვგარეშეა, არავის ეწყინება, თუკი პირველ რიგში ქართული მწერლობის “ლეგენდისა და ცოცხალი კლასიკოსის”, აბრაგ დათას წიგნის “ავტორის”, ციხე- საპყრობილეთა

მოვლილის, მართალთა მაბეზღებლისა და ჩამშვების, უზომო ღვარძლისა და შხამის მნთხეველის, სიცოცხლეშივე უფლისგან სასჯელმიგებულის, ეროვნულ ხელისუფლებასა და პირველ პრეზიდენტს დაპირისპირებულის, წითელ მეამბოხეთა თანამონაწილის, საქართველოს "აღდგენა-მომძლავრებისთვის" ხალხისგან შემოწირული ძვირფასეულობის შემგროვებლის და მერე ყველაფრის გამაუჩინარებელ **ჭ. ამირეჯიბის** ვარსკვლავს დააგებენ.

მომდევნო ვარსკვლავს "პოეტთა დედოფლის", ქვეყნისა და ერის ინტერესებისგან გამიჯნულის, იარაღით დამკვიდრებულთა მომწონებლის, მათგან "აკადემიკოსობაბოძებულის, გულის ამაჩუყებელი ქველმოქმედების"- საკუთარ ქმნილებათა კრებულების საპყრობილეებისათვის შემწირველ **ა.კალანდაძის** სახელობისას ჩააგებენ.

ნურავის ეგონება, რომ ეროტიკისა და პორნოგრაფიისა არაფერი გაეგებოდეთ ქართველ "კალმოსნებს", გულგრილად უვლიდნენ გვერდს და ამ შინაარსისას არაფერს ქმნიდნენ. ამ მხრივაც გულარხეინად შეგვიძლია ვიყოთ, რადგან ეროვნულ ხელისუფლებაში შეგზავნილმა, უკანონოთაგან "დეპუტატად" დანიშნულმა, ქართული ლიტერატურის მუზეუმის დირექტორობაბოძებულმა და იქ ბარ-რესტორნების გამხსნელმა, დროულად შეავსო ჩვენს მწერლობაში ამ თემატიკის ირგვლივ არსებული სიცარიელე და ზედმეტად თამამმა პოეტური მუზის "მსახურმა", ზედმეტად ეროტიკულ-პორნოგრაფიული ქმნილებებით წალეკა წითელი პრესა. სხვა თუ არაფერი, სწორედ ამ "ნოვატორობისა და სიახლის" შემოტანისთვის ეგების დაფასება **ი. ორჯონიკიძეს** და დაერქმევა მისი სახელი "კალმოსანთა" სახლის წინ ქვაფენილზე დაგებულ ქვის მნათობს.

კიდევ ერთი დიაცი "კალმოსნის", საქართველოსა და ქართველთათვის უდიდესი ზიანისა და უბედურების მომტან-მსურველის, მესხეთელი თურქების დედობილად მოვლენილის, მათ იბერთა მიწა-წყალზე დასახლება-გამრავლების მომწადინებლის, "კავკასიური სახლის დიასახლისის", გაურკვეველი ჯილაგის **ნ. გელაშვილის** ვარსკვლავი შეემატება იქაურობას.

ის, რომ მწერალი მუდმივად მამულისა და ერის სამსახურში უნდა იყოს, მისი სატკივარი აღონებდეს და გასახარი აცოცხლებდეს, ერის მამის, ბრძენი ილიასი არ იყოს, "კარგად უწყის მარადჟამს ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებელმა, მათი ბედ-იღბლის გამკითხავმა", ოდითგან წითელ კრიმინალთა თანამდგომმა, მათგან ჩამორიგებული წოდებებისა და ორდენ-მედლების კოლექციონერმა. საქართველოს პირველი პრეზიდენტისგან საყოველთაოდ ცნობილი, შავით თეთრზე დაწერილ-დასაბუთებული ფაქტებით მხილებულმა. სხვათა ნააზრევ-ნათქვამის საკუთრად გამსაღებელმა. ძმაკაცი წითელი კრიმინალებისგან "კარვის ქალებად" წოდებული ქალბატონების სამართლიანი რისხვით დამფრთხალ-დაშინებულმა. სისხლიანი გადატრიალების სულის ჩამდგმელ-მომწყობთა თანამდგომმა. სანაცვლოდ, შტატიან "დეპუტატად" დანიშნულმა. პოეტის სახელის მაძიებელმა **ჯ. ჩარკვიანმა**. ჰოდა, "ერის წყლულის საკუთრად მიმჩნეველის" სახელწოდებული ქვადქცეული მნათობიც კუთვნილ ადგილს დაიკავებს "კალმოსანთა" თანავარსკვლავედში.

მომდევნო ვარსკვლავს საბჭოური მწერლობის კლასიკური

წარმომადგენლის, ექს-მილიციონერის, წითელ მმართველებთან დაახლოებულისა და მათი წყალობით ყველანაირი სიკეთემიგებულის, "შევის" დახმარებით კრემლის საავადმყოფოში ოპერაციაგაკეთებულ-სიცოცხლეშენარჩუნებულის, ეროვნულ ხელისუფლებას განდგომილ **მ. ლებანიძის** სახელობისას დააგებენ.

ცეკა – ტეკას თავკაცებთან, იქაურ მაღალჩინოსნებთან დაახლოება, მათს სამსახურში ჩადგომა, ბევრი საბჭოელი კალმოსნის ოცნება გახლდათ და უნდა ითქვს, ბევრმაც აისრულა ნატვრა იგი. ცხადია, ჩაძმაკაცებასა და ხშირად პურის გატეხას, ჩინოსანთა მხრიდან აუცილებლად მოყვებოდა მუზის მსახურთათვის ხელის წამოკვრა და ამა თუ იმ თანამდებობრივ სკამზე დასკუპება. ამმხრივ, მართლაც ქუდბედით შემოსილი აღმოჩნდა პოეზიის "მსახური" და ხალხმრავალი დროის სატარებელ-საქეიფო სუფრების "გამძღოლი", გალაკტიონის პრემიის "ლაურეატი". საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეროვნული ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის მოძულე. მოქალაქეთა კავშირის გენსეკის მოადგილე. ხალხმრავალი დარბაზის თვალწინ სიმართლის მთქმელის დაუნდობლად, არაკაცურად დამსისხლიანებელი. პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება მრგვალი მაგიდის მიმართ გამოხატული უსაზღვრო ზიზღის გამო, ყველაფერ მრგვალისა თუ წრიულის დაუძინებელი მტერი. ანუ: დედამიწის, მზის, მთვარისა თუ სფერული ფორმის სხვა ციურ მნათობთა, ბურთის, პომიდორის, ვაშლის, ატმის, საზამთროს, გოგრის, ბლის, ალუბლისა თუ სხვა მრგვალი ფორმის ხილ – ბოსტნეულის დაუყოვნებლივ კვადრატული, სამკუთხა, ექვს, რვაგვერდიანი ფორმებით შემცვლელი. "ბერლინის კედლის დამანგრეველისთვის" სხვებისაგან ჯერ ვერ შექმნილი უსახელ-უსათაურო უსტარ-"პოემის" მაახლებელი. პარიზში "პოეტური კრებულის" გამომცემელი **რ. ამაშუკელი**. ამგვარი "უნივერსალიზმისთვის, პოეზიის გრანდს" ნამდვილად ეკუთვნის გრანტის მნათობით "უკვდავყოფა" და დააგებენ მის სახელწოდებულ ვარსკვლავს.

კიდევ ერთი გრანიტის ვარსკვლავი შეემატება იქაურობას და იგი ერთ დროს კომუნისტ ხელისუფალთაგან ბოლომდე ვერ ამოცნობილისა და უყურადღებოდ შთენილის. ამ "გაუგებრობით" გულნატკენით მოსკოვს გადახვეწილის, მაგრამ "ნოსტალგიამოძალებულის", უკან მობრუნებულის. ფილარმონიაში გამართულ საღამოზე უბინაობის დამწუწუნებელის და მალე ვაკეში, მრგვალ ბაღთან ბინამიღებულის. ამ და სხვა გულუხვი წყალობებით ვალდადებულისა და ხალხის ნებით არჩეულ ხელისუფლებას დაპირისპირებულის. "პროვინციული ფაშიზმის" დამარცხებით გულდაშოშმინებულის. ინტერნეტით გატაცებულ პირმშოსთან ერთად ტელერეკლამით "პურის ფულის" მშოვნელის. თბილისის "საპატიო მოქალაქის" **მ. ქვლივიძის** სახელობისა იქნება.

ის, რომ უკანონოთა სამსახურში ოდითგან მყოფი "კალმოსნებიდან" დაუფასებელი არავინ დარჩება, ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. ამიტომ, მშვიდად შეუძლიათ იყვნენ:

შევარდნაძის ამალის ერთ უძველეს წევრს, მისი "წიგნების" ერთ - ერთ უჩინარ თნაავტორს. საბჭოთა იმპერიიდან იტალიაში "გაქცეულს", მაგრამ მალევე შინ მობრუნებულს, კვლავაც პატრონის კალთას თავშეფარებულ **ლ. ალფენიძეს**;

გამომცემლობა "მერანის" გროშებად შეძენილი ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, "კრიტიკოსსა და მწერალს" **გ. გვერდწითელს;**

"პოეტსა" და ერთ-ერთი გამომცემლობის დირექტორად გამწესებულ **ბ. ხარანაულს;**

"მწერალსა და რედაქტორს, დეპუტატ" **ნ. გრიგალაშვილს;**

"დრამტურგს, მწერალსა და რედაქტორს", ინდოეთში ქეთევან დედოფლის ნეშტის "მაძიებელსა" და ხელცარიელ დაბრუნებულს, ფიქრის

გორის მკვიდრ **ლ. თაბუკაშვილს;**

მხედრიონელს, "პოეტსა და კულტურის ექს-მინისტრს, პარლამენტის" წევრ **დ. მაღრაძეს;**

"სახელოვანი მოქანდაკის პოეტ" თანამეცხედრე **ლ. სტურუას**.

მართალია ჯერ ბევრის შექმნა ვერ მოასწრეს, მაგრამ რაც "გაგვაცნეს, რითაც გაგვაკვირვეს და გაგვახარეს", ესეც საკმარისია ახალ სიოდ მოქროლილ ახალგაზრდა და ახალბედა "კალმოსანთა"ქვაში გაცხადებული მნათობების დაგებით წასახალისებლად.

ნამდვილად "პატივმისაგებია" ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში შეგზავნილ-"დაბადებულ-წამოზრდილი", უნივერსიტეტის სტუდენტობის "სამშობლოს ხსნის ცეცხლით აღმგზნებელი", ეროვნული ხელისუფლების "შეცდომების ვერ მპატიებელი" და ამის გამო დაპირისპირებული, ახლანდელ სტუდენტთა "აღმზრდელად" მოვლენილი, თვითმფრინავის ბიჭების ტრაგიკული ხვედრის მაუწყებელი პიესის სცენაზე გადამტანი; ამერიკაში, აიოვას უნივერსიტეტში იქაურ სტუდენტთა "განმანათლებელი", ჩიკაგოში საკუთარი წიგნის პრეზენტაციით ამერიკელთა

"გამაოგნებლი" **დ. ტურაშვილი.** და ჩააგებენ ახალგაზრდა "კალმოსნის" სახელდანათლულ მნათობს, უფროსი კოლეგების ვარსკვლავეთში.

იქვე დააგებენ დღევანდელი ქართული მხატვრობის დიდებამოხვეჭილი ხელოვანის პირმშოს, "საინტერესო პიესებითა თუ სხვა ქმნილებებით სიტყვნათქვამის", ქართული მწერლობისა და დრამტურგიის "ხვალინდელ იმედად" დაგულებული **ლ. ბუღაძის** სახელობის ვარსკვლავს. დღევანდელი ქართული პრესა რომ საბჭოური, წითელი მეგაზეთეების ღირსეული მემკვიდრეა, ცხადია. რამდენიმე ასეულ ჟურნალ – გაზეთს სახელწოდება განასხვავებს ერთმანეთისგან, თორემ შინაარსით ვერაფრით გაარჩევთ. ამ მდაბიურსა და სამარცხვინო გამოცემებში დასაქმებული "ჟურნალისტები" გამოცდილ, პროფესიონალ კალმოსნებად

მიიჩნევენ თავს და ზერელედ შეთითხნილი ყალბი ნაჯღაბნებით ავსებენ იმ ურიცხვ გამოცემებს. მათგან არაფრით განსხვავდებიან ტელე-რადიო ჟურნალისტები, ასევე

არაპროფესიული, ცრუ ინფორმაციებით რომ აბინძურებენ ეთერს. უკანონოთა სამსახურში ჩამდგარ ყველა ამ ე.წ. ჟურნალისტს ერთი დავალება აქვს მიცემული: ყველაფერი იკადროს,

ყველაფერზე წავიდეს, თეთრი შავად გაასაღოს, მგელს კრავი უწოდოს, მკვლელი რაინდად წარმოაჩინოს, ქვეყნის დამაქცევარი აღმშენებლად, ჯალათი უმწიკვლო არსებად, უსამართლობა და უკანონობა ცხოვრების წესად, მართალი და პატიოსანი ქურდად და ყაჩაღად, მამულისა და ერისთვის თავდადებული-მოღალატედ და გამყიდველად, დაბეჩავებულ-დაჩაგრულთა ქომაგი-თაღლითად და გამომძალველად....

და "ღვრიან ოფლს საქვეყნო და საერო საქმეთა საკეთებლად" იარაღით დამკვიდრებულთა მხარდამჭერი "ჟურნალისტები". მარტო "პროვინციულ ფაშიზმთან და დიქტატურასთან" საბრძოლველად ბარიკადებზე აცვენილ და ტელევიზიის წინამდებარე კიბეებზე დაგორებულ-დაკოტრიალებულ ავტომატებასხმულ "კალმოსანთა თავგანწირვა რაოდენ დასაფასებელია". აკი დაუფასდათ კიდეც "ხელის გამოღება". "გამარჯვებულებმა" შვებით ამოისუნთქეს და წითელ კრიმინალ თავკაცებთან ერთად "თავისუფალი და დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობას შეუდგნენ". უფასდებათ "მუხლჩაუხრელი გარჯა": ზოგი მწვანე კუპიურებით ივსებს ჯიბეებს, ზოგიც ბრჭყვიალა მედალ-ორდენებით კმაყოფილდება. ახლა კი ღვაწლის დაფასების ბოლო სიახლე – ქვის სახელდებული ვარსკვლავებით "უკვდავყოფას" მოელიან.

აღმოჩნდება, რომ ვერაზე მდებარე გამომცემლობა-რედაქციათა უსახური შენობის წინ ჩამავალ ქუჩაზე "ჟურნალისტთა" პატივსაცემად დაგებული პირველი მარმარილოს ვარსკვლავი "პრეზიდენტის" თანამეცხედრე "ჟურნალისტის", საბჭოეთის დროს ქალთა ჟურნალში მოღვაწის, "თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ეპოქაში კი მშვიდობისათვის მებრძოლ ქალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და მათი გაზეთის რედაქტორის, პირველ ქალბატონ" **ნ. ცაგარეიშვილის** სახელობისა იქნება.

საბჭოური ქალთა ჟურნალი ვახსენეთ და თურმე სამრცხვინო იგი გამოცემა დღესაც ღონღილობს და კიდევ უფრო თავის მომჭრელი, მდაბიურ შინაარსშემენილი, დრო და დრო გამოაჭყიტავს მისი მსგავსი სხვა უხამსი გამოცემებით დაზვინული ჯიხურებიდან. თუმცა სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან "ჟურნალს" პრიმიტივი "კალმოსანი", კაპასი რძლის მიერ ტაშტნასროლი და გემოზე მიბეჟილი დედამთილის; მეზობლებს შორის სარეცხი თოკის გადაჭრის გამო ჩამოვარდნილი დავა- უსიამოვნების "სამართლიანად გამრჩევი და ჭკუის დამრგებელი"; სხვა მსგავსი ჩამყაყებულ-ობმოკიდებული იაფფასიანი ნაჯღაბნით ბოგანო მკითხველის გულის ამაჩუყებელ-მომფხანი. ზედმიწევნით შესაფერისი კომკავშირის პრემიარგებული, საქართველოს ჯალათ ს. ორჯონიკიძის მაქებარ-მადიდებელი წერილების შემთითხვნელი, მისი ბიოგრაფ-მემატიანე. წითელთაგან მოწონებულ-დაფასებულ-ხელწაკრული წითელი დიაცი **ნ. მგელაძე** "რედაქტორობს". ამიტომაც, ზნეობის "მოუღლელი ქომაგის" ქვის მნათობი "დიდი წინამორბედის" ვარსკვლავის მეზობლად ჩაიგება.

შემდეგ ვარსკვლავს "პოეტის", ჟურნალისტიკაში გაჭაღარავებულ- "დაბრძენებულის". ჯერ წითელი ცრუ ტელევიზიის წინაშე ვალმოხდილის, დღეს უკანონოთა რუპორის,

სიცრუისა და სიყალბის მქადაგებელი, უკიდურესად უშინაარსო, გამოფიტულ-გამოფშუტული, უგემოვნოდ აჭიჭყნილ-აწიკწიკებული "უპირველესი გაზეთის რედაქტორ" **ა. სანებლიძის** სახელობისას დააგებენ.

დიდხანს იმსახურა წითლების ტელევიზიაში "ბევრის მცოდნე სოციოლოგ-ფილოსოფოსმა". ეროვნული ხელისუფლების მოძულემ და "დილეგნაგემებმა". სისხლიანი გადატრიალების მომწყობთა მხარის მიმცემმა. მოსკოვიდან "ქვეყნის გადამრჩენის" ჩამოყვანის ერთმა უპირველესმა მომხრემ და მისი გამეფებისთანავე "პრეს-მდივნობით" დასაჩუქრებულმა. "უმწვავესი" საავტორო ტელე-პროგრამის წამრმომჩენმა. მერე რატომღაც მფარველთან "დაპირისპირებულმა და უშიშარმა მლანძღველმა". მერე ისევ მბრძანებლის ფრთებქვეშ შეგორებულმა და მასთან ერთად ისრაელში გაგულავებულმა. მერე ისევ უძღები ნაშიერის ნიღბის მომრგებმა. "საინტერესო, ოპოზიციური, ყველასგან განსხვავებული გაზეთის რედაქტორმა". რუსეთის მიერ საქართველოსთვის დადგმული მონობის უმძიმესი უღლის კიდევ უფრო დამძიმებისა და რუსული ჩექმისგან გადათელვის მოსურვილემ. ხალხისგან ზედმიწევნით მისადაგებული "შევის" გოშიად მონათლულმა. გვჯერა, ამგვარად "ვალმოხდილს" ნამდვილად ეკუთვნის მნათობით დაფასება. და დააგებენ ტელევიზიიდან გამოპანღურებულისა და გაზეთს შეკედლებულ **ვ.კვარაცხელიას** სახელდანათლულ ვარსკვლავს ვერაზე მდებარე ზემოთ დასახელებული ნაგებობის წინ.

ტელევიზიის უღიმღამო შენობის წინ "ბევრის მომსწრე, ისტორიულ ქვაფენილზე" ერთიმეორეს მიყოლებით დააგებენ "ისტორიულ მოვლენათა მონაწილე, დროებით კალამმიტოვებულ" და ავტომატებსხელწამოვლებულ " ლეგენდად ქცეულ ტელე-რადიო ჟურნალისტთა" სახელმიკუთვნებულ ქვის ვარსკვლავებს.

ქვაფენილის შუაგულში, "პრეზიდენტის" ასულის, "მუსიკისმცოდნის", კომპანია "ქართული ტელეფილმის" გენერალური დირექტორის, საქართველოს "კონტრაცეპტივებით მომმარაგებლის, საქართველოს გამამობილურებლის მეორე ნახევრის, საგურამოს ცად აწვდენილ გალავნიანი ციხე-დარბაზის დიასახლის **მ.შევარდნაძის** სახელმიკუთვნებულ მარმარილოს ვარსკვლავს დააგებენ.

რიგში დაგებული მეორე ვარსკვლავი შევარდნაძის კვლავგამეფების პერიოდის ჟურნალისტიკის "საოცრება-აღმოჩენის", მანამდე რადიოს რიგითი ინფორმატორის მინავლული "ნიჭის გაღვივებულის", ისტორიულ კიბეზე მოკოტრიალის, "შევის" პირად კომენტატორად შერაცხულისა და სასაცილო, პრიმიტიულ-იაფფასიანი, ცრუ ორშაბათ-რადიოინტერვიუერის, უაზრო სათაურიანი უაზრო, ბინძური, სიცრუისა და სიყალბის მფრქვეველი ტელეპროგრამის ეკრანზე ვერდატეული მონოტონური, უსიამო ხმით მოდუდუნე წამყვანი ტელემედროშის. ევროპასა და ამერიკაზე შემოგორებულის. ამერიკაში, იქაური საარჩევნო სისტემის "გასაცნობად" მივლინებულის და ყველაფრის "გაგებულ-შესწავლილის ჩვენში გადმომტან-დამნერგველის". "N1 ჟურნალისტად აღიარებულის". საცოდავად გაამპარტავნებულ-გაყოყოჩებული **ნ. ონიანის** ქვის ვარსკვლავი იქნება.

მომდევნო ქვის მნათობი "სახელგავარდნილი, ნიჭიერი, დიქტატურის წინააღმდეგ ამბოხებულთა აქტიური წევრისა და ომის ვეტერანის. ბაზალტის კიბის ცივი

საფეხურების გამხურებლის. არნახულად "საინტერესო და სამართლიანი პროგრამის სულის ჩამდგმელისა და წამყვანის". მართალთა და პატიოსანთათვის ქოქოლის დამყრელის, მათს ლანძღვა-წყევლაში გაწაფულის. სიცრუისა და სიყალბის მქადაგებელ **ნ. ჯაფარიძის** სახელობისა იქნება.

ქვის ვარსკვლავის დაგებით დასაფასებელია პროგრამა "საღამო მშვიდობისას" თანაავტორი და ყოფილი "წამყვანი", წითელი კრიმინალებისგან ქართველთა გასანადგურებელი ომის მონაწილე და ვეტერანი, "პროვინციული ფაშიზმის მძლეველი". სისხლიანი "ხელისუფლების პარლამენტარი და კავკასიის საქმეთა ექსპერტი", ამ საკითხთა სრული უვიცობის შესაბრალისად, სასაცილოდ წარმომჩენი **მ. არეშიძე.**

დარწმუნებული ვართ, ქართველები არასოდეს დაივიწყებენ ქართული ტელევიზიის პირველ დიქტორებს, რომლებმაც შეძლეს და დაემორჩილნენ ცხოვრებისეულ კანონს – თაობათა ცვლას და თავს უფლება არ მისცეს მაყურებლის მობეზრებისა. თუმცა, როგორც ყველაფერში, გამონაკლისმა აქაც იჩინა თავი და ცისფერ ეკრანს დღემდე მიწებებულ –"მისვარკებული" "არქიტექტორი და თეატრალი, კინომოვლილი", არაფრის მომცემი ტიპიური საბჭოური გადაცემის " ჩვენი მისამართია"-ს... რომელსაც რატომღაც კუთვნილი დაბოლოება "საბჭოთა საქართველო" ჩამოაცილეს, წამყვანი **ჯ.ვაშაყმაძე.** ჰოდა, "დიდ ღვაწლსა და ამაგს" კიდევ ერთხელ დაუფასებენ "უბერებელს" და მისი ვარსკვლავით იქაურობას " სიდარბაისლეს" მიანიჭებენ.

ქვადქცეული ვარსკვლავის დაგებით მიუძღვნიან სამადლობელს რადიო-ტელევიზიის სამთავრობო დიქტორად წოდებულს, ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლების "მომხრეს". სისხლისმღვრელი ომის დროს, მოღალატეთაგან გარშემორტყმული მთავრობის სახლიდან მოწყობილი გადაცემების წამყვანს. ომისგან სახლ-კარისა და სარჩო-საბადებლის პირწმინდად დამკარგავს. პოზიციის, პრინციპულობის ბოლომდე ვერ შემნარჩუნებელს და წითელთა ტელევიზიაში მიბურნებულს. "პრეზიდენტისგან" მიტევებულსა და ბინარგებულს. მართალი ადამიანებისთვის შეურაცხმყოფელი ბრჭყვიალა "ჟესტის ე.წ. ღირსების ორდენის" მიღების სიხარულისგან ქვეყნის დამაქცევრის ხელებს დაკონებულ **დ. სოკოლოვს.**

შემდეგ ვარსკვლავს ობმოკიდებული, კომუნისტურ-კრიმინალური ტელევიზიისთვის "სისხლის გადამსხმელის, ერთგვარად გამომაცოცხლებელ-გამაახალგაზრდავებელს", სრულიად გაუგებარი შინაარსის "აუდიენციის ფანტასტურად საინტერესო პროექტებით: მდაბიური "დიდების ზღაპრებით", უაზრო და სულელური "რა ხდება?" – თი და კომკავშირულ –კომუნისტური პათოსით გაჟღენთილი და წყალწყალა არაფრის მთქმელი "საქართველო XX საუკუნე" –თი მაყურებელთა გამაოგნებელ-გამაბრუებლის". მდიდარი ქვეყნების შემომვლელის, იქაურ უპირველეს სახელმწიფო მოღვაწეებთან თუ გვირგვინოსნებთან "შეხვედრილ

- ჩამმაკაცებულისა და სუპერ – სენსაციური მასალების" ჩამომტანის. ტელეგადაცემების დროს ცისფერ შუშის სფეროიან მაგიდასთან მჯდომის, მე-2 არხის შეფად დანიშნულ **კ. ყანდიაშვილის** სახელობისას დააგებენ.

ქართველები რომ დიდი ინტერნაციონალისტები და უცხო

ტომელთა გადაჭარბებულად შემთვისებელ –დამფასებლები ვართ,

ყველგან იციან და ამიტომაც არის, რომ ბევრს მოუწევს ჩვენთან გული. "სამშობლოდ საქართველოს მიიჩნევენ და მთელი სიცოცხლე მის საკეთილდღეოდ იღვწიან". ერთი ასეთი პიროვნებაა ტელევიზიის ლამის ემბლემად გადაქცეული, მშობლიურ ბაზალტის კიბეებზე გაგორებული მეამბოხე კოლეგების მხარის დამჭერი. ქართველი ერის ნების წინააღმდეგ წასული, კანონიერი ხელისუფლების დამხობით "გამარჯვებული" და უწინდებურად სიყალბის გამავრცელებელი. სისხლიანი "ხელისუფლებისგან" ჩინეთს წარგზავნილი, "სამშობლოს გადასარჩენ საქმეთა მომგვარებელი" **მ. რივკინი.** ამისთანად "თავის დადებას" აუცილებლად დაუფასებენ უცხოტომელს სახელნაცვალი მფარველ-პატრონები და მისი სახელდარქმეული ექვსქიმიანი ქვის მნათობის დაგებას ბრძანებენ.

ქართული ხელოვნების წარმომადგენლებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იცნობენ და დიდად აღიარებულებიც გახლავან. სიყვარული და დაფასება არც საქართველოში აკლიათ და უნდა ითქვას, ყველანაირად

პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებულები ბრძანდებიან. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხელოვანთა დიდი ნაწილი ყოველთვის დაახლოებული იყო წითელ მმართველობასთან და მათს აზრსა თუ სურვილს სათანადო ანგარიშს უწევდნენ. მოხდა ისე, რომ ეროვნული ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, კომუნისტ წინამძღოლთაგან უსაშველოდ გათამამებულებს ფრთები ოდნავ შეეკვეცათ, რაც სავალალო წინაპირობა გახდა დიდებას მიჩვეულების ხალხის ნებით არჩეულებთან დაპირისპირებისა, დროებით თანამდებობადაკარგული, ქვეყნისა და ერის გამყიდველი წითელი რევანშისტ-კრიმინალების მხარდაჭერისა.

გულსატკენია, უფრო სწორედ უბედურებაა, რომ ქართველთაგან სითბო და სიყვარულმიგებულმა ხელოვანთა მცირე ნაწილმა უზნეობასთან, ბოროტებასთან მოისურვა ერთობა და დროებით განელებული პატივმოყვარეობის, სამარცხვინო უპირატესობების დასაბრუნებლად,

დაუნანებლად გასწირა "სამშობლოს, ერის" თავისუფლება და დამოუკიდებლობა. დღეს ისინი ძველი "შარავანდედით" არიან მოსილნი, პატრონებისგან თავზე ხელგადასმულები და იარაღის ხელში აღების, "დიქტატურის დამარცხებისთვის". თანამდებობა – ჯილდო - სიგელებით

დასაჩუქრებულები. ბუნებრივია, ყველა სიკეთესთან ერთად "ხელისუფალნი"

გრანიტ-მარმარილოს მნათობების დაგებითაც გაუხარებენ გულებს "ხელოვან"-მოკავშირეებს და მეტ ძალას შესძენენ ახალი სამარცხვინო დავალებების შესასრულებლად.

და ისევ რუსთაველის გამზირზე, ეროვნული გალერეის წინ დაიწყება გრანიტ - მარმარილოს ვარსკვლავთა ცვენა.

დიდი ხნის წინათ, საბურთალოზე, ერთი ულაზათო ნაგებობის ზედა ნაწილზე ასევე ულაზათო, სეროჟას სიზმრად მონათლული, ჭყეტელა მოზაიკური ქმნილება გამოჩნდა. მალე თბილისის სხვა უბნებში აგებული შენობების ფასადებზეც გამოაჭყიტეს მოზაიკურმა თუ ქვაზე კვეთილმა ნამუშევრებმა. შემდეგ, ქალაქის დასავლეთ შემოსასვლელთან, გორაკზე წამომართულმა უშნოდ ახორხლილმა "ქანდაკმა" დააფრთხო ადამიანები. საბედნიეროდ, მან დიდხანს არ იარსება და იქაურობას წმინდა ნინოს უგემოვნო და უფერული ანსამბლი დაეპატრონა. ცოტა მოშორებით, რუსეთთან "ურღვევი ძმობისა და უძირიო სიყვარულის დამადასტურებელი", ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილისთვის მიუღებელი უზარმაზარი რგოლებჩახლართული და ტრაქტატჩამოკიდებული კომპოზიცია დაიდგა.

ასე თანდათანობით შეიძინა "სახელი" მათმა ავტორმა და რუსეთშიც გაიწვიეს, იქაური უსახური და ყინულვანი ქალაქების მორთვა-მოკაზმვა შესთხოვეს. შთაგონებულმა "ხელოვანმაც" ყველაფერი იღონა სლავთა სამყოფელთა "გასაკეთილშობილებლად". სწორედ ამის მერე გაიკვლია გზა დასავლეთში და ახლა სად აღარ უჭვრეტენ მის "ქმნილებებს". მარტო ნიუ-იორკში, გაეროს შენობის წინ, გაუქმებული მომაკვდინებელი რაკეტებისგან აგებული წმინდა გიორგის მონუმენტი რად ღირს. ანდა თვით რუსთაგან ვერ გაკეთებულის და მისგან შექმნილი, მოსკოვში აღმართული და "შურიანთაგან" დაწუნებული პეტრეს გრანდიოზული კომპლექსი, მაცხოვრის ტაძრის გაწყობა და სხვა. ამიტომაც ანდეს უცხოტომელს სამხატვრო აკადამიის წინამძღოლობა. კაცს, რომლის მოსკოვურ რეზიდენციაში იკრიბებოდნენ თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოსთვის კვლავაც მონობის უღლის დადგმის განმხორციელებლები. აი ამ "ღვაწლისთვის" დააგებენ **ზ. წერეთლის** სახელდანათლულ გრანიტის ვარსკვლავს გალერეასთან.

რუსეთს გადახვეწილი "ხელოვანის" ვარსკვლავის გვერდით დააგებენ წითლებთან დიდი ხნის წინ ნამუშევარ-ნამეგობრალის, საქართველოს ქალაქების ძეგლებით დამამშვენებლის, "პრეზიდენტის" ერთი უსაყვარლეს

და დაახლოებულ მოქანდაკე **მ. ბერძენიშვილის** ვარსკვლავს.

მომდევნო ვარსკვლავიც ისევ კომუნისტ თავკაცთა ამალის მარადიული წევრის, ჩვენი ქალაქების ძეგლებით გამლამაზებლის, მთაწმინდაზე აშენებული მოზრდილი სახელოსნოს მიმტოვებელ **ე. ამაშუკელის** სახელობისა იქნება.

ქვადქცეულ მნათობს დაუგებენ ფუნჯით სახელმოპოვებულ, წითელი კრიმინალების თანამოაზრესა და თანამოსაქმეს, საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგეს, "ქრისტიანად მოქცეულს", ვაკის წმინდა სამების ტაძრის აგება-მოხატვაში "წილჩადებულ" **თ. გოცაძეს.**

"პრეზიდენტისადმი" გამოხატული სიყვარულისა და პატივისცემის გამო, სამადლობელს გრანიტის ვარსკვლავის დაგებით მიუძღვნიან უკლებლივ ყველა

ნამუშევრის ერთობ მოსაწყენი მწვანე-ყვითელ-შავ ფერებით შემსრულებელს, თბილისის "საპატიო მოქალაქე" **ნ. იანქოშვილს.**

საშუალო თაობის ფუნჯის ოსტატებიდან ბოლოხანს მომეტებულად იჩინა თავი ქართული მონუმენტური ხელოვნების "ამღორძინებელმა", მოძალადეთაგან აღიარებულმა, უნივერსიტეტის პირქუში კედლების

მომხატველმა. "პარლამენტის" დერეფნების საკუთარი ქმნილებებით გამომბრწყინებელმა. თეატრალურ სარდაფში "არნახული სიახლის"-კარვების სულელური გამოფენის მოწყობით თბილისელთა "დამშოკველმა მაესტრომ". მეტისმეტად გადიდკაცებულ-გაპრორექტორებულ-"გაერისკაცებულმა". "შევის" მესამე შვილად თვითგამომცხადებელ-დამგულებელმა. ახალგაზრდა "დრამატურგისა და მწერლის" მამამ **გ. ბუღაძემ.** და დადასტურდება უკანონოთაგან ფუნჯის ოსტატის აღიარება მისი სახელდანათლული ქვის მნათობის დაგებით.

ქართული კინო მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი უძველესი და ხნიერი წარმომადგენელია. ჩვენებურ კინოხელოვანთა ბევრმა ნამუშევარმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ბევრი დათვალიერების გამარჯვებული გახდა. თუ ზოგიერთს დავუჯერებთ,

მომეტებულად მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან მომხდარა ქართული კინემატოგრაფის აღმასვლა. იგი გამხდარა "ხელშემწყობი და გადამრჩენი" წითელი პერიოდის დროს აკრძალულ თემებზე გადაღებული ფილმებისა. თუ არა მაშინდელ ცეკას მდივან შევარდნაძის "თანადგომა", დღეს თავს ვერ "მოვიწონებდით"

იმდროინდელი ე.წ. "კინო-ბომბებით", თუნდაც ისეთით, როგორიც ქართველთა სახელის შემლახავი "მონანიებაა".

დღეს როგორც ყველაფერი, ქართული კინოც უმძიმეს კრიზისს განიცდის, ფაქტიურად აღარ არსებობს. "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსის" მხურვალე და თავგანწირული მომხრე, ავტომატებითა და ქვემეხებით "პროვინციული ფაშიზმის დამმარცხებელი" ჯიბეგამოფხეკილი "კინოშნიკები" ვერ ამთავრებენ დიდი ხნის წინ დაწყებულ ფილმებს და მუხლებზე დამხობილნი შველას ხაზინის დამცარიელებელ პატრონს შესთხოვენ. და გერმანიის "გამაერთიანებელიც" დაუსრულებლად პირდება "დახმარებას" ყურმოჭრილ, ყველაფერში გამოყენებულ, დღეისთვის არაფრის მაქნისებს და დაუშურვებლად ურიგებს სამარცხვინო "ღირსების" ორდენ-მედლებს. თუმცა, მარტოოდენ რკინის ნაკეთობებით არ დააკმაყოფილებენ მათ და ჰოლივუდელი კოლეგებივით, დიღმის კინოსტუდიის ეზოში მათს სახელწოდებულ გრანიტის ვარსკვლავებს დაუგებენ.

ეს პატივი უპირველესად მარადიულ წითელ "კინოხელოვანს", ცეკა-

ტეკას ბიუროების უცვლელ წევრს, კინოსტუდიის შეუცვლელ დირექტორს, თუმცა ბოლოს თითქოსდა სკამშერყეულს, მაგრამ მისებრ "ქრისტეს გზაზე შემდგარი" მფარველისაგან კვლავაც სკამზე საიმედოდ დასმულს, ერთი უხნესი "დისიდენტისა" და შევარდნაძის "პარლამენტის ექს-დეპუტატის" მამას **რ. ჩხეიძეს** მიეგება.

მომდევნო ვარსკვლავს უკიდურესად განსხვავებული თვალთახედვისა და ხელწერილის მქონე, საფრანგეთში გაქცეულისა და იქაურობის "გამკვირვებელ-გამაოგნებლის". მართალია იქ მყოფის, მაგრამ სულით და გულით "ქართველი პრეზიდენტის" გვერდში მდგომ **ო. იოსელიანის** სახელობისას დააგებენ.

გრანიტის ვარსკვლავს დაუგებენ კლასიკური კინო-ოჯახის შემქმნელი ადამიანების "კინოხელოვან" ძეს. პირველი ქართული ვესტერნის, პირველი მიუზიკლის, პირველი ეროტიკული ფილმების შემქმნელს, მსოფლიო ფესტივალების გამარჯვებულს. კინოსა და პოლიტიკის

ერთდროულ "მსახურს". ადამიანის ნორმალურობაში დამაეჭვებელი არანორმალური სახელწოდების "პარტიის" დამაარსებელს. "პარლამენტის ვიცე-სპიკერ" ძმასთან ერთად, საქართველოდან განდევნილი პრეზიდენტის მდევარ **გ. შენგელაიას.**

"ხელისუფალნი" გულს არ დასწყვეტენ თანამოაზრესა და

თანამდგომს, "რომანტიულ-პოეტურ-სევდიანი ხასიათის, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის" კინო და ტელეფილმების შემქმნელ **მ. კოკოჩაშვილს** და მისი სახელობის ქვის მნათობის დაგების ბრძანების გაცემას არ დააყოვნებენ.

ბოლო "საპრეზიდენტო არჩევნების" გამო გაჩაღებულ იაფფასიან-მდაბიურ ტელეკამპანია-რეკლამაში, სიბრალულის მომგვრელი, "ვაჟკაცური და ალალი გულით თქმული" მოწოდებით იმოძღვრებოდა, მურტალოსებრ დაბღვერილი, სტუდია "ადამი და ევას" მეპატრონე **თ. ბაბლუანი.** თქმა არ უნდა, სიყვარულსა და თანადგომას არც მას დაუკარგავენ და სამადლობელს მისი სახელრგებული ვარსკვლავის დაგებით გადაუხდიან.

ქართული ხელოვნება წარმოუდგენელია მუსიკისა და სიმღერის გარეშე. ჩვენებური ჰანგები ყველასგან განსხვავებულია და მოსასმენად ფრიად საამო. ქართულ ხალხურ სიმღერებს ხომ ბადალი არ მოეპოვებათ მთელს დედამიწაზე. ამას აღიარებენ მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსები და სპეციალისტები. ქართველი მუსიკოსები, სახელოვანი ანსამბლები თუ საოპერო მომღერლები ყოველთვის სასურველი სტუმრები არიან ცნობილი საკონცერტო დარბაზებისა და საოპერო თეატრებისა. ბევრი ქართველი მუსიკოს-შემსრულებელი, სხვადასხვა ავტორიტეტული კონკურსების გამარჯვებულები არიან. მათს ხელოვნებას უმაღლეს შეფასებას აძლევენ სპეციალისტები, დახვეწილი გემოვნების მსმენელები.

საქართველოს დედაქალაქში ქვის მნათობთა მორიგი ცვენა კონსერვატორიასთან დაიწყება, მის წინ ჩამავალ ქუჩაზე დააგებენ მუსიკოსთა "სადიდებლად" სახელდარქმეულ ვარსკვლავებს.

პირველ ვარსკვლავს, უფროსი თაობის წარმომადგენლის, "შევის" მოტრფიალისა და ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლების მოწინააღმდეგის. წითელი "ინტელიგენციის" ღირსეული წარმომადგენლის. მშვენიერი და მელოდიური სიმღერების, სიმფონიური ნაწარმოებების ავტორის, ოპერისა და ბალეტების შემქმნელ **ბ. კვერნაძის** სახელდარქმეულს დააგებენ.

გვერდით, ნაძალადევად შეკოწიწებული "ოპერების", სიმფონიების, დრამატული სპექტაკლებისა და კინოფილმების მუსიკის, სიმღერების შემქმნელის. "დიქტატურისა და პროვინციული ფაშიზმის წინააღმდეგ გალაშქრებულის". ეროვნული ხელისუფლების დამხობით სიხარულმოგვრილისა და სისხლიანი რეჟიმის კვლავ გაბატონებით აღტაცებულის... და მაინც

ამერიკაში გადასახლებულ **გ. ყანჩელის** ვარსკვლავს დააგებენ.

მომდევნო მნათობს საქეიფო-დროის სატარებელი სიმღერების ავტორს. მოქალაქეთა კავშირის აქტიურ წევრს, ქვეყნის დამაქცევართა "პარტიის" ხელშეწყობით გამართული საიუბილეო საღამოების მოწყობითა და "ღირსების ორდენით" დაფასებულ **რ. სებისკვერაძის** სახელდანათლულს დააგებენ.

"გასახარია და საამაყოა", რომ ქართული მუსიკის კლასიკოსებს, უფროს თაობას, "ღირსეული" მემკვიდრეები, "ჯადოსნურ-ღვთაებრივი ჰანგების შემქმნელები" ჰყვანან. მათი "ნამოღვაწარი" ხომ დღევანდელი მუსიკის "მტკიცე ბურჯი", სახვალიოდ გასაგრძელებლის "ურყევი" წინაპირობაა. ამის გამკეთებლებს კი უეჭველად ეგებით ქვის ვარსკვლავებით დაფასება.

და დააგებენ კონსერვატორიასთან:

მამის ხელოვნებისა და საქმის გამგრძელებელი ძის, ქალაქური ჰანგების "მომხმობის", "კომპოზიტორთა კავშირის" ერთ-ერთი ექს-

ხელმძღვანელის, იქაური ქონების დატაცების გამო დაპირისპირებულ "შემოქმედთა" ჯერ ერთ ბანაკში მყოფ, მერე მეორე მხარეს გადასულ **კ. ცაბაძის** ვარსკვლავს.

გვერდით, ასევე მამის "ხელოვნებისა და საქმის" გამგრძელებლის, "საინტერესო და სერიოზული ნაწარმოებების შემქნელის". ბევრის შემძლე მამასთან ერთად უმშვენიერესი კლასიკური ქართული ოპერის ვესტერნის ჟანრში "გადამკეთებელ-გადამხალისებელ" **ვ. კახიძის** სახელმინიჭებულ ვარსკვლავს ჩააგებენ.

შემდეგი ვარსკვლავი ისევ ახალი თაობის, თანამედროვე ხასიათისა და შინაარსის"მუსიკის შემქმნელის", თავზე ქართველი კაცის სახელისა და ღირსების, პატიოსნების შემლახველი "კასინკაწაკრული", საყურეგარჭობილი, "პოეტის, ჯაზმენის, ეკლესიათა მომლოცველ" **დ. ევგენიძის** სახელობისა იქნება.

იმისი დავიწყება ნამდვილად არ შეიძლება, რაც ეროვნული

ხელისუფლების მოღვაწეობის დროს სახელგანთქმულ მევიოლინეს, კამერული ორკესტრის შემქმნელსა და ხელმძღვანელს, უმეტესწილად მოსკოვში მცხოვრებს, რუსეთუმეობის გამო "შერისხულს რომ წაუყენეს და უცხოეთში გახიზვნა აიძულეს". თუმცა, "მოკვეთილმა და გაძევებულმა" მალევე ყველაფერი უარყო და შინ მობრუნებული, კვლავაც ატკბობს მაშინდელი ხმაურიანი, გამიზნული აქციების შემკვეთებსა და შემსრულებლებს. და სანაცვლოდ, დაფასებასა და პატივისცემას, კონსერვატორიასთან ჩამავალ ქუჩაზე **ლ.ისაკაძის** სახელშერქმეული გრანიტის ვარსკვლავის დაგებით გამოხატავენ. დასახელებულ ადგილზე ქვის მნათობის დაგება ყველაზე მეტად ალბათ აქაურობის "დიასახლისს", ქართული საფორტეპიანო სკოლის "თვალსაჩინო წევრს", საერთაშორისო კონკურსებმოგებულს, ახალგაზრდა პიანისტთა "აღმზრდელ-გამომმზეურებელს", იერარქიული კიბის ყველა საფეხურის "დაუბრკოლებლად ამვლელს". საერთაშორისო კონკურსების დამწესებელ-წამყვან-პრემიათა გამანაწილებელს, საკონცერტო დარბაზის "აღმდგენელ-გამომბრწყინებელსა" და გენერალური დირექტორობის დამსაკუთრებელს. საფიცარი "პრეზიდენტის" დარად, თავათ რექტორობის "უალტერნატივო" კანდიდატსა და ცხადია რექტორად გამოცხადებულს. ბოლო "საპრეზიდენტო არჩევნების" სამარცხვინო, მდაბიური ტელერეკლამით მშობლიური მოქალაქეთა კავშირის ქება-მადიდებელ ჭაღაროსან "პროფესორ" **მ. დოიჯაშვილს** ეკუთვნის. ამიტომაც, მის ვარსკვლავს განსაკუთრებული ზომისას ჩააგებენ.

და "ვარსკვლავთცვენა" ისევ რუსთაველზე გაგრძელდება. ამჯერად, მშვენიერი საოპერო თეატრის წინ.

გრანიტის ვარსკვლავს თავდაპირველად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მუსიკალური ცენტრის – ე.წ. თეთრი დარბაზის "მეპატრონის, კომპოზიტორის, დირიჟორის, მომღერლისა და კინომსახიობის". საზღვარგარეთ გასტროლების დროს, მისთვის მხოლოდ რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებების შესრულების ნებამიცემულის. ვ. ჟორდანიას მშვენიერ ორკესტრზე მამასისხლად გადაკიდებულის. გულში ამოჭრილი, მისთვის საშიშად მიჩნეულ ხელოვანთა გზიდან ჩამომშორებელ **ჯ. კახიძის** სახელდარქმეულს დააგებენ.

"მე ბატონ ჯანსუღ კახიძის ძალისხმევით გამომაგდეს თეატრიდან... ნიჭიერი ადამიანები კახიძემ გაყარა და უნიჭოებს მოუყარა თავი". ამას ცნობილი საოპერო მომღერალი ა. ხომერიკი წერს გაზეთ "კვირა P.S"-ში. ჯ. კახიძის მოთხოვნით დაატოვებინეს თეატრი უნიჭიერეს ხელოვანს, ბრწყინვალე მომღერალს, აწგარდაცვლილ მ. თომაძესაც. თუმცა, ეს ყველაფერი არნახულად "ფერმკრთალდება დიდი მაესტროს მიღწევებთან", ქართულ საშემსრულებლო ხელოვნებაში "დაპყრობილ მწვერვალებთან" შედარებით. ესეც არ იყოს, საოპერო ვარსკვლავი -ქალბატონი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, გრანიტის ვარსკვლავით დაფასებული "მაესტრო" კი სისხლიან უკანონო "მმართველთა" მომხრე, ქვეყნის ხელმეორედ დამონების მოსურვილე გახლავთ.

ქვადქცეულ ციურ მნათობებს დაუგებენ აქაურ სცენაზე ფეხადგმულებსა და უცხო ქვეყნებში დაოსტატებულ-მოღლილებს:

მსოფლიოს ერთ-ერთ "უძლიერესსა და უპირველეს" ბანს, სახელოვანი თეატრების "შემაზანზარებელს", გაპარტახებულ-გავერანებულ "სამშობლოში ექსტრა-კლასის" საოპერო ფესტივალის დამაარსებელს. შევარდნაძის უკანონო ხელისუფლების მაღიარებელ-მადიდებელს, ღირსების შემლახველი "ღირსების ორდენრგებულ" **პ. ბურჭულაძეს;**

მოსკოვის დიდი თეატრის "უპირველეს პრემიერ" -ტენორს, ვერონას მუსიკალური აკადემიის წევრს, შევარდნაძის დამფასებელსა და მისგანაც სათანადოდ პატივცემულ **ზ. სოტკილავას;**

ამავე თეატრის სამსახურში ჩანავლულ სოპრანოს,

"მეტროპოლიტენ-ოპერის" რუსული სპექტაკლების მონაწილეს, "შევისთან" დიდი ხნის ურთიერთობით თავმოწონებულსა და მისი დიქტატორული რეჟიმის მომხრე **მ. ქასრაშვილს;**

დიდი თეატრის პრიმა-ბალერინას, საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებულს, აფხაზეთის "ხსნისათვის" გაღებული და უკვალოდ აორთქლებული ორმოცი ათასი დოლარის შემწირველს, იარაღით დამკვიდრებულ "ხელისუფალთა" მაღიარებელ **ნ. ანანიაშვილს.**

ისე ნურავინ გაიგებს, თითქოსდა ქართული საშემსრულებლო ხელოვნება მხოლოდ მუსიკალური ჟანრ-შინაარსისა იყოს და მხოლოდ მისით გვიცნობდნენ უცხოეთში. რასაკვირველია არა – ჩვენი დრამატული თეატრალური ხელოვნებაც მსოფლიო მნიშვნლობისა გახლავთ. ქართველმა თეატრალურმა დასებმა უდიდესი წარმატებით მოიარეს უცხოეთის ქვეყნები და იქაურ თეატრალთა, მაყურებელთა უმაღლესი შეფასება და მოწონება დამისახურეს. აღარაფერს ვიტყვით შინაურ აღიარებასა და სიყვარულზე. ჰოდა ბუნებრივია, დრამატული სცენის "ჯადოქრებს", მათგან მხარმიცემული სისხლიანი "ხელისუფლება", თანადგომასა და ერთგულებას ბოლო მოდური სიახლით – თეატრების წინ, მათი სახელჩაქარგული გრანიტის ვარსკვლავების დაგებით დაუფასებს.

თეატრისა და კინოს მარადიულმა წითელმა რეჟისორმა, ცეკა – ტეკას უპირველეს წითლებთან დაძმაკაცებულმა ვერაფრით აიტანა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, ეროვნული ხელისუფლება და თანამოაზრე თეატრალებთან ერთად დროებით უფლებადაკარგულ წითელ მეამბოხეებს შეუერთდა. მერე ის იყო მართალ ქართველთა დამარცხებით შვებამოპოვებულმა, ძველი პატრონი თბილისში დაბრუნებული იხილა და.... გააგრძელა ძველებური, ტრადიციული ცხოვრება წითელი რჩეულისა: "პარლამენტში" კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნა, ყველა ადრინდელი სიკეთის

კვლავაც მოხვეჭა, ყველა თანამდებობის უკლებლივ დაბრუნება. მერე "პარლამენტარობის" დათმობა და სანაცვლოდ თეატრალური ინსტიტუტის რექტორობის მიღება. რაც მთავარია, თავდაუზოგავი მონაწილეობა "დემოკრატიული სამშობლოს აღმშენებლობაში." და "აშენა" ცხრა წელიწადი "მსოფლიო რანგის პოლიტიკოს – პრეზიდენტთან ერთად თავისუფალი და დამოუკიდებელი" საქართველო. და 2001 წლის 2 მარტს, წლობით ხელფასმიუღებელი პროფესორ – მასწავლებლებისგან შეღონებულმა, უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა მიერ მდგომარეობის გასარკვევად "პრეზიდენტთან" გამართულ შეხვედრაზე, ქვეყნის "უპირველესი ფინანსისტის ანუ მინისტრისგან" შეურაცხყოფილ – აბუჩად აგდებულმა, იმავე საღამოს ტელევიზიით გამოსულმა, ღმერთის დარად "უშეცდომო" წითელ მფარველსა და მბრძანებელს, ყველაფერთან ერთად საკადრო პოლიტიკაც დაუწუნა და საჯაროდ განაცხადა: ამათი იმედი აღარა მაქვსო!

ამის მუხედავად, საბჭოეთის "დამანგრეველი" მაინც დიდსულოვნად მიუტევებს ფინანსების "განმკარგულებლისგან" წუთიერად წონასწორობადაკარგულს "ცხელ გულზე ნათქვამს" და რუსთაველზე, თეატრალური ინსტიტუტის წინ მისი რექტორის, ძველი, საიმედო თანამდგომ **გ. ლორთქიფანიძის** სახელწოდებული გრანიტის ვარსკვლავის დაგებას ბრძანებს.

დასახელებული ადგილიდან ორიოდე ნაბიჯის მოშორებით, სახელმოხვეჭილი რუსთაველის თეატრის წინ, ყველაზე უწინ მისი "ამაღორძინებლისა და დიდების მომხვეჭელის, ჯერაც არსად, არავისგან მსგავსი სპექტაკლების ვერაფრით დამდგმელისა და მხოლოდ მისგან ხორცშესხმულის." იგივეს საოპერო სცენაზეც "მომხდენის". თეატრალურ "ფენომენად და მოვლენად დამტკიცებულ– მიჩნეულის." მრავალი ქვეყნის თეატრში მიპატიჟებულისა და "არნახულ სასწაულთა ჩამდენის". ეროვნული ხელისუფლების მოძულისა და წითელ კრიმინალთა კვლავ გამეფების მოსურვილე – მომწონებელ **რ. სტურუას** ქვის მნათობს დააგებან.

მეორე ვარსკვლავს არანაკლებ "საოცრებას, სცენისა და ეკრანის კორიფეს,"დრამატულ სპექტაკლში "საოპერო ვარსკვლავად" გადაქცეულს, საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის უარმყოფელს. რუსეთის უმძიმესი უღლის სამუდამოდ დადგმის მომწადინებელს, სოციალისტური შრომის გმირ **რ. ჩხიკვაძეს** დაუგებენ;

ქვის მნათობების აქ დაგებით სამადლობელს მიუძღვნიან:

ასაკდაუთვლელს, "თავისუფლების ბარიკადებზე აცოცებულსა და პროვინციულ ფაშიზმზე გამარჯვებით" გონწართმეულს. ტელევიზიით სწორია შეცდომათი ქართული ენის "სიწმინდის მქადაგებელს". წითელთა მარადიულ, სიბრალულის მომგვრელ მსახურ **გ. გეგეჭკორს;**

ასევე წითელთა სამსახურში მოქანცულ – მინავლებულ, მდარე ტელერეკლამით ლუკმაპურის ფულის მშოვნელ **კ. საკანდელიძეს;**

ასევე წითელთა ერთგულ თანამოსაქმეს. ესპანელთა საამაყო ნაწარმოების მათთვის შეურაცხმყოფელი მრავალსერიიან ტელენათითხნში მთავარი გმირის უღიმღამოდ

შემსრულებელს. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაუთავებლად გამართული "ვარსკვლავების" ყელში ამოსული საღამოების წამყვან **კ.კავსაძეს;**

საქართველოს თითქმის ყველა თეატრმოვლილსა და ვერსად ფეხმოკიდებულს, კინოსა და თეატრისთვის ერთნაირად "ვალმოხდილ" კლასიკურ წითელ "რეჟისორ-მსახიობ" **გ. ქავთარაძეს;**

ქართველთაგან არჩეულ ხელისუფლებას დაპირისპირებულს, გერმანიის "გამაერთიანებლისა" და საქართველოს დამაქცევარის შემზარავი ურჩხულ-მანქანის პაწაწინა ჭანჭიკის, წითელ კრიმინალ-მაფიოზთა თანამზრახველს. სიმართლის ჩაწიხვლისა და უკანონობის აღიარებისთვის თბილისს შემოხიზნულ სოხუმის თეატრის უნიჭო, უვიც, თავხედ "ხელმძღვანელის თანამდებობითა და დეპუტატობით" დაჯილდოებულ **დ. ჯაიანს.**

სცენის "ოსტატთა ვარსკვლავთცვენა" მარჯანიშვილის თეატრთანაც დაიწყება. ქართველთა დამარცხებით, იარაღით ხელმეორედ ძალაუფლებადაუფლებული "ხელისუფლები" თანადგომას აქ მოღვაწეებსაც დაუფასებენ.

ქვის ციურ მნათობთა აქაურ ცვენას დასაბამს თეატრის "თავკაცის", სცენისა და ეკრანის "გრანდის, საზოგადო მოღვაწის". საქართველოს თავისუფლების უკუმგდების, წითელ კრიმინალთა თანამდგომის. ფიროსმანისა და მეფე ლირის ერთმანეთისაგან ვერაფრით გამორჩეული შემსრულებლის. დასის გადახალისების საბაბით არასასურველ მსახობთა დამწიოკებლისა და ქუჩაში გამპანღურებლის. ეკრანზე უცნობი ავტორის ქმნილების – აბრაგისა და კალმის დიდოსტატის უკვდავი ნაწარმოების გმირის – უშიშარი მეფის სახეების, ცხოვრებაში მართლაც ამ პიროვნებათა "გამაიგივებელ – თავდამგულებელ" **ო. მელვინეთუხუცესის** სახელობის ვარსკვლავის დაგება მისცემს.

მერე კი ერთმანეთის მიყოლებით დააგებენ:

თეატრში "დაბადებულ – გაზრდილის". ლამის სტურუასთან - გატოლებულ-მიახლოებულის. მისთვის ყველანაირად ახლობელ – მისადაგებული რაიკომის მდივნის გამთამაშებლის. ნიუ-იორკის "მეტროპოლიტენ -ოპერაში" რუსული ოპერის "დამდგმელის".

"პრეზიდენტის" თანამდგომ გამღმერთებელ **თ. ჩხეიძის;**

თეატრის "თავკაცის" დაკრულზე მოცეკვავის, ე. წ. ჯილა კოჭის. "შევისაგან" ბოძებული "ღირსების ორდენზე" მხოლოდ მაშინ უარის მთქმელის, როდესაც ოჯახი მშიერი დაურჩა, არნახულად გაუჭირდა. მისგან მხარდაჭერილი უკანონობის გვიან ამომცნობის. ბევრით ვერაფრით გამორჩეულ **ნ. მგალობლიშვილს;**

თეატრის "პირველი პირის" კიდევ ერთი ჯილის, მასთან ერთად სამარცხვინო, მდაბიურ ლუდის ტელერეკლამაში თავმოწონებულის, "დრამასთან ერთად სიმღერაში

წილჩადებულის", ფილარმონიაში მოწყობილ იაფფასიან "ვარსკვლავთა" საღამოების უცვლელ მონაწილე **გ. ბურჯანაძის;**

მიტუას როლის შესრულებით სახელგავარდნილის, თეატრსა და კინოში გაშინაურებულ – გალაღებულის. საკუთარ გამოსახულებიანი და სახელდებული, ადამიანთა ჯანმრთელობის შემარყეველი არყის წარმოება - გასაღებით ნაშოვნი ბინძური ფულის მომხვეჭელის.

"გივი მოქალაქეთა კავშირის წევრია. ოღონდ თვითონ იყოს კარგად და საქართველო ფეხებზე ჰკიდია", - განაცხადა გაზეთ "ასავალ დასავალის" N 50 – ში მისმა მეგობარმა და კოლეგამ ზ. ქაფიანიძემ. ამიტომაც, ერთ-

ერთს აქ სწორედ

გ. ბერიკაშვილს დაუგებენ ვარსკვლავს.

კაცი - "საოცრების". ლათინურ გამონათქვამ "მივედი, ვნახე, გავიმარჯვე" გამცხადებლის. ყველგან და ყველაფერში წილრგებულის. მსოფლიოშემოვლილის. კაცი – "ენციკლოპედიის". ფიქრის გორაზე, სიდედრის ბინაში დასახლებულისა და მისივე სახელობის ორიგინალური, ბევრი კოლეგისთვის გულის გასახეთქი თეატრის დამფუძნებელ **კ. მახარაძის;**

ქართული თეატრისა და კინოს გიგანტების ასულის. ფიქრის გორის გამორჩეული სახლის მოუღლელი დიასახლისის. სცენისა და ეკრანის მშვენების, საერთაშორისო კინოდათვალიერებათა მრავალგზის გამარჯვებულის. საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისგან განდგომილის. რუსეთისგან საქართველოს "მიტოვება-ჩამოცილებით" ცრემლდამღვრელის. "მსოფლიოსაგან ვერშეშინებული პრეზიდენტის" შემშინებლისა და მაგიდაზე მუშტების ბრახუნით "მოკვდი, მოკვდის" მაძახებელ **ს. ჭიაურელის;**

ეკრანულ აბრაგ დათას თანამეცხედრის, ამ თეატრის "დიასახლისის. მოცეკვავის", მერე თატრისა და კინოს მსახობად გარდაქმნილის. კანონიერი

ხელისუფლების მოძულისა და უკანონოთა მოყვარულ – მხარდამჭერის. საქართველოს "ხსნისთვის თავგანწირულის. ქართველი "ჟანა დ'არკის, თეთრმანდილიანი" მატარებლის ქალის. შევარდნაძეების ამალის ერთი "სეფექალთაგანის", ენაწყლიან **გ. გაბუნიასი;**

დიდი მსახიობის დის, თეატრში მისი ხათრით დამკვიდერებულისა და ნაკლებად შესამჩნევის. მთაწმინდაზე ძმის ნეშტის "შევის" ნებართვით გადასვენების გამო, ქართველთა სისხლისღვრით მოსულთა კიდევ უფრო შემყვარებლის. სამარცხვინო "ღირსების ორდენით" დაჯილდოებისას, "პრეზიდენტისთვის" სიცოცხლის გამღებელ – მჩუქნ **ნ. ჩხეიძის.**

სცენის მსახურთა სახელმინიჭებული ქვის მნათობთა დაგებით დაფასებულების ჩამოთვლას ამ თეატრთან ვერ დავასრულებთ, რადგან შეუძლებელია იმ არსების თვალს

მიფარება, რომელსაც საკმაოდ "ღრმა ხნული აქვს გავლებული" ხელოვნებაში. ამიტომაც უნდა მივაშუროთ კინომსახიობთა თეატრს, სადაც არის სამოქმედო არენა ვარსკვლავით მისაგებელისა.

ვფიქრობთ, აქაურობის ერთ-ერთი "დამაარსებლის, სპექტაკლების დამდგმელისა და მონაწილის", კინოსა და თეატრისთვის "ერთნაირად ხარკგაღებულის". კიდევ ერთი "ქართველი ჟანა დ'არკისა" და კიდევ ერთი "თეთრმანდილიანი" მატარებლის ქალის. იტალიელ კინომსახიობ ფრანკო ნეროსა და ინგლისელ მსახიობ ვანესა რედგრეივის დაქალის. "ფრიად ორიგინალური" სპექტაკლის დამდგმელი ბერძენი რეჟისორის ხელში "ჩამგდების" და თბილისში ჩამომყვანის. "შევის" თანამეცხედრის ამალის "სეფექალის, პოლიგლოტ" **ქ. დოლიძის** ვარსკვლავს, მამაზე ძვირფას აღმზრდელად დაგულებულის უსახური "ძეგლის" მახლობლად დააგებენ.

ქართველებს ჩვენი სპორტსმენების წარმატებებითაც შეგვიძლია ვიამაყოთ, რადგან მოპოვებულ უმაღლეს წოდებებს ბევრ დიდ სახელმწიფოში ნატრობენ. ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს, უამრავ საერთაშორისო ტურნირთა გამარჯვებულ ქართველ ათლეტებს სპორტის ისტორიაში კუთვნილი ადგილი აქვთ მიჩენილი. მართალია, ბოლო წლებში თავი ნაკლებად გამოიჩინეს ახალბედებმა, მაგრამ ამჯერად წარსულის გვირგვინოსნებისგან მიღწეულზე აღვნიშნავთ, მათს

მრავალრიცხოვან ტიტულებსა და წოდებებს გავიხსენებთ და ცხადია, ქვის მნათობთა "ვარსკვლავთცვენა" მათაც ეგებათ. ვიმედოვნებთ, ლოდინი დიდხანს არ მოუწევთ და სპორტის სასახლის წინ მდებარე მოედანზე დააგებენ:

ქალთა ჭადრაკის ცოცხალი ლეგენდის, ხუთგზის მსოფლიოს გვირგვინოსნის, მრავალგზის ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონის, უამრავი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის, თვით მამაკაც დიდოსტატთა დამჩოქებლის. ბევრი პირვლი წოდების, ხარისხის, ჯილდოსა და სხვათა მფლობელის. ბილიარდისა და მაგიდის ჩოგბურთის უზადოდ მოთამაშის. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ექს – პრეზიდენტის, საუკნის N1 სპორტსმენის. ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტთან დაპირისპირებულისა და საქმის "გარჩევის" მერე თანაპრეზიდენტად გამხდარის. ქართველი ერის ნებას გამიჯნულის, კანონიერ ხელისუფლებას

განდგომილის და უკანონოთა რეჟიმს მიმხრობილ **ნ.გაფრინდაშვილის**

სახელდარქმეულ გრანიტის ვარსკვლავს.

შემდეგი ვარსკვლავიც ჭადრაკით სახელმოპოვებული ქალის, მრავალ წოდებათა და ტიტუტლ –ჯილდო – პრიზების მომგროვებლის. საიმედო

ცვლის ამღზრდელ – დამკვალიანებლის. სხვადასხვა საერთაშორისო ფედერაცია – კომისიების წევრის . ჯერ კიდევ უწვერულვაშო პირმშოსთან ერთად ავტომატით საქართველოს "ფაშისტური დიქტატორისაგან გამომხსნელის". მერე "გამარჯვებული და დაშოშმინებული"ძის დიდი ხნით იტალიაში განმრიდებლის. ახალგაზრდა "პოლიტიკანთა ერთი ლიდერთაგანის", იეღოველთა მფარველ – დამცველისა და "თავისუფლების ინსტიტუტის წინამძღოლის" დედის. ტელე – შოუში მობილურის "მომგებ" **ნ. ალექსანდრიას** სახელდანათლული დაიგება.

ქვადაქცეულ ვარსკვლავს დაუგებენ სხვადასხვა რანგის ჩემპიონს, უამრავ ტურნირთა მომგებს, მსოფლიოს აღიარებული ფალავნების მძლეველს. სპორტიდან წასვლით პოლიტიკაში "ჩაძირულს". საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უკუმგდებელს. "შევის" ამქრის უცვლელ წევრს. კახეთის "გამგებლის შვილობილსა და ექს – მოადგილეს, კინომსახიობს, პარლამენტის დეპუტატ" **ლ. თედიაშვილს.**

დასახელებულ მოედანზე ვარსკვლავს დაუგებენ კანონიერების მოძულესა და უკანონობის მოყვარულს, "ბოლო საპრეზიდენტო

არჩევნების"დასაძრახი, სახელისა და ღირსების შემლახველი ტელერეკლამის მონაწილესა და საბრალო პროპაგანდისტს, ქუთაისში ფეხადგმულ და თბილისში "დაღვინებულ" ფეხბურთელ **რ. შენგელიას.**

ასეთი პატივი ერგება ასევე ქუთაისიდან თბილისს გადმოხვეწილს, ასევე ქვეყნის გამპარტახებლის მადიდებელს, თავისი სახელწოდებული "ფეხბურთის აკადემიის" მფლობელ **თ. სულაქველიძეს.**

"ყველაზე სუფთა და ანგელოზური ორგანიზაცია რესპუბლიკაში სპორტის დაეპარტამენტია. რა თქვენი საქმეა, სადმე შენობას ავაშენებ თუ რესტორანს? სულ ფეხებზე მკიდია რასაც დაწერთ. წერეთ და იკითხეთ, რამდენიც გენებოთ". ასე მიმართა სპორტის დეპარტამენტის ექს – თავმჯდომარე კ. ასათიანმა გაზეთ "რეზონანსის" ჟურნალისტებს.

მერე რა, რომ არაფერი გააკეთა ქართული სპორტის მინავლებული დიდების ასაღორძინებლად, დათმობილ – დაკარგული წარმატებების დასაბრუნებლად. სამაგიეროდ, ძალა და ღონე არ დაიშურა პირადი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ფეხბურთის ფედერაციის "პრეზიდენტ" სიძე მ. ჟორდანიასთან ერთად ქვეყნის უპირველესი, საბჭოურ სახელიანი კლუბის უმძიმესი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსაყვანად არაფერი იღონა, რომ აღარაფერი ვთქვათ "ჩემპიონატის" მონაწილე სხვა კლუბების არნახულ სავალალო მდგომარეობაზე. მხოლოდ ქართული სპორტის ყველანაირად დაკნინება – დაცემის მერე ინება დათმობა და ყველაფერზე ხელებდაბანილი, პასუხმოუთხოვნელი განერიდა ხელმძღვანელის სავარძელს.

"დარწმუნებული ვარ, "დინამოს" ნგრევაში დიდი წვლილი მიუძღვის მ. ჟორდანიას და მის ზურგს უკან მდგომ კ. ასათიანს," – განაცხადა დასახელებული კლუბის გენერალურმა მდივანმა ვ. ჟვანიამ გაზეთ "მერიდიან – 44" გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

მაგრამ, ამას არავინ უგდებს ყურს. "გერმანიის გამაერთიანებლის" მიერ შერჩეულ კადრებს ვერავინ მიაყენებს სულ პატარა ჩრდილსაც კი და ვერავინ შებედავს პასუხის მოთხოვნას, ნებისმიერი ოდენობის ზარალის მიყენებისათვის. მის ამქარში მყოფნი ხელშეუხებლები გახლავან ... და ყვლანაირად დაფასებულები. სწორედ ამ საზომის თანახმად დაუგებენ გრანიტის ვარსკვლავს **კ. ასათიანს.**

დაბოლოს, ისევ იმ ადგილზე დავბრუნდეთ, საიდანაც თბილისურ "ვარსკვლავთცვენას" მიეცა დასაბამი, რადგან ფილარმონიის წინ მდებარე ბაქანი კვლავაც ქვადქცეულ მნათობთა წვიმის მოლოდინშია, რადგან გრანიტის ვარსკვლავებით დაფასებას ბევრი მოელის.

და დაუგებენ გრანტის ვარსკვლავს "ღირსების ორდენოსანს", ესტრადის "პაპას", ახალგაზრდების აღმზრდელსა და წარმომჩენს, ესტრადიდან ჩამოუსვლელ "უბერებელ" **რ. ბარძიმაშვილს**.

გრანიტის ვარსკვლავს დააგებენ ქართველი "შანსონიეს", სისხლიანი გადატრიალების მონაწილის, საქართველოს "პროვინციული ფაშიზმისაგან გამომხსნელის, დემოკრატიის დამმკვიდრებლის", რუსულ ბინძურ ბიზნესში ჩახედულ -გაწაფულის. მოსკოვის რესტორან – ბისტრო – ბარ "ნე გარიუ"-ის მეპატრონის, სლავ დიაცთა საოცნებო "დენდის" **ვ.კიკაბიძის** პატივსაცემად.

იქვე დააგებენ უკვე თბილისის "დამპყრობლისა" და მოსკოვის თითქმის "დამატყვევებლის, ნოსტალგიაშეპყრობილისა" და დროდადრო დაბრუნებულის. ღია მოედანზე თავშეყრილი ახალგაზრდების გადასაგვარებლად მოწყობილ უხამს სანახაობაზე წელამდე გაშიშვლებულისა და უსიამო ხმით მოკაკანე **ს. პავლიაშვილის** სახელდანათლულ ვარსკვლავს.

ვარსკვლავს დაუგებენ მოსკოვს გადახვეწილს, იქაურ შოუ-ბიზნესში ჩართულ-ჩაფლულს, რუს "ედიტ პიაფად" მონათლულს, ნიუ-იორკის "კარნეგი-ჰოლის" საზოგადოების "დამპყრობელსა და აღმაფრთოვანებელ კომპოზიტორს", გამყინავი ხმით მომღერალ **თ. გვერდწითელს**.

მომდევნო ვარსკვლავს, ახალფეხადგმულის მიერ პარიზის "დამპყრობელ-გამაოგნებელს", დღესაც ლამის ამ ასაკისას თავდაგულებულს. "კომპოზიტორს, პოეტს", საქველმოქმედო საბავშვო ფონდის ხელმძღვანელს, ტელე-მარათონების მომწყობსა და უპოვართა გამკითხავი **ი. სოხაძის** სახელმინიჭებულს დააგებენ.

გრანიტის ვარსკვლავის დაგებით კიდევ ერთხელ მოეფერებიან და დააფასებენ "მზიურიდან" ამოფრენილს, თითქმის ყველა კონცერტის მონაწილესა და სოლო კონცერტების გამმართველს, ქმარ- შვილის

"ამამღერებელ" **თ. ჭოხონელიძეს.**

ქვადქცეულ მნათობს აუცილებლად დაუგებენ "პოეტად" თავდაგულებულ "პარლამენტარის" შვილს. ლამის სამოცი წლისას "ამღერებულსა" და ესტრადაზე გამოჩენილს. და მაინც რადიო-ტელევიზიის უმალ "დამპყრობელს". თავათ "პოეტსა და კომპოზიტორს". ოქროს დისკის დამპატრონებელ ქართველ "ბარდ" **მ. ჩარკვიანს**.

მეზობლად დააგებენ "პრეზიდენტის" მარჯვენა ხელის, ადრე თარჯიმნის და ახლა დიდი თანამდებობის სავარძელში ჩამჯდარ სლენგის "დიდოსტატის" ძის, ასევე "ბარდის" **ი. ჩარკვიანის** ვარსკვლავს.

აქაურ დარბაზში ბევრჯერ გახმიანებულან ბრწყინვალე ქართული ხალხური სიმღერები. მათს შემსრულებელ მაღალპროფესიულ ანსამბლებს მსმენელთა დიდი მოწონება და სიყვარული მოუპოვებიათ. ამაში კი დიდი წვლილი უძევთ მათს ხელმძღვანელებს. და დაუფასდებათ განუზომელი შრომა ამაგდართ. გრანიტის ვარსკვლავებს დაუგებენ:

უმშვენიერესი ხალხური სიმღრების შემსრულებელს, მივიწყებული ჰანგების მომძებნელ-გამომზიურებელს, პროფესიული ანსამბლების ჩამომყალიბებელს. ჩვენი სიმღერების მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გამტანს. იაპონელების, ამერიკელების, ინგლისელებისა და ლამის ზანზიბარელების ქართულად ამამღერებელს. უკანონო რეჟიმის მომწონებელსა და მხარის დამჭერ **ა. ერქომაიშვილს;**

სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელს. ბოლო სამარცხვინო, ღირსების დამაკნინებელი "საპრეზიდენტო არჩევნების" ტელერეკლამის სამარცხვინო მონაწილე **ჯ. ჭკუასელს.**

შეიძლებოდა თუ არა იარაღითა და ქართველთა სისხლისღვრით დამკვიდრებულთა მხარდამჭერი კიდევ სხვა, გრანიტის ვარსკვლავთა დაგებით პატივის მიმგები წითელი "ინტელიგენტების" ჩამოთვლა? ალბათ. მაგრამ, ვინც წარმოგიდგინეთ, ისინიც საკმარისნი არიან ჩადენილი კაცთმოძულების, ურთიერდაპირისპირების, ზიზღის, გაუცხოების, განდგომისა და სხვა უკეთურებათა სრულად წარმოსაჩენად. წერილში დაუსახელებელი სხვა ბევრი გამყიდველ-მოღალატის ქვის მნათობებით დაგებით "უკვდავყოფის" მოსურვილეთა მოლოდინი კი ნამდვილად უსაზღვრო და

გაუცხადებელი იქნება, რადგან ძალზედ მოახლოებულია ჟამი უბედურების, ბოროტების, ნგრევის, გადაგვარება – გადაჯიშების ჩამდენთა საბოლოოდ დასამარებისა.

მე შევსწრებივარ ზაფხულობით მთაში ყოფნისას, დამინახავს დამღუპველი სმოგისგან შეულახავი ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, დროგამოშვებით მნათობი რომ მოსწყვეტია და კაშკაშა კვალდატოვებული, ძირს დაქანებული, უფსკრულისკენ მიმქროლავი, უკვალოდ ჩამქრალა და ჩანაცრულა. ბუნების ამ საოცარი მოვლენისთვის მაშინ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია, არ დავფიქრებულვარ ვარსკვლავთცვენის პერიოდის ხანგრძლივობაზე, უფრო სწორედ გაელვებაზე. მართლაც შეუძლებელია რიგითი მოკვდავისთვის ამ ურთულს მოვლენაში ჩაწვდომა, მისი ამოცნობა. საიდუმლო იგი, შეძლებისდაგვარად აქვთ ამოხნილი ასტრონომიის საფუძვლებს დაუფლებულსა და ურთულესი მოწყობილობებით აღჭურვილ ვარსკვლავთმისნებს, მეცნიერულად რომ დაადასტურებენ ვარსკვლავთცვენის წამიერ ხანგრძლივობას.

იცის ეს ქართველთა სისხლის დაღვრით, კანონიერი ხელისუფლების, ხალხისაგან არჩეული პეზიდენტის დამხობით ხელისუფლება ხელში ჩაგდებული უკანონო, ერის გადამშენებელ – გადამჯიშებელი, ქვეყნის დამღუპველი "მმართველების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ", ვარსკვლავთმისანმა და მნათობთა მჭვრეტელმა, ილუზიონისტმა ჯ. ლომინაძემ და არაფერს ეუბნება "მსოფლიო პოლიტიკის ვარსკვლავს, საბჭოთა კავშირის დამშლელს, გერმანიის გამაერთიანებელსა" და საქართველოს დამანგრეველს, იბერიაში მოახლოებულ – მოსახდენ ვარსკვლავთცვენაზე. რომ ამ დროს დედამიწაზე ფერფლად მოვლენილი ციური მნათობი არაფრის მაქნისია და ქარი მას შორს გააქროლებს, ყინულოვან სტეპებში დაავანებს.

... და დასრულდება თბილისური "ვარსკვლავთცვენებიც". მანამდე მომხდარის დროს, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში დამკვიდრებულ ქვადქცეულ ციურ მნათობებს, მართალი ადამიანები ამოთხრიან და ამოძირკვავენ, დაამსხვრევენ, მტვრად გადააქცევენ, ადგილსამყოფელს შეუცვლიან და როგორც უსარგებლოებს, ზიანის მომტანებს იქ დაახვავებენ, სადაც მილიონერმა "სოციალისტმა" ტუიმ ბოლო "საპრეზიდენტო არჩევნების" დროს, გორში ჩატარებულ მიტინგზე მიუჩინა ადგილი თავის მუდმივ პატრონსა და მბრძანებელს.

გელა ჯიღაური

რა ადვილი ყოფილა

ანუ არც მთლად მართალი და არც მთლად მოგონილი ამბავი

ოთხშაბათს, სამსახურში მისულმა კრების ჩატარების მაუწყებელი განცხადება წავიკითხე, შტატების შემცირების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო.

დირექტორის კაბინეტში შეკრებილ გარინდულ-გაფითრებულ თანამშრომლებს წვრილთვალება, სახედალაქავებულმა, "შეწუხებული, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი, მონანიე" კაცის იერმიღებულმა ხელმძღვანელმა დაბალი, "ნაღველშეპარული" ხმით ჩაიკითხა შემცირებაში მოყოლილი ოცდაექვსი განწირულის გვარი და მენთოლიან "ასტორს" მოუკიდა, რაც კაბინეტის სასწრაფოდ დაცლას ნიშნავდა. მაგრამ, გათავისუფლებულთა მებრძოლმა ნაწილმა დათმობა არ ვისურვეთ – დამაჯერებელი ფაქტებით, ცოტა მუქარა-დაქადნებითაც, უგულო კაცს შევუტიეთ. თუმცა, გაბრძოლება იგი ფუჭი გამოდგა – საქმემომთავრებულმა "მოძალადეებს" ზემდგომ ინსტანციებში მისასვლელი გზები მიგვასწავლა.

დარჩენილ ორ თვეში, გათავისუფლებულ-გაპანღურებულთაგან სამსახურს აღარავინ გავკარებივართ, ყველანი სამუშაოს, თავის გადარჩენის სხვარამ საშუალების შოვნით ვიყავით დაკავებულები. მაგრამ, რა დაგიკარგავს და რას ეძებ? დანგრეულ-გაპარტახებულ ქვეყანაში დაკარგვაა იოლი, შოვნა და პოვნა კი თითქმის წარმოუდგენელი, მითუფრო სამუშაოსი. შრომის ბირჟაზე, საწარმო დაწესებულებებში სიარულით, გაზეთებში გამოქვეყნებული განცხადებების კითხვით მოღლილმა საბოლოო იმედად მამაზეციერი დავიგულე და სამსახურის შოვნამდე, ორ მოსწავლე შვილთან ერთად, მეუღლისა და მისი დის "ხელფასების", სიდედრ-სიმამრის "პენსიების" კმაყოფაზე დავრჩი.

მშიერი, სევდითა და უიმედობით დამძიმებული დღეები გაუსაძლისნი, არნახულად მომაბეზრებლები ხდებოდნენ. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. რიგითი სამუშაოს შოვნა აუხდენელ ოცნებად

გადაიქცა. დამშეულ ბავშვებს ვერ ვაძალებდით გაკვეთილების მომზადებას და სკოლაში ყოველდღე სიარულს. ოჯახის დაძაბული, განერვიულებული წევრები, ერთმანეთს ნაკლებადღა ვუთმობდით და ბევრჯერ უაზრო, უმნიშვნელო რამეზე ვკინკლაობდით, ვჩხუბობდით. მხიარულება, სიცილი თუ მოფერება იშვიათი დასანახ-მოსასმენი გახდა.

სექტემბრის მიწურულს, მეუღლემ რამდენიმე თვის წინათ, კერძო დაკვეთით შესრულებული თარგმანის გასამრჯელო მიიღო.

- კოტე, ხვალ ბაზარში წადი და ზამთრისთვის კარტოფილი, ლობიო, ხახვი, კაკლი, რაცკი ხელმისაწვდომ ფასებში შეგვხვდება იყიდე, ბავშვებს ხილი მოუტანე, - მითხრა იმედდაბრუნებულმა ქალმა.

საღამოს, გუნებაგამოკეთებული ოჯახის წევრები ტელევიზორში მშვიდად შევყურებდით გასართობ გადაცემაში პრიზებმოპოვებული მონაწილეების გახარებულ სახეებს.

ტელეფონმა დარეკა. სიმამრი დიდხანს ელაპარაკა დას და მერე ყურმილი გადმომცა. მარადჟამს ჩვენს ოჯახზე მოფიქრალმა ქალმა გულთბილად მომიკითხა, ბავშვებზე მესაუბრა და მეორე დღისთვის თავისთან დამიბარა:

- ჰუმანიტარული დახმარება მივიღე და წაიღე, ცოტახანს შეგეშველებათ, - მითხრა კეთილმა ქალმა.

მოსმენილს მტკიცე უარი შევაგებე, შევეცადე დამერწმუნებინა კუთვნილის თავათ მოხმარების აუცილებლობაში, მაგრამ ასევე მტკიცე გადაწყვეტილებამიღებული ნუცა მამიდა შეუვალი გამოდგა.

- ტყუილად ნუ მელაპარაკები, არაფრის მოსმენა არ მინდა, ხვალ გელოდები, - მითხრა და ყურმილი დადო.

- ნამეტანს აკეთებს, თავისთვის აღარაფერი ემეტება, - ჩაილაპარაკა ბრინჯის რჩევით დაკავებულმა სიდედრმა. – კვირას ვაპირებდი ლობიოსა და ზეთის წაღებას... ხვალ რომ მიხვალ, იქნება გადაათქმევინო და თუ მაინც არ იზამს, ნახევარზე მეტს ნუ წამოიღებ, - დამმოძღვრა მითითებებსა და ჭკუის სწავლებას დაჩვეულმა, ყოფილი რაიკომის საერთო განყოფილების გამგედ ნამუშევარმა ქალმა.

მეორე დღეს, სკოლიდან დაბრუნებულმა ათი წლის ლუკამ ბაზარში

გაყოლის სურვილი გამოთქვა. ოთხი საათისთვის ჩანთებ, ხელის ურიკა და ფულჩაბარებულებმა ყველაზე უხვსა და ფასების თვალსაზრისით ხელმისაწვდომი “დეზერტირების” ბაზრისკენ გავწიეთ. მამამიდა ნუცაც იქვე

ახლოს ცხოვრობდა.

საარაკო ფასებისგან ალმოდებულ ბაზარს რამდენჯერმე შემოვუარეთ, გვარიანად მოქანცულებმა, ხვეწნა-მუდარით დაღლილებმა თითქმის ყველაფერი ვიყიდეთ, რაზეც ფული გვეყო. ორი ჩანთა ურიკაზე დავტვირთეთ, ერთი თავათ დავიჭირე და ნუცა მამიდას სახლისკენ გავეშურეთ.

დიდად გაიხარა სავსე ჩანთების დანახვაზე კეთილმა მამიდამ. ცოტაოდენი მოსვენების მერე ხელები დაგვაბანინა და სამზარეულოში შეგვიძღვა. მადიანად შევექეცით უგემრიელეს ნიგვზიან ბადრიჯანს, სითბოშერჩენილ ჭადსა და ცხარე წიწაკადაჭრილ სალათას, მერე დაშაქრული ლეღვითა და სურნელოვანი ადესით ჩავიწმინდეთ ყელი და წასასვლელად მოვემზადეთ.

- აი, ეს ყუთი უნდა წაიღოთ, - გვაჩვენა შესასვლელში, კარადასთან მიდგმული წარწერებიანი ყუთი.

- როგორ, მთელი ყუთი? – ვკითხე დოინჯშემოყრილ მამიდას. – თქვენ აღარაფერს იტოვებთ? ლუკა, გახსენი ყუთი! – ვუთხარი წარწერებს მიჩერებულ ბიჭს.

- ბევრს ნუ ლაპარაკობ და ნუ სულელობ! – შემომიტია მასპინძელმა და კარი გამოაღო. მივხვდი, უაზრო იყო შეპასუხება. დავემშვიდობეთ გულმოწყალე მამიდას, ახალი გაზეთები რომ ჩამიდო ხელში და გზას გავუდექით.

არ ვჩქარობდით, წყნარად მოუბარნი დინჯად მივაგორებდით ურიკას. ფოთის ქუჩა ჩავათავეთ, ვახუშტის ხიდი გადავიარეთ და საბურთალოზე გასასვლელ აღმართს შევუყევით. გადასახვევთან, ბენზინის გასაყიდ ჯიხურთან ავტომობილები იდგნენ, გამყიდველები მარდად ემსახურებოდნენ მუშტრებს.

მოზრდილი ხის ჩრდილს მიახლოებულებმა, ლუკას შესვენება შევთავაზე. ურიკა ხის ძირში მივაყუდე და ჩამოვსხედით. ბიჭი ისევ ყუთის წარწერების წაკითხვას შეეცადა, მე გაზეთი გავშალე და კითხვა დავიწყე.

- მამა, მოდი ვნახოთ, რა აწყვია შიგნით, – მთხოვა ცნობისმოყვარეობით სულწასულმა ლუკამ.

- მივალთ სახლში და ნახავ, სირცხვილია, შუა გზაზე ხომ არ გავფენთ, – ვუპასუხე და კითხვა გავაგრძელე.

- რატომ არის სირცხვილი, ეხლა ხომ ყველაფერს ქუჩაში აკეთებენ?

– შემეპასუხა უკმაყოფილოდ და ხელი ყუთზე გადაწებებულ გამჭვირვალე ზოლს წაატანა. აღარაფერი ვუპასუხე და მანაც იგი თანხმობად ჩათვალა, ყუთი გახსნა. გაზეთი მივაწოდე და ლუკამ ზედ ყუთიდან ამოღებული, ოხშივარავარდნილი მოხარშული მაკარონით თავმოდგმული თეფშის ნახატით დამშვენებული ოთხი ცალი კოლოფი დადო. მერე ორი ცალი ზეთისხილის ზეთიანი თუნუქის ქილა ამოაძვრინა. ის იყო მორიგი “საოცრების” ამოსაღებად ჩაყო ხელი, რომ ჩვენს წინ უკუსვლით წამოსული ლურჯი ფერის “სიტროენი” გაჩერდა. უკანა კარის ფანჯრიდან შავთმიანმა ბუთხუზა ბიჭმა გამოყო თავი და თითი ურიკაზე დამაგრებულ ზედა თავღია ჩანთისკენ გაიშვირა.

- დედიკო, ყურძენი მინდა! – დაადო ფუმფულა ხელი წინა სავარძელში მჯდომ სახეგაფუებულ, თვალებ-წარბ-წამწამებ-თმებშეღებილ ახალგაზრდა ქალს.

- ხვალ გიყიდი. დღეს ატამი და ბროწეული ჭამე, - მიუგო დედამ ყურძენზე საღერღელაშლილ ძეს.

- მე ეხლა მინდა! – არ დაუთმო გაჭირვეულმა ბიჭმა, კარი გააღო, გადმოხტა და ყურძნიან ჩანთას მიეახლა.

წამოვდექი, ბიჭს თავზე ხელი გადავუსვი, სამი მოზრდილი მტევანი ავიღე და ფაფუკ ხელებში ჩავუდე.

- არ შეჭამო, გასარეცხია! – აუწია ხმას ქალმა და ავტომობილიდან გადმოსვლა ინება. – ახლავე დაუბრუნე, უსირცხვილო. რაკი აღარ იშლი, წავიდეთ ბაზარში და ვიყიდოთ!

მაგრამ, ბიჭი არა თმობდა. ქალს ყურადღება არ მიაქცია და მტევნიდან მოწყვეტილი რამდენიმე მარცვალი პირში ჩაიყარა.

- სულხან, დედამ გითხრა გაურეცხავს ნუ შეჭამო. შენ კი რას აკეთებ! – გადმოსძახა საჭესთან მჯდომმა ჩალისფერთმიანმა სიმელოტეშეპარულმა მზის სათვალიანმა მამაკაცმა. ავტომობილიდან გადმოვიდა, ბიჭთან მივიდა და მტევნების გამორთმევა დაუპირა.

ბიჭი ისევ ჯიუტობდა, თვალი კვლავ ყურძნიანი ჩანთისკენ ეჭირა.

- ქალბატონო, ბაზარი უკვე დაიკეტებოდა, ვეღარ მიუსწრებთ. ნუ უწყრებით ბავშვს, - ვუთხარი საღებავით ლოყებაწითლებულ გაგულისებულ

ქალს. მერე გაზეთისგან პარკი გავაკეთე და შიგ მტევნების ჩალაგება დავიწყე.

- გაურეცხავის ჭამა არ შეიძლება, ავად გახდები, - დავუყვავე ბიჭს, მტევნები გამოვართვი და პარკში ჩავაწყე, - დედა სახლში გაგირეცხავს და ისე მიირთვი.

- რამდენი გერგებათ? – შემომხედა კაცმა.

- არაფერი. მთავარია ბავშმა სურვილი დაიკმაყოფილა, - მივუგე მოულოდნელად მოვლენილ “მუშტარს”.

- აბა, ეს ყველაფერი გასაყიდად არა გაქვთ გამოტანილი? – ააპარპალა შეღებილი წამწამები ქალმა და ძვირფასი სამკაულებით დახუნძლული ხელი ჩანთებსა და ყუთიდან ამოლაგებულ სანოვაგეზე გადაატარა.

- მოიცადეთ, მანდ ერთი საინტერესო რამე დავინახე, - გაისმა მამაკაცის ალკოჰოლითა და თამბაქოთი გაჟღენთილი ხმა და მაშინღა დავინახე უკანა სავარძლიდან წამომდგარი “რეიბან”-ის სათვალიანი ჩასუქებული პიროვნება. მძიმეწონიანი გასაკვირვი სიმკვირცხლით გადმოვიდა ავტომობილიდან, თავზე წამოგვადგა, “პიგმალიონის” მარკის ახალთახალი ფეხსაცმლის ჭვინტი ზეთისხილის ზეთიან ქილას წაჰკრა და ქალს მიუბრუნდა:

- რამდენი დღეა მედიკო ამის ყიდვას მახსენებს, მე კი ჯინაზე მავიწყდება, ეხლა აუცილებლად ვიყიდი!

- მარტო ორი ქილა გაქვს, რას აფასებ? – მომიბრუნდა გვარიანად მუცელწამოზრდილი “მუშტარი” და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

დაბნეულსა და შემცბარ ლუკას ყუთიდან ამოღებული ლამაზნახატიანი ხორცის კონსერვის მომცრო კოლოფი შეყინოდა ხელში.

- ესეც მინდა! – წაეტანა კონსერვის კოლოფს მადადაუმცხრალი პატარა “მუშტარი”.

- ყველაფერს გიყიდი, - დაამშვიდა კეთილმა ძიამ და ჯიბიდან ლარების სქელი დასტა ამოიღო.

- არაფერს არ ვყიდი. ჩვენ ბაზრიდან მოვდივართ, მივანიშნე ჩანთებზე, - ეს კი საჩუქარია, - დავადე ხელი ყუთს. – მიეცი ლუკა კონსერვი ბიჭს.

- რას ამბობთ, სამაგისო რა გვჭირს! – შემომეპასუხა ქალი და ნებიერ ბიჭს თავისთან მისვლა უბრძანა.

- მაგ “საჩუქრებით” არის გამოტენილი ყველა ჯიხური, რა ახალი

ამბავი გვითხარი, - გააგრძელა უარით განაწყენებულმა და აზარტში შესულმა ფულის შეკვრის მოთამაშე კაცმა. – საბოლოო ფასი მითხარი, ყველაფერ ამაში რამდენი უნდა მოგცე, - მითხრა და კოტიტათითებიანი, ხშირი ბალნით დაფარული ტორივით ხელის მტევანი ჩანთებსა და ყუთზე გადააატარა.

- აკი გითხარით… - მაგრამ, სათქმელი აღარ დამამთავრებინა, შარვლის უკანა ჯიბიდან საფულე ამოაძვრინა, სწრაფად გახსნა და მწვანე ფერის კუპიურები ამოიღო.

- ორას დოლარს გაძლევ, მეტი რა გინდა. უკვე საღამოა, ჩვენნაირ მუშტარს ნამდვილად ვერ იშოვნი! –თქვა და ორი ცალი ტკიცინა ბანკნოტი გამომიწოდა.

მომხდარით გაოგნებულმა, ხმა ვეღარ ამოვიღე, რამაც ჩანს უარსა და წინააღმდეგობას მიუჩვეველი პიროვნება კიდევ უფრო გააღიზიანა. ისევ ჩაყო ხელი საფულეში და ერთი ცალი კუპიურა ამოიღო.

- ორმოცდაათ დოლარს გიმატებ და მოვრჩეთ ვაჭრუკანობას! – შემომხედა სახეაწითლებულმა და ფული გაზეთზე დამიგდო.

- კარლო, ფული ჩვენცა გვაქვს, რად გინდა რომ იხარჯები? – წაიღო ჯიბისკენ ხელი ჩალისფერთმიანმა კაცმა.

- დამცინი? – მიუგო ჩემმა “მუშტარმა”, - გაქვს და ღმერთმა კიდევ მეტი მოგცეს. ჩემი საქმისა მე ვიცი.

- გიგა, საბარგულში ხომ გვაქვს ჩანთები, ამოიღე! – უბრძანა, ჩანდა მარადჟამს მორჩილებაში მყოფ მეუღლეს გაგოროზებულმა ქალმა.

მე და ლუკა მდუმარედ ვიდექით, შემცბარები ვუყურებდით, როგორ აწყობდნენ ჩანთებში, ბაზარში ნაყიდსა და მამიდა ნუცასგან ნაჩუქარ სანოვაგეს.

- ნიორი არ მინდა, მაგის სუნს ვერ ვიტან! – განაცხადა მედიდურად ჩრდილს შეფარებულმა ქალმა.

ათიოდე წუთში კაცებმა საქმე მოითავეს და წასასვლელად გაემზადნენ.

- მშვენიერი ადგილი ამოგირჩევია, ახლომახლო მეტოქე არავინა გყავს, ღმერთმა ბარაქა მოგცეს, კარგი ხალხი ჩანხართ, - მითხრა დოლარებდახარჯულმა კაცმა და ისევ გახსნა საფულე, – ეს შენ ბიძიკო, “ორბიტი და მარსი” იყიდე, - მოუთათუნა ხორციანი ხელი ლოყაზე ლუკას და პერანგის გულისჯიბეში ათდოლარიანი ჩაუდო.

… მდუმარედ და უხალისოდ გავემართეთ შინისკენ, უჩუმრად ავიარეთ კიბეები. კარი მეუღლემ გააღო და ცარიელი ჩანთების დანახვით შეშფოთებულმა მკითხა: ფული ხომ

არ დაკარგე, ან ვინმემ ხომ არ ამოგაცალაო. ლუკამ იმარჯვა და ოჯახის წევრებით გარშემორტყმულ აღელვებულ ქალს უპასუხა:

- ბებია ნუცას ნაჩუქარი ყუთი და ყველაფერი, რაც ბაზარში ვიყიდეთ, გზაში დოლარებზე გავყიდეთ! – და ნათქვამის დასტურად ჯიბიდან ათდოლარიანი ამოიღო.

- დამხვდურნი გაკვირვებულები შემოგვყურებდნენ, ვერაფრით დაეჯერებინათ მოსმენილი, სანამ ლოჯიაში, მაგიდის ირგვლივ შემომსხდართ ყველაფერი დაწვრილებით არ მოვახსენე და წინ ტკიცინა დოლარები არ დავუწყე. სიმამრმა სიგარეტს მოუკიდა და დინჯად მითხრა, მომხდარის თაობაზე არაფერი გვეთქვა ნუცა მამიდასთვის, გული არ გვეტკინა სიკეთეგაკეთებული ქალისთვის.

- ღმერთო, რა აღარ ხდება, რას აღარ მოისმენ და დაინახავ, - უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა სიდედრმა და სკამი ტელევიზორისკენ გასწია, ტელესერიალი იწყებოდა.

დილით, სამსახურში წასვლამდე, მეუღლემ ღამით მოფიქრებული გამანდო:

- კოტე, ის ორმოცდაათი დოლარი ლარებზე გადაახურდავე, ბაზარში წადი და იგივე იყიდე, რაც გუშინ. ბაზრობაზე, მამიდა ნუცას ნაჩუქარ ყეთში რაც ეწყო, ის იყიდე. დანარჩენი კი ბანკ "გაბო და კოლაში" შევიტანოთ.

მეუღლეს ჩანაფიქრი მოვუწონე, ჭკუა შევუქე და კარებამდე მივაცილე. ბავშვები სკოლაში მივიყვანე, მერე "დინამოს" სტადიონთან, იმპროვიზებულ სავალუტო ბირჟას მივაშურე, დოლარები გადავახურდავე და ბაზარში წავედი. შინ დაღლილი დავბრუნდი. დავისვენე, ვისადილე და ბაზრობაზე წავედი. დახლებზე უამრავი ხორაგი დაეხვავებინათ. თვალებს არ ვუჯერებდი, იმდენი ყიდიდა ნუცა მამიდასგან ნაჩუქარ ყუთში ნანახ სანოვაგეს, ზოგს პირდაპირ გაუხსნელი ყუთი ედო. მეც ყუთის ყიდვა ვამჯობინე და იქაურობას გამოვეცალე. იმ საღამოს ყველანი მხიარულები, თავაზიანები, კმაყოფილები და მოსიყვარულენი გახლდით.

თუმცა, გაჭირვება და სიამტკბილობა ერთმანეთს დიდხანს ვერ ეგუებიან, გამონაკლისი არც ჩვენი ოჯახი იყო. ფასების კატასტროფულად

ზრდამ და საოჯახო ბიუჯეტის კატასტროფულად შემცირებამ, გამოუვალ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. მალევე, მეუღლე შტატების შემცირებაში მოაყოლეს. მართალია, ბანკმა შეტანილი დოლარების პროცენტი

გადაგვიხადა, მაგრამ ეს არაფერი იყო. საკვების მოპოვების გარდა, ბავშვების ჩასაცმელ-დასახურის ყიდვის ფიქრი მოსვენებას გვიკარგავდა. ერთ საღამოს, ჩემთან ერთად დათხოვნილმა თანამშრომელმა დამირეკა. დიდხანს ვისაუბრეთ, მერე ჩემი მოგვარე პიროვნება დამისახელა, ვინც თურმე ვიზებისა და უცხოეთის პასპორტების გაცემის სამსახურს თავკაცობდა და შუამდგომლობა ანუ საქმის ჩაწყობა მთხოვა. აღმოჩნდა, რომ მე და იმ ჩინოსანს მხოლოდ გვარი გვქონდა საერთო და სხვა არაფერი. იმედგაცრუებული მოსაუბრე უხალისოდ დამემშვიდობა, რადგან ყველაფრით მომზადებულს, ხელი არ ემართებოდა ირანში დროულად გამგზავრებაში, საიდანაც ახალწამოწყებული კომერციული საქმიანობისთვის სურსათის დიდი პარტია და ავეჯი უნდა ჩამოეტანა.

ფიქრებმოძალებულმა შუაღამემდე ვერ დავიძინე, გონებაში რა აღარ მოვსინჯე გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მაგრამ სანუგეშო და ხელის ჩასაჭიდი ვერაფერი დავიტოვე, ბანკში შეტანილი ორასი დოლარი არაფრის მაქნისი იყო. თანაც, უკვე ბანკის მოსალოდნელ გაკოტრებაზეც ლაპარაკობდნენ. გადავწყვიტე, სასწრაფოდ გამომეტანა "გაბო და კოლაში" შეტანილი ჩვენი ძირითადი კაპიტალი. დოლარებმა უნებურად მათი შოვნის ამბავი გამახსენა და … … გონება გამინათდა – მოულოდნელად დაწყებული მაშინდელი "საქმე" უნდა გამეგრძელებინა.

დილით, მეუღლეს მოფიქრებულზე მოვუყევი. თავდაპირველად, მტკიცედ იუარა და ნათქვამის განხორციელებას, შიმშილით სულის გაძვრენა ამჯობინა. ბავშვების სკოლაში გასტუმრების შემდეგ, ბანკში გაყოლა მთხოვა და გზაში, წუხანდელ ჩანაფიქრზე დასტური განმიცხადა.

საღამოს, მეუღლემ ოჯახის წევრებს, ჩემგან გასაკეთებელზე აუწყა. მოსმენილმა იმდენად გააკვირვა ყველა, რომ კარგახანს გაჩუმებულები ვისხედით. მერე სიმამრმა დინჯად განაცხადა, რომ სირცხვილი იყო, ნაცნობ-ნათესავებში თავი მოგვეჭრებოდა, სიდერდმა კი ზიზღნარევი, ამრეზილი მზერით დაგვსუსხა. მალევე, სიდედრ-სიმამრი პროტესტისა და უკმაყოფილების ნიშნად თავიანთს ოთახში შეიკეტნენ და უვახშმოდ დაწვნენ. ცოლისდა კი უფრო გამჭრიახი, პრაქტიკული გამოდგა – ბავშვებთან ერთად გაკვეთილების სწავლის შემდეგ, სამზარეულოში

მაგიდას შემოვუსხედით და სამომავლო საქმეების გეგმა შევიმუშავეთ.

დილით, სამივენი ბაზრობაზე წავედით და ჩანთები კევებით, შოკოლად-კანფეტებით, ტუალეტის ქაღალდით, საპნებით, ნათურებით,

სიგარეტებით, მარილით, გასარეცხი ფხვნილების კოლოფებით ავივსეთ. მერე სიგარეტებით მოვაჭრე სახენაყვავილარ კაცს დახლად გამოსადეგი "კენტის" მაღალი ყუთი წავგლიჯე და წამოვედით. საღამოს, მეუღლემ სარდაფიდან სამხედრო ფორმა და ფართოფარფლებიანი შლაპა ამოიტანა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ სიმამრმა სამსახურიდან მოიტანა, სადაც სამხედრო კომისრის მოადგილედ მუშაობდა. ხვალიდან, მასში გამოწყობილი უნდა შევდგომოდი საქმეს. იმ ღამით თითქმის არ მეძინა, მალიმალ მეღვიძებოდა აფორიაქებული, ახლად წამოწყებულ საქმეზე ვფიქრობდი.

ირიჟრაჟა, ნაჩქარევად ვისაუზმე და სამუშაო ფორმაში გამოვეწყე. მეუღლემ და ცოლისდამ საბოლოო დარიგება-მითითებები მომცეს, პირჯვარი გადამწერეს, წარმატება მისურვეს და ნაშუადღევს, მონახულებას დამპირდნენ. შლაპა წარბებამდე ჩამოვიწიე, მზის სათვალე გავიკეთე, ქურთუკის საყელო ავიწიე, ტვირთდამაგრებული ურიკა ლიფტით ყველასათვის შეუმჩნევლად ჩავიტანე და გზას გავუდექი. თავდახრილი, სწრაფად მივაგორებდი ურიკას, მინდოდა მალე მივსულიყავი დაგულებულ ადგილზე. სააკაძის ძეგლს გავცდი და დაღმართს ჩავუყევი, ნაცნობი ხე დავინახე. ურიკა ძირში მივაყუდე, დახლად დაგულებული ყუთი ამოვიღე და გასაყიდი საქონლის გაფენას შევუდექი. ჩავლილი მანქანებიდან სიგნალით მეხმიანებოდნენ. ყურადღებას არ ვაქცევდი. მერე დასაკეცი სკამი გავშალე და ის იყო დაჯდომა დავაპირე, რომ ავტომობილი გაჩერდა. საჭესთან მჯდომმა ახალგაზრდამ სიგარეტის მიწოდება

მიბრძანა, მერე ორი ცალი საპონიც მოისურვა და ფული გადმომაწოდა. დასაწყისი საიმედო იყო. რვა საათისთვის ბენზინის გამყიდველებიც გამოჩნდნენ. მანქანები ერთიმეორეს მიყოლებით ჩერდებოდნენ საწვავის ჩასასხმელად, მერე ზოგიერთი ჩემთანაც ამუხრუჭებდა. გასაყიდმა საქონელმა თანდათან იკლო, საფულე კი სულ უფრო მოცულობითი და ხელისთვის საამოდ შესავლებ-შესაგრძნობი ხდებოდა.

სამი საათისთვის მეუღლემ და ცოლისდამ მომაკითხეს, საჭმელი მომიტანეს. თითქმის დაცარიელებული ჩანთების დანახვაზე, გულიანად გაიხარეს და ნავაჭრი თანხის გადაცემის შემდეგ, ქება-მოფერების მორევში ჩამძირეს. სახვალიოდ გასაყიდი საქონლის შეძენა იმედმოცემულმა ქალებმა იკისრეს, ჩანთები დაცალეს და ბაზრობაზე წავიდნენ. უკან მობრუნებულებს, თითქმის ცარიელი დახლით დავხვდი. ბინდდებოდა, მხნედ და ხალისიანად მივდიოდით. კარი სიმამრმა გაგვიღო და როდესაც შესასვლელში თავმოყრილებმა სავსე ჩანთებს შეავლეს თვალი, იმედგაცრუებულებმა რაიმეს შეკითხვა ზედმეტად ჩათვალეს. მხოლოდ სიდედრმა ჩაილაპარაკა, რომ საჭირო არ იყო იმ საქმისთვის ხელის მოკიდება, რისი გაკეთების შნო და თავი არა გვქონდა.

- ტყუილად გვიწყრებით, ყველაფერი რიგზეა, რასაც ხედავთ, ხვალისთვის გასაყიდი გახლავთ, დღეს კი აი ეს დაგვრჩა, - თქვა გამარჯვებულის ტონით მეუღლემ და ჩანთიდან ფული ამოიღო.

- ასანთივითა ხარ, მოთმინების უნარი არა გაქვს, — უსაყვედურა სიმამრმა ნათქვამითა და ნანახით მომლბალ სიდედრს და ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა მთხოვა.

ბავშვებმა დაიძინეს. უფროსები კი გვიანობამდე ვისხედით, გახალისებულები საქმიანად ვსჯიდით სამომავლოდ გასაკეთებელზე. უთენია წამომდგარმა ვისაუზმე, სამუშაო ტანსაცმელში გამოვეწყე და გზას ხალისიანად გავუყევი. შუადღეს მეუღლე და ცოლისდა მესტუმრნენ და გუშინ გაკეთებულ-ნამოქმედარი უცვლელად გამეორდა – დაბნელებულზე შინ სავსე ჩანთებით დავბრუნდით, იმ დღის ნავაჭრი ფული წინა დღისას დაემატა და ოჯახურმა სიამტკბილობამაც იმატა.

ვაჭრობასა და ფულის შოვნაში ჩაბმულ-გართული ნაკლებად ვგრძნობდი დროის მსვლელობას, მხოლოდ გვიანი შემოდგომის მწვავე სუსხი და წვიმები მახსენებდნენ თავს. ლაბადაში გამოხვეულს, წვერმოშვებულს მეზობლები და ნაცნობ-მეგობრები კი არა, მგონი ოჯახის წევრებიც ვეღარ მცნობდნენ. ყველაფერი კარგად მიდიოდა. საქონლის ასორტიმენტის გაზრდა-გაფართოებას, მოგების მომატება მოჰყვა და ეს ოჯახსაც დაეტყო, ადრინდელთან შედარებით უკეთესად ვიკვებებოდით და ჩასაცმელ-დასახურის ყიდვაც შევძელით. მაგრამ, ზამთრის მოახლოება ძალზე გვაფიქრებდა, თოვლსა და ყინვაში დიდად გამიჭირდებოდა. გამოსავალს კი ვერ ვნახულობდი – ჯიხურის ყიდვას, დადგმასა და გაფორმებას გვარიანი თანხა სჭირდებოდა.

შაბათს, შინ მიბრუნებულს, სიმამრმა სასიამოვნო ამბავი დამახვედრა – ავლაბარში, [1]1 საავადმყოფოსთან ახლოს მცხოვრებ იეზიდ სუროს თანხმობა ეთქვა ქუჩის პირას აგებულ სათავსში ჯიხურის გახსნაზე. თავის დროზე სიმამრს დიდი სიკეთე გაეკეთებინა მისთვის – ორივე ბიჭისთვის ჯარში სამსახური საქართველოში გაეხერხებინა, ცოლი კი კომისარიატის სასადილოში მოეწყო სამუშაოდ. თქმა არ უნდა, უკეთესს ვერაფერს შევძლებდით.

მეორე დღეს სუროსთან წავედით, საქმიანად დავათვალიერეთ მომავალი სავაჭრო ობიექტი. სახლის პატრონი რამდენიე დღეში ფანჯარაზე გისოსის გაკეთებას, საქონლის გამოსაფენი თაროებისა და დახლის გამართვას შეგვპირდა, ბოლოს კი გამყიდველად თანამეცხედრე ზარას აყვანა გვთხოვა. ობიექტის გაფორმებას საკმაო დრო დასჭირდა. ამასობაში სურომ ყველაფერი მოსაწონად მოაწყო, ბაზრობაზე სურსათ-სანოვაგე, პირველადი მოხმარების საქონელი შევიძინეთ და ნოემბრის მზიან კვირადღეს ზარამ პირველი მუშტარი მიიღო. საქმე თანდათან მძლავრობდა. მალე ერთმა მეზობელმა რძისა და მისი ნაწარმის მოწოდება შემოგვთავაზა, სხვები ნამცხვრების, ხაჭაპურის, ლობიანებისა და ღვეზელების მოტანაზე მოგველაპარაკნენ, მოჰქონდათ კონიაკი, შამპანური... ისე რომ ასორტიმენტის გამრავალფეროვნებასა და გაფართოებას, შემოსავლის სასურველი გაზრდა მოჰყვა. მოგებული ფულის ნაწილით მეუღლემ და ცოლისდამ დოლარების შეძენა დაიწყეს.

საქმე იმდენად კარგად წაგვივიდა, რომ მალე ჯიხური მაღაზიად გადავაკეთეთ. სურომ ლამაზ შპალერგაკრულ კედლებს თაროები გააყოლა, მომცრო ჭაღი მრავალნათურიანით შევცვალეთ. ისე რომ, სურსათის გარდა, ტანსაცმლითა და მედიკამენტებით ვაჭრობასაც შევძლებდით, რასაც სუროს ქალიშვილი, პროფესიით ფარმაცევტი სუსანა გაუძღვებოდა. მართალია მაღაზიის საჭირო საქონლითა და წამლებით მომარაგებამ საქმე და თავსატეხი მოგვიმატა, სამაგიეროდ შემოსავალი უფრო საგრძნობი და სასიამოვნო გახდა.

შობა-ახალი წელი ახლოვდებოდა. წვიმიან საღამოს, მაღაზიაში ტელევიზორს მიჩერებულმა, სარეკლამო განცხადებების გადმოცემისას, ერთ მათგანს მივაქციე ყურადღება: ფირმა "მზაღო და ოტელო" მოგზაურობის მოყვარულებს ერთი კვირით ირანში, თეირანის იაფფასიან ბაზრობებზე ეპატიჟებოდა. მოსმენილმა დამაინტერესა. შინ მისულმა ოჯახის წევრებს ამის თაობაზე ვაუწყე. საერთო აზრითა და თანხმობით, ჩემი ირანში გამგზავრება გადაწყდა. მეორე დღეს, ყველაფერი დაწვრილებით შევიტყე ფირმაში და ათი დღის შემდეგ, ირანში გასასაღებელი საქონლით გატენილი ექვსი უზარმაზარი ფუთითა და პიჯაკის შიგა ჯიბეში ჩაკერებული დოლარებით, იქ გასამგზავრებელ ავტობუსში ვიჯექი.

ერთი კვირის შემდეგ, თერთმეტი ფუთითა და რვა დიდი ყუთით

დავბრუნდი. შინ მისულმა, სადილობისა და მოსვენების მერე, ოჯახის წევრებს ანგარიში ჩავაბარე და ნავაჭრის დახარისხებას შევუდექით. ჩვენთვის განკუთვნილი ტანსაცმლითა და საკვებით ყველა აღფრთოვანებული იყო, მამიდა ნუცას სიხარულისგან წამწამები დაენამა. მერე გასაყიდად განკუთვნილი ტანსაცმელი და სურსათი დავახარისხ-დავიანგარიშეთ და ფრანგული ეროტიკული ფილმის დასრულების შემდეგ დავიძინეთ. უცხოეთში ჩემმა პირველმა გასვლამ სარფიანი მოგება გვარგუნა. მასშემდეგ კიდევ შვიდჯერ ვესტუმრე ირანს (სამჯერ მეუღლესა და ცოლისდასთან ერთად) და იქიდან ჩამოტანილით სუროს მაღაზიის გარდა, დიდუბის ბაზრობაზეც გავედით. საქონლის გასაღება, სამსახურიდან დათხოვნილმა სიდედრის დისწულმა და მისმა მეუღლემ ითავეს. კომერციული მოქმედების არეალი თანდათან გავაფართოვე. ერთიმეორეს მიყოლებით ჩავედი არაბულ ემირატებში, იორდანიაში, სირიაში, ეგვიპტეში, თურქეთში, პოლონეთსა და რუმინეთში, ბულგარეთში,

უნგრეთში. იქიდან ჩამოტანილი სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, “ფილიპსის”, “სონის”, “მოლინექსის”, “გრუნდიგისა” და სხვა ფირმების ტელევიზორები, მაგნიტოფონები, მაცივრები, სარეცხი მანქანები, უთოები კარგად იყიდებოდა. მოგება სულ უფრო იზრდებოდა, კმაყოფილები იყვნენ სუროსა და ბაზრობაზე მოსაქმე ნათესავების ოჯახებიც. ბიზნეს-კომერციის აზარტულ მორევში ჩართულს, ხანდახან თუ გამახსენდებოდა ახლო წარსული, ჩემი “სამეცნიერო” საქმიანობა, მიკრობიოლოგიის “პრობლემებზე” ფიქრი და განსჯა, უნაყოფო, არავისთვის საჭირო ანგარიშ-რეფერატების წერა და სინანულით, ერთგვარი შეცოდებით ვიხსენებდი შტატების შემცირებას გადარჩენილ, ჩვენი გამოპანღურებისას ამაყად მომზირალ თანამოსაქმეებს, ალბათ ძველებურად ისევ “საინტერესო” და კაცობრიობის არსებობა-განვითარებისთვის “საჭირო” საკითხებზე რომ “მუშაობდნენ”.

მოზღვავებულ საქმეს, დღეში რამდენჯერმე ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში მისვლას უამრავი დრო, ენერგია და ფული მიჰქონდა. ამიტომ, თავისთავად წარმოიშვა ავტომობილის შეძენის აუცილებლობა. გადაწყვეტილება ოპერატიულად მივიღეთ – იგი უცხოეთიდან უნდა ჩამოგვეტანა. არჩევანი ამჯერად ფირმა “ხეირზე” შევაჩერე, რომელიც ბელგიაში წამსვლელებს ავტომობილებით დაბრუნებას სთავაზობდა. ბრიუსელთან, ნახმარი ავტომობილების ბაზრობაზე თვალები ამიჭრელდა, აღარ ვიცოდი, რომელი მარკის მანქანა მეყიდა. ბოლოს, ყველას “ნისანის” ფირმის ჯიპი ვარჩიე. თბილისში ავტომობილთან ერთად ახალი ჩანაფიქრით დავბრუნდი – უკვე გაადვილებული სამრეწველო საქონლითა და სურსათით ვაჭრობასთან ერთად, აუცილებლობად მივიჩნიე უცხოური მარკის ავტომობილებით ბიზნესის წამოწყება. სურვილი ოჯახის წევრებს გავაცანი და საერთო თანხმობა-მოწონების შემდეგ, ევროპის ქვეყნებს შევუტიე.

გერმანიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, ლუქსემბურგის, შვედეთის, ფინეთის ბაზრობებზე ხელსაყრელ ფასებში ვყიდულობდი “ვოლვოს”,”ფერარის”, “ვოლქსვაგენის”, “პეჟოს”, “ფორდის”, “ტოიოტას”, “მერსედესის” მარკების ნახმარ ავტომობილებს და შინ საკმაოდ სარფიანად ვყიდიდი. შემოსავალი თანდათან მატულობდა, რაც ბიზნესის უფრო მეტად გაზრდა- გაფართოების საშუალებას იძლეოდა და მეც ყველანაირად ვცდილობდი, ხელიდან არ ვუშვებდი ნებისმიერ სურვილსა და ხელსაყრელ შემთხვევას. ასე ჩავერთე ბენზინით ვაჭრობაში, აღმაშენებლის გამზირზე მოზრდილი მაღაზია ვიყიდე და ახლო მეგობარს ჩავაბარე, დიდუბის ავტოსადგურთან კი კოხტა სუპერმარკეტის მშენებლობა წამოვიწყე.

ზაფხული დგებოდა, მეუღლემ ბავშვების აგარაკზე წაყვანა შემახსენა. კვირა საღამოს ოქროყანაში ავედით და მყუდრო უბანში კოპწია სახლი ვიქირავეთ, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იქნებოდა, რადგან პატრონი სოფლის მეორე ბოლოში ცხოვრობდა.ივლისის დასაწყისში, ქალაქის ხმაურსა და ხვატს გარიდებულები, აგარაკზე გადავსახლდით. ერთ საღამოს, სადილობის შემდეგ, მეუღლემ გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებაში, ვერაზე მდებარე სახლის გაყიდვის ამბავი მაუწყა. მეორე დღეს, დასახელებულ მისამართზე წავედით. პატრონმა გულდაგულ დაგვათვალიერებინა მომცრო სახლი და მოზრდილი ეზო, დიდხანს ვილაპარაკეთ და საბოლოო ფასზე მოვრიგდით. ორიოდე კვირის შემდეგ, მეუღლემ მორიგი სურვილი გამანდო: აგარაკის პატრონს იქაურობის შესყიდვა შეეთავაზებინა, თანაც არცთუ ძვირად. დიდხანს არ ვიფიქრე და მოკლე ხანში ჩინებული აგარაკის მფლობელებიც

გავხდით. მერე ნაცნობ არქიტექტორს მივაკითხე, თბილისსა და ოქროყანაში ასაშენებელი სახლების პროექტების შესადგენად. ნიჭიერმა შემოქმედმა უნაკლო პროექტები გაამზადა და მშენებლობასაც შევუდექით.

საქმე თავისი გზით მიდიოდა, მაგრამ ყველაფრის გაძღოლა და საკუთარ თავზე აღება უკვე საგრძნობლად მიჭირდა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, უპირატესობა ჩემს ბიძაშვილს, ახალგაზრდა მარიფათიანსა და ენამოსწრებულ ეკონომისტ ჯონის ვარგუნე, რომელმაც თავისი იურისტი სიძის ჩვენთან მუშაობის აუცილებლობაზე დამითანხმა. ისე, რომ საიმედო, საქმის გამკეთებელი ძალები შევიკრიბეთ და ფირმად ჩამოყალიბებაში აღარაფერი გვიშლიდა ხელს. მალე ყველა ჩვენს ობიექტს ლამაზად გაფორმებული სარეკლამო აბრა გაუკეთდა, რომელზეც მარჯვენა თვალჩაპაჭუნებული ეშმაკურად მომღიმარი კაცი, ცერგამართული მიანიშნებდა ფირმის სახელწოდების წარწერისკენ – “კვაჭი”.

თავათ გაჭირვებაგამოვლილს, არასდროს მავიწყდებოდა უპოვართა დახმარება და ხელის შეშველება. ყველანაირად ვცდილობდი ქვრივი ნათესავის, ჩემი ყოფილი თანამშრომლის, ნუცა მამიდას მეგობრის მრავალშვილიანი, სხვა ხელმოკლე და გაჭირვებული ოჯახების დახმარებას. სიამოვნებით დავთანხმდი სიმამრის თხოვნას და მისი სტუდენტობისდროინდელი მეგობრის შვილიშვილის ამერიკაში გამგზავრების, ჯულიარდის მუსიკალურ სასწავლებელში სწავლისა და ცხოვრებისთვის საჭირო თანხა გადავიხადე. არც პატარები დავივიწყე და შემოდგომის წვიმიან დღეს ფირმის წარმომადგენლები სურსათ-სანოვაგით, ტკბილეულით, ხილით, წამლებით, ტელევიზორით, სათამაშოებითა და ტანსაცმლით დატვირთული ავტომობილით ძეგვის ბავშვთა სახლს ვესტუმრეთ. დამშვიდობებისას, დირექტორს კვლავაც დახმარება აღვუთქვი. გამორჩეულად კი მაშინ ვიგრძენი შვება და გავიხარე, როდესაც თანასოფლელებმა დახმარება შემთხოვეს და მიწისძვრისგან დანგრეული ეკლესიის მშენებლობაში მონაწილეობა შემომთავაზეს. საბოლოოდ, დიდებული და საჭირო საქმე, მთლიანად ჩვენმა ფირმამ დააფინანსა.

ვიტყვი, რომ სხვათა ხელის გამმართველსა და მშველელს, მეც ბევრი არ მეუბნებოდა უარს და ალბათ ამიტომაც იყო, რომ ყველა ახალ წამოწყებასა და ჩანაფიქრს სინამდვილედ ვაქცევდი ხოლმე. ესეც არ იყოს, მთავარი ალბათ მაინც მონდომება, გონივრულად და მარიფათიანად გარჯაა, თორემ მუდმივად სხვის იმედად ყოფნა, ბევრს არაფერს მოიტანს. ალბათ ამიტომაც ხდება ხოლმე, რომ ზოგჯერ ფრიად მოკრძალებული და რიგითი მოკვდავნი, მოულოდნელად გაიჭრებიან წინ და უკან ჩამოიტოვებენ აღიარებულ სახელმწიფო მოღვაწეებს, პოლიტიკოსებს, ბიზნეს-კომერსანტებს, მრეწველებს, მწერლებსა და მეცნიერებს… სწორედ ისე, როგორც მე მოვიმოქმედე. ჰოდა, სოლიდური ქონებისა და ფინანსების პატრონს, გვარიანად ზურგგამაგრებულს, კიდევ უამრავი საქმის მოგვარება მაქვს ჩაფიქრებული. უპირველესად, პარტიის შექმნა მწადია, სახელიც შესაფერისი მოვიგონე: “გამაიმასმქმნელთა პარტია”. ვფიქრობ, საკმაოდ წევრმრავალნი ვიქნებით, რადგან მარიფათიან-შნოიანი ჩვენში ბევრი ბოგინობს. მერე რიგში მყავს ჩაყენებული გაზეთ “შნოს” გამოცემა, ტელეკომპანია “მარიფათის” ამოქმედება, ბანკის “მხოლოდ ჩვენთან შეინახეთ” დაფუძნება, სამედიცინო ინტიტუტისა და უნივერსიტეტის გახსნა, სასტუმრო-კაზინო “სამოთხის”, მცირე ელექტროსადგურის აგება და “მოდური სიახლეც” მსურს ვიგემო – პარლამენტის დეპუტატი მინდა გავხდე. და დამიჯერეთ,

ყველაფერს მივაღწევ, ყველაფერს მოვიპოვებ, რადგან დღევანდელ საქართველოში მხოლოდ ერთი პრინციპით ხელმძღვანელობაა აუცილებელი: ყველაფერი იკადრო, ყველაფერზე წახვიდე. ამას პირადი მაგალითით, საკუთარ თავზე გადამხდარით ვადასტურებ. აკი ყველაფერზე გულწრფელად მოგიყევით, არაფერი დავმალე. არადა, რა არის მისაჩუმათებელი და დასარცხვენი? განა სოციალისტური სისტემის "უღელგადაგდებულებსა" და საბაზრო ეკონომიკაზე "გადასულებს" დღენიადაგ პრესითა თუ რადიო-ტელევიზიით იმას არ ჩაგვჩიჩინებენ, ისე იცხოვრეთ, როგორც გსურთ და მოგწონთო. გახსოვთ, ერთ სატელევიზიო გამოსვლაში რაოდენ აღფრთოვანებული ლაპარაკობდა აბრაგი დათას წიგნის "ავტორი" იმ დიდი სიამოვნებისა და იმედის გაჩენის გამო, შუა ქუჩაში წვრილმანი საქონლითა და ტკბილეულ-სიგარეტებით დახუნძლულ ყუთთან მდგარი ვაჭრუკანა დიაცის დანახვამ რომ არგუნა. მისი აზრით, სწორედ ამგვარად "გარჯა" ყოფილა ერთადერთი გამოსავალი სადღეისო უმძიმესი ვითარებიდან. ნუ შეედავებით, რადგან ასეთია მრწამსი მისი, ასეთი დავალება აქვს მიცემული, ამას მიიჩნევს გადარჩენის სწორ გზად. მზად ვიყავი, როგორმე ხმა მიმეწვდინა ტელეეკრანიდან მოსაუბრისთვის, რომ სწორედ მე ვიყავი გასაჭირისა და უიმედობის მორევიდან ამ გზის გავლით ამოტივტივებული პიროვნება. მერე გადავწყვიტე პირადად მომენახულებინა აღფრთოვანებული "კალმოსანი" და ყველაფერი მეთქვა, იქნებ მოსმენილი "ახალი რომანის" ფაბულად გამოდგომოდა.

… გვიანი შემოდგომის შაბათ საღამოს, დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში, თანამშრომლის ქალიშვილის ჯვრისწერიდან წამოსულმა, ის იყო ვახუშტის ხიდი გავიარე, რომ ნაცნობ ადგილზე, ნაცნობი ხის ქვეშ, ნაცნობი საქონლით გაწყობილ ნაცნობ იმპროვიზებულ დახლთან, ნაცნობ მდგომარეობაში მიყუჟულ ასაკოვან ქალსა და მამაკაცს შევავლე თვალი. ჩემდაუნებურად ფეხი შავად მოლაპლაპე ახალთახალი "ბმვ"-ს სატერფულს დავაჭირე, ავტომობილიდან გადმოვედი და სიგარეტი ვიყიდე.

- ასანთიც მოგართვათ? – მკითხა ქალმა.

გამოვართვი.

- როგორი ვაჭრობა გაქვთ? – ვკითხე სიცივისგან მოსუსხულებს.

- მეოთხე დღეა რაც ამ საქმეს მოვკიდეთ ხელი, - მიპასუხა შავ ქურთუკში გამოხვეულმა სიმპათურმა კაცმა. – გვიძნელდებოდა, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიგონეთ. ქალიშვილი სამსახურიდან დაითხოვეს, მარტო სიძის "ხელფასითა" და ჩვენი "პენსიებით" კი გაგვიჭირდა, თანაც სტუდენტი შვილიშვილები გვყვანან. ჰოდა, ასე გადავწყვიტეთ.

- რატომ მაინცდამაინც ეს ადგილი აირჩიეთ? – აღარ დავანებე თავი სასიამოვნო წყვილს.

- ქალიშვილის მულმა გვირჩია. ადრე იმის მეზობელ მეცნიერ-მუშაკ კაცს დაუწყია აქ ვაჭრობა და ახლა თურმე დიდი ქონებისა და ფულის პატრონი გამხდარა. ამიტომ, ჩვენც აქაურობას მოვაშურეთ, იქნებ მისი წყალი გადმოგვესხას, - მითხრა ღიმილით თაფლისფერთვალება ქალმა.

შეუმჩნევლად ჩავიღიმე.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, - ვუთხარი დახლის მიღმა მსხდომთ. – ბარემ შოკოლადი და კევიც მომეცით, - და საფულედან ოცდოლარიანი ამოვიღე.

- დოლარებზე რომ არ ვვაჭრობთ, - შემომხედა უხერხულად ქალმა.

- არაუშავს, სხვა ფული არა მაქვს, - ვუპასუხე გაკვირვებულ დამწყებ კომერსანტებს და ავტომობილის კარი გამოვაღე.

- ღმერთი გფარავდეთ, მშვიდობით იარეთ! – მომესმა ძრავის გუგუნში ჩაკარგული ქალის ხმა.

აღმართის ბოლოში ასულმა, სარკეში დავინახე, რაოდენ გამალებით ალაგებდნენ ცოლ-ქმარი დარჩენილ საქონელს ჩანთებში. სადაც იყო დაღამდებოდა.

უხმოდ მისრიალებდა ავტომობილი. ახალგაცნობილ სიმბოლურ მემკვიდრეებზე ვფიქრობდი, დაუფარავად და გულწრფელად რომ მითხრეს თავიანთს იძულებითს ქმედებაზე.

თურმე რა ადვილი ყოფილა ღირსებისა და თავმოყვარეობის საკუთარი ნებით დაკარგვა, რაზეც დღეს ასე ადვილად და უყოყმანოდ მიდიან გაუსაძლისი ცხოვრებისგან ღირსებააყრილი, შეურაცხყოფილი და

განწირული ადამიანები.

გელა ჯიღაური

2001 წელი

ძვირფასო მკითხველებო!

შემოთავაზებული წერილების წაკითხვით გულდამძიმებულებსა და სევდამორეულებს, დარწმუნებული ვარ ვერაფერს დაგაკლებთ, ხელს არ აგაღებინებთ უკანონო, გამყიდველ ხელისუფალთაგან მოღალატურად გაჩუქებულ-გაყიდული, გაპარტახებულ-დაქცეული საქართველოს მშვიდობიანი გზით დაბრუნებისთვის გაგრძელებული მშვიდობიანი ბრძოლისაგან. და თქვენს ამ უდიდესი მამულიშვილური თავგანწირვის სულიერ საგზლად, ბრძენთაგან თქმული, დიდად გამამხნევებელი ჩაგონებანი მინდა დაგამგზავროთ. მჯერა, სამართლიანი ბრძოლა მართლებისა, მალე დასრულდება გამარჯვებით.

სამშობლო ჩვენი სამუდამოდ გათავისუფლდება და გაბრწყინდება ღვთისმშობლის წილხვედრი იბერია.

ბიბლია:

არა არს დაფარულ, რომელ არა განცხადდეს.

ჩემი წასვლის შემდეგ შემოვლენ თქვენთან ულმობელი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს.

ყველა ვინც მახვილს აიღებს, მახვილით დაიღუპება.

მოვა ძე კაცისა თავისი მამის დიდებით, და მაშინ მიუზღავს თითოეულ კაცს მათი ნამოქმედარის მიხედვით.

იოანე ზოსიმე:

და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

გრიგოლ ბაკურიანისძე:

ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მხედრობითა აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი.

ილია ჭავჭავაძე:

ძლიერია ერი, რაც უნდა პატარა იყოს, როცა მამულიშვილობა, თავის ქვეყნის სიყვარული ასე ამხნევებს, ასე ამოქმედებს, როცა უბედურება რამ, განსაცდელი რამ, გულზე ხელს კი არ აკრებინებს, არამედ იმოდენად ძლიერ აღვიძებს, ძლიერ მისძრავ-მოსძრავს, რამდენადაც ძლიერია თვით მის თავზე მოსული უბედურება და განსაცდელი.

რაკი ქართველმა რუსული შლაპა დაიხურა, იმის საქმე წასულია.

ვაჟა-ფშაველა:

არ მივცემთ სხვასა სამშობლოს, ჩვენის ცოცხალი თავითა.

პლატონი:

ტირანი იახლოებს თავისნაირთ, ჭკვიანნი და გონიერნი სძაგს.

ქართული ანდაზა:

ხემ თქვა, ცული რას დამაკლებდა, ტარი რომ ჩემი ჯიშისა არ იყოსო.

კონსტანტინე გამსახურდია:

ჩვენში მოღალატენი სჭარბობდნენ ერთგულებს, განა თუ სხვისი,

საკუთარი თავის, თავის ხალხის მოღალატენი.

თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ უშველის, რადგან ჯერ არსად გაუმარჯვნიათ მშიშრებსა და მსტოვრებს.

ქართველი ხალხის სისხლი არავის შერჩენია. ჯოჯოხეთის ცეცხლით დაიდაღა ქართველი ხალხის სისხლში გავლებული ხელები.

მონობაში აშენებული ერი ჯერ არავის უნახავს.

ზვიად გამსახურდია:

თუ გსურს ერი ან ადამიანი გადააგვარო, მას არა მხოლოდ უნდა დაავიწყო წარსული, არამედ უნდა გაუყალბო კიდეც იგი. თავის ჭეშმარიტი გმირები ბოროტმოქმედებად და უნიათო კაცუნებად უნდა დაუსახო, მედროვენი და მოღალატენი კი – გმირებად.

ის ერი კი, რომელიც დაკარგავს რწმენას და კულტურულ უპირატესობას მომხდურზე, უთუოდ დამარცხდება.

მერაბ კოსტავა:

კონსტანტინე გამსახურდიასადმი:

ძვირფასო ადამიანო, შენი ცხოვრების მაგალითი მომავლის იმედად გვექცა, შენთან ერთად გვწამს ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველოს უკვდავებისა. გვჯერა: ვინც გათათრებისაგან იხსნა საქართველო, იგი დაიხსნის მას გარუსებისაგან.

მანანა არჩვაძე -გამსახურდია:

ზვიადისა და მერაბის, ამ ორი რაინდის მოვლენით, ღმერთმა საქართველო არ გასწირა.

ზვიადსა და მერაბს საკუთარი თავის გადარჩენა არაფრად უღირდათ.

ზვიადისა და მერაბის სიმაღლე მიუწვდომელი მწვერვალია, რომლის დაპყრობას ვერავინ შებედავს.

ღმერთმა ინებოს და საქართველოს კვლავაც მოუვლინოს მათი მსგავსი მამულიშვილები. იბერთ ქვეყანას, უფრო მეტიც-კავკასიას , ერთიანობა და გადარჩენა სჭირდება

ჰეგელი:

მსოფლიო პროგრესი კავკასიური რასსის გზით იწყება.

ილია ჭავჭავაძე:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩვენია!